

# რევაზ გოგშელიძე

## 65

საიუბილეო კრებული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

# რევაზ გოგშელიძე 65

საიუბილეო კრებული

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2022

---

კრებული წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საიუბილეო გამოცემას, რომელიც ეძღვნება ამავე ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ა/წ გარდაცვლილი პროფესორის რევაზ გოგშელიძის 65 წლის იუბილეს.

კრებულში თავმოყრილია რევაზ გოგშელიძის კოლეგების, ყოფილი სტუდენტებისა და დოქტორანტების მოგონებები, ასევე სამეცნიერო სტატიები სამართლის სხვადასხვა დარგში.

კრებული დახმარებას გაუწევს სწავლულ იურისტებსა და პრაქტიკოსებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტობას და სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულება და პროფესორ რევაზ გოგშელიძის ოჯახი დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა კრებულის გამოცემაში - გამონახა დრო და მოგვანოდა წერილი, თუ სამეცნიერო სტატია.

რედაქტორები:

**ვალერი ხრუსტალი,** სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

**გია მეფარიშვილი,** სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ტექნიკური

რედაქტორი:

**ზურაბ გოგშელიძე,** თსუ დოქტორანტი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასისტენტი (სდასუ)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022

© ავტორთა ჯგუფი

ISBN 978-9941-34-100-7

სარჩევი  
რევაზ გომგელიძე - 65  
საიუბილეო კრებული

რევაზ გომგელიძის ბიოგრაფია.....7

მომონებები:

**ვალერი ხრუსტალი**

მართალი კაცი..... 9

**ირაკლი გაბისონია**

გულმართალი და ალალი კაცი..... 12

**დავით კარიაული**

რეზო გომგელიძე – მეგობარი..... 15

**ირინე ბოხაშვილი**

პროფესორ რევაზ გომგელიძის გახსენება ..... 19

სტატიები

I. სისხლის სამართალი

**ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი**

ტრიაფი და მოვალეობათა კოლიზია პანდემიის პირობებში ..... 21

**ნონა თოდუა**

ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის, განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხისათვის ..... 51

**ირინე ხერხეულიძე**

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მართლსაწინააღმდეგო (რთული) ქცევის საკანონმდებლო რეგულირება ..... 66

**თემურ ცქიტეშვილი**

ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და ქმედების  
მართლწინააღმდეგობის საკითხი .....109

**ბადრი კოჭლამაზაშვილი**

ერთგვაროვანი კვალიფიკაციის საჭიროება ოჯახური ძალადობის  
საქმეებზე .....141

**შოთა ბიჭია**

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები,  
რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით ცალკეულ შემთხვევაში  
პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქცა .....173

**II. სისხლის სამართლის პროცესი**

**ირინა აქუბარდია**

კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ....199

**გია მეფარიშვილი**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის  
ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხთან დაკავშირებით.....233

**ჯემალ გაბელია**

აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის გამოყენების  
პრაქტიკა (თანამედროვე ტენდენციების შედარებითი ანალიზის  
საფუძველზე) .....251

**დარეჯან ლეკიაშვილი**

სისხლის სამართლის პროცესისა და ოპერატიულ-სამძებრო  
საქმიანობის ურთიერთკავშირის პრობლემები.....278

**III. კრიმინოლოგია**

**მორის შალიკაშვილი, ხატია თანდილაშვილი**

პოლიციელი, როგორც მსხვერპლი .....291

IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებანი

**ლადო ქანტურია**

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო  
სამართალში .....311

V. საჯარო სამართალი

**ჯონი ხეცურიანი**

საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.)  
და საკონსტიტუციო სასამართლო .....326

**გიორგი ამირანაშვილი**

გამოხატვის თავისუფლების „საკასაციო უპირატესობა“ .....356

**შალვა ყიფშიძე**

დავა განსჯადობაზე ადმინისტრაციული საპროცესო  
კანონმდებლობის მიხედვით .....367

VI. კერძო სამართალი

**ვალერი ხრუსტალი**

საკასაციო საჩივრის საფუძვლები.  
სამოქალაქო პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები....398

**რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია**

საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები ....412

**სერგი ჯორბენაძე**

გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები  
საქართველოში .....424

**მიხეილ ბიჭია**

პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე.....439

---

**ნაზი ვარაზაშვილი**

სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთან დადებული  
ხელშეკრულების შრომითსამართლებრივი ბუნება .....467

**ნიკა ჯაშიაშვილი**

ნების გამოვლენა “Emoticon” სიმბოლოებისა და ემოჯის საშუალებით...509

**Гия БАХТАДЗЕ**

ЛАЗЕРНЫЕ ТЕХНОЛОГИИ НА СЛУЖБЕ ОБЕСПЕЧЕНИЯ ЗАКОННОСТИ  
ОБОРОТА ДРАГОЦЕННЫХ КАМНЕЙ..... 534

**VII. სამართლის ისტორია**

**გოჩა ფერაძე**

პირველი ქართველი პროკურორები (XIX საუკუნის I მეოთხედი)...555

რევაზ გოგშელიძის ბიოგრაფიული მონაცემები

1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

იმავე წლიდან დაიწყო საქმიანობა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრაზე ლაბორანტად, შემდეგ მასწავლებლად და უფროს მასწავებლად.

დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სასამართლო-კრიმინალისტიკური საქესპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში“, შესაბამისად, მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1997 წელს დაიკავა დოცენტის თანამდებობა.

1997 წლიდან 2004 წლამდე ეკავა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა სასწავლო დარგში.

2004 წლიდან საკონკურსო წესით დაიკავა სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

2004 წლიდან 2008 წლის ჩათვლით იყო სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მიმართულებების ხელმძღვანელი.

იგი იყო 2002 წელს შექმნილი „სამართალდამცავი ორგანიზაციის რეფორმების სახელმწიფო კომისიის“ წევრი და ამერიკელ და გერმანელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობდა შესაბამისი კონცეფციის შემუშავებაში.

მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში. მაგალითად, 2002 წელს ქ. ბუდაპეშტში მის მიერ წაკითხულმა მოხსენებამ „პროკურატურის როლის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში“, დაიმსახურა სახელმწიფო პრემია.

მონაწილეობდა საგრანტო-სამეცნიერო პროექტებში. მისი თანავტორობით 2012 წლს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოიცა ვრცელი კვლევა - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“.

2008-2010 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სისხლის სამართლის პროცესის მიმარ-



---

თულებით.

იგი არის 35-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. აქედან რამდენიმე სახელმძღვანელოს რედაქტორი და თანაავტორი. კერძოდ, მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით 2008 და 2009 წელს გამოიცა სახელმძღვანელო სისხლის სამართლის პროცესში (ზოგადი და კერძო ნაწილები).

2003 წელს მისი თანაავტორობით გამოიცა მონოგრაფია „ნარკოტიკული დანაშაული“.

მისი თანაავტორობით 2000 და 2004 წელს გამოიცა სახელმძღვანელო კრიმინალისტიკაში.

არის ათეულობით სტატიის ავტორი.

## მოგონებები

### ვალერი ხრუსტალი

სამართლის დოქტორი,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის პროფესორი

### მართალი კაცი

თერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის ჩემი ძმა და მეგობარი, საუკეთესო ქართველი, მეცნიერი, მეოჯახე და სულით ხორცამდე მართალი კაცი - რეზო გოგშელიძე. მას, რომელიც 1979 წელს გავიცანი, ჩემი სულის გასაღები ვანდე, როგორც მეგობარს, ძმას. პირველივე კურსიდან ვმეგობრობდით მე და რეზო, ძმობაში, ერთგულებაში ვყალიბდებოდით და ერთმანეთისთვის განუყრელნი ვიყავით. მრავალი რამ მახსენდება ჩვენი სამეგობრო წლებიდან, ის - რაჭველი, მე - კახელი კარგად ვეთვისებოდით ერთმანეთს, ხშირადაც ვსტუმრობდით მეგობრებთან ერთად და ვტკბებოდით ქართული ტრადიციებით, რომელიც სუფევდა ჩვენს ოჯახებში.

რეზოს ჰყავს ლამაზი ოჯახი. მეუღლე - ღირსეული ადამიანი, ქალბატონი ნონა თოდუა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი. ბრწყინვალედ აღზრდილი შვილები: ზურაბი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი და ულამაზესი ქალიშვილი მარიამი - ფსიქოლოგიის მაგისტრი. ჩვენი ძმობის სიმტკიცე ჩვენს მორონით დანათესავებაშიც გამოიხატა შემდგომში. ქალბატონი ნონა ჩემი ქალიშვილის - მარიამის ნათლიაა, რომელიც კიდევ უფრო აყალიბებს ჩვენი ოჯახების

სულით ნათესაობას.

ჩვენმა ახალგაზრდობამ მეგობართა და კეთილ ადამიანთა შემოკრებაში გაიარა. ყველამ თავისი გზა იპოვა. არავინ ივინყებს ჩვენს მეგობარ რეზოს და მის დადებით თვისებებს. რეზოს ღირსეული მშობლები ჰყავდა, მათით ამაცობდა და მათი ცხოვრების წესით ყალიბდებოდა. რეზოს მამა - ბატონი ლადო დიდი მეოჯახე რაჭველი იყო, იყო მშრომელი და კეთილგანწყობილი ადამიანი. ხშირად ვიგონებთ მეგობრები სტუდენტობის დროს და შემდგომშიც გოგშელიძეებთან გატარებულ დღეებს, როცა ბატონი ლადო და ქალბატონი ყუყუნა ჩამოდოდნენ შვილთან რუსთავში და გვიმასპინძლდებოდნენ რაჭული პურმარილით. ჩვენ კი ეს ყოველივე ქართული, ოჯახური ტრადიციებისადმი პატივისცემით განგვანყობდა.

რეზოს ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური სოფელი - შარდომეთი /ონის რაიონი/.

მახსოვს, 90-იან წლებში რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, გოგშელიძეების სახლი ძალიან დაზიანდა. რეზოს და ნონას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამავე კარ-მიდამოში ახალი სახლი ააშენეს, რითაც რეზოს მშობლების გული მეტად გაახარეს.

აქვე მახსენდება ერთი ამბავი. შემოდგომა იყო, რეზოს მამის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით მეგობრები სოფელ შარდომეთში ჩავედით. საფლავზე გასვლის წინა დღე იყო. იმ დღისით რეზოს რთველი ჰქონდა. რაჭული ალექსანდროულით გაივსო გოგშელიძეების წინაპრების მიერ უზარმაზარი ხისგან გამოთლილი უძველესი სანნახელი. რეზო თავისი მცირეწლოვანი შვილებით სანნახელში ჩადგა და მამაპაპური ტრადიციით ყურძნის დანურვა დაიწყო. დღესაც თვალწინ მიდგას ის საოცარი სურათი, სანნახელზე ანთებული სანთლები, რეზო 5 წლის ზურაბთან და 3 წლის მარიამთან ერთად, ფეხშიშველები, სანნახელში იდგა და ყურძენს ნურავდა. ბავშვები ძალიან მხიარულობდნენ. ჩვენ კი, იქვე სანნახელთან ახლოს, ნონას მიერ გაშლილ ტრაპეზთან ტრადიციულ სადღეგრძელოებს ვამბობდით. ეს დღე ტკბილ მოგონებად დაგვრჩა რეზოს მეგობრებს. წინაპრებისგან შემონახულ სანნახ-

ელს დღესაც საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი სოფელ შარდომეთში მდებარე რეზოს სახლში.

რეზო ამ წელს (2021) 65 წლის გახდებოდა. მრავალნი მისი სამეგობრო წრიდან კეთილად, სიყვარულით იგონებენ მას. მე, ერთობლივი თანამსახურებით (2005-2006 წლებში ვკითხულობდი ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ამ დროისათვის რეზო იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე), ვგრძნობდი მის დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ, რომელნიც სიყვარულით პასუხობდნენ ცნობილ მეცნიერს.

რეზო, ზოგადად, ადამიანური სიყვარულით გამოირჩეოდა მოყვასის მიმართ.

მიჭირს მას - ჩემს საუკეთესო მეგობარს ბატონობით მივმართო, მაგრამ შევეცდები ასე ვუნოდო - ბატონმა რეზომ თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლის მანძილზე მოასწრო კეთილი სახელის დამკვიდრება საზოგადოებაში. მოუშლელია მისი ავტორიტეტი, კაცურკაცობის, სახელის, ღირსების დამკვიდრება.

რეზო გოგშელიძემ პირველ წიგნად თავისი სადისერტაციო ნაშრომი გამოსცა, რომელსაც მოყვა მისი თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოები კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესში.

სამწუხაროდ, მას, როგორც მეცნიერს, განუხორციელებელი დარჩა არაერთი იდეა და ჩანაფიქრი.

ღმერთმა გაანათლოს ჩვენი რეზოს სუფთა სული.

ამ მცირე მოგონებასთან ერთად, რეზოს ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ჩემს სამეცნიერო ნაშრომს.

## ირაკლი გაბისონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი.

### გულმართალი და ალალი კაცი

ქართული ტევადი სიტყვა გარდაცვალება – სრულად მიესადაგება რეზო გოგშელიძის პიროვნებას. იგი მხოლოდ ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან, რადგან გარდაისახა ზეციურ საქართველოში და სულიერად შეუერთდა უკვდავ მამულიშვილთა ბრწყინვალე კოჰორტას.

მაგრამ მაინც ძალზე სანყენია, რომ დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის უსაზღვროდ კეთილი, ვაჟკაცური ბუნების, უზადო ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანი, რომელიც მარტო ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს კი არა, მთელ ქვეყანას დააკლდა. სამშობლოსათვის მას ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

ბატონი რეზო ხომ ის პიროვნება იყო, რომელიც სიმართლეში მზის სხივებს ეძებდა, რათა მომავალ თაობას სწორად განესაზღვრა, კარგად სცოდნოდა სამართლისა და კანონიერების თანხვედრის ფასი.

გამოირჩეოდა პრინციპულობით და ობიექტურობით. მან თავის მონოგრაფიებთან ერთად, სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემით, უდიდესი დახმარება გაუწია არამარტო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს მუშაკებსაც.

ამასთან, შეძლო ჩამოეყალიბებინა ახალი მეცნიერული კვლევა-ძიების ლაბორატორია პროკურატურის მიმართულებით, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რასაც ადასტურებს სახელმწიფო პრემია, რომელიც მას მიენიჭა 2002 წელს ქალაქ ბუდაპეშტში საერთაშორისო

კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებისათვის „პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ბატონი რეზო ამერიკელ და გერმანელ კოლეგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა სამართალდამცავი ორგანოების კონცეფციის შემუშავებაში, იყო რეფორმების სახელმწიფო კომისიის წევრი.

ბატონი რეზო ყოველთვის იდგა ბოროტებაზე მაღლა, ვერ ეგუებოდა „პოლიტიკანებს“, მათთვის შესაფერის დროსა და ვითარებაში, უმეცრების მიუხედავად რომ ახერხებდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ადამიანების გაუბედურებას, მშვიდობიანი ცხოვრების არევას.

თვლიდა, რომ „უპირველესი მშობლიური ქვეყანა და მისი მსახურებაა, დანარჩენი ჩვეულებრივი ყოფითი საკითხებია“. როგორ წაადგებოდა დღევანდელ საქართველოს ასეთი პიროვნების სიბრძნე და გონიერება.

ღირსება საქართველოში ტიტულია, რომელსაც საბუთი არ სჭირდება, იგი რჩეულთა ხვედრია და ასეთად უნდა გაღიარონ... რეზო გოგშელიძემ შეძლო თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ღირსეულ ადამიანთა რიცხვში დამკვიდრება. მან წარუშლელი კვალი დატოვა ისტორიაში და უპირველესად იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვისთანაც მას უხდებოდა სამსახურობრივი და მეგობრული ურთიერთობა. მას ღმერთმა უხვად დაანათლა უღვევი მადლი, რაც მხოლოდ ღირსეულ მამულიშვილთა ხვედრია.

ბატონ რეზოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვიცნობდი. კარგი ურთიერთობა მქონდა მასთან. რაც შეეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტში მის მოღვაწეობას, ჩვენ ფაქტობრივად ერთად მოვედით. ის კითხულობდა ლექციების კურსს სისხლის სამართლის პროცესში. სწორედ ამ დროს შევიცანი უფრო ახლოს, როგორც უაღრესად განათლებული, პრინციპული, საოცრად ნიჭიერი თეორიტიკოსი. მის ოჯახთან დღესაც ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ამას ადასტურებს ისიც, რომ რეზოს მეუღლე, ქალბატონი ნონა თოდუა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, საქვეყნოდ აღიარებული პროფესორი და მკვლევარ-

ია. უდიდესი წვლილი მიუძღვის თანამედროვე, ქართული სისხლის სამართლის ფორმირებაში და განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებები, სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო კუთხით შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. მათმა შვილმა ზურა გოგშელიძემ ჩვენთან (ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამართლის დეპარტამენტში) დაამთავრა მაგისტრატურა, იქ სადაც წლების წინ ლექციებს კითხულობდა ბატონი რეზო გოგშელიძე. ზურამ გაამართლა ჩვენი იმედები და ბრწყინვალედ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „მცდელობის საკითხები არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში“. მოიპოვა საუკეთესო ნაშრომის ტიტული, მისი ნაშრომი გამოიცა ჩვენს მიერ მონოგრაფიად. ზურა ამჟამად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში და ემზადება სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის..

ზოგიერთის დაბადება და სიცოცხლე, მითუმეტეს სიკვდილი ამ ცხოვრებაში ხშირად უყურადღებოდ რჩება. მაგარამ არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშიც და იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც, ალამაზებენ და ავსებენ ამაოებით სავსე წუთისოფელს. რეზო გოგშელიძე სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ. მან ლამაზად იცხოვრა და მზის სითბო, უსაშველო სიყვარული ჩაატია თავის ხანმოკლე სიცოცხლეში. დიდ ტკივილებთან ერთად, დაგვიტოვა ბევრი ლამაზი მოგონება და მარადიული საფიქრალი. მისი ცხოვრება და საქმიანობა მაგალითი იქნება ყველასათვის და სამარადისოდ დარჩება ჩვენთან ლამაზი სული - რეზო!

**დავით კარიაული,**

სამართლის დოქტორი, პროფესორი.

**რეზო გოგშელიძე - მემოუარი**

1985 წლის შემოდგომა იდგა. მორიდებით შევალე სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის კარი. ოთახში ახალგაზრდა, შავგვრემანი, სპორტული აღნაგობის, სიმ-პათიური მამაკაცი დამხვდა. ეს რეზო გოგშელიძე გახლდათ (მე რეზოს მანამდეც ვიცნობდი. როგორც მეორე კურსის სტუდენტს, ხშირი შეხება მქონდა კრიმინალისტიკის ლაბორატორიასთან, სადაც რეზომ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო მუშაობა). რეზომ მისთვის დამახასიათებელი მტკიცე, მაგრამ ამავე დროს სიკეთით სავსე მზერით შემომხედა და მკითხა:

- აბა, დავით, რაზე გარჯილხარ, რით შემოიძლია დაგეხმარო?

- მე თქვენი კათედრის ახალი თანამშრომელი ვარ - ვუპასუხე რეზოს.

რეზოს თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდა. მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და ასე დაიწყო ჩვენი 20 წლიანი თანამშრომლობისა და სამუდამო მეგობრობის ისტორია.

რეზოსთან ერთად მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. იგი გახლდათ არაჩვეულებრივად კეთილი, პასუხისმგებლობით აღსავსე, ვაჟკაცური ბუნების პიროვნება, რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. მისი აუღელვებელი, დინჯი, მაგრამ მტკიცე ხასიათი საშუალებას აძლევდა გარშემო მყოფთა შორის ავტორიტეტი და პატივისცემა დაემსახურებინა.

რეზოსთვის მეგობრობა განსაკუთრებული რამ იყო. იგი საოცარი ერთგულებითა და თავდადებით ეკიდებოდა მეგობრის პრობლემებს. არასოდეს არ მიგატოვებდა და სანამ ბოლომდე არ გიპატრონებდა, არ მოგეშვებოდა. ამიტომაც ჰყავდა მას ბევრი მეგობარი, რომლებიც რეზოს უაღრესად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ.

რეზო წარმოშობით რაჭველი გახლდათ. იგი უზომოდ იყო



შეყვარებული თავის კუთხეზე და სწორედ მთის კაცისათვის დამახასიათებელი ვაჟკაცური და უშიშარი ბუნება ჰქონდა. ბევრი რამ შეიძლება გავისხნოთ ჩვენი ურთიერთობიდან როდესაც რეზომ თავისი შეუპოვარი ხასიათი გამოავლინა, მაგრამ ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში.

მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც თბილისში (და არამარტო) შეიარაღებული ადამიანები დადიოდნენ და იარაღის დემონსტრირებით თავის მიზნებს აღწევდნენ. შეიძლება გაგიკვირდეთ, რა მიზანი უნდა ჰქონოდათ ასეთ ადამიანებს სასწავლო დაწესებულებაში და მითუმეტეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ამგვარ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს გააჩნდათ ამბიცია, სხვა „სიკეთებთან,“ ერთად იურისტის დიპლომიც ჰქონოდათ.

ერთ დღეს გამოცდას იბარებდა ერთ-ერთი ჩვენი პროფესორი, რომელსაც დახმარებას ვუწვევდით კათედრის სხვა თანამშრომლები. მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა შემოვიდა. მათ მედიდურად გადმოგვხედეს იქ მყოფთ, განაცხადეს, რომ გამოცდაზე იყვნენ მოსულები და ვინაიდან დრო არ ჰქონდათ, დაუყოვნებლივ მოითხოვეს გამოცდაზე მიღება. ოთახში სიტუაცია დაიძაბა, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ჩვენ ყველანი მშვილდით მოვიზიდეთ და ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ყოველივე, რომ არა რეზო. მან მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით ახედა შემოსულებს, წამოდგა აულელევებლად და უშიშრად და მეგობრული ტონით მიმართა: „ბიჭებო, ხომ ხედავთ გამოსაცდელად უკვე ზის სტუდენტი. მოდით, გარეთ გავიდეთ და თქვენს რიგ დაელოდეთ.“ იარაღიანები შეყოყმანდნენ, ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ რეზოს სიტყვები ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რამდენიმე წამიანი დუმილის შემდეგ შებრუნდნენ და გარეთ გავიდნენ. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. რეზო მათ უკან გაჰყვა, დერეფანში მეგობრულად გაესაუბრა და უთხრა: „ეს სასწავლო დაწესებულებაა და აქ ულტიმატუმით კი არა, ცოდნით შეიარაღებული უნდა მოხვიდეთ“-ო.

უკვე აღვნიშნე, რომ რეზოს განსაკუთრებული დამოკიდებ-

ულეზა ჰქონდა მეგობრებთან და მათ პრობლემებთან. როდესაც ჩვენი ან განსვენებული მეგობარი გოჩა მამულაშვილი, უკურნებელი და ვერაგი დაავადებით დასნეულდა, რეზომ ეს განსაკუთრებული სიმძაფრით მიიტანა გულთან და ყოველთვის მის გვერდით იდგა. წლების განმავლობაში მასთან ერთად დადიოდა ექიმებთან და ყველა მათგანს კარგად იცნობდა. თუმცა ბედის ბორბალი იმგვარად შეტრიალდა, რომ ამ ვერაგმა დაავადებამ ელვის სისწრაფით წაგვართვა რეზოს თავი. შემდეგში, როდესაც ექიმთან ვიზიტის დროს გოჩა მამულაშვილს მისმა ექიმმა ჰკითხა: სად არის თქვენი მეგობარი, მუდამ რომ თქვენთან ერთად იყო, მისთვისაც დაუჯერებელი და გამაოგნებელი იყო პასუხის მოსმენა.

რეზო გამორჩეულად ნიჭიერი იყო. სწორედ ნიჭიერებითა და მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგრძნებით გასცემდა იგი ცოდნას სტუდენტებს შორის. ამიტომ იყო გამორჩეული პედაგოგიურ საქმიანობაშიც და სტუდენტებს შორისაც შესაბამისი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. რეზო წლების მანძილზე იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და მთელ ძალასა და ენერგიას ანმარდა მომავალი იურისტების აღზრდასა და ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა. როდესაც კათედრაზე დადგა საკითხი ჩვენთვის სადისერტაციო თემების შერჩევისა, ჩვენი კათედრის გამგემ პროფესორმა აპოლონ ფალიაშვილმა მიიღო (ვფიქრობ უაღრესად მართებული) გადაწყვეტილება, ჩვენთვის შეერჩია თემები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, რათა შესწავლილი ყოფილიყო საქართველოში ამ დარგის ჩამოყალიბება და განვითარება. რეზოს სადისერტაციო თემა დაკავშირებული იყო საექსპერტო კრიმინალისტიკური დანესებულებების შექმნისა და განვითარების ისტორიასთან. რეზოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ თემის შესწავლას, გააანალიზა უამრავი დოკუმენტი და ფაქტობრივი მასალა და შექმნა სურათი საქართველოს შესაბამისი დანესებულებების საქმიანობისა ადრეული საუკუნეებიდან დღემდე. რეზოს კალამს ეკუთვნის არაერთი სამეც-

ნიერო სტატია და გამოკვლევა.

ოჯახი და ოჯახური ტრადიციები რეზოსთვის პირველ ადგილზე იდგა. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის წევრების მიმართ ურთიერთდამოკიდებულებას. ყველასათვის და განსაკუთრებით რეზოს მეგობრებისათვის კარგად არის ცნობილი მისი ფაქტიზი დამოკიდებულება მეუღლის, შვილებისა და მშობლების მიმართ. შვილებიც მშობლების კვალს გაყვნენ. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ რეზოს ვაჟთან, ზურაბთან ერთად მიწვევა პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

თავისი ცხოვრების ხანმოკლე პერიოდში, რეზო გოგშელიძემ შეძლო ნათელი კვალი დაეტოვებინა მომავალი თაობისათვის. სამწუხაროა, რომ ბედმა მისი თავი ნაადრევად წაგვართვა. წელს რეზოს 65 წელი შეუსრულდებოდა და ჩვენ მისი მეგობრები და კოლეგები სიამაყით მოვიგონებთ კაცს, რომელმაც ღირსეულად განვლო მისი ცხოვრება.

## ირინე ბონაშვილი

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აფილირებული; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

### პროფესორ რევაზ გოგშელიძის ბახსენება

ბატონო რეზო, ამ წერილით მაქვს პატივი და შესაძლებლობა, ხმამაღლა გითხრათ მადლობა როგორც გამორჩეულ ლექტორს და კოლეგას იმ წვლილისთვის, რაც უდავოდ მიგიძღვით ჩემს პროფესიულ განვითარებაში.

თქვენ ხართ, ვინც შუამდგომლობა გამიწიეთ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის ლაბორანტის თანამდებობაზე. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი და ზიარება მაღალ პროფესიულ კულტურასთან, რამაც წარუშლელი კვალი დამიტოვა, გამზარდა და გზა გამიხსნა სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში ჩემი მოკრძალებული მოღვაწეობისთვის. საწერი მაგიდის უჯრაში დღემდე ვინახავ 20 წლის წინანდელი, გაყვითლებული თაბახის ფურცლის პატარა ნაწილს, თქვენი ხელნაწერით. ეს ის ფურცელია, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დაწყების წინ რომ დამირეკეთ, მთხოვეთ სასწრაფოდ მოვსულიყავი უნივერსიტეტში და მითხარი, რომ ჩემი საკითხი ლაბორანტად დანიშვნაზე უკვე ჩემს უკითხავად დააყენეთ და ახლა ჩემი განცხადება იყო საჭირო, ნაჩქარევად მოიძიეთ ფურცელი და განცხადების ნიმუში დამინერეთ!

თქვენ ხართ, ვინც გამიღეთ თსუ-ს აუდიტორიის კარი, სადაც ჩემი პირველი ლექცია წავიკითხე! კრიმინალისტიკის საგანში თქვენს ლექციამდე რამდენიმე დღით ადრე მთხოვეთ, რომ იმ დღეს მოსვლას ვერ ასწრებდით და მე (კათედრის ლაბორანტი და ასპირანტურის სტუდენტი) შევსულიყავი ჯგუფში. ზუსტად მითხარით დრო, ადგილი და თემა და სულ მგონია, რომ ზუსტად იცოდით და გრძნობდით, რომ შევძლებდი! დღემდე ფილმის კადრით მაქვს მეხსიერებაში ზედა სართულის მცირე აუდიტორია, მეორადი განა-

თლების კურსის (მაშინ, ჩემზე უფროსი) ათიოდე სტუდენტი, საუბრისას ჩემს მიერ მწვანე დაფაზე ცარციტ დახატული ფეხის კვალი და ჩემი განცდები.

თქვენ ხართ უბადლო მაგალითი პროფესიისადმი ერთგულების! ცხოვრების წესად მახსოვს პატარა ისტორია. თსუ-ს მე-2 კორპუსიდან ერთად მოგვინია კათედრაზე, ქუჩის მოპირდაპირედ გადასვლა. პროცესის საკითხებზე საინტერესოდ ვმსჯელობდით და ზუსტად ქუჩას ვკვეთდით, როდესაც თქვენ მობილურზე დაგიჩვენებ, მოკლედ ისაუბრეთ, უხერხულად, მაგრამ გადაჭრით უთხარით უარი და საუბარი დაასრულეთ. თქვენ ხომ გამიზიარეთ ის საუბარი და მე ხომ ზუსტად ვიცი, რომ თქვენ ფიქრის გარეშე და უყოყმანოდ უთხარით უარი თქვენს მეგობარს, რომელმაც მაშინ მაღალი თანამდებობა შემოგთავაზათ. ცდუნებას ადვილად გაუძელით, თქვენს არჩეულ გზას არ უღალატეთ და თსუ-ს ერთგული დარჩით!

**გულწრფელი პატივისცემით,  
ირინე ბოხაშვილი**

## სტატიები

### I. სისხლის სამართალი

#### ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ მონვეული პროფესორი

ტრიაში და მოვალეობათა კოლიზია პანდემიის პირობებში

#### 1. შესავალი და საკითხის დასმა

უკვე მესამე წელია, კოვიდის ვირუსმა მსოფლიო საგანგებო მდგომარეობაში ჩააყენა და ცხოვრების ყველა სფეროს თავისი დალი დაასვა. თანამედროვე პანდემია გამოწვევაა არა მხოლოდ ჯანდაცვის სფეროსათვის, არამედ აგრეთვე იურიდიული მეცნიერებისთვისაც. სისხლის სამართალში, ისევე როგორც სამართლის ნებისმიერ დარგში, დაგროვდა მრავალი სადისკუსიო პრობლემა, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მწირი სამედიცინო რესურსების არსებობისას ამ რესურსების პაციენტებზე განაწილების დროს დახმარებაშიუღებელი პაციენტის სიკვდილის ანდა ჯანმრთელობის დაზიანების სისხლისსამართლებრივი შეფასება.

სამედიცინო მომსახურების რიგითობის დასადგენად და ექსტრემალური სიტუაციისათვის დამახასიათებელი სამედიცინო სფეროს მწირი რესურსების გასანაწილებლად პაციენტები დაზიანების/ავადმყოფობის სიმძიმის მიხედვით უნდა „დახარისხდნენ“. პაციენტების ამგვარ დახარისხებას სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობის განსაზღვრისა და შესაბამისად რაც შეიძლება მეტი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენისათვის, სამხედრო მედიცინასა და მედიცინის სისხლის სამართალში

ტრიაჟს უწოდებენ.<sup>1</sup> ტრიაჟი ფრანგული სიტყვაა (ტრიაგე) და ქართულად დახარისხებას, გადარჩევას ნიშნავს.

ტრიაჟი მეორე მნიშვნელობით სამედიცინო ალჭურვილობის პირობებში ექიმის მიერ რამდენიმე დაზიანებულიდან, რომელთაც თანაბრად გადაუდებელი დახმარება სჭირდებათ, იმ ერთი პაციენტის ამორჩევას, რომელიც უნდა გადარჩეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კორონა-ტრიაჟი ექიმის მიერ რამდენიმე მძიმედ დაავადებული პაციენტიდან ერთისათვის სასურთქი აპარატის მიკუთვნებაა იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ ამ აპარატის გარეშე ყველა სხვა პაციენტი გარდაიცვლება.<sup>2</sup> მედიცინის სისხლის სამართალში ამავე მნიშვნელობით ხმარობენ ასევე ტერმინ ალოკაციასაც,<sup>3</sup> რომელსაც მეცნიერების სხვადასხვა დარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასობრივი დაზიანებებისას ჯანდაცვის მწირი რესურსების განაწილებას გულისხმობს.<sup>4</sup>

დაზიანებულთა (დაავადებულთა) სიმრავლისას, რომელთაც მსგავსი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ, წარმოიშობა **მოვა-**

---

<sup>1</sup> *Brech*, Triage und Recht, Patientenauswahl beim Massenansturm Hilfsbedürftiger und der Katastrophenmedizin. Ein Beitrag zur Gerechtigkeitsdebatte im Gesundheitswesen, Berlin 2008, S. 25; *Huster*, Wer hat Angst vor der Triage?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 84.

<sup>2</sup> *Zimmermann*, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst? . In: Legal Tribune Online, 23.03.2020 , [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022 ).

<sup>3</sup> ავსტრიის ანესთეზიოლოგების, რეანიმატოლოგების და ინტენსიური მედიცინის სპეციალისტების კლინიკურ-ეთიკური რეკომენდაციები ინტენსიური მედიცინის რესურსების ალოკაციაზე პანდემიის პირობებში ინტენსიური თერაპიის დაწყების, განხორციელების და დასრულების შესახებ იხ., [https://www.oegari.at/web\\_files/cms\\_daten/covid-19\\_ressourcenallokation\\_gari-statement\\_v1.7\\_final\\_2020-03-17.pdf](https://www.oegari.at/web_files/cms_daten/covid-19_ressourcenallokation_gari-statement_v1.7_final_2020-03-17.pdf), (22.02.2022).

<sup>4</sup> გერმანიის ექიმთა სხვადასხვა ასოციაციის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებები კოვიდ-პანდემიის კონტექსტში ინტენსიური მედიცინის რესურსების განაწილებაზე (კლინიკურ-ეთიკური რეკომენდაციები), მესამე გადამუშავებული ვერსია, Orientierungshilfe der Bundesärztekammer zur Allokation medizinischer Ressourcen am Beispiel der SARS-CoV-2-Pandemie im Falle eines Kapazitätenmangels, [https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user\\_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK\\_Allokationspapier\\_05052020.pdf](https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK_Allokationspapier_05052020.pdf) (22.02.2022).

**ლეობათა კოლიზია**, რადგან დახმარებას მრავალი საჭიროებს და სიცოცხლის გადამრჩენებს არ აქვთ საკმარისი ადამიანური ან ტექნიკური რესურსი ყველა დაზიანებულისათვის (დაავადებულისთვის) დახმარების გასაწევად.<sup>5</sup> სამედიცინო პერსონალმა რესურსების არქონის გამო დაზიანებულთა, დასახიჩრებულთა თუ დაავადებულთა მიმართ შესაძლებელია განახორციელოს მკვლევლობის (სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტის მე-2 ალტერნატივა), ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების (სსკ 117-ე მუხლიდან 120-ე მუხლის ჩათვლით) და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების (სსკ 130-ე მუხლი) შემადგენლობები.

სისხლის სამართლის დოგმატიკამ და კანონმდებლობამ პაციენტთა დახარისხების პროცესთან დაკავშირებით მნიშვნელოვან შეკითხვებს უნდა გასცეს პასუხი: ტრიაჟისას მედიცინის პერსონალი მოქმედებას ახორციელებს თუ უმოქმედობას? ტრიაჟისას რომელ სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტზე დაყრდნობით არის შესაძლებელი მედიცინის პერსონალის პასუხისმგებლობის გამორიცხვა? რამდენადაა შესაძლებელი ტრიაჟის სამართლებრივი რეგულირება ერთი მხრივ, მედიცინის პერსონალისათვის სამართლებრივი რეგულაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების გასაადვილებლად და მეორე მხრივ, ტრიაჟისას დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად?

## 2. ტრიაჟის ტექნიკური მიმდინარეობა და მისი სახეები

კატასტროფისას **ტრიაჟი ტექნიკურად შემდეგნაირად ხორციელდება**: დაზარალებულებს ოთხ სხვადასხვა ჯგუფად ჰყოფენ და მათ ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით გადარჩენის ალბათობის მიხედვით სხვადასხვა (შუქნიშნის ფერების: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი ან შავი) მარკერით მონიშნავენ.<sup>6</sup> დაზარალებ-

<sup>5</sup> Müller, Pflichtenkollision und Triage in der Coronakrise, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise>, (21.02.2022).

<sup>6</sup> Brech, Triage und Recht, Patientenauswahl beim Massenansturm Hilfsbedürftiger und der Katastrophenmedizin. Ein Beitrag zur Gerechtigkeitsdebatte im Gesundheitswesen, Berlin



ბულები სიმძიმის დახარისხდებიან START (Simple Triage and Rapid Treatment) ალგორითმის გათვალისწინებით.<sup>7</sup> ამგვარად, ტრიაჟისას ექიმის ვალდებულებები, ანუ ის, თუ ვის უნდა დაეხმაროს იგი პირველ რიგში, იერარქიულად ლაგდება. ტრიაჟისას ექიმის ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას სწორედ განსაზღვრულ ვალდებულებათა იერარქია უდევს საფუძვლად.<sup>8</sup> ამასთან, სამხედრო მედიცინიდან გადმოღებული ეს იერარქია თავად ექიმსაც ეხმარება ფორსმაჟორულ სიტუაციაში სწრაფი მოქმედებისათვის და მას მეტი ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადარჩენის შესაძლებლობას აძლევს.

ავადმყოფების/დაშავებულების დახარისხებისას **ტრიაჟის პირველ ჯგუფში შედის და წითელი მარკერით მოინიშნება** სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მქონე პაციენტი, ვის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება და ვინც **დაუყოვნებლივ** სასწრაფო დახმარებას საჭიროებს.<sup>9</sup> **ტრიაჟის მეორე ჯგუფშია და ყვითელი მარკერით მოინიშნება** ის, ვისი სიცოცხლაც იმნუთიერ საფრთხეში არაა, მაგრამ არსებობს მისი მდგომარეობის გაუარესების რისკი და ამიტომაც პირველ დახმარებას და სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს; **ტრიაჟის მესამე ჯგუფშია და მწვანე მარკერით** მოინიშნება დაზარალებული, რომლის მდგომარეობაც სტაბილურია და მარტოდენ მსუბუქი დაზიანების მკურნალობა სჭირდება. ამგვარი პაციენტის მკურნალობა გადაუდებელი არაა და დაგვიანებული სამედიცინო მომსახურება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას არ გააუარე-

2008, S. 52-53; Müller, Pflichtenkollision und Triage in der Coronakrise, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise>, (21.02.2022).

<sup>7</sup> პირველი დახმარების თავისებურებები სტიქიური უბედურებისა და მასობრივი კატასტროფის დროს, <http://www.medportal.ge/pg2.php?id=2252&act=newsarch&catid=49&act2=full>, (10.02.2022).

<sup>8</sup> Müller, Pflichtenkollision und Triage in der Coronakrise, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise>, (21.02.2022).

<sup>9</sup> Birnbacher, Triage-Entscheidungen im Kontext der Corona-Pandemie, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 191; Huster, Wer hat Angst vor der Triage?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 84.

სებს. სამედიცინო ეთიკის რეკომენდაციების თანახმად, როგორც პაციენტი, ასევე მისი ახლობლები სამედიცინო პერსონალმა სამედიცინო მომსახურების გადადების შესახებ ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს,<sup>10</sup> რათა ტრიაჟმა არ გამოიწვიოს ერთი მხრივ, პანიკა დაშავებულ/დაავადებულ ადამიანებში და მეორე მხრივ, უნდობლობა სამედიცინო პერსონალის მიმართ. **ტრიაჟის მეოთხე ჯგუფშია და შავი (ან ლურჯი) მარკერით მოინიშნება** ის უმძიმესად დაზიანებული, რომელიც სიკვდილის პირასაა და სიცოცხლის გადასარჩენად დახმარება უკვე აღარ ესაჭიროება. მას აღარ უმკურნალებენ და მხოლოდ პალიატიურ მზრუნველობას გაუწევენ. ამ პაციენტების მდგომარეობა შესაძლებლობის არსებობისას მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, რათა მდგომარეობის გაუმჯობესებისას იგი ტრიაჟის სხვა ჯგუფში გადავიდეს და მან შესაბამისი დახმარება მიიღოს.<sup>11</sup>

სამედიცინო ეთიკის გერმანული მასალების მიხედვით, **მეოთხე, „უიმედოთა“ ჯგუფში** მოიაზრებიან და ტრიაჟისას ინტენსიური სამედიცინო მომსახურებიდან გამოირიცხებიან არა მხოლოდ ის პაციენტები, რომელთა სიკვდილის პროცესი უკვე დაწყებულია, არამედ აგრეთვე ისინიც, რომელთა თერაპია უიმედოა, რადგან მათი მდგომარეობა არ გამოსწორდება და არ დასტაბილურდება; ასევე ის პაციენტებიც, რომელთა გადარჩენა რეანიმაციაში ხანგრძლივ მოთავსებას უკავშირდება და პაციენტები, რომლებიც წინასწარ უარს ამბობენ ინტენსიურ სამედიცინო თერაპიაზე (ქართულ სამართალში -პაციენტის წინასწარ გამოხატული ნება, პაციენტის

<sup>10</sup> Orientierungshilfe der Bundesärztekammer zur Allokation medizinischer Ressourcen am Beispiel der SARS-CoV-2-Pandemie im Falle eines Kapazitätenmangels, S. 4. [https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user\\_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK\\_Allokationspapier\\_05052020.pdf](https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK_Allokationspapier_05052020.pdf). (10.02.2022).

<sup>11</sup> ჰოსპიტალიზაციამდელ ეტაპზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და ტრიაჟის შესახებ მითითებები ქართულად იხ., <http://amagi.edu.ge/tinyImage/7.pdf>, (10.02.2022); გერმანულად - Brech, Triage und Recht, Patientenauswahl beim Massenfall Hilfsbedürftiger und der Katastrophenmedizin. Ein Beitrag zur Gerechtigkeitsdebatte im Gesundheitswesen, Berlin 2008, S. 57.

უფლებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწ. ბ პუნქტი).<sup>12</sup>

დაზიანების ხარისხთან ერთად ტრიაჟისას შეფასდება დაშავებულითა ტრანსპორტირების და მკურნალობის **გადაუდებლობაც**.

**ჯანდაცვის ქართულ რეკომენდაციებში** ტრიაჟი კოვიდისას ავადმყოფთა დაავადების სიმძიმის მიხედვით დახარისხებას ნიშნავს და ორსაფეხურიანია. ტრიაჟის პირველ კატეგორიას მიეკუთვნება პაციენტი მძიმე ზოგადი მდგომარეობით, რომელიც სამკურნალოდ გადაყვანილ უნდა იქნას ჰოსპიტალში და მეორე ჯგუფს კი ის პაციენტი, რომლის მდგომარეობაც შემდეგ შეფასებას საჭიროებს.<sup>13</sup>

### 3. ტრიაჟის ზოგადი სისხლისსამართლებრივი საკითხები და მისი სახეები

საკითხავია, თუ როგორ შეფასდება ტრიაჟისას ექიმის ქმედება, **მოქმედებად თუ უმოქმედობად?** ერთი მხრივ, დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისას ექიმი აფასებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შესაბამისად, მოქმედებს. მეორე მხრივ კი იგი ამ მოქმედებით (პაციენტთა დახარისხებით), მსუბუქად დაზიანებული და უიმედოდ ჩათვლილი პაციენტებისათვის უმოქმედობას (დახმარების განეგაზე ხელის აღებას) აფუძნებს. რადგან მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთგასამიჯნად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა პირის მიერ განხორციელებულ სხეულებრივ მოძრაობას/ უმოძრაობას, არამედ ქმედების გასაკიცხაობის არსს და გასაკიცხაობის სიმძიმის ცენტრი ამ დროს გადატანილია ტრიაჟის შემდეგ დახმარების გაუნეწელობაზე ექიმის მიერ, პაციენტთა დამხარისხებელი ექიმის ქმედება და ამ დახარისხების შედეგად მწირი რესურ-

<sup>12</sup> Orientierungshilfe der Bundesärztekammer zur Allokation medizinischer Ressourcen am Beispiel der SARS-CoV-2-Pandemie im Falle eines Kapazitätenmangels. [https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user\\_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK\\_Allokationspapier\\_05052020.pdf](https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK_Allokationspapier_05052020.pdf). (12.02.2022).

<sup>13</sup> ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) საექიმო შემთხვევის მართვა პირველად ჯანდაცვაში, კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), [https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/COVID\\_19\\_Protocol\\_-PHC-2\\_1.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/COVID_19_Protocol_-PHC-2_1.pdf) (12.02.2022).

სის გამოუყენებლობა გარდაცვლილი ანდა ჯანმრთელობაგაუარესებული პირის მიმართ, უმოქმედობად უნდა შეფასდეს.<sup>14</sup>

მედიცინის სისხლის სამართლის უახლეს ლიტერატურაში პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ პრევენციულ, Ex ante და Ex post ტრიაჟს.<sup>15</sup>

**პრევენციული ტრიაჟისას** ექიმი უარს ამბობს გადარჩენის მცირე შანსის მქონე პირის ინტენსიურ მკურნალობაზე, რადგან მას საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის საწოლის სამარაგოდ დატოვება სურს გადარჩენის უფრო დიდი შანსის მქონე სხვა პაციენტისათვის, რომელიც შესაძლოა, მომავალში საავადმყოფოში მოხვდეს. ექიმის ქმედება ამგვარ შემთხვევაში არც უკიდურესი აუცილებლობის (სსკ 30-ე მუხლი) და არც მოვალეობათა კოლიზიის ჩარჩოში არ ჯდება და არაა გამართლებული.

როგორც უკიდურესი აუცილებლობა, ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება, მოვალეობათა კოლიზია, სამართლებრივი სიკეთისათვის არსებულ იმწუთიერ საფრთხეს მოითხოვს, **პრევენციული ტრიაჟისას** კი, სავარაუდო პაციენტი, რომელსაც შეიძლება ინტენსიური საწოლი დასჭირდეს, ჯერ არ გამოჩენილა და მის მიმართ იმწუთიერი საფრთხე ჯერ არ არსებობს. გარდა ამისა, პრევენციული ტრიაჟის საწინააღმდეგოდ მეტყველებს საკანონმდებლო რეგულაციებიც, რომელთა თანახმადაც ექიმი ვალდებულია, დაეხმაროს გადარჩენის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს. საფრთხეში მყოფი პაციენტის მკურნალობის პრიორიტეტულობაზე მიუთითებს სსკ 130-ე მუხლი (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება), რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივად დაისჯება ექიმი, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს არასაპატიო მიზეზით გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას არ

<sup>14</sup> მოქმედების და უმოქმედობის გასამიჯნად იხ., *მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი 2011, გვ. 289 და მომდ.

<sup>15</sup> *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S.118.

გაუწევს. პრევენციული ტრიაჟი ასევე ეწინააღმდეგება პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მე-12 მუხლის 1-ლ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებებს სამედიცინო მომსახურებაზე სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების საფრთხისას. თუ **პრევენციული ტრიაჟისას** ექიმის უმოქმედობით ფატალური შედეგი დადგა, იგი პასუხს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის აგებს (სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტის მე-2 ალტერნატივა).

Ex ante ტრიაჟი სახეზეა მაშინ, როდესაც მრავალ ადამიანს ერთდროულად სჭირდება დახმარება, რისთვისაც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური თუ ადამიანური რესურსი არ არსებობს.<sup>16</sup> Ex ante ტრიაჟისას სიტუაციის **მოვალეობათა კოლიზიად შეფასებისათვის** ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **არათანაბარღირებულებიანი და თანაბარღირებულებიანი** ვალდებულებების კოლიზია. კოლიზიის სახეების გამიჯვნისას მხედველობაშია მისაღები ა) სამართლებრივ სიკეთეთა იერარქია, ბ) არსებული საფრთხის ხარისხი და გ) გადაუდებელი დახმარების საჭიროება.

**არათანაბარღირებულებიანი ვალდებულებების კოლიზია** სახეზეა მაშინ, როდესაც კოლიდირებული სამართლებრივი სიკეთეები არაა განთავსებული ერთ იერარქიულ საფეხურზე, მაგალითად, როდესაც ერთმანეთთან კოლიზიაშია ერთი პაციენტის ჯანმრთელობა და მეორე პაციენტის სიცოცხლე, ანდა როდესაც ორი პაცი-

<sup>16</sup> ადამიანის ქცევა შეიძლება შევავასოთ მის განხორციელებამდე (სამომავლო ქცევა, ქცევის პროგნოზი), მისი განხორციელებისას ან განხორციელების შემდეგ. ქცევის შეფასება მისი განხორციელებისას (ლათ. - Ex ante) მისი განვითარების პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა. ქცევის შეფასება მისი განხორციელების შემდეგ ამ ქცევაზე რეტროსპექტულად დასკვნის გაკეთებაა (ლათ. - Ex post). Ex ante/Ex post ცნებების განხილვა სხვადასხვა სამართლებრივ ვარიაციაში იხ., *Morlok Vier Perspektiven des juristischen Entscheidens*, ივანიძე (რედ.), ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის საიუბილეო კრებული-60, თბილისი 2021, გვ. 516 და მომდ.; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, დროის მასშტაბის საკითხისათვის სისხლის სამართალში, წიგნში: მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ. 120-129.

ენტის სიცოცხლეა საფრთხეში, მაგრამ ერთს უფრო გადაუდებელი დახმარება სჭირდება, ვიდრე მეორეს, ანუ, ერთი პაციენტის სიცოცხლეს იმნუთიერი საფრთხე არ ემუქრება, ამ საფრთხის თავიდან აცილება მოგვიანებითაც შეიძლება და მეორე პაციენტის ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხეა იმნუთიერი და მისთვის დახმარების განწევა გადაუდებელია. შესაბამისად, ექიმი ვალდებულია, ჯერ პაციენტის ჯანმრთელობისათვის არსებული იმნუთიერი საფრთხე გააუფნებელჰყოს და შემდეგ სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებები განახორციელოს.<sup>17</sup>

როდესაც ერთმანეთთან კოლიზიაშია სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სიკეთეები (ერთი პაციენტის ჯანმრთელობა და მეორე პაციენტის სიცოცხლე), გარანტი ნაკლები სამართლებრივი ღირებულების მქონე სიკეთეს (ჯანმრთელობას) გადაარჩენს და მაღალი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეს (სიცოცხლეს) უმოქმედობით ხელყოფს, ანდა მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთეები თანაბარ იერარქიულ საფეხურზე იდგნენ, მაგრამ გადაარჩენილ სამართლებრივ სიკეთეს უფრო ნაკლები საფრთხე ემუქრებოდა, ვიდრე დაღუპულს<sup>18</sup> და პაციენტი გარდაიცვლება, ექიმი ცალსახად ახორციელებს მკვლელობას უმოქმედობით. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი უმოქმედობა წინდახედულობის ნორმის დარღვევას უკავშირდება და თუ ამ შეცდომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, ექიმი გაუფრთხილებლობისათვის დაისჯება.

**არათანაბარღირებულებიანი ვალდებულებების კოლიზიისას** კოლიზიაში მყოფი სამართლებრივი სიკეთეების სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე განთავსების, ანდა საფრთხის თავიდან აცილების გადაუდებლობის სხვადასხვა ხარისხის გამო, მართლნი-

<sup>17</sup> Brech, Triage und Recht, Patientenauswahl beim Massenansturm Hilfsbedürftiger und der Katastrophenmedizin. Ein Beitrag zur Gerechtigkeitsdebatte im Gesundheitswesen, Berlin 2008, S. 350-351; Müller, Pflichtenkollision und Triage in der Coronakrise, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise>, (21.02.2022).

<sup>18</sup> მჭედლიშვილი-შედრიხი, შესავალი სისხლის სამართალში, ლექციების კურსი, 2021, გვ. 91-94, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/mchedlishvili-smartali.pdf>.

ნააღმდეგობა უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე (სსკ 30-ე მუხლი) გამოირიცხება. სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელზედაც დაფუძნებულია უკიდურესი აუცილებლობა, პირი, რომლის შედარებით მცირე მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთე ექიმის უმოქმედობით დაზიანდება (ჯანმრთელობა) უფრო დიდი ღირებულების სამართლებრივი სიკეთის (სიცოხცლე) შესანარჩუნებლად, ამ დაზიანებას უნდა შეეგუოს.<sup>19</sup>

Ex ante ტრიაჟისას **თანაბარღირებულებიან მოვალეობათა კოლიზია** სახეზეა მაშინ, როდესაც დასაცავი სამართლებრივი სიკეთეები ერთნაირ იერარქიულ საფეხურზე დგანან (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა), გარანტს მათ მიმართ თანაბარი ვალდებულება ეკისრება, საფრთხე ორივე სამართლებრივი სიკეთისათვის იმნუთიერია და იგი ამ ორი ვალდებულებიდან ერთს შეასრულებს.<sup>20</sup> ამ დროს გარანტს გადასარჩენი სამართლებრივი სიკეთის ამორჩევის უფლება აქვს.

კლასიკური სისხლის სამართალიდან თანაბარღირებულებიან მოვალეობათა კოლიზიის შემდეგი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: მამას წყალში ჩავარდნილი ორი შვილიდან ფიზიკურად მხოლოდ ერთის გადარჩენა შეუძლია, ამასთან ორივე ბავშვს გადარჩენის თანაბარი შანსი აქვს. მამა გადაარჩენს ერთ შვილს, მეორე კი დაიხრჩობა. მას ორივე შვილის მიმართ გარანტის თანაბარი ვალდებულება ეკისრება, მაგრამ რადგან მას ფიზიკურად მხოლოდ ერთის გადარჩენა შეუძლია, კანონი მას შეუძლებელს ვერ მოსთხოვს (ლათ., *ultra posse nemo obligatur*) და იგი სისხლისსამართლებრივად არ აგებს პასუხს.<sup>21</sup> მედიცინის სისხლის სამართალში ექიმს ყველა

<sup>19</sup> *სოლიდარობის პრინციპი უკიდურესი აუცილებლობისას იხ., Engländer, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 115.*

<sup>20</sup> *Engländer, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 118; Müller, Pflichtenkollision und Triage in der Coronakrise, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise>, (21.02.2022).*

<sup>21</sup> *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი 2011, გვ. 341; Müller, Pflicht-*

პაციენტის მიმართ თანაბარი ვალდებულება ეკისრება. თუ იგი ორი პაციენტიდან, რომელთაც გადარჩენის თანაბარი შანსი აქვს და რომელთაც თანაბარი იმუნთიერი საფრთხე ემუქრება, ერთს ამოირჩევს და იმ ერთს გადაარჩენს, სახეზე **თანაბარღირებულე-ზიან** მოვალეობათა კოლიზიაა და ექიმის ქმედება დანაშაულად არ კვალიფიცირდება.<sup>22</sup>

Ex post ტრიაჟი კი მართვით სუნთქვაზე მყოფი მძიმე ავადმყოფისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვა და მისი სხვა ავადმყოფისათვის გადაცემა ამ სხვა ავადმყოფის გადარჩენის მიზნით (იხ. ქვემოთ).<sup>23</sup>

#### 4. თანაბარღირებულებიან მოვალეობათა კოლიზიის ადგილი დანაშაულის სისტემაში

**თანაბარღირებულებიან მოვალეობათა** კოლიზიისას უმოქმედობით განხორციელებული დანაშაულის გამორიცხვა დანაშაულის აგებულების სხვადასხვა საფეხურზეა შესაძლებელი. **მოვალეობათა** კოლიზია დოგმატიკურად შეიძლება მოთავსდეს ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის ან ბრალის ეტაპზე და გარანტის, მოცემულ შემთხვევაში, ექიმის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ამ სხვადასხვა ეტაპზე გამოირიცხოს.

ქართულ სისხლის სამართალში **თანაბარღირებულებიან მოვალეობათა** კოლიზია შესაძლებელია პასუხისმგებლობას ქმედების შემადგენლობის, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირის ეტაპზე გამორიცხავდეს. სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად, უმოქმედობის მიზეზობრიობა არსებობს და დამდგარი შედეგისათვის პირი მაშინ

---

tenkollision und Triage in der Coronakris, <https://community.beck.de/2020/04/02/pflichtenkollision-und-triage-in-der-coronakrise> (01.03.2022).

<sup>22</sup> Hörnle, Ex post triage: strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 156.

<sup>23</sup> Engländer, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 118; Hörnle, Ex post triage: strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 147.



აგებს პასუხს, როდესაც შესრულებულია სამი წინაპირობა: პირს უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ, ის უნდა იყოს გარანტი, მას უნდა ჰქონდეს ასეთი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი ქმედებით შედეგის თავიდან აცილების თითქმის ასპროცენტიანი შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

უმოქმედობის მიზეზობრიობის მეორე წინაპირობის მიხედვით, ექიმს, როგორც გარანტს, უმოქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას არ უმოქმედია, თუმცა ჰქონდა სავალდებულო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა. რადგან სამართალი არავის ავალდებულებს შეუძლებლის შეძლებას, დოგმატიკურად შესაძლებელია მტკიცება იმისა, რომ მოვალეობათა კოლიზიისას, როდესაც ექიმი ეხმარება ერთ პაციენტს და არ აქვს მეორე პაციენტის დახმარების ფიზიკური შესაძლებლობა, ქართულ სისხლის სამართალში უმოქმედობის მიზეზობრიობა და შესაბამისად, ექიმის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას ის, რომ შესაძლებლობის არსებობაში სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი გულისხმობს არა გარანტის მოვალეობის ორმაგად შესრულების შეუძლებლობას ამ ვალდებულების წყვილად ან მრავალჯერადად წარმოშობის გამო, არამედ პირის ფიზიკურ უნარ-ჩვევების არარსებობას წარმოშობილი მოვალეობის შესრულებისათვის, მაგალითად, როდესაც პირმა არ იცის ცურვა, მას სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მას არ აქვს შესაძლებლობა, გადაარჩინოს წყალში ჩავარდნილი შვილი.

ზოგიერთი მეცნიერი **თანაბარღირებულებიან მოვალეობათა** კოლიზიისას გამოირიცხავს უმოქმედობის განმახორციელებელი პირისათვის შედეგის ობიექტურ შერაცხვას გარანტის მიერ სამართლებრივი სიკეთისათვის რისკის გამოირიცხვის საფუძველზე, იმ დასაბუთებით, რომ რადგან სამართლებრივი სიკეთე (სიცოცხლე) საფრთხეშია, პირი ერთი სამართლებრივი სიკეთის მატარებლის მიმართ არსებულ საფრთხეს ანეიტრალებს და ამ მოვალეობის შესრულებით მთლიანობაში რისკი მცირდება. ამ შეხედულებას საფუძ-

ვლად უდევს სოლიდარული (კოლექტიური) შეხედულება, რომელიც ეყრდნობა იმას, რომ მსხვერპლი და გადარჩენილი წარმოადგენდნენ ერთნაირი **საფრთხის წინაშე მდგომი და გადარჩენის საჭიროების მქონე ერთი ჯგუფის** წევრებს. ორივე მსხვერპლისათვის არსებული რისკი ერთად უნდა იქნას განხილული. შესაბამისად, თუ ნორმის ადრესატი ერთ პირს გადაარჩენს, ამითი იგი სამართლებრივი სიკეთისათვის არსებულ საფრთხეს მთლიანობაში გაანახევრებს.<sup>24</sup>

მოვალეობათა კოლიზიის კოლექტიურ-სოლიდარული ინტერპრეტაცია და მოვალეობათა კოლიზიის საკითხის ამგვარი დოგმატიკური გადაწყვეტა არაა დამაჯერებელი, რადგან მოვალეობათა კოლიზიისას პირი პასუხს არ აგებს არა იმიტომ, რომ გადარჩენის საჭიროების მქონე პაციენტებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა მოეთხოვებათ, არამედ იმიტომ, რომ ნორმის ადრესატს ორი ვალდებულების ერთად შესრულება ფიზიკურად არ შეუძლია.

**გაბატონებული შეხედულებით, თანაბარღირებულებიან მოვალეობათა კოლიზია** სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებაა, იმავე არგუმენტით, რომ კანონმდებელს არ შეუძლია სამართლის ნორმის ადრესატს ორი მოვალეობის ერთად შესრულება მოსთხოვოს.

ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტით აკრიტიკებენ: როდესაც ორი პაციენტი საფრთხეში, ექიმს ფიზიკურად შეუძლია მხოლოდ ერთ ან მეორე პაციენტს დაეხმაროს. თუ საავადმყოფოს დარჩენილი აქვს ერთი სასუნთქი აპარატი, ექიმს შეუძლია ამ აპარატს მიუერთოს და გადაარჩინოს ან ერთი და ან მეორე პაციენტი. შესაბამისად, ექიმის უმოქმედობით განხორციელებული მკვლელობის შემადგენლობის მართლწინააღმდეგობა არ გამოირიცხება და გარანტს თავისი უმოქმედობით გამონგეული შედეგი მხოლოდ ეპატიება ბრალის ეტაპზე ორი მოვალეობის ერთობლივად შესრულების

<sup>24</sup> Jaeger/Gruendel, Zur Notwendigkeit einer Neuorientierung bei der Beurteilung der rechtfertigenden Pflichtenkollision im Angesicht der Corona-Triage, ZIS 4/2020, S. 160, [https://www.zis-online.com/dat/artikel/2020\\_4\\_1356.pdf](https://www.zis-online.com/dat/artikel/2020_4_1356.pdf) (10.02.2022); Jansen, Pflichtenkollision bei Triage-Entscheidungen, ZIS 3/2021, S. 157, [https://www.zis-online.com/dat/artikel/2021\\_3\\_1422.pdf](https://www.zis-online.com/dat/artikel/2021_3_1422.pdf) (20.02.2022).

შეუძლებლობისას ქმედების გასაკიცხაობის არარსებობის გამო.

საბოლოოდ უნდა ითქვას ის, რომ იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად მოთავსდება **თანაბარღირებულებიან** მოვალეობათა კოლიზია დოგმატიკურად, ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის თუ ბრალის ეტაპზე, ექიმი სისხლისსამართლებრივად არ აგებს პასუხს. მედიცინის სისხლის სამართალში მიუთითებენ, რომ ექიმი მაშინაც კი არ დაისჯება, როდესაც გადასარჩენი ადამიანის ამორჩევისას მისი მოქმედების მასშტაბები მადისკრიმინირებელია. მაგალითად, როდესაც ექიმი მკურნალობისას ქალებს (კაცებს), რომელიმე ასაკობრივი ან ეთნიკური ჯგუფის ან სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს ანიჭებს უპირატესობას.<sup>25</sup>

ექიმის ქმედების მართლზომიერად ან არაბრალეულად შეფასება ზეგავლენას ახდენს მესამე პირთა შესაძლო ქმედებების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციაზე. თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების კოლიზიის დროს განხორციელებული ტრიაჟისას ინტენსიური სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩენილი პაციენტის სიკვდილის შემთხვევაში თუ ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე გამოირიცხება და მისი ქმედება უმართლობად არ შეფასდება, შესაბამისად, უმართლობა არ იქნება ექიმის მიერ სასუნთქი აპარატის მიუკუთვნებლობაც პაციენტისათვის იქამდე, სანამ იგი ცოცხალია; მისი ქმედება უმოქმედობით ჩადენილ ხელყოფად არ ჩაითვლება და პაციენტის ახლობელს არ ექნება აუცილებელი დახმარების უფლება სასუნთქი აპარატის იძულებით მოპოვებით საკუთარი ახლობლის სიცოცხლის დასაცავად. პაციენტის ახლობლის მიერ ექიმის მიმართ განხორციელებული იძულება დეფიციტური სამედიცინო აპარატურის განაწილების დროს, ამგვარ შემთხვევაში ექიმის მიმართ გან-

---

<sup>25</sup> შდრ., *Jansen*, *Pflichtenkollision bei Triage-Entscheidungen*, ZIS 3/2021, S. 159, [https://www.zis-online.com/dat/artikel/2021\\_3\\_1422.pdf](https://www.zis-online.com/dat/artikel/2021_3_1422.pdf) (20.02.2022); მიუთითებენ, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა არა ქმედების და შედეგის უმართლობა, რომელიც აფუძნებს დანაშაულს, არამედ მოტივის უმართლობა, რომელიც დანაშაულს ვერ დააფუძნებს. *Engländer*, *Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage*, in: *Triage in der Pandemie*, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 138.

ხორციელებულ დანაშაულად (სხვა მოსაზრებით, უმართლობად) შეფასდება<sup>26</sup>. თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების კოლიზიისას ექიმის ქმედების უმართლობად დაკვალიფიცირებით კი ამ ქმედებას ამავედროულად სასუნთქი აპარატის გარეშე დარჩენილი პაციენტის მიმართ უმოქმედობით განხორციელებულ ხელყოფად ვაფასებთ და პაციენტის ახლობელს აუცილებელი დახმარების ფარგლებში ამ ხელყოფის მოგერიების უფლებას ვანიჭებთ. ქმედების ამგვარ შეფასებას ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირებისათვის უარყოფითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლოა ექსტრემალური სიტუაციაში ჯანმრთელობის მომსახურების კოლაფსი გამოიწვიოს.

გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების კოლიზიისას ექიმის ქმედება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად არ შეიძლება შეფასდეს უმართლობად, რომელიც მას მხოლოდ ეპატიება. თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების კოლიზიის გამომწვევი მიზეზი კოვიდის პირობებში სასუნთქი აპარატის უქონლობაა, სამედიცინო აპარატურის დეფიციტი კი ექიმს თავისი ქმედებით არ გამოუწვევია. სამედიცინო მონყობილობით საავადმყოფოს აღჭურვა **ექიმის ვალდებულების სფეროში არ შედის** და ამიტომაც მტკიცება იმისა, რომ პაციენტის გადაურჩენლობა ვალდებულების კოლიზიისას მას მხოლოდ უნდა ეპატიოს, ყოველგვარ არგუმენტს მოკლებულია.<sup>27</sup>

<sup>26</sup> ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის პრობლემისათვის იხ., *გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბილისი 2008, გვ. 260; *თოდუა*, წიგნში: *ნაჭყებია/თოდუა* (რედ.), სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი 2016 წელი, გვ. 319; *მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, I, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბილისი 2014, გვ. 115-122; *ტურავა*, *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011, გვ. 486.

<sup>27</sup> ზოგადად ტრიაჟის დროს ბრალის გამომრიცხვაზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ ვისაუბროთ, როდესაც ექიმი ფორსმაჟორული სიტუაციის გამო ავადმყოფის მდგომარეობას სწორად ვერ შეაფასებს, შეცდება და მას მომლოდინეთა (მწვანე) ჯგუფში ჩარიცხავს სასწრაფოდ სამკურნალოთა (წითელი) ჯგუფის ნაცვლად, ამასთან, მისი შეცდომა საპატიებელია.

## 5. Ex post ტრიაჟი და მისი სისხლისსამართლებრივი შეფასება

Ex post ტრიაჟი მძიმე ავადმყოფისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვა და მისი სხვა ავადმყოფისათვის გადაცემა ამ სხვა ავადმყოფის გადარჩენის მიზნით.<sup>28</sup> ამ დროს კოლიზიაშია მოქმედების (პაციენტის სასუნთქ აპარატზე შეერთების) და უმოქმედობის (პაციენტის აპარატის გამოურთველობის) ვალდებულება.

ტრიაჟის ამ სახის ექსტრემალური მაგალითია საავადმყოფოში არსებულ ერთადერთ სასუნთქ აპარატზე შეერთებული ასაკოვანი ადამიანისათვის ექიმის მიერ ამ აპარატის გამორთვა და ამ აპარატზე მართვით სუნთქვის საჭიროების მქონე ფეხმძიმე გოგონას შეერთება. მოხუცისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვით პაციენტის მიმართ მკვლელობის ქმედების შემადგენლობა ხორციელდება (უმოქმედობა მოქმედებით,<sup>29</sup> ანდა სხვა მიდგომით, მკურნალობის შეწყვეტა<sup>30</sup>). ქმედების შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გამოირიცხება, როდესაც აპარატზე შეერთებული პაციენტის კვდომის პროცესი უკვე დაწყებულია და მართვით სუნთქვა მარტოდენ მისი აგონიის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.

Ex post ტრიაჟისას ექიმი არის როგორც სასუნთქაპარატიანი, ასევე სასუნთქი აპარატის საჭიროების მქონე პაციენტის გარანტი. მას ერთი პაციენტის მიმართ მოქმედების (აპარატზე მიერთების) ვალდებულება და მეორე პაციენტის მიმართ როგორც უმოქმედობის (აპარატის არგამორთვის), ასევე მოქმედების (აპარატის მომსახურების) ვალდებულება ეკისრება.

<sup>28</sup> Engländer, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 118; Hörnle, Ex post triage: strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 147.

<sup>29</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი 2011, გვ. 289.

<sup>30</sup> BGH, Urteil vom 25. Juni 2010 \_ 2 StR 454/09, <http://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bgh&Art=en&nr=52999&pos=0&anz=1> (12.03.2022); Fateh-Moghadam/Kohake, Übungsfall: Selbstjustiz auf Intensivstation, ZIS 1/2012, S. 99.

ამგვარი კოლიზიისას, მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვან ადამიანს შესაძლოა, სიცოცხლის უფრო ნაკლები წლები ჰქონდეს დარჩენილი, ვიდრე გოგონას, ასაკოვანი ადამიანისთვის აპარატის გამორთვა და ახალგაზრდა და ფეხმძიმე გოგონას აპარატზე შეერთება **ვალდებულების კოლიზიით** ვერ გამართლდება, რადგან აქ კოლიზიაშია მოქმედების და უმოქმედობის ვალდებულება. მოქმედების ვალდებულებას (მოქმედება სამართლებრივი სიკეთის დასაცავად) უმოქმედობის ვალდებულება (სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე უარის თქმა)<sup>31</sup> გადანონის და თუ ექიმი პაციენტს აპარატს გამოუერთავს, ის მკვლელობის უმართლობას ახორციელებს.<sup>32</sup>

პაციენტისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვისა და ამგვარად პირისათვის გადარჩენის შანსის წართმევა შეიძლება შევადაროთ იმნუთიერ საფრთხეში მყოფი წყალში ჩავარდნილისათვის უკვე დაუფლებული მაშველი რგოლის წართმევას და წყალში ჩავარდნილი სხვა პირისათვის ამ რგოლის მიცემას მის გადასარჩენად. სიცოცხლის შემოკლება რამდენიმე დღით ან რამდენიმე საათითაც კი დამთავრებულ მკვლელობად კვალიფიცირდება. თუ პაციენტი ამ სასუნთქი აპარატის მოხსნის გარეშეც მოკვდებოდა, ექიმის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრიობის გამორიცხვის გამო შემადგენლობა არ განხორციელდება.<sup>33</sup>

აპარატის გამორთვა სხვა პაციენტის ამ აპარატზე შეერთების მიზნით არც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობით (სსკ 30-ე მუხლი) გამართლდება,<sup>34</sup> რადგან სას-

<sup>31</sup> *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 119 f.

<sup>32</sup> გერმანულ სისხლის სამართალში სპეციალისტთა ნაწილი ერთი პაციენტის მოკვდინებას ტრიაჟისას მეორეს გადარჩენის მიზნით მართლწინააღმდეგოდ, ზოგიერთი კი, პირიქით, მართლზომიერად აფასებს. იხ., *Hörnle*, Ex post triage: strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 162, Fn. 39.

<sup>33</sup> შდრ., *Hörnle*, Ex post triage: strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 153.

<sup>34</sup> წერეთელი ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს

წორის ორივე პინაზე სიცოცხლე დევს, ასაკოვანი და ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე თანაბარღირებულა და სიცოცხლის კვანტიფიკაცია (ერთი და ორი ან მრავალი ადამიანის სიცოცხლის შეწონასწორება) დაუშვებელია.<sup>35</sup>

მოცემული შემთხვევა (გოგონას და ფეტუსის სიცოცხლის გადარჩენა მოხუცისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვით) შესაძლებელია ბრალის გამომრიცხველ ქვანტიტატიურ უკიდურეს აუცილებლობაზე დაყრდნობით (ტურავასეული ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა ფართო გაგებით)<sup>36</sup> გადაწყდეს. თუ მივემხრობით იმ აზრს, რომ ქვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედება მაშინაც უნდა ჩაითვალოს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობად, როდესაც პირი, რომლის ხარჯზეც მრავალი ადამიანი გადარჩა, საფრთხეში არ იყო, გოგონას და ფეტუსის გადასარჩენად (სასუნთქი აპარატით საფრთხემემცირებელი) მოხუცი ადამიანისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვისათვის ექიმი სისხლისსამართლებრივად არ აგებს პასუხს, მას მოხუცის სიკვდილი ეპატიება სსკ 38-ე მუხლის (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს) მიხედვით.<sup>37</sup>

აუცილებლობად მიიჩნევა და ამგვარ შემთხვევაში ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. წერეთელი, წიგნში: წერეთელი/ტყეშელაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, თბილისი 1976, გვ. 112. თუ წერეთლის აზრს გავიზიარებთ, გოგონას და ფეტუსის სიცოცხლის გადარჩენა მოხუცის სიცოცხლის ხარჯზე უმართლობად არ უნდა მივიჩნიოთ.

<sup>35</sup> *Engländer, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 119.*

<sup>36</sup> ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011, გვ. 486.

<sup>37</sup> ქვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობა გერმანულ სისხლის სამართალში ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური უკიდურესი აუცილებლობაა. გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ქვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედება მაშინაც უნდა ჩაითვალოს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობად, როდესაც პირი, რომლის ხარჯზეც მრავალი ადამიანი გადარჩა, საფრთხეში არ იყო. *Hilgendorf/Valerius, Strafrecht Allgemeiner*

ხოლო მაშინ, როდესაც ექიმი ერთ პაციენტს გადაარჩინს მეორე, ასევე გადარჩენის თანაბარი შანსის მქონე პაციენტის სიცოცხლის ხარჯზე (მას აპარატს გამოურთავს) და გადარჩენილი პაციენტი მისი ახლობელია, შესაძლებელია, სასამართლომ ბრალი გამოირცხოს ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობით (ტურავასეული ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა ვინრო გაგებით, ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება სსკ 38-ე მუხლით)<sup>38</sup> იმ არგუმენტით, რომ ექიმიც ადამიანია და მას გმირობას, სხვისი სიცოცხლის გადარჩენას და ახლობლის განირვას ვერ მოვთხოვთ. მედიცინის სფეროში ნდობის პრინციპზე დაყრდნობით კი შესაძლებელია, განვაფიქროთ დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრება: ექიმი ამ დროს მკვლელობის უმართლობას ბრალეულად ახორციელებს და მისი ქმედების მიძიმე ემოციური ფონი მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა იქნას გათვალისწინებული.<sup>39</sup>

რადგან სსკ 38-ე მუხლის განმარტება კანონმდებელმა სა-მოსამართლეო სამართალს მიანდო და პროგნოზირება იმისა, თუ რომელ შეხედულებას გაიზიარებს მოსამართლე, საკმაოდ ძნელია. მოსამართლემ შეიძლება განავითაროს მოსაზრება, რომ ვინც სასუნთქ აპარატზეა შეერთებული, მართვით სუნთქვაზე უნდა იყოს იქამდე, სანამ მას ეს ეს სჭირდება, გამოჯანმრთელებამდე ან სიცოცხლის ბოლომდე (ან სიკვდილის პროცესის შეუქცევად დაწყებამდე) და აპარატის გამორთვა მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს. შესაძლებელია ასევე, რომ მოსამართლემ ბრალი ხსენებული ზეკანონური გარემოებით (სსკ 38-ე მუხლი) კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობის ანდა ბრალის გამომრიცხველი

Teil, München 2013, S. 96, Rn. 60.

<sup>38</sup> ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011, გვ. 471.

<sup>39</sup> უკიდურესი აუცილებლობისას სიცოცხლეთა შენონასწორების და სიცოცხლის კვანტიფიკაციის დაუშვებლობის, ასევე ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის საკითხის შესახებ იხ., აგრეთვე *ხერხეულიძე*, წიგნში: სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თოდუა (რედ.), თბილისი 2016, გვ. 368-371.



უკიდურესი აუცილებლობის არგუმენტით გამოორიცხოს.

Ex post ტრიაჟისას ექიმის მიერ სასუნთქი აპარატის გამორთვა სხვა (ექიმისათვის უცხო) პაციენტის გადარჩენის მიზნით მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან ექიმის ქმედების მართლწინააღმდეგობას უკიდურესი აუცილებლობით ვერ გამოვრიცხავთ სიცოცხლეთა შენონასწორების დაუშვებლობის გამო. ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა (სსკ 38-ე მუხლი) ამ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული, რადგან პაციენტი არაა ექიმის ახლობელი.

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ Ex post ტრიაჟისას მართვით სუნთქვაზე გადასაყვანი ახალი პაციენტის არენაზე გამოჩენისას Ex ante ტრიაჟის წინაპირობები უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, გადარჩენის შესაძლებლობები (სასუნთქი აპარატი) თავიდან უნდა გადანაწილდეს და მართლწინააღმდეგობის გამოსარიცხად ვალდებულების კოლიზია უნდა გამოვიყენოთ. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ გადარჩენის შედარებით მცირე შანსის მქონე პაციენტისათვის სასუნთქი აპარატის გამორთვა და ამ აპარატზე გადარჩენის უფრო მაღალი შანსის მქონე პაციენტის შეერთება მართლზომიერი იქნება.<sup>40</sup> საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ქართულ სისხლის სამართალში მიუღებელია, რადგან პაციენტისათვის აპარატის გამორთვა მკვლელობად დაკვალიფიცირდება და კოვიდის ექსტრემალური სიტუაცია ამ კვალიფიკაციას ვერ შეცვლის.

მედიცინის სისხლის სამართალში მხედველობაშია მისაღები გერმანიის სამედიცინო ასოციაციების კლინიკურ-ეთიკური რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, სასუნთქი აპარატის გამორთვის საკითხი Ex post ტრიაჟისას ერთმა ექიმმა კი არა, სპეციალისტთა კონსილიუმმა უნდა გადაწყვიტოს («მრავალი თვალის პრინციპი»). ამ კონსილიუმის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ ექიმები, მომვლელი პერსონალი და თუ ეს შესაძლებელია, ეთიკის სპეციალი-

---

<sup>40</sup> Hörnle, Ex-post-Triage: Strafbar als Tötungsdelikt?, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 173.

სტები.<sup>41</sup> საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დაკვალიფიცირდება კონსილიუმის წევრთა ქმედება, რომლებმაც კონსილიუმის ერთი წევრის ახლობლის გადასარჩენად თანხმობა განაცხადეს Ex post ტრიაჟზე, მედიცინის სისხლის სამართლებრივი დისკუსიის საგანი უნდა გახდეს.

## 6. მწირი რესურსების გადანაწილების პრინციპები ტრიაჟისას

კორონავირუსით გამონვეულმა პანდემიამ ზოგიერთ ქვეყანაში აიძულა სამედიცინო პერსონალი, გადაეწყვიტა ეთიკურად მეტად მძიმე, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

კერძოდ, ის, თუ ვის უნდა რგებოდა ინტენსიური თერაპიის საშუალებები მათი დეფიციტისას და შესაბამისად, ვინ უნდა გადარჩენილიყო. სამედიცინო რესურსების სიმწირისას სხვადასხვა ქვეყანის ბიოეთიკოსები **ტრიაჟისას** ამ რესურსების სამართლიანი გადანაწილების სხვადასხვა მექანიზმს გვთავაზობენ.

ტრიაჟის მწირი სამედიცინო რესურსების პაციენტებზე გადანაწილების პრინციპი შესაძლებელია იყოს **პაციენტის ადგილი სოციალურ იერარქიაში** ანდა მისი მსყიდველობითუნარიანობა (კორუფცია ჯანდაცვის სფეროში, შავი ბაზარი მედიკამენტების მოპოვებისას), რაც სამართლიანობის და ადამიანთა თანასწორობის, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვის კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება.<sup>42</sup>

ჯანდაცვის მცირე რესურსის გადანაწილებლად ლიტერატურაში წამოყენებულია ასევე **სოციალური სარგებლიანობის კრიტერიუმიც**, რომლის მიხედვითაც „საზოგადოება შეზღუდული

<sup>41</sup> Mackermann u.a., Medizinische Klinik - Intensivmedizin und Notfallmedizin 2020, Zur 2. überarbeiteten Fassung der S1- Leitlinie «Entscheidungen über die Zuteilung intensivmedizinischer Ressourcen im Kontext der COVID-19-Pandemie», Klinisch-ethische Empfehlungen der DIVI, der DGINA, der DGAI, der DGIIN, der DGNI, der DGP, der DGP und der AEM, S. 479.

<sup>42</sup> მამულაშვილი, ბიოეთიკა, მე-13 განახლებული გამოცემა, თბილისი 2014 წელი, გვ. 231; Augsberg, Regelbildung für existentielle Auswahlentscheidungen, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 11.

რესურსების მიუხედავად მოცემულ ინდივიდს აფინანსებს და საკუთარი ინვესტიციების გაზრდილი სახით უკან დაბრუნებას ელის.<sup>43</sup> ეს კრიტერიუმიც მიჩნეულია მადისკრიმინირებლად და ანტიკონსტიტუციურად (თანასწორობის პრინციპის, ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კონსტიტუციური გარანტია).<sup>44</sup>

ტრიაჟისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას პაციენტის ასაკზე დაფუძნებული რესურსების განაწილების მექანიზმი. ამ პრინციპით, ინტენსიური თერაპიის საწოლი ერგება მას, ვისაც **სიცოცხლის მეტი დრო აქვს დარჩენილი**. მწირი რესურსების განაწილების ამ პრინციპს უწოდებენ „გადაარჩინე სიცოცხლის რაც შეიძლება მეტი წელი.“ აღნიშნული კრიტერიუმი, მართალია, ობიექტური და ცალსახაა, მაგრამ იგი ასაკობრივ დისკრიმინაციას ეფუძნება და ამიტომაც მას სამართლებრივ ლიტერატურაში ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ.<sup>45</sup> სხვაგვარი შეხედულება აქვს გერმანულ საზოგადოებას, რომელიც უმეტესწილად ტრიაჟის ამ კრიტერიუმს ეთანხმება. კოვიდ-პანდემიისას გერმანიაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა ტრიაჟთან დაკავშირებით. რესპონ-

<sup>43</sup> *მამულაშვილი*, ბიოეთიკა, იქვე, გვ. 231; ასევე იხ., *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 127.

<sup>44</sup> *მამულაშვილი*, ბიოეთიკა, იქვე, გვ. 231; *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 128.

<sup>45</sup> 7.03.2020 იტალიის «ანესთეზიის, ტკივილის გაყუჩების, რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის ასოციაციამ» (Siaarti) მიიღო გადაწყვეტილება, ტრიაჟისას განხორციელებულიყო პრინციპი «გადაარჩინე სიცოცხლის რაც შეიძლება მეტი წელი». იხ., *Arnold/Engelmann*, Merkur.de. v. 22.5.2020,

<https://www.merkur.de/welt/coronavirus-triage-italien-intensivstation-aerzte-sars-cov-2-sortierung-ueberlebenschancen-zr-13610335.html> (19.2.2022); *Hoven*, Berücksichtigung von Lebensalter und Lebenserwartung, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 334; *Zimmermann*, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst?, in: Legal Tribune Online, 23.03.2020, [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022).

დენტებს პასუხი უნდა გაეცათ შემდეგ შეკითხვაზე: მართვით სუნთქვა სჭირდება საავადმყოფოში მოთავსებულ ორ პაციენტს, რომელთაც გადარჩენის თანაბარი შანსი აქვთ. ერთი პაციენტი 80 წლისაა და მეორე – 5 წლის. რომელ პაციენტს უნდა მისცეს ექიმმა გადარჩენის შანსი მართვით სუნთქვაზე გადაყვანით? რესპონდენტთა 77%-ის მიხედვით, სასუნთქი აპარატი ხუთი წლის ბავშვს უნდა მიეცეს, რადგან მისი გადარჩენით ექიმი სიცოცხლის უფრო მეტ წელს გადაარჩენს.<sup>46</sup>

ტრიაჟის კრიტერიუმი უპირველესად პაციენტებისთვის არსებული საფრთხის **იმწუთიერება, ანუ დახმარების გადაუდებლობა უნდა იყოს**. დახმარება უპირველესად უნდა გაენიოს მას, ვისაც ეს დახმარება **სასწრაფოდ სჭირდება**. მას, ვისაც დახმარება გადაუდებლად არ სჭირდება, თმენის ვალდებულება აქვს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ვალდებულების კოლიზიას, არამედ უკიდურეს აუცილებლობას (სსკ 30-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც ერთი სამართლებრივი სიკეთე მეორის ხარჯზე გადარჩება.<sup>47</sup> ეს კრიტერიუმი არ ეხება თანაბარღირებულებიანი ვალდებულების კოლიზიას და ქართული კანონმდებლობით ისედაც ცალსახადაა გათვალისწინებული (სსკ 30-ე მუხლი უკიდურეს აუცილებლობაზე და ექიმის უპირობო ვალდებულება, დაეხმაროს მას, ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია, პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი).

გერმანულ ლიტერატურაში გვთავაზობენ **ტრიაჟის ნეგატიურ კრიტერიუმს, ტრიაჟის ტაბუს**, ანუ აყალიბებენ იმ გარემოებებს, რაც არ უნდა მიიღოს მხედველობაში ექიმმა თანაბარღირებულებიანი ვალდებულების კოლიზიისას ინტენსიური მედიცინის ხელსაწყობის გადანაწილებისას. ესენია: სოციალური სტატუსი, ასაკი და სქესი. მიუღებლად მიიჩნევა უძველესი საზღვაო ნაოსნობის ქცევის წესიც, რომლის მიხედვითაც გემის ჩაძირვისას მაშველ ნავზე ჯერ

<sup>46</sup> Hoven, Berücksichtigung von Lebensalter und Lebenserwartung, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 147.

<sup>47</sup> Zimmermann, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst? . In: Legal Tribune Online, 23.03.2020, [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022 ).

ქალები და ბავშვები გადაჰყავდათ (ცნობილი დევიზი - „ჯერ ბავშვები და ქალები“). ეს შეხედულება თანხვედრაშია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებასთან იმის შესახებ, რომ „ყველა ადამიანის სიცოცხლე თანაბრად ღირებულია და ის არ უნდა დაექვემდებაროს სხვადასხვაგვარ შეფასებას და რიცხვობრივ განხილვას“ და „ადამიანის ღირსება დაცულია მისი ფიზიკური არსებობის ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად და მისი შეფასება დაუშვებელია.“<sup>48</sup>

გერმანელი მედიკოსების ერთი ნაწილი ეთიკურად დასაშვებად მიიჩნევს იმ პირების ინტენსიური მედიცინის საშუალებებით მომსახურებისას რიგითობის სიაში ბოლო ადგილზე დაყენებას, ვინც აცრა სამედიცინო უკუჩვენებების არარსებობის მიუხედავად ჯიუტად არ ჩაიტარა.<sup>49</sup> ეს მოსაზრება, სავარაუდოდ, ტრიაჟის კრიტერიუმად **სოლიდარობის პრინციპს** მიიჩნევს. დახმარებისას რიგითობაში პირველია ის, ვინც სოციუმის მიმართ სოლიდარული იყო და ვაქცინაცია ჩაიტარა და მიუხედავად ამისა, დაავადების მძიმე ფორმა განუვითარდა, ანდა ის, ვისაც ვაქცინაციის ჩატარების შესაძლებლობა არ ჰქონდა ვაქცინასთან უკუჩვენებების არსებობის გამო. პრიორიზაციისას ამ მოსაზრების მომხრეები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ არავაქცინირებულები ვაქცინირებულთან შედარებით ინტენსიურ თერაპიას უფრო ხშირად საჭიროებენ და ამიტომაც რეანიმაციული განყოფილებების გადატვირთვას იწვევენ.<sup>50</sup>

<sup>48</sup> BverfGE, Beschl. v. 20.03.2013, Az. 2 BvF 1/05; *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, in: Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 119.

<sup>49</sup> *Chefai*, Triage \_ Ungeimpfte depriorisieren? <https://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisieren><https://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisieren> (22.02.2022); *Zimmermann*, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst? In: Legal Tribune Online, 23.03.2020, [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022).

<sup>50</sup> *Chefai*, Triage \_ Ungeimpfte depriorisieren? <https://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisieren><https://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisieren> (22.02.2022); <https://www.nzz.ch/schweiz/warum-ungeimpfte-nun-der-triage-zum-opfer-fallen-koennten-id.1658282> (22.02.2022).

ამგვარი პრიორიზირება მედიცინის ეთიკის ნარმომადგენელთა შეხედულებით, დაუშვებელია, რადგან ექიმი არაა მოსამართლე თვითსაფრთხის შექმნისას სიცოცხლისათვის საშუალო სიტუაციაში მოხვედრილის ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად. თანასწორობის პრინციპი მედიკოსთა ღირებულებების სისტემის ქვაკუთხედია და ექიმი ყველას თანაბრად უნდა მოემსახუროს.<sup>51</sup>

ამ შეხედულებას კიდევ ერთი არგუმენტი შეიძლება დაემატოს: თუ ექიმი ვალდებულია, აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა მაშინაც კი, თუ მან საკუთარი სიცოცხლე თვითმკვლელობის მცდელობით განზრახ ჩაიგდოს საფრთხეში (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტი), იგი პაციენტის ყოველგვარი მორალური გაკიცხვის გარეშე არავაქცინირებულსაც უნდა მოემსახუროს. თუმცა, თუკი ექიმი თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულების კოლიზიისას გადასარჩენი პაციენტის ამორჩევაში თავისუფალია და იგი თანაბარმნიშვნელოვან ვალდებულებათა კოლიზიისას მადისკრიმინირებელი მოტივებით მოქმედებისასაც არ აგებს პასუხს, თუკი ექიმი თანაბარი საფრთხის წინაშე მდგომ და თანაბარი გადარჩენის შანსის მქონე პაციენტიდან ამორჩევს და სასუნთქ აპარატზე შეაერთებს იმას, ვისაც ვაქცინის გაკეთება არ შეეძლო რაიმე სამედიცინო წინაპირობის გამო და **მეორე** არავაქცინირებული პაციენტი კორონათი დაილუპება, ექიმი მართლზომიერად იმოქმედებს. ამასთან, პრაქტიკაში შეუძლებელი იქნება შემონმება იმისა, თუ რა მასშტაბი დაუდო საფუძვლად ექიმმა თავის არჩევანს.

დეფიციტური მოწყობილობის მიკუთვნებისათვის გვთავაზობენ ასევე **პრიორიტეტის პრინციპსაც**: ის, ვისაც უკვე მიკუთვნებული აქვს შესაბამისი აპარატი, ინარჩუნებს მას გამოჯანმრთელებამდე ან სიცოცხლის დასრულებამდე. ეს კრიტერიუმი Ex post ტრიჟის კრიტერიუმი. უკვე იყო ნათქვამი, რომ როდესაც კოლიზიაშია მოქმედების (დახმარების განევის) და უმოქმედობის (სიცოცხლის

<sup>51</sup> *Chefai*, Triage \_ Ungeimpfte depriorisieren? <https://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisierenhttps://www.philomag.de/artikel/triage-ungeimpfte-depriorisieren> (22.02.2022).

აქტიურად ხელყოფის აკრძალვის) ვალდებულება, მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება მოქმედების ვალდებულებას გადასწონის.

ლიტერატურაში გვთავაზობენ ასევე **შემთხვევითობის კრიტერიუმსაც**. ინტენსიური მედიცინის მონყობილობის მისაღებად **გადარჩენის თანაბარი შანსის მქონე პაციენტთა შორის კენჭის ყრას**. ამგვარად, გადარჩენის შანსის მიუხედავად, ყველას, რომელსაც სასწრაფოდ ინტენსიური მედიცინის აპარტურა ესაჭიროება, ერთნაირი შანსი აქვს 50/50.<sup>52</sup>

მნიშვნელოვანი კრიტერიუმია **„გადარჩინე გადამრჩინი“**. ამ შემთხვევაში ტრიაჟისას უპირატესობა ენიჭება მედიცინის პერსონალს. ლიტერატურაში პარალელურად გავლებული პანდემიისას მედიცინის პერსონალსა და გემის კატასტროფისას მაშველი ნავის მესაჭეს შორის. მაშველი ნავის მესაჭე გემის კატასტროფის შემდეგ გადამრჩენ ნავში ჩასაჯდომად მონყობილ კენჭის ყრასში მონაწილეობას არ იღებს, იგი გადამრჩენ ნავში ჩაჯდომის პირველი კანდიდატია. ნავის მესაჭე უპირობოდ უნდა დარჩეს ცოცხალი, რადგან სხვაგვარად ვერავინ გადარჩება.<sup>53</sup>

ამგვარია მოკლედ გერმანულ ლიტერატურაში განვითარებული შეხედულებები კოვიდისას პრიორიზაციასთან დაკავშირებით.

Ex ante ტრიაჟი გერმანიაში ჯერ კიდევ არაა **სამართლებრივად დარეგულირებული** და არც ტრიაჟის საერთაშორისო სტანდარტები არსებობს. გერმანიაში ტრიაჟისას მხედველობაში მიიღება არასამართლებრივი დებულებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია გერმანული ეთიკის საბჭოს 2020 წლის 27 მარტის მითითებები „სოლიდარობა და პასუხისმგებლობა კორონას კრიზისისას

<sup>52</sup> Huster, Wer hat Angst vor der Triage?, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 88; *Engländer*, Die Pflichtenkollision bei der Ex-ante Triage, in: Triage in der Pandemie, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 127; Zimmermann, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst? . In: Legal Tribune Online, 23.03.2020, [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022).

<sup>53</sup> Zimmermann, Ärzte in Zeiten von Corona: Wer stirbt zuerst? . In: Legal Tribune Online, 23.03.2020, [https://www.lto.de/persistent/a\\_id/40967/](https://www.lto.de/persistent/a_id/40967/) (23.02.2022).

Ad-hoc რეკომენდაციები,<sup>54</sup> ასევე გერმანიის ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი ინტერნდიციპლინარული ასოციაციის (DIVI) კლინიკურ-ეთიკური რეკომენდაციების „გადანწყეტილებები გადაუდებელი და ინტენსიური თერაპიის მედიცინაში რესურსების განაწილების შესახებ covid-19 პანდემიის კონტექსტში“ (რამდენიმე ვერსია).<sup>55</sup>

DIVI რეკომენდაციები მოიცავს ტრიაჟის (პრიორიზაციის) ზოგად პრინციპებს, პროცედურებსა და კრიტერიუმებს და ისინი ტრიაჟის სამართლებრივ შეფასებას ვერ შეცვლიან. რეკომენდაციებში მითითებულია, რომ ტრიაჟისას შეფასდება არა ცალკეული ადამიანის სიცოცხლის ღირებულება, არამედ რაც შეიძლება მეტი ადამიანის გადარჩენის წინაპირობები იქმნება. DIVI რეკომენდაციების მიხედვით, ინტენსიური მკურნალობა არ ჩაუტარდება მას, **ვისაც გადარჩენის ძალიან მცირე შანსი აქვს** (ტრიაჟის მეოთხე საფეხური). ამ რეკომენდაციების **მეორე ვერსია** თანასწორობის პრინციპს იშველიებს და დაუშვებლად მიიჩნევს პრიორიზაციისას ინვალიდობის და კოვიდამდელი დაავადების მხედველობაში მიღებას. **მესამე ვერსია** კი რეკომენდაციას იძლევა, რომ მწირი რესურსების შესახებ გადანწყეტილების მიღებისას COVID-19 პაციენტებსა და სხვა მძიმე ავადმყოფთა შორის არ უნდა მოხდეს განსხვავება; ამასთან, ტრიაჟიდან არ უნდა გამოირიცხონ არავაკუცინირებულები.

გერმანიის სამედიცინო ასოციაციის 2020 წლის 5 მაისის რეკომენდაციების მიხედვით („სამედიცინო რესურსების ალოკაციისათვის SARS-CoV-2 პანდემიის მაგალითზე რესურსების სიმწირის შემთხვევისათვის“),<sup>56</sup> ექიმთა ქმედება მწირი რესურსების გადანა-

<sup>54</sup> <https://www.ethikrat.org/fileadmin/Publikationen/Ad-hoc-Empfehlungen/deutsch/ad-hoc-empfehlung-allgemeine-impfpflicht.pdf>. (23.02.2022)

<sup>55</sup> ეს რეკომენდაციები იხ., <https://www.divi.de/joomlatools-files/docman-files/publikationen/covid-19-dokumentation/211214-divi-covid-19-ethik-empfehlung-version-3-entscheidungen-ueber-die-zuteilung-intensivmedizinischer-ressourcen.pdf> (12.03.2022).

<sup>56</sup> Orientierungshilfe der Bundesärztekammer zur Allokation medizinischer Ressourcen am Beispiel der SARS-CoV-2-Pandemie im Falle eines Kapazitätenmangels, [https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user\\_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK\\_Allokationspapier\\_05052020.pdf](https://www.bundesaerztekammer.de/fileadmin/user_upload/downloads/pdf-Ordner/Stellungnahmen/BAEK_Allokationspapier_05052020.pdf) (20.02.2022).



წილებისას კანონიერია იქამდე, სანამ ისინი პროფესიული ეთიკის კოდექსს იცავენ და მხედველობაში იღებენ სამედიცინო ცოდნის თანამედროვე მდგომარეობას. ამ რეკომენდაციებში მიუთითებენ, რომ ტრიაჟისას არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სქემა და ყოველი ცალკეული შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს. **Ex ante** ტრიაჟის ცენტრალური კრიტერიუმია **სამედიცინო ჩვენება, პაციენტის ნება და მკურნალობის წარმატების კლინიკური პერსპექტივები**. ამ რეკომენდაციების მიხედვით, ინტენსიური მედიცინის საშუალებებით მკურნალობენ იმ პაციენტს, რომელსაც **გადარჩენის უფრო მაღალი შანსი** აქვს. თანმდევი დაავადებები მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ინტენსიური მედიცინის საშუალებების გამოყენებას, როდესაც ისინი გადარჩენის ალბათობას ამცირებენ. შესაბამისად, თუ ამ რეგულაციებით გადარჩენის მაღალი ალბათობის მქონე პირს სასუნთქი აპარატის მიღებისას უპირატესობა ენიჭება, გადარჩენის შედარებით დაბალი ალბათობის მქონე (ინვალიდობის რაიმე ხარისხის ან რაიმე დაავადების მქონე) პაციენტი თავიდანვე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 16 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>57</sup> განიხილა პანდემიის დროს ინტენსიური თერაპიის მედიცინის საშუალებათა დეფიციტის შესაძლებლობა და სხვადასხვა ასოციაციის მიერ შემოთავაზებული ტრიაჟის სხვადასხვა კრიტერიუმი და კანონმდებელს მოსთხოვა, ჩამოეყალიბებინა ტრიაჟის ისეთი რეგულაცია, რომელიც ინტენსიური მედიცინის საშუალებათა გადანაწილებისას შუამდგომლობის დისკრიმინაციის აცილებდა თავიდან. თუმცა მას კანონმდებლის მიმართ ტრიაჟისას გასათვალისწინებელი კონკრეტული მითითებები არ ჩამოეყალიბებია.

<sup>57</sup> კონსტიტუციური სარჩელის მოსარჩელები იყვნენ შუამდგომლობის მიერ ტრიაჟის სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვდნენ შუამდგომლობის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, რადგან, მათი აზრით, სამედიცინო ასოციაციების მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო დებულებები და რეკომენდაციები ტრიაჟისას შუამდგომლობის დისკრიმინაციის შესაძლებლობას იძლეოდნენ.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი სამართლებრივი რეგულაციის შემოღებას სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად თვლიან შეუძლებლად და მიუთითებენ, რომ კონსტიტუციურად გამყარებული თანასწორობის პრინციპი და სიცოცხლეთა ურთიერთშეძარების და სიცოცხლეთა კვანტიფიკაციის აკრძალვა ამ კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში კანონმდებლის ქმედებასაც ზღუდავს. რესურსების სიმწირისას, როდესაც მრავალი სიცოცხლეა საფრთხეში და გადაუდებელი დახმარება მრავალს სჭირდება, დასახმარებელი პაციენტის ამოსარჩევად მარტოდენ დახმარების გადაუდებლობის კრიტერიუმი აღარ მუშაობს, სხვა კრიტერიუმებს კი ადამიანის სიცოცხლეთა ურთიერთშეძარება და მათი შეფასება დაედება საფუძვლად. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც გაითვალისწინებდნენ შერჩევის კრიტერიუმებს, მიუღებელია და რომ ტრიაჟისას დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ნეგატიური კრიტერიუმებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი<sup>58</sup> (ანუ იმაზე, რომ Ex ante ტრიაჟს საფუძვლად არ შეიძლება დაედოს პირის ინვალიდობა, დაავადებები და ასაკი).

### დასკვნა:

ექსტრემალური სიტუაციების დროს რესურსების სიმწირისას სამედიცინო პერსონალს მორალურად უკიდურესად მძიმე გადაწყვეტილების მიღება უწევს. ქართულ მედიცინის სამართალში არაა შემუშავებული ტრიაჟის (რესურსების განაწილების) კრიტერიუმები და სამედიცინო პერსონალისათვის აუცილებელი რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს ჯანდაცვის მუშაკებს, ექსტრემალური სიტუაციისას დროის კარგვის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილება და გადაარჩინონ რაც შეიძლება მეტი ადამიანი. Ex ante ტრიაჟისას ერთგვაროვანი ვალდებულების კოლი-

<sup>58</sup> *Augsberg*, in: *Triage in der Pandemie*, Hörnle/Huster/Poscher (Hrsg.), Tübingen 2021, S. 21-23.

ზიის შემთხვევაში ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება უმართლობის არარსებობის გამო მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებით (ვალდებულების კოლიზია, სსკ 32-ე მუხლი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს).

Ex post ტრიაჟისას კი პაციენტისათვის აპარატის გამორთვა რესურსების არარსებობის გამო სხვა პაციენტის მართვით სუნთქვაზე გადაყვანის მიზნით, მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს (ბრალის შესაძლო შემსუბუქებით). შესაძლებელია, პრაქტიკაში ექიმის ქმედება დანაშაულად არ დაკვალიფიცირდეს და გამოყენებულ იქნას ბრალის გამომირცხველი უკიდურესი აუცილებლობა ვინრო ან ფართო გაგებით. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მეცნიერული დისკუსია აკადემიურ ფარგლებს არ გასცდება და სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით არც შეიქმნება.

## ნონ თოდუა

სამართლის დოქტორი, თსუ პროფესორი

### უქლავნი მუღლის სსოვნას

ქმედების შვიადგენლოზისა და მართლწინააღმდეგოზის,  
განზრახვისა და ზრალის მიმართების საკითხისათვის

სისხლის სამართლის დოქტრინასა და დოგმატიკაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობას ინვევს საკითხები: 1. რა მიმართებაშია ერთმანეთთან ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა; 2. რა მიმართებაშია ერთმანეთთან განზრახვა და ზრალი?

#### 1. დავინწყოთ პირველი საკითხით.

ისმის კითხვა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან ქმედების შემადგენლობა (დანაშაულის პირველი ნიშანი)<sup>1</sup> და მართლწინააღმდეგობა (დანაშაულის მეორე ნიშანი)?<sup>2</sup> ქმედების შემადგენლობის არსებობა თუ გულისხმობს იმას, რომ ეს ქმედება აუცილებლად მართლწინააღმდეგოა? ქმედების შემადგენლობა თუ მოიცავს თავისთავში მართლწინააღმდეგობასაც?

ცნობილია, რომ ქმედების შემადგენლობა არის აღწერილო-ბითი მსჯელობა, ანუ მსჯელობა ფაქტზე (მსჯელობა არსზე). სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ დანაშაულის შემადგენლობაში შედის მოქმედების ყველა ნიშანი (იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშანი) და იგი აკრძალვის

<sup>1</sup> დანაშაულის შემადგენლობის საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირე. თბ. 2007, გვ. 77-94; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. თბ. 2019, გვ. 118-126; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 83-89.

<sup>2</sup> მართლწინააღმდეგობის საკითხზე იხ. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 94-100; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2013, გვ. 11-110; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. თბ. 2019, გვ. 178-193; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 163-168.

მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, პასუხობს კითხვაზე - როგორი ქმედებაა აკრძალული.<sup>3</sup> პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობა მხოლოდ ინდიციაა (მითითება) და სხვა არაფერი. იგი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ მოქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმებს, ე.ი. ცალკეულ აბსტრაქტულ აკრძალვებს, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებშია მოცემული.<sup>4</sup>

მართლწინააღმდეგობა კი სულ სხვა შინაარსის ცნებაა. იგი ნიშნავს იმას, რომ ქმედება მიმართულია მართლწესრიგის, როგორც მთლიანობის წინააღმდეგ.<sup>5</sup> ამდენად, მართლწინააღმდეგობა ქმედების ღირებულებით-შეფასებითი მსჯელობაა (მსჯელობა ჯერარსზე).

შესაბამისად, ქმედების შემადგენლობა, თავისი ბუნებით ვერ იქნება შეფასებითი, რადგან მსჯელობა ფაქტზე არ გულისხმობს ამ ფაქტის შეფასებას მისი **სამართლებრივი ღირებულების** თვალსაზრისით. სულ სხვა საკითხია, რომ ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობა შედგება როგორც ფაქტობრივი (აღწერილობითი), ისე შეფასებითი ნიშნებისაგან. ეს შეფასებითი ნიშანი (მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკე მკვლელობისას) არ გულისხმობს ჩადენილი ქმედების სამართლებრივ შეფასებას მართლწინააღმდეგობა-მართლზომიერების თვალსაზრისით. **სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობაში არსებული შეფასებითი ნიშანი არ წარმოადგენს თვით დანაშაულის შეფასებით ნიშანს, რომელიც აფასებს ამ ქმედებას, ვითარც მართლსაწინააღმდეგოს.**<sup>6</sup> ამდენად, იგი არაა დანაშაულის მეორე ნიშანი.

### **გამომდინარე აქედან, ისმის რამდენიმე კითხვა:**

<sup>3</sup> შეად. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, გვ. 127 (განხილულია ჰ. ველცელის შეხედულება დანაშაულის სისტემაზე - H. Welzel, Das ncuc Bild des Strafrechtssystems, Gottingen, 1957, s. 2021).

<sup>4</sup> შეად. თ. წერეთელი, იქვე.

<sup>5</sup> შეად. თ. წერეთელი, იქვე.

<sup>6</sup> ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშნების საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 123-124.

1. შესაძლებელია თუ არა ქმედების შემადგენლობიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ - ლოგიკური (ანუ ავტომატური) დასკვნა?<sup>7</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ფაქტი, რომ სახეზეა რომელიმე დანაშაულის შემადგენლობა (ქმედების შემადგენლობა), ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს ქმედება იმავითვე (აუცილებლად) მართლსაწინააღმდეგოა (ქმედების შემადგენლობის არსებობა თავისთავად თუ ნიშნავს მართლწინააღმდეგობის არსებობასაც)?

2. თუ შეიძლება ქმედების შემადგენლობა განხორციელდეს მართლზომიერად (ანუ ქმედების შემადგენლობა თუ შეიძლება იყოს მართლზომიერი აქტი)?

დასმულ პირველ კითხვაზე ლიტერატურაში სწორადაა გაცემული პასუხი: ქმედების შემადგენლობის არსებობა აუცილებლად რომ ნიშნავდეს მართლწინააღმდეგობის არსებობასაც, მაშინ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა ერთმანეთში აითქვიფებოდა. ამ თვალსაზრისით ქმედების შემადგენლობა დანაშაულის ნიშნებიდან გაქრებოდა და დანაშაულის სამკვალიანი სისტემიდან მხოლოდ ორი დარჩებოდა - ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი.<sup>8</sup>

ეს მოსაზრება სხვაგვარადაც შეიძლება დასაბუთდეს. კერძოდ: ქმედების შემადგენლობის არსებობა აუცილებლად რომ გულისხმობდეს მართლწინააღმდეგობის არსებობასაც, მაშინ დანაშაულის ნიშნებიდან გაქრებოდა მართლწინააღმდეგობა, როგორც მისი მეორე ნიშანი და დანაშაულის სამკვალიანი სისტემიდან დარჩებოდა მხოლოდ ორი - ქმედების შემადგენლობა (რომელიც თავისთავში მართლწინააღმდეგობასაც მოიცავს) და ბრალი.

უდავოა, რომ თუ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, იგი ვერ იქნება მართლზომიერი, მაგრამ საინტერესოა: თუ შეიძლება, ქმედება, რომელიც არაა მართლსაწინააღმდეგო (რადგან ეს საკითხი ჯერ არაა დადგენილი), არც მართლზომიერი იყოს?<sup>9</sup> სხვაგვარად რომ

<sup>7</sup> იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვ. თბ. 2019, გვ. 186.

<sup>8</sup> შეად. გ. ნაჭყებია, იქვე.

<sup>9</sup> შეად. გ. ნაჭყებია, იქვე, გვ. 187.

ვთქვათ, ის ფაქტი, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა ჯერ-ჯერობით არაა დადგენილი, უსათუოდ ნიშნავს იმას, რომ ეს ქმედება მართლზომიერია?

**რა თქმა უნდა**, ეს არ ნიშნავს ამას და სწორედ ასეთია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელიც ამ ეტაპზე ვერც მართლზომიერ აქტად ჩაითვლება და ვერც მართლსაწინააღმდეგოდ. საქმე ისაა, რომ როგორც კი განხორციელდება სს კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, ეს ქმედება უკვე არაა მართლზომიერი აქტი, რადგანაც იგი სცილდება დანაშაულის თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს.<sup>10</sup> თუმცა საქმეც ისაა, რომ თავისთავად ქმედების შემადგენლობა, ცალკე აღებული, მართლსაწინააღმდეგოც არაა, რადგან ჯერ არაა დადგენილი, ჩადენილია თუ არა იგი მართლწინააღმდეგობის გამოძრისხველ რომელიმე გარემოებაში. ამდენად, ქმედების შემადგენლობის დადგენის ეტაპზე ადგილი არა აქვს ამ ქმედების შეფასებას მისი სამართლებრივი ღირებულების თვალსაზრისით. ეს საკითხი შემდგომ შეფასებას მოითხოვს.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: აღიარებულია, რომ არსებობს მართლწინააღმდეგობის **ორგვარი გაგება** - ფორმალური და მატერიალური.<sup>11</sup> შესაბამისად, ხომ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს ფორმალურ მართლწინააღმდეგობას? ანუ დანაშაულის შემადგენლობა ცალკე აღებული, ფორმალურად ხომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა?

ამ საკითხზე სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყოველთვის

<sup>10</sup> შეად. გ. ნაჭყებია, იქვე, გვ. 188.

<sup>11</sup> მართლწინააღმდეგობის ამ სახეების შესახებ იხ. გ. ნაჭყებია, ნიგში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 182-183; მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 324-325; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 163-164; ი. ხერხეულიძე, ნიგში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 195-196.

არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას,<sup>12</sup> რადგან არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობის განხორციელება არ შეიძლება იქნეს მიჩნეული მართლწესრიგის ხელყოფად.<sup>13</sup>

ამ სწორ მოსაზრებას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მართლწინააღმდეგობაში გულისხმობს არა მის ფორმალურ, არამედ მატერიალურ გაგებას, რისი უდავო დადასტურებაა სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის არსი.<sup>14</sup> მოქმედი კანონმდებლობა მართლწინააღმდეგობაში მის ფორმალურ გაგებას რომ გულისხმობდეს, მაშინ ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობა თავისთავში მოიცავდა მართლწინააღმდეგობასაც და დანაშაულის ნიშნებიდან (რაც მოცემულია სსკ მე-7 მუხლში) გაქრებოდა მითითება მართლწინააღმდეგობაზე, როგორც მის მეორე და აუცილებელ ნიშანზე.

ამდენად, როცა დანაშაულის მეორე ნიშნად აღიარებულია მართლწინააღმდეგობა, მასში იგულისხმება მისი არა ფორმალური, არამედ მატერიალური გაგება.

გამოდის, რომ თუკი დანაშაულის სამი ნიშნიდან ცალკე (ავტონომიურად) ავიღებთ ქმედების შემადგენლობას (დანარჩენი ნიშნებისაგან დამოუკიდებლად), იგი არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო.

ვითარება შეიცვლება მას შემდეგ, როცა გაირკვევა, იყო თუ არა ეს ქმედება ჩადენილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ

<sup>12</sup> სისხლისსამართლებრივი უმართლობის საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 171-172; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 190-191.

<sup>13</sup> შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 164; ი. ხერხეულიძე, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 195-196.

<sup>14</sup> სსკ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის სამართლებრივ არსზე იხ. მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 58-65; ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 303-304.



გარემოებაში - თუ დადგინდა, რომ იგი არ იყო ჩადენილი ასეთ გარემოებაში, მაშინ ქმედება შეფასდება, როგორც მართლსაინააღმდეგო. თუმცა ამ დროიდან უკვე შეიცვლება მისი სამართლებრივი სახელწოდება - სახეზე იქნება არა ქმედების შემადგენლობა, არამედ მართლსაინააღმდეგო ქმედება (ანუ სისხლისსამართლებრივი უმართლობა).

**2. რაც შეეხება მეორე კითხვას:** თუ შეიძლება არსებობდეს ქმედების შემადგენლობა და იგი იყოს მართლზომიერი აქტი?

დასმულ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, უნდა გავარკვიოთ, თუ ხორციელდება ქმედების შემადგენლობა მართლსაინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში?

კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ადვილია აუცილებელი მოგერიებისა (სსკ 28-ე მ.) და უკიდურესი აუცილებლობის (სსკ 30-ე მ.) საკანონმდებლო ცნების მხედველობაში მიღებით. კერძოდ, მათში **ნათქვამია: მართლსაინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს ....**

უდავოა, რომ „ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება“ სხვა არაფერია, თუ არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა.

**გამოდის, რომ მართლსაინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების შემთხვევაშიც პირი ახორციელებს ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობას, მაგრამ იგი არ მოქმედებს მართლსაინააღმდეგოდ.**

მართლაც, სახეზე რომ არ იყოს ქმედების შემადგენლობა (ანუ დანაშაულის პირველი ნიშანი), მაშინ არც კი დაისმებოდა საკითხი, არის თუ არა ეს ქმედება ჩადენილი მართლსაინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში?

ხოლო ის ფაქტი, რომ ამ დროს პირი არ მოქმედებდა მართლსაინააღმდეგოდ, ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება მართლზომიერია. შესაბამისად, მართლსაინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში (მაგ., აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში) ჩადენილი ქმედება მართლზომიერია.

დბსკპნა

საბოლოოდ, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის მიმართების საკითხზე უნდა დავასკვნათ შემდეგი: ქმედების შემადგენლობა (ფაქტის მსჯელობა) ცალკე აღებული (ანუ ავტონომიურად აღებული), არაა შეფასებითი - იგი არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგოა. ამდენად, ქმედების შემადგენლობის დადასტურება თავისთავად (ავტომატურად) არ ნიშნავს იმას, რომ სახეზე გვაქვს დანაშაულის მეორე ნიშანიც - მართლწინააღმდეგობა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, იყო თუ არა ეს ქმედება ჩადენილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში, მას უკვე მიეცემა სამართლებრივი შეფასება - იგი ან მართლსაწინააღმდეგოა (თუ სახეზე არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება), ან მართლზომიერი (თუ სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება).

შესაბამისად, ამ ეტაპზე ქმედებას უკვე შეეცვლება სახელი - სახეზე გვექნება არა ქმედების შემადგენლობა, არამედ ან მართლზომიერი ქმედება, ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება (სისხლისსამართლებრივი უმართლობა).

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე სისხლისსამართლებრივი უმართლობისა და ბრალის მიმართების საკითხშიც - სისხლისსამართლებრივი უმართლობის არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქმედება ბრალეულადაა ჩადენილი, რადგან იგი შეიძლება ჩადენილი იყოს ბრალის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში.<sup>15</sup> შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენა აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ სახეზეა დანაშაული.

---

<sup>15</sup> ბრალის გამომრიცხველი გარემოების შესახებ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 212-244; ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. თბ. 2019, გვ. 328-366.

II. რა მიმართებაშია ერთმანეთთან განზრახვა და ბრალი - განზრახვა ბრალის ფორმა, თუ მისი ნიშანია?

ბრალის ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, განზრახვა (ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა) ბრალის ფორმაა.<sup>1</sup>

ფინალისტური მოძღვრების მიხედვით<sup>2</sup> ბუნებრივი (არაბოროტი) განზრახვა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში შედის.<sup>3</sup> ხოლო ბოროტი განზრახვა, როცა სახეზეა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება (და ასევე გაუფრთხილებლობა) არაა ბრალის ფორმა, იგი ბრალის ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალის ეტაპზე (ანუ პირის ინდივიდუალური გაკიცხვის ეტაპზე) ბოროტი განზრახვა მეტად იკიცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობა.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ მოძღვრების შესაბამისად, ბრალს საერთოდ არ ახასიათებს გამოვლენის ფორმა. ეს არცაა გასაკვირი,

<sup>1</sup> ამ თეორიების არსისა და მათი კრიტიკის შესახებ იხ. გ. ნაჭყებია, ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 239-243; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 208-209.

<sup>2</sup> ფინალისტური თეორიის არსზე იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 64-68; ნორმატივიზმის ზოგად დახასიათებასა და მის ცალკეულ მიმდინარეობებზე იხ. ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალის ნორმატიული მოდელი, დოგმატურ-სისტემატიკური თავისებურებები, რედ. ო. გამყრელიძე, თბ. 1999, გვ. 157-228; ლაშა-გიორგი ლუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, ბრალის გენეზისი, ტომი პირვ. რედ. გ. ტყეშელიაძე, მ. ტურავა, თბ. 2000, გვ. 456-529; ამ თეორიის კრიტიკაზე, იხ. ლაშა-გიორგი ლუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, ბრალის გენეზისი, ტომი პირვ. რედ. გ. ტყეშელიაძე, მ. ტურავა, თბ. 2000, გვ. 544-631; გ. ნაჭყებია, ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 243-247.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ქმედების შემადგენლობაში არაბოროტი განზრახვის მოაზრებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უმართლობის ტიპის დასადგენად (მაგ., სახეზეა მკვლელობის მცდელობა, თუ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება) და იგი ფინალისტური მოძღვრების ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, საკითხისადმი ასეთი მიდგომა გამორიცხული არაა ბრალის სხვა თეორიის (მაგ., „პასუხისმგებლობის თეორიის“) აღიარების შემთხვევაშიც.

<sup>4</sup> იხ. მ. ტურავა, დასახ. მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 129.

რადგან ფინალისტური მოძღვრებით, ბრალი არის მოსამართლის ინდივიდუალური გაკიცხვა პირისა, მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო.<sup>5</sup>

შესაბამისად, თუკი ბრალი წმინდა შეფასებაა (ანუ მხოლოდ გაკიცხვაა), მაშინ ლოგიკურია, რომ გაკიცხვის ფორმა მოსამართლის მიერ სახელმწიფოს სახელით გამოტანილი განაჩენი იქნება და სხვა არაფერი - იგი ვერ იქნება განზრახვა ან გაუფრთხილებლობა.

**სხვაგვარად წყდება ეს საკითხი** ბრალის იმ თეორიის შესაბამისად (რასაც შეიძლება ვუნოდოთ „პასუხისმგებლობის თეორია“), რომლის მიხედვით, ბრალი არის ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების სუბიექტური მიზეზი, რომელიც განზრახვისა ან გაუფრთხილებლობის ფორმით (ზოგჯერ მათი ერთიანობით) გამოიხატება და ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია.<sup>6</sup>

როგორც ვხედავთ, აქ განზრახვა (ასევე გაუფრთხილებლობაც) ბრალის ფორმაა, რადგან პირის უპასუხისმგებლობა ნორმატიული ვალდებულებისადმი, აუცილებლად გულისხმობს ამ უპასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობა ბრალის შინაარსია, **რომელიც აუცილებლად მოითხოვს თავისი გამოვლინების** ფორმას (შინაარსისა და ფორმის ერთიანობის ფილოსოფიური კანონი) და ეს ფორმა გახლავთ განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. სხვაგვარი ფორმით უპასუხისმგებლობა ვერ გამოვლინდება - თუ ქმედება არაა ჩადენილი არც განზრახ (იგულისხმება ბოროტი განზრახვა - სსკ მე-9 მ.) და არც გაუფრთხილებლობით, მაშინ შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ პირმა უპასუხისმგებლობა გამოავლინა დადგენილი ვალდებულებისადმი.

კერძოდ, განზრახვისას (რაშიც, რა თქმა უნდა, სსკ მე-9 მუხლის მიხედვით, იგულისხმება მისი სამივე კომპონენტი მარ-

<sup>5</sup> იხ. მ. ტურავა, იქვე, გვ. 209.

<sup>6</sup> იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 252.

თლწინაალმდეგობის შეგნების ჩათვლით) ადგილი აქვს ნორმატიული ვალდებულების შეგნებულ უარყოფას (პირდაპირი განზრახვისას), ან გულგრილობას (არაპირდაპირი განზრახვისას),<sup>7</sup> ხოლო გაუფრთხილებლობისას - მის უგუღვებელყოფას.<sup>8</sup>

სწორედ ამიტომაც, განზრახვა ბრალის (ანუ უპასუხისმგებლობის) გაცილებით მალალი ხარისხია,<sup>9</sup> ვიდრე გაუფრთხილებლობა. იგი ბრალის იმდენად დაბალი ხარისხია, რომ სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში“.<sup>10</sup> იგულისხმება სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი.

შესაბამისად, მისაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: განზრახვა, ერთი მხრივ, წმინდა ფსიქოლოგიურად არსებობს, როგორც გარკვეული სახის ქმედებისათვის განწყობისეული, ცნობიერი მზაობა (ე.წ. ბუნებრივი, არაბოროტი განზრახვა), მაგრამ მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ რა არის განზრახვის, როგორც ადამიანის ინტელექტის, ნებელობისა და ემოციის ერთიანობის საგანი, ანუ „განზრახვი“, განზრახვის შინაარსი იცვლება. კერძოდ, სუბიექტის ცნობიერება ვერ დარჩება მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიურ ფენომენად მაშინ, როცა ამ ცნობიერების საგანია როგორც სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და სუბიექტს შორის, ასევე სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა მართლზომიერი ქმედებისათვის. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის გამო, ყველაფერი უკუღმა ტრიალდება - მართლზომიერი ქმედების მოვალეობის აღსრულების ნაცვლად, სუბიექტი, პირიქით, არღვევს ამ მოვალეობას. მეორეც, ნაცვლად იმისა, რომ ამ მოვალეობას მოჭ-

<sup>7</sup> იხ. გ. ნაჭყებია, იქვე, გვ.260.

<sup>8</sup> იხ. გ. ნაჭყებია, იქვე, გვ. 278-283

<sup>9</sup> ბრალის ხარისხის შესახებ, იხ.: გ. ნაჭყებია, დასახ. სახელმძღვანელოში, გვ. 294-298.

<sup>10</sup> უფრო დეტალურად იხ. მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 547-549.

კიდებოდა პასუხისმგებლურად, პირიქით, უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად ეკიდება მას. ეს კი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია.<sup>11</sup>

როგორც ვხედავთ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის პრობლემა იყო და არის „ფსიქოლოგიზმი“, ანუ ის, რომ მან ბრალი მხოლოდ ფსიქიკურ პროცესებზე დაიყვანა და მხედველობიდან გამორჩა შეფასებითი მომენტი. არადა ფსიქიკური პროცესები მართლაც რომ თავისუფალია შეფასებისაგან, ხოლო ბრალი შეფასების გარეშე წარმოუდგენელია. გარდა ამისა, ამ თეორიის სერიოზული ნაკლი იყო ის, რომ იგი ვერ ხსნიდა დაუდევრობას, როგორც ბრალეული ქმედების გამოვლინებას - დაუდევრობისას პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ არღვევს წინდახედულობის ნორმას და არც შედეგს ითვალისწინებს. ანუ სახეზე არაა ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადგი.

ამ ნაკლის გამოსწორების მცდელობა ჰქონდა ბრალის **ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას**, რომელმაც ფსიქიკურ პროცესებთან ერთად მის ცნებაში შეფასებაც შეიტანა, რითაც დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ. თუმცა ვერც ეს თეორია ხსნის დაუდევრობის, როგორც ბრალეული ქმედების არსს, რადგან დაუდევრობისას სახეზე არაა ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი. ამდენად, გაუგებარია, რომელი ფსიქიკური დამოკიდებულებისათვის იკიცხება პირი დაუდევრობისას.

როგორც ვხედავთ, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურმა თეორიამ ბრალში მექანიკურად გააერთიანა ფსიქიკური და შეფასებითი მომენტები. შესაბამისად, ამ თეორიამ თავი ვერ დააღწია ეკლექტიზმს.

რაც შეეხება **ბრალის ფინალისტურ თეორიას**, მისი დამსახურება ისაა, რომ მან შეფასების მომენტზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ სერიოზული ნაკლი არის ის, რომ იგი მეორე უკიდურესობაში გადავარდა - ბრალი საერთოდ მოწყვიტა ფსიქიკურ პროცესებს და წმინდა შეფასებაზე დაიყვანა, რითაც იგი ისეთ ფენომენად წარმოაჩინა, რაც „მოსამართლის თავშია“ და არა ქმედების ამსრულებ-

<sup>11</sup> შეად. გ. ნაჭყებია, დასახ. სახელმძღვანელოში, თბ. 2019, გვ. 263-264.

ლის „თავში“.<sup>12</sup>

მართლაც, თუკი ბრალი მხოლოდ შეფასებაა (ანუ მხოლოდ გაკიცხვაა), მაშინ იგი ვერ იქნება ქმედების ამსრულებლის „თავში“, რადგან შეუძლებელია პირი სახელმწიფოს სახელით (განაჩენში) კიცხავდეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და საკუთარ თავს.

ბრალის საკითხის ფინალისტური მოძღვრების შესაბამისად გადანყვეტა მიუღებლად უნდა ჩაითავალოს რადგან:

ა) თუკი ბრალი მხოლოდ შეფასებაა (მხოლოდ გაკიცხვაა) და ამდენად, „მოსამართლის თავშია“, მაშინ გამოდის, რომ იგი არ ყოფილა დანაშაულის მესამე ნიშანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის ჩადენისას იგი თურმე არ არსებობს და მხოლოდ შემდეგ ჩნდება (რაც არ შეესაბამება სინამდვილეს).

სხვა საკითხია, რომ პირის ბრალეულობის საკითხი დანაშაულის ჩადენის **შემდეგ დგინდება** სასამართლოს მიერ. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ბრალი შემდეგ ჩნდება, იგი მხოლოდ დგინდება შემდეგ;

ბ) მართლაც, თუკი ბრალი არის არა თავად ქმედების ამსრულებლის „თავში“, არამედ სხვა პირის (თუნდაც მოსამართლის) „თავშია“, მაშინ იგი ვერ იქნება იმ დანაშაულის მესამე და განუყოფელი ნიშანი, რაც ჩადენელია ამსრულებლის მიერ. აქედან კი გამოვა, რომ ბრალი **„გარედან შეიტანება“** და უერთდება ჩადენილ უმართლობას;

გ) ის ფაქტი, რომ სასამართლო ადგენს პირის ბრალეულობას, კერძოდ იმას, მიუძღვის თუ არა მას ბრალი ჩადენილ ქმედებაში, ნიშნავს არა იმის დადგენას, „მიუძღვის თუ არა პირს გაკიცხვა“ ჩადენილ ქმედებაში (შეუძლებელია, პირს „მიუძღოდეს, ან არ მიუძღოდეს გაკიცხვა“), არამედ იმას, „მიუძღვის თუ არა მას უპასუხისმგებლობა“ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში.

გამომდინარე აქედან, ბრალის დადგენა ნიშნავს არა „გაკიცხვის დადგენას“ (შეუძლებელია ასეთი რამის დადგენა - პირი, შესაძლებელია, გაიკიცხოს ან არ გაიკიცხოს), არამედ პირის „უპასუხისმგებლობის დადგენას“;

<sup>12</sup> იხ. მ. ტურავა, დასახ. მიმოხილვა, გვ. 209; მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 410.

დ) თავად გამოთქმა „პირს ბრალი მიუძღვის ჩადენილ ქმედებაში“, გულისხმობს იმას, რომ იგი „წინ მიუძღვის“ პირს ქმედების ჩადენისას. შესაბამისად, შეუძლებელია, ქმედების ამსრულებელს და ჩადენილ ქმედებას წინ მიუძღოდეს გაკიცხვა (გაკიცხვას ადგილი აქვს შემდგომში - განაჩენის გამოტანისას), მაგრამ სავსებით ბუნებრივია, მას და მის ქმედებას წინ მიუძღოდეს პირის უპასუხისმგებლობა;

ე) თუკი ბრალი მხოლოდ გაკიცხვაა პირისა, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მაშინ ისმის კითხვა: რატომ არ იკიცხება შეურაცხადი პირი, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება?

ბრალის ნორმატიული თეორიის მიერ ჩამოყალიბებული ცნებიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია - ეს პასუხი არ გამომდინარეობს ბრალის ამ ცნებიდან. პირიქით, ამ ცნებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუკი პირი ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, იგი აუცილებლად დაექვემდებარება მოსამართლის მიერ ინდივიდუალურ გაკიცხვას, რაც აისახება განაჩენში.

სამაგიეროდ, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია ბრალის პასუხისმგებლობის თეორიიდან გამომდინარე - შეურაცხადი პირი იმიტომ არ იკიცხება, რომ მას არა აქვს უნარი, პასუხისმგებლობით მოეკიდოს ნორმატიულ ვალდებულებას. ანუ ასეთი პირის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა არ ნიშნავს იმას, რომ იგი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ ვალდებულებას;

ვ) შესაბამისად, სწორადაა აღნიშნული გერმანულ ლიტერატურაში, გასაკიცხაობა არის პასუხისმგებლობის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა... ბრალის ნორმატიულმა ცნებამ შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვოს და გარდაისახოს ე.წ. პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნებად.<sup>13</sup> ბრალის წმინდა შეფასე-

<sup>13</sup> იხ. C. Roxin, strafrecht, Allgemeiner Teil, Band I. Munchen, 1992, s. 540. (ციტატა აღებულია ნაშრომიდან: ლაშა-გიორგი ლუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, ბრალის გენეზისი, ტომი პირვ. რედ. გ. ტყეშელიაძე, მ. ტურავა, თბ. 2000, გვ. 604-605).



ბაზე (მხოლოდ გაკიცხვაზე) დაყვანით, აქცენტი კეთდება მის მხოლოდ ფორმალურ მხარეზე და არა მატერიალურ (ანუ შინაარსობრივ) მხარეზე. კერძოდ, ბრალის ამ ცნებიდან არ ჩანს, თუ რა გარემოებებზეა დამყარებული ეს გაკიცხვა? <sup>14</sup>

ზ) საერთოდაც, საკითხი: არის თუ არა პირი ბრალუნარიანი, ნიშნავს არა იმის გარკვევას, არის თუ არა ეს პირი „გაკიცხვაუნარიანი“ (შეუძლებელია პირი იყოს, ან არ იყოს ასეთი უნარის მატარებელი, რადგან გაკიცხვის ავტორი მოსამართლეა და არა თავად ეს პირი), არამედ იმის გარკვევას, არის თუ არა პირი „პასუხისმგებლობაუნარიანი“ - შეუძლია თუ არა მას, პასუხისმგებლობით მოეკიდოს ნორმატიულად დადგენილ ვალდებულებას (გამომდინარე თავისი ასაკიდან ან ფსიქიკური მდგომარეობიდან)?

თ) შესაბამისად, როდესაც პირი არ ცნობს თავს ბრალეულად და სასამართლოს წინაშე სვამს კითხვას: „გამაგებინეთ, სად არის აქ ჩემი ბრალი?“, იგი გვეკითხება არა იმას: „სად არის აქ ჩემი გაკიცხვა?“, არამედ იმას: „სად არის აქ ჩემი უპასუხისმგებლობა“?

ი) თუ ბრალი მხოლოდ გაკიცხვაა, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულს ორი ავტორი ჰყოლია: 1. ქმედების ამსრულებელი (უმართლობის ამსრულებელი) და 2. მოსამართლე. შესაბამისად, დანაშაულის ავტორი არ ყოფილა მხოლოდ ქმედების სუბიექტი, არამედ იგი მხოლოდ უმართლობის ავტორი ყოფილა, ხოლო ბრალისა - მოსამართლე;

კ) ზემოთთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ ბრალი მართლაც არის რაღაც ისეთი ფენომენი, რაც ნამდვილადაა სახელმწიფოს სახელით გაკიცხვის ღირსი. ეს რაღაც კი გახლავთ პირის უპასუხისმგებლობა ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი, რაც უდავოდ იმსახურებს გაკიცხვას.

გამოდის, რომ გაკიცხვა ბრალის შედეგია (შედეგად მოსდევს ბრალს), მაგრამ იგი (გაკიცხვა) არაა თავად ბრალი.<sup>15</sup>

<sup>14</sup> იხ. C. Roxin, strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, Munchen, 2006, s. 858-859. (ეს ციტირება იხ. წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვ. 2019, გვ. 246).

<sup>15</sup> იხ. Bauman/Weber/Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 2003, s. 192.

შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვით, ბრალი როდია ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან დაცლილი, წმინდა შეფასება, წმინდა ჯერარსი, ანუ გასაკიცხაობა, რომელსაც საგანი არ გააჩნია, არამედ იგი გაკიცხვის საფუძველია. სუბიექტი იკიცხება არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის (ასეთ ქმედებას შეურაცხადი ც სჩადის), არამედ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი იმ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება.<sup>16</sup>

---

<sup>16</sup> შეად. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 264.

## ირინე ხერხეულიძე

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ მონვეული პროფესორი

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მართლსაწინააღმდეგო (რთული) ძცვის საკანონმდებლო რეგულირება

### შესავალი

**უკანასკნელი ათწლეული**, ბავშვთა უფლებების საკანონმდებლო დონეზე დახვეწის კუთხით, გამორჩეული და თვალსაჩინოა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. საერთაშორიო ინსტრუმენტების წყალობითა და საქართველოს 2015 წლის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“<sup>1</sup> მეშვეობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში შემოვიდა და პრინციპების დონეზე დამკვიდრდა ისეთი ფუძემდებლური საკითხები, რიგორიცაა: „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა“ და არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვების მიმართ ამ პრინციპებით მოქმედების საჭიროება კანონით სავალდებულოდ გამოცხადდა არამხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, არამედ ბავშვის დახმარების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ სხვა ქმედებათა დროსაც. საკითხისადმი ასეთი მიდგომა აისახა კიდევ ბავშვის უფლებათა განმტკიცებისათვის, ასევე ბოლო დეკადაში მიღებულ ისეთ აქტებში როგორიცაა საქართველოს „ბავშვის უფლებების კოდექსი“, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილება „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ“.

კანონმდებლობის ამგვარი ინტენსიური შემუშავების ფონზე

---

<sup>1</sup> ტექსტში შემოკლებულია როგორც ამკ.

გამოსაკვლევია, რამდენად და რა სახით იქნა გათვალისწინებული ისეთი საჭირობოროტო პრობლემა, როგორცაა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მიერ საქართველოს სსკ-ით კრიმინალიზებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში ასეთზე რეაგირებისა და მისი მკაფიო რეგულირების საკითხი.

სტატიის მიზანიც, სწორედ იმ უკანასკნელი მიღწევების მიმოხილვა და ისეთ ღონისძიებათა გაანალიზებაა, რაც, საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის დახვეწის კუთხით გატარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს ქვევით მყოფ ბავშვებთან მიმართებით. ამასთან, ანალიზის გაკეთებისას გადამწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს ასეთ არასრულწლოვნებთან რელევანტური დარგის წარმომადგენელ მუშაკთა ინტერაქციისას „ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის“ **პრინციპის ადექვატურ ინტერპრეტაციას**, ხსენებული კატეგორიის ბავშვების მიმართ აღნიშნული პრინციპის გავრცელების თვალსაზრისით. საკითხის მიმოხილვისას, ცხადია, გარკვეული აქცენტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზეც უნდა გაკეთდეს, თუნდაც მათ შორის ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად.

ამისათვის კი სტატიის პირველი თავი ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში შემავალ სხვადასხვა სისტემათა (მართლმსაჯულების სისტემა, ბავშვთა დაცვის სისტემა) ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ სხვაობებს უნდა დაეთმოს - მიუხედავად იმის, რომ ზოგჯერ ისინი ურთიერთგადამკვეთია, - რათა ამით გაადვილდეს ამ ორ სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით როგორც პროცედურული, ისე პრაქტიკული საკითხების აღქმა და გაანალიზება.

თავი 1. გავშვითა უფლებების დაცვის სფერო და რელიგიატური  
სისტემები

**1.1. ბავშვის უფლებათა დამცველი ინსტრუმენტების  
ისტორიული მიმოხილვა**

ბავშვების მიმართ განსხვავებული მიდგომა სისხლის სამართლის სისტემაში შედარებით ახლახანს განვითარდა. საერთაშორისო სამართლის ადრეული ნაბიჯები კი, ზოგადად, ბავშვების უფლებების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავების თვალსაზრისით მე-XX საუკუნის 20-იან წლებში გადაიდგა, როდესაც ერთა ლიგამ 1924 წელს გამოსცა „ბავშვის უფლებების დეკლარაცია“, ხოლო გაერომ 1959 წელს მიიღო იმავე სახელწოდებით მსგავსი დეკლარაცია. ორივე დოკუმენტი მსოფლიო ომების ზეგავლენის ქვეშ მოექცა და ამდენად გამოხატავდა ბავშვთა დაცვის განსაკუთრებული საჭიროების იდეას, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მატერიალურ საჭიროებებზე.<sup>2</sup> 1980-იანი წლებიდან შემუშავებული საერთაშორისო აქტები კი ფოკუსირდება ბავშვის არამხოლოდ პრაქტიკულად ყველა უფლების დაცვასა და უზრუნველყოფაზე, არამედ ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შემუშავებაზე, რომელიც მანამდე, მხოლოდ ფრაგმენტულად და შეზღუდულად გამოჩნდა საერთაშორისო სამართალში 1966 წლის გაეროს „საერთაშორისო პაქტით - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, სადაც ფიქსირდებოდა გარკვეული დებულებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ.<sup>3</sup>

დღესდღეობით, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საყოველთაო ინსტრუმენტი, „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ კი ამგვარ უფლებათა ფართო სპექტრს ადგენს, ითვალისწინებს რა

<sup>2</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2013, ლექცია პირველი.

<sup>3</sup> International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), მუხლი 6 (5), მუხლი 10 2 (ბ) და 3, 14 (1) (4).

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების, ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას და ეხება ბავშვობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროს. კონვენცია სპეციფიურ დებულებებს უძღვნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს 37-ე და მე-40 მუხლებში და მოითხოვს დამოუკიდებელი სისტემის შექმნას არასრულწლოვანთათვის. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა „ხელი შეუწყონ ისეთ ბავშვებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენას, რომლებმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვიეს სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან ბრალეულად არიან მიჩნეული მის დარღვევაში“.<sup>4</sup> აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელ სისტემაზე - მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვანთა პირველი კონტაქტიდან სისტემასთან ყველანაირი კავშირის დასრულებამდე.<sup>5</sup> თუმცა, პრევენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სპეციფიური ღონისძიებების გატარება იქამდეც, ვიდრე ბავშვი პირისპირ აღმოჩნდება მართლმსაჯულების სისტემასთან.

დანაშაულის პრევენციის მიმართულებით მუშაობა გულისხმობს ადამიანის უფლებების, პატივისა და ღირსების მაქსიმალურ დაცვასა და პატივისცემას.<sup>6</sup> აშშ-ის გამოცდილებით, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, პრევენციის სამ დონეს გამოყოფენ: პირველადი პრევენცია მიმართულია ფიზიკურ და სოციალურ გარემოში არსებული პირობების მოდი-

<sup>4</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>5</sup> შამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი UNICEF, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22.

<sup>6</sup> ჯაეახიშვილი ლ., ბარამია მ., განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია, ნიგნში: „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“, პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, „ინტერნეტენელ ჯენერალ სერვისი“, თბილისი, 2021. გვ. 46.

ფიცირებისკენ ფართო გაგებით; მეორადი პრევენცია მიმართულია კრიმინოგენულ გარემოში მყოფი ინდივიდების ან ჯგუფების ადრეულ იდენტიფიცირებასა და მათ ცხოვრებასა და არსებობაში ადრეულ ინტერვენციაზე; მესამე დონის პრევენცია კი მიმართულია რეციდივის პრევენციაზე.<sup>7</sup>

**ამასთან, ვინაიდან** „პრევენციის სტრატეგიები არ განეკუთვნება (არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულების სისტემის მანდატსა და პასუხისმგებლობას“, <sup>8</sup> პირველადი და მეორეული დონის პრევენციის საკითხები, რაც რელევანტურია სწორედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვან კანონდამრღვევებთან მოპყრობისა და მათ ქცევაზე რეაგირების თვალსაზრისით, - უმთავრესად, სოციალური დაცვისა და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობაში მოიაზრება.<sup>9</sup> ამიტომაც არის, რომ სტატიის მიზნებისთვის, პირველ რიგში დიფერენცირებული აღქმა უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ბავშვთა დაცვის სისტემისა, მიუხედავად იმისა, რომ პრევენციის სტრატეგიები, სამივე და არამხოლოდ მე-3 დონეზე, მაინც უნდა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ნაწილს ფართო გაგებით,<sup>10</sup> და რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეიტანონ „რიადის პრინციპები“ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი

<sup>7</sup> Bartollas C., Miller S, Juvenile Justice in America, მეორე გამოცემა, 1998, Prentice Hall, Inc., გვ. 256.

<sup>8</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი UNICEF, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 20.

<sup>9</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი UNICEF, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 21.

<sup>10</sup> ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №1, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი, გვ. 33.

მიძღვნილ საკუთარ ყოვლისმომცველ პოლიტიკაში.<sup>11</sup> აღნიშნულ სისტემათა ასეთი კომპლექსური ხასიათი, რომელიც იმავდროულად ურთიერთკავშირსა და ურთიერთსხვაობაში მდგომარეობს, უკეთ წარმოჩინდება ამ სისტემათა განმარტებების და მათ დაქვემდებარებულ არასრულწლოვანთა სტატუსის გააზრების ფონზე. ამ ეტაპზე კი გადაჭრით იმის თქმა შეიძლება, რომ „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია ურთიერთდაკავშირებული თუ ურთიერთგადაჯაჭვულია“.<sup>12</sup>

ბავშვთა უფლებების უზრუნველსაყოფად არსებული ეს ერთგვარი ტანდემი - მართლმსაჯულების სისტემისა და ბავშვთა დაცვის სისტემის სახით - მოქმედებს არამხოლოდ საქართველოში, არამედ გერმანიაშიც. კერძოდ, გერმანიის საკანონმდებლო სირცხვი არასრულწლოვნების საქმეთა მარეგულირებელი კანონმდებლობა, - მიუხედავად უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის არარსებობისა - ორი ძირითადი აქტითაა წარმდგენილი. ეს აქტებია: „ახალგაზრდათა სასამართლოს კანონი“ და „არასრულწლოვანთა კეთილდღეობის კანონი.“ შესაბამისად, ისინი ეხება როგორც დამნაშავე (კანონთან კონფლიქტში მყოფ) არასრულწლოვნებს, ისე იმ ბავშვებსაც, რომლებსაც ერთგვარი დაცვა ესაჭიროებათ. აღნიშნული კანონების ანალიზის მეშვეობით ირკვევა, რომ არასრულწლოვნების საქმეთა მარეგულირებელი გერმანული კანონმდებლობის აგებულება და მისი გაგება ბავშვისადმი აღმზრდელობითი მიდგომის კონცეფციას ეფუძნება.<sup>13</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო თავის გადწყვეტილებაში მიუთითებს „აღზრდის პრინციპზე“, როგორც

<sup>11</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 10 (2007), პუნქტი 17.

<sup>12</sup> ჯავახიშვილი ლ., ბარამია მ., განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია, წიგნში „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“, პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, „interne-Senel general servisi“, თბილისი, 2021. გვ. 47.

<sup>13</sup> Heinrich B., Kherkheulidze I., Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems ,On the basis of comparison of German, Georgian and the U.S. juvenile law, Berlin, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2014, გვ.614. ხელმისაწვდომია: [https://www.zis-online.com/dat/artikel/2014\\_12\\_871.pdf](https://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf)



„არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ყველა რეგულირების ბაზისზე“.<sup>14</sup> აღნიშნული ხედვა მით უფრო მიესადაგება ისეთ ბავშვთა მიმართ მოპყრობის საკითხს, რომელთაც ასაკის გამო არ შეეარა ცხებათ ბრალად მათ მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა, თუნდაც თავისსავე რთული ქცევიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ზრუნვას, დაცვას და აღზრდას საჭიროებენ.

## 1.2. ბავშვთა დაცვის სისტემა

გაეროს ბავშვთა ფონდი ბავშვთა დაცვის სისტემას განმარტავს, როგორც: „კანონთა, პოლიტიკის, რეგულაციათა და სერვისთა ყველა სოციალურ სექტორში განაწილებულ ერთიანობას (განსაკუთრებით სოციალური კეთილდღეობა, განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება), რომელიც ემსახურება რეაგირებასა და პრევენციას. ეს სისტემები ნაწილია სოციალური დაცვისა, თუმცა სცდება მის საზღვრებს. პრევენციულ დონეზე, სეპარაციის, ძალადობისა და ექსპლუატაციის რისკების შესამცირებლად, მიზანს წარმოადგენს ოჯახის დახმარება და გაძლიერება. პასუხისმგებლობები ხშირად გადანაწილებულია სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში, სერვისებს აწოდებენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სათემო ჯგუფები, რის გამოც სექტორებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა, როგორცაა სავალდებულო რეფერირების სისტემა, ბავშვთა დაცვის სისტემის აუცილებელი ნაწილია.“<sup>15</sup>

ეროვნულ დონეზე, საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიხედვით კი ქვეყანაში ფუნქციონირებს ბავშვის ძირითა-

<sup>14</sup> BGHSt, 36, 42; BGH, NStZ 2002, 207 თ. ცქიტვიშვილის სტატიამი: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, სამართლის ჟურნალი # 1 , 2019, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 194.

<sup>15</sup> კანონთან კონფლიქტი მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defence for Children International - ECPAT Netherlands (DCI-ECPAT NL), გვ.8.

დი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემისა და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ერთობლიობაა<sup>16</sup>.

ამდენად, საერთაშორისო ხედვასთან შესაბამისობით, საქართველოს კანონმდებლობითაც, „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერის №681** დადგენილებით, ამ წესის მიზანია რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით.<sup>17</sup> აღნიშნული მიზნის მისაღწევად კოორდინირებულად მომუშავე სისტემის შემუშავებაც ამავე წესის პრეროგატივაა, რამდენდაც იგი განსაზღვრავს რეფერირების პროცესში ჩართული უწყებების (დანესებულების) კოორდინირებულად მუშაობის პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებამოსილებებს“.<sup>18</sup>

ამ დებულებებიდან და განმარტებიდან ამკარაა, რომ ბავშვთა დაცვის სისტემა, რომელიც შეიძლება, კოორდინაციის დონეზე ჩართულობის თვალსაზრისით მოიცავდეს მართლმსაჯულების სისტემასაც, უპირველეს ყოვლისა, თავისი ხასიათით სოციალური დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციის მატარებელია, ძალადობის რისკის შემცირებას პრევენციულ ღონისძიებებით ცდილობს და რაც მთავარია - უშუალოდ უკავშირდება ბავშვთა რეფერირების სისტემას, რაც ამჯერად სტატიის განხილვის საგანს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა მართლსაწინააღმდეგო (**რთულ**) ქცევაზე რეაგირების თვალსაზრისით.

ასევე, ტერმინოლოგიურად, ბავშვთა დაცვის სისტემაში მოიაზრება იმ ბავშვებზე რეაგირება და ზრუნვა, რომლებიც ხასიათებიან რთული ქცევით. კერძოდ, ესაა „ქცევა, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს არასრულწლოვნის უსაფრთხოე-

<sup>16</sup> საქართველოს 2019 წლის „ბავშვის უფლებების კოდექსი“, მუხლი 3 პუნქტი „ვ“.

<sup>17</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 1, ნაწილი პირველი.

<sup>18</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 1, ნაწილი მე-2.

ბას, კეთილდღეობას, მის ჰარმონიულ და სოციალურ განვითარებას, სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან/და მართლწესრიგს. რთული ქცევა შესაძლებელია გამოხატული იყოს არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული საშუალების/ალკოჰოლის მოხმარებაში, მისი ჩართულობით ანტისაზოგადოებრივ, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში, აზარტულ თამაშებში, სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებში“.<sup>19</sup> შესაბამისად, ასეთი ბავშვები რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნებად მოიხსენიება.

### 1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა

ზემოაღნიშნული დეფინიციისგან განსხვავებით, სხვა ტერმინს ამკვირდებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა იმ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებიც, უკვე აღმოჩნდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, ისევე როგორც განსხვავებულია თავად ამ უკანასკნელის განმარტება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას, კერძოდ, იმ ნაწილებს, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს შეეხება.<sup>20</sup> საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებული განმარტებით, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ არის კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროცედურათა, მექანიზმთა და ინსტიტუტთა სპეციფიკურად ორგანიზებული ერთობა, რომელიც შექმნილია ახალგაზრდა ადამიანებისათვის, რომლებიც არიან ეჭვმიტანილნი ან მიჩნეულნი არიან სისხლის სამართლის კანონდამრღვევებად.<sup>21</sup>

<sup>19</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი მე-2, პუნქტი „ბ“.

<sup>20</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defence for Children International - ECPAT Netherlands (DCI-ECPAT NL), გვ. 8

<sup>21</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defence for Children International - ECPAT Neth-

რაც შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განმარტებას, მის ინტერპრეტაციას საერთაშორისო დონეზე ახდენს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10,<sup>22</sup> ხოლო ამ ტერმინის შინაარსობრივ განმარტებას ქართულ სივრცეში ამკ-ის მე-3 მუხლი იძლევა. აღნიშნულის მიხედვით, **კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც: (ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული; (ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეული მუხლებით (რომელიც ამავე ნორმაშია მითითებული) დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.**<sup>23</sup>

ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ბავშვის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენებას ან წახალისებას. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმერი ღონისძიება ყოველთვის იყოს სამართალდამრღვევის და სამართალდარღვევის თანაზომიერი.“<sup>24</sup> ამდენად, ზემოაღნიშნულ განმარტებებიდან შეიძლება განზოგადებულად დავასკვნათ, რომ ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა - მიუხედავად

erlands (DCI-ECPAT NL), გვ. 8

<sup>22</sup> „კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს“ უნოდებს ბავშვებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად.

<sup>23</sup> საქართველოს ამკ-ის მე-3 მუხლი, ნაწილი მე-2.

<sup>24</sup> გაეროს 1985 წლის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), წესი მე-5.

იმისა, ეს ბავშვი კანონთან კონფლიქტში მყოფია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას ექვემდებარება, თუ რთული ქცევის მქონეა და სოციალური დაცვისა და ბავშვთა დაცვის სისტემას ექვემდებარება - ბავშვთა უფლებების ზოგადი ჩარჩოსა და ყოვლისმომცველი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ეს ორი კი გარკვეულწილად შეიძლება ერთმანეთს კვეთდეს და შესაბამისად, ერთგვარად მოიცავდეს კიდეც ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით, როგორც დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და მის სამივე დონეზე განერილი ამოცანებია და რომლებიც, თავის მხრივ, ისევ და ისევ ბავშვის აღზრდას მიემართება მისი სოციალიზაციისა თუ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თვალსაზრისით.

თავი 2. ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი რთული ქცევის მქონე ბავშვები

**არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის** პრიორიტეტულად დაცვა არამხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპია და ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს.

ბავშვის უფლებათა კონვენციაში არ არსებობს არც ერთი დებულება და არაა აღიარებული არც ერთი უფლება, რომელთა მიმართაც ირელევანტური იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის საკითხი.<sup>25</sup>

დიდ დატვირთვას იძენს ამ მუხლის შინაარსის წვდომა, რომლის ინტერპრეტაციაც მისი ფართოდ გაგების საშუალებას იძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა არამხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვის მიმართ მოქმედებს და არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნის მიმართ, არამედ იგი ვლინდება

<sup>25</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child \_ Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values, UNICEF, 1996, გვ.3. იხ: [https://www.unicef-irc.org/publications/pdf/is\\_best\\_interest\\_low\\_eng.pdf](https://www.unicef-irc.org/publications/pdf/is_best_interest_low_eng.pdf)

„ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები“.<sup>26</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია ბავშვის საკუთესო ინტერესების რეალიზების საკითხი ისეთ ბავშვებთან მიმართებით, რომელნიც არ მოხვედრილან სისხლისსამართლებრივ სისტემაში ასაკობრივი უმწიფრობის გამო, თუმცა მათ მიერ ჩადენილი ქმედება მოიცავს დანაშაულის ნიშნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მიერ მართლსაწინააღმდეგოდაა განხორციელებული სსკ-ის ესა თუ ის დანაშაულის შემადგენლობა<sup>27</sup> და მაშასადამე, სახეზეა სისხლისსამართლებრივი უმართლობა<sup>28</sup> და არა დანაშაული, უასაკობიდან გამომდინარე შეურაცხაობის გამო.<sup>29</sup> არასრულწლოვანს პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, იგი უნდა საკმარისად მომწიფებული უნდა იყოს იმისათვის, რომ ქმედების უმართლობა შეიგნოს და ამის მიხედვით იმოქმედოს.<sup>30</sup>

ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობაში **განხორციელებული ისეთი ცვლილება, როგორცაა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა** კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე რეაგირების საკითხი. აღნიშნული დიდი ხნის განმავლობაში განსჯის საგნად იყო ქცეული და მის გადასაწყვეტად გამოსავლის ძიებასაც

<sup>26</sup> გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 3. ნაწილი 1.

<sup>27</sup> ნაჭყებია გ., ნიგნში: „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“, ავტორთა ჯგუფი, მეოთხე გამოცემა, 2019, გვ.184-186.

<sup>28</sup> უმართლობის საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ: ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989.

<sup>29</sup> თოდუა ნ., ნიგნში: „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“, ავტორთა ჯგუფი, მეოთხე გამოცემა, 2019, გვ. 330-333.

<sup>30</sup> Meier B., Rössner D., Trüg G., Wulf R. (Hrsg.), Jugendgerichtsgesetz, 2 Aufl., Baden-Baden, 2014, § 3 Rn. 2. თ. ცქიტიშვილის სტატიაში: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, სამართლის ჟურნალი № 1, 2019, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 198.

საკმაო ძალისხმევა დაეთმო. დღესდღეობით კი, უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი არასრულწლოვანთა რეფერირების სისტემის მეშვეობით, შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება ასეთი ბავშვების მიმართ. თუმცა, ვიდრე ამგვარ საშუალებებს მიმოვიხილავდე, ცალკე უნდა გამოიყოს ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლის აუცილებელ გათვალისწინებასა და პრაქტიკულ ინტეგრირებასაც უნდა ემსახურებოდეს ასეთ ბავშვთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებები. ეს კომპონენტი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა.

„არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის“ პრინციპი არამარტო მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ და პროცესის მონაწილე პირებს ავალდებულებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლის გათვალისწინებას, არამედ თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობაც შესაბამისობაში უნდა იყოს აღნიშნულ პრინციპთან, რადგან სწორედ კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვნის უფლებათა დაცვის მყარი გარანტიების შექმნას, რაც გადანყვეტილების მიმღებ პირს ბოჭავს ვალდებულებით, იმოქმედოს არარულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული კანონის ნორმების შესაბამისად.<sup>31</sup> თუმცა, საკითხავია, ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, რამდენადაა შესაძლებელი ამკ-ის მე-4 მუხლით გარანტირებული „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის“ პრინციპის, - რომლის უპირატესი ხარისხი, აღნიშნული მუხლით უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უნდა გამოვლინდეს, - გავრცელება ისეთ შემთხვევებზე, როცა ხორციელდება არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი,<sup>32</sup> არამედ ხდება პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი

<sup>31</sup> შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 268.

<sup>32</sup> ეს პროცესი ამკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით განმარტებულია როგორც: „ არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარ-

არასრულწლოვნის რეფირირება სსიპ - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სპეციალურ სტრუქტურულ ერთეულში - არასრულწლოვანთა რეფირირების ცენტრში?

ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად და სწორი ინტერპრეტაციისათვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა დაცვის სფეროში მოქმედ ეროვნულსა და საერთაშორისო კანონმდებლობას უნდა მივმართოთ.

## 2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესი, როგორც ბავშვთა უფლებების ფართო ჩარჩო

ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრაქტიკაში გათვალისწინების ადრეული ჩანასახი ბავშვის მეურვეობის საკითხების განხილვისას ამ საკითხთა ბავშვის საკეთილდღეოდ გადანყვეტას უკავშირდება.<sup>33</sup> შედარებით მოგვიანებით, 1800-იანი წლების მიწურულს, აშშ-ში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი იწყებს განვითარებას, როგორც *parens patriae* დოქტრინის ასპექტი. 1900-იანი წლებიდან ეს პრინციპი გავრცელდა ბავშვების საკითხის გადანყვეტასთან დაკავშირებულ ბევრ კანონსა თუ პოლიტიკაზე.<sup>34</sup> 1920-იან წლებში აშშ-ის თითქმის ყველა შტატს ჰქონდა არასრულწლოვანთა სასამართლო. ეს სასამართლოები, თავიანთ საქმიანობაში სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. არასრულ-

---

ღვევის საქმის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მათ შორის, დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმის სასამართლოში განხილვა, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება და რესოციალიზაციარეაბილიტაცია“.

<sup>33</sup> შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 268.

<sup>34</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013, გვ. 18.



წლოვანთა მართლმსაჯულების მთელი სისტემა კი, შეერთებულ შტატებში, *parens patriae* კონცეფციას ემყარებოდა.<sup>35</sup> დღესდღეობით ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპი ფართოდ გამოიყენება ბავშვებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებთან, როგორცაა: შვილად აყვანა, ბავშვთა დაცვა, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები, არასრულწლოვანთა მეურვეობა, ბავშვთა შრომა, ლტოლვილთა საკითხის განსაზღვრა და სამედიცინო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. საბოლოოდ კი, ეს პრინციპი ეროვნული სამართლიდან საერთაშორისო სამართალში გავრცელდა.<sup>36</sup> აღნიშნული პრინციპის ბავშვთა უფლებათა კონვენციაში უმთავრეს პრინციპად ჩადება კი მისი ფართო აღიარების საფუძველი იყო აღნიშნული კონვენციის რატიფიკაციის პრაქტიკულად უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე.

ამჯერად, სტატიის მიზნებთან შესაბამისობით, ინტერესი მიემართება ხსენებული პრინციპის ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემაში გამოყენების საკითხს. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ კონვენციის შექმნამდე არსებული აქტებიც, ბავშვის კეთილდღეობაზე აქცენტირებით, სწორედ აღნიშნული პრინციპის პრიორიტეტულად განხილვის აუცილებლობას უსვამდნენ ხაზს.<sup>37</sup>

დღესდღეობით, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „ბავშვის ქვამარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფას. ხოლო გამოსავლის ძიების კრიტერიუმი - გადაწყვეტილების

<sup>35</sup> Heinrich B., Kherkheulidze I., *Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems*, On the basis of comparison of German, Georgian and the U.S. juvenile law, Berlin, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 2014, გვ.610. ხელმისაწვდომია: [https://www.zis-online.com/dat/artikel/2014\\_12\\_871.pdf](https://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf)

<sup>36</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, 2013, გვ. 18.

<sup>37</sup> შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 270.

მიღების დროს ყველა იმ შესაძლო გამოსავლის მოძიებასა და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებას, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება“.<sup>38</sup>

რთულია, არ დაეთანხმო ამ სწორ ინტერპრეტაციას, ისევე როგორც წარმოუდგენელია იმის დაშვება, რომ ამგვარი „უპირატესობით“ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სისტემის ქვემდებარე, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სარგებლობენ. ხოლო ისინი, რომელთაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევამდე, კანონსაწინააღმდეგო ქმედება სოციალური კომპეტენციის ნაკლებობისა თუ არახელსაყრელ გარემოში განვითარების გამო ჩაიდინეს, მოკლებულნი არიან თანმიმდევრულ დისციპლინას და ცალსახად საჭიროებენ ადექვატურ აღზრდასა და დახმარებას.

ლიტერატურაში სწორად შენიშნავენ, რომ „ზოგჯერ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას საფუძვლად უდევს არასრულწლოვნის განვითარებაში არსებული პრობლემები, ხოლო რიგ შემთხვევებში წამყვან როლს ასრულებს აღზრდის ნაკლებობა“.<sup>39</sup> ამდენად, ზემოთნახსენებ კონტროლსა და გამოსავლის ძიებას, პირველ რიგში, სწორედ ამ გადასახედიდან უნდა შევხედოთ და ასეთ ბავშვებს უნდა მიემართებოდეთ აღნიშნული ზომები, რათა სამომავლოდ არ აღმოჩნდნენ ისინი რეციდვის რისკის წინაშე. ამ მიმართებით, აუცილებლობით გასათვალისწინებელი ფაქტორია მეორე დონის პრევენცია და შესაბამისი ეფექტური ღონისძიებანი.<sup>40</sup> მეორე დონის პრევენციის პროგრამების მთავარი მიზანი რისკის ფაქტორების დროული იდენტიფიცირება, მათი განეიტრალება და, ამავედროულად, ბენეფიციარის ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გა-

<sup>38</sup> ფუჩკოვიჩი შაპოვიჩი ნ., დოეკი ი., ცერმატინი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, თსუ, თბილისი, 2015, გვ.111-112.

<sup>39</sup> თ. ცქიტიშვილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, სამართლის ჟურნალი № 1, 2019, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 193.

<sup>40</sup> ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №1, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი, გვ. 44-46.

ძლიერებაა. ეს ყოველივე, გარკვეულ შემთხვევებში, მესამე დონის პრევენციის პროგრამების გამოყენების საჭიროების შემცირების წინაპირობაა. ასეთი, მაგალითად, გულისხმობს მოზარდობის ასაკში რთული ქცევის დროულ იდენტიფიცირებას, შემდეგ ამ რთული ქცევის სწორად მართვას; ბავშვების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ დროს ოჯახის გაძლიერება, მშობლების ან სხვა მზრუნველი პირების რთული ქცევის მართვის უნარებით აღჭურვა. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება შეეხებოდეს, ზოგადად, ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გაძლიერებას.<sup>41</sup>

ასევე, ცნობილია, რომ „საუკეთესო ინტერესების ტესტი“ მოითხოვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას<sup>42</sup>. ამ განმარტებიდან გამომდინარე, მით უფრო დაუშვებელია, არ ვიზრუნოთ იმ ბავშვების სოციუმში უმტკივნეულო ინტეგრაციაზე, რომელთაც სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის მინიმალური ასაკისთვის არ მიუღწევიათ, მაგრამ თავისი რთული ქცევის გამო, მათსა და საზოგადოებას შორის უფსკრულის გაჩენის დიდი რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ბავშვთა ყველა უფლებით ეფექტური და სრული სარგებლობა, ისე ბავშვის ჰოლისტიკური განვითარება.<sup>43</sup>

შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესი მხოლოდ არას-

<sup>41</sup> ჯავახიშვილი ლ., ბარამია მ., განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია, წიგნში: „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“, პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, „interne-Senel general servisi“, თბილისი, 2021. გვ. 51.

<sup>42</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (“იუნისეფი”), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 34.

<sup>43</sup> General comment No. 14 on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), 2013, გვ. 3, პარაგრაფი 4.

რულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ამ ინტერესთა პრიმატზე არ დაიყვანება. მიღებულია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები 3 მიმართულე-ბით უნდა გავიგოთ. კერძოდ, როგორც:

ა) არსებითი უფლება - რაც ნიშნავს ბავშვის უფლებას, პირველ რიგში იქნეს შეფასებული და გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები მაშინ, როდესაც განიხილება სხვადასხვა ინტერესები სადავო საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად და რაც, ასევე ნიშნავს გარანტიას იმისა, რომ აღნიშნული უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანყვეტილების მიღება ხდება ცალკეული ბავშვის, ბავშვთა იდენტიფიცირებული თუ არაიდენტიფიცირებული ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების მიმართ.

ბ) ფუნდამენტური, ინტერპრეტაციული სამართლებრივი პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ: თუ სამართლებრივი დებულება იძლევა ერთზე მეტი ინტერპრეტაციის გაკეთების საშუალებას, ის ინტერპრეტაცია უნდა შეირჩეს, რომელიც ყველაზე ეფექტურად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

გ) პროცედურული წესი, რომელიც გულისხმობს რომ: როდესაც ისეთი გადანყვეტილება მიიღება, რომელიც გავლენას მოახდენს კონკრეტული ბავშვზე, ბავშვების იდენტიფიცირებულ ჯგუფსა თუ ზოგადად ბავშვებზე, ასეთი გავლენის მქონე გადანყვეტილების მიღებისას, მისი მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ბავშვზე ამ გადანყვეტილების შესაძლო პოზიტიური თუ ნეგატიური ზემოქმედების შეფასებას. საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს პროცედურულ გარანტიებს.<sup>44</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ზემოაღნიშნული ყოვლისმომცველი განმარტებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ უნდა მოხდეს ამ ინტერესის პრაქტიკული რეალიზაცია იმ ბავშვებთან მიმართებითაც რომელთაც ემოციური, ბილოგიური თუ ფსიქიკური უმნიფრობისა და აღზრდისათვის არახელსაყრელ გარემო პირობებში ცხოვრების გამო კიდევ უფრო მეტად ესაჭიროებათ ხელშეწყობა

<sup>44</sup> General comment No. 14 on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), 2013, გვ. 4. პარაგრაფი 6.

- რაც მათი აღზრდის, განათლებისა და განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სწორ შერჩევაში გამოიხატება.

საერთაშორისო აქტების შესაბამისად, ბავშვის განვითარების დონესა და მომნიშვნელობის ხარისხს ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობა თავის სპეციფიურ წესებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ კონკრეტული ზომების გამოყენებისას. მაგალითისათვის, როდესაც შეზღუდულ შერაცხადობაზე მითითებით ხდება კონკრეტულ საქმეში ბავშვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ან თუნდაც ბრალის შემსუბუქება, ასეთ შემთხვევაში, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება მისი ასაკიც, „ვინაიდან გონებრივი და სულიერი სიმწიფის თვალსაზრისით, 14 წლის ასაკს მიღწეული პირის ბრალუნარიანობა ნაკლებია, ვიდრე 17-დან 20 წლამდე პირისა“.<sup>45</sup>

მიუხედავად ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის პრინციპის ასეთი ფართო არეალისა, მასზე აქცენტს მეტწილად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან“ მიმართებით აკეთებდნენ და შედარებით მოგვიანებით გამოჩნდა იგი ბავშვის უფლებების დამცველ ქართულ კანონმდებლობაში. თუმცა, სადღეისოდ ქართველმა კანონმდებელმა **არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების თითქმის იდეტური დეფინირება მოახდინა ბავშვთა საკითხების მარეგულირებელ რელევანტურ ინსტრუმენტებში, განმარტა რა იგი ამკს-სა<sup>46</sup> და არასრულწლოვანთა რეფერირების წესში<sup>47</sup>**, მხოლოდ იმ ერთი სხვაობის გათვალისწინებით, რაც ეხება სოციალიზაციის პრობლემას, რამდენადაც პირველში აქცენტი რე-სოციალიზაციაზე, მეორეში კი სოციალიზაციაზეა გაკეთებული,

<sup>45</sup> Meier B. -D., Rössner D., Schöch H., *Jugendstrafrecht*, 3 Aufl., München, 2013, 224, §11 II, Rn. 18, თ. ცქიტიშვილის სტატიაში: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლის სამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, სამართლის ჟურნალი № 1, 2019, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 215.

<sup>46</sup> ამკ, მუხლი 3, პუნქტი 4.

<sup>47</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, მუხლი 2, პუნქტი ზ.

რომელთა მიჯნაც, ისევე და ისევე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გადის.

თავის მხრივ, ბავშვის უფლებათა კონვენციაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე, როგორცაა ბავშვის დაცვაზე ზრუნვა, არამედ ყველა ქმედებაზე, რომელიც ეხება ბავშვს.<sup>48</sup> უფრო მეტიც, „არსებობს მიდგომა, რომ საუკეთესო ინტერესების პრინციპი აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ყოველ ჯერზე, თუ მისი გაუთვალისწინებლობა ბავშვთა უფლებების სათანადო განხორციელებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს, შესაბამისად, არსებობს ამ სტანდარტის დანერგვის ძლიერი პოლიტიკური მიზეზები“.<sup>49</sup>

ამდენად, აღნიშნული პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ როგორც სისხლის სამართლის სისტემასთან შეხების მქონე, ისე მის გარეთ მდგარ ისეთ ბავშვთა მიმართაც, რომელთაც მათივე საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების, რთული ქცევის, აღზრდისათვის არახელსაყრელი გარემოსა თუ სხვა პერსონალური პრობლემის გამო სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მიდგომა ესაჭიროებათ.

---

<sup>48</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013, გვ. 18.

<sup>49</sup> Freeman M., Article 3. The Best Interests of the Child, წიგნში: A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Andre Alen -ის, Johan Vande Lanotte -ის, Eugene Verhellen-ის, Fiona Ang, Eva. Berghmans-ის და Mieke Verheyde -ის რედაქტორობით, (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2007), გვ. 32-33, ციტირებულია მ. ბობოხიძის სადისერტაციო ნაშრომიდან: „ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები“, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, 2020 გვ. 36. <https://ug.edu.ge/storage/dissertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf>

### 1.1.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპის გათვალისწინება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენისას

თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესს უშუალოდ სისხლის სამართლისა და შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქრილში შევხვდავთ, მაშინ განსაკუთრებული ყურადღება კონვენციის 37-40-ე მუხლებს უნდა დაეთმოს, რადგან ისინი “არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართალწარმოების საკითხების რეგულირებისას წარმართველ პრინციპად სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს განიხილავს”.<sup>50</sup> საყოველთაოდ ცნობილია, რომ “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, უპირველესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს. ბავშვები ზრდასრულებისგან განსხვავდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით.”<sup>51</sup> სწორედ ამ ბიო-ფსიქოლოგიური განსხვავებების გამო ექცევა განსაკუთრებული ყურადღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ადექვატურად განსაზღვრას, რომელიც არ უნდა იყოს ძალიან დაბალი. <sup>52</sup> საქართველოში ასეთ ასაკად მიჩნეულია 14 წელი. ეს არის მოზარდობის ასაკი, ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდი, როდესაც ხდება მნიშ-

<sup>50</sup> შევილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, გვ. 271.

<sup>51</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defence for Children International - ECPAT Netherlands (DCI-ECPAT NL), გვ. 18.

<sup>52</sup> რეკომენდებული არ არის პასუხისმგებლობის ასაკის ქვედა ზღვარი დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მონიფულობის ფაქტის გათვალისწინებით - პეკინური წესები, მე-4 წესი; კომიტეტი მონაწილე ქვეყნებს ურჩევს, არ დაიყვანონ მინიმალური ასაკი 12 წლამდე - ზოგადი კომენტარი №10, პარა. 33.

ენელოვანი ძვრები არასრულწლოვნის ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფუნქციონირებაში. მისი გარეგნობის, ემოციური ცხოვრების, ქცევების რადიკალური ცვლილებები სერიოზული გამონვების წინაშე აყენებს როგორც მოზარდს, ასევე მის გარემოცვას. მოზარდობის ასაკი ხშირად განიხილება, როგორც არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის ერთერთი რისკფაქტორი. კანონსწინააღმდეგო ქცევა იმ ბიოფსიქოსოციალური ფაქტორების ერთობლიობის შედეგია, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მოზარდზე.<sup>53</sup> ამიტომაც არის საზოგადოდ აღიარებული, რომ ბავშვის ასაკი და განვითარება გადამწყვეტ როლს ასრულებს მის მიმართ გასატარებელ ღონისძიებათა შერჩევასა და განსაზღვრაში.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანტისოციალური საქციელი იმდენად ჩვეული ქმედებაა არასრულწლოვანთათვის, რომ ზოგიერთი ავტორი მას „ნორმალურ“ ქვევად განმარტავს ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის.<sup>54</sup> გამოდის, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო მიიჩნევა საზოგადოების ნორმალურ გამოვლინებად.<sup>55</sup> თუ ეს ასეა, მაშინ როდის შეიძლება ჩაითვალოს, რომ დამთავრდა ბავშვობა და დგება მოწიფულობის ხანა? ადამიანის მენტალური და ფიზიოლოგიური განვითარების რომელ ფაზაში ჩაითვლება ადამიანი სრულწლოვანებას მიღწეულად? ბიო-ფსიქოლოგიური თავისებურებები

---

<sup>53</sup> ქორიძე ნ., განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულები დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემაში, წიგნში: „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“, პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, „ინტერნეტენელ ჯენერალ სერვისი“, თბილისი, 2021, გვ. 143-144.

<sup>54</sup> Moffitt T.E., Natural Histories of Delinquency in Cross-National longitudinal research on human development and criminal behavior, Elmar G.M. Weitekamp & Hans-Jurgen Kerner eds., 1994, 3, გვ. 29.

<sup>55</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, გვ.18.



რამდენად ასხვავებს არასრულწლოვანს სრულწლოვანისაგან?<sup>56</sup>

ამ კითხვებზე პასუხად უნდა ითქვას, რომ „ბავშვთა განვითარებისა და ნეირომეცნიერების სფეროებში დოკუმენტირებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ 12-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებში მომნიშვნელოვანია და აბსტრაქტული მსჯელობის უნარი განვითარების ფაზაშია და ეს ხდება იმის გამო, რომ მათი თავის ტვინი ჯერ კიდევ ვითარდება. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ასაკში მათ ესმოდათ საკუთარი ქმედების შედეგები ან აცნობიერებდნენ სისხლის სამართლის პროცესის არსს.<sup>57</sup> არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა მოითხოვს მონიჭებულობის განსაზღვრულ ხარისხს, რომელიც მას ანიჭებს ქმედების აკრძალვის გაცნობიერების და მის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობას.<sup>58</sup>

ამიტომაცაა საყურადღებო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის სახელმწიფო ვალდებულება, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციითა დადგენილი.<sup>59</sup> ამასთან, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს 12 წელზე ნაკლები.<sup>60</sup> U კომიტეტი, თავის ზოგად კომენტარში №20 „მოზარდობის პერიოდში ბავშვის უფლებების განხორციელების შესახებ“, **იძასაც აღნიშნავს**, რომ მოზარდობა არის ადამიანის განვითარების უნიკალური განმსაზღვრელი ეტაპი, რომელიც ხასიათდება ტვინის სწრაფი განვითარებით და ეს გავლენას ახდენს რისკის განწევაზე,

<sup>56</sup> ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2012, გვ. 297.

<sup>57</sup> General comment No. 24 on children's rights in the child justice system, (2019), პარაგრაფი 22.

<sup>58</sup> Meier B. -D., Rössner D., Trüg G., Wulf R. (Hrsg.), Jugendgerichtsgesetz, 2 Aufl., Baden-Baden, 2014, 65, §3 Rn. 7. თ. ცქიტვიშვილის სტატიაში: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, სამართლის ჟურნალი № 1, 2019, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 198.

<sup>59</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40(3)(a).

<sup>60</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 10, პარაგრაფი 32, 33.

გადაწყვეტილების მიღებისა და იმპულსების კონტროლის უნარზე.<sup>61</sup>

ამდენად, მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებენ გაითვალისწინონ უახლესი სამეცნიერო აღმოჩენები და შესაბამისად გაზარდონ მათი მინიმალური ასაკი სულ მცირე 14 წლამდე. უფრო მეტიც, განვითარებისა და ნეირომეცნიერების მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ მოზარდის ტვინი აგრძელებს მომწიფებას თინეიჯერობის წლების შემდგომაც, რაც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. ამიტომ, კომიტეტი იხონებს იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებსაც დაწესებული აქვთ მინიმალური ასაკის უფრო მაღალი ზღვარი მაგალითად, 15 ან 16 წელი. ამასთან, იგი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს არავითარ შემთხვევაში არ შეამცირონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი კონვენციის 41-ე მუხლის გათვალისწინებით.<sup>62</sup> უფრო მეტიც, ასაკსა და არასრულწლოვნებსა და სრულწლოვნებს შორის ბიოფსიქოლოგიური განსხვავებების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, რამდენად მართებულია ის მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სისხლის სამართალში არსებულ რეტრიბუტივისტულ, ინდივიდუალური პრევენციისა და სარეაბილიტაციო მოდელებს.<sup>63</sup>

ამდენად, სწორედ ბავშვის ასაკია ის კრიტერიუმი, რაც მათ მიმართ განსაკუთრებული მიდგომის, სპეციფიური კანონებისა და სპეციალიზებული პერსონალის და დაწესებულებების არსებობას განაპირობებს. ამ გადასახედიდან, მით უფრო საპასუხისმგებლოა მიდგომა იმ ბავშვებთან მიმართებით, - მათი საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებით, - რომელთაც არ მიუღწევიათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისათვის.

<sup>61</sup> იხ: General comment No. 20 (2016) on the implementation of the rights of the child during adolescence.

<sup>62</sup> General comment No. 24 on children's rights in the child justice system, (2019), პარაგრაფი 22.

<sup>63</sup> Slobogin C., Fondacar M. R., Juveniles at risk, A Plea for Preventive justice, Oxford University press, 2011, გვ.14.

### 1.1.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვნებთან ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპით მოქმედება ბავშვთა დაცვის სისტემაში

ზემოთ აღწერილი პერსპექტივიდან, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ გაცემული ზოგადი კომენტარი N14, ეხება რა 3(1) მუხლს ბავშვის საუკეთესო ინტერესის ურზუნველყოფის კონტექსტში, აქცენტს სწორედ ბავშვზე ზრუნვის გადაწყვეტილების მიღებისას ამ უფლების გათვალისწინების რელევანტურობაზე აკეთებს.<sup>64</sup> კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება არის უნიკალური აქტივობა, რომელიც უნდა განხორციელდეს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში, თითოეული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები უკავშირდება ბავშვის ან ბავშვების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორცაა, *inter alia*, ასაკი, სქესი, სიმწიფის დონე, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის ქონა; ასევე უკავშირდება სოციალურ და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც იმყოფება ბავშვი, და როგორცაა მშობლების ყოფნა-არყოფნის საკითხი, ბავშვის მშობლებთან ერთად ცხოვრების საკითხი, ბავშვსა და მის ოჯახს ან მომვლელებს შორის ურთიერთობის ხარისხი, გარემოს უსაფრთხოების საკითხი, ისეთი ხარისხიანი ალტერნატიული საშუალებების არსებობა, რაც ხელმისაწვდომია ოჯახის ან მომვლელებისთვის.“<sup>65</sup> ამდენად, ითვალისწინებს რა ასაკის დიდ მნიშვნელობას, ბავშვთა უფლებათა კომიტეტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისასთვის 12 წელზე მცირე ასაკის დადგენას საერთაშორისო თვალსაზრისით მიუღებლად მოიხსენიებს. შესაბამისად, არ შეიძლება პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის სამართლებრივ დევნაში გადაცემა.

<sup>64</sup> იხ: General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1)

<sup>65</sup> ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/library/social-welfare-systems/child-care-and-protection-policies/un-crc-general-comment-no-14-2013-on-the-right-of-the-child-to-have-his-or-her-best-interests-taken>

ასეთი ბავშვების მიმართ შესაძლოა გატარდეს სხვა ინტერვენციული ღონისძიებები, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამგვარ ღონისძიებებს განეკუთვნება: საგანმანათლებლო, სამეურვეო, სამეთვალყურეო და სხვა. ინსტიტუციაში მოთავსება მხოლოდ უკანასკნელ ზომად უნდა იქნეს გამოყენებული (CRC) მუხლები 37(ბ) და 20(3)).<sup>66</sup> ამასთან, რეკომენდაცია N24 სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესაბამისი მინიმალური ასაკის განსაზღვრის ვალდებულების გარდა, ასევე ადგენს ამ ასაკის ორივე მხარეს მყოფი, ანუ მასზე მეტი ან ნაკლების ასაკის ბავშვების სათანადო მოპყრობის უზრუნველყოფას.<sup>67</sup>

ამდენად, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა მართოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მისი გამოყენებით არ იზღუდება და მხედველობაში მიიღება რთული ქცევის მქონე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ზღვარს ქვევით მყოფ ბავშვთა მიმართაც ნებისმიერი ღონისძიების გატარებისას, რაც მის აღზრდასა და კეთილდღეობას ეხება. ამ სულისკვეთებით და აღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებთან სრული შესაბამისობით, უკანასკნელ წლებში, საქართველოში, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმის კონცეფცია. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ.<sup>68</sup> აღნიშნული კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველმყოფი

<sup>66</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defence for Children International - ECPAT Netherlands (DCI-ECPAT NL), გვ.21.

<sup>67</sup> General comment No. 24 on children's rights in the child justice system, 2019, პარაგრაფი 6, პუნქტი (ი).

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, თბილისი, 2020, გვ 156.

სამართლებრივი დოკუმენტი, „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაციის, რესოციალიზაციის რეაბილიტაციისა და დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ყველა ღონისძიებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე აფუძნებს, სხვა ისეთ პრინციპებთან ერთად როგორცაა ჰარმონიული განვითარების, ინდივიდუალური მიდგომის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობის პრინციპები.<sup>69</sup>

„არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბერის №681 მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა. ამავე კონცეფციის ხელშესაწყობად, ცვლილებების მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრიდან სსიპ - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ფარგლებში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და ასევე დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე პირთა მიღებაზე, შეფასებაზე, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე, შემდგომში სერვისების მიწოდებასა და ასევე რეფერირებაზე.<sup>70</sup> ამით სახელმწიფომ გაითვალისწინა ე.წ. რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტია და ხაზს უსვამს დელინკვენტობის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკის მნიშვნელობას, რომლის მიზანია, არ დასაჯოს ბავშვი იმ ქცევისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად არ აზიანებს სხვათა კეთილდღეობასა და განვითარებას.<sup>71</sup>

<sup>69</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, მუხლი 1, პუნქტი 3.

<sup>70</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, თბილისი, 2020, გვ 157.

<sup>71</sup> გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, ძირითადი პრინციპები, პუნქტი 5.

**თავი 3. არასრულწლოვანთა რეჟირირების სისტემის მეშვეობით  
სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევალ  
ბავშვთა მართლსაწინააღმდეგო (რთული) ქცევის მართვა**

**3.1. არასრულწლოვანთა რეჟირირების სისტემა, სამიზნე ჯგუფი და კანონმდებლობა** „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით: „რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციის, რე-სოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეული – არასრულწლოვანთა რეჟირირების ცენტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს არასრულწლოვანთა რეჟირირების სისტემის კოორდინაციას<sup>72</sup>.

ვინაიდან, ფართო გაგებით, არასრულწლოვანთა რეჟირირების ცენტრის საბოლოო მიზანი, არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილება, ცენტრის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს, როგორც: (ა) 7-დან 14 წლამდე ასაკის ის არასრულწლოვნები, რომლებთან მიმართებაშიც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, ისე (ბ) რთული ქცევის მქონე 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი, ან მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა.<sup>73</sup>

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა რეჟირირების წესის მიზნების მისაღწევად რეჟირირების ცენტრი განყენებულად არ

<sup>72</sup> „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 73 მუხლი, პუნქტი პირველი.

<sup>73</sup> არასრულწლოვანთა რეჟირირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 2.

ფუნქციონირებს, არამედ იგი წარმოადგენს რეფერირების სისტემის ნაწილს და მულტიგუნდურ საქმიანობაშია ჩართული. რეფერირების სისტემა აერთიანებს ცენტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ სამინისტროთა მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს პროკურატურასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებს.<sup>74</sup>

შესაბამისად, მრავალფეროვანია საკანონმდებლო ველი, რომლის მეშვეობითაც დღესდღეობით საქართველოში არასრულწლოვანთა რეფერირება ხორციელდება. კერძოდ, რეფერირების პროცედურები მიმდინარეობს: „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №485 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.<sup>75</sup>

<sup>74</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 3, პუნქტი 1.

<sup>75</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 2.

### 3.2. არასრულწლოვანთა რეფერირების სისტემაში მონაწილე უწყებებთან ფუნქციები და რეფერირების პროცედურები

არასრულწლოვანთა რეფერირების სისტემის ფუნქციონირების მულტიგუნდური ხასიათიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განერილია ამ სისტემაში მონაწილე უწყებების/დანესებულებების ფუნქციები და რეფერირების პროცედურის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებანი. ამ კუთხით კანონით დადგენილი ჩამონათვალი ფართოა როგორც რელევანტურ უწყებათა, ისე შესასრულებელ ფუნქციათა თვალსაზრისით.

კერძოდ, რეფერირების პროცედურის ფარგლებში, ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მეშვეობით, რომელიც რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას შესაძლებლობას იძლევა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში რეფერირება შესაძლოა მოახდინონ: (ა)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ხოლო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას – საქართველოს პროკურატურამ (არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში); (ბ)სპეციალურ პენიტენციურ სამსახურმა იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი პენიტენციურ დანესებულებას ტოვებს პირობითი მსჯავრის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების გარეშე და ნებაყოფლობით არ ერთვება „ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში“ და (გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, აგრეთვე, მათი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა და საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებმა / სკოლებმა.<sup>76</sup>

შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში, ცენტრმა უკვე დაი-

<sup>76</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 4.




წყო სხვადასხვა სისტემიდან რეფერირებული არასრულწლოვნების საქმეების მართვა.<sup>77</sup> რეფერირების **სისტემაში მონაწილე უწყებების/დანესებულებების** ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი **ფუნქციებიდან** გამომდინარე, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი არასრულწლოვნების საქმეების შესახებ მომართვებს იღებს სხვადასხვა უწყებათაგან, მთელი საქართველოს მასშტაბით. კერძოდ, „2020 წლის განმავლობაში ცენტრში მომართვა შემოვიდა 57 არასრულწლოვნის საქმეზე (20 გოგონა და 37 ბიჭი). 31 შემთხვევისას მომართვის ინიციატორია საქართველოს პროკურატურა, 14 შემთხვევა გადმომისამართდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 4 შემთხვევა - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ, 4 შემთხვევა - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, 2 შემთხვევა - სსიპ საგანმანათლებლო დანესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, 2 შემთხვევა კი არის სსიპ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის დატოვების შედეგად ცენტრში რეფერირებული (იხ. დიაგრამა)“.<sup>78</sup>

<sup>77</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 2.

<sup>78</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 4.

დიაგრამა №1. გადმომისამართებული შემთხვევების რაოდენობა უწყებების მიხედვით.



### 3.3. არასრულწლოვანთა რეფერირების ეტაპები

არასრულწლოვანთა რეფერირების ეტაპები, რომლებიც განსხვავებული, მრავალსაფეხუროვანი, მრავალფუნქციურია და რომელიც მისი საქმიანობის პირველ ეტაპად რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებასა და მის შესახებ ინფორმაციის ცენტრისთვის მიწოდებას ისახავს მიზნად, - ბავშვის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნას, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ულტიმა რატიო, ისე მიმართავს.<sup>79</sup>

რთული ქცევის მქონე ბავშვების არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ გადანყვეტილების მიღებასთან, აღსრულებასა და გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის X2 თავი „არასრულწლოვანთა რეფერირება“.

საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ბავშვის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნა, განიხილავს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი.<sup>80</sup> იმ საკითხს კი, თუ ვინ შეიძლება გაიგზავ-

<sup>79</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, მუხლი 3, პუნქტი 2 „ა“ და „ზ“.

<sup>80</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი2.

ნოს არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში, განსაზღვრავს „განათლების შესახებ კანონი“, რომელიც ადგენს, რომ: არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში შესაძლებელია გაიგზავნოს 10 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანი სპეციალისტთა ჯგუფის შესაბამის შუამდგომლობაში მითითებული ვადით. ამასთან, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ასეთ პროცედურას კანონი უშვებს მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>81</sup>

**არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულება** არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ნახევრად დახურული სააღმზრდელო დაწესებულება“.<sup>82</sup> ბავშვის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელსაც არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი<sup>83</sup> განიხილავს, კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება დადგეს. თუმცა, შესაბამის მუხლში ჩამოთვლილ ასეთ შემთხვევათაგან ყველაზე მძიმე, და სტატიის მიზნებიდან გამომდინარე რელევანტურია, შემთხვევა როცა: „დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასტურდება არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული განზრახი ქმედების ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.“<sup>84</sup>

რეფერირების დაწესებულებაში არასრულწლოვნების გაგზავნის საკითხის გარდა, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, ასევე, განიხილავს რეფერირების დაწესებულებაში მყოფი აღსაზრდელების დაწესებულებაში ყოფნის ვადის გაგრძელები-

<sup>81</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი 3 .

<sup>82</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 2 პუნქტი „ნ“.

<sup>83</sup> ტექსტში შემოკლებულია როგორც სპეციალისტთა ჯგუფი.

<sup>84</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი 5 პუნქტი (დ).

სათვის საჭირო გადანყვეტილებების მიღების პროცედურებს.<sup>85</sup> ასეთ დროს, ბუნებრივია, ისევე როგორც ამჟამით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმის განხილვის პრაქტიკულად ნებისმიერ ეტაპზე, აქაც დიდი ყურადღევა ეთმობა არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შესაწავლის საკითხს. კერძოდ, „არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას სპეციალისტთა ჯგუფი შეისწავლის არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ მოპოვებულ სხვა დოკუმენტებს, უსმენს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრისადმი მიმართვის ავტორს, თავად არასრულწლოვანს, არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს/ფაქტობრივ მზრუნველს და არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ავტორს. სპეციალისტთა ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიიღოს გადანყვეტილება სხვა პირების მოსმენის შესახებ“.<sup>86</sup>

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნა რეაგირების ყველაზე მკაცრი, უკიდურესი და ბოლო ეტაპია. ამდენად, არასრულწლოვანთა ასეთ დაწესებულებაში გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ გადანყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ღონისძიების გამოყენება არ იქნება საკმარისი რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის სოციალიზაციის, რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მისაღწევად.<sup>87</sup>

რეფერირების დანარჩენი ეტაპები მოიცავს ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამის ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება; არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებ-

<sup>85</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 3.

<sup>86</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი 7.

<sup>87</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი 9.

ში/პროგრამებში ჩართვა ან/და გადამისამართება; ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფა და განვითარება; არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში არასრულწლოვნის მონაწილეობის მონიტორინგი და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელება; შესაბამისი სერვისის/პროგრამის დასრულების შემდეგ მონიტორინგის განხორციელება.<sup>88</sup> ამდენად, როცა სპეციალისტთა ჯგუფის მიიჩნევს, რომ მიზანშეუწონელია არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დანესებულებაში გაგზავნა და ამის თაობაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, ამ გადაწყვეტილებით განისაზღვრება არასრულწლოვნის სხვა რომელიმე ისეთ სერვისში/პროგრამაში ჩართვის საკითხიც,<sup>89</sup> რომელიც უკვე აღნიშნა რეფერირების ეტაპების ზემოთმოცემულ ჩამონათვალში.

პრაქტიკული კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემებით, რეფერირების ცენტრში შემოსული და მის მიერ მართულ არასრულწლოვანთა საქმეთა 45 შემთხვევიდან მხოლოდ 1 არასრულწლოვანი გადამისამართდა არასრულწლოვანთა რეფერირების დანესებულებაში მას შემდეგ, რაც ყველანაირი გარე სერვისის ფარგლებში იქნა მცდელობა განეული მისი რესოციალიზაციისათვის, თუმცა აღნიშნული ვერ მოხერხდა. ამდენად, არასრულწლოვნისა და გარშემომყოფების უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნულ 1 შემთხვევაში, დანაშაულის პრევენციისა და რეაბილიტაციის უკიდურეს ზომად მხოლოდ არასრულწლოვანთა რეფერირების დანესებულებაში გაგზავნა და დარჩა.<sup>90</sup> მისასაღებელია, რომ პრაქტიკა მხოლოდ ამ ერთეული შემთხვევითაა წარმოდგენილი.

<sup>88</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 3, პუნქტი 2.

<sup>89</sup> „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 48 7 პუნქტი 12.

<sup>90</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 5.

### 3.4. არასრულწლოვნის რეფერირების პროცესი, მიზეზები და ასაკი

წინა ქვეთავებში აღნიშვნის მიუხედავად, კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ არასრულწლოვნები ცენტრში შეიძლება გადამისამართდნენ სხვადასხვა უწყების მიერ და სხვადასხვა მიზეზთა გამო, ასევე ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის (7-14 წლამდე - უშუალოდ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რაც დადასტურებულია შესაბამისი უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და 10-18 წლამდე ასაკის რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნები - თუ არაა მათ მიმართ ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში განსახორციელებელი ისეთი პროცედურები, როგორცაა განრიდება, სისხლისსამართლებივი დევნა, ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა).

იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული უწყებისთვის/დანესებულებისათვის, რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისას, ან სხვა ეტაპზე, ცნობილი გახდა არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სსკ-ით ან სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების სავარაუდო ჩადენის შესახებ, იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და დადგენილი წესით უზრუნველყოფს ცენტრის ინფორმირებას, ხოლო შსს განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ინფორმაციას აწვდის ცენტრს.<sup>91</sup>


ასეთი რეგულაციის ფონზე საინტერესოა როგორც ცენტრში რეფერირების მიზეზები, ისე იქ გადამისამართებულ ახალგაზრდათა ასაკი.

არასრულწლოვანთა რეფერირების პროგრამაში ჩასართავი სამიზნე ჯგუფის არასრულწლოვანთა დიაგრამაზე წარმოდგენილი ასაკობრივი განაწილება უჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევად ბავშვთა რაოდენობა დისპრო-

<sup>91</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 6, პუნქტი 1.

პორციულად სჭარბობს ამ ასაკის ზევით მყოფ არასრულწლოვანთა რიცხვს. კერძოდ, არასრულწლოვანთა რეფერირების პროგრამაში ჩასართავად ცენტრში რეფერირებულ იქნა 7-13 წლამდე ასაკის 43 ბავშვი და 14-18 წლამდე საკის 14 ბავშვი (იხ. დიაგრამა №2).<sup>92</sup>

დიაგრამა №2. არასრულწლოვნების ასაკობრივი განაწილება.



რა შეეხება ცენტრში გადმომისამართების ძირითადი მიზეზებს, როგორც სტატისტიკა უჩვენებს, 2020 წლის მონაცემებით, ცენტრში გადმომისამართებულ 56 არასრულწლოვანთაგან, საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულებების ნიშნები იკვეთება გადმომისამართებულ შემთხვევათაგან 43 - ში.

25 არასრულწლოვნის შემთხვევაში ვლინდება სსკ 177-ე მუხლის (ქურდობა) 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. 5 არასრულწლოვნის შემთხვევაში - სსკ 178-ე მუხლის ძარცვა) 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები. 1 არასრულწლოვნის საქმეში ფიგურირებს სსკ 137-ე მუხლის (გაუპატიურება) მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. 1 არასრულწლოვნის შემთხვევაში იკვეთება სსკ 151<sup>1</sup>-ე

<sup>92</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 7.

მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. 5 არასრულწლოვნის საქმეში ვლინდება სსკ 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. 1 არასრულწლოვნის საქმეში ვლინდება სსკ 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები; 3 არასრულწლოვნის საქმეში ვლინდება სსკ 138-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. 2 არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ზუსტი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილია საქართველოს შსს-ში.

არასრულწლოვანთა რეფერირების პროგრამის სამიზნე 13 არასრულწლოვნის შემთხვევაში კი გადმომისამართების უმთავრესი მიზეზია რთული ქცევის შემდეგი გამოვლინებები: მავნე ნივთიერებების მოხმარება, სახლიდან გაქცევა, კონფლიქტურობა, აგრესიულობა, თვითდამაზიანებელი ქცევები და სუიციდის მცდელობები, მოუწესრიგებელ სექსუალურ ურთიერთობებში ჩართულობა.

რთული ქცევა (ჩამოთვლილი გარემოებები) თანმხლებად აღნიშნება საქართველოს სსკ გათვალისწინებული ზემოთ ხსენებული დანაშაულებების ჩამდენი არასრულწლოვნების შემთხვევაშიც.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები არასრულწლოვნებში აღნიშნულ იქნა 7 შემთხვევაში. კერძოდ, დიაგნოსტირებულ იქნა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა დიაგნოზებით ოპოზიციურ-გამომწვევი ქცევითი აშლილობა, ქცევისა და ემოციის აშლილობები. ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილება გამოვლინდა 14 არასრულწლოვნის შემთხვევაში.<sup>93</sup>

რეფერირების მიზეზთა მრავალფეროვნება გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ არასრულწლოვნთან მიმართებით მათი საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულად გათვალისწინებას ასეთი ბავშვებისათვის შესაფერისი სერვისის/პროგრამის შერჩევის დროს. ამიტომაც არის, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მზადდება ინდივიდუალური შეფასების ანგარი-

<sup>93</sup> არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2020 წლის ანგარიში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, გვ. 7-8.



ში, რაც რეფერირების სისტემის სამიზნე ბავშვებისათვის ადექვატური სერვისის/პროგრამის შეთავაზების საწინდარია.

კერძოდ, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ცენტრი, შესაბამისი სერვისის/პროგრამის მიმწოდებელ უწყებასთან/დანესებულებასთან ერთად, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან/ფაქტობრივ მზრუნველთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც აისახება არასრულწლოვნის შესაბამის სერვისში/პროგრამაში მონაწილეობის წესი, პირობები, ვადები და რეფერირების ფარგლებში კანონიერი წარმომადგენლის/ფაქტობრივი მზრუნველის ვალდებულებები. ხელშეკრულების მოქმედების ვადას არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით ადგენს ცენტრი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 24 თვეზე მეტი.<sup>94</sup> ცაკლეულ შემთხვევებში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი შეიძლება იყოს ისიც, რომ არასრულწლოვნისთვის შესაბამისი სერვისის/პროგრამის განსაზღვრისას ცენტრმა, -ცხადია, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, - მოახდინოს შერჩეულ სერვისში/პროგრამაში არასრულწლოვნის ოჯახის წევრ(ებ)ის ჩართვაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების უკეთ შესრულების, არასრულწლოვნის მიერ დროის სწორად განაწილების ან/და რთული ქცევის მართვის მიზნით“.<sup>95</sup>

### **3.5. არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის მონიტორინგი და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობა**

დიდი დატვირთვის მატარებელია ნებისმიერი აქტივობის განხორციელებაზე მონიტორინგის საკითხი. ამდენად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის მონიტორინგი და

<sup>94</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 6, პუნქტი 10.

<sup>95</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 6, პუნქტი 11.

არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, რომელიც ასევე კანონმდებლობითაა განსაზღვრული. სერვისში/პროგრამაში არასრულწლოვნის მონაწილეობასა და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე მონიტორინგს/ზედამხედველობას ახორციელებს ცენტრი შესაბამისი უწყების, დანესებულების ან/და ორგანიზაციის მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ მიზნით, ცენტრის წარმომადგენელი უფლებამოსილია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და სერვისის/პროგრამის ხასიათის გათვალისწინებით, თავადაც დაესწროს შესაბამისი სერვისის/პროგრამის განხორციელების პროცესს, გაესაუბროს სერვისის/პროგრამის მინოდებაზე პასუხისმგებელი უწყების, დანესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელს, არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს/ფაქტობრივ მზრუნველს.<sup>96</sup> ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მონიტორინგის და ზედამხედველობის შედეგებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია არასრულწლოვნისათვის სერვისის/პროგრამის შეცვლის საკითხის განხილვა.<sup>97</sup>

თუ მონიტორინგის/ზედამხედველობის პროცესში აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვანი საჭიროებს სერვისის/პროგრამის ცვლილებას ან ის საპატრიო მიზეზით ვერ ახერხებს მისთვის შერჩეული ღონისძიებების შესრულებას, ცენტრი გადასინჯავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას და განსაზღვრავს სერვისის/პროგრამის ცვლილების თავისებურებებს ან ახალ სერვისში/პროგრამაში მის მონაწილეობას. ცენტრი ამზადებს მონიტორინგისა და ზედამხედველობის ყოველთვიურ და საბოლოო ანგარიშებს, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებები და მახასიათებლები. ცენტრის მიერ არასრულწლოვანზე დაკვირვება გრძელდება შესაბამისი სერვისის/პროგრამის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში და თუ ამის საჭიროება არსებობს და თუ ეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინ-

<sup>96</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 7, ნაწილი 2.

<sup>97</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 7, ნაწილი 4.

ტერესებიდან გამომდინარეობს, ცენტრი კვლავ უზრუნველყოფს ბავშვის ჩართვას შესაბამის სერვისში/პროგრამაში.<sup>98</sup>

### 3.6. ინფორმაციის კონფიდენციალურობის სავალდებულობა

ბუნებრივია, რეფერირების წესი ითვალისწინებს **ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხსაც, რომლის მიხედვითაც:** “არასრულწლოვნის ვინაობის, ასევე მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია და სხვა პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ ცენტრისა და რეფერირების პროცედურებში ჩართული უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად.“<sup>99</sup>

განხილულ საკითხებთან დაკავშირებული დეტალური რეგულაციების დამტკიცება საქართველოს იუსტიციის მინისტრის პრეზოგატივია. კერძოდ, მინისტრი ამტკიცებს არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის წარმართვისა და მონიტორინგის წესს, არასრულწლოვანთა რეფერირების ფარგლებში შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშის ფორმებს, არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესში გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმებს და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებს.<sup>100</sup>

<sup>98</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 7, ნაწილი 5, 6, 7.

<sup>99</sup> „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“, 2019, მუხლი 14.

<sup>100</sup> „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 73 მუხლი, პუნქტი 4.

## დასკვნა

შესწავლილ საკითხებზე საბოლოო დასკვნა ბავშვის უფლებათა კომიტეტის ხედვების თანაზიარია. არასრულწლოვანთა ჰუმანიტარული განვითარების და მათი საუკეთესო ინტერესთა დაცვის პრინციპებთან შესაბამისობით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი გონივრულად მაღალ ასაკობრივ ზღვარს უნდა შეესაბამებოდეს, სახელმწიფოთა ეფექტური მიდგომა ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეპყრობა თითოეული სახელმწიფო ამ ასაკზე მეტი და ნაკლები ასაკის ბავშვებს. კომიტეტი გააგრძელებს ამის შესწავლას მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკამდე ბავშვებს დახმარება და მომსახურება უნდა მიენდოთ მათი საჭიროებების შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების მიერ და რაც ყველაზე მთავრია, ასეთი ბავშვები არ უნდა განიხილებოდნენ დანაშაულის ჩამდენებად.<sup>101</sup>

ამასთანავე აუცილებელია ასეთი ბავშვების აღზრდა და მათზე ადექვატური ზრუნვა მომავალში დანაშაულის ჩადენისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, რასაც ემსახურება კიდევ არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმი.

ამის კვალდაკვალ ისიც აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პრევენციის სისტემის გარეშე, შეუძლებელია ასევე კანონის უზენაესობის განმტკიცებაც, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივაღწევთ სამართლიან, ჰუმანურ და ანგარიშვალდებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, რაც დღევანდელი, თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს აუცილებელი ნაწილია და ევროპული ქვეყნებიც სწორედ ამ სისტემის პოპულარიზაციისკენ არიან მიმართულნი<sup>102</sup>.

<sup>101</sup> General comment No. 24 on children's rights in the child justice system, (2019), პარაგრაფი 23.

<sup>102</sup> ჯავახიშვილი ლ., ბარამია მ., განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია, წიგნში „დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“, პრაქტიკული

საქართველოს კანონმდებლობა სრულ თანხვედრაშია აღნიშნულ პოზიციასთან, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარის კანონმდებლობით გონივრულად განსაზღვრის თვალსაზრისით, ისე ქვეყანაში არსებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის მეშვეობით<sup>103</sup>, რომლის მიზნების მიღწევასაც არასრულწლოვანთა რეფერირების სისტემის გამართული მუშაობა უზრუნველყოფს. აღნიშნულ პროცესში და შესაბამისი პროცედურების განხორციელებისას მაქსიმალურადაა მხედველობაში მიღებული საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების პრინციპი.

---

სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის, „ინტერნეშენელ ჯენერალ სერვისი“, თბილისი, 2021. გვ. 47.

<sup>103</sup> ხერხეულიძე ი., სისხლისსამართლებრივი სასჯელის ადგილი და შეფასება არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებად ინტერვენციებში, სტატიათა კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2021, გვ. 142.

## თემურ ცქიტიშვილი

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,

თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

## ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი

### I.

წინამდებარე წერილში განხილულია ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში, მართლწინააღმდეგობის დარგობრივი დაყოფის ერთიანი მართლწესრიგის პრინციპთან შესაბამისობის საკითხი, ქმედების შემადგენლობის მნიშვნელობა ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად, რაც მნიშვნელობას იძენს პასუხის გასაცემად კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია სისხლის სამართალში ქმედება მართლწინააღმდეგოდ იქნას მიჩნეული, როცა ის ერთი მხრივ, არღვევს სისხლის სამართლის მიღმა მყოფ ნორმას და მეორე მხრივ, არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე ნორმის დისპოზიციით. სტატიაში მსჯელობის საგანს წარმოადგენს ასევე აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედების მართლზომიერების დადგენა და სამოქალაქო სამართლის წესით ზიანის ანაზღაურების ბუნება.

### II.

სისხლის სამართალში არაერთი პრობლემაა, რომელიც მეცნიერებაში არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას იწვევს და წარმოადგენს დავის საგანს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხიც. დანაშაულის სამნიშვნოვანი აგებულების მიხედვით, ქმედების მართლწინააღმდეგობა ერთ-ერთი

სტრუქტურული ნიშანია, მაგრამ კამათის საგანს წარმოადგენს ის, თუ რა იგულისხმება მართლწინააღმდეგობის ქვეშ, გამართლებულია თუ არა მართლწინააღმდეგობის დაყოფა დარგებად და სხვა. მაშინ, როცა არავინ უარყოფს სამართლებრივი უმართლობის დაყოფას დარგებად (სისხლისსამართლებრივი უმართლობა<sup>1</sup>, სამოქალაქოსამართლებრივი უმართლობა, ადმინისტრაციულსამართლებრივი უმართლობა), სისხლის სამართლის მეცნიერებაში საკამათოდ ითვლება მართლწინააღმდეგობის დარგებად დაყოფა.

მართლწინააღმდეგობაზე სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაერთი თეორია ჩამოყალიბდა. მაშინ როცა ავტორთა ერთი ნაწილი მართლწინააღმდეგობას დარგებად ყოფს<sup>2</sup>, მეცნიერთა მეო-

<sup>1</sup> ტერმინი უმართლობა (სისხლისსამართლებრივი უმართლობა) ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში პირველად ალ. ვაჩიიშვილმა, ხოლო შემდეგ თ. წერეთელმა გამოიყენა. იხ. ვაჩიიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 16, 18; წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 36. მოგვიანებით კი სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა, როგორც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ო. გამყრელიძემ დამუშავა. იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013.

<sup>2</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 103; შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი სამიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 7; Ткешелиадзе Г., Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 51; ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 305; თოდუა ნ., წიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 343-345. მ. უგრეხელიძე გაუფრთხილებლობით დელიქტებში ერთმანეთისგან ყოფს პირველად მართლწინააღმდეგობას და სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას. თუ პირველში გულისხმობს ქცევის შეუსაბამობას წინდახედულობის ნორმებთან, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის ქვეშ მოიაზრებს ქმედების შეუსაბამობას სისხლისსამართლებრივ ნორმებთან. იხ. უგრეხელიძე მ., ფსიქიკური დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი გაუფრთხილებლობის დროს, წიგნში: იურიდიული ძიებანი, თ. წერეთლის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1977, გვ. 99-100. სამოქალაქო მართლწინააღმდეგობაზე იხ. რუსიაშვილი ჯ., მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1977, №1, გვ. 27-33.

რე ჯგუფი უარყოფს მართლწინააღმდეგობის დაყოფას დარგებად მართლწინააღმდეგობის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე. აღნიშნული თეორიის მიხედვით, თუ ქმედება სამართლის ერთ დარგშია მართლწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგოა სამართლის სხვა დარგშიც. არ შეიძლება სამართლის ერთ დარგში აკრძალული ქმედება სამართლის მეორე დარგში ნებადართულ ქმედებად გამოაცხადოს<sup>3</sup>.

კ. ენგში, რომელმაც თავის დროზე მართლწესრიგის ერთიანობას მონოგრაფიული ნარკვევი მიუძღვნა, აღნიშნავდა, რომ სამართლებრივი მოვალეობის დაფუძნება და უმართლობის გამორიცხვა ხდება ერთიანად. ერთიანი მართლწესრიგის<sup>4</sup> ცნების არსე-

<sup>3</sup> გამყრელიძე ო., მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, ცხოვრება და კანონი, 2013, №2 (17), გვ. 7; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 333; დვალიძე ი., ნიგნში: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 241; მალაქელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013, გვ. 75; მაისურაძე დ., მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპი და მისი გაგება ქართულ ლიტერატურაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2021, №2; Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 613, § 14 E, Rn. 31, 32; Wessels/Beulke, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S.101, Rn. 274; Rengier R., Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 134; Ebert U., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 74.

<sup>4</sup> ერთი მოსაზრებით, მართლწესრიგის ერთიანობას კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპად მიიჩნევენ, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებებიც, რაც აღნიშნულ საკითხზე აზრთა არაერთგვაროვნებას გულისხმობს. Felix D., Einheit der Rechtsordnung, Tübingen, 1998, S. 10-12. მიუხედავად მართლწესრიგის ერთიანობის კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობისა, პრობლემატურად განიხილავენ შემთხვევას, როდესაც განხორციელებული (იგულისხმება პოლიციელის) ქმედება სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების ნორმით გამართლებულად ითვლება, მაგრამ ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, საჯაროსამართლებრივად მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა. დასახ. ნაშრ., გვ. 59. თუმცა, საკითხისადმი ასეთი მიდგომა დასახელებული ავტორის მიერ გაკრიტიკებულია სწორედ მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპთან მისი შეუსაბამობის გამო და აღნიშნავს,



ბობას დასაშვებად თვლიდა ფორმალური გაგებით, სადაც მართლ-წინააღმდეგობა არის სამართლის ნორმის დარღვევა. ერთიანი მართლწინააღმდეგობის პირობებში ენგში უშვებს სამართლის სხვადასხვა დარგში განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგომას. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში შეიძლება ზიანის ანაზღაურებას იწვევდეს ქმედება, რომელიც ენგში მოსაზრებით, არ არის მართლწინააღმდეგო სისხლის სამართალში და შესაბამისად, მთლიან მართლწესრიგში<sup>5</sup>. მისი მოსაზრებით, იმის გამო, რომ ქმედება სამართლის სხვა დარგში იწვევს სამართლებრივ შედეგს, გამოგვერიცხა მთლიანი მართლწესრიგის წინაშე ქმედების გამართლების შესაძლებლობა, შეცდომა იქნებოდა.

ზოგიერთი მეცნიერი, ერთიანი მართლწესრიგის ცნებას კონსტიტუციურსამართლებრივად არამდგრადად მიიჩნევს<sup>6</sup>. თუმცა,

---

რომ შეუძლებელია ქმედება ერთდროულად მართლწინააღმდეგოც იყოს და მართლზომიერიც. იქვე, გვ. 79. ავტორი ამავედროულად სამართლებრივად არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ სისხლის სამართალმა შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოიჩინოს იმ ქმედების მიმართ, რომელიც სამოხელეო და საპოლიციო სამართალში გასაკიცხია. საკითხის ასეთ გადაწყვეტაში ის უშვებს იმ შეხედულებათა შერიგების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება დიფერენცირებულად და მეორე მხრივ, მართლწესრიგი მიიჩნევა ერთიანად. მაშასადამე, როგორც ავტორი დაასკვნის, მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით დიფერენცირებულ შეფასებას არ გამოირიცხავს მართლწესრიგის ერთიანობა. გვ. 81. ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულებით, ერთიანი მართლწესრიგის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივად და საჯარო-სამართლებრივად მართლზომიერი ქმედება სისხლის სამართალშიც მართლზომიერად უნდა შეფასდეს, მაგრამ არა პირიქით. იქვე, გვ. 82. კონსტიტუციურად შეუძლებელია სისხლის სამართლებრივად დასჯადად გამოცხადდეს ისეთი ქმედება, რომელიც სამართლის სხვა დარგში მართლზომიერია. გვ. 217. სისხლის სამართალი დამოკიდებულია მთლიან მართლწესრიგზე, შეუძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სამართლის სხვა დარგს. გვ. 217-218. თუმცა, არსებობს ცნებითი თავისუფლება, რაც იმას გულისხმობს, რომ არ კარგავს დამოუკიდებლობას ნორმები თვითონ ჩამოაყალიბოს. გვ. 218.

<sup>5</sup> „Rechtspflichtbegründungen und Unrechtsausschlüssen wirken sich allgemein aus“. *Engisch K., Die Einheit der Rechtsordnung, 1987, S. 58.*

<sup>6</sup> *Schmidt W., Der Ermessensrahmen bei der Versagung einer Strassenrechtlichen Sonder-nutzungserlaubnis, Neue Zeitschrift Für Verwaltungsrecht, 1985, S. 169.*

გასათვალისწინებელია, როგორ გავიგებთ მართლწესრიგის ერთიანობას. მართლწესრიგი ერთიანი უნდა იყოს, რაც კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპია. აქედან მომდინარეობს მოთხოვნა, რომ თუ ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან იურიდიულ ძალას კარგავს არაკონსტიტუციურობის გამო. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც, რომლის შესაბამისად, სსკ-ი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს (1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი). არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი ნორმა აწესებდეს ისეთ აკრძალვას და მოთხოვნას, რაც კონსტიტუციასთან შეუსაბამო იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მართლწესრიგი მართლაც ერთიანია, მაინც გარკვეულ სირთულეს აწყდება ქმედების ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეა, რომელიც უარყოფს მართლწინააღმდეგობის ვიწრო, სისხლისსამართლებრივ გაგებას. ამის დასასაბუთებლად არაერთი მაგალითის მოხმობაა შესაძლებელი. შეიძლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედი პოლიციელი სისხლისსამართლებრივად გამართლდეს, მაგრამ ადმინისტრაციულსამართლებრივად დაეკისროს პასუხისმგებლობა და დადგინდეს, რომ ქმედება საპოლიციო სამართლის მიხედვით არამართლზომიერია<sup>7</sup>. სისხლისსამართლებრივად გამართლებულ პოლიციელს შეიძლება დისციპლინური წესით მაინც დაეკისროს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მან როგორც პოლიციელმა სკრუპულოზურად ვერ განახორციელა დაცვითი ქმედება. შეიძლება დადგინდეს, რომ დაცვითი ქმედების განხორციელება უფრო ეფექტურად იყო შესაძლებელი.

პ. კირხჰოფის თვალსაზრისით, რომელიც ემხრობა მართლწინააღმდეგობის დარგობრივ გაგებას, ერთიანი მართლწესრიგი არა მხოლოდ უშვებს, არამედ მოითხოვს კიდევ დიფერენცირებას საჯარო მოხელესა და მოქალაქის თავისუფლებას შორის. ერთიანი მართლწესრიგის პირობებში შეიძლება სამართლის დარგები საფეხურებრივად დაიყოს. მაგალითად, სისხლის სამართალი გუ-

<sup>7</sup> Frister H., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, S. 227, 16. Kapitel, Rn. 36.

ლისხმობს ეთიკურ მინიმუმს, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ სამართალში კი მოხელეს უფრო მაღალი ნორმატიული მოთხოვნა წაეყენება<sup>8</sup>.

პ. კირხჰოფი აღნიშნავს, რომ მართლწესრიგის ერთიანობის უარყოფა შეუძლებელია, როცა საქმე ეხება სამართლის წყაროებს და მათ რანგს. მაგრამ, მართლწესრიგის შიგნით შესაძლებელია დიფერენცირება და გამიჯვნა მატერიალურსა და ფორმალურს შორის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ დისციპლინურ-სამართლებრივად ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივად<sup>9</sup>.

კირხჰოფის შეხედულებით, სისხლისსამართლებრივ გამამართლებელ გარემოებებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა სისხლის სამართლის ფარგლებში. ისევე როგორც ქმედების შემადგენლობით ქმედების გაუთვალისწინებლობა (სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არარსებობა) არ გულისხმობს პოლიციელის უფლებამოსილებას, ქმედება საპოლიციო სამართლით არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს იმის გამო, რომ სისხლის-სამართლებრივი დასჯადობა გამოირიცხა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გამამართლებელი გარემოების გამო. ეს კი იწვევს მართლწინააღმდეგობის დიფერენცირებას, რაც თითქოს საფრთხეს უქმნის მართლწესრიგის ერთიანობას, მაგრამ ეს საფრთხე არის მოჩვენებითი. კირხჰოფის თქმით, კონსტიტუცია, რომელიც მის შინაგან ერთიანობას გულისხმობს, მიჯვნავს ქმედებათა შეფასებას<sup>10</sup>.

კირხჰოფი გაკვირვებას გამოთქვამს იმ თეზასთან დაკავშირებით, რომ ქმედება ან მხოლოდ ნებადართული ან აკრძალული შეიძლება იყოს, ვინაიდან პოლიციელს საპოლიციო სამართლით შეიძლება აკრძალული ჰქონდეს ის, რასაც არ უკრძალავს სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი გასაკიცხ ქმედებას ყველაზე მკაცრ სანქციას უკავშირებს. სისხლის სამართალი

<sup>8</sup> Kirchhof P., in: Merten D. (Hrsg.), Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977, S. 80.

<sup>9</sup> Kirchhof P., ebenda, S. 81.

<sup>10</sup> Kirchhof P., ebenda, S. 70.

მოითხოვს სამართლებრივ მინიმუმს თითოეული მოქალაქისგან<sup>11</sup>.

ჰ.ლ. გიუნთერის თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა და ზოგადი (ერთიანი) მართლწინააღმდეგობა არ ემთხვევა ერთმანეთს. პირველი წარმოადგენს მეორის კვალიფიცირებულ ფორმას. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების განხორციელება სულაც არ ნიშნავს ქმედების ნებართვას, არამედ სისხლისსამართლებრივი უმართლობის არარსებობას, ქმედების შემადგენლობის განხორციელების სისხლისსამართლებრივი გაკიცხვის უარყოფას<sup>12</sup>. სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა, ზოგადი მართლწინააღმდეგობისგან განსხვავებით, ქმედების შემადგენლობას ეფუძნება<sup>13</sup>.

მართლწესრიგი არათანაბარ სამართლებრივ შედეგებს განსხვავებულ წინაპირობებს უწესებს, რაც კი არ ეწინააღმდეგება სამართლის ერთიანობას, არამედ გამომდინარეობს მისგან<sup>14</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰ.ლ. გიუნთერი მიუთითებს სამართლებრივ ცნებათა რელატიურობაზე, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგში პოულობენ გამოყენებას<sup>15</sup>.

ჰ.ლ. გიუნთერი აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა და ზოგადი მართლწინააღმდეგობა მაშინ იქნებოდა იდენტური, თუ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა ამავდროულად იქნებოდა ზღვარგამყოფი სამართალსა და უმართლობას შორის, სამართლებრივად ნებადართულ და გასაკიცხ ქმედებას შორის. თუმცა ეს იქნება შეუძლებელი იმ პირობებში, როდესაც დასჯადი ქმედების შემადგენლობის ფუნქციაა დაადგინოს საზღვარი სისხლისსამართლებრივად დასჯად და არადასჯად ქმედებას შორის. ყველა მართლწინააღმდეგო ქმედება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. მაგალითად, სამშენებლო სამართლის მიხედვით მართლწინააღმდეგობა

<sup>11</sup> *Kirchhof P.*, ebenda, S. 69.

<sup>12</sup> *Günther H.L.*, *Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluß*, 1983, S. 122, 86.

<sup>13</sup> *Günther H.L.*, ebenda, S. 85.

<sup>14</sup> *Günther H.L.*, ebenda, S. 93.

<sup>15</sup> *Günther H.L.*, ebenda, S. 94.

მოიცავს მხოლოდ სამშენებლო სამართლისთვის რელევანტურ სფეროს<sup>16</sup>.

ქმედება, რომელიც სისხლისსამართლებრივად არ არის მართლსაწინააღმდეგო, შეიძლება მაინც რჩებოდეს სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებად. სისხლისსამართლებრივ მართლსაწინააღმდეგობასა და ზოგად მართლსაწინააღმდეგობას შორის, გიუნთერის მოსაზრებით, არსებობს სუბორდინაციული ურთიერთმიმართება<sup>17</sup>.

გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება დაზარალებულის თანხმობის შედეგად შეიძლება მაშინაც გამართლდეს, როცა იგი მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა მედიცინის სამართლის<sup>18</sup> მიხედვით. გარდა ამისა, მიუთითებენ ქმედების სამოქალაქო სამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ აკრძალვასა და მართლსაწინააღმდეგობაზე, როცა აღნიშნული ქმედების მიმართ სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება<sup>19</sup>.

ზემოაღნიშნულის გარდა, გასათვალისწინებელია ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხი, რაც სისხლის სამართალში პასუხისმგებლობას გამოირიცხავს, მაგრამ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადმინისტრაციულსამართლებრივ და დისციპლინურ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლისთვის მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედება, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ადმინისტრაციულსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის.

<sup>16</sup> Günther H.L., ebenda, S. 100-101.

<sup>17</sup> Günther H.L., ebenda, S. 101.

<sup>18</sup> ანალოგიურ მაგალითად შეიძლება დასახელდეს უკანონო აბორტის შემთხვევა, როცა აბორტი უკანონოა აბორტის მართლზომიერების პირობებთან შეუსაბამობის გამო, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის გამო სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება. მაგალითად, სახლის პირობებში აბორტის გაკეთება, ორსული ქალის სიცოცხლის გადასარჩენად, როცა მისი გადაყვანა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება, ჯანმრთელობის დაცვის კანონის ფორმალური მოთხოვნა, აკრძალვა დარღვეულია.

<sup>19</sup> Sternberg-Lieben, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Auflage, 2019, §32 Rn. 27c.

### III.

ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. თუ ერთი შეხედულებით ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს<sup>20</sup>, მეორე მოსაზრებით მართლწინააღმდეგობას მატერიალური გაგებით<sup>21</sup>, ხოლო მესამე შეხედულებით, განიხილება მესამე ეტაპზე ბრალის შემდეგ და პასუხისმგებლობას გამორიცხავს მცირე ბრალის საფუძველზე<sup>22</sup>. ქმედების მცირე მნიშვნელობა იმ დელიქტებში შეიძლება მიჩნეულ იქნას ქმედების შემადგენლობის ნიშნად, სადაც ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშნად გათვალისწინებულია „მნიშვნელოვანი ზიანის“ გამონვევა (მაგალითად, 187-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა). ქმედების მცირე მნიშვნელობა ისევეა ორბუნებოვანი, როგორც ადამიანის თანხმობა. თუ სქესობრივი პარტნიორის თანხმობა გაუპატიურების შემადგენლობას გამორიცხავს, დაზარალებულის თანხმობა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებთან მიმართებით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად განიხილება (ორგანოთა გადაწერგვის დროს. მაგალითად, თირკმლის გადაწერგვისას).

თუ ქმედების მცირე მნიშვნელობამ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობა არ გამორიცხა, ქმედების მცირე მნიშვნელობა ვერ იქნება მიჩნეული სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობის სხვა დარგობრივი მართლწინააღმდეგობისგან გამიჯვნისთვის რელევანტურ გარემოებად.

მართებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლითაც ქმედების მცირე მნიშვნელობა სისხლის სამართალში მატერიალური გაგებით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს იმის აღიარება, რომ

<sup>20</sup> ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 62.

<sup>21</sup> ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 332-334; 320-322.

<sup>22</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-4 გამოცემა, თბ., 2019, გვ. 303-304.

აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მცირე მნიშვნელობის ქმედების მიმართ, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედების მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება არ არსებობს, შესაბამისად, არც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ვინაიდან ფარგლების გადაცილება გულისხმობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის და უფლების არსებობას. იქ სადაც არ არსებობს აუცილებელი მოგერიება, ადგილი ვერ ექნება მისი ფარგლების გადაცილებასაც. მაგალითად, თუ ვინმე სხვისი ბაღიდან ერთ ცალ ვაშლს იპარავს და ბაღის მესაკუთრე მოგერიების მიზნით ქმედებას განახორციელებს, რასაც მცირე მნიშვნელობის ქმედების ჩამდენის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობად<sup>23</sup>, მაგრამ არა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით განხორციელებულად, არამედ მაპრივილეგირებული გარემოების გარეშე.

ჩნდება კითხვა, თუ პირს ადმინისტრაციულსამართლებრივად პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორ დგინდება მისი ქმედების მართლზომიერება სისხლის სამართალში? აღნიშნული კითხვის პასუხად შეიძლება ითქვას ის, რომ აქ საქმე ეხება არა ადმინისტრაციულსამართლებრივად აკრძალული ქმედების ნებადართულად გამოცხადებას სისხლის სამართლის მიერ, არამედ იმას, რომ ქმედება ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რაც საკმარისი იქნებოდა ქმედების სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობისთვის. ამის მიზეზი არის ის, რომ სისხლის სამართალი უკანასკნელი საშუალებაა სახელმწიფოს ხელში მართლწესრიგის დასაცავად. შესაბამისად, ქმედება სისხლისსამართლებრივი გაგებით აკრძალულად და მართლწინააღმდეგოდ რომ ჩაითვალოს, აუცილებელია იყოს სოციალურად საშიში და აკმაყოფილებდეს საშიშროების იმ ხარისხს, რომელიც ობიექტური თვალსაზრისით წარმოშობს ქმედების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის აუცილებლობას.

<sup>23</sup> ტურავა მ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 365; *Heinrich B.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, 2012, S. 155-156, Rn. 363-364.

#### IV.

სამართლებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მართლ-საწინააღმდეგო ქმედების დასჯადი ფორმა კანონში დანაშაულის აღწერილობაშია მოცემული, რომელიც ქმედების შემადგენლობად იწოდება. კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მართლ-საწინააღმდეგო ქმედება იმ პირობით დაისაჯოს, რომ ის ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაშია აღწერილი, რომლისთვისაც სასჯელია გათვალისწინებული<sup>24</sup>.

სისხლის სამართალში ქმედების მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის შეფასების საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს, აუცილებელია სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. თუ ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული, არც წარმოიშობა ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საჭიროება<sup>25</sup>.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების გამორიცხვისას გამორიცხება საფუძველი ვარაუდისთვის ქმედების სისხლისსა-

<sup>24</sup> *Jescheck H.-H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 244.*

<sup>25</sup> ჩემ მიერ გამოთქმულ აღნიშნულ მოსაზრებას აკრიტიკებს დ. მაისურაძე და უთითებს, რომ მოცემული შეხედულება ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ამკრძალავი ნორმები სისხლის სამართლის მიღმა არ არსებობდეს. ავტორი გულმოდგინედ ამტკიცებს იმას, რასაც განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება და აღნიშნავს, რომ პოზიტიური სამართალი ამკრძალავ ნორმებს მხოლოდ სისხლის სამართალში არ იცნობს. მაისურაძე დ., მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპი და მისი გააზრება ქართულ ლიტერატურაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2021, #2, გვ. 8. როგორც ჩანს, ავტორი გულისხმობს, რომ არ გაეცნო იმ ნაშრომს, რომელსაც კრიტიკულად განიხილავს, რომელშიც მკითხველს სწორედ იმას ვუსაბუთებთ, რომ ამკრძალავი ნორმა არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ სისხლის სამართლის კანონს მიღმაც შეიძლება იყოს მოცემული. ამის არგუმენტად დასახელებულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, სადაც მოცემულია აბორტის ამკრძალავი ნორმა, რომელიც საფუძველად უდევს სსკ-ის 133-ე მუხლში მოცემულ ბლანკეტურ ნორმას. იხ. ცქიტვილი თ., შენიშვნები უმანგი ბახტაძის დისერტაციაზე: „კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2020 #8, გვ. 59.



მართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით. ქმედების შემადგენლობა მხოლოდ ინდიციაა (მითითება) ქმედების მართლწინააღმდეგობის<sup>26</sup>. მართლწინააღმდეგობის დადგენა დამატებით მსჯელობას მოითხოვს.

მართლწინააღმდეგობა არ არის ქმედების შემადგენლობის ნიშანი. ეს ეხება იმ შემადგენლობებსაც, სადაც ვხვდებით სიტყვა „მართლწინააღმდეგობა“<sup>27</sup>. ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის გამიჯვნა მხედველობაში მიიღება შეცდომასთან დაკავშირებითაც. ერთმანეთისგან განასხვავებენ ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებით დაშვებულ და სამართლებრივ შეცდომას. თუმცა, ქმედების შემადგენლობასა და მართლწინააღმდეგობას შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობის წინაპირობაა<sup>28</sup>.

<sup>26</sup> Ebert U., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 64; Kühl K., Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 108; Welzel H., Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 80; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 126, Rn. 310. ქმედების შემადგენლობა იმიტომ არის მართლწინააღმდეგობის ინდიცია, რომ ის არის მართლწინააღმდეგობის წინამძღვარი, რომლის გარეშეც სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგო ქმედება მოცემული ვერ იქნება. ქმედების შემადგენლობა ახდენს სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპიზირებას, შემოსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპს, მაგრამ, თუ დავუშვებთ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგო ქმედების არსებობას ქმედების შემადგენლობის გარეშე, ქმედების შემადგენლობა ასეთ ფუნქციას დაკარგავს. შესაბამისად, ასეთ პირობებში ქმედების შემადგენლობა ქმედების მართლწინააღმდეგობასთან მიმართებით მაინდიცირებულ ფუნქციას ისე ვერ შეითავსებს, როგორც იმ მოძღვრების პირობებში, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივად მართლწინააღმდეგო ქმედებას ქმედების შემადგენლობის გარეშე.

<sup>27</sup> ქმედების შემადგენლობებში, სადაც მოცემულია მითითება მართლწინააღმდეგობაზე, მაგალითად, ქურდობის შემადგენლობაში რომ საუბარია მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე, საქმე ეხება არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების მართლწინააღმდეგობას, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელ ნიშანს, არამედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანს. Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 339, §14 Rn. 13.

<sup>28</sup> Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12.

სისხლისსამართლებრივი გაგებით ქმედების მართლწინააღმდეგობისთვის აუცილებელ წინაპირობას სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა რომ წარმოადგენს, ამაზე მიუთითებს გერმანული სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-5 აბზაცი, რომლის შესაბამისადაც, მართლწინააღმდეგო არის მხოლოდ ის ქმედება, რომლითაც ხორციელდება იმავე კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. მართალია, აქ საუბარია მართლწინააღმდეგო ქმედებაზე და არა იმაზე, თუ რა არის მართლწინააღმდეგობა. აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის განსაზღვრებას, თუმცა მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა განიმარტოს მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. სისხლის სამართალში ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება ირელევანტური რომ ყოფილიყო, გერმანელი კანონმდებელი არ მიუთითებდა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე, როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობის აუცილებელ (თუმცა, არასაკმარის<sup>29</sup>) წინაპირობაზე.

ის, რომ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგო მხოლოდ ისეთი ქმედებაა, რომლითაც სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა ხორციელდება, მიუთითებს იმაზე, რომ აქ კანონმდებელს ქმედების მხოლოდ სისხლისსამართლებრივი აკრძალვა აინტერესებს. ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, არ არსებობს სანქციის გარეშე. მართალია, სანქცია არ არის ნორმის ის ნაწილი, სადაც ქმედების შემადგენლობაა მოცემული, რომელსაც დისპოზიციას ვუნოდებთ, მაგრამ ქმედების შემადგენლობასთან ყოველთვის არის შეკავშირებული სანქცია. როდესაც კანონმდებელი გარკვეულ ქმედებას კრძალავს და დასჯადად აცხადებს, სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმის დისპოზიციაში აკრძალულ ქმედებას აღწერს და იმავე ნორმის სანქციაში კი, შესაბამის სასჯელის ზომას განსაზღვრავს.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოითქვა მოსაზრება,

---

Auflage, 2016, S. 336, §14 Rn. 8-9.

<sup>29</sup> ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის.

რომ სისხლის სამართლის ნორმა ქმედებას კი არ კრძალავს, არამედ აკრძალული ქმედების ჩადენას სჯის, ხოლო აკრძალვა და ამკრძალავი ნორმა სისხლის სამართლის კანონს მიღმა<sup>30</sup>, მაგრამ ამის საწინააღმდეგოზე მიუთითებს გერმანული სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-5 აბზაცი. თუ სისხლის სამართლის ნორმას არ ჩავთვლიდით ამკრძალავ ნორმად, სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განსახორციელებლად აუცილებელი არ იქნებოდა სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლსაწინააღმდეგო ქმედება რომ მხოლოდ ის ქმედებაა, რომლითაც ქმედების შემადგენლობა ხორციელდება, ნიშნავს, იმას, რომ სისხლის სამართლის ნორმა ამკრძალავი ნორმაა და მისი ფუნქცია არ არის მხოლოდ დასჯა. სასჯელი აკრძალვის გარეშე არ არსებობს და ეს აკრძალვა იმ ნორმითაა დაწესებული, რომელიც შესაბამისი ქმედებისთვის სასჯელს ითვალისწინებს.

შეიძლება ქმედების შემადგენლობა განხორციელებული იყოს, მაგრამ მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხოს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების საფუძველზე. ასეთი გარემოებებია აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი, დამნაშავეს შეპყრობა და მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი ზეკანონური გარემოებები (დაზარალებულის თანხმობა, სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია). სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების (ერთიანი მართლსაწინააღმდეგობის იდეა) მიხედვით, მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებანი არა მხოლოდ სისხლის სამართლიდან, არამედ სამართლის სხვა დარგებიდან - სამოქალაქო სამართლიდან, საჯარო სამართლიდან გამომდინარეობენ<sup>31</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქმედება შეიძლება მართლზომიერ ხასიათს იძენდეს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი იმ გარემოების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს სამართლის სხვა დარგიდან და არა სისხ-

<sup>30</sup> გამყრელიძე ო., მართლსაწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, ცხოვრება და კანონი, 2013, #2 (17), გვ. 3-12.

<sup>31</sup> Rengier R., Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 134.

ლის სამართლიდან.

აღნიშნული შეხედულების წარმომადგენლები ამ მსჯელობით იმასაც ამტკიცებენ, რა არის მართლწინააღმდეგობა და როგორ უნდა იქნას იგი გაგებულ დებულება, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება არა მხოლოდ სისხლის სამართლიდან, არამედ სამართლის სხვა დარგიდანაც გამომდინარეობს, ავტორთა ნაწილს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მართლწინააღმდეგობა ვინაობა, მხოლოდ სისხლისსამართლებრივი გაგებით კი არ არსებობს, არამედ ზოგადად, მთელი მართლწესრიგისთვის. მოცემული მოსაზრება, რომელიც მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვა შეხედულებებისგან განსხვავდება, ერთ-ერთი შეხედულებაა, რომელიც მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპს ეფუძნება და ყავს როგორც მომხრეები, ისე კრიტიკოსები. თუმცა, კრიტიკა ეხება არა მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპს და მის მნიშვნელობას, არამედ მასთან მიმართებით ქმედების მართლწინააღმდეგობის გაგებას, იმას, თუ როგორ უნდა განიმარტოს მართლწინააღმდეგობა და არა იმას, არის თუ არა მართლწესრიგი ერთიანი და უნდა ვცნოთ თუ არა ერთიანი მართლწესრიგის პრინციპის მნიშვნელობა.

შესაბამისად, საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომ მართლწინააღმდეგობის ერთიანობასთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულება თითქოს არ შეიძლება ჩაითვალოს თეორიად<sup>32</sup>. აღნიშნულზე უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი შეხედულება,

<sup>32</sup> მაისურაძე დ., მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპი და მისი გააზრება ქართული ლიტერატურაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2021, #2, გვ. 5. აღნიშნულ ნაშრომში ადგილი აქვს ჩემ მოსაზრებათა არასწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, ავტორი უთითებს: „ცქიტიშვილის შეხედულებით, ის, ვინც ბინდინგის თეორიას იზიარებს - მაგ., ოთარ გამყრელიძე - იმავდროულად ვერ იქნება მართლწესრიგის ერთიანობის მიმდევარი“. იხ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6. ჩემ არცერთ ნაშრომში მკითხველი ვერ შეხვდება მსგავს მტკიცებას. მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპს არა თუ ბინდინგის თეორია, არამედ ის თეორიაც არ ეწინააღმდეგება, რომელიც მართლწინააღმდეგობას დარგებად ყოფს. მართლწინააღმდეგობის დარგობრივი გაგება სულაც არ გულისხმობს მართლწესრიგის ერთიანობის უაყოფას და იმის მტკიცებას, რომ სამართლის ერთი დარგით აკრძალული ქმედება

რომელიც მეცნიერებაშია გამოთქმული და ჰყავს მხარდამჭერები თუ კრიტიკოსები, შეიძლება თეორიად იწოდებოდეს. თუმცა, მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპი და თეორია, მართლაც, არ არის ერთი და იგივე. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპს და მის მნიშვნელობას შეიძლება აღიარებდნენ ის ავტორებიც, რომლებიც არ ემხრობიან მართლწინააღმდეგობის ერთიანობის იდეას და მხარს უჭერენ მართლწინააღმდეგობის დარგობრივ გაგებას.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მართლწინააღმდეგობის სისხლისსამართლებრივი გაგება მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ გამოხატავს იმ იდეას, რომ ქმედების სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობისთვის აუცილებელი წინაპირობაა ქმედების შემადგენლობის განხორციელება და ქმედების სოციალური საშიშროება შესაბამისი სიმძიმით (მოცულობით), რაც გამომდინარეობს ულტიმა რატიო პრინციპიდან. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ ის, რაც სისხლის სამართალში მცირე მნიშვნელობის ქმედებად ფასდება, შეიძლება იწვევდეს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალში. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ერთი ტიპის, მაგრამ საშიშროების ხარისხით და მოცულობით განსხვავებული ორი ქმედებიდან ერთი ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო მეორე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

მეტად საგულისხმოა გ. ტოიბნერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დოგმატურად სამართლის ცნებითი და მხოლოდ შეფასებითი ერთიანობის წარმოება სამართლის უმეტესი დარგისთვის (როგორცაა მაგალითად, სამოქალაქო სამართალი) და მთლიანი მართლწესრიგისთვის, წარუმატებელი იქნება<sup>33</sup>. ტოიბ-

---

შეიძლება სამართლის მეორე დარგმა ნებადართულად გამოაცხადა. იგივე შეიძლება ითქვას ბინდინგის თეორიაზეც, რომელსაც, როგორც ავტორიც ეთანხმება, საერთო კვების წერტილები აქვს ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორიასთან.

<sup>33</sup> „Eine begriffliche oder auch nur wertungsmäßige Einheit des Rechts mit dogmatischen Mitteln herzustellen, muß schon für die großen Teilgebiete des Rechts wie etwa das

ნერს რეალისტურად და ნორმატიული თვალსაზრისით გამართლებულად მიაჩნია ვალციის მიერ ჩამოყალიბებული „მართლწესრიგის დარგების რელატიური ავტონომიურობის“ პრინციპი (Grundsatz der „relative Autonomie von Teilrechtsordnungen“), რომელიც საგადასახადლო სამართლის მაგალითზე განვითარდა და განზოგადების უნარი გააჩნია<sup>34</sup>.

შეიძლება ქმედება, რომელსაც სისხლის სამართლისთვის არამართლსაწინააღმდეგოს მნიშვნელობა აქვს, მართლწესრიგის სხვა სფეროში (მაგალითად, სამოქალაქო სამართალში) წარმოადგენდეს სამართლებრივი შედეგის საყრდენს<sup>35</sup>. არსებობს ქმედებები, რომლებიც მართლწესრიგის სხვა სფეროში მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ არა სისხლის სამართალში<sup>36</sup>. სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობის არარსებობა არ გულისხმობს იმას, რომ ქმედება მართლზომიერია მთელი მართლწესრიგისთვის. კანონმდებელი გადანყვევტილებას იმასთან დაკავშირებით, ქმედება არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო სისხლისსამართლებრივი გაგებით, იღებს ქმედების შემადგენლობის სიბრტყეზე<sup>37</sup>.

თუ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული, ქმედება, რომელიც სამართლის სხვა დარგშია მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნეული, ასეთად ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი გაგებით.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქმედება სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგოა მანამ, სანამ მისი საშუალებით შესაძლებელია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხ-

---

Privatrecht scheitern, erst recht für die Rechtsordnung als Ganzes“. *Teubner G.*, Recht als autopoietisches System, 1989, S. 138-139.

<sup>34</sup> *Teubner G.*, Recht als autopoietisches System, 1989, S. 139.

<sup>35</sup> *Mitsch*, in: *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 334, §14 Rn. 3.

<sup>36</sup> *Mitsch*, ebenda, Rn. 4; *Heinrich B.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 125-126, Rn. 308.

<sup>37</sup> *Mitsch*, ebenda, Rn. 4; *Günther H.L.*, Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluß, 1983, S. 105.

ორციელება. დანაშაულის ნიშანი, მართლწინააღმდეგობა ეფუძნება არა შესაფასებელ ქმედებას, არამედ მის შესაბამისობას ქმედების შემადგენლობასთან<sup>38</sup>. თუმცა, ქმედების მართლწინააღმდეგობისთვის, რასაკვირველია, არ არის საკმარისი ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობა<sup>39</sup>.

სამართლებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგო ქმედების დასჯადი ფორმა კანონში დანაშაულის აღწერილობაშია მოცემული, რომელიც ქმედების შემადგენლობად იწოდება. კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მართლწინააღმდეგო ქმედება იმ პირობით დაისაჯოს, რომ ის ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაშია აღწერილი, რომლისთვისაც სასჯელია გათვალისწინებული<sup>40</sup>.

სისხლის სამართალში ქმედების მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის შეფასების საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს, აუცილებელია სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. თუ ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული, არც წარმოიშობა ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საჭიროება.

## V.

მართლწინააღმდეგობა არის ქმედების შემადგენლობაზე დაყრდნობილი და დაყოფადი (*teilbar*)<sup>41</sup>. ქმედების შემადგენლობაზე დაფუძნებულში იგულისხმება ის, რომ ქმედებაზე მართლწინააღმდეგობის დადგენის საჭიროება არ არის.

<sup>38</sup> Horn H.R., *Untersuchung zur Struktur der Rechtswidrigkeit*, Berlin, 1961, S. 66-67; *Stratenwerth G.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat*, 1981, S. 74, Rn. 186; *Günther H.L.*, *Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluss*, 1983, S. 104.

<sup>39</sup> ამ მხრივ, გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს წამების შემადგენლობა, ვინაიდან წამების გამამართლებელი გარემოება არ არსებობს წამების აკრძალვის უფლების აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე.

<sup>40</sup> *Jescheck H-H.*, *Weigend Th.*, *Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 244.

<sup>41</sup> *Widmaier G.*, *Die Teilbarkeit der Unrechtsbewertung* \_ OLG Celle, NJW 1969, 1775, Jus 1970, S. 611-615.

ნააღმდეგობასთან დაკავშირებულ შეფასებას აქვს განსაზღვრული ფარგლები, რომელიც ქმედების შემადგენლობას ემყარება. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებული შეფასების საგანი არის ქმედება იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამება სსკ-ით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას. მართლწინააღმდეგობა არ ეფუძნება იმ ქმედებას, რომელიც არ შეიცავს ქმედების შემადგენლობის ნიშნებს. როდესაც ხდება არა სხვისი, არამედ საკუთარი ნივთის დაზიანება, არ დაისმის კითხვა იმის შესახებ, ეს ქმედება მართლზომიერია თუ მართსაწინააღმდეგო<sup>42</sup>, ვინაიდან 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ შესაბამისი ქმედების შემადგენლობა მხოლოდ სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

როდესაც ხდება მართლწინააღმდეგობის დადგენა, ხდება არა ქმედების შეფასება მთლიანობაში, არამედ ქმედების შემადგენლობის შესაბამისობის ფარგლებში<sup>43</sup>. ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება შეიძლება მაშინაც გამართლდეს, როცა ის სხვა თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოა<sup>44</sup>. მაგალითად, როდესაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი „ა“ არის იმ ავტოსაგზაო შემთხვევის მოწმე, რომელშიც „ბ“ სიცოცხლისთვის საშიშად დაზიანდება. ერთადერთი შესაძლებლობა „ბ“-ს გადასარჩენად არის ის, რომ ის „ა“-მ, მისი არაფხიზელ მდგომარეობაში<sup>45</sup> ყოფნის მიუხედავად,

<sup>42</sup> *Mitsch*, ebenda, S. 340, §14 Rn. 14.

<sup>43</sup> *Dencker F.*, Der verschuldete rechtfertigende Notstand - BayObLG, NJW 1978, 2046, Jus 1979, S. 779.

<sup>44</sup> *Frister H.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, S. 180, 14. Kapitel, Rn. 1; *Heinrich B.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 126, Rn. 309.

<sup>45</sup> არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ განხორციელებული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან შესაბამისობის საკითხზე იხ. თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 11; ცქიტიშვილი თ., სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის (ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები), წიგნში: ფერაძე გ., (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, თბ., 2015, გვ. 627-649; ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 430-433; თოდუა ნ., სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის-



დაუყოვნებლივ მიიყვანოს ახლოს მდებარე საავადმყოფოში. თუ „ა“ - ვინაიდან მას არ უნდა თავისი ავტომანქანის დასვრა დაშავებულის სისხლის წვეთებით - საკუთარი ავტომანქანით წაყვანის ნაცვლად, გზაზე მდგარ „ც“-ს მანქანას უნებართვოდ დაუფლება და გადაიყვანს საავადმყოფოში, უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვასთან (საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ. 1-ლი ნ.) დაკავშირებით, თუმცა, სხვისი მანქანის უნებართვოდ დაუფლება არის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებული<sup>46</sup>, ვინაიდან შეიძლო დაშავებული საკუთარი მანქანით გადაიყვანა საავადმყოფოში და სხვისი მანქანის გამოყენება უკიდურეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ქმედება შეიძლება ნაწილობრივ იყოს მართლზომიერი და ნაწილობრივ მართლსაწინააღმდეგო. გარდა ამისა, როდესაც ქმედება ხელყოფს ერთზე მეტ სიკეთეს და მის მატარებელს, ერთის მიმართ შეიძლება დადგინდეს მართლზომიერება, ხოლო მეორის მიმართ მართლსაწინააღმდეგობა. ამის მაგალითია აუცილებელი მოგერიება, რომლის დროსაც ხდება როგორც თავდამსხმელის, ისე მესამე პირის ხელყოფა. ქმედება მართლზომიერია თავდამსხმელთან მიმართებით, ხოლო მართლსაწინააღმდეგო მესამე პირთან დაკავშირებით<sup>47</sup>. ამასთან ერთად საყურადღებოა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება (113-ე მუხ.), როდესაც სახეზეა აუცილებელი მოგერიების, ქმედების გამამართლებელი ნიშნები, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა ფარგლების გადაცილებას, რაც მართლსაწინააღმდეგოა, მოქმედ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

---

სამართლებრივი საკითხები, თბ., 1997; Габияни А.А., Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тб., 1968; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 268-278, Rn. 597-614; *Eisele J.*, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 500-509, §17 Rn. 32-57.

<sup>46</sup> *Frister H.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, S. 180, 14. Kapitel, Rn. 2.

<sup>47</sup> *Mitsch*, ebenda, S. 341, §14 Rn. 14.

## VI.

როგორც ზემოთ ითქვა, მართლწინააღმდეგობის დარგობრივი დაყოფის მოწინააღმდეგეები იმით ასაბუთებენ მართლწინააღმდეგობის ერთიანობას, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება შეიძლება არა მხოლოდ სისხლის სამართალიდან, არამედ სამართლის სხვა დარგიდან გამომდინარეობდეს. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს იცნობს არა მხოლოდ სისხლის სამართალი, არამედ სამართლის სხვა დარგებიც (სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი). სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არასისხლისსამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მიუთითებენ უკიდურეს აუცილებლობაზე, რომელსაც სამოქალაქოსამართლებრივ გამამართლებელ გარემოებასაც უწოდებენ<sup>48</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობას გამომრიცხავს, მაგრამ ინვესს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სამოქალაქოსამართლებრივი წესით<sup>49</sup>, რას-

<sup>48</sup> *Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 217, 220, Rn. 479-480, 488.*

<sup>49</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით სათვალავშია მისაღები ის, თუ ვის ადგება ზიანი, ვინ არის დაცული ქონების სუბიექტი. ზოგჯერ ზიანი ადგება სხვა პირს, ხოლო ის, ვისი სიკეთის დასაცავადაც მოქმედება ხორციელდება, სრულიად სხვა პირია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა სამი სუბიექტი: საფრთხის ამცილებელი სუბიექტი, სუბიექტი, რომლის სიკეთესაც იცავენ და სუბიექტი, რომელსაც ზიანი ადგება იმის გამო, რომ საფრთხის აცილება მისი ქონების ხარჯზე ხდება. თუმცა, ლიტერატურა და პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა მესამე სუბიექტი არ არსებობს და ერთ პიროვნებაშია შერწყმული როგორც დაზარალებული, ისე ის სუბიექტი, რომლის (უფრო მნიშვნელოვანი) სიკეთის დაცვასაც ცდილობენ. ასეთ დროს ზიანის ანაზღაურება არ მოუწევს იმას, ვინც სხვისი სიკეთე დააზიანა, ვინაიდან იგი მოქმედებდა არა საკუთარი ან მესამე პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც უფრო დიდი ზიანის საფრთხე თავიდან ააცილეს. ასეთ დროს ამ უკანასკნელს მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ეწოდოს დაზარალებული, რამდენადაც ქმედება მის სასარგებლოდ განხორციელდა. ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში მას მეტი ზიანი მიადგებოდა. ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული

თან დაკავშირებითაც ჩნდება კითხვა: არის თუ არა იგი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა?

ავტორთა ნაწილი ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას უწოდებს<sup>50</sup>. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და პასუხისმგებლობა არ არის ერთი და იგივე. ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულების და პასუხისმგებლობის გაიგივება ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების და პასუხისმგე-

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბ., 1977, გვ. 69. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, შეიქმნა თუ არა საფრთხე მოქმედი პირის ბრალეულობით. თუ საფრთხე მოქმედი პირის ბრალეულობით შეიქმნა, მას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება დაეკისროს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე პირის სიკეთე ზიანდება, მისთვის უფრო დიდი ზიანის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზიანის მიმყენებელს ეკისრება, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს რეგრესული სარჩელის უფლება იმ პირის მიმართ, ვისი ინტერესებისთვისაც იგი მოქმედებდა. იხ. Джорбенадзе С.М., Крайняя необходимость в советском гражданском законодательстве, «Советское государство и право», 1960, №10, с. 75. თუ ზიანის მიმყენებელს ასეთი უფლება არ ექნებოდა, დაკარგავდა სხვისი სიკეთის დასაცავად მოქმედების სტიმულს. გარდა ამისა, სხვისი სიკეთის დასაცავად მოქმედი პირი დაზარალებულის როლში მოგვევლინებოდა, თუ მას მოუწევდა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიწვია სხვისი უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დასაცავად განხორციელებულმა ქმედებამ. თუმცა, ეს არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როცა უკიდურესი მდგომარეობა მოქმედი პირის ბრალეული ქმედებითაა შექმნილი.

<sup>50</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 198; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 388; შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი სამართლის გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 231-232; ხერხეულიძე ი., ნიგში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 220. აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას ქონებრივ პასუხისმგებლობას უწოდებს თ. ნინიძე. იხ. ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბ., 1977, გვ. 81.

ბლობის გაიგივებამდე მიგვიყვანდა<sup>51</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურება ყოველთვის არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმას, ეს მაინც არ იძლევა სრულ პასუხს იმის შესახებ, არის თუ არა ზიანის ანაზღაურება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამონატყლება აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ს. ჩაჩავას მსჯელობა, როცა აღნიშნავს, რომ „ხელმყოფი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ მას თავად მიუძღვის ბრალი საფრთხის წარმოშობაში“<sup>52</sup>. გერმანული სამოქალაქო კოდექსის 228-ე პარაგრაფში მოცემული დებულება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე მხოლოდ მაშინ მიუთითებს, როცა საფრთხე თვით ხელმყოფის ბრალითაა შექმნილი<sup>53</sup>. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ განხილულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ხელმყოფის პასუხისმგებლობის ფორმაა.

თ. წერეთელი არ გამოირიცხავდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედი პირის პასუხისმგებლობას, „თუ პირმა თავისი გაუფრთხილებლობით შექმნა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა და შემდეგ იძულებული იყო უფრო მნიშვნელოვანი ზიანის ასაცილებლად სხვისი ინტერესებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა“<sup>54</sup>. ასეთ დროს თ. წერეთლის შეხედულებით, „უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა გამოირიცხული არ არის, მაგრამ პირი პასუხს აგებს ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისთვის, თუ მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა, რომ მის მოქმედებას შეიძლებოდა შედეგად მოყოლოდა სხვისი ინტერესის დაზიანება“<sup>55</sup>. გასათვალ-

<sup>51</sup> Братусь С.Н., Юридическая ответственность и законность, М., 1976, с. 85.

<sup>52</sup> ჩაჩავა ს., უკიდურესი აუცილებლობა - პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა, ნიგნში: ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 431.

<sup>53</sup> „Hat der Handelnde die Gefahr verschuldet, so ist er zum Schadensersatz verpflichtet“.

<sup>54</sup> წერეთელი თ., ნიგნში: წერეთელი თ., ტყემელიაძე გ., (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 110.

<sup>55</sup> წერეთელი თ., იქვე.

ისწინებელია, რომ აქ საუბარია იმ ქმედების მართლზომიერებაზე და იმ ქმედების გამო პასუხისმგებლობაზე, რომელმაც წარმოშვა საფრთხე უფრო დიდი ზიანისა ანუ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა. თუმცა, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმ ზიანის ანაზღაურების ბუნების გასარკვევადაც, რომელსაც ადგილი აქვს აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედი პირის მიერ საფრთხის ბრალეულად გამონგვევასთან დაკავშირებით.

შეხედულება, რომლის მიხედვითაც აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობად მიიჩნევენ, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეასთან? ვინაიდან გამოდის, რომ ის, რაც სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობას გამოირიცხავს, სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობას იწვევს<sup>56</sup>. თუ უკიდურესი მდგომარეობის ბრალეულად წარმოქმნელს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, რამდენად შეიძლება მას ეწოდოს პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის გარეშე?

სამოქალაქო სამართალში „ზიანი“ ინტერესის ხელყოფად<sup>57</sup>, ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირებას უკავშირდება. ზიანის წარმოშობის ორ სხვადასხვა მიზეზს განიხილავენ: პირველი, როცა ზიანი ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით წარმოიშობა და მეორე, როცა მხარეები ზიანის მიყენებამდე ვალდებულებით ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ და შესაბამისად, ზიანი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას არ უკავშირდება. ზიანის ამ უკანასკ-

<sup>56</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ყოველთვის არ განიხილავენ მართლწინააღმდეგო ქმედებას. როგორც მიუთითებენ, სამოქალაქო სამართალი იცნობს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ ბრალის გარეშე, არამედ მართლწინააღმდეგო ქმედების გარეშეც.

<sup>57</sup> ზოიძე ბ., წიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, გვ. 452.

ნელ სახეს სხვაგვარად „არასახელმეკრულებო“ ზიანსაც უწოდებენ. ხოლო, „სახელმეკრულებო“ ის ზიანი, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობითაა განპირობებული<sup>58</sup>. გარდა ამისა, ერთმანეთისგან განასხვავებენ მატერიალურ და მორალურ ზიანსაც.

ზიანის წარმოშობის საფუძვლის გათვალისწინებით, ცივილისტიკაში მიღებულია პასუხისმგებლობის კლასიფიკაცია სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობად<sup>59</sup>. პასუხისმგებლობის ეს სახეები სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ვალდებულებებს ეფუძნებიან. პასუხისმგებლობა არ არსებობს ვალდებულებისგან დამოუკიდებლად. სახელმეკრულებო ვალდებულება ხელმეკრულებას ეფუძნება, რაზეც სახელწოდებაც მიუთითებს, ხოლო არასახელმეკრულებო ვალდებულება, როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს, ზიანის მართლსაწინააღმდეგო მიყენებით წარმოიშობა<sup>60</sup>.

მაშინ, როცა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შექმნილია არა ბუნების სტიქიური ძალების (წყალდიდობა, ყინვა, გვალვა და სხვა) ან ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების (შიმშილი, ავადმყოფობა), არამედ ბრალეული მოქმედების შედეგად, საკითხის სწორი იურიდიული შეფასებისთვის, თ. ნინიძე მიზანშეწონილად თვლის მოქმედების ორი ეტაპის გამოცალკევებას. პირველი, ბრალეული მოქმედებით საფრთხის შექმნა და მეორე, შექმნილი საფრთხის თავიდან აცილება. იგი პირველ ქმედებას თუ არამართლზომიერად თვლის, მეორეს საზოგადოებრივად სასარგებლოდ აფასებს<sup>61</sup>. მაგრამ, რამდენად

<sup>58</sup> ჩიკვაშვილი შ., ნიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ., 2001, გვ. 378-379.

<sup>59</sup> ზოიძე ბ., სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობის ცნება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სამართლის ფილოსოფია, ტ. 222, თბ., 1981, გვ. 19.

<sup>60</sup> ზოიძე ბ., სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „საბჭოთა სამართალი“, 1978, #1, გვ. 23.

<sup>61</sup> ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებულში: საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბ., 1977, გვ. 80-81.

შეიძლება საზოგადოებრივად სასარგებლო ენოდოს ქმედებას იმ შემთხვევაში, როცა განხორციელებული ქმედება უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილებას იწვევს არა მესამე პირისთვის ან პირთა ფართო წრისთვის, არამედ მხოლოდ მოქმედ პირთან მიმართებით?

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორთა დიდი უმრავლესობა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედების არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ ამავდროულად სამოქალაქოსამართლებრივ მართლზომიერებაზე მიუთითებს და მიიჩნევენ, რომ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს სხვა პირის სამართლებრივ სიკეთეზე (საკუთრება) თავდასხმის გამართლების საფუძველი მესაკუთრის სოლიდარული მოვალეობა<sup>62</sup>, რაც იმას გულისხმობს, რომ როცა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი მესაკუთრეს (სხვის სიკეთეს) აზიანებს, მესაკუთრე ვალდებულია გამოიჩინოს სოლიდარობა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ და დაუთმოს მას თავდასხმისა და დამაზიანებელი ქმედების განხორციელების დროს.

ი. პუპეს თვალსაზრისით, აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა არის საპირისპირო (განსხვავებული) შემთხვევა დახმარების იმ სოლიდარული მოვალეობის, რომელსაც დაუხმარებლობის მუხლი გულისხმობს. თუმცა, იგი შემთხვევების დიფერენცირებას ახდენს. კერძოდ, გამოყოფს კატასტროფის და უბედურ შემთხვევებს, როდესაც საფრთხეში მყოფ პირს საკუთარი სიკეთის გადასარჩენად სხვისი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა. ხოლო სხვა შემთხვევებში მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად, ყველას თავისი ბედისწერა აქვს და საკუთარი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად წინდახედულება (Vorsorge) თვითონ უნდა გამოიჩინოს<sup>63</sup>. მაშასადამე, მოცემულ მსჯელობაში აქცენტი წინდახედულობის გამორჩენაზე კეთდება. ზოგჯერ, ადამიანები

<sup>62</sup> Kühn K., Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 272, § 9 Rn. 17; Wessels/Beulke, Strafrecht, AT, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 108, Rn. 295.

<sup>63</sup> Puppe I., Strafrecht, AT, im Spiegel der Rechtsprechung, 2. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 176, § 13 Rn. 1.

საფრთხეში მათი წინდაუხედაობით ვარდებიან, რაც პასუხისმგებლობას მათვე აკისრებს.

ჰ. ველცელის თანახმად, აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა გულისხმობს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფის უფლებას (Notrecht), რომელიც უპირისპირდება დაზარალებულის (მეორე მხარის) თმენის ვალდებულებას (Duldungspflicht) და ამიტომ დაუშვებელია აუცილებელი მოგერიება უკიდურესი აუცილებლობის წინააღმდეგ<sup>64</sup>. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ კონკრეტულ მდგომარეობას, არამედ სხვადასხვა შემთხვევებს, რომელთაგან საყურადღებო სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფ პირს თავისი ბრალეული ქმედებით აქვს ის საფრთხე წარმოქმნილი, რომლის განეიტრალების და უფრო მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად უწევს სხვისი დაზიანება. აღნიშნული კი წარმოშობს კითხვას, მესაკუთრე რამდენად არის ვალდებული დაუთმოს თავისი ქონება სხვა პირს ხელყოფისთვის, თუნდაც უფრო მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად, თუ არსებული საფრთხე მოქმედი პირის ბრალეული ქმედებითაა შექმნილი? ასეთ დროს მესაკუთრე უფლებამოსილია, თუ ვალდებულიცაა, დაუთმოს მოქმედი პირს საკუთარი ქონება საფრთხის გასაწინააღმდეგობლად?

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობისთვის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ნებადართული ზიანის მიყენება მათი უფლებაა<sup>65</sup>. მაშინ, როცა ავტორთა ნაწილი უკიდურესი აუცილებლობის უფლებას (Notrecht) აღიარებს<sup>66</sup>, მეცნიერთა მეორე ჯგუფი ასეთ უფლებას უარყოფს<sup>67</sup>. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის განმარტებისას ქართველი

<sup>64</sup> Welzel H., Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 90, § 14/ III/ 2.

<sup>65</sup> Радченко В.И., (Ред.), Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, “Питер”, 2008, С. 68.

<sup>66</sup> Welzel H., Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 90, § 14/ III/ 2.

<sup>67</sup> აღნიშნულ შეხედულებაზე იხ. Розина Н., О крайней необходимости, С-Петербург, 1899, С. 213.



მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „უკიდურესი აუცილებლობის დროს საქმე გვაქვს ინტერესების კოლიზიასთან, რამდენადაც პირს განსაკუთრებული გარემოებების გამო შეუძლია შეიჭრას მესამე პირთა სიკეთეში“<sup>68</sup>. აგრესიული უკიდურესი აუცილებლობა სამართლებრივ სიკეთეთა შეპირისპირების გამოსატყულებად მიიჩნევა<sup>69</sup>.

თუ აუცილებელი მოგერიების დროს ხდება საკუთარი ან სხვისი ინტერესის დაცვა უმართლობისგან (მართლსაწინააღმდეგო ქმედებისგან), უკიდურესი აუცილებლობის დროს ადგილი აქვს ინტერესთა კოლიზიას<sup>70</sup>.

უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლში კანონმდებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში განხორციელებული ქმედების არამართლსაწინააღმდეგო ხასიათზე არ მიუთითებს<sup>71</sup>, განსხვავებით 116-ე მუხლისგან (აუცილებელი მოგერიება).

ფ. ლისტი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევათა დიფერენცირებას ახდენდა და აღნიშნავდა, რომ, თუ მოქმედი პირის ბრალით არის გამოწვეული უკიდურესი მდგომარეობა მასზე არ ვრცელდება ის უფლება, რომელსაც უკიდურესი მდგომარეობა წარმოშობს<sup>72</sup>. უკიდურესი აუცილებლობის ნორმის (გფრ სსკ-ის

---

<sup>68</sup> ჯორბენაძე ს., წიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2002, გვ. 303; ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 113; ჩაჩავა ს., უკიდურესი აუცილებლობა - პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა, წიგნში: ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 424, 428, 435.

<sup>69</sup> Jescheck H.-H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 357.

<sup>70</sup> Лист Ф., Учебник уголовного права, общая часть, М., 1903, С. 157.

<sup>71</sup> ჩაჩავა ს., უკიდურესი აუცილებლობა - პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა, წიგნში: ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 420.

<sup>72</sup> „Если действующее лицо само виновно въ наступлении состояния крайней необходимости, то право необходимости ему не представляется“. იხ. Лист Ф., Учебник уголовного права, общая часть, М., 1903, С. 159.

34-ე პარაგრაფი) ინტერპრეტაციისას მოსალოდნელ ზიანთან დაკავშირებული საფრთხის ხარისხის და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედის ბრალეულობის (როცა უკიდურესი მდგომარეობა მისი წინარე ქმედებითაა შექმნილი) გათვალისწინების აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაზე მიუთითებს კ. როქსინიც.<sup>73</sup>

უკიდურესი აუცილებლობის დროს მოქმედი პირი საზიანო შედეგის თავიდან აცილების მიზნით სხვისი სიკეთის ხელყოფის უფლებით შეიძლება სარგებლობდეს დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობის დროს, როცა საფრთხის წყაროს წარმოადგენს ის, ვისაც ეკუთვნის ხელყოფილი სიკეთე, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება ეს გავრცელდეს უკიდურესი აუცილებლობის ყველა შემთხვევაზე. კერძოდ, აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობაზე. შემთხვევითი არ არის გარემოება, რომ როცა კანონმდებელი სსკ-ის 28-ე მუხლში აუცილებელი მოგერიების უფლებაზე მიუთითებს, 30-ე მუხლში უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით უფლების არსებობაზე არაფერს გვეუბნება, რაც იმას გულისხმობს, რომ გარკვეული მოქმედება უფლებად მიიჩნევა უკიდურესი აუცილებლობის მხოლოდ ცალკეულ და არა ყველა შემთხვევაში.

თუ მესაკუთრეს ვალდებულად ვცნობდით, მისცეს საფრთხის ბრალეულად დამაფუძნებელ თავდამსხმელს საკუთარი ქონების ხელყოფის შესაძლებლობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა აუცილებელი მოგერიების უფლება ქონებრივი სიკეთის დასაცავად. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქონებრივი სიკეთე დაცულია აუცილებელი მოგერიების უფლებით. მოგერიების უფლება იცავს არა მხოლოდ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, არამედ საკუთრების უფლებასაც. გასათვალისწინებელია ის, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის და არა მართლზომიერი ქმედების წინააღმდეგ. უკიდურესი აუცილებლობა კი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებაა, შესაბამისად, აღნიშნულ გარემოებაში განხორციელებული ქმედება მართლზომიერ ქმედებად უნდა ჩაით-

<sup>73</sup> Roxin C., Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 776, § 16 Rn. 110.

ვალოს, მაგრამ საკამათოა, კარგავს თუ არა იმ ქონების მესაკუთრე აუცილებელი მოგერიების უფლებას, რომლის ხელყოფაც განზრახული აქვს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედს, როცა საფრთხე მოქმედი პირის ბრალეული ქმედებითაა წარმოქმნილი. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ საუბარია საფრთხეში, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ სოლიდარულ მოვალეობაზე, სოლიდარული მოვალეობა არასდროს არ გულისხმობს ისეთი ქმედების განხორციელების თუ თმენის ვალდებულებას, რომელიც საფრთხის შემქმნელი იქნება სოლიდარული მოვალეობის სუბიექტისთვის და მისი სიკეთისთვის, რაზეც მიუთითებს საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხლის (დაუხმარებლობა) დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, სოლიდარული მოვალეობის სუბიექტი მაშინ არის ვალდებული დაეხმაროს საფრთხეში მყოფს, „თუ ეს შესაძლებელია საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე“.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ჩნდება კითხვა, დებულება, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება გამოირიცხება მართლზომიერი ქმედების წინააღმდეგ, რამდენად შეიძლება იგი გავრცელდეს აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედ იმ პირზე, რომელმაც საფრთხე თავისი ბრალეული ქმედებით წარმოშვა? თუ აღნიშნული დებულება იმაზეც გავრცელდა, ვინც ბრალეულად ქმნის უკიდურეს მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება, აზრს ხომ არ კარგავს აუცილებელი მოგერიების უფლება საკუთარი ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად?

ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეის მხარდამჭერები თანმიმდევრულად ვერ იცავენ საკუთარ პოზიციას. ერთი მხრივ, აღნიშნავენ, რომ დაუშვებელია სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერად ჩაითვალოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სამართლის სხვა დარგში, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების

სისხლისსამართლებრივად არამართლსაწინააღმდეგო ხასიათზე.<sup>74</sup>

ჩნდება კითხვა: თუ ერთიანი მართლწესრიგის პრინციპიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყოველთვის მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ვცნოთ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სამართლის სხვა დარგში, ადმინისტრაციულსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება რატომ არ არის ამავდროულად მართლსაწინააღმდეგო სისხლისსამართლებრივადაც? ადმინისტრაციულსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ სისხლისსამართლებრივი გაგებით ავტომატურად რომ ვერ ჩაითვლება ამის მიზეზი არის ის, რომ ქმედება სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგო ვერ იქნება, თუ ის არ არის გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემული ქმედების ამა თუ იმ შემადგენლობით. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართალი არ ებრძვის მცირე მნიშვნელობის ქმედებას, რაც შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აკრძალვის საგანს.

## VII.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის ერთ-ერთი (ნორმატიული) ნიშანი, რომელსაც აქვს სამართლის დარგობრივი სფერციფიკა, რაც იმას გულისხმობს, რომ არა მხოლოდ უმართლობა იყოფა დარგებად, არამედ ასევე შესაძლებელია საუბარი მართლწინააღმდეგობაზე სამართლის ამა თუ იმ დარგის გაგებით. როდესაც საუბარია მართლწინააღმდეგობაზე, როგორც დანაშაულის ნიშანზე, იგულისხმება მართლწინააღმდეგობა სისხლისსამართლებრივი გაგებით.

სისხლისსამართლებრივი გაგებით ქმედება მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ის არის გათ-

<sup>74</sup> მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013, გვ. 75. ანალოგიური მოსაზრება ასევე იხ. Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 335, §14 Rn. 6.

ვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლით და არ არის განხორციელებული მართლწინააღმდეგობის გამოძიება გარემოებაში. ქმედება რომ სამოქალაქო სამართალშია მართლწინააღმდეგო, არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობისთვის, ვინაიდან სისხლის სამართალი არის *ultima ratio*, უკანასკნელი საშუალება სახელმწიფოს ხელში, რის გამოც, ქმედება უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საშიშროების შესაბამის კრიტერიუმს.

მართლწინააღმდეგობის ასეთი გაგება წინააღმდეგობაში არ მოდის ერთიანი მართლწესრიგის პრინციპთან. ის, რომ სამოქალაქო სამართლებრივად მართლწინააღმდეგო ქმედება არ მიიჩნევა მართლწინააღმდეგოდ სისხლისსამართლებრივადაც, ისე არ უნდა იქნას განმარტებული, რომ აღნიშნული ქმედება ნებადართულად გამოაცხადა სისხლის სამართალმა, რომელიც არის მართლწესრიგის ერთ-ერთი სფერო, სამართლის ერთ-ერთი დარგი, არამედ ამის საფუძველია ის, რომ ქმედება არ შეიცავს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა ეფუძნება.

მართლწინააღმდეგობის ასეთი (დარგობრივი) გაგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი, არამედ ასევე სისხლის საპროცესო სამართლებრივი გაგებითაც, ვინაიდან მართლწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან დაიწყონ და განახორციელონ გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, თუ ჩვენ სამოქალაქოსამართლებრივად მართლწინააღმდეგო ქმედებასაც მართლწინააღმდეგოდ ჩავთვლიდით სისხლის სამართალში, აღნიშნული ორგანოები ვალდებული იქნებოდნენ ასეთი რეაგირება მოეხდინათ იმ ქმედებაზეც, რომელიც სისხლის სამართლით არ არის გათვალისწინებული, რაც წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მეტად მნიშვნელოვან კანონიერების პრინციპთანაც.

## ბადრი კოჭლამაზაშვილი

სამართლის დოქტორი,

თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

### ერთგვაროვანი კვალიფიკაციის საჭიროება

#### ოჯახში ძალადობის საქმეებზე

ოჯახში ძალადობა ჩვენს ქვეყანაში სპეციალური შემადგენლობის სახით, დამოუკიდებელ დანაშაულად ჩამოყალიბდა 2012 წლის 12 ივნისის კანონით, როცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 126<sup>1</sup>-ე მუხლი. მანამდე ოჯახში ძალადობა, როგორც ძალადობის კონკრეტული გამოვლინება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე ან 126-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა. 125-ე მუხლის შემადგენლობას ქმნიდა ერთგვარადი ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ხოლო 126-ე მუხლს - სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა. ამ მუხლებიდან სპეციალური შემადგენლობის სახით 126<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყოფა მიზნად ისახავდა განსაკუთრებულ მიდგომას იმ პირთა მიმართ, ვინც ძალადობას ახორციელებდნენ ოჯახის წევრების მიმართ და დადგინდა განსხვავებული წესები, როგორც დისპოზიციის, ისე სანქციის ნაწილში. ახალი რეგულაციების შემოღება განაპირობა იმანაც, რომ იმ პერიოდში საგრძნობლად იმატა ოჯახის წევრებზე ძალადობის ფაქტებმა და ყოველწლიურად სტატისტიკური მაჩვენებლები უფრო და უფრო იზრდებოდა, შესაბამისად, გაიზარდა ამ მუხლით წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები, რამაც თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა სწორი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის აუცილებლობა, რამდენადაც ზემოაღნიშნული დანაშაულები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ხოლო მათი შეფასებისას არც საგამოძიებო და არც სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის.

ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ პრობლემის რამდენიმე ასპექტი, რომელიც დღეს პრაქტიკაში ყველაზე უფრო აქტუალურია, ხოლო კვალიფიკაცია - არაერთგვაროვანი:

**1. ვინ მოიაზრება „ოჯახის წევრში“?**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნაში ამომწურავად არის მითითებული იმ პირთა ჩამონათვალი, ვინც ითვლება ოჯახის წევრად, მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირი არასწორად არის მიჩნეული „ოჯახის წევრად“ ან პირიქით, არ არის მიჩნეული „ოჯახის წევრად“. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ სამ სუბიექტზე, ვინაიდან პრაქტიკაში ყველაზე მეტი გაურკვეველობა სწორედ მათ უკავშირდება:

- ა. მეუღლე და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი;
- ბ. სიძე და რძალი;
- გ. მეგობარი მამაკაცი/ქალი.

ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნაში 2012 წლიდან 2017 წლამდე სხვა პირებთან ერთად მითითებული იყო მეუღლეზე და არა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირზეც, რაც პრაქტიკაში ერთგვარ სირთულეს ქმნიდა, კერძოდ, როდესაც საქმე ეხება მეუღლეს, საკითხის შეფასებისას ვხელმძღვანელობთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 110<sup>6</sup>-ე და 115<sup>1</sup>-ე მუხლებით, რომლის მიხედვით, მეუღლედ ითვლება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. ამდენად, როცა პირები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, საკითხის შეფასება მარტივია და რაიმე კითხვის ნიშნები არ ჩნდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის რეალობას, სადაც ჯერ კიდევ წყვილთა არცთუ ისე მცირე ნაწილი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, თუმცა რამდენიმე ათეული წელია ცხოვრობენ ერთად და ეწევიან ცოლ-ქმრულ თანაცხოვრებას, ასეთ შემთხვევაში რთულია იმის მტკიცება, რომ ისინი „მეუღლეები“ არ არიან და თავიანთი სტატუსით არ უთანაბრდებიან მეუღლეებს. სწორედ ამით იყო განპირობებული

ის ცვლილება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა 2017 წლის 1 ივნისს, როცა სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლს ოჯახის წევრად დაემატა „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი“. ამით ერთგვარად მოიხსნა ის გაუგებრობა, რაც უკავშირდებოდა ასეთი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობის დროს მის გაიგივებას მეუღლესთან ან მის მიკუთვნებას იმ პირთან, ვისთან ერთადაც ეწეოდა ან ეწევა მოძალადე ერთიან საოჯახო მეურნეობას. მაშასადამე, დღეისათვის ოჯახის წევრად ითვლება როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი (მეუღლე), ისე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მაგრამ ამის პარალელურად მეორე პრობლემამ იჩინა თავი, რაც უკავშირდებოდა შემდეგი საკითხის გარკვევას: თუ ყოფილი მეუღლე ითვლებოდა ოჯახის წევრად, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართ „ყოფილზე“ მითითება კანონში არ იყო, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკითხავია, ყოფილი ფაქტობრივი მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობა ჩაითვლება თუ არა ოჯახში ძალადობად? მაგალითად, თუ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები (ფაქტობრივი ქმარი და ფაქტობრივი ცოლი) ერთმანეთს დაშორდნენ (გასცილდნენ) და შემთხვევითი შეხვედრის დროს ერთმა იძალადა მეორეზე, - ეს ფაქტი უნდა შეფასდეს თუ არა ოჯახში ძალადობად, პრაქტიკაში ეს საკითხი განსხვავებულად წყდებოდა: ნაწილი თვლიდა, რომ კანონი ასეთ პირებს არ განიხილავდა ოჯახის წევრებად და შესაბამისად, მოძალადის ქმედებას აკვალიფიცირებდა ზოგადად ძალადობად (სსკ-ის 126-ე მუხლი), ნაწილის აზრით კი, ეს მაინც ოჯახში ძალადობაა და მოძალადის ქმედება უნდა შეფასებულიყო სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით.

ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში კანონის ტექსტის მოშველიება და სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით საკითხის გადანყვეტა არასწორ პოზიციაზე მიგვიყვანდა, რადგან მართალია, კანონში პირდაპირ არ წერია სიტყვა „ყოფილი“, როდესაც საკითხი ეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, მაგრამ რადგან კანონმდებელმა ერთნაირი რეგულირების ქვეშ მოაქცია მეუღლე და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და ეს პოზიცია



გამოხატა 2017 წელს ამ უკანასკნელის ოჯახის წევრად დამატების დროს, საკითხი ყოფილ მეუღლესთან ანალოგიური მიდგომით უნდა გადაწყვეტილიყო. მართლაც, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში წევლების ნაწილი თუ იურიდიულად რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება და მეორე ნაწილი კი მრავალწლიანი თანაცხოვრების მიუხედავად კვლავაც არარეგისტრირებულ ქორწინებაშია, ეს არ უნდა იძლეოდეს სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავებული რეგულაციების შესაძლებლობას (თუმცა სამოქალაქო სამართალში ეს რეგულაციები განსხვავებულია). რამდენადაც სისხლის სამართალი მათ ერთ ჭრილში განიხილავს, მათ მიმართ დამოკიდებულებაც თანაბარ მიდგომას ითხოვს. შესაბამისად, რადგან სისხლის სამართალში მეუღლე და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი ერთნაირი დამოკიდებულებით სარგებლობს, „ყოფილობის“ შემთხვევაშიც ისინი თანაბარი მიდგომით უნდა სარგებლობდნენ და მათ მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულების გამოვლენა უსამართლო იქნება. თუმცა, სასურველი იყო ეს საკითხიც კანონმდებლობით დარეგულირებულიყო და ოჯახის წევრად მითითებული ყოფილიყო არამხოლოდ ყოფილი მეუღლე, არამედ წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი. სანინალმდეგო მოსაზრების მიხედვით, ყოფილი „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი“ მიეკუთვნება იმ პირს, რომელიც „ენეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას“ და მასზე საგანგებოდ მითითება კანონში საჭირო აღარ იყო, რაც არასწორია, რადგან იმ პირთა წრეში, ვინც „ენევიან ან ენეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“ მეუღლე არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი გაგებით არ მოიაზრება. ასე რომ იყოს, მაშინ მეუღლისა და ყოფილი მეუღლის განცალკევებით მითითება აზრს დაკარგავდა, რადგან მეუღლე, როგორც წესი, უმეტესად ეწევა მეორე მეუღლესთან ერთად ერთიან საოჯახო მეურნეობას. ერთიანი საოჯახო მეურნეობის განმახორციელებელ პირად უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის პირი, რომელიც იმავდროულად არ არის სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლში მითითებული სხვა პირი. მისასაღმებელია, რომ საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც მოხდა ამ ხარვეზის აღმოფხვრა კანონში და 2020 წლის 1

სექტემბრიდან ამოქმედდა სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლის ახალი რედაქცია, სადაც ოჯახის წევრად დაემატა „ნარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი“.

ამავე კანონით (რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბერს) აღმოიფხვრა კიდევ ერთი სადავო საკითხი: კერძოდ, მანამდე არსებული მე-11<sup>1</sup> მუხლი ოჯახის წევრად უთითებდა მხოლოდ მეუღლის მშობელს, ხოლო არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართ უთითებდა პირთა უფრო ფართო წრეს „**მისი ოჯახის წევრს**“, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა, რადგან ერთ შემთხვევაში კანონის მოქმედების სფეროში ექცეოდა მხოლოდ მშობელი (მეუღლის შემთხვევაში), მაშინ, როცა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის შემთხვევაში, კანონი ოჯახის წევრებად მიუთითებდა არამარტო მის მშობლებს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, რაშიც მშობლების გარდა სხვა პირებიც იგულისხმებიან (და-ძმა, ბებია-პაპა და ა.შ). ეს კი აშკარა უთანასწორობას ადგენდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის სასარგებლოდ. ამასთან, კიდევ უფრო გაუგებარი ხდებოდა, თუ ვინ შეიძლება მოაზრებულყოფი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის ოჯახის წევრად. ეს წრე მნიშვნელოვნად და უსამართლოდ აფართოვებდა ოჯახის წევრთა სფეროს, რაც ასევე კანონით დარეგულირებას მოითხოვდა და სასურველი იყო მეუღლისა და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფის პირის გათანაბრება ამ საკითხშიც. ასეც მოხდა და ზემოაღნიშნულმა კანონმა ოჯახის წევრად მიუთითა „**მეუღლის მშობელი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი**“, რამაც ზემოაღნიშნული უხერხულობა მოხსნა.

ბ. სიძე და რძალი ქართულ სინამდვილეში მეტად ფართოდ გამოყენებული სტატუსია და ასეთად იწოდებიან ოჯახის სხვადასხვა ახლობელი პირები, მაგალითად, სიძეს ეძახიან: ქალიშვილის ქმარს, დის ქმარს, შვილიშვილის ქმარს და აშ, ხოლო რძალს ეძახიან ვაჟიშვილის ცოლს, ძმის ცოლს, მაზლის ცოლს და სხვა. საინტერესოა, კანონმდებელმა ყველა ეს პირი მიიჩნია ოჯახის წევრად, თუ არა. საკითხის შეფასებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ პირთა

ჩამონათვალს, რომელიც მოქცეულია ოჯახის წევრთა სფეროში და შევნიშნავთ, რომ ასეთად მიჩნეულია აღმავალი, დაღმავალი და გვერდითი ხაზის ისეთი სანათესავო, რომლებიც ყველაზე მეტად შესაძლებელია ცხოვრობდნენ ერთ სივრცეში – ოჯახში. ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, მეუღლეები ერთ ოჯახში შესაძლოა ცხოვრობდნენ მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის მშობლებთან ერთად, მაგრამ თუ ორი ძმა – თავიანთი ცოლებით, ან ორი და – თავიანთი ქმრებით ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევიან, ისინი მოქცევიან სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მოქმედების არეალში (თუ ისინი ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას), სხვა შემთხვევაში – არა, რადგან აღსანიშნავია, რომ კანონი ოჯახის წევრად არ მიიჩნევს ცოლის ძმასა და ცოლის დას, არც მამულსა და მულს, შესაბამისად, მათი მეუღლეები, რომლებიც უმეტესად სიძედ ან რძლად იწოდებიან, არ უნდა მივიჩნიოთ ოჯახის წევრებად. ამ პოზიციის სასარგებლოდ შესაძლოა მოვიშველიოთ შემდეგი მაგალითი: თუ მოძალადემ სცემა თავისი ცოლის ძმა (რომელიც არ იწოდება სიძედ), სახეზე არ გვექნება ოჯახში ძალადობა, ხოლო თუ პირიქით მოხდა – მოძალადემ სცემა თავისი დის ქმარი (რომელიც იწოდება სიძედ), გამოდის, რომ მან ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, რაც არასწორია, რადგან მოძალადეც და მსხვერპლიც ორმხრივად უნდა იყვნენ ერთმანეთის ოჯახის წევრები და არა ცალმხრივად. **ეს კანონის მოთხოვნაა, რადგან სსკ-ის მე-11<sup>1</sup>** მუხლის მიხედვით: „ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ“ **დანაშაულის ჩადენას.** მაგალითად, სიძე – ცოლის ძმა; ან რძალი და მამული, თუ ისინი არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, ოჯახის წევრებად არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ცოლის ძმისთვის დის ქმარი იწოდება სიძედ, ხოლო მამულისთვის თავისი ძმის ცოლი იწოდება რძლად, პირიქით შემთხვევაში კი სახეზე არც სიძე გვყავს (გვყავს ცოლის ძმა) და არც რძალი (გვყავს მამული). ამდენად, ოჯახის წევრობისთვის უკუკავშირის შემთხვევაშიც ოჯახის წევრთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგალითად, სიძე-სიმამრი (რადგან სიძისთვის იქნება მეუღლის მშობელი, ხოლო სიმამრისთვის იქნება ქალიშვი-

ლის ქმარი – სიძე), რძალ-დედამთლი (რადგან რძლისთვის იქნება მეუღლის მშობელი, ხოლო დედამთილისთვის იქნება ვაჟიშვილის ცოლი – რძალი) და ა.შ. სხვაგვარად გაგების შემთხვევაში მივიღებთ ცალმხრივ ოჯახის წევრობას, რაც ერთსა და იმავე ნათესაურ კავშირში მყოფი პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით ნორმის ვინრო განმარტება უნდა მოხდეს და კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლში მითითებულ სიძეში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ქალიშვილის ქმარი, ხოლო რძალში – მხოლოდ ვაჟიშვილის ცოლი, **რადგან ამ წოდებების გაგება ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული წესით გამოიწვევს ტერმინის ისეთ ფართო გაგებას, რაც მეტად დაუზუსტებელი იქნება საქართველოს კუთხეებში არსებული კიდევ უფრო მეტი თავისებურებების გათვალისწინებით.** ამ საკითხის ირგვლივ პრაქტიკაში არსებული არაერთგვაროვანი მიდგომა ისევ საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა და 2020 წლის 1 სექტემბერს ამოქმედებულმა კანონმა „სიძისა“ და „რძლის“ ნაცვლად მიუთითა „შვილის მეუღლეზე“, რაც საკითხის მართებულ გადაწყვეტად უნდა შეფასდეს. აქვე მიეთითა ასევე ისიც, რომ შვილის მეუღლეს უთანაბრდება „შვილთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირიც“.

გ. საკითხი მეტად პრობლემურია, როცა იგი ეხება ე.წ. „მეგობარი პირის“ მიმართ განხორციელებულ ძალადობას. პრაქტიკა მას ზოგჯერ ოჯახის წევრად განიხილავს, ზოგჯერ - არა, რაც დაუშვებელია და საკითხი ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, პრაქტიკიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა ბრალდებულ მამაკაცს, რომელსაც ორი წლის განმავლობაში სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა მეზობლად მცხოვრებ ქალთან, რომელმაც ამ მამაკაცისაგან გააჩინა შვილი. ბავშვი ჩაიწერა დედის გვარზე, რადგან მამის ვინაობის გამხელა სამეზობლოში, დედის თქმით, „უხერხულობას შექმნიდა“ (რადგან ამ მამაკაცს ცოლ-შვილი ჰყავდა). ბავშვის ნახვის საკითხზე ბრალდებულსა და ბავშვის დედას შორის ხშირად ხდებოდა კონფლიქტები და მორიგი კონფლიქტის დროს ბრალდე-

ბუღალტრული ფიზიკურად იძალადა ამ ქალზე, რის გამოც იგი დააკავებს და წარუდგინეს ბრალდება ოჯახში ძალადობისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით).

მოცემულ საქმეში ბრალდების მხარეს მიაჩნდა, რომ ვინაიდან მათ ჰყავდათ საერთო შვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ბრალდებული და ბავშვის დედა უნდა მიჩნეულიყვნენ ოჯახის წევრებად, შესაბამისად, განხორციელებული ძალადობა ბრალდების მხარემ მოაქცია სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მოქმედების სფეროში, ხოლო სასამართლომ ბრალდებულის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რადგან მიიჩნია, რომ ისინი არ იყვნენ ერთმანეთის ოჯახის წევრები<sup>1</sup>.

ისმის კითხვა: უნდა ჩაითვალოს თუ არა „მეგობარი ქალი/მამაკაცი“ ოჯახის წევრად?

ამ საკითხთან დაკავშირებით თუ მოვიშვებთ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, (ე.წ სტამბოლის კონვენციას), რომელიც საქართველოს მხარისთვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბერს, მისი მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი პარტნიორს ოჯახის წევრად განიხილავს, მაგრამ სადავოა, რამდენად სწორი იქნება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის გვერდის ავლით კონვენციის გამოყენება და იმ პირის მიჩნევა ოჯახის წევრად, რომელსაც კოდექსი ასეთად მიჩნეულ პირთა ამომწურავი ჩამონათვალის მიღმა ტოვებს. ცნობილია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსზე უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ), თუმცა, როცა სისხლის სამართლის კოდექსით და-

<sup>1</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის №1/1196-18 განაჩენი.

ნაშაულად ცხადდება „ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება“, ბრალდებულის საუარესოდ საკითხის გადაწყვეტა კონვენციაზე დაყრდნობით - მართებულად არ უნდა ჩაითვალოს. ბრალდებულის საუარესოა იმიტომ, რომ, თუ მაგალითად, სექსუალურ პარტნიორს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, ოჯახის წევრად მივიჩნევთ, მაშინ მის მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფა საქართველოს კანონმდებლობით გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო თუ დავეყრდნობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლს, პარტნიორი ოჯახის წევრად არ განიხილება და შესაბამისად, მის მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფა არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გარდა ამისა, სადავოა საკითხი, რამდენად უნდა ჩაითვალოს ერთიან საოჯახო მეურნეობად ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების მხრიდან ბავშვის მიმართ განხორციელებული მზრუნველობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, ორივე მშობელი თანაბრად ვალდებულია, იზრუნოს არასრულწლოვან შვილზე, მაგრამ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება (და არა ცალ-ცალკე ყოფნა) სწორედ იმის მაუწყებელია, რომ ისინი ერთობლივად არ ახორციელებენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამდენად, ერთიანი საოჯახო მეურნეობის განხორციელება მაშინ გვექნება სახეზე, როცა ბრალდებული და მსხვერპლი ერთობლივად ზრუნავენ ოჯახზე და ერთად უძღვებიან საოჯახო საქმეებს. ამ საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს ერთად ყოფნის აუცილებლობას, რადგან ერთიანი საოჯახო მეურნეობა შეიძლება განხორციელდეს დროებით ერთად ყოფნის გარეშეც. მაგალითად, თუ მამაკაცი ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად დროებით ცხოვრობს ქალაქში, ხოლო ქალი დიასახლისად დარჩა სოფელში, თუმცა ორივეს ძალისხმევა მიმართულია ოჯახის კეთილდღეობისაკენ, მათი ცალ-ცალკე ყოფნა არ გამოიწვევს ერთიანი საოჯახო მეურნეობის განხორციელებას, მაგრამ ერთად არ ყოფნა ისეთ ვითარებაში, როცა მამაკაცს თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება აქვს

(ჰყავს ოჯახი) და მხოლოდ პერიოდულ ყურადღებას იჩენს თავის შვილზე, ერთიან საოჯახო მეურნეობად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც არასრულწლოვან შვილზე ზრუნვით და პერიოდულად ყურადღების გამოჩენით არ შემოიფარგლება საოჯახო მეურნეობის წარმოება.

პრაქტიკისათვის პრობლემურ საკითხად რჩება იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებულ შემდეგ სიტყვებში: „მუდმივად ენევიან ან ენეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“ ტერმინი „მუდმივად“ ნიშნავს უწყვეტობას, თუ უფრო მეტად ხანგრძლივობას? როდესაც პირები „მუდმივად ენევიან“ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ისინი გარკვეული დროის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამ პირობებში დროის ხანგრძლივობას მნიშვნელობა არა აქვს. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე თვე ან წელი, თუმცა მინიმალური დროის ხანგრძლივობის დადგენას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, მაგალითად, რამდენიმე დღით ერთად ცხოვრება და საოჯახო საქმეების ერთობლივად კეთება არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ ერთიან საოჯახო მეურნეობად, რომელსაც პირები „მუდმივად ენევიან“ ერთად. რაც შეეხება უწყვეტობის ფაქტორს, ამ შემთხვევაში მართებულია საკითხი გადაწყდეს იმისდა მიხედვით, თუ რა დროს განხორციელდა ძალადობა: - როცა პირები ჯერ კიდევ ერთად ენევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, თუ ხანმოკლე დაშორების შემდეგ, რადგან შესაძლებელია, რომ პირები დროებით და პერიოდულად შორდებოდნენ კიდევ ერთმანეთს გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ თუ ძალადობა ჩადენილია კვლავ ერთიანი საოჯახო მეურნეობის განხორციელების პროცესში, იგი მაინც ჩადენილად უნდა ჩაითვალოს იმ დროს, როცა პირები ჯერ კიდევ „ენევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას“ და იმ ფაქტს, რომ ისინი უწყვეტად არ ახორციელებდნენ ასეთ მეურნეობას რაიმე გავლენის მოხდენა საკითხის შეფასებაზე არ უნდა ჰქონდეს.

როცა ძალადობა ჩადენილია იმ დროს, როცა პირები ერთობლივად უკვე აღარ ახორციელებენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ასეთ დროს მიეთითება, რომ ისინი „ენეოდნენ ერთიან საოჯახო

მეურნეობას“, თუმცა საკითხავია, რა დრო უნდა იქნეს მიჩნეული საკმარისად, რომლის გასვლის მერე ისინი აღარ იქნებიან მიჩნეული ოჯახის წევრებად, მაგალითად, პირები თუ ერთიან საოჯახო მეურნეობას ენეოდნენ 1 წლის განმავლობაში, ხოლო მას შემდეგ 20 წელი დაშორებულები არიან ერთმანეთს და შემთხვევითი შეხვედრის დროს ერთმა იძალადა მეორეზე. საკითხავია, სახეზე გვექნება თუ არა ოჯახში ძალადობა იმ პირებს შორის, ვინც „მუდმივად ენეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“ ვფიქრობ, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, როგორც გადაწყდებოდა ყოფილი მეუღლის ან წარსულში არარეგისტრირებული პირის შემთხვევაში. სამივე ამ პირის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომაა საჭირო და ასეთ შემთხვევაში დროის ფაქტორს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რამდენადაც, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, პირი „ყოფილი მეუღლის“ სტატუსს მუდმივად ინარჩუნებს და ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც კი არ კარგავს მას. ასეთი დამოკიდებულებაა საჭირო „წარსულში არარეგისტრირებული პირის“ მიმართაც და იმ პირის მიმართაც, ვისთან ერთადაც მეორე პირი „ენეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას.“

## 2. რას გულისხმობს ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ.

ძალადობა სამართლებრივი კატეგორიაა და მისი არსი არავითარ გაურკვევლობას არ იწვევს. მოცემულ შემთხვევაში სადავოა მხოლოდ ის საკითხი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლში მითითებული „ძალადობა“ ერთჯერად ძალადობას გულისხმობს, თუ სისტემატურსაც. პირველი პოზიციის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლში მხოლოდ ერთჯერადი ძალადობა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან არ შეიძლება კანონმდებელი ისევე სჯიდეს სისტემატური ძალადობის ჩამდენ პირს, როგორც ერთჯერადი ძალადობის ჩამდენს და ამის ნათელი მაგალითია სსკ-ის 126-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ეხება ერთჯერად ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, ხოლო 12 ნაწილი ეხება სისტემატურ ცემას ან სხვაგვარ ძალადო-



ბას, ხოლო მეორე პოზიციის მიხედვით, პირიქით, კანონმდებელი არ შეიძლება დასჯადად აცხადებდეს ერთჯერად ძალადობას, ხოლო სისტემატურ ძალადობას - არა, ამიტომ მეორე პოზიციის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლში იგულისხმება როგორც ერთჯერადად, ისე სისტემატურად ჩადენილი ძალადობა.

საკითხის სწორად შეფასებისათვის, ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 126<sup>1</sup> მუხლის შემოღების მიზანს. კერძოდ, ამ ნორმის შემოღებამდე განხორციელებული ძალადობა ასევე დანაშაულს წარმოადგენდა (სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე და 126-ე მუხლები) და ამ მუხლის შემოღებით რაიმე ახალი ქმედება კი არ გამოცხადდა დანაშაულად (ძალადობის ნაწილში), არამედ განისაზღვრა სპეციალურ პირთა წრე (ბრალდებულისა და მსხვერპლისა) და მისი ჩამდენის მიმართ გამკაცრდა კანონმდებლის მიდგომა. ამ ფონზე დანაშაულად გამოცხადდა ისეთი ქმედებებიც, რომელიც, თუ არ ეხება ოჯახის წევრს, სხვა შემთხვევაში დანაშაულად არ მიიჩნევა (მაგალითად, სისტემატური შეურაცხყოფა). რაც შეეხება ძალადობას, იგი ამ ნორმის შემოღებამდეც ითვლებოდა დანაშაულად და თუ იგი ერთჯერადად იყო ჩადენილი, ქმედება კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, ხოლო თუ მას ჰქონდა სისტემატური ხასიათი, ქმედება კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით. მოგვიანებით - 2016 წლის 1 დეკემბრის კანონით, 125-ე მუხლის შემადგენლობა გადავიდა 126-ე მუხლის პირველ ნაწილში, ხოლო სისტემატური ძალადობა 126-ე მუხლის 12 ნაწილად იქცა. მამასადამე, კანონმდებელი 126<sup>1</sup> მუხლის შემოღებამდე ერთჯერად და სისტემატურ ძალადობას სხვადასხვა მუხლით სჯიდა. ერთჯერად ძალადობას სჯიდა 125-ე მუხლით და სისტემატურს - 126-ე მუხლით, მაშინ რა საჭირო იყო სპეციალური მუხლის შემოღება და თუ მაინც საჭირო იყო, ორივე სახის ძალადობა სწორედ ამ სპეციალურ მუხლში ხომ არ მოიაზრა?

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ ოჯახურ სივრცეში ჩადე-

ნილი დანაშაულის მიმართ კანონმდებელმა მიდგომები გაამკაცრა, ერთმანეთს უნდა შევადართო მანამდე არსებული ნორმებითა (125-ე და 126-ე მუხლებით) და ახალი ნორმით (126<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ, თუ მანამდე ერთჯერადი ძალადობის ჩადენისთვის (125-ე მუხლი) თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული საერთოდ არ იყო, 126<sup>1</sup> მუხლით დაწესდა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ ოჯახის წევრის მიმართ ჩაიდენდა პირი ძალადობას, მას თავისუფლების აღკვეთაც კი დაემუქრებოდა, ხოლო თუ იმავე ძალადობას ჩაიდენდა სხვა პირის (არა ოჯახის წევრის) მიმართ, მას თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდებოდა. ამდენად, მართლაც სახეზეა სასჯელის გამკაცრება. ახლა ვნახოთ, რა მოხდებოდა სისტემატური ძალადობის დროს: თუ პირი სისტემატურად ახორციელებდა ძალადობას სხვა პირის მიმართ, მას სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეიძლებოდა შეფარდებოდა (126-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო თუ სისტემატურ ძალადობას ადგილი ექნებოდა ოჯახის წევრის მიმართ და მივიჩნევთ, რომ მისი ქმედება მაინც სპეციალური მუხლით (126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით) უნდა დაკვალიფიცირდეს, მაშინ გამოვა, რომ იგი 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით შეიძლება დასჯილიყო, ანუ იმაზე უფრო მსუბუქად, ვიდრე ეს არა ოჯახის წევრის შემთხვევაში მოხდებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონმდებელს უფრო შეუმსუბუქებია სასჯელი სისტემატურად მოძალადე ოჯახის წევრის მიმართ, რაც კანონმდებლის მიზანი არ იყო. აქედან გამომდინარე, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ **126<sup>1</sup> მუხლში მითითებული ძალადობა მოიცავს მხოლოდ ერთჯერად ძალადობას, ხოლო სისტემატური ძალადობა უნდა შეფასდეს 126-ე მუხლის 12 ნაწილით. რაც უნდა ითქვას, რომ გარკვეულ უხერხულობას ქმნის, რადგან კანონმდებელმა ოჯახში ძალადობის ჩამდენის მიმართ შემოიღო სპეციალური ნორმა, თუმცა მას გარკვეულ შემთხვევებში ვიყენებთ (ერთჯერადი ძალადობის დროს), გარკვეულ შემთხვევებში კი (სისტემატური ძალადობის დროს) - არა. კერძოდ, თუ ქმარი ერთჯერადად იძალადებს ცოლზე, მაშინ იგი პასუხს აგებს 126<sup>1</sup> მუხლით, ხოლო თუ სისტე-**

მატურად ძალადობს ცოლზე, იგი პასუხს აგებს 126-ე მუხლის 12 ნაწილით. ასეთ დროს ისმის კითხვა: სისტემატურად მოძალადე ქმარი თუ ახორციელებს ოჯახში ძალადობას, რატომ არ აგებს იგი პასუხს ოჯახში ძალადობისათვის სპეციალურად არსებული მუხლით და რატომ აგებს იგი პასუხს ზოგადი მუხლით? ამ უხერხულობის აღმოსაფხვრელად, სასურველია კანონმდებელმა 126<sup>1</sup> მუხლის დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინოს „**სისტემატური ძალადობა**“ და **ოჯახში მოძალადემ ამ სპეციალური მუხლით აგოს პასუხი** - ერთჯერადად ძალადობის დროსაც (პირველი ნაწილით) და სისტემატური ძალადობის დროსაც (მეორე ნაწილით, დამამძიმებელ გარემოებად მე-2 ნაწილში ასახვის შემთხვევაში).

იმ პოზიციის გასამყარებლად, რომ 126<sup>1</sup> მუხლში მითითებული ძალადობა მხოლოდ ერთჯერად ძალადობას გულისხმობს და არა სისტემატურსაც, შეიძლება დავიმონწიოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლი, სადაც მითითებულია იმ მუხლების ჩამონათვალი, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია ოჯახური დანაშაულის სახით, მათ შორის არის **126-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობაც, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ოჯახის წევრის მიმართ და კვალიფიკაციაში უნდა აისახოს 11<sup>1</sup> მუხლი**, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ოჯახის წევრის მიმართ ერთჯერადად იქნება ძალადობა განხორციელებული, თუ სისტემატურად, მაინც 126<sup>1</sup> მუხლით უნდა დაკვალიფიციროდეს, მაშინ ადგილი აღარ რჩება 126-ე მუხლისთვის და შესაბამისად, სახეზე არ გვექნება 11<sup>1</sup>,126-ე მუხლი. ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთჯერადი ძალადობის ჩადენისას ოჯახის წევრი დღეის მდგომარეობით პასუხს აგებს 126<sup>1</sup> მუხლით, ხოლო სისტემატური ძალადობის ჩადენისას 11<sup>1</sup>,126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით, რაც გარკვეული უხერხულობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო წესით უნდა გამოსწორდეს.

3. პრაქტიკაში ურთულეს საკითხად იქცა ერთჯერადი ძალადობის, მრავალჯერადი (ეპიზოდური) ძალადობისა და სისტემა-

## ტური ძალადობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა<sup>2</sup>:

ცხადია, ერთჯერადი ძალადობა მაშინ გვაქვს სახეზე, როცა ძალადობა განხორციელდა ერთხელ, მაგალითად, ერთხელ დაარტყა ხელი ან ფეხი ან რაიმე საგანი და ამან გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. ერთჯერად ძალადობად უნდა შეფასდეს ასევე ისეთი შემთხვევა, როცა პირი ზედიზედ რამდენჯერმე არტყამს ხელს მსხვერპლს, მაგალითად, ქმარმა ცალი ხელით დაიჭირა ცოლი, ხოლო მეორე ხელით რამდენჯერმე (ხუთჯერ, ათჯერ ან დაღლაძედ) დაარტყა სახეში. ასეთ დროს მნიშვნელოვანია არა დარტყმების რაოდენობა, არამედ ის, რომ ფიზიკური ძალადობა დროის მცირე მონაკვეთში, რამდენიმე დარტყმით უწყვეტად განხორციელდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ თუ ქმარმა კონფლიქტის დროს 10-ჯერ დაარტყა მუშტი ცოლს, იგი 10 ეპიზოდისთვის უნდა დაისაჯოს, რაც მართებული არ იქნება, რადგან ერთი კონფლიქტის პირობებში, ერთიანი განზრახვით, ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული მრავალჯერადი დარტყმები, ცალ-ცალკე ეპიზოდებად არ უნდა შეფასდეს.

როდესაც ვსაუბრობთ „ერთდროულად განხორციელებულ მრავლობით დარტყმებზე“, ბუნებრივია, აქ არ ვგულისხმობთ დროის ერთსა და იმავე მომენტში დარტყმების განხორციელებას, რაც აბსურდული იქნება, რადგან ერთი ხელით ორი ან მეტი დარტყმა ერთსა და იმავე დროს, თუნდაც მცირედი ინტერვალის გარეშე, ფიზიკურად ვერ განხორციელდება, რადგან დარტყმასა და დარტყმას შორის დროის მცირე ინტერვალს ობიექტურად ყოველთვის იარსებებს. ამდენად, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ისეთ ვითარებას, როცა დარტყმები მიყოლებით ხორციელდება, მაგრამ საკითხი რთულდება, როცა დარტყმასა და დარტყმას შორის დროის გარკვეული შუალედი არსებობს (მაგალითად, რამდენიმე საათი). როგორ გადაწყდება ასეთ დროს საკითხი, - საქმე გვაქვს მაინც

<sup>2</sup> მართალია, ტერმინები „ერთჯერადი“ და „მრავალჯერადი“ ძალადობა კანონისმიერი ტერმინები არ არის, მაგრამ სტატიაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობა განპირობებულია მათ შორის შინაარსობრივი სხვაობის საილუსტრაციოდ და შესაბამისად, განსხვავებული კვალიფიკაციის საჭიროების წარმოსაჩენად.

ერთჯერად ძალადობასთან, თუ ეპიზოდურ ძალადობასთან? მაგალითად, ცოლ-ქმარს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს, ქმარმა ხელი დაარტყა სახეში ცოლს, რომელიც მეორე ოთახში შევარდა თავდაცვის მიზნით. ქმარი შეჰყვა მეორე ოთახში და გააგრძელა ცოლის ცემა. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მაინც ერთჯერადი ძალადობა, რადგან კონფლიქტი ამონურული არ იყო და იგი ერთ ოთახში გაგრძელდებოდა, თუ ორში, ერთ ოთახში დაარტყამდა რამდენჯერმე თუ სხვადასხვა ოთახში, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ პირველ დარტყმასა და მორიგ დარტყმებს შორის დროის გარკვეული შუალედი არსებობდა. შევცვალოთ მაგალითი: ცოლ-ქმარს შორის კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წარმოიქმნა კონფლიქტი, რა დროსაც ქმარმა რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახეში ცოლს, რომელმაც ძლივს დააღწია თავი ქმარს და საშველად შევარდა მეზობელთან, რომელსაც უთხრა, რომ ქმარი სცემდა და სთხოვა შეეფარებინა რამდენიმე საათით, სანამ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქმარი დაიძინებდა ან ბრაზი გაუვლიდა. რამდენიმე საათის (4-5 საათის) შემდეგ, ცოლმა იფიქრა, რომ სახლში დაბრუნება მისთვის უკვე უსაფრთხო იქნებოდა და წამოვიდა მეზობლიდან, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქმარი მის დაბრუნებას ელოდებოდა და როგორც კი შევიდა ცოლი სახლში, ქმარმა გააგრძელა მისი ცემა. ასეთი შემთხვევები საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად ფასდება: ზოგჯერ ერთჯერადი ძალადობით კვალიფიცირდება, ზოგჯერ კი - ორ ეპიზოდად. ეს უკანასკნელი პოზიცია ჩემი აზრით არასწორია და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო დროის შუალედზე, არამედ იმაზე, რომ მართალია, ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ორ აქტად, მაგრამ იგი განხორციელდა ერთი კონფლიქტის ფარგლებში და ერთიანი განზრახვით, რაც არაფრით განსხვავდება იმ ძალადობისაგან, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მრავლობითი დარტყმების განხორციელებას, განსხვავება კი მხოლოდ დროის შუალედშია. თუ პირველ შემთხვევაში დარტყმასა და დარტყმას შორის დროის მცირე, უმნიშვნელო (რამდენიმე წუთიანი) შუალედი იყო, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა

უფრო დიდ (რამდენიმე საათიან) შუალედს, რაც განპირობებული იყო არა კონფლიქტის დასრულებით, ან პირველი საფუძვლის აღმოფხვრისა და ახალი განზრახვის წარმოშობით, არამედ მეორე შემთხვევაში მსხვერპლის ხელმიუწვდომლობით. ამდენად, ერთჯერადად განხორციელებული ძალადობა (ძალადობის ერთი ეპიზოდი) სახეზე გვექნება არამართო მაშინ, როცა ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ერთხელ (მაგალითად, ხელის ერთხელ დარტყმის დროს), არამედ მაშინაც, როცა ძალადობასა და ძალადობას შორის დროის მცირე ინტერვალი არსებობდა, მაგრამ ისინი განხორციელებული იყო ერთიანი კონფლიქტის ფარგლებში, **ერთიანი განზრახვით და ჰქონდა განგრძობითი ხასიათი** (მაგალითად, განხორციელდა რამდენიმე დარტყმა ან დროის მცირედი შუალედის არსებობისას განხორციელდა მორიგი ძალადობა და მას პირველ ძალადობასთან კავშირში ჰქონდა განგრძობადი ხასიათი).

თუ მეორე ძალადობა სხვა საფუძვლით არის წარმოშობილი, მაშინ ასეთ დროს განხორციელებული ძალადობის მეორე ეპიზოდთან გვექნება საქმე, მაგალითად, თუ დილით, სამსახურში წასვლამდე, ქმარი ცოლს საუზმის მოუმზადებლობის გამო ეჩხუბა და ამ საკითხზე წარმოშობილი კონფლიქტისას სახეში დაარტყა ხელი, ხოლო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ცოლი არ დახვდა სახლში და ეს საკითხი გახდა მეორე კონფლიქტის მიზეზი, რა დროსაც კვლავ ხელი დაარტყა სახლში დაბრუნებულ ცოლს, სახეზე გვექნება ძალადობის ორი დამოუკიდებელი ეპიზოდი, რამდენადაც მეორეჯერ განხორციელებულ ძალადობას, პირველ ძალადობასთან საერთო არაფერი აქვს და განგრძობად ძალადობად ვერ ჩაითვლება. მათ შორის ერთიანი ჯაჭვი არ არსებობს და ისინი წარმოშობილი არიან სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ, მეორე პირველის გაგრძელებას არ წარმოადგენს. ამდენად, სახეზე გვაქვს დამოუკიდებლად წარმოშობილი, მორიგი ძალადობის ეპიზოდი, რომელიც შესაბამისად, პირველისაგან დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს.

საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როცა საქმე ეხება მრავალეპიზოდური ძალადობისა და სისტემატური ძალადობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს

დროის გარკვეულ შუალედში განმეორებულ ძალადობასთან, თუმცა საკითხის სწორად გადანყვეტას კვალიფიკაციისათვის და სასჯელისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორი ან მეტი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელი (მით უფრო შთანთქმის პრინციპის გამოყენებისას) ბევრად ნაკლებია სისტემატური ძალადობისათვის დასანიშნ სასჯელთან შედარებით.

მრავალეპიზოდური ძალადობისა და სისტემატური ძალადობისათვის ერთნაირად დამახასიათებელია როგორც დროში წყვეტა, ისე უმეტესწილად კონფლიქტის მიზეზის სხვადასხვაობა (თუმცა არც ერთი და იგივე მიზეზი გამოირიცხება, მაგალითად, ქმარი მუდმივად ეჭვიანობს ცოლზე), ამიტომ მათი გამიჯვნა ამ თვალსაზრისით ერთობ რთულია, მაგალითად, თუ ქმარი ერთ დღეში სხვადასხვა მიზეზით სამჯერ სცემს ცოლს, ძნელი იქნება იმის დადგენა, საქმე გვაქვს სამ ეპიზოდად განხორციელებულ ძალადობასთან, თუ სისტემატურ ძალადობასთან. საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს და ყურადღება მიექცეს დამატებით გარემოებებს. მაგალითად, ამავე მაგალითში, თუ დადგინდება, რომ ამ სამჯერადი ძალადობის გარდა, რომელიც განხორციელდა ერთ დღეს და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ ამ სამჯერ განხორციელებული ძალადობის გამო ქმარი სისტემატურად ძალადობდა ცოლზე, მაგრამ თუ დადგინდება, რომ ქმარი ცოლს დღეში ერთხელ სცემს და ამას ადგილი აქვს მუდმივად ბოლო ერთი თვის განმავლობაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახეზე გვაქვს სისტემატური ძალადობა. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას – დღეში ერთხელ ხორციელდება ძალადობა თუ სამჯერ, მთავარია, რომ ამ ძალადობას ჰქონდეს ერთგვარად ინტენსიური ხასიათი.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით, „სისტემატურია ცემა მაშინ, როცა იგი ჩადენილია სამჯერ მაინც, თანაც დროის ხანმოკლე ინტერვალის დაშორებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ცემით მიყენებული ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი ჯერაც არაა გამქრალი და მსხვერპლის ცემა ხდება

მეორედ, შემდეგ მესამედ და ა.შ. თანაც არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით ხდება თუ ახლად აღმოცენებული განზრახვით <sup>3</sup>.

სისტემატური ძალადობის ამგვარი განმარტებისას აქცენტი გადატანილია კუმულაციურად მხოლოდ ორი პირობის არსებობაზე: 1. ძალადობის რაოდენობაზე და 2. დროის მოკლე ინტერვალში მათ განხორციელებაზე. ამ განმარტების მიხედვით, სისტემატური ცემა გვექნება ზემოხსენებულ შემთხვევაში, როცა მაგალითად, ქმარი ერთი დღის განმავლობაში, ერთიანი განზრახვით, სამჯერ სცემს ცოლს (დილით, შუადღით და საღამოს), მაგრამ დადგენილია, რომ ეს დღე იყო ერთადერთი დღე მათი 20 წლიანი თანაცხოვრების მანძილზე და სხვა დროს ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ზემოხსენებული განმარტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამჯერადი ცემა სახეზეა, ასევე სახეზეა დროის მოკლე შუალედში მათი განხორციელება, კერძოდ, სახეზეა დროის ისეთი ხანმოკლე ინტერვალი, როცა პირველი ცემის შედეგად განცდილი ფიზიკური ტკივილი ჯერ კიდევ განელებული არ არის, თუმცა ასეთ დროს ძნელი იქნება მტკიცება იმისა, რომ სისტემატურ ძალადობასთან გვაქვს საქმე, რადგან საერთო ჯამში სახეზე არა გვაქვს ცოლზე ძალადობის მუდმივობა. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ მითითებული განმარტება საჭიროებს კიდევ ერთი ფაქტორის - ინტენსივობის კომპონენტის დამატებას. **სისტემატური ძალადობა სახეზე გვექნება მაშინ, როცა ძალადობა ატარებს ერთგვარად მუდმივ, პერმანენტულ ხასიათს.** მას ადგილი უნდა ჰქონდეს ხშირად. მრავალეპიზოდურობაცა და სისტემატურობაც თავის თავში მრავალჯერადობას გულისხმობს, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ძალადობა დროის დიდი ინტერვალის არსებობას გულისხმობს (მაგ. სცემა იანვარში, მაისში და ნოემბერში), მეორე შემთხვევაში იგი დროის შედარებით მოკლე ინტერვალში ხდება და თითქოს ერთგვარად უწყვეტ ხასიათს ატარებს (მაგ., სცემს ყოველ დღე, კვირაში ორჯერ და ა.შ. მაგრამ ამას აქვს ერთგვარად მუდმივი ხასიათი). ე.ი. სისტემა-

<sup>3</sup> მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი. ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი პირვ. თბილისი, 2019 - ტ. 1, გვ.167.



ტურობა მხოლოდ რაოდენობაზე ვერ დაიყვანება, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმრავლე მრავალეპიზოდურობისთვისაც არის დამახასიათებელი და მხოლოდ სისტემატურობის ნიშანი ვერ იქნება. რაც შეეხება დროის ინტერვალს, იგი შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი ინდიკატორი და თუ დროის დიდ შუალედთან გვექნება საქმე (იანვარი-ივლისი) შეგვიძლია გამოვრიცხოთ სისტემატურობა და დავადგინოთ ეპიზოდურობა, ხოლო პირიქით, როცა დროის შედარებით მოკლე ინტერვალთან გვაქვს საქმე (დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე), მივიჩნით, რომ საქმე გვაქვს სისტემატურობასთან, მაგრამ მხოლოდ დროის ინტერვალთაც დასკვნების გაკეთება შეუძლებელი იქნება, თუ საგანგებო ყურადღება არ მიექცა ძალადობის ინტენსივობას. სისტემატურობის დროს ძალადობა უნდა ატარებდეს ერთგვარად უწყვეტ ხასიათს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძალადობა უწყვეტ რეჟიმში, ყოველდღიურად და მუდმივად უნდა ხდებოდეს, არამედ დროის შედარებით მოკლე ინტერვალში უნდა ჩაიდინებოდეს და პერმანენტულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რაც ეპიზოდურად ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელი არ არის, რადგან იგი ჩაიდინება ზოგჯერ, ხანდახან.

პრაქტიკაში მსხვერპლებიც თავიანთ ჩვენებებში ეპიზოდურობის აღსანიშნავად ასე უთითებენ: „სიტყვიერ კონფლიქტს ხშირად ჰქონია ადგილი, თუმცა ფიზიკურ ძალადობას - არა, ყოფილა შემთხვევები, როცა დაურტყამს კიდეც;“ „ერთი-ორჯერ ხელიც დაურტყამს;“ „ზოგჯერ ხელითაც შემხებია;“ „იშვიათად ხელიც მომხვედრია;“ „ხანდახან ფიზიკურ შეხლა-შემოხლასაც ჰქონია ადგილი;“ და ა.შ. აღნიშნული განმარტებები მრავალეპიზოდურობის მიმანიშნებელია და არა სისტემატურობის, რადგან, როგორც ჩანს, ძალადობას ხშირად კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ ზოგჯერ, ხანდახან, იშვიათად და ა.შ. ხოლო სისტემატურობის დროს მსხვერპლიც სხვაგვარი სიტყვებით გადმოსცემს ამბავს და უთითებს: „ხშირად მცემდა;“ „სულ ცემაში ვყავდი;“ „ცემა ხელობად ჰქონდა გამხდარი;“ „შეეძლო ნებისმიერ დროს ვეცემე;“, „თითქმის ყოველდღე მცემდა“ და ა.შ. მამასადამე, ეს განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ ძალადობას ჰქონდა პერმანენტული ხასიათი და სწორედ ამის

გამო უნდა მივიჩნიოთ იგი სისტემატურ ძალადობად.

აქვე შესაძლოა გარკვეული რეკომენდაციების სახით დადგინდეს სისტემატური ძალადობის ნიშნები: პირველი ნიშანია ძალადობის სიმრავლე. რაოდენობის თვალსაზრისით, ძალადობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები, რადგან ერთხელ ან ორჯერ განხორციელებული ძალადობა შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს სისტემატურად, მაგრამ, თუ სამჯერ ან მეტჯერ ექნება მას ადგილი, ეს იქნება სისტემატურობის პირველი ნიშანი; მეორე ნიშანია დროის ინტერვალი. ყოველ მომდევნო ძალადობას შორის ინტერვალი არ უნდა იყოს ხანგრძლივი, რადგან თუ ყოველი მორიგი ძალადობა დიდ ინტერვალში ჩაიდინება, შეუძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ წინა ძალადობიდან მორიგ ძალადობამდე ჯერ კიდევ არ იყო განვლებული ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი. „გაუნელებლობა“ მნიშვნელოვანია იმით, რომ რამდენჯერმე განცდილმა „ტკივილმა“ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის“ ხარისხს, რაც სწორედ სისტემატურ ძალადობას უნდა მოჰყვეს. ტანჯვა შეიძლება ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობასაც მოჰყვეს (მაგალითად, წამების დროს), მაგრამ სისტემატური ძალადობისათვის ტანჯვის გამონვევა აუცილებელია, როგორც ზედიზედ რამდენჯერმე მიყენებული ტკივილის ჯამური შედეგი. სწორედ ამით არის გამონვეული 126-ე მუხლის 12 ნაწილში (სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა) შედეგის სახით ტანჯვის გამონვევაზე მითითებული, ხოლო არასისტემატურობის დროს (126-ე მუხლის პირველ ნაწილში) - ტკივილზე მითითებული. ამდენად, ყოველ ჯერზე განხორციელებული ძალადობა თუ მხოლოდ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს იწვევს და მორიგ ძალადობამდე ისეთი დროა გასული, რაც მის განელებას იწვევს, ვერ მიაღწევს იგი იმ ხარისხის ტკივილს, რომელიც ტანჯვად აქცევს მას. ტანჯვის გამონვევის გარეშე კი სისტემატურ ძალადობასთან არ გვექნება საქმე და ყოველი მორიგი ძალადობა დამოუკიდებელ ეპიზოდად უნდა შეფასდეს. რეკომენდაციის თვალსაზრისით, სასურველია, რომ ძალადობიდან ძალადობამდე დრო არ აღემატებოდეს ერთ თვეს, რადგან თუ იგი თვიდან თვემდე უფრო მეტი დროით არის ერთმანეთისაგან დაშორებული, მაშინ

შეუძლებელი იქნება წინა ძალადობით გამოწვეული ფიზიკური ტკივილის გაუნელებლობაზე საუბარი. სწორედ მრავალეპიზოდურობის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი ისეთი შემთხვევა, როცა პირს 19 აგვისტოს, 30 სექტემბერსა და 25 იანვარს განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო ბრალად შეერაცხა სისტემატური ძალადობა (სსკ-ის 11<sup>1</sup>-126-ე მუხლის 12 ნაწილი), აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის მიერ მართალია ჩადენილია ძალადობის სამი ფაქტი, თუმცა მათ შორის დროის ინტერვალი იმდენად დიდია, რომ 2018 წლის 19 აგვისტოს განხორციელებული ძალადობის შედეგად გამოწვეული ფიზიკური ტკივილი, მორიგ - 2018 წლის 30 სექტემბერს განხორციელებული ძალადობის დროისათვის უკვე განელებული და გამქრალი იქნებოდა, ასევე, ამ უკანასკნელი ძალადობის შედეგად გამოწვეული ფიზიკური ტკივილი თავის მხრივ განელებული და გამქრალი იქნებოდა 2019 წლის 25 იანვარს განხორციელებული ძალადობის დროს. შესაბამისად, აღნიშნული ძალადობების შედეგად გამოწვეული ფიზიკური ტკივილი ობიექტურად ვერ მიაღწევდა ტანჯვის ხარისხს, რამდენადაც ძალადობიდან ძალადობამდე (აგვისტო-სექტემბერი-იანვარი) იმდენად დიდი დროა გასული, რომ წინა ძალადობიდან მორიგ ძალადობამდე გამქრალი იქნებოდა ძალადობით გამოწვეული ტკივილი. ტანჯვის გამოწვევის გარეშე კი სისტემატური ძალადობის შემადგენლობა სახეზე არ იქნება, შესაბამისად, ყოველი მორიგი ძალადობა უნდა შეფასდეს ძალადობის დამოუკიდებელ ეპიზოდად და მოძალადემ თითოეული ეპიზოდისათვის ცალ-ცალკე უნდა აგოს პასუხი“<sup>4</sup>.

სისტემატური ძალადობის მესამე ნიშანია ძალადობის ინტენსივობა, როცა მას აქვს ხშირი, მუდმივი, უწყვეტი ხასიათი. ძალადობა უნდა ხასიათდებოდეს ხშირად განმეორებადობით, რომელიც თავისი ინტენსიურობით უნდა ქმნიდეს ერთგვარ სისტემურ ჯაჭვს, რადგან მხოლოდ დროის მოკლე ინტერვალში ჩადენილი რამდენიმე ძალადობა ვერ მიაღწევს სისტემატური ძალადობის ხარისხს, თუ მას არ ახასიათებს ერთგვარი უწყვეტობა, განმეორებითობა და სიხშირე.

<sup>4</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის №1/1066-19 განაჩენი.

ანალოგიური განმარტება აქვს გაკეთებული საქართველოს უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე, როცა 16 სექტემბრისა და 9 ოქტომბრის ძალადობის ეპიზოდები არ მიიჩნია სისტემატურ ძალადობად და ორ დამოუკიდებელ ეპიზოდად შეაფასა. დასაბუთებაში კი ვკითხულობთ: „სისტემატურ ძალადობას ახასიათებს: ძალადობის პერმანენტულობა - ერთხელ ან ორჯერ ძალადობა შეუძლებელია იყოს სისტემატური, ე.ი. მომდევნო ქმედება ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი; დროის მცირე ინტერვალები - ყოველი მომდევნო ძალადობის ინტერვალი არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ განცილებილი ტკივილი განელდეს და ველარ მიაღწიოს ტანჯვის ხარისხს; ინტენსივობა - ძალადობას უნდა ჰქონდეს ხშირი, მუდმივი, უწყვეტი, რეგულარული ხასიათი, რაც უნდა ქმნიდეს გარკვეულ სისტემას.“<sup>5</sup>

მაქსიმუმ თვეში ერთხელ განხორციელებული სამი ან მეტი ძალადობის შემდეგ თუ გავიდა შედარებით დიდი დრო (მაგ. 2-3 თვე) და შემდეგ კვლავ განხორციელდა ძალადობა, ამ უკანასკნელის ცალკე ეპიზოდად დაკვალიფიცირება (როგორც ხდება პრაქტიკაში) სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მთავარია ძალადობამ თავისი ინტენსივობით მიიღოს სისტემატური სახე და მას მერე ჩადენილი ყოველი მომდევნო ძალადობა უკვე ამ სისტემატური ძალადობის ერთიან ჯაჭვში ექცევა. ამდენად, სისტემატური ძალადობის მერე ჩადენილი ყოველი მომდევნო ძალადობა სისტემატური ძალადობის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს და შესაბამისად, მხოლოდ სისტემატური ძალადობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს (11<sup>1</sup>-126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით) და არა სისტემატურ ძალადობას (11<sup>1</sup>-126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილს) დამატებული ძალადობის კიდევ ერთი დამოუკიდებელი ეპიზოდი (126<sup>1</sup>-ე მუხლი), როგორც დღეს ხდება პრაქტიკაში.

4. პრაქტიკაში ასევე პრობლემურია საკითხი, როცა საქმე ეხე-

<sup>5</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 თებერვლის №785/აპ-20 განაჩენი.

ბა ძალადობის პარალელურად სისტემატური შეურაცხყოფის (შანტაჟის ან დამცირების) არსებობას.

საგამოძიებო და ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, როცა სახეზეა ერთჯერადი ფიზიკური ძალადობაც და სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფაც, ბრალდებულს 126<sup>1</sup> მუხლი ორ ეპიზოდად აქვს წარდგენილი: პირველი - ფიზიკური ძალადობისთვის, მეორე კი - სისტემატური შეურაცხყოფისთვის, რაც ასევე მართებულად არ უნდა ჩაითვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც აღვნიშნეთ, 126<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებული „ძალადობა“ ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს, ხოლო სისტემატური შეურაცხყოფა - ოჯახის წევრის პატივისა და ღირსების სისტემატურ შელახვას უნესო ფორმით (სისტემატური ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ძალადობის შემთხვევაში). თუ პირმა მხოლოდ ერთჯერადი ფიზიკური ძალადობა განახორციელა, მას წარედგინება 126<sup>1</sup>-ე მუხლი, ასევე მოხდება მაშინ, თუ პირი ფიზიკურად არ ძალადობს ოჯახის წევრზე, მაგრამ სისტემატურად შეურაცხყოფს მას, მაგრამ როცა ერთსაც და მეორესაც აქვს ადგილი (ფიზიკურადაც ძალადობს და სისტემატურადაც შეურაცხყოფს), ასეთ დროს პირის ქმედება მხოლოდ ერთი 126<sup>1</sup>-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ოჯახში ძალადობა) ერთი სახის ქმედებით ჩადენადი დანაშაული არ არის და მისი ობიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ალტერნატიული ქმედებით (იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალადობაში, სისტემატურ შეურაცხყოფაში, სისტემატურ დამცირებაში, სისტემატურ შანტაჟში), რომელთა ჩადენა ცალ-ცალკე ან ერთობლივად მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს, მაგალითად, თუ პირი სისტემატურად აშანტაჟებს თავის ყოფილ ცოლს და ამავდროულად სისტემატურად შეურაცხყოფს მას, სახეზე ორი 126<sup>1</sup>-ე მუხლი კი არ გვექნება (ერთი სისტემატური შანტაჟისთვის და მეორე, სისტემატური შეურაცხყოფისათვის), არამედ ერთი 126<sup>1</sup>-ე მუხლი, რადგანაც ერთიანი დანაშაულის (ოჯახში ძალადობის) ორი ალტერნატიული ქმედება (სისტემატური შანტაჟი და სისტემა-

ტური შეურაცხყოფა) პარალელურად განხორციელდა. მაშასადამე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როცა ადგილი აქვს რამდენიმე ალტერნატიული ქმედების პარალელურად განხორციელებას, სახეზე გვაქვს ერთიანი დანაშაული. შესაბამისად, როცა ფიზიკურ ძალადობასთან ერთად სახეზე გვაქვს სისტემატური შეურაცხყოფაც, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთი **126<sup>1</sup>-ე მუხლით და არა ორი დამოუკიდებელი 126<sup>1</sup>-ე მუხლით<sup>6</sup>.**

5. არაერთგვაროვანია პრაქტიკა, როდესაც ძალადობა ხორციელდება ოჯახის სრულწლოვან წევრზე არასრულწლოვანი ოჯახის წევრის თანდასწრებით და იმავდროულად ძალადობა ასევე ხორციელდება ამავე არასრულწლოვნის მიმართ.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, მოძალადის ქმედება კვალიფიცირდება 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ (არასრულწლოვნის მიმართ) და „გ“ (ორი პირის მიმართ) ქვეპუნქტებით, რაც სრულყოფილ კვალიფიკაციად არ უნდა ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ როდესაც ფიზიკურ ძალადობას აქვს ადგილი არასრულწლოვნის მიმართ, იგი არის ე.წ. პირდაპირი ძალადობის მსხვერპლი, რადგან პირადად საკუთარ თავზე განიცდის ძალადობის სასტიკ შედეგს, თუმცა, როცა იგი არის ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემსწრე, ასეთ დროს იგი არის ე.წ. არაპირდაპირი ძალადობის მსხვერპლი, რადგან იგი განიცდის ფსიქიკურ სტრესს, რაც არანაკლებ მავნებელია მისი ფსიქო-ემოციური მდგრადობისათვის,

ოჯახში ძალადობა არასრულწლოვნის მიმართ და მისი თანდასწრებით, როგორი ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს, სავალალო გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე და მოწყვლადს ხდის აგრესიული ქცევების ათვისებისა და შემდგომში გამოვლინების მიმართ. სწორედ ამის გამო „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადო-

<sup>6</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 დეკემბრის №1/5299-18 განაჩენი. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 იანვრის №1/5362-18 განაჩენი. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის №1/1066-19 განაჩენი.

ბის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა“. ამდენად, ბრალდებულის ძალადობრივ ქმედებას შედეგად მოჰყვება არამარტო დაზარალებულის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, არამედ ამით დაირღვევა დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნის სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოსა და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში მისი ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება („ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია“).

აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ და მისი თანდასწრებით ძალადობის განხორციელების შემთხვევებში 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებთან ერთად „ბ“ ქვეპუნქტის მითითებაც აუცილებელია, რადგან აღნიშნული ქვეპუნქტი სწორედ არასრულწლოვნების ინტერესების დაცვას ემსახურება და არა მხოლოდ უშუალოდ ძალადობის მსხვერპლის ინტერესებს. არასრულწლოვნისათვის უშუალოდ ძალადობით მიყენებული ფიზიკური ტკივილი ვერ გადაფარავს მისთვის ოჯახის წევრზე მის თვალწინ განხორციელებული ძალადობით გამოწვეულ ფსიქო-ემოციურ სტრესს, პირიქით, ზოგჯერ მსუბუქი ხასიათის ფიზიკური ძალადობიდან გამომდინარე ფიზიკური ტკივილი უმნიშვნელოც კი შეიძლება იყოს იმ ფსიქიკურ ტკივილთან შედარებით, რაც მან განიცადა ოჯახის წევრზე განხორციელებული ძალადობის ხილვით. ამდენად, ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზეც მითითება აუცილებელია<sup>7</sup>.

პრაქტიკაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით: რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვანი „არაპირდაპირ მსხვერპლად“, - როცა ასაკის და გონებრივი განვითარების გამო არასრულწლოვანი აღიქვამს მის

<sup>7</sup> იურიდიულ ლიტერატურაშიც გამოთქმულია ანალოგიური მოსაზრება, რომ „უფრო სამართლიანი იქნება“ ასეთ შემთხვევაში „ბ“ ქვეპუნქტის მითითება. იხ. მზია ლეკვეიშვილი, გორა მამულაშვილი. ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბილისი, 2019 - ტ. 1, გვ.177.

თვალწინ განხორციელებულ ძალადობას, თუ ძალადობის აღქმა აუცილებელი არ არის და მთავარია არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობის ჩადენა.

ერთი პოზიციის მიხედვით, თუ ძალადობა ხორციელდება არასრულწლოვნის თანდასწრებით, საჭიროა იგი მცირედით მაინც აცნობიერებდეს მის ნეგატიურ ხასიათს, რათა იგი იქცეს ამ ძალადობის „მსხვერპლად“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი „მსხვერპლად“ მიჩნევის საფუძველი არ არსებობს. მაგალითად, თუ ქმარმა ხელი დაარტყა ცოლს და ეს მოხდა მაგ. 5 თვის ჩვილის თანდასწრებით, ამ პოზიციის მიმდევართა მოსაზრებით, ასეთი მცირე ასაკის ბავშვს არ შეუძლია მინიმალურად მაინც გააცნობიეროს მის თვალწინ მომხდარი ქმედების უარყოფითი ხასიათი, რაც შესაბამისად, ნეგატიურ ასახვას ვერ ჰპოვებს მის ფსიქიკაზე, ეს კი თავის მხრივ, გამორიცხავს მის „მსხვერპლად“ მიჩნევის საფუძველს, ხოლო მეორე პოზიციის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს ბავშვის აღქმაუნარიანობას, რადგან ასაკისა თუ გონებრივი განვითარების დაბალი დონის მიუხედავად, ნებისმიერი ძალადობა უარყოფით გარემოს ქმნის და ნეგატიურად მოქმედებს ბავშვზე, მიუხედავად იმისა, მას შეუძლია თუ არა მომხდართი გამონეული განცდების გადმოცემა.

ჩემი აზრით, საკითხის ამგვარად დაყენება არასწორია, რადგან არაპირდაპირ მსხვერპლად მიჩნევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და არა იმის მიხედვით, თუ რა ასაკის ან გონებრივი განვითარების არასრულწლოვანი შეესწრო ძალადობრივ ქცევას. ცხადია, როცა ძალადობა ხორციელდება უშუალოდ არასრულწლოვნის მიმართ, იგი არის ძალადობის პირდაპირი მსხვერპლი და ასეთ დროს მის ასაკს ან გონებრივი განვითარების დონეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, როცა ძალადობა ხორციელდება არასრულწლოვნის თანდასწრებით, იგი ასეთ დროს არის ძალადობის არაპირდაპირი მსხვერპლი, რადგან ძალადობრივი გარემო უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქო-ემოციურ სტაბილურობაზე და ფსიქიკურ ზიანს აყენებს მას. სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დანიშ-



ნულება სწორედ ის არის, რომ დაიცვას არასრულწლოვანი ოჯახში ძალადობის არა პირდაპირი ზემოქმედებისაგან (რაც „ა“ ქვეპუნქტის მიზანია), არამედ ძალადობრივი და კონფლიქტური გარემოს ნეგატიური ზემოქმედებისაგან, რომელიც წარმოშობილია მისი ოჯახის წევრზე განხორციელებული ძალადობის შედეგად და იგი არის ამ ძალადობის შემსწრე.

ძალადობა „არასრულწლოვნის თანდასწრებით“ მაშინ არის განხორციელებული, როცა იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს, ამდენად, „თანდასწრებად“ ვერ განიხილება ისეთი ვითარება, როცა ძალადობის დროს არასრულწლოვანი სხვა ოთახში იყო და არ ესმოდა კონფლიქტის ოთახში მომხდარი მოვლენები, ან იმავე ოთახში იყო, მაგრამ ეძინა ან ყურსასმენებით უსმენდა მაღალ ხმაზე ანეულ მუსიკას და ვერ იგებდა კონფლიქტის შესახებ და ვერ ხედავდა მას<sup>8</sup>. ამდენად, „თანდასწრება“ გულისხმობს ძალადობის შესწრებას, სწორედ ამ დროს ჩნდება შემდეგი კითხვა: თუ არასრულწლოვანს თავისი მცირე ასაკიდან ან გონებრივი განუვითარებლობიდან გამომდინარე, არ შეუძლია ძალადობის „ცუდ საქციელად“ აღქმა, შეიძლება თუ არა, რომ იგი ასეთ დროს მივიჩნიოთ მსხვერპლად?

ერთ-ერთი პოზიციის მიხედვით, თუ არასრულწლოვანი არ არის აღქმაუნარიანი ასაკიდან ან გონებრივი განუვითარებლობიდან გამომდინარე, მაშინ მისი მსხვერპლად მიჩნევა მიზანშეუწონელია, რამდენადაც პირი მაშინ მიიჩნევა მსხვერპლად, როცა მას ადგება გარკვეული ზიანი და თუკი იგი ვერ აცნობიერებს მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების არსს, მაშინ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მას მიაღვა ზიანი, ხოლო საპირისპირო პოზიციის მიხედვით, ძალადობრივი გარემო ნებისმიერ შემთხვევაში ახდენს არასრულწლოვანზე ნეგატიურ გავლენას იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას მის ირგვლივ შექმნილი ძალადობრივი გარემოს გაცნობიერების, აღქმისა და გადმოცემის უნარი. მათი აზრით, თუ მსხვერპლად მიჩნევა მის აღქმაუნარიანობას დაუკავშირდება, მაშინ დღის წესრიგში უნდა დადგეს მისი განცდების შესახებ ინ-

<sup>8</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 მაისის №1/23-18 განაჩენი. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის №1/4575-17 განაჩენი.

ფორმაციის მსხვერპლიდან მიღების აუცილებლობის საკითხი, რაც შეუძლებელი იქნება ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მცირე ასაკის ან გონებრივად განუვითარებელ არასრულწლოვნებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და არაპირდაპირი ძალადობით გამონვეული სტრესის გასარკვევად უშუალოდ მსხვერპლის დაკითხვა აუცილებელი არ არის. კერძოდ, თუ არასრულწლოვანი თავისი ასაკიდან და გონებრივი განვითარების დონიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაიკითხოს, მაშინ ის თავად გადმოსცემს ძალადობის შესწრებით გამონვეულ განცდებს, ხოლო თუ ასაკი ან გონებრივი განვითარება მის დაკითხვას შეუძლებელს ხდის, მაშინ სხვა მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მოხდეს საკითხის გადწყვეტა, თუ რა გავლენა იქონია მის თვალწინ განხორციელებულმა ძალადობამ. ასეთ დროს სასამართლო ინფორმაციას მიიღებს არა თავად არაპირდაპირი მსხვერპლიდან (რამდენადაც მას ინფორმაციის გადმოცემა არ შეუძლია), არამედ მესამე პირებიდან (ეს შეიძლება იყოს პირდაპირი მსხვერპლი, ფსიქოლოგი, სხვა მოწმე და სხვა). მაგალითად, თუ მოწმეები აღნიშნავენ, რომ ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანი ძალიან შეშინდა, დაიმალა, ატირდა, გაკვირვებული და შემცბარი იყურებოდა და ა.შ. ეს იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ მასზე უარყოფითი გავლენა იქონია ძალადობის ფაქტმა, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ არასრულწლოვანი მივიჩნიოთ ძალადობის არაპირდაპირ მსხვერპლად, ხოლო თუ ამგვარი ემოციებისა და განცდების გადმომცემი პირები (მოწმეები) არ არსებობენ, არასრულწლოვნის მარტოოდენ ფიზიკურად ყოფნა ძალადობის ადგილზე საკმარისი არ იქნება მისი მსხვერპლად მიჩნევისათვის.

6. კვალიფიკაციის საკითხი ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის დროს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც 126<sup>1</sup>-ე მუხლის სწორად გამოყენებას უკავშირდება, არის ისეთი შემთხვევა, როცა მსხვერპლზე ძალადობას ერთდროულად ახორციელებს ორი პირი, რომელთაგან ერთი ამ მსხვერპლის ოჯახის წევრია, მეორე კი - არა. მაგალითად,

როცა ქმარი მეუღლის მიმართ ფიზიკურ ძალადობას ახორციელებს თავის მეგობართან („ძმაცაცთან“) ერთად. ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია, კერძოდ, ერთ შემთხვევაში ორივე პირის ქმედება ცალ-ცალკე ფასდება ჯგუფურობის გარეშე: ქმრის მიმართ - 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მეგობრის მიმართ - 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ან მეორე შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი პირის ქმედება ფასდება ჯგუფურად ჩადენილი ძალადობად, მეორე პირის ქმედება კი კვლავ დასახელებული მუხლების პირველი ნაწილით.

ჩემი აზრით, ორივე შემთხვევაში კვალიფიკაცია მცდარია, რადგან თუ პირველ შემთხვევაში შეფასების მიღმა რჩება ჯგუფურობის ფაქტორი, მეორე შემთხვევაში სრულიად უთანასწორო პირობებში ხდება ერთ-ერთი პირისათვის ბრალდების შემსუბუქება, თუ მისი ქმედებაც ჯგუფურობით არ შეფასდება.

საკითხის სწორად შეფასებისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, **რომ ორივე პირი ერთსა და იმავე უმართლობას ახორციელებს არა ერთპიროვნულად, არამედ სხვასთან ერთად.** ასეთ დროს მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სახეზე გვაქვს ჯგუფური დანაშაულისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ორი პირი ძალებს აერთიანებს დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად, გარდა იმისა, რომ ასეთ დროს ობიექტურად სახეზეა პირთა სიმრავლე (და ორი პირის არსებობა უკვე ჯგუფს ქმნის), მათ ასევე სუბიექტურადაც შეცნობილი აქვთ, რომ დამოუკიდებლად (ერთპიროვნულად) არ მოქმედებენ და დანაშაულს სჩადიან სხვასთან ერთად. აქედან გამომდინარე, მათ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენისათვის უნდა აგონ პასუხი და არა 126<sup>1</sup>-ე მუხლის ან 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შეფასების მიღმა რჩება ჯგუფის არსებობა. ისმის კითხვა: მაშინ რა განსხვავება იქნება, პირი თავისი ოჯახის წევრის მიმართ ერთპიროვნულად ჩაიდენს ძალადობას თუ სხვასთან ერთად, თუ მისი ქმედება მაინც 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა შეფასდეს. გამოდის, რომ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა განსხვავებულ კვალიფიკაციას არ იწვევს, რაც ბუნებრივია მცდარი პოზიციაა.

საკითხის მეორე მხარეა ის, რომ მათგან ერთი მხვერპლის ოჯახის წევრია, რის გამოც მისი ქმედება 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო იმ პირის ქმედება, რომლის ოჯახის წევრი არ არის, უნდა შეფასდეს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. განსხვავებული აზრიც სწორედ ამ დროს ჩნდება და ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ამა თუ იმ დანაშაულის ჯგუფურად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ჯგუფის ყველა წევრი უშუალოდ ამ კონკრეტული დანაშაულის ამსრულებელი იყოს, ხოლო იმის გამო, რომ ქმრის მეგობარი არ არის 126<sup>1</sup> მუხლის სუბიექტი, შესაბამისად, ის ვერ მიიჩნევა ამ დანაშაულის ჯგუფის წევრად და პირიქით, რადგან ქმარი არ არის 126-ე მუხლის სუბიექტი (რადგან ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის სპეციალური სუბიექტია), ვერც ის მიიჩნევა 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჯგუფის წევრად.

ვფიქრობ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია, რადგან ხელოვნურად ხდება ჯგუფური დანაშაულის დავინროება იმ ნიშნით, რომ თითქოს ჯგუფის ყველა წევრი კონკრეტულად ამ დანაშაულის სუბიექტი უნდა იყოს. საკმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, ქმედების შეფასება ჯგუფურად ჩადენილად მაშინ ხდება, როცა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში ორი ან მეტი ამსრულებელი მონაწილეობს და მეორეც, როდესაც პირის ქმედება კვალიფიცირდება ჯგუფურად ჩადენილად, ეს კვალიფიკაცია უწინარეს ყოვლისა, ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასებაა და არა ჯგუფის წევრი სხვა პირისა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმრის მიერ ჩადენილი ძალადობა ჯგუფურად ჩადენილ ძალადობად იმიტომ უნდა დაკვალიფიცირდეს, რომ ამით ხაზი გაესვას მისი მხრიდან ძალადობის არა ერთპიროვნულად, არამედ სხვასთან ერთად ჩადენას. ქმედების ამგვარი კვალიფიკაციით ხაზი ესმება იმას, რომ გაზრდილია უმართლობის ხარისხი და შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სუბიექტის პასუხისმგებლობაც. ანალოგიურად უნდა შეფასდეს მისი მეგობრის მიერ ჩადენილი ქმედებაც. ეს იქნება არამართო საკითხის სწორი სამართლებრივი შეფასება, არამედ მისი სამართლიანი გადანყვეტაც. რადგან რომ წარმოვიდგინოთ, რომ

ოჯახის წევრობა სპეციალურ შეფასებას არ იწვევს, მაშინ ორივე პირის ქმედება ხომ დაკვალიფიცირდებოდა ჯგუფურად ჩადენილ ძალადობად (126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით)? მაგრამ იმის გამო, რომ სპეციალური სუბიექტის ქმედება ფასდება სპეციალური მუხლით (126<sup>1</sup>-ე მუხლით), იგი ამ მუხლით აგებს პასუხს, ხოლო მეორე პირი თავის მხრივ პასუხს აგებს იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რისი სუბიექტიც არის თავად (126-ე მუხლით), თუმცა ორივემ პასუხი უნდა აგონ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობისათვის. ამდენად, ოჯახის წევრმა პასუხი უნდა აგოს 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ხოლო იმ პირმა, რომელიც ოჯახის წევრი არ არის, პასუხი უნდა აგოს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულ სტატიაში ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრებები მიზნად ისახავს ერთგვაროვანი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და კვალიფიკაციის საკითხების დახვეწას ოჯახში ძალადობის საქმეებზე. იმედს ვიტოვებ, რომ ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება გამოიღებს სასურველ შედეგს.

## შოთა ბიჭია

სამართლის დოქტორი (თსუ),

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე

### **პასუხისმგებლობის შეამასუბუშქავალი გარემოებაები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ცალკეულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაგამიძეველ გარემოებად იქცა**

#### **შესავალი**

სადავო არ არის, რომ სამართლის სფეროში თეორია, კანონმდებლობა და პრაქტიკა ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს და ერთმანეთისგან უნდა გამომდინარეობდეს.<sup>1</sup> ცნობილია, რომ სამართალი მოქნილი სფეროა. ის მუდმივად უცვლელი ვერ იქნება, რადგან ფეხი უნდა აუწეოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს.<sup>2</sup> დროდადრო იცვლება თეორიული მიდგომები გარკვეულ საკითხებზე, მათ მოსდევს საკანონმდებლო ცვლილებები,<sup>3</sup> რასაც ფეხდაფეხ მიჰყვება პრაქტიკაც. სამწუხაროდ, ეს პროცესი ყოველთვის თანმიმდევრული არ არის, რაც ქმნის პრობლემებს როგორც საკითხის გააზრების, მისი გამართულად მონესრიგების, ასევე ცხოვრებაში გატარების კუთხით. ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა საკითხმა ყველა რგოლი

<sup>1</sup> სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მიზანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფა რომ არის, ამის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, თბილისი, 2011, 120-123, ხოლო მართლმცოდნეობის, როგორც პრაქტიკაში დამკვიდრებული ნესრიგი, სამართლის ნორმების მოთხოვნების პრაქტიკაში განხორციელების შედეგად რომ მიიღება, ამის შესახებ იხ. ალფაიძე თ., შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2008, 401-405, პრაქტიკული პრობლემების ანალიზი კი სამართლის მეცნიერების ფუნქციას რომ წარმოადგენს, ამის შესახებ იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, 2004, 30

<sup>2</sup> სამართალი რომ საზოგადოებრივი ურთიერთობებს ანესრიგებს, ამის შესახებ იხ. ალფაიძე თ., დასახელებული ნაშრომი, 128-130, ხუბუა გ., დასახელებული ნაშრომი, 45

<sup>3</sup> მაგალითად გამოდგება სსკ-ის მე-15, მე-18, 33-ე, მე-40 და სხვა მუხლებში შესული ცვლილებები.

მაქსიმალური სიფრთხილით გაიაროს, რათა საბოლოოდ დამკვიდრებულ იქნეს სასურველი პრაქტიკა. აქვე უნდა ითქვას, რომ თეორიაში კონკრეტული საკითხის არასრულყოფილი ან არასისტემური გააზრება პირდაპირ აისახება კანონმდებლობაში და იწვევს სხვადასხვა ნორმას შორის ურთიერთწინააღმდეგობას,<sup>4</sup> რაც, თავის მხრივ, პრობლემას ქმნის სწორი პრაქტიკის შექმნისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ სწორად გააზრებული თეორიული პოზიციების კანონმდებლობაში არასრულყოფილი ასახვაც არანაკლები პრობლემის შემქმნელია პრაქტიკაში. იმ შემთხვევაში, როცა თეორიასა და კანონმდებლობაში ყველაფერი სრულყოფილად არის გათვალისწინებული, პრაქტიკაც ერთმნიშვნელოვანი და უპრობლემაა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თეორია პრაქტიკაში არსებული პრობლემების სწორ გააზრებას უნდა ემსახურებოდეს, კანონმდებლობა - თეორიული მიღწევების სრულყოფილ ასახვას, ხოლო პრაქტიკა - კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვას.

სისხლის სამართლის სფეროში საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი მეთოდოლოგიური საკითხი გადაფასდა, უარყოფილ იქნა გარკვეული თეორიები და გაზიარებულ იქნა სხვა თეორიები.<sup>5</sup> ამას გარდა, წლების განმავლობაში სახელმწიფომ იკისრა არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო

---

<sup>4</sup> ასეთად შეიძლება დასახელდეს, მაგალითად სსკ-ის მე-15-მე-17 მუხლები, იხ. ბიჭია შ., არაერთგზისი დანაშაულის ცნების ევოლუციასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სანქციების სისტემური ანალიზის საფუძველზე, შზია ლექციების კონფერენციის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, 2014; სსკ-ის 71-ე და 76-ე მუხლები, იხ. ბიჭია შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, თბ., 2010, ბიჭია შ., ხანდაზმულობის ცნებასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის იურიდიული აზროვნების წესისადმი შესაბამისობის მოკლე ანალიზი, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული N5, 2015; სსკ-ის 142-1422-ე მუხლები და სხვა.

<sup>5</sup> მაგალითად, უარყოფილ იქნა დანაშაულის სოციოლოგიური - ოთხელემენტური ცნება და დანაშაულის ცნებაში შევიდა შეფასებითი ელემენტები; გადაფასებულ იქნა ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და ბრალიც შეფასებითი ცნება გახდა და ა.შ.

ვალდებულება, საქართველო შეუერთდა მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რამაც აუცილებლობით გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები.<sup>6</sup> ამ და სხვა გარემოებების გავლენით ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია, რაც მართლმსაჯულების ორგანოებისათვის სახელმძღვანელოა. ამიტომაც, სწორედ ეს ორგანოები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში საკანონმდებლო ხარვეზებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული, არასისტემურ თეორიულ გააზრებასთან, არასრულყოფილ საკანონმდებლო ასახვასთან დაკავშირებული პრობლემებიდან აღსანიშნავია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა კონკრეტული კატეგორიის მსჯავრდებულების, კონკრეტული დანაშაულებისა და კონკრეტული სასჯელების მიმართებისას. ცნობილია, რომ კანონის თვისებაა, იყოს ზოგადი. მისგან განსხვავებით, პრაქტიკა ყოველთვის იძლევა კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც საჭიროებს ზოგადი ნორმებით მონესრიგებას. ამ პროცესში ვლინდება კანონმდებლობის ხარვეზები, ის პრობლემები, რომლებიც გამომწვეულია კონკრეტული გარემოებების გაუთვალისწინებლობით ან არასრულყოფილი გათვალისწინებით კანონმდებლობაში. სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ მისი გადაწყვეტილებები რთდროულად იყოს კანონიერიც და სამართლიანიც, თუმცა საკანონმდებლო რეგულაციები ზოგჯერ ამას აბრკოლებს, რის გამოც აუცილებელია, სათანადო ყურადღება დაეთმოს რეგულაციების სრულყოფას.

---

<sup>6</sup> მათ შორის შეიძლება დასახელდეს ევროპის საბჭოს კონვენციები „ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/document/view/1203547?publication=0>> [30.09.2021]; „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0>> [30.09.2021] და სხვა.



## 1. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ჩამოთვლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და სსკ-ის 531-ე მუხლში იძლევა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების მხოლოდ არასრულ ჩამონათვალს - ქმედების ჩადენა დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, არასრულწლოვნის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ეს რომ არასრული ჩამონათვალია, ამაზე მიუთითებს ასევე სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს, სასჯელის დანიშვნის დროს აუცილებლად გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. მართალია, აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის, თუ რას შეიძლება უკავშირდებოდეს ეს გარემოებები - დანაშაულის მოტივს, მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების ხერხს, სახესა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, თუმცა თავად პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს არ ასახელებს. კოდექსის მიერ დატოვებული თავისუფალი სფეროს მონესრიგება კანონმდებლის მიერ სრულად არის მინდობილი პრაქტიკისადმი. ამიტომაც არის, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების ჩამონათვლის პოვნა შეუძლებელია სისხლის სამართლის კოდექსში. ის მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების შედეგად შეიძლება შეიქმნას, თუმცა ზოგადი მიდგომის ამოცნობა შეიძლება თავად კოდექსიდანაც. მაგალითად, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს დამნაშავის პირად პირობებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა ეძებოს პასუხისმგებლობის შემამ-

სუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები ამ სფეროშიც. მართალია, პირადი პირობები ზოგადი და ბუნდოვანი სიტყვათმეხამებაა, თუმცა ის უნდა გულისხმობდეს პირის პირად ნიშნებს, პიროვნებას, პერსონალურ მონაცემებს, როგორც შეიძლება იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური პირობები, ასაკი, სტატუსი და სხვა, რომლებიც, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ხშირად მიიჩნევა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებად, თუმცა სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ სხვა გარემოებებში (გარდა პირადი პირობებისა) ვერ მოიაზრება.<sup>7</sup>

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, მართალია, სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს ანესრიგებს სსკ-ის 53-ე-62-ე მუხლები, თუმცა თავად სასჯელის კონკრეტული სახეების განმარტების შემცველ მუხლებშიც არის მითითება კონკრეტული სახის სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებზე. ამდენად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ მინიშნებები ამ მუხლებშიც შეიძლება იქნეს ნაპოვნი. მაგალითად, ამ მხრივ საინტერესოა სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასჯელის ერთ-ერთი სახე - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება დაენიშნოს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდს,<sup>8</sup> ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის

<sup>7</sup> იგივე პოზიცია იკვეთება ნაშრომში: ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება, თბილისი, 2019, 130-131; დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 98. შეად. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, 142; ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 342, რომლებიც პიროვნებას განიხილავენ წარსული ცხოვრების და არა პირადი პირობების შემადგენელ ნაწილად. პიროვნების თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება, §45. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 1 ივლისის N2კ-167/აპ-21, N2კ-168/აპ-21 განჩინებები, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [07.09.2021].

<sup>8</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინმა „ინვალიდი“ დროთა განმავლობაში ევოლუცია განიცადა - შეიცვალა ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი“, თუმცა ეს ტერმინიც შეიძლება სადავო იყოს. ამის შესახებ იხ. გაეროს 1975

შვილი, საპენსიო ასაკის პირს, განვეულ სამხედრო მოსამსახურეს. აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ სახის სასჯელი ამ კატეგორიის ადამიანებისთვის შეუთავსებელია. როგორც ჩანს, ეს უკავშირდება ჩამოთვლილი პირების მიერ ფიზიკური შრომის უნარის დაქვეითებას, ფიზიკური შრომის მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან შეუთავსებლობას, ტკივილის ან ტანჯვის გამოწვევას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის საფრთხის არსებობას, მცირეწლოვნების ინტერესების შელახვის შესაძლებლობას, სახელმწიფოს, ოჯახის, შვილის წინაშე ვალდებულებების შესრულებისათვის ხელის შეშლას... ამდენად, სახელმწიფო აღიარებს, რომ არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანები, რომელთაც სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო უნდა მოექცეს სხვებისგან გასხვავებულად მათივე განსაკუთრებული მდგომარეობის გამო.

მართალია, სსკ-ის 44-ე მუხლი უშუალოდ ერთი სახის სასჯელთან მიმართებით ანიჭებს აღნიშნულ პირებს განსაკუთრებულ უფლებას, თუმცა ამ პირების განსაკუთრებული სტატუსი სასამართლო პრაქტიკით გათვალისწინებულია ასევე სხვა სასჯელების გამოყენების შემთხვევებშიც.<sup>9</sup> უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკა

---

ნლის 9 დეკემბრის დეკლარაცია „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, გაეროს 1993 წლის 20 დეკემბრის ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესები, გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 14 ივნისის კანონი ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1>> [30.09.2021]. ჩვენთვის ასევე ცნობილია ამ ტერმინის ეტიმოლოგიური წარმოშობის, ინგლისურიდან მისი პირდაპირი ქართული თარგმანის ადამიანისადმი მისადაგების მიუღებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ტერმინ „ინვალიდის“ გამოყენება ამ ნაშრომში არ ისახავს მიზნად ადამიანთა რომელიმე ჯგუფის უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფას. ის გამოყენებულია მხოლოდ იმიტომ, რომ დაცული იყოს სისხლის სამართლის კოდექსში გამოყენებული ტერმინოლოგია, რომელიც, შესაძლოა, ასევე საჭიროებდეს გადახედვას.

<sup>9</sup> იხ. ცქიტვიშვილი თ., დასახ. ნაშრ., 133; საქართველოს უზენაესი სასამართლოს

განაწევრებას კიდევ იმ პირთა ჩამონათვალს, ვისაც ის განსხვავებულიად მოპყრობის ღირსად მიიჩნევს. მაგალითად, ბრალდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბდა, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება.<sup>10</sup> ამას ხელი შეუწყო ასევე სსკ-ის 74-ე მუხლმაც, რომელიც სასჯელისგან სრულად გათავისუფლებასაც კი ითვალისწინებს, როცა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა, ქონების ჩამორთმევის გარდა, ნებისმიერი სახის სასჯელის მოხდასთან. ამდენად, ამ ორი მუხლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა უკვე ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნისას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აღწევს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობის ხარისხს ანდა ის ჯერაც არ არის იმ სიმძიმის, რომ შეუთავსებელი იყოს სასჯელის მოხდასთან. ამას მოითხოვს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიც, ვინაიდან სხვადასხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მსჯავრდებულები ერთი და იმავე სახისა და ზომის სასჯელს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, შეიგრძნობენ, განიცდიან მხოლოდ ჯანმრთელობის განსხვავებული მდგომარეობის გამო.

იგივე შეიძლება ითქვას ორსულ ქალზე ან მცირეწლოვანი შვილის დედაზე, რომლის განსაკუთრებულ სტატუსს ადასტურებს ასევე სსკ-ის 75-ე მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას ორსული ქალისთვის მშო-

---

2016 წლის 20 დეკემბრის N2კ-392-აპ-16 განჩინება, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [07.09.2021]; თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად პირველი ჯგუფის ინვალიდობის გათვალისწინების შესახებ იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის N1/304-15 განაჩენი

<sup>10</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის N2კ-199აპ-20, 2021 წლის 30 მარტის N2კ-230აპ-19 განჩინებები, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [20.09.2021]; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 ივნისის N1/345-18, 2020 წლის 17 აგვისტოს N1/2-20 განაჩენები, <<https://ecd.court.ge/Decision> > [20.09.2021].

ბიარობის შემდეგ 1 წლამდე, ხოლო ამ დროის შემდეგ - სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას. ამდენად, ორსულობა და მცირეწლოვნის დედობა მიჩნეულია სასჯელის მოხდასთან შეუთავსებელ მდგომარეობად ან სასჯელის შემსუბუქების შესაძლო საფუძვლად. უნდა ითქვას, რომ სასამართლომ შეიძლება არ გაათავისუფლოს სასჯელისგან ან არ შეუცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით დანიშნული სასჯელი, არამედ დაადგინოს, რომ სასჯელი მოხდით უნდა იქნეს, თუმცა თავად სასჯელისგან გათავისუფლებისა და მისი შემსუბუქების შესაძლებლობა უკვე ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას ბრალდებულის ფეხმძიმობა და მცირეწლოვანი შვილის დედობა. ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა იცავს ამ დებულებას.<sup>11</sup> უფრო მეტიც, ის განაგრძობს კიდევ მას და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად რიგ შემთხვევებში მიიჩნევს არა მხოლოდ მცირეწლოვანი, არამედ არასრულწლოვანი შვილის (შვილების) რჩენას როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის მსჯავრდებულების მიერ.<sup>12</sup>

ანალოგიური მიდგომაა საპენსიო ასაკთან დაკავშირებითაც, რომლის განსაკუთრებულობა ასევე აღიარებულია სსკ-ის 74-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის მოხდის შემდეგ 65 წლის ქალისა და 70 წლის კაცის სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოხდისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მხოლოდ ასაკის გამო, თუ არ არის ამისთვის ხელის შემშლელი გარემოებები. ამდენად, საპენსიო ასაკსაც სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ მნიშვნელო-

<sup>11</sup> იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის N1/690-17 განაჩენი

<sup>12</sup> იხ. ცქიტიშვილი თ., დასახ. ნაშრ., 132, გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, 40. არასრულწლოვანთა დედობისა და მათი რჩენის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნევის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 12 მარტის N2კ-543აპ-19 განჩინება, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [07.09.2021]; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 27 აგვისტოს N1/330-18 განაჩენები, <<https://ecd.court.ge/Decision> > [20.09.2021].

ბას ანიჭებს. სასამართლო პრაქტიკა, რა თქმა უნდა, იცავს კანონს ამ ნაწილშიც.<sup>13</sup> უფრო მეტიც, ის განავრცობს ასეთ პირთა წრეს და სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს ბრალდებულების ხანდაზმულ ასაკს, რომელიც შეიძლება არ იყოს ჯერ მიღწეული საპენსიო ასაკს, თუმცა სასჯელის მოხდის პერიოდში მიაღწევს მას.<sup>14</sup>

ამდენად, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სისტემური ანალიზით, ასევე სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დადგენილია, რომ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა, ორსულობა, 7 წლამდე პირის დედობა, საპენსიო ასაკი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია, რომლებიც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს და რომელთა მიმართ ზოგიერთი სახის სასჯელის - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება საერთოდ დაუშვებელია.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების განხილვისას აუცილებელია ასევე სასჯელთა სიმძიმის საკითხის გადაწყვეტაც, ვინაიდან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები იმისთვის არსებობს, რომ მათ უნდა გამოიწვიონ სასჯელის ზომის შემსუბუქება ან შედარებით მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნა. ამისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სასჯელია უფრო მსუბუქი და რომელი - უფრო მძიმე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სსკ-ის მე-40 მუხლი, რომელიც ჩამოთვლის სასჯელის სახეებს; სსკ-ის 41-ე მუხლი, რომელიც გამოყოფს ძირითად და დამატებით სასჯელებს. ერთი მხრივ, ლოგიკის მიხედ-

<sup>13</sup> იხ. თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად საპენსიო ასაკის გათვალისწინების შესახებ იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 აპრილის N1/21-21, 2021 წლის 4 აგვისტოს N1/646-20 განაჩენები; ჯარიმის გამოყენებისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად საპენსიო ასაკის გათვალისწინების შესახებ იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის N1/142-18, 2018 წლის 28 დეკემბრის N1/626-17 განაჩენები, < <https://ecd.court.ge/Decision> > [17.09.2021].

<sup>14</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის N2კ-18აპ-2001 განჩინება, < <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [20.09.2021]; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის N1/635-16 განაჩენი

ვით, ძირითადი სასჯელები უფრო მძიმე უნდა იყოს, ვიდრე ისინი, რომლებიც შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად სასჯელად, ასევე დამატებით სასჯელად. მეორე მხრივ, მიიჩნევა, რომ სსკ-ის მე-40 მუხლში ჩამოთვლილია სასჯელები მზარდი სიმძიმის მიხედვით.<sup>15</sup> ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს არ ემთხვევა. პრობლემას ქმნის შინაპატიმრობა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის წინ არის მითითებული სსკ-ის მე-40 მუხლში და ამიტომ მიჩნეულ უნდა იყოს როგორც თავისუფლების აღკვეთის შემდეგ ყველაზე მძიმე სასჯელი, თუმცა ის დამატებითი სასჯელიც შეიძლება იყოს გამასწორებელი სამუშაოსა და სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვისაგან განსხვავებით, რომლებიც შინაპატიმრობის წინ არის მოხსენიებული სსკ-ის მე-40 მუხლში და ამიტომ შინაპატიმრობაზე მსუბუქ სასჯელად უნდა იყოს მიჩნეული, თუმცა ისინი მხოლოდ ძირითადი სასჯელებია, განსხვავებით შინაპატიმრობისგან. შედარებით ნათელია სურათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების აღკვეთის მიმართების კუთხით. კერძოდ, დავას არ უნდა ინვედეს, რომ თავისუფლების აღკვეთა უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

სასჯელთა სიმძიმის განსაზღვრის ზემოთ დასახელებული 2 გამოსავლის გარდა, შეიძლება მოიძებნოს მესამე გზაც, რომლის მიხედვითაც სასჯელების სახეთა სიმძიმეს განაპირობებს სასჯელთა ზომები.<sup>16</sup> მაგალითად, ერთი შეხედვით ჯარიმა შეიძლება თა-

<sup>15</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის N2კ-50აპ-18 განჩინება, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [07.09.2021].

<sup>16</sup> სასჯელის სიმძიმის განსაზღვრისათვის სასჯელის ზომის მხედველობაში მიღების აუცილებლობის შესახებ იხ. ზუგდიდის რაინოული სასამართლოს 2018 წლის 7 აგვისტოს N1/496-16 განაჩენი, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის N2კ-474აპ-16 განჩინება, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> > [07.09.2021], რომელშიც, მართალია, სასჯელთა სიმძიმის მიმართების საკითხი განხილული არ არის, თუმცა მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ამ დასკვნის საშუალებას ტოვებს. სასჯელთა სიმძიმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით გადაწყვეტის შესახებ იხ. ვარძელაშვილი ი., სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 2020, 20.

ვისუფლების აღკვეთაზე მსუბუქ სასჯელად მიიჩნეოდა, თუმცა თუ მოხდება 50 000 ლარის ოდენობით ჯარიმისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის შედარება, ჯარიმის სიმსუბუქე ისევე ერთმნიშვნელოვნად არ გამოიყურება, როგორც თავიდან ჩანდა. თუ ამ შედარებისას გათვალისწინებული იქნება სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვითაც შინაპატიმრობის 1 დღე ტოლია 50 ლარის ოდენობის ჯარიმის, 471-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც შინაპატიმრობის 1 დღე ტოლია თავისუფლების აღკვეთის 1 დღის, მაშინ შესაძლებელი ხდება თავდაპირველის საპირისპირო დასკვნა - 50 000 ლარის ოდენობით ჯარიმა უფრო მძიმე შეიძლება იყოს, ვიდრე 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, ეს დასკვნაც არ ცვლის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების აღკვეთის მიმართებას, ვინაიდან, სსკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება, როგორც წესი, 800 საათამდე, ხოლო სსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 6 თვიდან. ამასთან, სსკ-ის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 5 საათი ტოლია თავისუფლების აღკვეთის 1 დღის. ამ გამოთვლებით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ტოლია 900 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, რაც კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დასაშვებ ჩვეულებრივ ზღვარზე მეტია. ამდენად, ჩვეულებრივ შემთხვევებში თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზომაც კი უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაქსიმალური ზომა, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთა ჩვეულებრივ შემთხვევებში უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (საპროცესო შეთანხმებისა და იმ შემთხვევების გარდა, როცა სხვა სასჯელი იცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რადგან ამ დროს შეიძლება დაინიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 800 საათზე მეტი ვადით).



## 2. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების არაპირდაპირ გადაქცევა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად

სისხლის სამართლის კოდექსი და სასამართლო პრაქტიკა კონკრეტულ გარემოებებს უდავოდ მიიჩნევს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად, თუმცა შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში იგივე გარემოებები შეფარვით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების როლსაც ასრულებდეს საკანონმდებლო რეგულაციების გამო. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები შეიძლება მოდიებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობები მოცემულია კოდექსის კერძო ნაწილში. მართალია, ზოგადი და კერძო ნაწილების ერთიანობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა არის შემთხვევები, როცა მათ შორის შეუთანხმებელი დამოკიდებულება ჩანს. ასეთია ის შემთხვევები, როცა კერძო ნაწილში კონკრეტული დანაშაულისათვის სანქციის სახით მოცემულია მხოლოდ 2 სახის სასჯელი ან უფრო მეტი სახის სასჯელი, თუმცა სხვა სასჯელების გამოყენება სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია. ასეთ შემთხვევებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, ხომ არ ზღუდავს რამე სასამართლოს, გამოიყენოს შეთავაზებული სანქციებიდან უმცირესი და თუ არსებობს ასეთი შემზღუდველი გარემოება, რამდენად გამართლებულია მისი ამ სახით არსებობა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემური ანალიზისას ირკვევა, რომ ყველაზე პრობლემურია 2 სახის სასჯელის - უმკაცრესი სანქციის - თავისუფლების აღკვეთისა და შედარებით მსუბუქი სანქციის - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თანაარსებობის შემთხვევები.

საინტერესოა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ხომ არ არის ისეთი მუხლები, სადაც სანქციის სახით მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული? ასეთი 3 მუხლი იძებნება: 126<sup>1</sup>-ე მუხლი - ოჯახში ძალადობა, 150<sup>1</sup>-ე მუხლი - ქორწინების

იძულება, 357-ე მუხლი - სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება. ამასთან, არის ასევე 171-ე მუხლი - არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, რომლისთვისაც ზემოაღნიშნულ ორ სასჯელთან ერთად გამასწორებელი სამუშაოები გათვალისწინებული, რომლის დანიშვნაც მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პირი ოფიციალურად დასაქმებულია და იღებს ხელფასს. დაუსაქმებლობის შემთხვევაში კი აქაც მხოლოდ 2 სახის სასჯელი რჩება. ამ დანაშაულების შემთხვევაში პრობლემას ქმნის სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი. მართალია, იზოლირებულად აღებული როგორც კერძო ნაწილის, ასევე ზოგადი ნაწილის ზემოაღნიშნული მუხლები მისაღებად გამოიყურება, თუმცა პრობლემას ქმნის მათი ურთიერთშეხამების შემთხვევები. ზემოაღნიშნულ დანაშაულთაგან პირველი სამის სუბიექტები შესაძლოა იყვნენ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები ან 7 წლამდე შვილის დედები, საპენსიო ასაკი პირები, განვეული სამხედრო მოსამსახურეები. როგორ უნდა გადაწყდეს ასეთი პირებისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხი?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჯანმრთელობის მიძიმე მდგომარეობა, როგორიცაა პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა; ორსულობა და მცირეწლოვნის დედობა; საპენსიო ასაკი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია, რომელთა არსებობისას, ჩვეულებრივ შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო მსუბუქი სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა. ჩვეულებრივი შემთხვევებისგან განსხვავებული ვითრება იქმნება ზემოთ დასახელებული დანაშაულების შემთხვევაში, ვინაიდან ისინი მხოლოდ 2 სახის სასჯელს ითვალისწინებს - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და თავისუფლების აღკვეთას, რომელთაგან ზემოთ დასახელებული კატეგორიის მსჯავრდებულებისათვის, სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამო, შეუძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება. ამდენად, ამ კატეგორიის ადამიანების შემთხვევაში რაიმე ალტერნატივა არ რჩება და ერთადერთი შესაძლებელი სანქცია არის თავისუფლების აღკვეთა. ეს პრობლემა ყველაზე მძაფრად სწორედ დასახელებული დანაშაულების შემთხვევაში

ჩანს, თუმცა ის თავს იჩენს ასევე სხვა დანაშაულების შემთხვევებშიც, სადაც მესამე შესაძლებელ სასჯელად ჯარიმაა მითითებული სანქციაში, თუმცა პირი გადახდისუუნაროა ან უძრავი ქონება არ გააჩნია, ასევე სადაც სხვა სასჯელიცაა გათვალისწინებული, რომლის აღსრულება შეუძლებელია ან არამიზანშენილი. მიუხედავად ამისა, ამ სტატიის ფარგლებში ყურადღება ეთმობა მხოლოდ იმ მუხლებს, სადაც ყველაზე აშკარად ჩანს პრობლემა.

ამდენად, 4 დანაშაულის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების მქონე კონკრეტული პირების მიმართ კოდექსის ზოგადი ნაწილის დანაწესი იმავე კოდექსის კერძო ნაწილის სანქციიდან დასაშვებად მიიჩნევა მხოლოდ სასჯელის ერთადერთი სახის გამოყენებას. სხვა სასჯელს, რომლის დანიშვნაც შესაძლებელი იქნება, კერძო ნაწილის კონკრეტული 4 მუხლი არ ითვალისწინებს. აქ წარმოიშობა პრობლემა: თუ ერთსა და იმავე საქმეში ერთი და იგივე ბრალდება წარდგენილი აქვს 2 ან მეტ პირს, რომელთაგან ერთი საპენსიო ასაკის ან ორსული ქალია ანდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, რომელსაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ხოლო მეორე ჯანმრთელი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც სასჯელის სახედ სამართლიანად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რა სასჯელი შეიძლება დაენიშნოს პირველს ისე, რომ ის კანონიერიც იყოს და სამართლიანიც? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეუძლებელს ხდის თავად სისხლის სამართლის კოდექსი. თუ ერთ ბრალდებულს სამართლიანად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, იგივე სამართლიანობა მოითხოვს, მეორე ბრალდებულს, რომლის მხარესაც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მეტი გარემოება არსებობს, უფრო მსუბუქი სახისა და ზომის სასჯელი განესაზღვროს. თუმცა მუხლის სანქცია მხოლოდ უფრო მკაცრი სახისა და უფრო მძიმე სასჯელის შესაძლებლობას ითვალისწინებს. შესაძლოა, ამგვარმა რეგულაციამ ისეთი მანკიერი პრაქტიკაც კი წაახალისოს, როგორცაა ახალგაზრდა ჯანმრთელი მამრობით სქესის მსჯავრდებულების მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოუყენებლობა, თუ მათთან ერთად სსკ-ის

44-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული კატეგორიის ადამიანებიც არიან მსჯავრდებულები იმავე საქმეში. პრაქტიკაში საკითხის ასე გადანწყვეტის შემთხვევაში, მართალია, თვალმისაცემი არ იქნება სასჯელთა უსამართლო გადანაწილება განსხვავებული კატეგორიის მსჯავრდებულებს შორის, თუმცა ასეთი პრაქტიკა გამოუსადეგარად გადააქცევს სანქციის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსებობას ამ ტიპის საქმეებში.<sup>17</sup>

თავად ოჯახური დანაშაულის, ქორწინების იძულებისა და არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სპეციფიკური ბუნება, ასევე პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობის, ორსულობის, 7 წლამდე შვილის დედობისა და საპენსიო ასაკის ბუნება არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ამ კონკრეტული დანაშაულების შემთხვევებში ეს კონკრეტული ნიშნები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად უნდა იქნეს მოაზრებული. გაუგებარი და უსამართლო იქნებოდა საკითხის იმგვარად გადანწყვეტა, როცა ოჯახური დანაშაულის, ქორწინების იძულების ან არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის ჩადენა პირველი ჯგუფის ინვალიდის, პენსიონერის ან ორსულის მიერ, გაცილებით მკაცრად დაისაჯოს, ვიდრე ჯანმრთელი ახალგაზრდა პირის მიერ იგივე ქმედების განხორციელების შემთხვევა. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ აშკარაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის რეგულაციები ერთმანეთთან თანხმობაში არ არის და არსებული რეგულაცია პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობას, პენსიონერობას ან ორსულობას, 7 წლამდე შვილის დედობას ორმაგ ხასიათს სძენს - სხვა შემთხვევებში ისინი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია, ხოლო კონკრეტული რამდენიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის გამოყენების საფუძველი. ე.ი. ამ კონკრეტული დანაშაულების შემთხვევებში ეს გარემოებები არაპირდაპირ

<sup>17</sup> სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი ცუდად რომ მოქმედებს ამ ნაწილშივე ჩამოთვლილი პირების მდგომარეობაზე, იგივე პოზიცია ზოგადად იხ. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 339

ასრულებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების ფუნქციას. ძნელი ასახსნელია, თუ რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ამ გარემოებების ამ კონკრეტული დანაშაულების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნევას. უფრო სავარაუდოა, რომ ეს შედეგი შეიძლება გამონვეული იყოს იმის გაუთვალისწინებლობით, რომ ოჯახური დანაშაული, ქორწინების იძულება და არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა შეიძლება ჩადენილ იქნეს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდის, პენსიონერის, ორსულის, შვიდ წლამდე შვილის დედის, სამხედრო სამსახურში განვულის მიერ, თუმცა სასამართლო პრაქტიკა იცნობს ასეთ შემთხვევებს. ამდენად, იკვეთება, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციის გამო ზოგჯერ ჯანმრთელ, ახალგაზრდა, მამაკაც მსჯავრდებულებს უფრო მსუბუქი სახისა და ზომის სასჯელები შეიძლება შეეფარდოთ, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებში შემავალ მსჯავრდებულებს, რაც კოდექსის მოქმედი რედაქციით კანონიერია, თუმცა უსამართლობის განცდას იწვევს.

კანონიერებისა და სამართლიანობის მიმართების საკითხი რთული პრობლემაა და ამ სტატიის ფარგლებში ვერ გადაწყდება, ვინაიდან უკავშირდება ბევრ საკითხს, მათ შორის ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებებს შორის მიმართებას, კანონშემოქმედისა და კანონგამომყენებლის უფლებამოსილების ფარგლებს, კანონის უსამართლობის შემფასებელი სუბიექტის განსაზღვრას<sup>18</sup> და ა.შ. ამასთან, უდავოა, რომ სამართლიანობა კანონშემოქმედების პროცესის განმსაზღვრელი კრიტერიუმია, რის გამოც იგულისხმება, რომ კანონი იმთავითვე სამართლიანი უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს უსამართლო გადაწყვეტილების მიღებას.<sup>19</sup> სასამართლოს ამ საკითხის იმდაგვარად გადაჭრა, რომ

<sup>18</sup> სამართლიანობის გაგება რომ სამართლიანობის შემფასებელი სუბიექტის მიხედვით იცვლება, ამის შესახებ იხ. ხუბუა გ., დასახელებული ნაშრომი, 67-68; კანონის სამართლიანობის განმსაზღვრელი რომ წარმომადგენლობითი ორგანოა, ამის შესახებ იხ. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადაამუშავებული გამოცემა, 2009, 21

<sup>19</sup> იქვე, 66-69; ციპელიუსი რ., დასახელებული ნაშრომი, 11-12

მიღებული გადაწყვეტილება კანონიერიც იყოს და სამართლიანიც, სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილსაც შეესაბამებოდეს, კერძო ნაწილის მუხლების სანქციასაც, იმავდროულად უსამართლობის განცდასაც არ ტოვებდეს, არ შეუძლია, რის გამოც ეს საკითხი შესაძლებელია გადაიჭრას საკანონმდებლო ცვლილებებით.

### **3. კანონიერი და სამართლიანი განაჩენის შესაძლებლობისთვის კანონმდებლის მიერ მისაღები ზომები**

სასჯელის სახესთან დაკავშირებულ, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებსა და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებს შორის მიმართების პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა არსებობს. პირველ გზად შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე, 150<sup>1</sup>-ე, 171-ე, 357-ე მუხლების სანქციებში ცვლილების შეტანა სხვა სახის სასჯელის დამატების კუთხით, თუმცა საკითხის ასეთი გადაწყვეტა საფრთხეს შეიცავს. მხედველობაშია მისაღები აღნიშნულ დანაშაულთა სპეციფიკური ბუნება, მათ მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ხარისხი, დაზარალებულების ფსიქიკაზე ძლიერი უარყოფითი ასახვა და საზოგადოების მიერ მათი განსაკუთრებული მიუღებლობა, რაც მოითხოვს მათდამი გარკვეული ხარისხის სიმკაცრით მიდგომას. ამიტომ სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დამატება სანქციაში აღნიშნულ მუხლებს გადააქცევს უფრო ლოიალური მიდგომის დანაშაულებად, ვინაიდან ახალი, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დამატება შესაძლებლობას იძლევა, ის დანიშნულ იქნეს ნებისმიერი კატეგორიის მსჯავრდებულისათვის, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სწორედ ეს სასჯელია სამართლიანი კონკრეტულ შემთხვევაში. ასეთი შედეგი შესაძლოა შეენინა აღმდგეოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, ეფექტურად ებრძოლოს ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა ან ქალთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.<sup>20</sup> გასათვალისწინებელია ისიც,

<sup>20</sup> იხ. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-7, მე-18, 45-ე მუხლები, <

რომ ოჯახური დანაშაულის სუბიექტისათვის ჯარიმის დაკისრება რეალურად ტვირთად აწვება არა მხოლოდ მსჯავრდებულს, არამედ დაზარალებულსაც - მსჯავრდებულის ოჯახის წევრს, ასევე მსჯავრდებულისა და დაზარალებულის არასრულწლოვან შვილებსა თუ მოხუც მშობლებს, რაც ოჯახური დანაშაულების შემთხვევაში ფულადი სანქციების გამოყენებას მიზანშეუწონლად აქცევს. ამაზე მიუთითებს ასევე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც კრძალავს ოჯახური დანაშაულისთვის თუნდაც დამატებით სასჯელად ჯარიმის გამოყენებას. დაზარალებულზე მძიმე ტვირთად დანოლის მოტივით მიზანშეუწონლად იქცევა გამასწორებელი სამუშაო და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. რაც შეეხება შინაპატიმრობას, ოჯახური ძალადობის საქმეებზე დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ხანგრძლივად ერთ სივრცეში ჩაკეცივის იდეაც ხშირ შემთხვევაში სასჯელის კერძო პრევენციის მიზანს ეწინააღმდეგება. ამას ადასტურებს ასევე სსკ-ის 47<sup>1</sup> მუხლის მე-6 ნაწილიც, რომელიც კრძალავს განვეული სამხედრო მოსამსახურისათვის და ოჯახური დანაშაულის სუბიექტისათვის შინაპატიმრობის შეფარდებას. ამდენად, ვინაიდან კანონმდებელმა მიიჩნია, რომ მხოლოდ 2 სახის სასჯელი უნდა იყოს გათვალისწინებული ზემოდასახელებული დანაშაულებისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებლის მიდგომით, მხოლოდ ამ სასჯელების გამოყენება იქნება სამართლიანი. ასეთ ვითარებაში სხვა სახის სასჯელის დამატება, შესაძლოა, არ იყოს მიჩნეული მიზანშეუწონილად.

აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, არსებობს მეორე გზაც. კერძოდ, შესაძლებელია სსკ-ის 44-ე მუხლში მითითებული პირების მიმართ ამავე მუხლით გათვალისწინებულ იქნეს ალტერნატიული სასჯელები, რომლებიც, თავისი არსით ახლოს იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან, თუმცა არ ექნება ის ნიშნები, რის გამოც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება დაენიშნოს კონკრეტულ პირებს. ძალიან ძნელია სასჯელის ისეთი ახალი სახეების შექმნა, რომლებიც ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, თუმცა, თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია.

<https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0> > [30.09.2021]

არსებობს მესამე გზაც, რომელიც, ალბათ, საკანონმდებლო თვალსაზრისით ყველაზე მარტივად განსახორციელებელი და მიზანშეწონილიც შეიძლება იყოს, თუმცა აღსრულების თვალსაზრისით მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ეს არის თავად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსის გადააზრება. სსკ-ის 44-ე მუხლი არ იძლევა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ზუსტი და სრული არსის გაგების საშუალებას, ვინაიდან, ამ მუხლის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. ამდენად, ერთადერთი, რაც ვიცით ამ სასჯელზე, არის ის, რომ ის არის უსასყიდლო შრომა. სისხლის სამართლის კოდექსი მეტ ინფორმაციას ამ სასჯელის არსის შესახებ არ იძლევა. დანაშაულთა პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. ამდენად, არც ამ კანონშია მითითებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახეები. ასევე საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდზე არ იძებნება შესაბამისი ბრძანება, სადაც მითითებული იქნებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახეები. აღნიშნული იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახეების ამსახველი ნორმატიული აქტის მოძიება შეუძლებელია, რის გამოც ეს საკითხი დარეგულირებულია პრობაციის ბიუროს მიერ პრაქტიკით, რაც უკავშირდება საჯარო და კერძო დაწესებულებებთან კონკრეტულ სამუშაოებთან დაკავშირებით ხელშეკრულებების დადებას. პრაქტიკით ირკვევა, რომ ასეთი სამუშაოები ყოველთვის უკავშირდება ფიზიკურ შრომას ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასუფთავების სამსახურსა და სამშენებლო კომპანიებში.<sup>21</sup>

<sup>21</sup> იხ. გეთიაშვილი გ., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, *ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“*, 2016, N2, 241; აღნიშნულთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების შესახებ იხ. შალიკაშვილი მ., *ალტერნატიული სასჯელების კვლევა*



ამდენად, როგორც ჩანს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახეების განსაზღვრის საკითხი კანონმდებლობამ მიანდო სასჯელის აღმასრულებელ ორგანოებს და მათ მიერ განსაზღვრულ პრაქტიკას. პრაქტიკა კი ამ სასჯელს უკავშირებს მხოლოდ ფიზიკურ სამუშაოებს. ეტყობა, კანონმდებლის მიერაც ეს საკითხი ანალოგიურად არის გაგებული, ვინაიდან მიიჩნევს, რომ პენსიონერს, ორსულს, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდს, განვეულ სამხედრო მოსამსახურეს არ შეუძლია ამ სასჯელის მოხდა. გაუგებარია, თუ რას ეფუძნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მხოლოდ ფიზიკურ შრომასთან დაკავშირება, ვინაიდან 21-ე საუკუნეში უდავოა, რომ შრომა არ ასოცირდება მხოლოდ ფიზიკურ სამუშაოებთან და ის ასევე მოიცავს გონებრივ სამუშაოებს, შემოქმედებით საქმიანობას.<sup>22</sup>

ასევე უდავოა, რომ პენსიონერები, ინვალიდები, ორსულები, მცირენაწილის დედები, განვეული სამხედრო მოსამსახურეები უმოქმედოდ კი არ არიან, არამედ გარკვეული აქტივობებით არიან დაკავებულნი. მათ აქვთ გამოცდილება, ცოდნა, განათლება, შემოქმედებითი და სხვა უნარები, რომელთა გამოყენება პრაქტიკაში შესაძლებელია და სარგებლის მომტანიც. ყველა ადამიანს აქვს გარკვეული დადებითი ნიშნები, რომლის გაზიარება პროდუქტიული იქნება. მაგალითად, პენსიონერი, მართალია, ვერ შეასრულებს ახალგაზრდის ტოლ ფიზიკურ სამუშაოებს, თუმცა შეიძლება მისი ცხოვრებისეული თუ პროფესიული ძვირფასი გამოცდილება ან ცოდნა გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი საქმიანობებისათვის კონკრეტული მიმართულებით. შესაძლებელია მისი სპეციალობით მომუშავე ადამიანებთან მისი მიმაგრება გამოცდილების გასაზიარებლად, პრაქტიკული შეცდომების აღმოფხვრის რეკომენდაციების შესამუშავებლად, ახალგაზრდების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამას მიეცეს შესაბამისი ფორმა და ამაში გამოიხატოს

---

საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, 102

<sup>22</sup> საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ასევე გონებრივ შრომასაც რომ მოიცავს, აღნიშნულის შესახებ იხ. გეთიაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 232

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.<sup>23</sup> როგორც წესი, ინვალიდობა გამონვეულია ერთი ან რამდენიმე ჯანმრთელობის პრობლემით იმ პირობებში, როცა სხვა მიმართულებით ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება იძლეოდეს გარკვეული სახის ფიზიკური ან თუნდაც გონებრივი, შემოქმედებითი საქმიანობის ფაქტობრივ შესაძლებლობას, რის გამოც ასეთი ადამიანების შესაძლებლობებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესებისათვის.<sup>24</sup>

ორსულობაც ზღუდავს მხოლოდ გარკვეული მიმართულებით საქმიანობას, თუმცა თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ორსული ქალის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო არაფიზიკური ხასიათის სამუშაოების შესრულება. მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცირეწლოვნის დედის მიმართაც.<sup>25</sup> მაგალითად, შესაძლებელია ამ კატეგორიის ადამიანების შრომის გამოყენება სპეციალური სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის შემდეგ საბავშვო ბაღებში ბავშვების მომვლელებად ან მომვლელების დამხმარეებად, სადაც მსჯავრდებულს საშუალება ექნება, საკუთარ შვილსაც მიაქციოს ყურადღება და სხვა აღსაზრდელებზეც იზრუნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ფარგლებში.<sup>26</sup> შესაძლებელია სხვა სახის სამუშაოების შეთავა-

<sup>23</sup> საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სამშობლოში - ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეების მრავალფეროვნების შესახებ იხ. გეთიაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, 243-244; საკუთარი პროფესიით უსასყიდლოდ მუშაობის შესაძლებლობაზე იხ. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის-სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 49.

<sup>24</sup> იგივე პოზიცია იხ. ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 550

<sup>25</sup> მცირეწლოვნის დედის მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შესაძლებლობის მიზანშეწონილობის შესახებ იხ. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის-სამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 50-51; ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 550

<sup>26</sup> აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაო საათების შემდეგ საზოგადოებისათვის

ზებაც. განვეულ სამხედრო მოსამსახურესთან დაკავშირებითაც შესაძლებელია კონკრეტული სამუშაოების შეთავაზება სამხედრო დანაყოფში ყოფნის პირობებში.<sup>27</sup> კონკრეტული სამუშაოების სახეების მოძებნასთან ერთად შეიძლება ამ კატეგორიის ადამიანებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ყოველდღიური სამუშაო დროის უფრო მცირე ვადები, მათთვის სასჯელის საერთო ვადის შემცირება, სასჯელის მოხდის პერიოდში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საკითხის რამდენჯერმე შეცვლაც.<sup>28</sup> ამგვარი გააზრების შემთხვევაში შესაძლებელია გადაიხედოს კონკრეტული კატეგორიის ადამიანებისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შეუძლებლობის საკითხიც და გათვალისწინებულ იქნეს მათთვის სპეციალური პირობები ამ სახის სასჯელის აღსრულებისას, რაც მოხსნის მათთვის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების აუცილებლობას.<sup>29</sup> ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, არ შეექმნას

---

სასარგებლო შრომის შესაძლებლობის შესახებ იხ. ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი, 2011, N2, 126

<sup>27</sup> პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ დასაქმების არეალის გაზრდის აუცილებლობის პოზიციას განვითარებული ასევე გეთიაშვილი გ., დასახ. ნაშრ., 245

<sup>28</sup> სასჯელის მოხდის განმავლობაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახის არაერთი ცვლილების შესაძლებლობის შესახებ იხ. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 49

<sup>29</sup> საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დაკისრებისა და აღსრულებისას რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია სქესის, სოციალური ან სხვა სტატუსის, ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის საფუძველზე, ამაზე მიუთითებს წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბრის No. ლ(92)16 რეკომენდაციის მე-20 წესი, იხ. ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015, 11, < <https://rm.coe.int/compendium-prison-overcrowding-georgian/16806ab9a8> > [10.09.2021]; სკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შეზღუდვების გაუმართლებლობის შესახებ იხ. ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 549

საკანონმდებლო დაბრკოლება, დანიშნოს როგორც კანონიერი, ასევე სამართლიანი სასჯელი. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც არასრულწლოვანი მსაჯვრდებულებისათვის გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთი სახე, გათვალისწინებულია ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითაც,<sup>30</sup> რომელიც, ყველაზე მაღლა აყენებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამდენად, ირკვევა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა კანონით არასრულწლოვანთათვისაც კი შეიძლება. ასეთ პირობებში კონკრეტული ჯგუფის ადამიანებისათვის, მართალია, მათივე უფლებების დაცვის მოტივით, თუმცა შედეგობრივი თვალსაზრისით ყველაზე მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შეუძლებლობა და ამ ჯგუფის წევრობის გამო მხოლოდ უმკაცრესი სასჯელის გათვალისწინება შეიძლება დისკრიმინაციული მიდგომის ნიშნებსაც შეიცავდეს, რაც შეცვლას მოითხოვს.

ამ მიზნის მიღწევა, როგორც მოქმედი კანონმდებლობიდან ირკვევა, მოითხოვს, ერთი მხრივ, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თაობაზე დებულებების იმგვარად გათვალისწინებას, რომ დაცული იყოს პენსიონერთა, ორსულთა, მცირეწლოვანთა დედების, განვეულ სამხედრო მოსამსახურეთა, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდთა ჯანმრთელობის, შრომის, განვითარების, პატივის, ღირსების და სხვა უფლებები, ვინაიდან სწორედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებაზეა მინდობილი ამ საკითხის რეგულირება. მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის მიერ სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის ამოღებას ან მასში ცვლილების შეტანას და დაკონკრეტებას, თუ რა სახის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება შეეფარდოთ პენსიონერებს, ორსულებს, მცირეწლოვანთა დედებს, განვეულ სამხედრო მოსამსახურეებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს და რა პირობებში უნდა მოიხადონ იგი მათ.<sup>31</sup>

<sup>30</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლი, < <https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=18> > [10.09.2021]

<sup>31</sup> გაანალიზებას მოითხოვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შე-

## დასკვნა

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილებს შორის რიგ შემთხვევებში არსებობს შეუთავსებლობა, რაც კანონმდებლის ჩარევით აღმოფხვრას საჭიროებს. ასეთია, ერთი მხრივ, პირადი პირობების, როგორცაა საპენსიო ასაკის, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდობის, ორსულობის, 7 წლამდე ასაკის შვილის დედობის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე გათვალისწინება და მათთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების აკრძალვა; მეორე მხრივ, ოჯახური დანაშაულის, ქორწინების იძულების, არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისათვის სანქციად მხოლოდ თავისუფლების აღკვეთისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გათვალისწინება. სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვის მოტივაცია, ერთი შეხედვით, კეთილშობილია - ის ემსახურება კონკრეტული კატეგორიის ადამიანებისათვის ისეთი სასჯელის თავიდან არიდებას, რომელიც მათ მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის საფრთხეს შეიცავს. ამას უნდა მოჰყვეს ამ ადამიანების პატივის, ღირსების, ჯანმრთელობის, განვითარების და სხვა უფლებების დაცვა. თუმცა ვითარება რადიკალურად იცვლება, როცა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის სანქციად მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ხოლო ბრალდებულებად კი ზემოთ

ფარდების მიზანშეწონილობა მისი კონკრეტული სახის ცოდნის გარეშე, რის გამოც მნიშვნელოვანია საზოგადოების სასარგებლო შრომის კონკრეტული სახის განმსაზღვრელი ორგანოს და მისი განსაზღვრის წესის იდენტიფიცირებაც. უნდა შეფასდეს, ეს ფუნქცია სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს უნდა მიენიჭოს თუ სასჯელის შემფარდებელ ორგანოს ისევე, როგორც უნდა გადაწყდეს, ეს საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლმა უნდა მოაწესრიგოს სრულად თუ მინისტრის ბრძანებამ. ამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც მსჯავრდებულთა უფლებები, ასევე სასჯელის მიზნები და სასჯელის აღსრულების პროცესში მოსალოდნელი პრობლემები და მიღებულ უნდა იქნეს ის მოდელი, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ამ სახის სასჯელის სამართლიანობას, მრავალფეროვნებას, პრაქტიკულობას, მსჯავრდებულის უფლებებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვას.

აღნიშნული კატეგორიების ადამიანები არიან. ასეთ შემთხვევებში იგივე ნიშნები, რომელთა არსებობის გამოც ეს ადამიანები განსაკუთრებული დაცვის ობიექტები გახდნენ, ეხლა უკვე მათთვის უმკაცრესი სასჯელის შეფარდების საფუძველი ხდება, რაც დღის წესრიგში აყენებს კანონიერებასა და სამართლიანობას შორის აღმართული ბარიერის მოხსნის აუცილებლობას. ეს რამდენიმე გზით არის შესაძლებელი, თუმცა, ყველაზე მიზანშეწონილი, ანტიდისკრიმინაციული, მსჯავრდებულის რესოციალიზაციისკენ ყველაზე მეტად მიმართული ჩანს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის გაუქმება ან შეცვლა იმდაგვარად, რომ ამ ნაწილში ჩამოთვლილ პირთა მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება შესაძლებელი გახდეს. ამასთან, ამ ადამიანების თავისებურებები გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახეების შერჩევის პროცესში, რაც გულისხმობს მათთვის ისეთი სახის შრომის შერჩევას, რომელიც არ გულისხმობს ფიზიკურ აქტივობებს და მოიაზრებს გონებრივ სამუშაოებს, შემოქმედებით საქმიანობას ან გულისხმობს ნაკლები დატვირთვის ფიზიკურ აქტივობებს. ამასთან, იმისათვის, რომ ეს საკითხი სრულყოფილად დარეგულირდეს, საჭიროა, ერთი მხრივ, იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ კანონით ან თავად სსკ-ის 44-ე მუხლით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეების განსაზღვრის საკითხის დეტალური მონესრიგება, რომელიც მოიაზრებს შრომის სახეების გამრავალფეროვნებას და ყოველი ინდივიდუალური მსჯავრდებულის, განსაკუთრებით კი სპეციალური საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების, მდგომარეობის, შრომითი, ჯანმრთელობის უფლებების, პატივისა და ღირსების, თანასწორუფლებიანობის მაქსიმალურად გათვალისწინებას. ეს საკითხი თავისთავად მოითხოვს პრობაციის ბიუროების თანამშრომლების, იურიდიული და ფიზიკური პირების სათანადო მომზადების საჭიროებასაც, რათა ყველა პოტენციური დამსაქმებელი ან მსჯავრდებულის შრომის მიმღები პირი მზად იყოს, საკუთარ საქმიანობაში ჩართოს ნებისმიერი კატეგორიის მსჯავრდებული,

ხოლო პრობაციის ბიურო მზად იყოს, მოიძიოს და გააფართოვოს იმ პირთა და ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომლებთანაც შესაძლებელი იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების მიმაგრება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესში.

## II. სისხლის სამართლის პროცესი

### ირინა აქუბარდია

სამართლის დოქტორი,

თსუ ასოცირებული პროფესორი

კონტროლის მექანიზმები უარულ საგამოძიებო მოქმედებაზე

### შესავალი

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. 2014 წლიდან ბევრი ცვლილება შევიდა საპროცესო კოდექსში, რაც მიზნად ისახავდა რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებმა დადებითი გავლენა მოახდინეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიების გაზრდაზე, აღნიშნულ გარანტიებს კიდევ უფრო გაუმჯობესება და სრულყოფა სჭირდება.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ინტენსიურ ჩარევას. პირადი ცხოვრება კი კვლავ ის სფეროა, რომელიც მუდმივ და გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს.<sup>1</sup>

სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება, უზრუნველყოს დანაშაულის გამოძიება, ისევე როგორც მისი პრევენცია, მაგრამ, იმავდროულად, საფრთხის ქვეშ არ დააყენოს ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივები, არ დაარღვიოს მათი პირადი ცხოვრება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Implementation of the national strategy for protection of human rights in Georgia 2014-2020, report is prepared by the independent human rights expert Maggie Nicholson, იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა, თბ., 2021, გვ.29, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yucqpk> ბოლოს ნანახია:08.01.2022

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე



უფლებაში ჩარევა, მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, აჩენს უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკს, რასაც შესაძლოა მავნე შედეგები მოჰყვეს მთლიანად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით.<sup>3</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც *Ultima Ratio* ღონისძიება, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური. დემოკრატია ეყრდნობა რა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, “უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს...”

მაშინ, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების

---

„საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-31<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები-გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ “ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-31

აუცილებლობა”.<sup>4</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, დაცულ სფეროში ჩარევა ლეგიტიმური იქნება, თუ ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია „დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“ შესაბამისად, ფარული მეთოდების გამოყენება უსაფრთხოების ინტერესებიდან და გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გამართლებული. „იმავედროულად, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხე იზრდება, თუ პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა არ არის დაბალანსებული კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.“<sup>5</sup>

ნაშრომი უკავშირდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და საკმარისობის პრობლემებს, არსებული რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას კერძო პირთა პირადი ავტონომიის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისა და გამოძიების ინტერესებს შორის თანაფარდობის საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება NN1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები-გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიჭაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ “ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016,II-31

## 1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანო

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმების საპროცესო-სამართლებრივი მონესრიგება და ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით ჩამოყალიბება. თუმცა, 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით, სსსკ 139—143 მუხლები, ამოქმედებამდე ამოღებულ იქნა კოდექსიდან. 2014 წლის 1 აგვისტოს კვლავ ცვლილება შევიდა საპროცესო კოდექსში და მას დაემატა ახალი **XVII** თავი – ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ამ ცვლილებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ნაწილი ისევ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით რეგულირებულ სფეროში დარჩა, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით განსაზღვრა ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩასატარებლად აუცილებელია სასამართლოს განჩინება.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელ ორგანოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს. 2010 წლიდან სწორედ აღნიშნულ სამსახურს ჰქონდა პირდაპირი წვდომა მობილური ოპერატორების სერვერებზე. 2014 წელს კანონმდებლობით ე.წ. ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით განისაზღვრა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანერის განხორციელება. ფარული თვალთვალის ერთი გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა, მეორე გასაღების გამოყენების უფლება კი, მხოლოდ ფარული სატელეფონო მოსმენის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა. ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა 2017 წლის მარტამდე არსებობდა. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამის სახელმწიფო ორგანოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი წარმოადგენდა, 2017 წლიდან კი საქართველოს ოპერ-

ატიულ-ტექნიკური სააგენტო.<sup>6</sup>

აღნიშნულ ცვლილებებს საფუძვლად დაედო 2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საკომუნიკაციო არხებთან/სერვისის მიმწოდებლებთან, პირდაპირი წვდომის გზით მიყურადების განხორციელების საშუალებას აძლევდა.

სააგენტოს ამოცანებს მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასთან და ჩანერასთან; კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლთან; ფარულ ვიდეოჩანერასთან ან/და აუდიოჩანერასთან, ფოტოგადაღებასთან; სააგენტოს ფუნქციას ასევე წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.<sup>7</sup>

გარდა ამისა, სააგენტო უფლებამოსილია, შექმნას ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბანკი და *ჰქონდეს დისტანციური წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის კომ-*

<sup>6</sup> შემდეგში — სააგენტო

<sup>7</sup> კანონი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მუხლი 7

პანიის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზებზე და განახორციელოს მათი კოპირება და შენახვა.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილებით იყო ნაკარნახევი სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბება. მაგალითისთვის, გერმანიაში ფარული მიყურადების განხორციელების უფლება აქვს ფედერალური დაზვერვის სამსახურს; ინგლისში - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს; აშშ-ში - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საფრანგეთში - უსაფრთხოების სპეციალური სამსახურს; ესტონეთში - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.<sup>9</sup>

მართალია, სააგენტო საგამოძიებო უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი, მაგრამ იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია, რომელსაც საგამოძიებო ფუნქცია გააჩნია. ამიტომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიმართ ნდობა კვლავ არ არსებობს და ის არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სუბიექტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რაც საგრძნობლად გაამარტივებს ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესს, ისევე, როგორც უფრო ეფექტურს გახდის დანაშაულის პრევენციას. შესაბამისად, უსაფრთხოების სამსახურის ბუნება, მის ხელში შეუზღუდავი ტექნიკური შესაძლებლობების თავმოყრა, ქმნის რისკის მაღალ ხარისხს, მისი პირდაპირი წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის პროცესზე ზრდის უფლებაში დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ჩარევის ცდუნებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ სააგენტო არ არის საკმარისი დამოუკიდებლობის გარანტიებით აღჭურვილი. სააგენტოს უფროსის მოადგილეებს ნიშნავს სუს-ის უფროსი და თვითონვე განუსაზღვრავს უფლებამოსილებებს, რომ სააგენტოს

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 11(1,2)

<sup>9</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“, გვ. 12

ფარული მოსმენების ტექნიკურად განხორციელებასთან ერთად აქვს არაერთი ფუნქცია, რაც მას დაინტერესებულ სუბიექტად აქცევს, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. არსებობს სააგენტოს მხრიდან კერძო კომპანიების საქმიანობაში ჩარევის რისკები, ვინაიდან მას უფლება აქვს, ჩაატაროს ინფრასტრუქტურული აუდიტი ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიაში, დააჯარიმოს იგი და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მოსთხოვოს მისთვის ავტორიზაციის შეჩერება.<sup>10</sup>

სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რაც გამოიხატება იმაში, რომ სააგენტოს მიერ განეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიშის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენამდე სააგენტოს უფროსი ამ ანგარიშს წარუდგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.

სააგენტოს უფროსის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სპეციალური კომისია, რომელიც შეიძენვერიანია და აერთიანებს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს, მაგრამ აღნიშნულ კომისიას თავმჯდომარეობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რომელიც სააგენტოს უფროსის კანდიდატურებს წარუდგენს დასახელებულ კომისიას. ასევე მისი თანხმობაა საჭირო სააგენტოს საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოს და სააგენტოს სტრუქტურის განსაზღვრისათვის.<sup>11</sup> შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენისგან დამოუკიდებლად სააგენტოს ფუნქციონირება ნაკლებად სარწმუნოა.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ხელთ არის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკი, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებიდან მოპოვებული ელექტრონული კომუნი-

<sup>10</sup> იხ.რისკები და ხარვეზები ფარული მოსმენების ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა გვთავაზობს, ეს შენ გეხება, 10.02.2017, <https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1149&lang=1>

<sup>11</sup> კანონი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მუხლი 20 (2“მ“ ქვეპუნქტი)

კაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (კერძოდ, მონაცემები, რომლითაც იდენტიფიცირდება: მომხმარებელი; კომუნიკაციის წყაროს კვალი; კომუნიკაციის ადრესატი; კომუნიკაციის თარიღი, დრო და ხანგრძლივობა; კომუნიკაციის სახე).<sup>12</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ. მართალია, საპროცესო კანონმდებლობა ადგენს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც შეიძლება ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებები,<sup>13</sup> მაგრამ ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონი, რომელიც განსაზღვრავს სააგენტოს უფლებამოსილებას, განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა კოპირება და შენახვა, უშუალოდ არ ადგენს, თუ ვისი მონაცემების კოპირების და შენახვის უფლებამოსილება გააჩნია სააგენტოს.<sup>14</sup> შესაბამისად, არსებობს განუსაზღვრელ პირთა მონაცემების შეგროვების და ე.წ. „ალტერნატიული ბანკის“ შექმნის საფრთხე, რომლის შესახებაც მიუთითებდა საკონსტიტუციო სასამართლო 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში.<sup>15</sup>

„როგორც არ უნდა იყოს სისტემა, ვერასოდეს გამოირიცხება არაკეთილსინდისიერი, ან „გადაჭარბებულად მოტივირებული“ მოხელის მიერ არასწორი ქმედების განხორციელების შესაძლებლობა.“ ამასთან, როცა „სისტემა უსაფრთხოების სამსახურებსა და პოლიციას შესაძლებლობას აძლევს, კომუნიკაციის პროვაიდერებისათვის ან სხვა უფლებამოსილი პირებისათვის შესაბამისი ნებართვის

<sup>12</sup> იხ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 93

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1433, ნაწილი 2, ქვეპუნქტი „ბ“

<sup>14</sup> „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8 3 .

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები-გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-100

წარდგენის გარეშე, უშუალოდ ჰქონდეთ ნვდომა ნებისმიერი მოქალაქის კომუნიკაციის საშუალებებზე, განსაკუთრებით მიდრეკილია უფლების ბოროტად გამოყენებისკენ“.<sup>16</sup>

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ისეთი გარანტიები, რაც გამორიცხავს სააგენტოს მიერ ე.წ. „ალტერნატიული ბანკის“ შექმნის შესაძლებლობას. ასევე აუცილებელია ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონში კონკრეტულად იყოს განსაზღვრული სუბიექტთა წრე, რომელთა მონაცემების კოპირებისა და შენახვის უფლებამოსილება გააჩნია სააგენტოს.

როდესაც პირად ინფორმაციაზე პირდაპირი და უშუალო ნვდომის ტექნიკური შესაძლებლობები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (ან გამოძიების ფუნქციის მქონე სხვა ორგანოს) ხელთაა, რაც... თავისთავად განუზომლად ზრდის უფლებაში თვითნებურად, გადამეტებულად ჩარევის რისკებს, ობიექტურად ძალიან რთული ხდება, თუ შეუძლებელი არა, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოების ეფექტური კონტროლი...სწორედ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების გამორიცხვას/მინიმალიზებას, არამედ დამაჯერებლად აღქმადს გახდის საზოგადოების თითოეული წევრისთვის მათი პირადი სივრცის დაცულობას, ხელისუფლების მხრიდან ხელშეუხებლობას.<sup>17</sup>

ევროპული სასამართლო მიუთითებს ეფექტური და განგრძობ-

<sup>16</sup> ლომან ძაკჰაროვ ვ. ლუსსია, 04/12/2015, N 47143/06,პ.270

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები-გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიჭაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ “ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-82



ბადი კონტროლის სისტემის მნიშვნელობაზე.<sup>18</sup>

აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ უმჯობესი იქნება სააგენტო გამოვიდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობიდან, ჩამოყალიბდეს სრულიად დამოუკიდებელი ორგანოს სახით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.

## **2. კონტროლის მექანიზმები ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობაზე**

მეტად ფართოა სააგენტოს საქმიანობის კონტროლის ინსტიტუციური და ტექნოლოგიური მექანიზმები. კერძოდ, სააგენტოს საქმიანობაზე ხორციელდება საპარლამენტო კონტროლი, სამთავრობო (პრემიერ-მინისტრი), საფინანსო კონტროლი, სასამართლო კონტროლი. თუმცა საინტერესოა, რამდენად ქმედითი და ეფექტურია არსებული მონიტორინგის სისტემა.

### **2.1. საპარლამენტო, სამთავრობო (პრემიერ-მინისტრის) და საფინანსო კონტროლი**

პარლამენტი სააგენტოს საქმიანობას აკონტროლებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფისა და სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით.<sup>19</sup> ნდობის ჯგუფი 5 წევრისაგან შედგება. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ნდობის ჯგუფს წარუდგენს განუყოფელი საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს. ნდობის ჯგუფი ვალდებულია, უფლებამოსილების განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, მიმართოს საგამოძიებო ორგანოს და მიმართვას დაურთოს მის ხელთ არსებული მასალები. ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, სააგენტო შეამოწმოს წელიწადში არაუმეტეს ორ-

<sup>18</sup> იხ. კლასს ანდ ოტჰერს ვ. ჩერმანყ, No. 5029/71, 06.09.1978, §56

<sup>19</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 156

ჯერ. თუმცა ნდობის ჯგუფის მიერ განხორციელებული კონტროლი მიემართება სააგენტოს მიერ განხორციელებულ კონტრდაზვერვით საქმიანობას. კერძოდ, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება ნდობის ჯგუფის მიერ.

საპარლამენტო კონტროლი, როგორც გარე კონტროლის ფორმა, ნაკლებად ეფექტურია, რაზეც ხაზგასმულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში. კერძოდ, საუბარია ზოგადის ნაცვლად კონკრეტული მექანიზმების შემოღების გზით აღნიშნული კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე. მეთვალყურეობის ამ მექანიზმის მეტი ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია პარლამენტის შესაბამის ჯგუფს/კომიტეტს წვდომა ჰქონდეს საიდუმლო ინფორმაციასთან.<sup>20</sup> ასევე აღნიშნული რეკომენდაციების თანახმად, „მაკონტროლებელ ორგანოს ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს ნებისმიერი შეფერხების გარეშე, ამ პროცესში ჩართული არ უნდა იყოს სხვა მესამე პირი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება, ზედამხედველობის ორგანოს შეუზღუდოს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა. ამასთან, ინფორმაციის ფარგლები არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობით, მაკონტროლებელ ორგანოს წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა სახის რელევანტურ ინფორმაციაზე, მათ შორის მესამე ორგანოს მიერ მოწოდებულზე.“<sup>21</sup> გარე მაკონტროლებელ ორგანოს, მათ შორის პარლამენტის შესაბამის კომიტეტს/ჯგუფს, კანონი უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, დაიჭიროვოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი სპეციალისტი, კერძოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით,

<sup>20</sup> Council of Europe, Democratic and effective oversight of national security services, 2015, გვ. 17, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806daadb> (ბოლოს ნანახია 08.01.2022)

<sup>21</sup> იქვე

რათა ზედამხედველობის განმახორციელებლები უკეთ გაერკვნენ მეთვალყურეობის სისტემაში.<sup>22</sup>

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კომპლექსურ და ყოველმხრივი კონტროლის მექანიზმს. შემონმება უნდა ტარდებოდეს როგორც პერიოდულად, ისე ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებიდან გამომდინარე.<sup>23</sup>

სააგენტო როგორც ნდობის ჯგუფს, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ყოველწლიურად წარუდგენს მის მიერ განეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის კონტროლი მხოლოდ ანგარიშის მოსმენით შემოიფარგლება.

სააგენტოს მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

## 2.2. სასამართლო კონტროლი

იმისათვის, რათა გამოირიცხოს ხელისუფლების თვითნებობა, მიუხედავად და ობიექტურად შემონმდეს დაცულ სფეროში ჩარევის უკიდურესი საჭიროება, საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო კონტროლის აუცილებლობას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე.

სასამართლოს საზედამხედველო უფლებამოსილება ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის და ამ მოქმედების გაგრძელების საკითხის გადაწყვეტაზე. ასევე, სასამართლო მონაწილეობს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების პროცესში, თუმცა არ არის ჩართული უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

<sup>22</sup> Council of Europe, Democratic and effective oversight of national security services, 2015, გვ. 14, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806daadb> (ბოლოს ნანახია 08.01.2022)

<sup>23</sup> იქვე, გვ.9

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურა კონკრეტულად არის განსაზღვრული საპროცესო კოდექსით. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. პროკურორმა სასამართლოში უნდა დაასაბუთოს, თუ რატომაა აუცილებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და რომ არსებობს პირის მიერ კანონით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი.

ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება იმავდროულად სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვებას ისახავს მიზნად. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს, ან თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, ვერ გამოდგება სასამართლოს მხრიდან ამგვარი მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად. მხარემ დამატებით უნდა დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, ანუ სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების გზით ამგვარი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>24</sup>

ამასთან საგულისხმოა, რომ შესაძლებელია, პროკურორის შუამდგომლობა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს.<sup>25</sup> ასეთ შემთხვევაში მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, უშუალოდ გამოიკვლიოს შუამდგომლობაში მოყვანილი არგუმენტები, დამატებით წარმოდგენილი მასალა და მიიღოს აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია, რაც დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. ამიტომ პროკურორის შუამდგომლობა უნდა იყოს განხილული ზეპირი მოსმენით.

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2015, გვ. 429

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1433 .

ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, მოსამართლეს მიეცეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანერის განხორციელებაზე ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, ან, მით უფრო უკვე ჩატარებული ამ ღონისძიების კანონიერებაზე მსჯელობისას, მოითხოვოს ამ ფარული საგამოძიებო ღონისძიების უშუალო მწარმოებელი პირის სასამართლოში გამოძახება და გამოკითხვა. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროსთან უშუალო კონტაქტი განაპირობებდა მოსამართლის მეტ ინფორმირებულობას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას და ხელს შეუწყობდა მოსამართლის შინაგანი რწმენის განმტკიცებას.<sup>26</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონების მოთხოვნით საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც თავის მხრივ შუამდგომლობის შემოსვლიდან 24 საათში განიხილავს აღნიშნულ შუამდგომლობას. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამონმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება კანონის მოთხოვნებს (სსსკ1433მ.მე-2 ნან.), აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;
- ბ) მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ.
- გ) ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების

<sup>26</sup> მ. ხოდელი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, გვ. 339

უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმების და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ.<sup>27</sup>

მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი და აღნიშნული მასალის გაცნობის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ერთი შეხედვით, ჯოსტ ფაცტუმ სასამართლო კონტროლი უფრო ქმედითია, ვიდრე სასამართლოს განჩინებით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების დაწყების მართლზომიერებას და ლეგიტიმურობას ამოწმებს სასამართლო და უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა არ ხორციელდება. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას კი მოსამართლე ამოწმებს არამხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას, საგამოძიებო მოქმედების დაწყებისათვის აუცილებელი კრიტერიუმების არსებობას, არამედ ჩატარდა თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედება საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. მიუხედავად მონიტორინგის მეტი სისრულით განხორციელების შესაძლებლობისა, ფარული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე უნდა ჩატარდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე აღნიშნული მოქმედების ჩატარება შეიცავს თვითნებობის მომეტებულ საფრთხეს და საგამოძიებო მოქმედების შედეგების უკანონოდ ცნობა ვერ გააბათილებს უკანონო ჩარევას დაცულ სფეროში.

2019 წლის 1 ივლისიდან **ზედამხედველი მოსამართლე**, სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით, აკონტროლებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მი-

<sup>27</sup> იხ.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1433,მე-6 და მე-61 ნაწ.

ყურადებასა და ჩანერას. 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რომელსაც საგამოძიებო ფუნქცია არ გააჩნია. შესაბამისად, ზედამხედველი მოსამართლის უფლებამოსილება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არ ხორციელდება.

ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომ სასამართლო კონტროლი ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების მხოლოდ სანყის ეტაპს, რაც არ არის საკმარისი. შესაბამისად, სასამართლოს ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღსრულების მთლიან პროცესში და მისი დასრულების შემდეგაც.<sup>28</sup>

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლი გრძელდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე წევრებს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის დასაშვებობის საკითხს. ამ შემთხვევაში სასამართლოს მონიტორინგი post factum კონტროლის სახეს იღებს, ვინაიდან ხორციელდება არა უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის პროცესზე, არამედ შედეგის მიმართ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე კონტროლი უფრო სრულყოფილ გარანტიას შექმნიდა უფლებების დაცვის კუთხით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე დგება ოქმი, რომლის ასლიც გადაეცემა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს.<sup>29</sup> ოქმის გადაცემა სასამართლო რეესტრისთვის თუ შეიძლება გავიხილოთ, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელება? ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ოქმის გადაცემის მიზანი. უნდა ითქვას, რომ ოქმის გა-

---

<sup>28</sup> იხ. თ.გეგეშიძე, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება \_ ქართული სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები DGStZ 2/2017, 49. <http://dgstz.de/storage/documents/uyXdgF3KEMpfvqb91SMMjM0iGVsLRQcF6p04rK.pdf>; ბოლოს ნანახია: 08.01.2022

<sup>29</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1436 მე-14 ნაწ.

დაცემა სასამართლო რეესტრისთვის ნიშნავს იმას, რომ უზენაესი სასამართლო ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრში ასახავს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც, ცხადია, კონტროლის ფორმა არ არის. კონტროლის ფორმას შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში გაცივმა შუალედური ოქმი.<sup>30</sup> მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით განისაზღვროს სასამართლოს უფლებამოსილება არა მხოლოდ მოითხოვოს შუალედური ოქმის წარდგენა, არამედ სასამართლოს მიენიჭოს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების მონიტორინგის კომპეტენცია და შესაბამისად, განისაზღვროს უფლებამოსილი ორგანოს ვალდებულება-სასამართლოს მიანოდოს როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების ოქმი, ასევე სხვა მასალები, რაც დაკავშირებული იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობასთან, ჩატარების პროცედურასთან და ა.შ. post factum კონტროლი გაზრდის უფლებების დაცვის გარანტიას და პრევენციული დანიშნულება ექნება ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონით განსაზღვრული წესით ჩატარების კუთხით.

### 2.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მონიტორინგი

**ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე მონიტორინგის უფლებამოსილება გააჩნდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.** მას ჰქონდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემის უფლება ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის (ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის) მეშვეობით. აღნიშნული უფლება არ ჰქონდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელიც 2019 წლის 10 მაისს შეიქმნა, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლე და არ აქვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად შექმნილ

<sup>30</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1436 მე-15 ნაწ.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსაც.<sup>31</sup> აღნიშნული სამსახური კონტროლის ელექტრონული სისტემით ზედამხედველობას ახორციელებს და ამონებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას და მას არ გააჩნია ნებართვის გაცემის უფლებამოსილება ფარული მიყურადების დასაწყებად. თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს, სსსკ 1436 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს, კონტროლის ელექტრონული სისტემით შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება ვრცელდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე-138-ე მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს სასამართლოს, პროკურატურისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედარებით და მონაცემთა დამუშავების/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).<sup>32</sup>

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კომპეტენცია მოიცავს მონაცემების დამუშავების და მონაცემების დამუშავებლის მიერ ინფორმაციის დამუშავების კანონიერების კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ფარუ-

<sup>31</sup> შენიშვნა: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული ცვლილებების საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა 2021 წლის 30 დეკემბერს მესამე მოსმენით დაამტკიცა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2022 წლის 1-ლი მარტიდან უქმდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად იქმნება ორი უწყება-სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს განახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

<sup>32</sup> იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონის მე-4016 მუხლის მე-2 ნაწ.

ლი აუდიო-ვიდეო ჩანერის, ფოტოგადაღების კანონიერების შემონ-  
მებისას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე  
პირის ვინაობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და მისი შემონ-  
მების (ინსპექტირების) განხორციელების პროცესში მონაწილეობა,  
აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული  
ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური აღჭურვილობის მახასი-  
ათებლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია მხო-  
ლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანოს  
ხელმძღვანელის თანხმობით.<sup>33</sup> კანონის აღნიშნული ჩანაწერი ბუნ-  
დოვანია, ვინაიდან გაუგებარია, კონტროლის განმახორციელებელ  
ორგანოს რატომ უნდა უწევდეს გასაკონტროლებელი სუბიექტისგან  
კონტროლის/მონიტორინგის გასაწევად თანხმობის მიღება.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აკონ-  
ტროლებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მო-  
ნაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს კონ-  
ტროლის ელექტრონული სისტემით და მონაცემთა დამმუშავებლის/  
უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების  
შემოწმებით (ინსპექტირებით).<sup>34</sup>

როგორც აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახ-  
ურის უფროსს შეუძლია შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედე-  
ბა. საინტერესოა, არის თუ არა შეჩერება კონტროლის ეფექტური  
სამუშალება?

**ფარული საგამოძიებო მოქმედება** პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის სამსახურის უფროსს შეუძლია შეაჩეროს კონტროლის  
ელექტრონული სისტემით, თუ მას კანონით დადგენილი წესით არ  
მიენოდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის  
გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების და პროკურორის დად-  
გენილების ელექტრონული ეგზემპლარი ან განჩინება/ გადაუდ-  
ებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი პროკურორის დადგენილება,

<sup>33</sup> იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონის მე-4016  
მუხლის მე-4 ნაწ.

<sup>34</sup> იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონის მე-4016  
მუხლის მე-6 ნაწ.

მატერიალური (დოკუმენტური) სახით, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს. ასევე მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს; თუ აღნიშნულ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.<sup>35</sup>

ამდენად, შეჩერება ხდება ფორმალური საფუძვლით და არა იმის გამო, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას/ამ საგამოძიებო მოქმედების განხორციელების პროცესში უფლებამოსილმა ორგანომ/პირმა არსებითად დაარღვია კანონი, გადაამეტა უფლებამოსილებას, მეტი ინტენსივობით მოხდა ჩარევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, ან /და სისხლის სამართლის საქმესთან არარელევანტურ, შემხებლობაში არ მყოფ, ე.წ. მესამე პირებთან მიმართებით მოხდა პირადი ინფორმაციის მოპოვება, ან/და აბსოლუტურად დაცულ სფეროში (ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობა) ჩარევა მოხდა გაუმართლებლად და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეჩერება ფაქტობრივად, ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების მართლზომიერების/კანონიერების საფუძვლის შემონმებას მოიცავს მხოლოდ, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს ზედამხედველობის/ მეთვალყურეობის ეფექტურ მექანიზმად.

ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული კონტროლი ნაკლებად ეფექტურია, ვინაიდან, ჯერ ერთი, მას მხოლოდ სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გადაეცემა და არა მთლიანად განჩინება, სადაც დასაბუთებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საჭიროება და საფუძვლები. მეორე, აღნიშნული კონტროლი მოიცავს მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლების კანონიერების შემოწმებას. მესამე, შეჩერების მექანიზმიც ემსახურება ფარული საგამოძიებო მოქმედების დასაწყებად ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის შემოწმებას. შესაბამისად, პერსონ-

<sup>35</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1436, მე-5 ნაწ.

ალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლი ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების მხოლოდ დანყების ეტაპზე და არა მიმდინარეობაზე, რაც განსაკუთრებით პრობლემურია, ვინაიდან ინფორმაციის მოპოვების პროცესი კონტროლს არ ექვემდებარება. ამიტომ აუცილებელია კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზეც ვრცელდებოდეს. ამასთან, საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე კონტროლი კომპეტენციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უფრო მოსამართლემ განახორციელოს, ვიდრე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა.

### **3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა აღნიშნულ სტანდარტებთან**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული უფლების ბოროტად გამოყენების სანინააღმდეგოდ, როგორცაა: დანაშაულთა კატეგორია, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება; პირების განსაზღვრა, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღნიშნული ღონისძიება; სატელეფონო მოსმენის მაქსიმალური ხანგრძლივობა; პროცედურა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას მონაცემების გამოკვლევის, შენახვისა და გამოყენების დროს; უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აღნიშნული მონაცემების სხვა პირთათვის გადაცემის დროს;

გარემოებები, როდესაც აღნიშნული ჩანაწერები უნდა იქნას წაშლილი ან განადგურებული.<sup>36</sup>

<sup>36</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Roman Zakharov v. Russia, No. 47143/06, 04.12.2015, §231; Szabo and Vissy v. Hungary,

### 3.1. დანაშაულთა კატეგორია, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება

ფარული საგამოძიებო მოქმედებები გამოიყენება არამხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, არამედ ცალკეულ დანაშაულებზეც, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ში.<sup>37</sup> ამასთან აღნიშნულ დანაშაულთა წრეში შედის როგორც განზრახი, ასევე ზოგიერთი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.<sup>38</sup>

აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არის მონესრიგებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციის და შვეიცარიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებას უშვებს მხოლოდ კონკრეტულ დანაშაულებზე, ხოლო საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია განხორციელდეს ისეთ დანაშაულებზე, რაც ორი წლით და მეტი ვადით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

ვინაიდან „ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება შესაძლებელია დანაშაულთა ფართო სპექტრთან დაკავშირებით, შეუძლებელია, ვისაუბროთ მის უკიდურეს ზომად გამოყენებაზე.“<sup>39</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედებები უფლებაში ჩარევის მალა-

---

37138/14, 06.06.2016, §56; *Huvig v. France*, No. 11105/84, 24.04.1990§34; *Amann v. Switzerland*, No. 27798/95, 16.02.2000, §. 56-58; *Prado Bugallo v. Spain* N58496/00, 18.02.2003, §30; *Weber and Saravia v. Germany*, No. 54934/00, 29.06.2006, §95, იხ. გ. თუმანიშვილი, თ. გეგეშიძე, მტკიცებულებათა სახეები და ცალკეული მტკიცებულებების დასაშვებობის პრობლემები, წიგნში: „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“, რედ. გ. თუმანიშვილი, ბ. ჯიშკარიანი, ე. შრამი, თბ., 2019, გვ. 386-387.

<sup>37</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1433-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამონწვევები, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), 2020, გვ. 12.

ლი ინტენსივობით ხასიათდება, ამიტომ სასურველია ხსენებული მოქმედებები მხოლოდ განზრახ ჩადენილ დანაშაულებზე ვრცელდებოდეს. შესაბამისად, დანაშაულთა წრის გაფართოება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ საგამონაკლისო სახით და განსაკუთრებული საფუძვლით.

### **3.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტი და ე.წ. „მესამე პირები“**

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას უნდა იყოს გათვალისწინებული მინიმუმაციის პრინციპი, რაც ნიშნავს იმ პირის კომუნიკაციის მონიტორინგის მაქსიმალურად შეზღუდვას, რომელსაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტს (ვის მიმართაც არის შესაძლებელი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება) წარმოადგენს:

- დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი;
- პირი, რომელიც იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას;
- დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს.

სატელეფონო საუბრის მიყურადებისას ობიექტს წარმოადგენს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, მაგრამ კომუნიკაციის მეორე მხარეს მყოფი პირი შესაძლოა არ წარმოადგენდეს ობიექტს. ე.წ. „მესამე პირები“ არიან პირები, რომელთა მიმართ და რომელთა მიზეზითაც უშუალოდ არ ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მესამე პირები“ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლსა და ფარულ მიყურადებას საერთოდ არ მოელოან და არც თავის დაცვა შეუძლიათ.<sup>40</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს სწორედ ის, რომ პირები, რომელთა მიმართ უშუალოდ არ ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ვერ სარგებლობენ შესაბამისი საპროცესო გარანტიებით. შესაბამისად, მათ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტისაგან განსხვავებით, არ ეცნობება ფარული მოსმენის შესახებ, არ გადაეცემათ სასამართლოს განჩინების ასლი და საქმის სხვა მასალა, რაც განჩინებას დაედო საფუძვლად, არც გასაჩივრების უფლებით ისარგებლებენ. შეიძლება ითქვას, საერთოდ დაცვის გარანტიების გარეშე რჩებიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს კონვენციით აღიარებული მისი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა, ყოველთვის არ ავალდებულებდა შესაბამის ორგანოებს საიდუმლო ოპერაციის დასრულების შემდეგ ეცნობებინათ პიროვნებისთვის მის მიმართ განხორციელებული თვალყურის დევნების ფაქტი და არ ითვალისწინებდა აღნიშნული ოპერაციის ჩატარებაზე ბრძანების გაცემისა და მისი შესრულების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

საქმეში *Klass and others v. Germany* ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ განხორციელდა კონვენციით დაცული მისი უფლების ხელყოფა, უნდა შეეძლოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით ამ უფლების დარღვევის ფაქტის დადგენა და საკუთარი ინტერესების

<sup>40</sup> იხ. თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებების და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, გვ. 203.

დაცვა.<sup>41</sup>

ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მართალია, წინგადადგმული ნაბიჯია ობიექტის საკანონმდებლო რეგულირება, მაგრამ ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უშუალოდ გამოძიების ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა გარემოებათა გამო შეიძლება აღმოჩნდეს ფარული დაკვირვების ქვეშ, უცილებელია ამ რეგულირების კიდეგ უფრო მეტი დაკონკრეტება.

„როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება ეხება „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ“ სხვა პირებს (პირთა წრეს), სასამართლომ უნდა ისჯელოს საკითხზე -ამგვარი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხომ არ გამოიწვევს “ადამიანთა ძალზე დიდი რაოდენობის“ დატოვებას სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე“.<sup>42</sup>

ამიტომ მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს იმ პირთა წრე, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან შემხებლობა არ აქვთ. ის საპროცესო გარანტიები, რაც განსაზღვრულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის მიმართ, უნდა გავრცელდეს ე.წ. „მესამე პირებზეც“, რომელთა მიზეზითაც უშუალოდ არ ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

### **3.2.1. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანა**

როგორც უკვე აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიცავს საფრთხეს, გამჟღავნდეს იმ პირთა კომუნიკაციის შინაარსი, რომელთაც გამოძიებასთან შეხება არა აქვთ. ასეთი კომუნიკაციის მონიტორინგის შეზღუდვის ვალდებულება ეკისრება როგორც

<sup>41</sup> Klass and others v. Germany, No. 5029/71, 06.09.1978, იხ. ადამიანის უფლებები და პოლიცია, პრაქტიკული კურსი, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 1998, გვ. 1031-132

<sup>42</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი., 2015, გვ. 435



საგამოძიებო ორგანოს, ასევე უშუალოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოს.

სსსკ კონკრეტულად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუშვებელია, თუ კომუნიკაცია ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ. აღნიშნული მოქმედების ჩატარება დაუშვებელია უკავშირდებოდეს მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას, რადგან დასახელებულ პირებთან ურთიერთობის საფუძველი არის ნდობა, საპროცესო კანონმდებლობა კი იცავს როგორც პირად, ასევე ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. საპროცესო კოდექსი განსაკუთრებული ხაზგასმით მოითხოვს ადვოკატის პირადი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის გამიჯვნას ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისაგან. ამასთან, დაუყოვნებლივ განადგურებას ექვემდებარება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კლიენტთან კომუნიკაციის შინაარსი.<sup>43</sup> თუმცა, უნდა ითქვას, რომ სსსკ ცხადად არ აყალიბებს იმ შემთხვევას, როცა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისას აღმოჩნდება, რომ საუბრის ერთ-ერთი მონაწილე ადვოკატია, არის თუ არა ტექნიკურად შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის სავალდებულო წესით ნაშლა და შესაბამისი დოკუმენტის შედგენა. კანონმდებლობით უნდა იყოს მოწესრიგებული მოპოვებული ინფორმაციის დახარისხების წესი, სადაც დეტალურად უნდა იყოს მოცემული, თუ როგორ უნდა მოხდეს დაცული ინფორმაციის გამიჯვნა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მასალისაგან.

<sup>43</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1437

### 3.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების მაქსიმალური ხანგრძლივობა

მოსამართლის განჩინების მოქმედების ვადა 30 დღეა. თუ ამ ვადაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო, განჩინება ძალას კარგავს. საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კონკრეტული ვადებიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივობის მარეგულირებელი ნორმები გარკვეულ ბუნდოვანებას შეიცავენ კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა არაუმეტეს 1 თვის ვადით. ამ ვადის გაგრძელება არაუმეტეს 2 თვის ვადით დასაშვებია პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვის ვადით, მოსამართლის განჩინებით. ამ ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სსსკ 1433 მუხლის მე-12 ნაწილი არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლევა. ნორმის სიტყვა—სიტყვითი განმარტებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ერთთვიან ვადას ემატება პირველ ჯერზე (პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე) ორთვიანი ვადა, ხოლო შემდეგ(გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე) 3 თვიანი ვადა, რაც საბოლოო ჯამში შეადგენს არაუმეტეს 6 თვიან ვადას. თუმცა პრაქტიკაში ნორმა განიმარტება შეზღუდულად და აღნიშნული მოქმედების ჩატარების საბოლოო ვადა არ აღემატება 3 თვეს. ვინაიდან ვადების ზრდა უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ზრდას იწვევს, „განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ ფარული საგამოძიებო მოქმედების კიდევ უფრო გახანგრძლივება უნდა ჩაითვალოს უფლებაში დამატებით ჩარევად“.<sup>44</sup> მნიშვნელოვანია, კანონის ე. წ. „განჭვრეტადობა“ და

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნორმის დაზუსტება იმდაგვარად, რომ ის არ შეიცავდეს მისი სხვადასხვაგვარი განმარტების საშიშროებას.

### **3.4. კონტროლის მექანიზმები ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის შენახვასა და განადგურებაზე**

#### **3.4.1. მონაცემთა შენახვის აუცილებლობაზე ზედამხედველობა**

მნიშვნელოვან საერთაშორისო მოთხოვნას წარმოადგენს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შემდეგ მოპოვებულ მონაცემთა შენახვაზე მონიტორინგი.

საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ მონაცემთა შენახვა უნდა მოხდეს განსაკუთრებული წესის დაცვით და უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული, ვინაიდან „ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან მონაცემთა შენახვა, როგორც ხერხითაც არ უნდა იყოს იგი მოპოვებული, პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ინდივიდის პირადი ცხოვრების ინტერესებზე.“<sup>45</sup>

სააგენტო უფლებამოსილია კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები შეინახოს არაუმეტეს 12 თვის ვადით.<sup>46</sup> აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, 3 თვით, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლის განჩინებით.<sup>47</sup>

<sup>45</sup> S. and Marper v. the U.K. ,ECHR,Application: 30562/04, 04/12/2008, იხ. თამარ გვასალია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო, N 2, 2015, გვ. 187.

<sup>46</sup> შენიშვნა: საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაზე აღნიშნული ვადა შეადგენდა 2 წელს.

<sup>47</sup> კანონი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მ.15(1,2).

მონაცემების შენახვის ვადის გაგრძელება ვრცელდება მხოლოდ მოპოვებულ ინფორმაციაზე.

კანონმდებლობით არ არის რეგულირებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის შენახვის ხანგრძლივობის მონიტორინგის წესი. ასევე არ არის განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი, დასაშვები მტკიცებულების გამიჯვნა დაცული ინფორმაციისაგან და როგორ უნდა მოხდეს, რა პროცედურის დაცვით ამ უკანასკნელის განადგურება.

შენახვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მონაცემების, რომლებიც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას უკავშირდება, ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც არ არის შემხებლობაში მოცემულ საქმესთან, უნდა განადგურდეს. კანონი უნდა შეიცავდეს მკაფიო რეგულაციას მონაცემების შენახვასთან, ინფორმაციის დახარისხებასთან, განადგურებასთან და შენახვა-განადგურების ვადებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა გრძელვადიანი შენახვა ნეგატიურად არის შეფასებული მათი ბოროტად გამოყენებისაგან არასაკმარისი დაცვის გამო.

### **3.4.2. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურებაზე კონტროლი**

საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების წესს. აღნიშნული ინფორმაცია ნადგურდება პროკურორისა და მოსამართლის მიერ.

თუ მოპოვებულ მასალას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის, საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ პროკურორის გადაწყვეტილებით, იგი დაუყოვნებლივ ნადგურდება. გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად

მოპოვებული ინფორმაცია ასევე დაუყოვნებლივ ნადგურდება, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, თუ ბრალდების მხარემ კანონით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს.

ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდაძვერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან გადაუდებელი აუცილებლობისას, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.<sup>48</sup>

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, ის ინახება სპეციალურ საცავში და მხარეებს მისი გაცნობა და გამოყენება ეზღუდებათ. აღნიშნული ინფორმაცია განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, საქმეს თან ერთვის. იგი ინახება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. მასალის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს ადმინისტრაციას. ვადის გასვლის შემდეგ კი აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ ნადგურდება იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის მიერ, რომელმაც ან რომლის

<sup>48</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1438. მე-5 ნაწ.

მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

ციფრული მონაცემების განადგურება, თავისთავად, გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება დარჩეს შენახული ასლები. მიუხედავად იმისა, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა დაუყოვნებლივ განადგურდა, დაუშვებლად იქნა ცნობილი, თუ სისხლის სამართლის საქმეს თან ერთვოდა კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში, სასურველია, რომ აღნიშნული მასალის განადგურების პროცესს ესწრებოდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატი, სახელმწიფო ინსპექტორი ან ზედამხედველი მოსამართლე იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ორგანო იძიებდა საქმეს, რაც აღნიშნულ პროცესს უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდიდა. ასევე უფრო მეტად იქნებოდა გარანტირებული ამ მასალის შემდეგში არარელევანტურად გამოყენების დაუშვებლობა.

## დასკვნა

ფარული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვება ემსახურება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების მიღწევას. შესაბამისად, აღნიშნული მოქმედებების როლი განსაკუთრებულია დანაშაულის გახსნის და გამოძიების საქმეში. მაგრამ ვინაიდან არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გვერდის ავლით, პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის შეგროვების რეალური საფრთხე, სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი, შესაძლოა, ყოველთვის არ მოვიდეს თანხვედრაში ადამიანის უფლებების დაცვის მიზანთან. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია „ოქროს შუალედის“ პოვნა, კერძო და სა-

ჯარო ინტერესის ჰარმონიზაცია, პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობის დაბალანსება კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე, ზედამხედველობის განხორციელებისას არსებულ გამოწვევებზე და გამოთქმულია წინადადებები/რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, კერძოდ:

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანო-ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია, რომელსაც საგამოძიებო ფუნქცია გააჩნია. ამიტომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიმართ ნდობა კვლავ არ არსებობს. უმჯობესი იქნება სააგენტო გამოვიდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობიდან, ჩამოყალიბდეს სრულიად დამოუკიდებელი ორგანოს სახით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული;

- ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არსებული მონიტორინგის სისტემის შეფასებისას ირკვევა, რომ ერთი შეხედვით, მრავალი ორგანო უწევს კონტროლს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, თუმცა ზედამხედველობის ფორმები უმეტესწილად ფორმალურია. მაგალითად, საპარლამენტო, სამთავრობო (პრემიერ-მინისტრის), საფინანსო კონტროლი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლი ხორციელდება საგამოძიებო მოქმედების მხოლოდ საწყის ეტაპზე. კონტროლის სხვა სახეები-საგან განსხვავებით, შედარებით ქმედითია სასამართლო კონტროლი, რომელიც მოიცავს საგამოძიებო მოქმედების როგორც საწყის ეტაპს (ნებართვის გაცემას), ასევე საგამოძიებო მოქმედების შედეგების კანონიერების შემოწმებას (წინასასამართლო სხდომაზე მოპოვებული მასალის/ინფორმაციის დასაშვებად/დაუშვებლად ცნობა, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობა თანმდევი შედეგებით), მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უშუალოდ საგამოძიებ-

ბო მოქმედების მიმდინარეობის პროცესზე ზედამხედველობა არ ხორციელდება. ამიტომ აუცილებელია კონტროლის უფრო სრულყოფილი მექანიზმების შემუშავება. მათ შორის სასამართლო კონტროლის გაძლიერება, სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა და მისი მეთვალყურეობის გავრცელება ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე, ისევე როგორც მონიტორინგის შემოღება საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში-სასამართლოს ნებართვით ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, თუ ასეთი ნებართვის გარეშე. ე.წ. განგრძობადი ზედამხედველობა და post factum კონტროლი იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებების თვითნებურად ჩატარების პრევენციის საპროცესო გარანტია;

– ფარული საგამოძიებო მოქმედებები უფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, ამიტომ სასურველია ხსენებული მოქმედებები მხოლოდ განზრახ ჩადენილ დანაშაულებზე ვრცელდებოდეს. შესაბამისად, დანაშაულთა წრის გაფართოება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ საგამონაკლისო სახით და განსაკუთრებული საფუძვლით;

– პრობლემურია ფარული საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივობის საკითხიც, უფრო სწორად კი, საკითხის მარეგულირებელი ნორმა (**სსსკ1433 მუხლის მე-12 ნაწ.**), ვინაიდან ბუნდოვანების გამო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც აუცილებელია გასწორდეს და ნორმა უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული;

–მართალია, წინ გადადგმული ნაბიჯია ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის საკანონმდებლო რეგულირება, მაგრამ ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უშუალოდ გამოძიების ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა გარემოებათა გამო შეიძლება აღმოჩნდეს ფარული დაკვირვების ქვეშ, უცილებელია ამ რეგულაციის კიდევ უფრო მეტი დაკონკრეტება. ის საპროცესო გარანტიები, რაც განსაზღვრულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის მიმართ, უნდა გავრცელდეს ე.წ. „მესამე პირე-



ბზეც“, რომელთა მიზეზითაც უშუალოდ არ ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები;

– კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ისეთი გარანტიები, რაც გამორიცხავს სააგენტოს მიერ ე.წ. „ალტერნატიული ბანკის“ შექმნის შესაძლებლობას. ასევე აუცილებელია ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონში კონკრეტულად იყოს განსაზღვრული სუბიექტების წრე, რომელთა მონაცემების კოპირებისა და შენახვის უფლებამოსილება გააჩნია სააგენტოს;

– კანონმდებლობით არ არის რეგულირებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის შენახვის ხანგრძლივობის მონიტორინგის წესი. ასევე არ არის განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების გამიჯვნა დაცული ინფორმაციისაგან და როგორ უნდა მოხდეს, რა პროცედურის დაცვით ამ უკანასკნელის განადგურება;

– კანონი უნდა შეიცავდეს მკაფიო რეგულაციას მონაცემების შენახვასთან, ინფორმაციის დახარისხებასთან, განადგურებასთან და შენახვა-განადგურების ვადებთან დაკავშირებით;

– ციფრული მონაცემების განადგურება, თავისთავად, გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება დარჩეს შენახული ასლები. მაინც საჭიროა დაიხვეწოს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების რეგულაციები. სასურველია, რომ აღნიშნული მასალის განადგურების პროცესს ესწრებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენელი და ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატი, რაც აღნიშნულ პროცესს უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდიდა. ასევე უფრო მეტად იქნებოდა გარანტირებული ამ მასალის შემდეგში არარელევანტურად გამოყენების დაუშვებლობა.

დასახელებული წინადადებების და ნაშრომში გამოთქმული სხვა მოსაზრებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას და არსებული რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

## გია მეფარიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

(კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის  
ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხთან დაკავშირებით

### ექვნიება უდროოდ წასული მეგობრისა და კოლეგის, ცნობილი ქართველი კრიმინალისტის პროფესორ რევაზ გოგშელიძის დაბადებიდან 65 წლის იუბილეს

1. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2010 წლის 10 ოქტომბრიდან) ამოქმედებამ სამართალგამოყენებით პრაქტიკაში წარმოშვა მთელი რიგი გაუგებრობები, რომლებიც გზადაგზა სწორდება და იხვეწება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სწორედ პრაქტიკაა ის პირუთვნელი წყარო, რომელიც მთლი სიცხადით წარმოაჩენს ახალი ნორმატიული აქტის როგორც დადებით, ასევე კრიტიკულ მხარეებს. სწორედ იურიდიული მეცნიერების ამოცანაა, კანონმდებლობაში არსებული უზუსტობების და დასახვეწი ადგილების აღმოჩენა და მათი თეორიული განხილვა-გაანალიზება.

ქართველ მკითხველს გვსურს შევთავაზოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც ეხება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხს. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხები არ ეხება მხოლოდ ნორმატიული აქტის ტექნიკურ დახვეწა-სრულყოფას, ის უფრო ღრმავა და ამიტომაც მოითხოვს სათანადო თეორიულ აბსტრაქტიზებას.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლით (საკასაციო წარმოების ზოგადი დებულებანი), საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამო-

ტანილი განაჩენი (ხაზგასმა ჩვენია გ.მ.), რომელიც კასატორის აზრით უკანონოა.

კანონმდებელმა საკმაოდ ამომწურავად განსაზღვრა, რომ საკასაციო გასაჩივრების საგანი მხოლოდ განაჩენია და არა სხვა რამ. თუ რამდენად მართებულია კანონმდებლის ეს პოზიცია, ამაზე ცოტა ქვემოთ.

დავინყოთ იმით, რომ სულ ახლახანს, საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 11 იანვარს მიიღო კანონი „ამნისტიის შესახებ“, რომლის მე-15 მუხლის მიხედვით, ამნისტიის აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინება შეიძლება 10 დღის ვადაში ერთჯერადად გასაჩივრდეს მხარის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

გარდა ამისა, საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ 34-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულია მხარის უფლება საკასაციო წესით გაასაჩივროს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადაციის შესახებ(!).

რა გამოვიდა? საპროცესო კანონი ადგენს ერთს, ხოლო თანაბარი იურიდიული ძალის კანონები აბსოლუტურად განსხვავებულს? დიახ, ნამდვილად ასეა და ეს წინააღმდეგობა დაუყოვნებლივ უნდა გასწორდეს.

2. საქართველოს ახალმა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საკმაოდ ვრცელი ნოვაციები შემოიტანა. ეს ძალზე კარგია, თუმცა, როგორც ამბობენ - რაც ბრწყინავს, განაყველაფერი ოქროა. ერთ-ერთზე სწორედ ახლა გვინდა გესაუბროთ. კერძოდ, საუბარი ტერმინ „ადვოკატის“ არამართებულად შემოტანასა და დანერგვაზე.

ვინ არის ადვოკატი? საქართველოს მოქმედი კანონის „ადვოკატთა შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შსაბამისად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და განწევრიანებუ-

ლია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადვოკატურა არის არაპოლიტიკური, არასამეწარმეო დანიშნულების საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც იურისტთა ნებაყოფლობით გაერთიანებას წარმოადგენს, ხოლო საადვოკატო საქმიანობის ქვეშ კანონი განსაზღვრავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის (კლიენტისათვის), რომელიც მას დახმარებისთვის მიმართავს. ამასთან, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და მისი სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარმოდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

როგორც ვხედავთ, ადვოკატისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებათა ჩამონათვალი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: დაცვა და წარმომადგენლობა. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატი სწორედ ამ ფუნქციებით შემოდის. დაცვა - კლიენტი/ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალდების უარყოფა თუ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა მოძიება და წარმომადგენლობა (დაზარალებულის, მოწმის), რომლის მიზანია კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების, მისი კანონიერი ინტერესების წარმოდგენა.<sup>1</sup>

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ადვოკატის მოხსენიებას დამცველად ან წარმომადგენლად ითვალისწინებდა საქართველოს 1960 წლისა და 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, რაც შემთხვევითი სულაც არ იყო. პროცესის მონაწილის და მისი უფლება-

<sup>1</sup> იხ.: Строгович М.С. Право обвиняемого на защиту и презумпция невиновности М., 1984. С.51; Стецовский Ю.Н., Строгович М.С. О защите и защитнике//в книге: Опередивший время (К столетию со дня рождения М.С. Строговича) М. 1994. С. 152 - 154

მოვალეობების განსაზღვრა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს მისი საპროცესო მდგომარეობიდან და იმ უფლება-მოვალეობათა სპექტრით, რაც მას გააჩნია. ეს აუცილებელია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე და, რა თქმა უნდა, შედარებითი სამართალმცოდნეობის მონაცემების გათვალისწინებით.<sup>2</sup>

3. დაბოლოს გვინდა შევჩერდეთ ერთ აქტუალურ და მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წის 15 მაისიდან და იარსება 10 წელზე ცოტა მეტი და რომელმაც მთელი რიგი ნოვაციებისა შემოიტანა ქართულ სინამდვილეში. მაგრამ, ჩვენი აზრით, რამდენიმე ძალზე სერიოზულ მიღწევასთან ერთად, გამორჩეული ადგილი ეკავა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების თავს, რომელშიც გამოკვეთილი ადგილი ეკავა აღკვეთის ღონისძიებათა სისტემას და აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების საპროცესო რეგლამენტაციას.

ადრე მოქმედი საკანონმდებლო აქტით აღკვეთის ღონისძიებები იყო: 1. ბრალდებულის დაპატიმრება; 2. შინაპატიმრობა; 3. პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა; 4. გირაო; 5. ხელწერილი გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ; 6. პირადი თავდებობა; 7. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა; 8. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით აღკვეთის ღონისძიებათა ჩამონათვალი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდნენ ბრალდებულის შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა. რატომ მოიქცა ასე კანონმდებელი? შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა საზღვარგარეთის ქვეყნებში საკმაოდ კარგად აპრობირებული აღკვეთის ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება

<sup>2</sup> იხ.: მაგ., გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკმაოდ მკაფიოდ გამიჯნავს ადვოკატის და საადვოკატო მოღვაწეობის ცნებას (პარაგ. 68 „ბ“) დამცველის ცნებისგან (პარაგ. 137 - 149)

ბრალდებულის მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა თუ სხვა პიროვნული მონაცემები იძლევა მისი დაპატიმრების გარეშე არსებობის შესაძლებლობას. ერთიც და მეორეც საკმაოდ წარმატებით და მაღალი ეფექტურობით გამოიყენებოდა მრავალი წლის განმავლობაში და დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომლის განზოგადება საშუალებას იძლეოდა გაკეთებულიყო ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: ბრალდებულის შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემამ კარგად იმუშავა პრაქტიკაში და მათი გამოყენებით უფრო ლიბერალური გახდა სისხლისსამართლებრივი რეპრესია.<sup>3</sup>

4. რამდენიმე მოსაზრება დაზარალებულთან დაკავშირებით. ამ საპროცესო ფიგურაზე საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ, რადგან პრობლემა ეხება ძალზედ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხს, რომლის გარშემო საკმაოდ ბევრი რამაა დაწერილი, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის საპროცესო სტატუსი, დაზარალებულის უფლება-მოვალეობები გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე საქართველოს 1960 წლისა და 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. სამწუხაროა, მაგრამ ეს რეალობაა. რატომღაც ხდება ისე, რომ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში უფლება-მოვალეობათა გაზრდა-დახვეწის ტენდენცია უფრო მიმართულია ბრალდებულის გარშემო, რაც გასაგებია და მხარდასაჭერი, მაგრამ რა დააშავა დაზარალებულმა? ნუთუ დაზარალებული არ არის ღირსი, გააჩნდეს ბრალდებულის ტოლფასი უფლებები? ბოლოს და ბოლოს, ეს გათანაბრება, ხომ საფუძველია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპზე აგებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა, რომელიც დეკლარირებულია ჩვენს, და, არა მარტო ჩვენს კანონმდებლობაში. ძალზე გაუგებარია და აშკარად არასწორია დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრება მოწმესთან. მოწმე არ არის მხარე, იგი არ არის დაინტერესებული

<sup>3</sup> იხ.: ვ. ბენიძე. პატიმრობა და შინაპატიმრობა. თბ., 2003. გვ. 14 -15

საქმის შედეგებით მაშინ, როდესაც დაზარალებული სულ სხვა მოვლენაა და მისი უფლება-მოვალეობანი უნდა გათანასწორდეს არა მონმესთან, არამედ ბრალდებულთან.

აღნიშნული საკანონმდებლო კონსტრუქცია შემთხვევითი სრულებით არ არის. დაზარალებულის ასეთმა დაკნინებულმა წარმოჩენამ უკვე ჩამოაყალიბა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა, რომლის გაცნობა და სათანადო ანალიზი ბევრ კითხვას აჩენს.

ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი) დაზარალებულად შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. საქართველოს 1960 წლის და საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები დაზარალებულად მიიჩნევდნენ მხოლოდ ფიზიკურ პირს, ანუ ადამიანს. ვინ იყო დაზარალებული? დაზარალებული იყო ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.

რაშია საქმე! რატომ ჩათვალა ქართველმა კანონმდებელმა დაზარალებულად იურიდიული პირი? რა იყო ამ მეტად უცნაური საკანონმდებლო ნოვაციის მიზეზი?

მიზეზი სამწუხაროდ წმინდა პოლიტიკური გახლდათ. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალა ემზადებოდა ქონების ახალი გადანაწილებისთვის. გადანაწილება, რომელიც წმინდა ექსპროპორციული ხასიათის უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში მიმართული უნდა ყოფილიყო 1990-2003 წლებში საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ქართული ბიზნესის იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც არ თანამშრომლობდნენ და არ თანაუგრძნობდნენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მზადდებოდა ასეთი „გალაშქრების“ პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები, რომელიც ცოტა მოგვიანებით მოინათლება „მკაცრ სისხლისსამარ-

თლებრივ პოლიტიკად“, „დამნაშავეთა მიმართ ნულოვან ტოლერანტობად“ და ა.შ.

სწორედ მაშინ, მმართველ პოლიტიკურ ძალასთან თანშეზრდილ არასამთავრობო ორგანიზაციებში უცხოელი სპეციალისტების აქტიური დახმარებით, რომლებიც უზვად ფინანსდებოდნენ უცხოეთიდან, მომზადდა საკანონმდებლო განზრახულობათა მთელი პაკეტი, სადაც ერთ-ერთი იყო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში („საპროცესო შეთანხმება“, „განსასჯელის დაუსწრებლად გასამართლება“ და ა.შ.). სწორედ ამ დროს შედის იმ პერიოდში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლში სათანადო ცვლილება და დამატება, რომლის მიხედვითაც დაზარალებული ხდება არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ სახელმწიფო და იურიდიული პირი (ხაზგასმა ჩვენია - გ.მ.). სულ ცოტა ხანში იქმნება შესაბამისი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაგვირგვინდა ე.წ. „ტელედაჭერებით“, წინა ხელისუფლებაში მოღვაწე ჩინოვნიკების დანიოკებით. სისხლის სამართლის საპროცესო დოკუმენტებში მკვიდრდება ამჟამად პოლიტიზირებული შეფასებები: „გაიქურდა სახელმწიფო, რის გამოც ვერ დარიგდა ხელფასი და პენსია“ (შიკ!) და ა.შ. დიახ, ასეთი იყო დაზარალებულთან დაკავშირებით სევდიანი ისტორია, რომელსაც მოყვა უკანონოდ ქონების ჩამორთმევები, უკანონო დაჭერა-დაპატიმრებები გამაოგნებელი რაოდენობით ადამიანებისა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. ამ გორდიის კვანძის გახსნა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით მოსულ ხელისუფლებას ერგო, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის ეს შეკვეთა სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო.

ახლა უშუალოდ დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე. საიდან გადმოიწერეს იმდროინდელმა ქართველმა კანონმდებლებმა საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომ დაზარალებული, ფიზიკური პირის გარდა იურიდიული პირიც იყოს და რატომ მოხდა დაზარალებულის უფლება-მოვალეობათა გათანასწორება მონმის საპროცესო ფიგურასთან.



დაზარალებულის გათანასწორება მოწმესთან აშკარად მიუტევებელი შეცდომაა და, აი, რატომ: მოწმედ სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. მოწმე არაა დაინტერესებული საქმის შედეგებით. სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა დაზარალებულთან. დაზარალებული ბრალდების მხარეა (როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის ოჯახებში), იგი დაინტერესებულია საქმის შედეგებით და კანონითაა უფლებამოსილი, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გადაწყვეტილებანი. მასვე დაკისრებული აქვს მტკიცების მოვალეობა (მტკიცების ტვირთი) და ა.შ. ასეთი სრულიად განსხვავებული საპროცესო ფიგურების გათანასწორება უფლება-მოვალეობებში, მეტად არაადამაჯერებელი და აშკარად მცდარია.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალდა სახელმწიფო ან სხვა იურიდიული პირი? ჩვეულებრივად, იგი პროცესში ჩართული უნდა იყოს, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო მოსარჩელის და სამოქალაქო მოპასუხის ინსტიტუტებს საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.

5. საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კიდევ ერთ მეტად სადაო და აშკარად გაუმართლებელ ნოვაციად მიგვაჩნია მისი 50-ე მუხლი, რომელიც ეხება პირთა ჩამონათვალს, რომლებიც არ არიან ვალდებული, შეასრულონ მოწმის მოვალეობა. მივაქციოთ ყურადღება საკანონმდებლო კონსტრუქციას - „... არ არის ვალდებული, იყოს მოწმე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში იგულისხმება, რომ თუ არ არის ვალდებული, ე.ი. უფლებამოსილია? (საზგასმა ჩვენია - გ.მ.). დიახ, სწორედაც! ვინ შეიძლება იყვნენ ესოდენ ფართო დისკრეციით აღჭურვილი პირები? მაგ., 50-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოწმის დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორ-

მაცისიის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

„ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით;

გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს;

ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;

ზ) მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;

თ) ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

კ) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება;

ლ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს“.

ვერაფერს იტყვი, პირდაპირ გამაოგნებელი რედაქციაა. თან ყველაზე გამაოგნებელი ისაა, რომ არ ჩაუკვირდნენ, თუ რას

გამოიწვევდა კანონის აღნიშნული რედაქცია პრაქტიკაში გამოყენებისას. სავსებით ლოგიკურად დაისმის კითხვა: - საიდან იქნა გადმოღებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ესოდენ გაუგონარი ნოვაცია?

საქართველოს 1960 წლის და საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები არ ითვალისწინებდნენ არავითარ დისკრეციას. კანონის ჩამონათვალი პირთა წრე ამომწურავი გახლდათ და აწესებდა მკაცრ, იმპერატიულ მოთხოვნას - არას! კიდევაც რომ მოენდომებინა ადვოკატს, სასულიერო პირს და ა.შ., იგი უბრალოდ ვერ დაიკითხებოდა მოწმედ, ხოლო კანონის დარღვევით მიღებული ჩვენება არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მტკიცებულებად. ასეთი იყო კანონის მოთხოვნა - მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნა.

ნუთუ დაუშვებს ადვოკატის მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას რომელიმე ადვოკატურა? ან იქნებ რომელიმე რელიგიური კონფესია შეხედავს გაგებით სულიერ მოძღვარს, თუ ეს უკანასკნელი თავის მრევლის შესახებ ნებაყოფლობით, დაუშვებს დაკითხვის შესაძლებლობას? წარმოუდგენელია, რომ ასეთი „გამართული“ კანონი დღემდე მოქმედებს და ამის შესახებ არც ქართულმა ეკლესიამ, არც ადამიანის უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხმა არ ამოიღეს.

6. 2018 წლის 21 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განახორციელა საკმაოდ ვრცელი ცვლილებები და დამატებები.<sup>4</sup> რა თქმა უნდა, ყოველ ცვლილებასა თუ დამატებას აქვს თავისი მიზანი და მიზეზი, თუ რატომ ხორციელდება იგი. ამ შემთხვევაში კანონპროექტის ავტორების განზრახვა გასაგები იყო, რადგან მათ უეჭველად სურდათ, კიდევ უფრო დაეხვეწათ და სრულყოფით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, განსაკუთრებით ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ნაწილში. თუ რა გამოვიდა ამ საქმიდან, ამაზე ცოტა ქვემოთ.

მაშ ასე, დავინწყით.

<sup>4</sup> იხ.: საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი №3276 - ვებგვერდი, 09.08.18

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>4</sup> და 143<sup>6</sup> მუხლებით შემოდის და მკვიდრდება ადრე საქართველოს კანონმდებლობაში არარსებული ინსტიტუტი - ზედამხედველი მოსამართლე (ხაზგასმა ჩვენია - გ.მ.). ვინ არის ზედამხედველი მოსამართლე? ნუ ეძებთ მას ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, სადაც ის თითქოს უნდა ყოფილიყო. აქვე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>4</sup> მუხლის მე-5 ნაწილში განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას აკონტროლებს ზედამხედველი მოსამართლე კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით (შიკ!).

მაინც ვინააო „ზედამხედველი მოსამართლე“ და რასზედ ზედამხედველობსო? ვერავითარ ცნობას თვენ ველარ მოიძევთ, თუ ვინაა იგი და რაა ზედამხედველობის საგანი, ნუთუ კანონის ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულება კონტროლის ელექტრონული სისტემის გამოყენებისას? კი, მაგრამ, პროკურორი? იგი რას აკეთებს, სად გადის ზღვარი ამ ორ ზედამხედველს შორის? სამწუხაროდ, კანონი ამაზე არაფერს ამბობს.

და, კიდევ მართლმსაჯულება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კანონით დადგენილი წესით განხილვას წარმოადგენს. სისხლის სამართალწარმოებაში სასამართლოს უფლებამოსილება მართლმსაჯულებასა და სასამართლო კონტროლთანაა დაკავშირებული (ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემზღუდავი საგამოძიებო, საპროცესო თუ ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემა). მაგრამ, ამავე დროს, სასამართლო კონტროლი არ არის მართლმსაჯულება, რადგან მართლმსაჯულება არის დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება, რომელიც თანახმორი მხარეების მონაწილეობით, შეჯიბრებითი ხასიათის პროცედურებით წარმოებს. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია

მოსაზრება, რომ სასამართლო კონტროლი, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს მართლმსაჯულებას, მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან და ლეზულობს მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში.<sup>5</sup> (ხაზგასმა ჩვენია - გ.მ.). მივაქციოთ ყურადღება, სად შეიძლება განთავსდეს „ზედამხედველი მოსამართლე“? ანდა საერთოდ, რა უფლებამოსილებას ახორციელებს იგი? ამ კითხვაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, იმდენად დაუფიქრებელ და გაუაზრებელ ნოვაციასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, მოხდა სრული აღრევა სასამართლო და საპროკურორო კომპეტენციებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ორგანულ კანონს „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებს, სამართლის მეცნიერებას და უბრალოდ, საღ აზრს.

7. საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისს ცვლილებები და დამატებები შიტანა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კოდექსს დაემატა 581-ე მუხლი, რომლითაც დაზარალებულის და მოწმის შემდეგ გამოჩნდა პროცესის სრულიად ახალი მონაწილე, რომელსაც არ ითვალისწინებდა არც კონტინენტური ევროპის, არც საერთო სამართლის ოჯახში შემავალი თითქმის არც ერთი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ახალ სუბიექტს სახელიც შესაბამისი ჰქონდა - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.<sup>6</sup>

რამდენიმე სიტყვა ტერმინზე - „კოორდინატორი“. იგი ლათინური წარმოშობისაა და მისი სემანტიკური გაგება დაკავშირებულია ხელსაწყოსთან, რომელიც ავტომატურად უჩვენებს მფრინავს თვითმფრინავის ადგილმდებარეობას (კოორდინატებს)<sup>7</sup> (შიკ). აქ უკვე დავიბენი, ეტყობა, რაღაც კარგად ვერ გავიგე, თუმცა, ჯერ კიდევ საღ ხარ... ტერმინი „კოორდინაცია“ სემანტიკური გაგებით ნიშნავს რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმებას,

<sup>5</sup> იხ.: Судебная власть /Под ред. И.Л. Петрухина/ М., 2003. С. 160

<sup>6</sup> იხ.: საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი 2270 - ვებგვერდი, 21.05.2018

<sup>7</sup> იხ.: უცხო სიტყვათა ლექსიკონი /შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა/თბ. 1989. გვ. 255

ურთიერთშეფარდებას.<sup>8</sup> ამას კიდევ არა უშავს, თუმცა ცოტაც და-  
ვიცადოთ...

ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით  
(მუხლი 581-ე), მონმისა და დაზარალებულის კოორდინატო-  
რის საქმეში ჩარევის მიზანია მონმისა და დაზარალებულისთვის  
სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, და-  
ნაშაულის შედეგად გამონვეული სტრესის შემცირება, ხელახალი  
ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება  
და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინ-  
ფორმირებულობის უზრუნველყოფა (ხაზგასმა ჩვენია - გ.მ.).

პატივცემულო მკითხველო, თქვენ გაიგეთ რაიმე? უნდა გამო-  
გიტყდეთ, პირადად მე, ვერაფერი! არა, რაღაც-რაღაც კი ვხვდები,  
მაგრამ ერთი კითხვა მეზადება: ვის მოუვიდა თავში ასეთი გიგან-  
ტური ამოცანების დაკისრება საპროცესო ფიგურაზე, რომლის  
უფლებები და მოვალეობები ძალზე მოკრძალებულად გამოიყურე-  
ბიან?

ასე მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდე-  
ქსის 582-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის კოორდინატორი:

„ა) პროკურორთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ მონმესა  
და დაზარალებულს აწვდის საჭირო ინფორმაციას გამოძიებისა და  
სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ;

ბ) მონმესა და დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით  
განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უხსნის  
გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ პროცე-  
დურებს;

გ) გამოძიების მიმდინარეობისას ესწრება მონმისა და დაზარა-  
ლებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასა  
და საპროცესო მოქმედებას მონმის/დაზარალებულის ემოციური  
მხარდაჭერის მიზნით;

დ) საქმის სასამართლო განხილვისას ესწრება მონმისა და  
დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვისა და მათი მონაწილე-  
ობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს მონმის/დაზარა-

<sup>8</sup> იქვე, გვ. 255

ლებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;

ე) მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

2. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს უფლება არ აქვს, საგამოძიებო მოქმედებისა და საპროცესო მოქმედების მიმდინარეობისას მოწმესა და დაზარალებულს დაუსვას კითხვები ან სხვაგვარად ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში.

3. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა არ უნდა გაახმაუროს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები.“.

როგორც ვხედავთ, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამართლებრივი შესაძლებლობანი აშკარად მოდის შესაბამისობაში იმ გრანდიოზულ ამოცანებთან, რომლებიც კანონით მასზედ არის დაკისრებული. იყო კი საჭირო სპეციალურად ამ საპროცესო ფიგურის შექმნა, როდესაც ამას მშვენივრად გაართმევდა თავს ადვოკატი, სპეციალისტი და ა.შ. აქვე გვინდა სინანულით აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა აბსოლუტურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიივიწყა და აღარ გაითვალისწინა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალისტის (არა ექსპერტის!) საპროცესო ფიგურა (საქართველოს 1999 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 98 – 99-ე მუხლები).

ვინ არიან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები: - სულ საქართველოში 2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ქ. თბილისის და საოლქო პროკურატურებში ირიცხება 21 სამტატო ერთეული, რომლებიც პროკურატურის მრჩევლის (?) სტატუსით ასრულებენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლებამოსილებებს. ესენი არიან: პროფესიით ფსიქოლოგები, იურისტები, სოციოლოგები, პედაგოგები. 2020 წლის განმავლობაში კოორდინატორებმა

მონაწილეობა მიიღეს 236 სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში. ძირითადად, კოორდინატორები მონაწილეობენ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) და 126<sup>1</sup>-ე (ოჯახში ძალადობა!) მუხლებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეებზე.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები თავის საქმიანობას უკავშირებენ მოწმისა და დაზარალებულის უფლებებისა და მოვალეობების განმარტებების, წინასწარი გამოძიების სტადიაზე გამოძიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსის და მნიშვნელობის განმარტების, საქმეში მონაწილე პროკურორთან შეხვედრის მომზადებისა და ორგანიზების საკითხებს და ა.შ.<sup>9</sup>

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა უფლება-მოვალეობათა გაცნობა კიდევ ერთხელ გვაიძულებს გავცეთ პასუხი კითხვას: რას აკეთებს მაშინ ადვოკატი? მან რა უნდა გააკეთოს? ხომ არ გვაქვს საქმე პროცესის მონაწილეების ფუნქციათა დუბლირებასთან? მრჩება შთაბეჭდილება, რომ - დიახ! ეს გზა, რომელიც შემოგვთავაზებს ქართველმა კანონმდებლებმა, ადამიანის უფლებათა დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და, რაც მთავარია, უცხოელმა მეგობრებმა, ნამდვილად ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, საიდან გადმოიღეს ქართველმა კანონმდებლებმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საპროცესო ფიგურა და როგორია შედარებითი სამართალმცოდნეობის გამოცდილება ამ მხრივ?

უნდა მოგახსენოთ, რომ საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების (განსაკუთრებით აშშ) კანონმდებლობაში ამ ბოლო პერიოდში ნამდვილი მოზღვავებაა სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდების ჩართვისა. განსაკუთრებით ეს ეხება ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული ცოდნის გამოყენებას სამართალწარმოებაში, განსაკუთრებულად

<sup>9</sup> იხ.: საქართველოს პროკურატურის 2020 წლის ანგარიში. ვებგვერდი //<https://pog.gov.ge> <news>



არასრულწლოვანთა და ოჯახური ძალადობის საქმეებზე. მიზანი თავისთავად კეთილშობილურია და მხარდაჭერას ნამდვილად იმსახურებს, ოღონდაც ერთი პირობით: კარგად გათვალისწინებული და არ მივიღოთ საკანონმდებლო რუდიმენტი, რომელიც უცხო იქნება ჩვენი სამართლისთვის. ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული ეს ნოვაცია ძალზე წააგავს ამერიკულ ანალოგს, მაგრამ ეს სამწუხაროდ მისი უდღეური გადმომღერებაა. ნუთუ მეტი საქმე არა გვაქვს და სხვა რაიმე არ შეგვიძლია, რომ მოვიფიქროთ?

8. სპეციალურად გვინდა შევჩერდეთ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულ კიდევ ერთ საკანონმდებლო ნოვაციაზე, რომელთან დაკავშირებით არსებობს დიამეტრიულად განსხვავებული მოსაზრებები, საუბარია ე.წ. სასამართლოს მეგობარზე (*Amicus Curiae*), რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გადატანილი იქნა სამართალწარმოების სხვა სახეებშიც.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი არ არის დამახასიათებელი რომანულ-გერმანული ტიპის სისხლის სამართლის პროცესისთვის. მაგრამ მისი საერთო სამართლის ოჯახიდან რეცეფციიდან განვლო 10 წელზე მეტმა და უკვე შეიძლება რაღაც გარკვეული დასკვნების გაკეთება. პირველი, რაც უნდა ითქვას ისაა, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საკმაოდ კარგად და ეფექტურად გამოიყენება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში და არიან ქვეყნები, სადაც სასამართლოს მეგობრის არსებობა მართლმსაჯულების (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება) განხორციელების დროსაც არის შესაძლებელი.<sup>10</sup>

ვინ არის სასამართლოს მეგობარი და როგორია მისი უფლება-მოსილება სისხლის სამართლის პროცესში? საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად,

<sup>10</sup> ჩხეიძე ი. სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში // ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. 2011. №13 (30). გვ. 134; სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (*Amicus Curiae*) როლი სამართალწარმოების პროცესში. თბილისი. 2016. 5-54.

სასამართლოს მეგობარია დაინტერესებული პირი, რომელიც არაა მხარე და საქმის არსებითად განხილვამდე, უფლებამოსილი., სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

წერილობითი წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს.

სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები. გარდა ამისა, კანონითვე, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით (ხაზგასმა ჩვენია - გ.მ.) საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

ამრიგად, სახეზეა უკვე უარყოფილი და დავიწყებას მიცემული სპეციალისტის საპროცესო ფიგურის ერთგვარი სიმპიოზი, რომლის არსებობის მართებულობა შეჯიბრობით პროცესში სერიოზულ ეჭვს ბადებს. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პირობებში მტკიცებულებათა წარმოდგენა მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. სასამართლო არ ასრულებს დაცვის და/ან ბრალდების ფუნქციას, იგი მხოლოდ უქმნის მხარეებს საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისთვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისთვის.

მეტად საეჭვოდ გვეჩვენება ჩვენი მენტალობის პირობებში მოინახოს კაცი, რომელიც არ არის მხარე, არავითარი მოვალეობით არაა დაკავშირებული საქმის განხილვასთან, მაინც გამოცხადდეს სასამართლოში და ინტენსიურად ჩაერთოს კონკრეტული სამართლებრივი საკითხის გარკვევაში. გარწმუნებთ, რომ ასე ვერ მოხდება და ტყუილად თავს არავინ შეინუხებს. ეს რეალობაა და სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ.

რაც შეეხება არგუმენტს, რომლის მიხედვითაც სასამართლოს მეგობრის მიერ გაცემული წერილობითი მოსაზრება არა მხარისთ-

ვის, არამედ მოსამართლისთვისაა განკუთვნილი, რათა მან შეძლოს სპეციალურ არასამართლებრივ პრობლემაში უკეთ გარკვევა და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. ეს არგუმენტი უსაფუძვლოა, რადგან არ დავივიწყოთ, რომ სამართალწარმოებაში არსებობენ მხარეები, და სწორედ მათ ეკისრებათ მტკიცების ვალდებულება (ტვირთი). სასამართლომ კი შეფასება სწორედ განაჩენში უნდა მისცეს, თუ რამდენად შეძლო ეს მხარემ. სწორედ ესაა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპით მოქმედი სასამართლოს მისია. სასამართლოს მხრიდან ყოველგვარი ინიციატივა და ახალი მტკიცებულებების მოძიების სურვილი, შეიძლება შეფასდეს სამართლიანი სასამართლოს კეთილშობილური იდეის ხელყოფად. ეს კი ძალზე საშიშია და დაუშვებელი<sup>11</sup>.

---

<sup>11</sup> Стандарты справедливого правосудия /Под. ред. Т. Г. Моршаковой. М. 2012. С. 348

## ჯემალ გაბელია

სამართლის დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეკანის მოადგილე

აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის გამოყენების  
პრაქტიკა (თანამედროვე ტანდენციების შედარებითი ანალიზის  
საფუძველზე)

### შესავალი

სტატიაში განხილულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებები აღკვეთის ღონისძიების არსისა და მიზნების შესახებ. ამასთან, გამოკვეთილია საკანონმდებლო ხარვეზები და გადმოცემულია საკუთარი მოსაზრება ზოგიერთი ნორმის სრულყოფასთან დაკავშირებით. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

განსახილველი თემა ნაკლებადაა დამუშავებული, ვინაიდან ძირითადი აქცენტი დანაშაულისა და სასჯელის პრობლემატიკაზეა გადატანილი. თუმცა, თუ ვიკვლევთ დანაშაულისა და სასჯელის პრობლემატიკას, უნდა გამოვიკვლიოთ აღკვეთის ღონისძიების ბუნებაც. მიმაჩნია, რომ დანაშაულისა და სასჯელის შესწავლისას არანაკლებ მნიშვნელოვანია აღკვეთის ღონისძიების ინსტიტუტის ანალიზი. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების შესწავლა ასევე აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც.

ბოლო დროს დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა. აღნიშნული ნაკარნახევია აღკვეთის ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ზომა, ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს თავის მიზანს. ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიებებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის მიმართ უმეტეს შემთხვევაში აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენება, მოცემულ ნაშრომში, ძირითადად განვიხილავთ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. უფრო კონკრეტულად, ნაშრომში განხილულია აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის პატიმრობის გამოყენების მიზნები - მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (სსსკ. მუხ. 198).

სამწუხაროდ, მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას არ უთითებს, თუ კერძოდ რა სახის დანაშაულის ჩადენისთვის შეიძლება მისი გამოყენება, განსხვავებით 1998 წლის კოდექსისგან, რომლის 159-ე მუხლის მიხედვით აღკვეთის ღონისძიების ამ სახის გამოყენება შესაძლებელი იყო, თუ პირს ბრალი ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით. აღნიშნული მუხლის გაუქმება არ უნდა ჩაივალოს სწორად. კარგი იქნება, ასევე წინასწარი პატიმრობის ალტერნატივად გამოვიყენებთ ელექტრონულ სამაჯურს, როგორც ეს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებშია მიღებული.

ნაშრომში ვრცელი ადგილი ეთმობა ამერიკისა და გერმანიის კანონმდებლობის ანალიზს პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ შევაფასოთ ამ სფეროში ჩვენი კანონმდებლობის მიერ არჩეული მოდელის ავკარგიანობა და გავიაზროთ მისი შემდგომი სრულყოფის გზები.

## **1. აღკვეთის ღონისძიების ადგილი სისხლის სამართლის პროცესში**

სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია აღკვეთის ღონისძიებები, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის საპ-

როცესო სამართალში.<sup>1</sup> მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ. აღკვეთის ღონისძიებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველმყოფელი ხასიათი.<sup>2</sup>

საერთოდ, ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია ის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება (სსსკ 198-ე მ. პირვ. ნაწ.).

აღნიშვნის ღირსია სსსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის მიხედვითაც: ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

ეს დანაწესი იმაზე მიუთითებს, რომ როცა სასამართლო იყენებს შედარებით მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, მან უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ვერ მიაღწევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს, სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება. ეს დანაწესი შინაარსობრივ თანხვედრაშია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) პირველი ნაწილის დანაწესთან, რომლის მიხედვით: სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ როგორც სასჯელის, ისე აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, მოქმედი კანონმდებლობით, ყოველგვარი ეჭვი წყდება პირის სასარგებლოდ.

ამასთან, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ისე მატერიალური კანონმდებლობა აგებულია ჰუმანიზმის პრინციპზე, რისი ერთ-ერთი დადასტურებაა ის, რომ როგორც აღკვეთის

<sup>1</sup> გახოკიძე ჯ.; გაბისონია ი.; მამნიაშვილი მ. და სხვები; ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ. 2012; გვ. 215.

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ. 2015, გვ. 558.

ლონისძიების სახეები (სსსკ 198-ე მ. პირვ. ნაწ.), ისე სასჯელის სახეები (სსკ მე-40 მუხ.) დალაგებულია აღმავალი იერარქიით - ყველაზე მსუბუქი ღონისძიებიდან უფრო მკაცრი ღონისძიებისკენ.

მივუბრუნდეთ აღკვეთის ღონისძიების საკითხს. კერძოდ, მისი გამოყენების საფუძველს. ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლის არსებობა. მასთან ერთად საჭიროა ფორმალური ანუ (საპროცესო) საფუძველიც: დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს (სსსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწ.)

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო) საფუძვლების შემომკების პროცესში სასამართლომ საქმის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, უნდა შეარჩიოს ყველაზე რელევანტური აღკვეთის ღონისძიება. კერძოდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს და გადანიშნოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროპორციულობა და მიზანშეწონილობა. ბრალდებულის პიროვნების, მისი ასაკის, საქმიანობის, ჯანმრთელობის, ოჯახური, გონებრივი მდგომარეობის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით (სსსკ 198-ე მ. მე-5 ნაწ.), აღკვეთის ღონისძიებებიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამოძიების ორგანოსა და სასამართლოში.

რაც შეეხება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, როგორც ეს სსსკ 38-ე მუხლის მე-12 ნაწილშია ნათქვამი, მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ბრალდებულის მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაიდან აღკვეთის ღონისძიება არ არის სასჯელი, პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, მართო იმაზე მითითება, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა მძიმე ან გან-

საკუთრებით მძიმე დანაშაული, - არ არის საკმარისი საფუძველი პატიმრობის გამოყენებისათვის.<sup>3</sup>

ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა შეიძლება, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნები არსებობს, რომლებიც გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს.<sup>4</sup> კერძოდ, როდესაც ხდება პირის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, დაცული უნდა იყოს მატერიალური, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმები და თავისუფლების უფლებაში ჩარევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. ანუ პირი თვითნებობისგან დაცული უნდა იყოს.<sup>5</sup> ბრალდებულის თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ რელევანტურ და საკმარის საფუძველებს პირის პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოების ვალია, გადაამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ყველა გარემოება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესისგან.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ თითოეული მიზნის ინ აბსტრაქტო გამოყენება აღკვეთის ღონისძიების დასასაბუთებლად დაუშვებელია და იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველებს. აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს ზოგადი.<sup>7</sup>

<sup>3</sup> ფაფიაშვილი ლ.; „დაკავებისა და დაპატიმრების სამართლებრივი საფუძველები სისხლის სამართლის პროცესში“, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბ. 2012, გვ. 164.

<sup>4</sup> Labita v. Italy, no. 26772/95, 06/04/2000, §152.

<sup>5</sup> Wereda v. Poland, punqti 38, 11/11/2013. ნო. 54727.

<sup>6</sup> Yagci and Sargin v. Turke, 08/06/1995.

<sup>7</sup> Boicenco v Moldova, 11/07/2006, §143.



აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი წინასწარი პატიმრობის ზუსტად განსაზღვრულ წესებს გვთავაზობს. ეს წესები ამცირებს რისკს, რომ არ მოხდება დაკავებულზე ზემოქმედება აღიარების მისაღებად; წინასწარი პატიმრობის ზუსტად განსაზღვრული წესები ასევე უზრუნველყოფს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სწრაფად ახორციელებს სამართალწარმოებას, გამოძიებას დაკავებული პირების მიმართ.<sup>8</sup>

ევროპის სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებებით ასევე დაადგინა გარემოებები, რომლის დროსაც შესაძლებელია ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება, როდესაც კვლავ არსებობს დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვის საფუძველი.<sup>9</sup> ეს გარემოებებია: პირის მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, დანაშაულის აღკვეთის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.<sup>10</sup>

პატიმრობის შესაფარდებლად მსგავს საფუძვლებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „პატიმრობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა“.

ამასთან, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თითოეულ საფუძველს თავისი დამოუკიდებელი დასაბუთება უნდა გააჩნდეს.<sup>11</sup>

<sup>8</sup> ლიჩი ფ., ლევის-ესტონი ს., სტრანინტეანუ დ., და სხვ. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი), თბილისი 2009. გვ. 42.

<sup>9</sup> კემაცჰე ვ, ჭრანცე, 27/11/1991.

<sup>10</sup> ხაინდრავა, ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი 2010, გვ. 44.

<sup>11</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში -

იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ მხოლოდ იმ დანაშაულით შეიძლება წინასწარი პატიმრობის გამართლება, რომელიც ინვესს თავისუფლების აღკვეთას, რადგან პატიმრობა ასევე ემსახურება სასჯელის აღსრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფას,<sup>12</sup> თუმცა კონვენციის ტექსტში არ არის ამგვარი შეზღუდვა და წინასწარი პატიმრობის უპირველესი დანიშნულებაა სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის დასწრების უზრუნველყოფა.<sup>13</sup>

წინასწარი პატიმრობის შეფარდების დასაბუთების მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ბრალმდებლის ვალდებულებაა და ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეკისროს ბრალდებულს.<sup>14</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ ბრალდების მხარეა ვალდებული, წარმოადგინოს პატიმრობის დასაბუთება, თუ რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს აღკვეთის ღონისძიების მიზნებზე და საფუძვლებზე. პირველი მიზანი არის ის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებაში და სასამართლოში გამოცხადებას. ვინაიდან თუ ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თუ უმიზეზოდ, თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ამით სასამართლო პროცესი გაჭიანურდება და ხელი შეეშლება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელის შეშლის პრევენციის საშუალებას.<sup>15</sup>

---

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2011.

<sup>12</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 59.

<sup>13</sup> ტრექსელი შ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2009, გვ. 473.

<sup>14</sup> Ilijkov v Bulgaria, ECtHR, 26/07/2001 § 84-85.

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.06.2015 წლის ოქმი, ჩანაწერი N 646, 11-40.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი ასევე დაკავშირებულია ბრალდებულის მომავალში დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთასთან. საქმის მასალებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, არსებობს თუ არა პირის მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. თუ იგი ჩათვლის, რომ ასეთი საფრთხე არსებობს, მაშინ მან საფრთხის პროპორციულად უნდა გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე.

რაც შეეხება საკითხს, ნამდვილად ჩაიდენს თუ არა ბრალდებული მომავალში ახალ დანაშაულს, ეს არავისთვის არაა ცნობილი. კანონი მიუთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომელიც საკმაო საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის.<sup>16</sup> პრაქტიკაში, უპირველესად, ამგვარ მტკიცებულებად ითვლება დანაშაულის რეციდივის შესახებ საქმეში არსებული დოკუმენტაცია (ოფიციალური ცნობა ნასამართლობათა თაობაზე, შესაბამისი განაჩენის ასლები და ა.შ.),<sup>17</sup> მაგრამ მიუხედავად წარსულში ნასამართლობისა, ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, მოსამართლე თუ მიიჩნევს, რომ იგი არ განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, მას შეუძლია ჩათვალოს, რომ ეს მიზანი უკვე მიღწეულია და შეუძლია არ გამოიყენოს ბრალდებულის მიმართ რომელიმე აღკვეთის ღონისძიება.

ბრალდებულის თუ განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, როგორც განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შედარებით უფრო „გვიანდელი სტადინისათვის“ დამახასიათებელი ღონისძიებაა.<sup>18</sup> რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ შესაძლოა,

---

<sup>16</sup> გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2003, გვ. 16.

<sup>17</sup> გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2013, გვ. 16.

<sup>18</sup> გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2013, გვ. 16.

ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული, შესაბამისად აქვე ჩნდება ვარაუდი, რომ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენი კი დაკავშირებულია სასჯელთან, კონკრეტული ვალდებულებების დაკისრებასთან, შეზღუდვასთან ან რაიმე აკრძალვასთან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გადანყვიტოს, რამდენად არის შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა (განაჩენის აღსრულება) აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების ან თუნდაც მისი გამოყენებლობის შემთხვევაში და ამის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

კიდევ ერთ საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: რამდენად გამართლებულია ძალიან დაბალი მინიმალური სასჯელის არსებობა? რა მსგავსებაა აღკვეთის ღონისძიების სახეს - პატიმრობასა და სასჯელს შორის? საქართველოს კანონმდებლობით თავისუფლების ვადის ათვლა 6 თვიდან იწყება, რაც ჩემი აზრით, არაა მართებული. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი მ. ლეკვეიშვილი. ჯერ ერთი, თუ პირის მიერ ისეთი შედარებით მცირე მნიშვნელობის დანაშაულია ჩადენილი, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის ზომად შესაძლოა 6 თვე დაინიშნოს, ყოვლად გაუმართლებელია მისი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გამწესება ან თუგინდ ამ სასჯელისათვის პირობითი მსჯავრის დადება. არაერთხელ თქმულა, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შერჩევა უკიდურესი ზომა უნდა იყოს. ამის გარდა, ასეთი ხანმოკლე ვადით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსება გამორიცხავს სასჯელის მიზნის მიღწევას და ქმნის პირის დანაშაულის გზაზე დადგომის შესაძლებლობას.<sup>19</sup>

აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა თავისი შინაარსით არსებითად რომ არ განსხვავდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთისაგან, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მსჯავრდებულის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მას სასჯელის მოხდის ვადაში ეთვლება პატიმრობაში ყოფნის ვადა (მისი ერთი დღე, ითვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ერთ დღედ). შესაბამ-

<sup>19</sup> მ. ლეკვეიშვილი. წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2016, გვ. 228.

ისად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ (და საამისო არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება სასამართლო პრაქტიკიდან), როდესაც მოსამართლე ბრალდებულს ათავისუფლებს სასამართლო დარბაზიდან, როგორც სასჯელმოხდილს. ჩნდება კითხვა: ასეთ შემთხვევაში რა არის ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების მიზანი? ხომ გამოდის, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანსა და სასჯელის მიზანს შორის ფაქტობრივად არაა არსებითი სხვაობა? მათ შორის მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისითაა სხვაობა, რის გამოც ერთი საპროცესო იძულების ღონისძიებაა, ხოლო მეორე - სასჯელის სახე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავიანთი არსით (პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება, იზოლირებულია საზოგადოებისაგან) ისინი იდენტურნი არიან.

## 2. ბრალდებულის მიმალვის საფრთხე და მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა

ზოგადად მიმალვის საფრთხეზე მსჯელობა რამდენადმე ზედაპირულ ხასიათს ატარებს, რადგან ნებისმიერი პირის მიმართ შეიძლება ვამტკიცოთ მისი შესაძლო მიმალვა. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარე ითხოვს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას და ყოველივეს ასაბუთებს იმით, რომ ბრალდებულს ბრალის დამტკიცების შემდეგ ელოდება მკაცრი სასჯელი, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, იგი მკაცრი სასჯელის შიშის გამო მიიმალოს.

აღნიშნულ დასაბუთებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კატეგორიულად არ ეთანხმება და განმარტავს, რომ შესაძლო სასჯელის სიმკაცრე ის ელემენტია, რომელიც მიანიშნებს მიმალვის საფრთხეზე, მაგრამ ეს საფრთხე ვერ შეფასდება მხოლოდ ამ საფუძვლით, ის უნდა შეფასდეს სხვა ფაქტორებზე დაყრდნობითაც.<sup>20</sup>

<sup>20</sup> Tomasi v. France. §98; Mansurv. Turkey, §55, Jecius v. Lithuania &94.

რაც შეეხება სხვა რელევანტურ საფუძვლებს, ესენია პირის მიერ სამართალდამცველებისაგან გაქცევის მცდელობის ფაქტი, ან როცა პირს საზღვარგარეთ აქვს ვინმესთან კონტაქტი, აქვს ძლიერი ფინანსური მდგომარეობა და ავტორიტეტი, რისი მეშვეობითაც სავაუდოდ მოახერხებს მიმალვას. ასევე შესაძლებელია, მიმალვის საფრთხე დასაბუთდეს იმით, რომ ბრალდებულს აქვს საქმიანი კონტაქტები საზღვარგარეთ, ხშირად უფიქსირდება საზღვრის კვეთა, მითუმეტეს თუ არის დადასტურებული, წარსულში არალეგალურად საზღვრის გადაკვეთის ფაქტი. ჩამოთვლილთაგან თუ რომელიმე მსგავსი ფაქტორი თან ახლავს მოსალოდნელ მკაცრ სასჯელს, მაშინ მიმალვის საფრთხე რეალურია.

**მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:** თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის განჩინების მიხედვით, მიმალვის საფრთხე ზოგადად არსებობს, მაგრამ არა იმ დოზით, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ზომა - პატიმრობა. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის გარემოებები, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, მან თავად შეუწყო ხელი გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, როდესაც ნარკოტიკული საშუალება გამოიტანა სამალავიდან და სამართალდამცველებს წარუდგინა.<sup>21</sup> ამავე დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ პირს ასევე არ უცდია გაქცევა, არ აქვს საზღვარგარეთის პასპორტი და არ არსებობს მისი მხრიდან ქვეყნის დატოვების რისკი.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიუთითებს იმაზე, რომ მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე მითითება არაფერს ნიშნავს, თუ სხვა ზემოთ მითითებული ფაქტორებით არ იქნება დადასტურებული მიმალვის საფრთხის არსებობა. მიმალვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ ფაქტორების გადასინჯვა, რომელთა გამოც პირი შეიძლება მიიმალოს, მიუხედავად იმ შედეგებისა, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოქმედებას და იმ

<sup>21</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2004 წლის განჩინების საქმე N1 გ/1282.

საშიშროებისა, რომლის წინაშეც შეიძლება დამდგარიყო.<sup>22</sup>

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ასევე ირკვევა, რომ ხშირია შემთხვევა, როცა მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე მითითებით ხდება მიმალვის საფრთხის დასაბუთება. ამ მხრივ საინტერესოა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მარტის განჩინება, სადაც ბრალდების მხარე ბრალდებულებს ედავება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას და აღკვეთის ღონისძიების სახით ითხოვს პატიმრობას. სასამართლო განჩინებაში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულების მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით 4-დან 7 წლამდე ვადით, რაც ასავე ქმნის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულები მოსალოდნელი სასჯელის შიშით მიემალებიან გამოძიებას და სასამართლოს.<sup>23</sup>

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ განჩინებაში მოსამართლე მოსალოდნელი სასჯელის შიშით ასაბუთებს მიმალვის საფრთხეს და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას. სხვა რაიმე კონკრეტულ ფაქტებზე ან გარემოებაზე არ არის ყურადღება გამახვილებული, რაც ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ძნელია პროკურორის მხრიდან იმ საფრთხის დასაბუთება, რომ პირი მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში. წინასწარ იმის ვარაუდი, თუ როგორი იქნება მისი დამოკიდებულება გამოძიებისა და იმ ვალდებულებების მიმართ, რაც მას დაკისრებული აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ფაქტიურად შეუძლებელია, ამას შესაბამისი არგუმენტები სჭირდება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ბრალის წაყენების შემდეგ პირის დაკავება საზღვრის კვეთისას, წინააღმდეგობის გან-

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა პრევენციული სამართალი, თბ. 2014. გვ. 190.

<sup>23</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 10 მარტის განჩინება საქმე N10ა/949.

ევა დაკავებისას, წინათ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების დარღვევა, აღნიშნული გარემოებები, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს აღკვეთითი ღონისძიების, პატიმრობის დასაბუთებას. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, მაგალითად, როცა ბრალდებული უარს აცხადებს გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში, მაგრამ არ ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში ცხოვრებას, აღნიშნული არ მეტყველებს მიმალვის სურვილის არსებობაზე და არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის მტკიცებულებას.<sup>24</sup>

მინდა ყურადღება გავამახვილო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში (ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ), სადაც იგი განმარტავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი<sup>25</sup> ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, სასამართლოებმა ინდივიდუალურად უნდა განიხილონ თითოეული ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის საკითხი და შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთიანი და წინასწარ მომზადებული სტანდარტის გამოყენება ყველა ბრალდებულთან მიმართებაში.

რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო უთითებს, რომ ზოგადი საუბარი დაუშვებელია და აუცილებელია კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით მოხდეს ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება. დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატება იგი, იქნება ეს მონმეზე ზემოქმედება, დოკუმენტების განადგურება, სასამართლოზე გამოუცხადებლობა თუ სხვა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტიურად შეუძლებელია ამ

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2015, გვ. 597.

<sup>25</sup> ხაინდრაჯა ნ., ბოხაშვილი ზ. ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ. 2010 გვ. 67;



საფრთხის აბსტრაქტული შეფასება, რადგან ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, მტკიცებულების მოპოვებისათვის ხელის შეშლაზე საუბარი მხოლოდ უბრალო ვარაუდს ემყარება.

ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მართლმსაჯულებისათვის თავის არიდების საფრთხე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსალოდენელი სასჯელის სიმკაცრის საფუძველზე; იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ საფუძვლებზე მითითებით, რომელიც ან გაამყარებს მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების საფრთხეს, ან იმდენად უმნიშვნელოს გახდის, რომ იგი საკმარისი არ იქნება პატიმრობის გასამართლებლად... ამასთან გასათვალისწინებელია ბრალდებულის ბუნება, მისი მორალური თვისებები, მატერიალური შესაძლებლობები, მისი კავშირები სახელმწიფოსთან, რომელიც მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს და საერთაშორისო კონტაქტები...“.<sup>26</sup>

მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლის საფრთხესთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ მხოლოდ კონკრეტული ფაქტების საფუძველზე შეუძლია ეროვნულ სასამართლოს დაასკვნას ხსენებული საფრთხის რეალურად არსებობა.<sup>27</sup>

### 3. მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე

მტკიცებულებათა განადგურება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც მტკიცებულების ფიზიკურად მოსპობით, ასევე მისი ნიშან-თვისებების არსებითად გამოცვლის, მასზე არსებული კვალის წაშლის გზით. საფრთხის არსებობის დადასტურებისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები.<sup>28</sup>

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ დაუშვებელია

<sup>26</sup> კრებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ. 2010, გვ.56.

<sup>27</sup> ხაინდრავა ნ. ბორაშეილი და სხვები. წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ.2010, გვ.56.

<sup>28</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ.2015. გვ. 598.

მტკიცებულებათა განადგურებაზე მითითება მაშინ, როცა გამოძიება თითქმის დასრულებულია და მტკიცებულებათა ძირითადი ნაწილი მოპოვებულია.

ამ კონტექსტში ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო მონმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეზე. ხშირად ბრალდების მხარე თავის შუამდგომლობაში უთითებს, რომ შესაძლებელია, ბრალდებულმა ზეგავლენა მოახდინოს მონმეებზე. ამ დროს საქმეში ეს მონმეები ან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არიან, ან საერთოდ არ არსებობენ, ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

ასევე მნიშვნელოვანია, როცა ბრალდების მხარე მონმეზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას ასაბუთებს ბრალდებულის სამსახურეობრივი მდგომარეობით, განსაკუთრებით სამოხელეო დანაშაულის დროს. ბრალდებულის თანამდებობრივი მდგომარეობის მითითებით, აღნიშნული საფრთხის მტკიცება არარელევანტურია პატიმრობის გამოყენებისთვის, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ერთადერთი საშუალებაა აღკვეთის ღონისძიების მიზნის მისაღწევად და სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სსსკ 199-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებით, შეგვიძლია ბრალდებულს ჩამოვართვათ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის უფლება, რაც ჩემი აზრით, სრულებით გამორიცხავს მონმეზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეს და შესაბამისად, პატიმრობის გამოყენების გარეშეც, მიზანი მიღწეული იქნება.

ასევე ყურადსაღებია, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ხშირად ხდება მონმეებზე ზეგავლენის შესაძლო მოხდენით მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის დასაბუთება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ბრალდების მხარის არგუმენტაცია მტკიცებულებების განადგურებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, ვინაიდან პროკურორის პოზიცია აბსტრაქტულია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებში არსე-

ბული გარემოებებიდან და ფაქტებიდან.<sup>29</sup> როგორც ამ განჩინებიდან ვარკვევთ, პროკურორის მოთხოვნას არ ადასტურებდა საქმეში არსებული ფაქტები და არ დასტურდებოდა მოსაზრება, რომ პირი ზეგავლენას მოახდენს მონმეზე. ამავე განჩინებაში ვკითხულობთ: ის ფაქტი, რომ მონმე ბრალდებულის მეზობელია „არ ნიშნავს, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ზემოქმედებას მოახდენს მონმეზე.“<sup>30</sup> შესაბამისად, მხოლოდ იმით, რომ პირი იცნობს მონმეს, არ გვაძლევს იმის დასაბუთების საშუალებას, რომ ბრალდებული მოახდენდა მონმეზე ზემოქმედებას. ასევე, ამავე განჩინებიდან დგინდება, რომ ის მონმე, რომელზეც უთითებდა ბრალდების მხარე, რომ ბრალდებული შეეცდებოდა მასზე ზემოქმედების მოხდენას, უკვე დაკითხულია.

აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბრალდებულის კავშირები მონმეებთან ან დაზარალებულებთან. თუ ბრალდებულს გააჩნია ნათესაური, სამსახურობრივი მჭიდრო კავშირები მონმეებთან, ანდა მათ შორის არსებობს კონფლიქტური სიტუაცია, მაღალია ბრალდებულის მიერ პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის საფრთხე. ამასთან, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომ აღნიშნული საფრთხე ფაქტებით ამტკიცოს, თუ მას არ გააჩნია მონმეებზე ზემოქმედების მცდელობის კონკრეტული ფაქტი, შეუძლია აპელირება გააკეთოს ბრალდებულის წინარე ქმედებაზე.<sup>31</sup>

#### 4. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

როგორც ზემოთ აღინიშნა, პატიმრობის გამოყენების კიდევ ერთი საფუძველია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს

<sup>29</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 6 მარტის განჩინება, საქმე N10ა/1021.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ.2015. გვ. 599-600.

ახალ დანაშაულს ან გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, აღნიშნული საკმარისია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისათვის. ამ საკითხზე ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არის პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საფრთხე დასაბუთებული და გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებითა და კონკრეტული ფაქტებით, არ უნდა ეყრდნობოდეს უბრალო, დაუსაბუთებელ ვარაუდს.

გადაწყვეტილების მართლზომიერებისათვის უმნიშვნელოვანესია, დამტკიცდეს, რომ შემდგომი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილებისათვის ზრუნვა სინამდვილეს შეეფერება და განხორციელებული ღონისძიება მართლზომიერია.<sup>32</sup>

როდესაც საუბარია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მომავალი დანაშაულის ხასიათი უნდა იყოს დაკონკრეტებული და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს პირისათვის წაყენებული ბრალდებიდან.<sup>33</sup> ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია, თუ საქმე ეხება ნარკოტიკულ დანაშაულს, როცა კონკრეტული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება და თუ პირი მსგავსი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული ან ნასამართლევია, ბუნებრივია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე დიდია. აგრეთვე, როდესაც პირს ბრალად ედება ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენა და ეს პირი წარსულში ნასამართლევია მსგავსი ტიპის დანაშაულისათვის, ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. თუმცა პირის ხანგრძლივი პატიმრობა არამართლზომიერად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ჩადენილი დანაშაულების ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია მათი ხასიათისა თუ სიმძიმის ხარისხის გამო.<sup>34</sup>

<sup>32</sup> ხაინდრავა, ნ., ზოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი 2010, გვ. 61.

<sup>33</sup> Senov and others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §156.

<sup>34</sup> ხაინდრავა, ნ., ზოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი 2010, გვ. 61.

სამწუხაროდ, მტკიცება იმისა, რომ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ვფიქრობ, რომ რეალურად სცდება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს, რამეთუ შეუძლებელია ვივარაუდოთ, ესა თუ ის ადამიანი მომავალში როგორ მოიქცევა ან რა ქმედებას ჩაიდენს. აუცილებელია, მითითებული იყოს, თუ კონკრეტულად რომელი ახალი დანაშაულის საფრთხე არსებობს ბრალდებულის მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ ადრე პირის მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე იყო გამოყენებული არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება, რომელმაც ვერ უზრუნველყო აღნიშნული მიზნის მიღწევა და პირმა ჩაიდინა დანაშაული. სწორედ ამ არგუმენტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი, ვივარაუდოთ, რომ არსებობს იმის ალბათობა, პირმა კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციის მიზნით პატიმრობის გამოყენება შეიძლება გამომდინარეობდეს პირის პიროვნული მახასიათებლიდან, მისი წარსულიდან და მისთვის შერაცხული დანაშაულის ხასიათიდან, მისი დანაშაულებრივი საქმიანობიდან, მათ შორის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნასამართლობა, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, ცალკე აღებული თითოეული მათგანი მაინც არასაკმარისი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის, რომ პირმა შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.<sup>35</sup>

სტრასბურგის სასამართლო დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხის საფუძველზე ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას გამართლებულად თვლის მაშინ, როდესაც სახეზეა ხსენებული საფრთხის დამამტკიცებელი გარემოებები. განმარტავს, რომ დანაშაულის ჩადენის საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტული და ზოგადი მოხსენიება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა.<sup>36</sup> ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში

<sup>35</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2012, გვ 48.

<sup>36</sup> ხაინდრავა. ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდე-

განმარტავს, რომ როდესაც ბრალმდებელი ან სასამართლო უთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მათ მიერ დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რა სახის დანაშაულის ჩადენის საფრთხეა საუბარი.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ვერ იქნება ობიექტურად დასაბუთებული, თუ ბრალდებულს აქამდე რაიმე სამართალდარღვევა არ ჩაუდენია და პირველად არის კანონთან კონფლიქტში. შესაბამისად ახალი დანაშაულის ჩადენის დასაბუთებისას ძალიან მნიშვნელოვანია პირის ნასამართლობა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ წარსულში ნასამართლობა ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ დამტკიცდეს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარე პირის წარსულ ნასამართლობაზე მიუთითებს, სააპელაციო სასამართლო კი აღნიშნავს, რომ მხოლოდ პირის წარსული და მისი ნასამართლობა არ არის საკმარისი პატიმრობის გამოსაყენებლად.<sup>37</sup>

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ „ბრალდებულის წინარე ნასამართლობა მართლაც მიანიშნებს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე. თუმცა საკმარისი არ არის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. ამ მიზეზით პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დამადასტურებელი ისეთი გარემოების წარმოდგენა, რომელთა მიხედვით დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების ალკვეთა მხოლოდ პატიმრობით იქნება შესაძლებელი“.<sup>38</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში განმარტავს, რომ თუ ბრალდებული ნასამართლევა, ვარაუდი იმისა, რომ ის განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას უდანაშაულობის პრეზუმფციას ეწინააღმდეგება, ასევე მისი ნასამართ-

---

ბასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი 2010,62.

<sup>37</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18.12.2014 წლის განჩინება N1გ/1282.

<sup>38</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2015, გვ. 602

ლობის ფაქტი არ ადასტურებს, რომ არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. რაც შეეხება გაქარწყლებული ან მოხსნილი ნა-სამართლობის შემთხვევაში, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ გაქარწყლებული ნასამართლობის დროს პირი ითვლება ნა-სამართლობის არმქონედ და არ შეიძლება მისი მხედველობაში მიღება. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც მთელ რიგ შემთხვევებში გამოძიება ეყრდნობა. ეს არის ის, რომ პირს შემ-დგომი დანაშაულის ჩადენას აიძულებს ფინანსური პრობლემები. სტრასბურგის სასამართლომ კი ცალსახად მიუთითა, რომ ამგვარი არგუმენტი ნაკლებად დამაჯერებელია.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასებისას სა-სამართლომ უნდა განსაზღვროს, რამდენად არსებობს პირის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რეალური საფრთხე. მაგალითად, ხომ არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის მომზადებაზე ან დაუსრულებელი და-ნაშაულის დასრულების განზრახვაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ისევ არსებობს თუ არა ის გარე-მოებები, რომელშიც პირმა ჩაიღინა დანაშაული. მაგალითად, სამო-ხელეო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს, ისევ არის თუ არა ეს საჯარო მოხელე თანამდე-ბობაზე.<sup>39</sup>

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, პატიმრობის გამ-ოყენების აუცილებლობის დასაბუთებას საკმაოდ დიდი პრობლემა აქვს, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დაუსაბ-უთებელი შუამდგომლობებით ხდება აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის მოთხოვნა და სამწუხაროდ, მსგავსი შუა-მდგომლობების ნაწილი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხ-ლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, რომ სასამართ-ლოებმა ინდივიდუალურად განიხილონ თითოეული ბრალდებუ-ლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის

---

<sup>39</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე N646.

საკითხი და შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთიანი და შესაბამისად წინასწარ მომზადებული სტანდარტის გამოყენება ყველა ბრალდებულთან მიმართებაში.<sup>40</sup>

საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სასამართლოში შედის შუამდგომლობა, რომლითაც აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილია პატიმრობა და პატიმრობის გამოყენებისათვის პროკურორის მხრიდან ადგილი აქვს ერთდროულად კანონით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობაზე აპელირება, რაც ჩემი აზრით, არასწორია და სრულებით არ ზრდის შუამდგომლობის დასაბუთებულობის ხარისხს. პროკურორი და მოსამართლე ვალდებული არიან, დაასაბუთონ შუამდგომლობა/სასამართლო განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. მკაფიოდ უნდა მიეთითოს, რატომ იქნა შერჩეული აღკვეთის ეს კონკრეტული ღონისძიება და რატომ იყო შეუძლებელი სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება.<sup>41</sup> ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ პატიმრობის გამოყენება დამაჯერებელი დასაბუთების ნაცვლად სტანდარტული, შაბლონური არგუმენტაციით, წინასწარ დადგენილ ფორმასა და მის აბსტრაქტულ დებულებებზე დაყრდნობით, წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევას.<sup>42</sup>

პროფესორ ლალი ფაფიაშვილის აზრით, პატიმრობის, როგორც აღმკვეთი ღონისძიების გამონაკლისობა განპირობებულია სწორედ მისი ბუნებით - ადამიანისთვის თავისუფლების შეზღუდ-

<sup>40</sup> ხაინდრავა, ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი 2010, გვ. 67.

<sup>41</sup> ფაფიაშვილი ლ., „დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში“, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბილისი 2010, 164.

<sup>42</sup> ხაინდრავა, ნ., ბოხაშვილი ბ., და სხვები. წინასწარ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ. 2010, გვ. 67;



ვით. გამონაკლის გარემოებად მიიჩნევა მიმალვის, მტკიცებულების განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საზოგადოებისათვის აშკარა და მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის განეიტრალება სხვაგვარად (გარდა პატიმრობის მისჯისა) შეუძლებელია.<sup>43</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავისუფლების შემზღვევა პატიმრობის, როგორც ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენება, პირს ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს და ხელს უშლის მის სულიერ განვითარებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული პირველად ხვდება პენიტენციურ დაწესებულებაში.

ევროპული სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საპატიმრო ალკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე, თვლის, რომ ამ შემთხვევაში მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამოორიცილოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა.<sup>44</sup>

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში, სასამართლოს მხრიდან აშკარად გაიზარდა ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთების სტანდარტი. თუმცა ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებას. სამწუხაროდ, მოსამართლეები, რიგ შემთხვევაში, ექცევიან სახელმწიფო ბრალდების ზეგავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, არ ითვალისწინებენ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, სადაც ხასგასმითაა აღნიშნული, რომ პატიმრობა, როგორც ალკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იქნეს საგამონაკლისო ღონისძიებად. იგი არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ

<sup>43</sup> ფაფიაშვილი. ლ., თავისუფლება შემზღვეველი საპროცესო იძულების ღონისძიების საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა, თბ. 2011, გვ 70;

<sup>44</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბ., 2011.

უნდა იქნეს მიმართული დასჯის მიზნებისათვის.<sup>45</sup> ამგვარი მიდგომა მოსამართლის მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

როდესაც ვიხილავთ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, მნიშვნელოვანია, თუ როგორ არის იგი მონესრიგებული სხვადასხვა ქვეყნების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის კანონმდებლობით. როდის არის შესაძლებელი ადამიანის ფუნდამენტური უფლების - მისი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის საპროცესო კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი წყაროების თანახმად ზოგიერთი საპროცესო იძულების ღონისძიებისათვის დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეფორმა; ეს შეეხება დაპატიმრებასაც.

„ხალხის უფლება - ნათქვამია აშშ-ის კონსტიტუციის მეოთხე შესწორებაში - პიროვნების, საცხოვრებლის, დოკუმენტებისა და ქონების დაცვაზე დაუსაბუთებელი ჩხრეკის ან დაპატიმრებისაგან, არ უნდა დაირღვეს. ჩხრეკის ან დაპატიმრების ორდერი არ გაიცემა საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე, რომელიც დადასტურებულია ფიცის ან პირობის საზეიმო დადებით. ასეთ ორდერში დანვრილებით უნდა იყოს აღწერილი ჩხრეკის ადგილი, დასაპატიმრებელი პირი ან ქონება“.<sup>46</sup>

როგორც ვხედავთ, ამერიკის კანონმდებლობის თანახმადაც შესაძლებელია შეიზღუდოს პიროვნების თავისუფლება სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებებით, მაგრამ ამის აუცილებლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ამერიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი შესწორების მიხედვით, ეჭვმიტანილი პირის დაკავების და მისთვის პატიმრობის შეფარდებისთვის საჭირო ფაქტობრივი მონაცემების შეგროვების შემდეგ, პოლიცია მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით კონკრეტული პირის დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის

<sup>45</sup> Recommendation No.R(80)11 of the Committee of ministers of the Council of Europe concerning Custody Pending trial, 27.06/1995;

<sup>46</sup> გუცენკო კ., გოლოვკო გ., ფილიმონოვი ბ. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007,283.

თაობაზე და სასამართლოს ბრძანებით ხდება პირის დაპატიმრება. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ კონკრეტულ წესს გააჩნია გამონაკლისი. კერძოდ, როდესაც სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობა, პოლიციას შეუძლია სასამართლოს ბრძანების გარეშე დააპატიმროს პირი, მაგრამ იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ დაპატიმრებული უნდა წარედგინოს სასამართლოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.<sup>47</sup> როდესაც მოხდება დაპატიმრებული პირის სასამართლოში წარდგენა, სასამართლო გადაამოწმებს დაპატიმრების აუცილებლობას და გადაუდებელი აუცილებლობის არსებობას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება ნიშნავს მოქალაქის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციით დაცული უფლებების და თავისუფლების სფეროში ამ თუ იმ ფორმით შეჭრას. ამიტომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციით განმტკიცებულია პრინციპული დებულება, რომლის თანახმადაც ამ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.<sup>48</sup> გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დაპატიმრებასთან დაკავშირებით ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი, გადანყვიტოს პატიმრობის დასაშვებობის და მისი ვადის გაგრძელების საკითხი (მუხ.104).

კანონით გათვალისწინებული საპროცესო იძულების ყველა ღონისძიების შეფარდების უფლება აქვს მოსამართლეს, პროკურატურას. ასევე პოლიციის თანამშრომლებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის ღონისძიების გამოყენება, მათ შორის დაპატიმრებაც, მაგრამ მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მოქმედების დროს, რაც შემდეგ სასამართლოს მხრიდან უნდა იქნას დაკმაყოფილებული, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ზომებს ძალა დაეკარგება.

<sup>47</sup> იქვე, 284.

<sup>48</sup> გუცენკო ვ., გოლოვკო გ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007 გვ. 534.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სსსკ-ის §112-ის თანახმად, პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ და დაპატიმრების საფუძველი. პატიმრობა არ გამოიყენება, როდესაც იგი არათანაზომიერია საქმის მნიშვნელობისა და მოსალოდნელ სასჯელთან მიმართებაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ბრალდებულის დაპატიმრება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაპატიმრების შესახებ მოსამართლის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, მაშინ სსსკ-ის §115-ის თანახმად, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიყვანილი კომპეტენტურ მოსამართლესთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, ბრალდებულის პატიმრობის ვადა მხოლოდ სასამართლო წესით შეიძლება იქნას გაგრძელებული. სსსკ-ის §121 ადგენს დაკავების 6 თვიან ვადას. მიმაჩნია, რომ 6 თვიანი ვადა სრულიად საკმარისია საქმის განსახილველად და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც რომ ითვალისწინებდეს ანალოგიურ მიდგომას, ხელი შეეწყობოდა მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხილვას, რომელიც ასევე დადებითად იმოქმედებდა მტკიცებულებათა ხარისხსა და დასაშვებობაზე.

გერმანიაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში თუ განსაკუთრებული სიძნელე, ან საქმის გამოძიების განსაკუთრებული მოცულობა ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას, გამოტანილ იქნას საქმეზე განაჩენი და პატიმრობის ვადის გაგრძელება გამართლებულია.<sup>49</sup>

როგორც საერთაშორისო, ისე სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს და იცავს პირის პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების ხელშეუხებლობას, მაგრამ ისინი ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ. სწორედ ასეთი შესაძლებლობაა პატიმრობა, რომლის გამოყენები-

<sup>49</sup> გუცენკო კ., გოლოვკო გ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ.538.

სთვის აუცილებელია, სახეზე იყოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთანავე იგი უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება და სხვა ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიებით ვერ უნდა იქნეს მიღწეული მიზნები. თუ კონკრეტულად არ იქნება ახსნილი ალტერნატიული იძულების ღონისძიების არაეფექტურობა და დასაბუთებული მათი გამოყენების მიზანშეწონილობა, ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.<sup>50</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ ალკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში აღარ წავანყდეთ სამართლებრივ პრობლემებს, საჭიროა, ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის რეკომენდაციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება პატიმრობის შეფარდების საკითხებს, რათა სახელმწიფოს მხრიდან უხეშად და გაუმართლებლად არ მოხდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა.

## დასკვნა

ადამიანის სამართლებრივი ბედის განსაზღვრისას სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და რაც მთავარია, მათ უნდა მიეცეთ სწორი იურიდიული შეფასება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პატიმრობის არასწორი (დაუსაბუთებელი) გამოყენების პრეცედენტი. სტატიაში გაზიარებული იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ პატიმრობის გამოყენების დროს, პირს უხდება ისეთივე პირობებში ყოფნა, როგორშიც არიან სხვა მსჯავრდებულები. დაპატიმრება იმიტომ წარმოადგენს ყველაზე მკაცრ ალკვეთ ღონისძიებას, რომ ამ დროს ხდება ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორიცაა: შრომის, დასვენების, განათლების, საცხოვრებელი ადგილის და ადამიანთა სასურველი გარემოცვის თავისუფლად არჩევის უფლება.

<sup>50</sup> Gultayeva v. Russia, no.67413/01, 01/04/2010, §189.

პირი საზოგადოებისგან იზოლირებულია.<sup>51</sup>

ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ბრალდებულისთვის მძიმე ტვირთია, რადგან ერთ პიროვნებას უპირისპირდება სახელმწიფო მთელი თავისი რესურსით. სახელმწიფოსთვის კი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა ამარტივებს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუმცა, ალბათობა იმისა, რომ მოხდეს დაუსაბუთებელი პატიმრობის გამოყენება პირის მიმართ, გაცილებით დიდია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების შემფარდებელ ინსტიტუტს, აქვს ვალდებულება, კანონისა და სამართლიანობის სინთეზის გზით იმგვარად დაასაბუთოს გადაწყვეტილება, რომ მას სამართლიანი შედეგი მოჰყვეს. მეტიც, დანერგოს პრაქტიკაში ევროსასამართლოს მიდგომა, რომელიც ოქროს შუალედს პოულობს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ინდივიდის უფლებებს შორის.

ეროვნულმა სასამართლოებმა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ინდივიდუალურად უნდა შეამოწმონ, შესაბამისობაში არის თუ არა აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან. წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციონ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის დასაბუთებას.

---

<sup>51</sup> ბენიძე ვ. დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების პირობები. თბ.2003. გვ.36.

## დარეჯან ლეკიაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

(მპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმში)

### სისხლის სამართლის პროცესისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ურთიერთკავშირის პრობლემები

ზოგადად მეცნიერებაში, და, მათ შორის იურიდიულ მეცნიერებაში, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც სოციალური თვითდასწავლის თეორიაა ცნობილი. აღნიშნული თეორიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახსნას ამა თუ იმ ქცევის გამომწვევი მიზეზები. აღნიშნული თეორიის მიმდევრები, დანაშაულს და ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას განიხილავენ, როგორც გააზრებულ პასუხს კონკრეტულ ცხოვრებისეულ მოვლენაზე.

ჩვენს ქვეყანაში მეტად აქტუალურია საკითხი კრიმინოგენული ვითარების მაჩვენებლის მზარდი სტატისტიკის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას და მიზეზების გარკვევისას სულ უფრო ხშირად იკვეთება როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, ასევე, გარკვეულწილად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენისა, თუ ინფორმაციის ზეგავლენისა - ხსენებული მოვლენების გაცნობიერების თვალსაზრისით. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არსებულ ვითარებას ერთგვარ დაძაბულობას მატებს ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამბიციები, ამას ემატება გარკვეული ეჭვი და ის ბრალდებები რომელსაც მასმედიის საშუალებებით ცალკეული პირები თუ პოლიტიკური პარტიები აყლერებენ ერთმანეთთან მიმართებით.

ტერმინი „ინფორმაცია (ლათ.: information - ახსნა, გადმოცემა)“ პირველად წარმოიშვა სოციალურ სფეროში და გამოიყენებოდა იმ მონაცემების აღსანიშნავად, რომლებსაც ერთი ადამიანი გადასცემდა მეორეს ზეპირი, წერილობითი ან რაიმე სხვა ფორმით.

საინფორმაციო პროცესების განვითარებამ, სრულყოფამ და გართულებამ გამოიწვია მეცნიერული დაინტერესების გააქტიურება „ინფორმაციის“ კატეგორიის მიმართ და წარმოაჩინა მისი შინაარსის შემეცნების აუცილებლობა.

მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს მიჩნია, რომ ჭეშმარიტება წარმოადგენს არა მხოლოდ შემეცნების მიზანს, არამედ მის საგანსაც. დანაშაულის გახსნის პროცესში, და საერთოდ, სისხლის სამართალწარმოების პროცესში, ჭეშმარიტების დადგენის სისწრაფეს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, რასაც დიდად უწყობს ხელს ისეთი ღონისძიებების ერთიანობა, რომელიც პრაქტიკაში ფარული საგამოძიებო მოქმედებებით და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობითაა ცნობილი. სწორედ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მიზანმიმართულად ორგანიზება და ეფექტური განხორციელება განაპირობებს ხშირად სისხლის სამართლის საქმეთა წარმატებით გადაწყვეტას, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან ერთად, საზოგადოებრივი ურთიერთობის ის ერთადერთი გამოხატულებაა, რომლის საშუალებითაც ხდება სახელმწიფოს მოურიდებელი შეჭრა პიროვნების პირად ცხოვრებაში, რის შედეგადაც ეს პიროვნება ლეზულობს როგორც მორალურ, ისე მატერიალურ ზიანს. ეს ზიანი რომ ძალზედ მინიმალური იყოს, აუცილებელია სამართალდამცავი თუ ძალოვანი უწყებების მიერ განხორციელებული საპროცესო და არასაპროცესო მოქმედებები მკაცრად იყოს რეგლამენტირებული კანონით.

აღბათ მართებული იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მონესრიგებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ასევე ამ მოქმედებების კანონმდებლობით დადგენილი რეგლამენტაციის ფარგლები და მათი განხორციელების მართებულობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „ოპერატიულ-



სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების შედარებისა და შეჯერების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საგნის, პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების მკვეთრი გამიჯვნა ობიექტური აუცილებლობაა, რისი გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია. ასეთი გამიჯვნა, ჩვენის აზრით აუცილებელია არა იმიტომ, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ეს ორი საქმიანობა მოწყდეს ერთმანეთს, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და მათ შორის აღიმართოს დაუძლეველი ბარიერი, ეს აუცილებელია მათი შემდგომი ინტეგრაციისთვის სავსებით რაციონალურ, მეცნიერულ საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო და ოპერატიული ქვედანაყოფების ურთიერთქმედება დანაშაულთა გახსნის დროს.

სწორედ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მიზანმიმართულად ორგანიზება და ეფექტური განხორციელება განაპირობებს ხშირად სისხლის სამართლის საქმეთა წარმატებით გადაწყვეტას, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. მაგრამ ალბათ ძალზედ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ძირითადი დატვირთვა დანაშაულთა პრევენციასა, ანუ დანაშაულის საფრთხის თავიდან აცილება მანამდე, ვიდრე მოხდება დანაშაული და დადგება დანაშაულის შედეგი. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ საქართველოს კანონმდებლებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა გარკვეულწილად ჩრდილშია მოქცეული, აღნიშნულ საქმიანობას ნაკლები დატვირთვა აქვს დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით.

აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებული სამუშაო ჯგუფის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის მიხედვით, წარმოდგენილი იქნა და 2009 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. უფრო კონკრეტულად, ზემოხსენებულ სტრატეგიაში მოცემული პრინცი-

პების პრაქტიკული რეალიზაცია გახდა სწორედ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც დადგინდა დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესები. კერძოდ, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, დეკლარირებულია ე.წ. ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულებრივი ფაქტის მოხდენის შემდეგ, რაც გარკვეულწილ წინააღმდეგობას წარმოქმნის დანაშაულთა პრევენციის თვალსაზრისით.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების თაობაზე არ არის მითითებული, კოდექსში დეკლარირებულია ე.წ. ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულებრივი ფაქტის მოხდენის შემდეგ.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესები, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების თაობაზე, როგორც უკვე აღინიშნა, არ არის მითითებული, უფრო კონკრეტულად, კოდექსში დეკლარირებულია ე.წ. ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულებრივი ფაქტის მოხდენის შემდეგ, რაც გარკვეულწილ წინააღმდეგობას წარმოქმნის დანაშაულთა პრევენციის თვალსაზრისით.

კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზანია დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და მართლმსაჯულების განხორციელება, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, წარმოადგენს დანაშაუ-

ლის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა, იმ პირის ძებნა და დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან ჩადენილი აქვს დანაშაული და სხვა. უფრო თუ დაკონკრეტდებით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ძირითადი დატვირთვა, დანაშაულზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების გარდა, გამოიხატება დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციაში, ანუ ვიდრე მოხდება დანაშაული, მანამდე უნდა გამოვლინდეს დანაშაულებრივი ქმედებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკრეტული დანაშაული.

ზემოსხენებული მიზნების შედარებისა და შეჯერების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საგნის, პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების მკვეთრი გამიჯვნა ობიექტური აუცილებლობაა, რისი გაუთვალისწინებლობაც დაუშვებელია. აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია სათანადო გლობალური კვლევის ჩატარება - შესწავლილ უნდა იქნეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება, აღნიშნული საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ფარგლები, გაკეთდეს შედარებითი ანალიზი, ასევე გამოკვლეულ იქნეს თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში რამდენადაა დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რამდენად ირღვევა ეს უფლებები და გამართლებულია თუ არ ამ უფლებების შეზღუდვა და დარღვევა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ხორციელდება აღნიშნული საქმიანობა.

დადგენილი წესის თანახმად, ზოგადად დანაშაულის გამოძიება, წარმოადგენს მიზანდასახული საგამოძიებო და სხვა საპროცესო თუ არასაპროცესო მოქმედებების ურთიერთკავშირს, მონოდებულს, აღმოუჩინოს დახმარება გამომძიებელს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

დანაშაულთა ჩადენის კრიმინალისტიკური მექანიზმი, ხასიათდება რა თავისი ინდივიდუალიზმით, ყოველი ქმედებისთვის ასევე ავლენს საერთო მახასიათებლებსაც, რომლებიც ხშირ შემთხვევებში მეორდება. ერთი სახის დანაშაულობებისთვის, შესაძლებელია

ტიპური იყოს დანაშაულის ჩადენის ხერხები, გარემოებები და მეთოდები, კავშირები და კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვა ფაქტიური მონაცემები. ასევე ტიპური შეიძლება იყოს მტკიცებულებები, მათი წყაროები და მტკიცებულებათა მიღების მეთოდები და საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი სინამდვილეში ბევრად უფრო რთულია. მტკიცების საწყის მომენტში გამოძიებლის საქმიანობის საგანია არა მტკიცებულებათა მოძიება, არამედ კონკრეტული შემთხვევის კვალის პოვნა, რომელიც დარჩა მატერიალურ საგნებსა და ადამიანთა ცნობიერებაში. ატარებს რა საგამოძიებო მოქმედებებს, გამოძიებელი აღმოაჩენს კონკრეტული შემთხვევის კვალს, მოიპოვებს მასში შემავალ ინფორმაციას, რომელიც მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან უშუალოდაა დაკავშირებული და დააფიქსირებს მას. ასე, რომ დათვალიერება, დაკითხვა, ჩხრეკა თუ სხვ., - ეს არის გამოძიებლის აქტიური მოქმედება, მიმართული მტკიცებულებათა ფორმირებისკენ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგადად აღნიშნულ პროცესში, მნიშვნელოვანი როლი უკავია დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას, უფრო კონკრეტულად კი ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას, რომელიც კრიმინალისტიკის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც მეცნიერების სხვა დარგებთან, ასევე კრიმინალისტიკის სისტემის სხვა მიმართულებებთან.

კრიმინალისტიკით განსაზღვრულ ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკაში მეცნიერთა ნაწილი განასხვავებს ორ ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნაწილს:

ზოგადი დებულებები;

საგამოძიებო მეთოდიკა, განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულობების სახეობისა და დაჯგუფებების მიხედვით.

გამოძიების მეთოდიკა, ეს არის დანაშაულთა გამოძიების ორგანიზაციულ-ტაქტიკური და მეცნიერულ-ტაქტიკური ღონისძიებების სისტემა. გამოძიების მეთოდიკა აერთიანებს კრიმინალისტი-

კის სისტემის სამი მიმართულების მონაცემებს:

- ა) ზოგადი თეორიის;
- ბ) კრიმინალისტიკური ტექნიკის;
- გ) კრიმინალისტიკური ტაქტიკის.

დანაშაულის გამოძიების მეთოდის წყაროებს წარმოადგენს არა მხოლოდ კრიმინალისტიკის დებულებები, არამედ სასამართლო-საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადოებული დებულებები, შერწყმული საზოგადო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მონაცემებთან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს შესახებ. დანაშაულთა გამოძიების მეთოდის ამოცანებია: დანაშაულთა გახსნის მეთოდების, სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისა და გამოძიების სხვა საშუალებების ერთობლივი შედეგების შეჯერება და ანალიზი.

საგამოძიებო პრაქტიკის თეორიული დამუშავების საფუძველზე განზოგადების შედეგად, ხდება გამოძიების მეთოდების შემუშავება, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სწორედ კონკრეტულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდებს. უფრო ზუსტად თუ დავკონკრეტდებით, მეთოდულ კუთხით იგულისხმება კრიმინალისტიკური კვლევა, რომელიც ერთობლივად მოიცავს საგამოძიებო, საორგანიზაციო-მოსამზადებელ და სხვა მოქმედებებს, ასევე მათი გამოყენების სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციებს დანაშაულთა სრულყოფილად და სწრაფი გამოძიების მიზნებისთვის.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, როგორც არასაპროცესო ღონისძიებათა ერთობლიობა, იმყოფება რა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ, წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელ სახეს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, მისი განმახორციელებელი ორგანოების სახით, წყვეტს ფართომასშტაბიან ამოცანებს და სისხლის სამართლის პროცესს ეხება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხმარება სასამართლო, პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გახსნაში, აგრეთვე დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენასა და გამოაშკარავებაში.

როგორც ცნობილია, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების

მეთოდის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს დანაშაულის ცნებას, მის შემადგენლობასა და სხვა საბაზისო საკითხებს, კონკრეტულ დანაშაულთა სახეებს, ხოლო სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ გარემოებებს, რომლებიც ექვემდებარება მტკიცების პროცესს და მტკიცებულებათა შეგროვების საშუალებებს. აღნიშნულ მეთოდის მიზანშეწონილობა აგრეთვე არასაპროცესო საქმიანობა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა - განზოგადებული დანაშაულთა გამოძიების ინდივიდუალურ გამოცდილებასთან.

ამასთან, ასევე ცნობილია, რომ არ არსებობს ზოგადი გამოძიება, არსებობს დანაშაულთა კონკრეტული სახეების გამოძიება. აღნიშნული დანაშაულობები განსხვავდება ერთმანეთისგან არა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებით განსაზღვრული მახასიათებლებით, არამედ დანაშაულის ყოველი სახე ხასიათდება ჩადენის სხვადასხვა გარემოებებით, ხერხებითა და საშუალებებით. მკვლელისა და გამფლანგველის პიროვნული ფსიქოლოგიური მახასიათებლები არსებითად განსხვავებულია, განსხვავდება ერთმანეთისგან სხვა გარემოებებიც, ეს ყველაფერი კი, ყოველ კონკრეტულ დანაშაულს თავის ინდივიდუალურ მახასიათებლებს სძენს, რაც განაპირობებს კიდევ როგორც ზოგადთეორიული დებულებების, ისე კრიმინალისტიკური ტექნიკისა და საგამოძიებო ტექნიკის ხერხებისა და საშუალებების გამოყენების თავისებურებებს.

აღბათ ძალზე რთულია, უამრავი პრობლემით დამძიმებულ დღევანდელ სამყაროში, სადაც დღითიდღე სულ უფრო და უფრო მძიმდება კრიმინოგენული ვითარებაც, გამოყო რომელიმე პრობლემა, როგორც უმთავრესი. მაგრამ ფაქტია, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, კერძოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევა ამ უსასტიკეს დანაშაულთან ბრძოლა, ისევე როგორც ბრძოლა ტრეფიკინგთან, ნარკობიზნესთან, იარაღით უკანონო ბიზნესთან. სწორედ ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც კანონმდებლობაში ოპერატიულ-სამძებრო

საქმიანობითაა ცნობილი და, რომელთა განხორციელებისას, სამ-  
ნუხაროდ ხშირად ხდება ადამინის უფლებებისა და თავისუფლე-  
ბების შეზღუდვა, მაგრამ ეს შეზღუდვა ხომ მხოლოდ და მხოლოდ  
იმ ძირითადი ღირებულებების დასაცავად ხდება, როგორცაა ადა-  
მიანის სიცოცხლე, ფიზიკური უსაფრთხოება, საკუთრება და სხვა  
ღირებულებები.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, განხვავებული ფორ-  
მით ყველა ქვეყანაში აქტუალურ თემად გვევლინება, რადგან იგი  
დანაშაულებრივი ქმედების წარმატებით გამოძიების ერთ-ერთ  
ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, ამერი-  
კის შეერთებული შტატების კანონში „დაზვერვითი მონაცემების  
მიღების მიზნით სათვალთვალო ელექტრონული საშუალებების  
გამოყენებისა და ფარული დათვალიერების ჩატარების შესახებ“  
აღნიშნულია, რომ სათვალთვალოდ ელექტრონული საშუალებების  
გამოყენებასა და ფარულ დათვალიერებაზე სანქციას ანუ ორდერს  
იძლევა ამერიკის უმაღლეს სასამართლოსთან შექმნილი საბჭო  
ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. მათ იურისდიქციაში შედის  
განცხადებების მოსმენა და განკარგულებების გაცემა სახელმწი-  
ფოს ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით  
თვალთვალისა და ჩხრეკის ჩატარების შესახებ. კანონის თანახმად,  
უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვის მიზნით, დადგენილი წესით  
განხორციელებული მოსმენის შესახებ ოქმები ინახება უმაღლესი  
სასამართლოს თავმჯდომარესთან (ცსს-ს დირექტორთან, იუსტი-  
ციის მინისტრთან და გენერალურ პროკურორთან შეთანხმების  
შემდეგ). ორდერი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ფა-  
რულ თვალთვალსა და ჩხრეკაზე გაცემა იმ ვადით, რაც საჭიროა  
მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა უცხო ქვეყნის  
აგენტზე, და არა უმეტეს ერთი წლისა უცხო ქვეყანაზე. ინფორ-  
მაცია, რომელიც მიიღება ელექტრონული საშუალებებით თვალთ-  
ვალისა და ჩხრეკის შედეგად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს და  
ლეგალიზებული ეროვნული უშიშროების უწყების თანამშრომელთა  
მიერ მხოლოდ კანონიერი მიზნების მისაღწევად. სასამართლო  
განხილვის დროს ამ გზით მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება

გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი მიზნებისთვის გენერალური პროკურორის მიერ წინასწარ გაცემული ნებართვის გარეშე.

გერმანიის კრიმინალური პოლიციის საქმიანობაში ფარული ვიდეოჩანანერების გამოყენების აუცილებლობის საკითხები კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. როგორც ცნობილია, ვიდეოტექნიკა იწერს გამოსახულებასა და ხმას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელი დანაშაულის კვალთა აღმოჩენაში, მტკიცებულებათა ფორმირებაში, შეკრებასა და ფიქსაციაში. თუ მტკიცებულებათა დამაგრების წერილობითი ფორმა ითხოვს დამატებით ახსნას, ვიდეოგამოსახულებას ეს აუცილებლობა არ ესაჭიროება, რადგან იგი იძლევა მომხდარი დანაშაულის დეტალურ და უფრო დამაჯერებელ სურათს. ოპერატიული, ასევე ტაქტიკური შეხედულებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი, ვადაზე ადრე იქნეს გამხელილი მოწმის პიროვნება საშიში დამნაშავეის წინაშე. მისი ამოცნობის დამაჯერებლობის დასადასტურებლად და მოწმეთა ჩვენებებში წინააღმდეგობის აღსაკვეთად დამნაშავეთა წინაშე შეიძლება ვიდეოჩანანერის დემონსტრირება ტელეეკრანზე, რაც წარმოადგენს მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ გარანტიას. სამართლებრივი მოსაზრებებით, მართალია, ყოვლისმომცველი ვიდეოჩანანერებით სარგებლობა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეზღუდულია, თუმცა მათი გამოყენება საფუძვლიან დამატებად შესაძლებელია პროცესუალური მტკიცებულებების დამაგრებისას. „ვიდეო-დაკითხვის“ გამოყენებას (მისი შემდგომი გაშიფრვისა და წერილობითი დამაგრების შემდეგ) აქვს დიდი მტკიცებულებითი ძალა, განსაკუთრებით, თუ დაკითხული პირების მხრიდან არ არის წინააღმდეგობა.<sup>1</sup>

და ბოლოს, მსოფლიოში მიმდინარე ყველა დიდ პროცესში ღრმა ისტორიული კვალი დატოვა თავისუფლებისა და თანასწორობისთვის ბრძოლამ, ადამიანის უფლებების აღიარებისა და პატივისცემის განვითარებამ. ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, როგორიცაა - ადამიანის სიცოცხლე, პატივი და ღირსება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, გვხვდება

<sup>1</sup> kriminalistik, 1990,7.S 345-347



უმრავლეს რელიგიასა და მიმდინარეობაში. ნებისმიერ ქვეყანაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის მდგომარეობა საზოგადოებრიობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. არავის აქვს ადამიანის უფლებების იგნორირების და არც რაიმე უპირატესობით სარგებლობის უფლება მათი განმარტებისა თუ გამოყენებისას.

სიტყვები „ადამიანის უფლებები“, ფართოდ უკავშირდება შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ შემუშავებულ „ბუნებითი სამართლის“ თეორიას, რაც იმ პერიოდში ერთგვარად გავრცელებული იყო „ბუნებითი უფლებების განუყოფელი“ ანუ „ხელშეუვალი უფლებების“ ცნების სახით.

„ადამიანის უფლებების“, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენის წყაროდ, შეიძლება მივიჩნიოთ 1215 წელს ინგლისში მიღებული „თავისუფლების დიდი ქარტია“ (Magna Carta) და 1776 წელს მიღებული „ვირჯინიის ბილი“, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძვლები.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა, და, შეიძლება ითქვას, თავისი განვითარების პიკს მიაღწია 1789 წელს მიღებულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ და 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველია, თავისთავად არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს, არამედ მას მხოლოდ, როგორც „პრინციპების საყოველთაო დოკუმენტის“ ძალა აქვს. აღნიშნულ პრინციპებს სავალდებულო ძალა მიენიჭა 1966 წლის შემდეგ - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის“, საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ფაკულტატიური ოქმისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტის მიღების შემდეგ.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებულმა ნორმებმა, შესაბამისად თავისი ასახვა ჰპოვა 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის მეორე თავი, მთლიანად, მიძღვნილი აქვს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.“, თუმცა, ამავე დროს, ამ ნორმის გაგრძელებაში მითითებულია, რომ: „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“.

ნიშნავს თუ არა ნორმის ეს მოთხოვნა, რომ ხელისუფლების განხორციელებისას, არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ მისი მოქალაქეებიც შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით.

საყოველთაოდ აღიარებულმა საერთაშორისო ნორმებმა ასევე თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის ძირითადი კანონის საფუძველზე მიღებულ საქართველოს ნორმატიულ აქტებში (ორგანულ კანონებში, კანონებსა თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში). ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები წარმოადგენს იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ღრმად და სრულად აწესრიგებენ ურთიერთობებს სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები არის სახელმწიფოს კონსტიტუციით იურიდიულად განმტკიცებული და გარანტირებული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საკითხთა განხილვის წრეს და გამორიცხავს ცალკეული თანამდებობის პირთა მხრიდან ძალაუფლების გამოყენების პრეროგატივობის გამოყენებით, ამ უფლებებით დაცული რიგი ფუნდამენტური ღირებულებების საკითხთა გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოხსენებული, პირდაპირ კავშირშია სამართალ-დამცავი ორგანოების უმთავრეს საქმიანობაზე, საქმიანობაზე, რომელიც მიმართულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ და რომელიც ძირითადად მოიცავს დანაშაულთა ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა, თავიდან აცილებასა (პრევენციას) და აღკვეთას, ანუ, ძირითადად, დანაშაულის საფრთხის თავიდან აცილებას მანამდე, ვიდრე მოხდება დანაშაული და დადგება დანაშაულის შედეგი, აგრეთვე უკვე მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების ეფექტურად გამოძიებას, საქმეზე ქვეყნის დადგენას, დანაშაულის ჩამდენი პირების გამოვლენასა და დადგენას. ასევე იმ პირთა გამოვლენას, რომლებიც ცდილობენ, თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით ზიანი მოუტანონ ქვეყანას, კონკრეტულ ადამიანებსა თუ კერძო პირებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავი პირების მიერ კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული საქმიანობის განხორციელების პროცესში ზედმინევენით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საერთაშორისო ნორმებით აღიარებული და ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

### III. კრიმინოლოგია

#### მორის შალიკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი.

#### ხატია თანდილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი.

პოლიციელი, რომორც მსხპერალი

#### შესავალი

პოლიციელობა ძალიან პატივსაცემი პროფესიაა და დიდ ფიზიკურ და ფსიქიკურ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. სამართალდამცველს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რომლის შესრულება რთულ და საშიშ პირობებში უხდება.<sup>1</sup> „საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი არის ის კონსტიტუციურსამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაცვის მექანიზმების შექმნის პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, შექმნა პოლიცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების (რეპრესიულ) ღონისძიებებს.“<sup>2</sup>

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პოლიციის ძირითადი ფუნქციაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწეს-

<sup>1</sup> მერდოკი, ჯ./როშე, რ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, თბილისი, 2013, გვ. 133.

<sup>2</sup> ტურავა, პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული. რედ. კორკელია, კ., თბილისი, 2014, გვ. 120.

რიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება“. ამავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული პოლიციის ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს რამდენიმე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პოლიციელისთვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას საკუთარი მოვალეობის განხორციელების დროს. ასეთი საფრთხის შემცველი საპოლიციო ფუნქციებია მაგალითად, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და არალეგალური მიგრაციის პრევენცია, აღკვეთა; საძიებო-სამაშველო სამუშაოების განხორციელება.

პოლიციელი თავის ფუნქციების განხორციელებისას შესაძლებელია გახდეს, როგორც დანაშაულის, ასევე უბედური შემთხვევის მსხვერპლი.

პოლიციის თანამშრომლის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძაფრე განპირობებულია პოლიციელის, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მნიშვნელობით. მოქალაქე, დაუცველად გრძნობს თავს, როდესაც ხედავს, რომ დანაშაულის მსხვერპლი წინასწარ შერჩევით პოლიციელი გახდა. პოლიციის საქმიანობის შემადგენელ ნაწილად არის ქცეული დამნაშავის, მათ შორის მოძალადის განეიტრალება. ძალადობრივი ქმედებების დიდი ნაწილის ეპიცენტრში სწორედ სამართალდამცველები მოქმედებენ, რათა განმუხტონ სიტუაცია და თავიდან აიცილონ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. აღნიშნულის გამო კი, ისინი ხშირად თავად ხდებიან ძალადობისა და აგრესიის ობიექტები, მსხვერპლები.

## 2. პოლიციელის მსხვერპლად გახდომის ვიქტიმოლოგიური საფუძველები

ვიქტიმოლოგიური თეორიების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს ვიქტიმიზაციის მაღალი რისკის მქონე პირთა ჯგუფები, ახსნას მსხვერპლად გახდომის მიზეზები და სახელმწიფოს დაეხმაროს მსხვერპლად გახდომის პრევენციისათვის სათანადო ღონისძიებების შემუშავებაში.<sup>3</sup>

საქართველოში და უცხოეთშიც არსებული სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ პოლიციელი არც თუ ისე იშვიათად ხდება დანაშაულის მსხვერპლი.<sup>4</sup> შესაბამისად ისმის კითხვა, თუ რატომ ხდება პოლიციელი დანაშაული მსხვერპლი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის აუცილებელია ვიქტიმოლოგიური თეორიის, კერძოდ, „ცხოვრების წესის“ თეორიის მოშველიება. აღნიშნული თეორიის თანახმად, პირი დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს მისი ცხოვრების წესიდან და პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე.<sup>5</sup> თუ ამ მოცემულობას პოლიციის საქმიანობაზე გადმოვიტანთ, დავინახავთ, რომ პოლიციელის მსხვერპლად გახდომა მეტწილად სწორედ მისი საფრთხის შემცველი საქმიანობიდან გამომდინარეობს. პოლიციელს უნევს ისეთი მოვალეობების შესრულება როგორცაა დანაშაულის შეპყრობა, სამართალდარღვევის აღკვეთა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა. შესაბამისად, რიგით მოქალაქესთან შედარებით, მაღალია ალბათობა იმისა, რომ იგი გახდეს სხვა და სხვა დანაშაულის მსხვერპლი.

პოლიციელის მსხვერპლად გახდომის მეორე მიზეზი შეიძლება

<sup>3</sup> Burgess, A.W./Regehr, C./ Roberts, A.R., *Victimology: Theoris and Applications*, 2nd Edition, Burlington, 2013, pp. 70-71; თანდილაშვილი, ს., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2021, გვ. 18, [https://tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 15.12.2021).

<sup>4</sup> იხილეთ წინამდებარე სტატიის თავი: პოლიციის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა.

<sup>5</sup> შალიკაშვილი, მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 48.

იყოს საზოგადოების მხრიდან პოლიციის მიმართ დაბალია ნდობა.<sup>6</sup> 2020 წელს საქართველოში ჩატარებულმა ვიქტიმიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ პოლიციისადმი საზოგადოების პოზიტიური განწყობა ბოლო 8 წლის განმავლობაში 91%-დან 77,5%-მდე შემცირდა.<sup>7</sup> სავსებით ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ პოლიციის მიმართ უნდობლობის შედეგად საზოგადოებაში ხდება მის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რაც ზრდის პოლიციის მიმართ დანაშაულის ჩადენის ალბათობას. სწორედ ამიტომ აუცილებელია, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდეს პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის გაზრდა, რაც შეამცირებს პოლიციის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას. ამ კუთხით მისასაღმებელი და გასაძლიერებელია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი.<sup>8</sup>

პოლიციელების მიმართ ძალადობა და ანტაგონისტური დამოკიდებულება შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს ქვეყანაში არსებული კრიმინალური სუბკულტურული იდეების გავლენით,<sup>9</sup> რომელიც როგორც ცნობილია სახელმწიფოს და სამართალდამცავ სტრუქტურებს, ისე აღიქვამს, როგორც მოწინააღმდეგეს, მტერს. საქართველოში დაფქსირდა შემთხვევები, როდესაც წარსულში

<sup>6</sup> რადიო თავისუფლება: „ჩვენ მოვაგვარებთ: როცა არც მშობელს, არც პოლიციას ენდობი“, 2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30700596.html> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); ადამიანის სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, პოლიცია და უმცირესობის საკითხი (ზოგადი მიმოხილვა), გვ. 2, [https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/პოლიცია\\_და\\_უმცირესობების\\_საკითხი\\_1568117814.pdf](https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/პოლიცია_და_უმცირესობების_საკითხი_1568117814.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); ვან დაიკი, ი./ჭანტურია, თ./ლლონტი, გ., ვიქტიმიზაციის კვლევის ანგარიში, 2021, გვ. 61-62.

<sup>7</sup> ვან დაიკი, ი./ჭანტურია, თ./ლლონტი, გ., ვიქტიმიზაციის კვლევის ანგარიში, 2021, გვ. 47.

<sup>8</sup> ფეხით მოსიარულე პოლიციელის ინსტიტუტის შესახებ იხ. ბანაშვილი, ილ. ქვეითი პატრული და დანაშაულის პრევენცია. თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, კრიმინოლოგიის ჟურნალი #1 (2016), გვ. 47; ვილსონი, ჯ./კელიგი, ჯ., პოლიცია და უბნის უსაფრთხოება: გატყეხილი ფანჯრები (თარგმანი), თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, კრიმინოლოგიის ჟურნალი #2 (2017), გვ. 143.

<sup>9</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ. განაცხადი #45554/08, 2014, პგ. 37-38.

ნასამართლევნი და სავარაუდოდ, კრიმინალური სუბკულტურული იდეების მატარებელი პირების მიერ პოლიციელები მხოლოდ იმიტომ გახდნენ დანაშაულის მსხვერპლი, რომ ისინი პოლიციის ფორმით გადაადგილდებოდნენ, საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.<sup>10</sup> თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიციელის მკვლელობა/ჯანმრთელობის დაზიანება კრიმინალური სუბკულტურული იდეოლოგიის გამო პოლიციის მიმართ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულია.

ამ დროს პოლიციის მიმართ მხოლოდ იმიტომ ხდება დანაშაულის ჩადენა, რომ ის პოლიციელია. „პოლიციელობა“ მისი მოკვლის მიზეზი ხდება.<sup>11</sup> სწორედ ამიტომ სხვა და სხვა სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ისეთი ტენდენცია, რომ პოლიციის მიმართ ჩადენილი დანაშაული მიიჩნევა სიძულვილის მოტივით ჩადენილად.<sup>12</sup> მაგალითად, აშშ-ში ცალკეული შტატების კანონმდებლობაში 2016 წლიდან მოყოლებული შედის ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც პოლიციელზე თავდასხმა აღიარებულია, როგორც სიძულვილის მოტი-

<sup>10</sup> 2015 წელს შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უზნის ორი ინსპექტორ-გამომძიებელი წარსულში მრავალჯერ ნასამართლევმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით ერთი დაჭრა და ერთი მოკლა;

2015 წელს შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი და დეტექტივის თანაშემწე - გამომძიებელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარსულში ნასამართლევმა პირმა მოულოდნელად პოლიციელების მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი დაიჭრა, ერთი კი გარდაიცვალა.

<sup>11</sup> Margarita, M., Killing the Police, Myths and Motives, The Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 452, 1980, pp. 66-67.

<sup>12</sup> Mawby, R.C./Zempi, I., Police Officers' Experiences as Victims of Hate Crimes, Policing: An International Journal, Vol. 41, Iss. 5, 2018, p. 527; Policelivesmatter USA. org, Targeting Police Should Be a Hate Crime, <https://www.policelivesmatterusa.org/hate-crime> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); UNIA, Violence and Discrimination against Police, <https://www.unia.be/en/areas-of-action/police-and-justice/against-the-police> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); Newman, M./Watson, R., Hate Crimes on Police More Likely To Be Charged, BBC, 2021, <https://www.bbc.com/news/uk-56546490> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).



ვით ჩადენილი დანაშაული.<sup>13</sup>

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი მუშაკების დაზიანების საკითხი პოლიტიკური აქციების, დემონსტრაციების დროს.<sup>14</sup> მასობრივი, პოლიტიკური დემონსტრაციების დროს ხშირია საავტომობილო გზის გადაკეცვის ან/და შენობის პიკეტორების მცდელობები დემონსტრატების მხრიდან. მართლწესრიგის დაცვისთვის პოლიციელები ცდილობენ აღკვეთონ დემონსტრანტთა ასეთი მცდელობები, რის გამოც პოლიციელები სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

პოლიციელი პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს შესაძლებელია გახდეს უბედური შემთხვევის მსხვერპლი. უბედური შემთხვევის დროს მოქალაქეების მოლოდინია, რომ პოლიციელმა იმოქმედოს მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად, იმის მიუხედავად, ევალება თუ არა ეს მას, ან აქვს თუ არა მოქალაქის გადარჩენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.<sup>15</sup>

### 3. პოლიციელის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება პოლიციელის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა. დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების წარმოებამ და ანალიზმა ხელი უნდა შეუწყო დანაშაულის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.<sup>16</sup>

<sup>13</sup> Policelivesmatter USA. org, Targeting Police Should Be a Hate Crime, <https://www.policelivesmatterusa.org/hate-crime> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>14</sup> 2019 წლის 20 ივნისს თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ დაპირისპირების დროს 240 მოქალაქე დაშავდა: საიდანაც 80 იყო პოლიციელი, 30 ჟურნალისტი და 130 დემონსტრანტი; 2018 წლის 16 დეკემბერს თელავში იმართებოდა საქართველოს მე-5 პრეზიდენტის ინაუგურაცია. აღნიშნულის გაპროტესტების დროს დაშავდა 10-ზე მეტი პოლიციელი.

<sup>15</sup> 2007 წლის 26 ივლისს პატრულ-ინსპექტორი ირ. ქუთათელაძე მტკვარში შევიდა, რათა გადაერჩინა თვითმკვლელობის მიზნით მდინარეში გადამხტარი გოგონა. ირ. ქუთათელაძემ გოგონა გადაარჩინა, თვითონ კი მტკვარში დაიხრჩო.

<sup>16</sup> შალიკაშვილი, მ., კრიმინოლოგია. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამო-

საქართველოში მრავალი პოლიციელი ხდება ყოველწლიურად სიტყვიერი და/ან ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი. მაგალითად, 2017 წლიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის<sup>17</sup> 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (პოლიციელის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან სხვა შეურაცხმყოფელი ქმედება, რომელიც არ არის სისხლის სამართლის კოდექსით<sup>18</sup> გათვალისწინებული) მსხვერპლი გახდა 23 634 პოლიციელი.<sup>19</sup> 2013-2015 წლებში კი სსკ-ს 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) შედეგად დაზარალდა 937 პირი (მათ შორის პოლიციელები), ხოლო სსკ-ს 353<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან/და საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა) შედეგად დაზარალდა 87 პირი (მათ შორის პოლიციელები).<sup>20</sup> გარდა ამისა, 2012-2016 წლებში დაიღუპა 46 პოლიციელი, დაშავდა 124 პოლიციელი, ხოლო უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა 281 პოლიციელი.<sup>21</sup>

საფრანგეთში 2000 წელს რეგისტრირებულ იქნა საჯარო

---

ცემა. თბილისი, 2017. გვ. 21-23.

<sup>17</sup> შემდგომში - ასკ.

<sup>18</sup> შემდგომში - სსკ.

<sup>19</sup> <https://info.police.ge/uploads/5ad088fe792f8.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); <https://info.police.ge/uploads/5c94b5b5907d4.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=262&parent\\_id=185](https://info.police.ge/page?id=262&parent_id=185) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=339&parent\\_id=185](https://info.police.ge/page?id=339&parent_id=185) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=604&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=604&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=605&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=605&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=612&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=612&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>20</sup> იხ.: საქართველოს გენერალური პროკურატურის 2016 წლის 28 დეკემბრის წერილი N13/81717.

<sup>21</sup> იხ.: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 13 იანვრის წერილი N104838.

უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების, მათ შორის პოლიციელების მიმართ გამოვლენილი აგრესიის (შეურაცხყოფა და ძალადობა) 39 606 შემთხვევა, აღნიშნული რიცხვი 2019 წლისათვის 72%-ით გაიზარდა და შეადგინა 68 267 შემთხვევა.<sup>22</sup>

გერმანიაში პოლიციელის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული 2012 წლიდან მოყოლებული (გარდა 2017 წლისა) მუდმივად მატულობს.<sup>23</sup> მაგალითად, 2019 წელს პოლიციელის მიმართ ჩადენილ იქნა 38 635 ძალადობრივი დანაშაული, რომლის მსხვერპლიც გახდა 80 084 პოლიციელი,<sup>24</sup> 2020 წელს პოლიციელის მიმართ ჩადენილ იქნა 38 960 ძალადობრივი დანაშაული, რომლის მსხვერპლიც გახდა 84 831 პოლიციელი.<sup>25</sup> გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის უფროსის შეფასებით, გერმანიაში ყოველ დღე დაახლოებით 200 პოლიციელი ხდება ძალადობის მსხვერპლი.<sup>26</sup>

ინგლისსა და უელსში 2016 წლიდან მოყოლებული მატულობს პოლიციელზე თავდასხმის შემთხვევათა რაოდენობა. მაგალითად, 2018 წლის აპრილიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ადგილი

---

<sup>22</sup> Deszpot, T., „Les violences contre les forces de l’ordre ont-elles connu une “aggravation spectaculaire” depuis 20 ans?“, LCI, 2020, <https://www.lci.fr/population/les-violences-contre-les-forces-de-l-ordre-ont-elles-connu-une-aggravation-spectaculaire-depuis-20-ans-2167188.html> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>23</sup> Bundeskriminalamt (BKA), Gewalt gegen Polizeivollzugsbeamtinnen und Polizeivollzugsbeamte: Bundeslagebild 2020, S. 11, ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB\\_node.html](https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB_node.html) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>24</sup> Bundeskriminalamt (BKA), Gewalt gegen Polizeivollzugsbeamtinnen und Polizeivollzugsbeamte: Bundeslagebild 2019, S. 75, ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB\\_node.html](https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB_node.html) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>25</sup> Bundeskriminalamt (BKA), Gewalt gegen Polizeivollzugsbeamtinnen und Polizeivollzugsbeamte: Bundeslagebild 2020, S. 49, ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB\\_node.html](https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/Lagebilder/GewaltGegenPVB/gewaltGegenPVB_node.html) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>26</sup> Gensing, P., „Immer mehr mehr brutaler?“ tagesschau, 2020 <https://www.tagesschau.de/faktenfinder/gewalt-polizei-101.html> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

ჰქონდა 30 977 თავდასხმას,<sup>27</sup> 2019-2020 წლების ამავე პერიოდში დაფიქსირდა თავდასხმის 32 427 შემთხვევა, ხოლო 2020-2021 წლების ამავე პერიოდში ჩადენილ იქნა თითქმის 37 000 (36 969) თავდასხმა.<sup>28</sup>

აშშ-ში 2019 წელს 56 034 პოლიციელი გახდა თავდასხმის მსხვერპლი. აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს გაიზარდა და თავდასხმის მსხვერპლ პოლიციელთა რაოდენობამ შეადგინა 60 105.<sup>29</sup> გარდა ამისა, თუ აშშ-ში 2020 წელს სამსახურეობრივი მოვალოების შესრულებისას მოკლულ იქნა 46 პოლიციელი, 2021 წლის 19 ნოემბრის მონაცემების მიხედვით, 2021 წელს მოკლულ პოლიციელთა რაოდენობა 20-ით გაიზარდა და შეადგინა 66.<sup>30</sup>

#### 4. კვლევები პოლიციელის დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შესახებ

სამწუხაროდ, პოლიციელების მსხვერპლად გახდომის შესახებ საქართველოში არ არსებობს კრიმინოლოგიური კვლევები. საინტერესოა კვლევები, რომლებიც პოლიციელის ვიქტიმირებას ეხება. გთავაზობთ, გერმანიაში ჩატარებული ასეთი ორი კვლევის შედეგებს.

<sup>27</sup> Government of the United Kingdom, Statistics on the Number of Police Officers Assaulted in 2018/2019, England and Wales, [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/817742/hosb1119-assaults.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/817742/hosb1119-assaults.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>28</sup> Government of the United Kingdom, Statistics on the Number of Police Officers Assaulted in the Year Ending March 2021, England and Wales, <https://www.gov.uk/government/statistics/police-workforce-england-and-wales-31-march-2021/annex-statistics-on-the-number-of-police-officers-assaulted-in-the-year-ending-march-2021-england-and-wales> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>29</sup> Federal Bureau of Investigation (FBI), „FBI Releases Statistics for Law Enforcement Officers Assaulted and Killed in the Line of Duty“, 2021, <https://www.fbi.gov/contact-us/field-offices/dallas/news/press-releases/fbi-releases-statistics-for-law-enforcement-officers-assaulted-and-killed-in-the-line-of-duty> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>30</sup> Federal Bureau of Investigation (FBI), Crime Data Explorer: <https://crime-data-explorer.fr.cloud.gov/pages/le/leoka> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

#### 4.1. ნიდერზაქსენის კრიმინოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის კვლევა

2010-2012 წლებში ნიდერზაქსენის კრიმინოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის (გერმანია) მიერ ჩატარდა პოლიციელების ვიქტიმირების კვლევა (გამოკითხვა). გამოკითხვაში 20 938 პოლიციელმა მიიღო მონაწილეობა გერმანიის ათი ფედერალური მიწიდან. გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2 693 პოლიციელი ბოლო ხუთ წლებში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, რის გამოც მინიმუმ ერთი დღით ვერ შეძლო სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულება.<sup>31</sup>

შემთხვევების 3/4-ის დროს, რომელმაც პოლიციელის დაშავება გამოიწვია, დამნაშავე მარტო მოქმედებდა. დამნაშავეების 92% მამაკაცები, ხოლო 59,3% 25 წლამდე პირები იყვნენ. გარდა ამისა, დამნაშავეების 37,8% არაგერმანელი წარმოშობის იყო, ხოლო 43% ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დამნაშავეების 2/3 მანამდეც იყო პოლიციისთვის ცნობილი. არაგერმანელი წარმოშობის დამნაშავეებიდან 32% ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იყო.<sup>32</sup>

აღნიშნული კვლევის თანახმად, მსხვერპლი პოლიციელების დიდი ნაწილი მამაკაცია. გარდა ამისა, ახალგაზრდა პოლიციელები უფრო ხშირად ხდებიან მსხვერპლი,<sup>33</sup> ვიდრე მათი ასაკოვანი კოლეგები. მაღალი (186 სმ.) და დიდი წონის (96 კგ.) პოლიციელები უფრო იშვიათად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. პოლიციელები, რომლებიც პატრულირებენ და შესაბამისად, პირველები მიდიან შემთხვევის ადგილზე, უფრო ხშირად ხდებიან ესკალირებული სიტუაციის მსხვერპლი.

დროის ფაქტორის გათვალისწინებით საინტერესოა, რომ

<sup>31</sup> Ellrich, K./Baier, D./Pfeiffer, Chr., Polizeibeamte als Opfer von Gewalt. Ergebnisse einer Befragung von Polizeibeamten in zehn Bundesländer, Baden-Baden, 2012, S. 37-38.

<sup>32</sup> Ellrich, K./Baier, D./Pfeiffer, Chr., Polizeibeamte als Opfer von Gewalt. Ergebnisse einer Befragung von Polizeibeamten in zehn Bundesländer, Baden-Baden, 2012, S. 74.

<sup>33</sup> ფონ ჰენტიგის თანახმად, ახალგაზრდები უფრო ხშირად ხდებიან დანაშაულის მსხვერპლი, რაც მათი გამოუცდლობით არის განპირობებული. შალიკაშვილი, მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 37.

პოლიციელებზე თავდასხმა ძირითადად ხდებოდა პარასკევს და შაბათ-კვირას. თავდასხმები ძირითადად ხორციელდებოდა საღამოს და ღამის საათებში (20.00-4.00) და ზაფხულის თვეებში.<sup>34</sup> პოლიციელებზე თავდასხმების 47% ხდებოდა საჯაროდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ქუჩაში, პარკებში, ავტოსადგომებზე). ყველაზე ხშირად პოლიციელი მსხვერპლი ხდება შემდეგ სიტუაციებში: პერსონალური მონაცემების შემოწმება, ოჯახური ძალადობა, საჯარო წესრიგის დარღვევა, დემონსტრაციები, სახალხო ზეიმები, ფეხბურთის თამაშები და მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევებზე გამოძახების დროს.<sup>35</sup>

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 75,4% შემთხვევების დროს ადგილი ჰქონდა დამნაშავესთან პოლიციელის კომუნიკაციას. პოლიციელები, რომლებსაც მსხვერპლად გახდომამდე კომუნიკაცია ჰქონდათ დამნაშავესთან, უფრო მსუბუქად იქნენ დამნაშავეს მიერ დაზიანებული.

ძალადობის ფორმებს შორის, რომელსაც დამნაშავეები პოლიციელების მიმართ იყენებდნენ 81% მოდის სიტყვიერ შეურაცხყოფაზე და მუქარაზე, 47,8% - ხელის კვრა, შეჯახება, პოლიციელის დაჭერა, 26,5% - პოლიციელების ცემა, მუშტების და ფეხების დარტყმა, 24,9% - საგნების სროლა პოლიციელების მიმართ, 9% - მუქარა ბლაგვი საგნით, 8,6% - ბლაგვი საგნით თავდასხმა, 0,4% - ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პოლიციელის მიმართ.<sup>36</sup>

დამნაშავეს მხრიდან პოლიციელებზე თავდასხმის მოტივად ძირითადად (37,8%) სახელდება დაკავებისათვის ხელის შეშლა, დამნაშავეს არ სურდა, რომ პოლიციელს იგი დაეკავებინა, ხოლო სხვა მოტივებს შორის აღსანიშნავია პოლიციის მიმართ სიძულვილის მოტივი. ამ მოტივს ძირითადად ასახელებდნენ დამნაშავეები მუს-

<sup>34</sup> Ellrich, K./Baier, D./Pfeiffer, Chr., Polizeibeamte als Opfer von Gewalt. Ergebnisse einer Befragung von Polizeibeamten in zehn Bundesländer, Baden-Baden, 2012, S. 56-57.

<sup>35</sup> Ellrich, K./Baier, D./Pfeiffer, Chr., Polizeibeamte als Opfer von Gewalt. Ergebnisse einer Befragung von Polizeibeamten in zehn Bundesländer, Baden-Baden, 2012, S. 58-60.

<sup>36</sup> Ellrich, K./Baier, D./Pfeiffer, Chr., Polizeibeamte als Opfer von Gewalt. Ergebnisse einer Befragung von Polizeibeamten in zehn Bundesländer, Baden-Baden, 2012, S. 44.

ლიბერული და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომლებიც პოლიციას სახელმწიფოსთან აიგივებდნენ და პოლიციელისადმი თავდასხმით სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ.<sup>37</sup> მუსლიმი დამნაშავეებისთვის პრობლემური იყო ქალი პოლიციელების მიერ მიცემული მითითება, რასაც დამნაშავეები უგულბებლყოფდნენ იმ მოტივის გამო, რომ ქალს მისთვის მითითების უფლება არ ჰქონდა.

## 4.2. ნორდჰაიმვესტფალენის კვლევა

ნორდჰაიმვესტფალენის კვლევაში (NRW-Studie)<sup>38</sup> მონაწილეობდა 18 356 პოლიციელი, რომელთაგან 3301 იყო ქალი, ხოლო 15006 მამაკაცი, 49 სქესის შესახებ ინფორმაცია არ შეუვსია. 18 356 პოლიციელიდან მოქალაქეებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში იყო 14 348, რომელთაგან 7 953-მა აღნიშნა, რომ დღეში ერთხელ მაინც ხდება მოქალაქის მხრიდან სიტყვიერი ან/და ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი. 4746 პოლიციელი ყოველდღიურად გამხდარა მძიმე პიროვნული თავდასხმის მსხვერპლი. ხუთიდან ყოველი ოთხი პოლიციელი, რომელსაც კონტაქტი აქვს მოქალაქესთან, ხშირად გამხდარა სიტყვიერი ან/და ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი.

14 348 პოლიციელის მიმართ განხორციელდა 33 797 თავდასხმის (ყვირილი, სიტყვიერი პროვოკაცია, შეურაცხყოფა, მუქარა, შევინროვება და სხვა) შემთხვევა ბოლო ერთი წლების განმავლობაში. კვლევის თანახმად, პოლიცილებს ყოველდღიურად ორჯერ ან სამჯერ ჰქონდათ საქმე ასეთი თავდასხმის შემთხვევასთან.

კვლევის თანახმად, პოლიციელებზე თავდამსხმელ დამნაშავეთა დიდი ნაწილი (65,8%) დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი იყო.

<sup>37</sup> „policiisTvis gacilebiT advilia eTnikuri norvegielebis ndobis mopoveba, vidre axalgazrda musulmanebisa, romlebsac rogorc wesi, cudi urTierToba aqvT policiasTan, rac ndobis mopovebis sakiTxs kidev ufro arTulebs“. t. biorgo, დანაშაულის პრევენცია. ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 327.

<sup>38</sup> Jager, J./Klatt, T./Bliesener, T., NRW-Studie: Abschlussbericht. Gewalt gegen Polizei-beamtinnen und Polizeibeamte. Kiel, 2013, [https://polizei.nrw/sites/default/files/2016-11/131202\\_NRW\\_Studie\\_Gewalt\\_gegen\\_PVB\\_Abschlussbericht.pdf](https://polizei.nrw/sites/default/files/2016-11/131202_NRW_Studie_Gewalt_gegen_PVB_Abschlussbericht.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

4,2% თავდამსხმელი მიგრანტი იყო. ისინი მდედრობითი სქესის პოლიციელებს უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ და მასთან (პოლიციელთან) კონტაქტის დამყარებაზე აგრესიულად ამბობდნენ უარს.

პოლიციელი მსხვერპლების 81,8% მდედრობითი, ხოლო 85,7% მამრობითი სქესის არის.

თავდასხმების შემთხვევების 65,1% ჩადენილი იყო ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ. დანმაშავეთა 84% მამაკაცი იყო, რომლებიც ხშირად ჯგუფურადაც მოქმედებდნენ. პოლიციელების 65% მათი მსხვერპლად გახდომის ძირითად ადგილად მიუთითებს საჯარო (საზოგადოების თავშეყრის) ადგილებს, პოლიციის ამ ადგილებში გამოძახების ძირითადი მიზეზი მოქალაქეების ერთმანეთთან ჩხუბი და საჯარო წესრიგის დარღვევაა. ადგილზე გამოცხადებულ პოლიციელს ხვდება ნასვამი ადამიანების ჯგუფი, რომელიც არათუ არ ემორჩილება პოლიციის მოთხოვნებს, არამედ თავსაც კი ესხმის სამართალდამცველებს. შემთხვევების 50,2%-ის დროს ადგილი ჰქონდა პოლიციის მიმართ სიტყვიერ თავდასხმას (შეურაცხყოფას, ყვირილს, სიტყვიერ პროვოკაციას), ხოლო 11,8% შემთხვევების დროს - ფიზიკურ თავდასხმას (დარტყმა, ხელის კვრა). ჩადენილი ქმედებებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით ყველაზე ხშირია პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევა (85,3%), ჯანმრთელობის დაზიანება (59,2%) და მკვლელობის მცდელობა (1,3%).

გამოკითხულ პოლიციელთაგან 7888-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო. დაზიანებებიდან ყველაზე ხშირი იყო სისხლჩაქცევები, კანის სილურჯე, მოტეხილობები (68%), ნაკანრები (57,8%). პოლიციელთა 20%-ს ექიმის მომსახურება დასჭირდა, რომელთაგან 6,1%-მა დაზიანებების გამო მოკლე პერიოდის განმავლობაში ველარ შეძლო სამსახურის გაგრძელება. პოლიციელთა 2,1 პროცენტმა განაცხადა, რომ დაზიანებებმა, რომელსაც სისტემატიურად მათ მოქალაქეები აყენებენ, სხეულის ნაწილის მოშლა გამოიწვია.



### 4.3. აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს კვლევა

აშშ-ს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შეისწავლა 50 საქმე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1975 დ 1985 წლებში. აღნიშნულ საქმეებში მთლიან ჯამში მოკლულ იქნა 54 პოლიციელი, რომლებიც ახორციელებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. მათ ძირითადად უწევდათ პირის დაკავება ან რეაგირებისათვის ჩართულები იყვნენ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის პროცესში.<sup>39</sup>

ჩატარებული კვლევის მიხედვით, მკვლევლობის მსხვერპლი ძირითადად ხდება პოლიციელი, რომელიც არის მეგობრული, მიმდობი, რომელსაც ნაკლებად სურს ძალის გამოყენება და რომელიც ნაკლებად იცავს მკაცრ პოლიციურ წესებს. კვლევის მიხედვით, სასიკვდილო სიტუაცია წარმოიქმნება მაშინ, როცა პოლიციელი საეჭვო სიტუაციისას არ მოითხოვს დამატებითი ძალების გამოყოფას, ან როცა პოლიციელი საკუთარ თავს არ წარადგინეს, ან საგზაო მოძრაობის შემონმებისას არ გადაამონმებს საეჭვო მანქანის ნომერს. შესწავლილ საქმეთა ორ მესამედში, პოლიციელმა ვერ შეძლო დამნაშავის ფიზიკური ან არსებული პრობლემური სიტუაციის გააკონტროლება. შესაბამისად, თუ დამნაშავეს სურს გაქცევა, მაშინ პოლიციელის მხრიდან არასათანადო რეაგირება შეიძლება დამთავრდეს მისი სიკვდილით. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოსცა ანგარიში „სამსახურებრივი მოვალეობის დროს მოკლული“, რომლითაც გასცა რეკომენდაცია პოლიციელების უკეთესად დატრენინგების შესახებ. მაგალითად, იგი მოუწოდებს შესაბამის უწყებებს, რომ ისე დაატრენინგონ პოლიციელები, რომ პირმა ვერ ჩაიგდოს ხელში მისი სამსახურებრივი იარაღი.<sup>40</sup>

<sup>39</sup> Stokstad, E., What Makes a Police Officer a Victim?, Science, Vol. 289, Iss. 5479, 2000, pp. 584-585.

<sup>40</sup> Stokstad, E., What Makes a Police Officer a Victim?, Science, Vol. 289, Iss. 5479, 2000, pp. 584-585.

## 5. პოლიციელის მიმართ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოში პოლიციის მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებიდან ზოგიერთი მიიჩნევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ზოგიერთი კი დანაშაულად. კერძოდ, ასკ-ს 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს სამართალდამცველის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან მისი სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა ისეთი შეურაცხმყოფელი ქმედებების განხორციელება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით. წინამდებარე სტატიაში უკვე აღინიშნა, რომ საკმაოდ მაღალია ასკ-ს მოცემული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა რაოდენობა. მაგალითად, 2017 წელს მოცემულ სამართალდარღვევათა რაოდენობამ შეადგინა 5298,<sup>41</sup> 2018 წელს – 4761,<sup>42</sup> 2019 წელს – 5801,<sup>43</sup> 2020 წელს -4300,<sup>44</sup> 2021 წელს (იანვარი - სექტემბერი) – 3474.<sup>45</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებში პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება დანაშაულად მიიჩნევა. ამის მაგალითია გერმანია, სადაც პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს მოქმედებს გერმანიის სისხლის სამართლის

<sup>41</sup> <https://info.police.ge/uploads/5ad088fe792f8.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>42</sup> <https://info.police.ge/uploads/5c94b5b5907d4.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>43</sup> ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://info.police.ge/page?id=262&parent\\_id=185](https://info.police.ge/page?id=262&parent_id=185) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>44</sup> ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://info.police.ge/page?id=339&parent\\_id=185](https://info.police.ge/page?id=339&parent_id=185) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>45</sup> ჩამოტვირთვა შესაძლებელია: [https://info.police.ge/page?id=604&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=604&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=605&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=605&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021); [https://info.police.ge/page?id=612&parent\\_id=575](https://info.police.ge/page?id=612&parent_id=575) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

კოდექსის 185-ე პარაგრაფი.<sup>46</sup> მოცემული მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, სასჯელის ზომად განსაზღვრულია ჯარიმა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სასჯელის ზომა განსხვავდება შეურაცხყოფის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, საგზაო წესების დარღვევისას, პოლიციელისთვის ენის გამოყოფა ისჯება 150 ევროთი, პოლიციელისთვის შემდეგი სიტყვების თქმა „შე ხისთავიანო“ - ისჯება 750 ევროთი, ხოლო პოლიციელისთვის შუა თითი ჩვენება ისჯება 4 000 ევროთი.<sup>47</sup> გერმანიის გარდა, საფრანგეთშიც,<sup>48</sup> ინგლისშიც<sup>49</sup> და ავსტრალიაშიც<sup>50</sup> დანაშაულად მიიჩნევა პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება.

რაც შეეხება პოლიციელის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება, სსკ-ში განმტკიცებულია ისეთი დანაშაულის შემადგენლობები, რომლებიც თავის თავში ითვალისწინებენ დაზარალებულის სპეციალურ სტატუსს, ანუ მიმართულია პოლიციელის დაცვისკენ (მოცემული სპეციალური ნორმების არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში პოლიციელის მიმართ განხორციელებული ქმედების კვალიფიკაცია გასცდეს სსკ-ს ქვემოგანხილულ მუხლებს). პირველ რიგში აღსანიშნავია სსკ-ს 353-ე და 3531 მუხლები. ორივე მათგანი მოთავსებულია კოდექსის მე-11 კარში - სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. აღნიშნულით უკვე

<sup>46</sup> <https://anwalt-strafrecht-berlin.org/strafverteidigung/anwalt-straftat-strafgesetzbuch/staatsdelikte/beamtenbeleidigung-beleidigung-von-polizisten/> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>47</sup> Beamtenbeleidigung: Fällt die Strafe wirklich höher aus?, Mobilitätsmagazin, 2021, <https://www.bussgeldkatalog.org/beamtenbeleidigung/#strafen> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>48</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 433-5-ე მუხლი.

<sup>49</sup> Section 5 of Public Order Act 1986; UK House of Common of the United Kingdom, Home Affairs Section „Insulting Words or Behaviour“: Section 5 of Public Order Act 1986, Standard Note: SN/HA/5760, House of Common Library, pp. 2-3.

<sup>50</sup> Methven, E., A Little Respect: Swearing Police and Criminal Justice Discourse, International Journal for Crime, Justice and Social Democracy, Vol. 7, Iss. 3, 2018, p. 59.

ვლინდება, რომ პოლიციელის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მიიჩნევა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად.

სსკ-ს 353-ე მუხლით დასჯადად არის გამოცხადებული პოლიციელის<sup>51</sup> მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე უკანონი ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. სსკ-ს 3531 მუხლით კი დასჯად ქმედებას წარმოადგენს პოლიციელზე,<sup>52</sup> მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა, თუ ეს თავდასხმა ჩადენილია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოცემული მუხლების გარდა მნიშვნელოვანია სსკ-ს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს განზრახ მკვლელობა ჩადენილი მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან აღსანიშნავია სსკ-ს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ასევე დამამძიმებელ გარემოებად მოაზრებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას ჩადენილი მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა მიიღოს თუ არა მხედველობაში დაზარალებულის სპეციალური სტატუსი და უნდა შეეფარდოს თუ არა დამნაშავეს უფრო მკაცრი სასჯელი, როცა იგი დანაშაულს ჩადის პოლიციელის მიმართ.<sup>53</sup> მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობა შეიცავს დათქმას იმის შესახებ, რომ ის გარემოებები, რომელთა

<sup>51</sup> მოცემული ნორმა იცავს არა მხოლოდ პოლიციელს, არამედ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც.

<sup>52</sup> მოცემული ნორმა იცავს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც.

<sup>53</sup> Isfen, O./Rauxloh, R.E., Police Officers as Victims: Sentencing Standards and their Justifications in England and Germany, *The Journal of Criminal Law*, Vol. 81, Iss. 1, 2017, pp. 33-49.

გათვალისწინებაც ხდება დანაშაულის შემადგენლობის ეტაპზე, აღარ უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის ეტაპზე.<sup>54</sup> აღნიშნული სტანდარტი 2013 დაადასტურა გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მისი მნიშვნელოვანი გადანყვეტილებით,<sup>55</sup> რომელშიც აღნიშნა, რომ პოლიციელზე თავდასხმის შემთხვევაში, დაზარალებულის სტატუსი უკვე მიეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობას, ანუ, პოლიციელზე თავდახმა უკვე დანაშაულის შემადგენილი ნაწილია და ამ ნიშნით არ უნდა მოხდეს სასჯელის დამძიმება.<sup>56</sup>

## 6. პოლიციელის სოციალური გარანტიები

პოლიციელის რისკის შემცველი საქმიანობა მოითხოვს მის მიმართ მაღალი სოციალური გარანტიების არსებობას. საქართველოში სავალდებულოა პოლიციელის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სახელმწიფო დაზღვევა.<sup>57</sup> შესაბამისად, თუ პოლიციელი დაშავდება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, მას არ უნევს მკურნალობის ხარჯები განევა.

გარდა ამისა, თუ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მოხდება პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანება, მაშინ სახელმწიფო მას აძლევს ერთჯერად დახმარებას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე.<sup>58</sup> კერძოდ, ჯანმრთელობის

<sup>54</sup> გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტი; დიდი ბრიტანეთი: The Sentencing Guidelines Council, Guideline „Overarching Principles: Seriousness“, p. 6, [https://www.sentencingcouncil.org.uk/wp-content/uploads/web\\_seriousness\\_guideline.pdf](https://www.sentencingcouncil.org.uk/wp-content/uploads/web_seriousness_guideline.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>55</sup> BGH 2 Str 119/13-Urteil vom 9.Oktober 2013 (LG Bonn).

<sup>56</sup> Isfen, O./Rauxloh, R.E., Police Officers as Victims: Sentencing Standards and their Justifications in Enland and Germany, The Journal of Criminal Law, Vol. 81, Iss. 1, 2017, pp. 39-40; Isfen, O., Der „Repräsentant des Staates“ als Opfer, der Straftat: Strafschärfend, strafmildernd oder unrechts- und schuldneutral? Höchstrichterliche Rechtsprechung zum Strafrecht (HRRS), 3/2014, 15. Jahrgang, S. 88-89, <https://www.hrr-strafrecht.de/hrr/archiv/14-03/hrrs-3-14.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 09.12.2021).

<sup>57</sup> პოლიციის შესახებ კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>58</sup> სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები

მძიმე დაზიანებისას გაიცემა 7 000 (შვიდი ათასი) ლარი, ნაკლებად მძიმე დაზიანებისას - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, ხოლო მსუბუქი დაზიანებისას - 2 000 (ორი ათასი ლარი).<sup>59</sup> თუ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვლება პოლიციელი, მაშინ ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფო მის ოჯახს აძლევს ერთჯერად დახმარებას, რომელიც შედგება არაუმეტეს 15 000 ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი 500 ლარისგან.<sup>60</sup> ხოლო თუ პოლიციელი გარდაიცვლება სამსახურეობრივი მოვალეობის კონკრეტული სახეობების შესრულებისას, მაშინ სახელმწიფო მის ოჯახს აძლევს ერთჯერად დახმარებას 100 000 (ასი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი 500 ლარის ოდენობით. სამსახურეობრივი მოვალეობის მოცემული კონკრეტული სახეობებია: პოლიციის შესახებ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელება; სამართალდარღვევის აღკვეთა; დამნაშავის შეპყრობა; დამნაშავეობასთან ბრძოლა; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკება; სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმა; ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენა.<sup>61</sup>

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია სოციალური დაცვის სხვა გარანტიებიც,<sup>62</sup> ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს პოლიციელების სოციალური დაცვის მექანიზმის გაძლიერებას.<sup>63</sup>

---

ვრცლად იხ.: თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2021, გვ. 234-240, [https://tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) (უკანასკნელად ნანახია: 15.12.2021).

<sup>59</sup> პოლიციის შესახებ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>60</sup> პოლიციის შესახებ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>61</sup> პოლიციის შესახებ კანონის 50-ე მუხლის 11 პუნქტი.

<sup>62</sup> პოლიციის შესახებ კანონის 49-ე, 50-ე და 51-ე მუხლები.

<sup>63</sup> საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისთვის (საბოლოო ვარიანტი), თბილისი, 2012, გვ. 12.

## 7. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციელობა რთული და სახიფათო პროფესიაა. პოლიციელები ხშირად ხდებიან მოქალაქეების მხრიდან მსხვერპლი.

პოლიციის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:<sup>64</sup>

- პოლიციის მიმართ პატივისცემის ნაკლებობა, რაც სახელმწიფო ორგანოების მიმართ უპატივცემულობიდან მომდინარეობს;
- პოლიციის საქმიანობის უარყოფითი გაშუქება მედია საშუალებებით;
- დამნაშავეების ნასვამი მდგომარეობა;
- კრიმინალური იდეოლოგია;
- ჯგუფური დინამიკა, ჯგუფის წევრობის სურვილი;
- თავისუფლების აღკვეთის შიში.

როგორც კვლევები ადასტურებენ, პოლიციელი შეიძლება გახდეს დანაშაულის ან უბედური შემთხვევის მსხვერპლი. შესაბამისად, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება იქნეს გამახვილებული პოლიციელის პროფესიის პოპულარიზაციისთვის; პოლიციელის პროფესიის მნიშვნელობის მოქალაქეებისთვის მიწოდება; გაძლიერდეს ფეხით მოსიარულე პოლიციის ინსტიტუტი (მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი), რაც ხელს შეუწყობს პოლიციელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აღმოფხვრას; ხელი შეეწყოს პოლიციელს საკუთარი უფლებამოსილების უსაფრთხოდ განხორციელებაში; გაძლიერდეს პოლიციელების თავდაცვის მიმართულებით დატრენინგება; გაძლიერდეს პოლიციელის სოციალური დაცვა და ა.შ.

---

<sup>64</sup> Hermanutz, M. (Hrsg.), Gewalt gegen Polizisten. Sinkender Respekt und steigende Aggression?, Frankfurt, 2015, S. 61; Elsner, E./Laumer, M., Gewalt gegen Polizeibeamte in Bayern, München, 2015, S. 144-147.

## IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი

### ლადო ქანტურია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა

#### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალში

რეზო გოგშელიძე - თვალსაჩინო ქართველი იურისტი, მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი და პატრიოტი, ჩემი თაობის იურისტების მოუშუშებელი ტკივილია დღემდე. ეს ტკივილი მისმა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ მოგვაცენა. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ჩვენს რეზოსთან ურთიერთობის ბედნიერება, შეუძლებელია დაივიწყოს სიცოცხლით, სიკეთით, ენით აუნერგელი სულიერებითა და სათნოებით, პრინციპულობითა და შეუპოვრობით აღსაყვება ადამიანი. ის იყო განსაკუთრებული ლექტორი, რომელიც სტუდენტების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. თუ სიცოცხლის შემდეგ ბედნიერება არსებობს ამ ქვეყანაზე, ეს არის ოჯახი, შვილები და სახელი. რეზო გოგშელიძე ამ მხრივაც უდავოდ სამაგალითოა: მისი მეუღლე, პროფესორი ნონა თოდუა, შვილები ზურაბ და მარიამ გოგშელიძეები მის სახელს დიდი პატივით ამკობენ დღემდე. წინამდებარე სტატიას ვუძღვნი ჩემი ძვირფასი მეგობრის ნათელ ხსოვნას.



## შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში - სტრასბურგის სასამართლო) როგორც საერთაშორისო სასამართლო, არ იხილავს ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებულ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ შეცდომებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეცდომები არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (შემდგომში - კონვენცია) განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>1</sup> ჩვეულებრივ, სტრასბურგის სასამართლო ეთანხმება ეროვნული სასამართლოების მიერ ეროვნულ კანონმდებლობის შესახებ გაკეთებულ განმარტებებს, თუკი ეს განმარტებები არ არის „თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელი“.<sup>2</sup>

კონკრეტულ საქმეზე მხარეთა არგუმენტებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლება მინიჭებული აქვთ ეროვნულ სასამართლოებს, თუმცა ამ შეფასების პროცესში ისინი ვალდებული არიან, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები და მიუთითონ მიღებულ გადაწყვეტილებათა მოტივებზე. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ მოტივირებული გადაწყვეტილებები იძლევა მართლმსაჯულების განხ-

<sup>1</sup> საქმე Garcia Ruiz v. Spain (GC), no. 30544/96, 21.01.1999, § 28.

<sup>2</sup> საქმე Bochan v. Ukraine (Nr. 2) (GC), no. 22251/08, 11.03.2015, § 61: *“It reiterates that, according to its long-standing and established case-law, it is not for this Court to deal with alleged errors of law or fact committed by the national courts unless and in so far as they may have infringed rights and freedoms protected by the Convention [...], for instance where it can, exceptionally, be said that they are constitutive of “unfairness” incompatible with Article 6 of the Convention. While this provision guarantees the right to a fair hearing, it does not lay down any rules on the admissibility of evidence or the way in which evidence should be assessed, these being primarily matters for regulation by national law and the national courts. Normally, issues such as the weight attached by the national courts to given items of evidence or to findings or assessments in issue before them for consideration are not for the Court to review. The Court should not act as a court of fourth instance and will not therefore question under Article 6 § 1 the judgment of the national courts, unless their findings can be regarded as arbitrary or manifestly unreasonable [...].*

ორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას.<sup>3</sup>

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და მოტივირების ხარისხი დამოკიდებულია მოცემული გადაწყვეტილების ხასიათზე და შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მაგრამ, თუ პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარის არგუმენტი გადამწყვეტია საქმის განხილვისათვის, მაშინ ამ არგუმენტს ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გასცენ მკაფიო პასუხი.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა ეროვნული საპროცესო სამართლის მნიშვნელოვან საფუძველს და კონვენციის ერთ-ერთ ცენტრალურ მოთხოვნას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლო არც თუ იშვიათად ადგენს კონვენციის ამ სტანდარტის დარღვევას. შესაძლებელია ამ დარღვევათა სამი ჯგუფის გამოყოფა. პირველი, როცა ეროვნული სასამართლოები გადაწყვეტილებას იღებენ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და უყურადღებოდ ტოვებენ განსახილველი საქმის არსებით საკითხებს. მეორე ჯგუფს განეკუთვნება გადაწყვეტილებები, რომელთა დასაბუთება არ შეესაბამება კონვენციის სტანდარტებსა და მოთხოვნებს. მესამე ჯგუფი შედგება შემთხვევებისაგან, რომლებშიც ნაციონალური სასამართლოს გადაწყვეტილება თუმცა ეყრდნობა სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალს, მაგრამ არასწორად ასახავს მის პრინციპებს. ხშირ შემთხვევებში სტრასბურგის სასამართლო იზიარებს ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებულ შეფასებას და მათ დასაბუთებას. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის საკითხები სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

<sup>3</sup> საქმეები Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, 27.09.2001, § 30, Suominen v. Finland, no. 37801/97, 01.07.2003, § 36.

## 1. გადაწყვეტილებები სათანადო დასაბუთების გარეშე

სტრასბურგის სასამართლომ მრავალ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის ნორმების ინტერპრეტაცია ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა და მის ამოცანას არ წარმოადგენს ამ საქმეში ადგილობრივი მოსამართლეების ჩანაცვლება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას შეიძლება თვითნებური გადაწყვეტილების კვალიფიკაცია მიენიჭოს, რადგან ისინი საერთოდ არ შეიცავენ დასაბუთებას და არ უთითებენ გადაწყვეტილების მიღების მიზეზებსა და მოტივებზე.<sup>4</sup>

საქმეში *გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ*,<sup>5</sup> მომჩივანი აპროტესტებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მას მსჯავრი დასდეს იმ დანაშაულისათვის, რომელიც სასჯელის შეფარდების მომენტისათვის დეკრიმინალიზებული იყო, ხოლო მისი არგუმენტები განუხილველად დატოვეს. დაეთანხმა რა მომჩივნის მოთხოვნას, სტრასბურგის სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ რამდენად სწორად მოახდინა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურატურამ დანაშაულის გადაკვალიფიცირება უკანონო სასამართლო განაჩენის (გადაწყვეტილების) გამოტანიდან (რომელიც ამ დროისთვის უკვე დეკრიმინალიზებული იყო) თანამდებობის ბოროტად გამოყენებად, და შემოიფარგლა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ უყურადღებოდ და განხილვის გარეშე დატოვა მომჩივნის მიერ დაყენებული საკითხები პროკურატურის მიერ ბრალის უკანონოდ შეცვლის თაობაზე (§ 32).

სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დეკრიმინალიზაციის მიზანზე, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის

<sup>4</sup> მაგალითად საქმე *Moreira Ferreira v. Portugal* (no. 2) [GC], no. 19867/12, § 85, 11 July 2017.

<sup>5</sup> საქმე *გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ* (72916/10), 2019 წლის 7 ნოემბერი.

განმარტებითი ბარათიდან. სახელდობრ, ამ რეფორმის მიზანი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება სასამართლოს მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენებისა თუ სხვა გადაწყვეტილებებისათვის. სანაცვლოდ, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მოთხოვნა დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე, თანაც ისე, რომ მომჩივანს საერთოდ არ მიეცა დრო ახალი ბრალდების გასაცნობად. სააპელაციო სასამართლომ არც იმაზე იმსჯელა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ მიუთითებდა დეკრიმინალიზაციის უკუქცევით ძალაზე. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით უზენაესმა სასამართლომ ასევე უსიტყვოდ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დაუსაბუთებელი განაჩენი (§ 33). სტრასბურგის სასამართლომ ამ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა.

## 2. გადაწყვეტილებები, რომელთა დასაბუთება არ ასახავს კონვენციის მოთხოვნებს

დასაბუთებულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონვენციით გათვალისწინებული, მაგრამ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ, უფლებებსა და თავისუფლებებზე მსჯელობისას.<sup>6</sup> ამ კონტექსტში საყურადღებოა გამოხატვის თავისუფლებისა (კონვენციის მე-10 მუხლი) და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი) ურთიერთმიმართება, რომლის დროსაც ეროვნულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ ძირითად უფლებას მიანიჭოს უპირატესობა. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, საჩივარი სასამართლო-

<sup>6</sup> დანვრილებით: ლადო ჭანტურია, გამოხატვის თავისუფლება და სხვათა უფლებები სტრასბურგის სამოსამართლო სამართალში, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი, 80, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2021, გვ. 12-30.

ში შეტანილია გამოხატვის თავისუფლების თუ პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით.<sup>7</sup> **სამართლიანი ბალანსის ტესტი** (fair balance) უფლებათა კონკურენციის საკითხის განხილვისას ეროვნულ სასამართლოებს შემდეგ საკითხებზე პასუხის გაცემის ვალდებულებას აკისრებს: 1. რა იყო სადავო პუბლიკაციის წვლილი საჯარო დისკუსიაში? 2. რამდენად იყო ცნობილი დაინტერესებული პირი, რომელსაც ეს პუბლიკაცია ეხებოდა? 3. რა იყო პუბლიკაციის თემა და ეხებოდა თუ არა ის საჯარო პირს? 4. როგორი იყო დაინტერესებული პირის ქცევა პუბლიკაციამდე? 5. როგორია ინფორმაციის მიღების ხერხი და მისი სანდოობა? 6. პუბლიკაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები, 7. გამოყენებული სანქციის სიმკაცრე.<sup>8</sup>

ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაიცვან სამართლიანი წონასწორობა, ე.წ. ბალანსი და კონვენციით დადგენილი სტანდარტი, რაც თავის მხრივ სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხორციელებული ევროპული კონტროლის საგანს შეადგენს.<sup>9</sup>

საქმე *ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ*<sup>10</sup> საყურადღებოა იმით, რომ კონვენციით განმტკიცებული გამოხატვის თავისუფლება დაუპირისპირდა პირის რეპუტაციის დაცვის უფლებას. საქმე ეხებოდა იუსტიციის მინისტრის მიერ მედიაში საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაში გამოთქმულ ბრალდებას კორუფციასა და თაღლითურ მოქმედებებში მომჩივნის მონაწილეობის შესახებ, რომელიც არ იყო კონკრეტული ფაქტებით გამაგრებული.

ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს იმ მოტივით, რომ განცხადება გაკეთებული იყო საჯარო პირის მიმართ მნიშვნელოვანი საჯარო დისკუსიის ფარგლებში და მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ მინისტრმა იცოდა გავრცელებული ფაქტების მცდარობის შესახებ. ამიტომ ის ვალდე-

<sup>7</sup> საქმე *Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France* [GC], no. 40454/07, ECHR 2015, 10/11/2015, § 91.

<sup>8</sup> საქმეები *Von Hannover v. Germany* (no. 2) 7.02.2012, §§ 109-113 და *Axel Springer AG v. Germany*, (GC), no. 39954/08, 7.02.2012, §§ 90-95.

<sup>9</sup> პირველი საქმე, რომელმაც ჩამოაყალიბა პოზიტიური ვალდებულების კონცეფცია იყო *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ: Marckx v. Belgium*, Nr. 6833/74, 13.06.1979, § 31

<sup>10</sup> საქმე *ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ*, N 18925/09, 20.09.2018.

ბული იყო ეთმინა დასაშვები კრიტიკა.

სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით მინისტრის მიერ საჯაროდ გამოთქმული აშკარა ინსინუაციები, რომ მომჩივანი ჩართული იყო ფულის მიღების სანაცვლოდ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნების გაცემაში, იყო მძიმე. ეს განცხადებები ტოვებდნენ მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შთაბეჭდილებას, რაც შესაძლოა ზიანის მომტანი ყოფილიყო მისი, როგორც ექიმის და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლის, რეპუტაციისთვის. ეს კი საკმარისად ჩაითვალა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ასამოქმედებლად (§ 47).

სამართლიანი ბალანსის ტესტის ცალკეული საკითხების შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ სადავო განცხადებები გაკეთებული იყო საჯარო ინტერესის მქონე მნიშვნელოვან საკითხებზე გამართული დებატების ფარგლებში, რაც წარმოადგენდა საჯარო დებატებში შეტანილ წვლილს (§49). სასამართლომ ასევე გაიზიარა ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის მიჩნევა საჯარო პირად, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (§ 50). შესაბამისად, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მის მიმართ იყო უფრო ფართო, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ (§ 51).<sup>11</sup>

განცხადების შინაარსის, ფორმისა და შედეგების შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მინისტრის განცხადებას შეფასებითი მსჯელობის კვალიფიკაცია მისცეს, თუმცა არც ერთ ინსტანციას არ შეუფასებია, თუ რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო შეფასებითი მსჯელობა მძიმე ბრალდების შემცველი მომჩივნის პიროვნების მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრალური საკითხი სწორედ ამას უკავშირდება: რამდენად აუცილებელია შეფასებითი მსჯელობა განმტკიცებული იყოს ფაქტობრივი გარემოებებით? სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო მის სამოსამართლო სამართალს, რომლის

<sup>11</sup> დასაშვები კრიტიკის ფარგლების საკითხზე იხ. საქმე *Fürst-Pfeifer v. Austria*, nos. 33677/10 and 52340/10, 17.05.2016, § 46.

თანახმად, საჯარო განცხადება თუნდაც წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას, უნდა შეიცავდეს საკმარის ფაქტობრივ საფუძველს მის გასამყარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაითვლება არასათანადოდ (§ 53).<sup>12</sup>

სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ მინისტრის მიერ გაჟღერებულ ბრალდების საქმეზე არასდროს არ ჩატარებულა გამოძიება და რომ ეს ბრალდებები შეიძლებოდა „ყოფილიყო მცდარი ფაქტების შემცველი“. შესაბამისად, მინისტრის ბრალდებები, თუნდაც ისინი მიჩნეულიყო შეფასებით მსჯელობად, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძველებს (§ 59). სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ პირებს მოეთხოვოთ ითმინონ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მათი უფლებების კონტექსტში ის, რომ საჯაროდ იქნენ დადანაშაულებულნი დანაშაულის ჩადენაში ხელისუფლების იმ თანამდებობის პირთა მხრიდან, რომელთაგან საზოგადოება მოელის გამომონმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს“ (§ 62).<sup>13</sup> შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, თუ რატომ მიანიჭეს ეროვნულმა სასამართლოებმა უპირატესობა მინისტრის გამობატვის თავისუფლებას მომჩივნის რეპუტაციის ხელშეუხებლობის საპირისპიროდ: ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ ინტერესებს შორის კონვენციით გათვალისწინებული დასაბუთების სტანდარტის შესაბამისად (§ 63).<sup>14</sup>

<sup>12</sup> დამატებით იხ. საქმეები Egill Einarsson v. Iceland, no. 24703/15, 07.11.2017, § 36; Fürst-Pfeifer v. Austria, § 46.

<sup>13</sup> ზუსტი ციტატა: „The Court reiterates in this connection that the Convention cannot be interpreted to require individuals to tolerate, in the context of their rights under Article 8 of the Convention, being publicly accused of criminal acts by Government officials who are expected by the public to possess verified information concerning those accusations, without such statements being supported by facts“ (see, *mutatis mutandis*, Egill Einarsson, cited above, § 52).

<sup>14</sup> The Court therefore considers that the domestic courts failed to strike a fair balance between the competing interests involved.

### 3. გადაწყვეტილებები, რომლებიც არასრულყოფილად ასახავს კონვენციის სტანდარტებს

საქმეში გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ<sup>15</sup> დღის წესრიგში იდგა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების პატივისცემის ობიექტის გაუმართლებელი შეურაცხყოფის საფუძველზე. სტრასბურგის სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების დასაბუთება პრეზერვატივებზე გამოხატულ ისტორიულ თუ რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

დავის საგანი იყო ინდემნარმის მიერ დამზადებულ პრეზერვატივებზე გამოსახული სიმბოლოები, რომლებიც ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასდა არაეთიკურ რეკლამად, აიკრძალა შესაბამისი დიზაინების გამოყენება და გავრცელება, მომჩივანს დაევალა პროდუქციის ამოღება გაყიდვიდან. მისი მცდელობა, დაეცვა თავისი ნამოწყება გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებზე დაყრდნობით, ეროვნულ დონეზე უშედეგოდ დამთავრდა.

საქმის ერთ-ერთი მთავარი საკითხი შეეხებოდა მომჩივნის მიერ გამოყენებული დიზაინის მიზანს. თუ მას ექნებოდა მხოლოდ კომერციული გამოხატვის მიზანი, ეროვნულ სახელისუფლო ორგანოებს შეფასების უფრო ფართო ფარგლები ექნებოდათ და სასამართლო სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე შეეძლოთ მომჩივნის მიერ გამოყენებული გამოხატვა შეეზღუდათ.<sup>16</sup> ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სადავო ოთხი დიზაინი წარმოადგენდა „გამოხატვას“ მხოლოდ კომერციულ კონტექსტში.<sup>17</sup> სტრასბურგის სასამართლო არ დაეთანხმა ამ შეფასებას და აღნიშნა, რომ მომჩივნის ბრენდი მიზნად ისახავდა საჯარო დებატების დაწყებას ან ხელშეწყობას საზოგადოებრივი

<sup>15</sup> საქმე Gachechiladze v. Georgia, no. 2591/19, 22.07.2021.

<sup>16</sup> საქმე Sekmadienis Ltd. v. Lithuania, no. 69317/14, 30.01.2018, §§ 76-77

<sup>17</sup> პრეზერვატივებზე გამოყენებული იყო შემდეგი დიზაინები: „სამეფო კარი თამარში“, პანდას ვიზუალი წარწერით „ჩამოვკრავდი, მაგრამ ნათლისღება“, ქალის მარცხენა ხელი წამოცმული პრეზერვატივით და გვირგვინიანი დიზაინი წარწერით „ძლევაი საკვირველი“.



ინტერესის მქონე სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ბრენდის დეკლარირებული მიზანი, რომელიც გაცხადდა მისი დაფუძნების დროს, იყო სტერეოტიპების დამსხვრევა და „სექსისა და სექსუალობის სათანადო გაგების ხელშეწყობა“. გარდა ამისა, მომჩივნის ორგანიზაცია გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებში. შესაბამისად, სადავო გამოხატვის განხილვა მხოლოდ კომერციულ კონტექსტში, სასამართლოს აზრით, არ იყო გამართლებული. იმ ვითარებაში, როცა ნაწილობრივ მაინც იკვეთება საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე მოსაზრებების გამოხატვა, ეროვნული სასამართლოების შეფასების ფარგლები უფრო ვიწროა იმ შემთხვევებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ კომერციულ გამოხატვას ეხება (§ 55).<sup>18</sup>

სადავო დიზაინებიდან სტრასბურგის სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულ სასამართლოებს უკეთესად შეეძლოთ მხედველობაში მიეღოთ ეროვნული კონტექსტი, ნაწილობრივ გაიზიარა თამარ მეფის დიზაინის თაობაზე ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასებები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს წმინდანის ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ მნიშვნელობას, მის გამოსახვას ფრესკებზე და ქართული ეკლესიის მიმართ წვლილს, მისი წმინდანობის უპირატესობას მისი, როგორც საჯარო პირის სტატუსთან მიმართებით და სადავო დიზაინის გამოყენების ფორმა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების პატივისცემის ობიექტის გაუმართლებელ შეურაცხყოფად მიიჩნიეს (§ 58).<sup>19</sup>

დანარჩენ დიზაინებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ რელევანტურად არ მიიჩნია ეროვნული სასამართლოების მიერ დასახელებული საფუძვლები მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობისა და პროპორციულობის

<sup>18</sup> Gachechiladze v. Georgia, § 55: „In circumstances where a message on issues of public interest was at least partly involved, the margin of appreciation afforded to the domestic courts was necessarily narrower compared to situations concerning solely commercial speech“.

<sup>19</sup> Gachechiladze v. Georgia, § 58: „...the design could be seen as a gratuitous insult to the object of veneration for Georgians following the Orthodox Christian faith“.

გასამართლებად (§ 61).

აღნიშნული გადანყვეტილება საყურადღებოა იმითაც, რომ სტრასბურგის სასამართლომ მხარი დაუჭირა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფისთვის მისაღები ეთიკური ნორმების ან მსოფლმხედველობის სავალდებულოდ დადგენა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით (§ 62).

#### **4. გადანყვეტილებები, რომლებშიც გაზიარებულია ეროვნული სასამართლოების დასაბუთება**

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წლის 8 ნოემბერს მიიღო გადანყვეტილება *მაგიარ ჰელსინკი ბიზოტსაგ უნგრეთის წინააღმდეგ*,<sup>20</sup> რომელმაც გამოხატვის თავისუფლების განხორციელების ფარგლებში დაადგინა საჯარო დაწესებულების ხელთარსებული ინფორმაციის მოთხოვნის წინაპირობები. კერძოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ანიჭებს პირს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას და არ აკისრებს მთავრობას პირისთვის ამ ინფორმაციის მინოდების ვალდებულებას. თუმცა, ამგვარი უფლება ან ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, პირველ რიგში მაშინ, როცა არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს ბრძანება ინფორმაციის გაცემის შესახებ და მეორე, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის არსებით ნაწილს.<sup>21</sup>

<sup>20</sup> საქმე Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC] \_ no. 18030/11, 8.11.2016

<sup>21</sup> საქმე Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC], § 156. zusti citata: „The Court further considers that Article 10 does not confer on the individual a right of access to information held by a public authority nor oblige the Government to impart such information to the individual. However, as is seen from the above analysis, such a right or obligation may arise, firstly, where disclosure of the information has been imposed by a judicial order which has gained legal force (which is not an issue in the present case) and, secondly, in

იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი მოექცეს კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროში, სტრასბურგის სასამართლომ შემოიღო **ოთხ კრიტერიუმისანი ტესტი**:<sup>22</sup> ა. ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი; ბ. მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება; გ. ინფორმაციის მაძიებლის სპეციალური როლი საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის „მიღებასა და გავრცელებაში“, და დ. იყო თუ არა ინფორმაცია მზა და ხელმისაწვდომი.<sup>23</sup> ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, პირველი, გამოიყენება თუ არა საჯარო დაწესებულების უარზე კონვენციის მე-10 მუხლი, და, მეორე, დაირღვა თუ არა კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნა.

საქმეში *სტუდია მონიტორი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*<sup>24</sup> სტრასბურგის სასამართლომ ზემოთ აღნიშნული ოთხ კრიტერიუმისანი ტესტის საფუძველზე შეაფასა იმ მომჩივნების საჩივრები, რომელთაც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს ერთ-ერთ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომაზე, რადგან ეს მასალები შეიცავდა დამნაშავედ ცნობილი პირის შესახებ პირად ინფორმაციას (ამასთან, მომჩივნებს არ მიუთითებიათ მიზნები, რისთვისაც სჭირდებოდა ეს ინფორმაცია (პირველი და მეორე მომჩივნის საჩივრები), და სისხლის სამართლის ექვს სხვადასხვა საქმეში აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინებათა ასლების მიღებაზე (არც აქ დაუკონკრეტებია მესამე მომჩივანს ამ ინფორმაციის მიღების მიზანი).

სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი პირებს არ ანიჭებს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის აბსოლუტურ უფლებას. მართალია, პირველი და მეორე მომჩივნები იყვნენ ჟურნალისტები და, შესაბამისად, განე-

circumstances where access to the information is instrumental for the individual's exercise of his or her right to freedom of expression, in particular “the freedom to receive and impart information” and where its denial constitutes an interference with that right“.

<sup>22</sup> Four-criteria test: *Mikiashvili v. Georgia and Studio Monitori v. Georgia*, nos. 18865/11 and 51865/11, 19.01.2021, § 49.

<sup>23</sup> საქმე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary* [GC], § 157.

<sup>24</sup> საქმე *Studio Monitori and Others v. Georgia*, nos. 44920/09 and 8942/10, 30.01.2020.

კუთვნილებიდან საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლო უფლების მექონე პირებს, მაგრამ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი არ აკმაყოფილებდა მე-10 მუხლის კრიტერიუმებს, კერძოდ, მათ არ მიუთითეს, თუ რისთვის სჭირდებოდათ ეს ინფორმაცია (§ 40). გარდა ამისა, მომჩივნებმა მოთხოვნილი ინფორმაციის გარეშე დაასრულეს ჟურნალისტური გამოძიება და შედეგები გამოაქვეყნეს კიდევაც. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის მოთხოვნა მათთვის არ წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის არსებითი ხასიათის მექონეს (§ 41). რაც შეეხება მესამე მომჩივანს, ის არ იყო არც ჟურნალისტი და არც ე.წ. „საზოგადოებრივი დარაჯის“, როგორცაა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია, წარმომადგენელი. შესაბამისად, მის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა საერთოდ არ აკმაყოფილებდა მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საჯარო ინტერესის ტესტს (§ 42).

სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კიდევ ერთ გარემოებაზე, კერძოდ, ის ფაქტი, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვილ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებული პირები ცნობილ საჯარო პირებს წარმოადგენდნენ, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, თავისთავად არ არის საკმარისი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი სასამართლო განჩინებების სრული ასლების გასაჯაროების გასამართლებლად, მით უფრო, თუ ეს შეეხება კანონით გათვალისწინებულ არასაჯარო ინფორმაციას (§ 42).

საქმე მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ და სტუდიო მონიტორი და კობახიძე საქართველოს წინააღმდეგ<sup>25</sup> (შემდგომში - მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ) საყურადღებოა იმით, რომ ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის მესამე კრიტერიუმი - მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება, აღმოჩნდა გადამწყვეტი საჩივრის დაუშვებლად მიჩნევისათვის.

პირველი მომჩივანი ითხოვდა სამი სხვადასხვა მკვლევარ-

<sup>25</sup> Mikiashvili v. Georgia and Studio Monitori v. Georgia, nos. 18865/11 and 51865/11, 19.01.2021.

ბისათვის მსჯავრდებული პირის შესახებ ინფორმაციას იმ მორალური ქორების გასაბათილებლად, თითქოს ეს პირი უკვე აღარ იმყოფებოდა ციხეში, კერძოდ, იხდიდა თუ არა იგი სასჯელალსრულების დაწესებულებაში სასჯელს და კონკრეტულად რომელ დაწესებულებაში. ამასთან, მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ის იყო ჟურნალისტი, თუმცა არ უთითებდა ინფორმაციის მიღების მიზანს. სამინისტრომ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში დაადასტურა პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნისა და სასჯელის მოხდის ფაქტი, თუმცა უარი განაცხადა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის დასახელებაზე. ეროვნულმა სასამართლოებმა იმაზე მითითებით, რომ ინფორმაცია პირის ადგილსამყოფელის შესახებ შეიცავდა პირად მონაცემებს და ის იყო კონფიდენციალური, უარი უთხრეს მომჩივანს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მეორე და მესამე მომჩივნები - ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია და ჟურნალისტი, ითხოვდნენ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების არასახელფასო ანაზღაურებისა და დანაშაულების შესახებ 2004 წლიდან. ეროვნულმა სასამართლოებმა გაიზიარეს სამინისტროს უარის არგუმენტები, რომ ეს ინფორმაცია უკვე იყო ხელმისაწვდომი გამოქვეყნებული საჯარო დეკლარაციების მეშვეობით. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად ყველა თანამშრომლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მომზადება და მიწოდება.

მოთხოვილი ინფორმაციის ბუნების შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ ე.წ. საჯარო ინტერესის ტესტზე დაყრდნობით დამაჯერებლად არ მიიჩნია მომჩივნების არგუმენტი, რომ საზოგადოების ინტერესი მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდებოდა, თუკი მას მიენოდებოდა ინფორმაცია მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის შესახებ და რატომ არ იყო საკმარისი სასჯელალსრულების დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებული იხდიდა სასჯელს. გარდა ამისა, მომჩივანს თვითონ შეეძლო ეკითხა მსჯავრდებულისთვის, სურდა თუ არა მას ამ

ინფორმაციის გამჟღავნება (§ 53). სასამართლომ არც ის არგუმენტი მიიჩნია სარწმუნოდ, თუ რატომ იყო, რომ მხოლოდ ყოველთვიური სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციით შეიძლება და საზოგადოების ინტერესი დაკმაყოფილებულიყო (§ 54). გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ოთხ კრიტერიუმთან ტესტის მეოთხე კრიტერიუმზე, თუ რამდენად მზა და ხელმისაწვდომი იყო ეს ინფორმაცია (§ 55).

## დასკვნა

სტრასბურგის სასამართლო თავის გადანყვეტილებებში ხშირად აღნიშნავს, რომ ის დიალოგში იმყოფება ეროვნულ სასამართლოებთან და მათ არგუმენტებს კონკრეტული საქმეების განხილვისას დიდ ყურადღებას აქცევს. იქ, სადაც ეროვნული სასამართლოები საფუძვლიან არგუმენტებზე დაყრდნობითა და კონვენციის სტანდარტების გათვალისწინებით იღებენ გადანყვეტილებებს, სტრასბურგის სასამართლო იზიარებს ადგილობრივი მოსამართლეების დასაბუთებას. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა პროცესის მონაწილეთა მოთხოვნები უარყოფილია ყოველგვარი არგუმენტებისა და დასაბუთების გარეშე, კონვენციის დარღვევის დადგენა გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოების მიერ გადანყვეტილებების მიღებისას სათანადო დასაბუთების გამოყენება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის ფუნდამენტურ სტანდარტს წარმოადგენს.

## V. საჯარო სამართალი

### ჯონი ხეცურიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

### საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.)

#### და საკონსტიტუციო სასამართლო

#### შესავალი

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. მართალია, კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვასთან დაკავშირებული ცვლილებები, 1999 წლიდან მოყოლებული, პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი კანონის ზოგად გადასინჯვას, 2017 წლამდე მხოლოდ ორჯერ – 2004 და 2010 წლებში ჩატარდა.

სამივე საკონსტიტუციო რეფორმა (2004, 2010, 2017 წწ.) სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას ან არსებული საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, პოლიტიკური ელიტა ქვეყნის წარუმატებლობის ძირითად მიზეზს სწორედ სახელმწიფო მმართველობის არასწორად შერჩეულ მოდელში ხედავდა. არადა, დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება უსათუოდ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის ერთ რომელიმე სახეობასთან, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. ამის მაგალითები მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში. მთავარია, სახელმწიფო ხელისუფლება

დანაწილებული იყოს ცნობილი ტრიადის მიხედვით და ამასთანავე, არსებობდეს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და განონასწორების ეფექტიანი მექანიზმები, სათანადოდ იყოს დაცული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

სახელმწიფო მმართველობის ახალი სახეობის ძიებაში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით თავდაპირველად განსაზღვრული საპრეზიდენტო რესპუბლიკა, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, ფორმალურად, ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემით შეიცვალა. შემოღებულ იქნა ახალი აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა, მაგრამ შეკავებისა და განონასწორების მექანიზმები იმდაგვარად იქნა შერჩეული, რომ სინამდვილეში ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა მივიღეთ,<sup>11</sup> რომლის ნეგატიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებები დღემდე გრძელდება.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმაც პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. მმართველი ძალის ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნის სურვილს კარგად ესადაგებოდა საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, დროში შეუზღუდავად იძლეოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობას. ამიტომ არჩევანიც მასზე, უფრო სწორედ, რაციონალიზებულ პარლამენტარიზმზე გაკეთდა, რომლის მთავარი მიზანი მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფაა.<sup>22</sup> თუმცა, სახელმწიფო მმართველობის ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი – უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს, იმდენად რთულად

<sup>11</sup> იხ. საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები. თბილისი, 2005, გვ. 21.

<sup>22</sup> რაციონალიზებული პარლამენტარიზმის შესახებ იხ. ე. ტანჩევი. რაციონალიზებული პარლამენტარიზმი. წიგნში: „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“, რედ. ო. მელქაძე, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996, წ., გვ. 38-44.



იქნა კონსტრუირებული ძირითად კანონში, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება თითქმის შეუძლებელი გახდა. ვერც პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები იქნა სრულყოფილად გააზრებული, რამაც 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებისთანავე იჩინა თავი და კონსტიტუციურ ორგანოებს შორის დაპირისპირების საფუძველი გახდა.

რადგანაც მოქმედი კონსტიტუცია ადგენდა „გაუმართავ საპარლამენტო მმართველობის სისტემას“, ამიტომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ ამოცანად განისაზღვრა, კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან. რამდენად შეძლო ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ და საქართველოს პარლამენტმა, ეს კარგად ჩანს ვენეციის კომისიის საბოლოო შეფასებაში, რომელიც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნაშია მოცემული. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას“.<sup>33</sup>

ვენეციის კომისიამ ამ ზოგად პოზიტიურ შეფასებებთან ერთად, თავის დასკვნაში გამოთქვა კონკრეტული შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის, არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ. მათი გათვალისწინება მიზანშეწონილად ჩაითვალა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტი მეორე მოსმენით უკვე

<sup>33</sup> CDL \_ AD (2017)023. European Commission for Democracy through law (Venice Commission), “Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017”. Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017).

მიღებული ჰქონდა, რაც ამ ეტაპზე გამოორიცხავდა მასში არსობრივი ცვლილებების შეტანას. მათ გასათვალისწინებლად საჭირო გახდა ამ საკითხებზე საკონსტიტუციო ცვლილებების თავიდან ინიცირება სულ ახლახანს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში, რაც განხორციელდა კიდევ და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი 2018 წელსაც გაგრძელდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო რეფორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხო. 1995 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებულ საკონსტიტუციო კონტროლის ამ სასამართლო ორგანომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც საკონსტიტუციო რეფორმის, ისე საკანონმდებლო ცვლილებების ფორმატში. მაგალითად, 2002 წელს საგულისხმო ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში.<sup>44</sup> გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. მის უფლებამოსილებებს დაემატა ნორმათა ფორმალური და კონკრეტული კონტროლი, ასევე გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდა. მაგრამ 2004 წელს, რევოლუციურ ტალღაზე მოსული ხელისუფლება ჯერ შეეცადა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას უზენაეს სასამართლოსთან მისი შეერთების გზით, ხოლო შემდეგ 2004 წლის 17 დეკემბერს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ განიხილებოდა როგორც სასამართლო ხელისუფლების დანესებულება, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს (გარდა უზენაესი სასამართლოს ახლად არჩეული თავმჯდომარისა) ვადამდე უწყდებოდა უფლებამოსილება, სა-

<sup>4</sup> იხ. საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონი, სსმ, 2004 წ., № 4; მუხ. 14; ჯ. ხეცურიანი. ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, № 1, გვ. 9-18.

კონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი ხდებოდა იმპიჩმენტით, მცირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობის დაკავებისათვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი, იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი – ყველა მოსამართლეს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ ექნებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენცია, იზღუდებოდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომლის გასაჩივრების უფლებაც ჰქონდათ მოქალაქეებს და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ამ ცვლილებების თაობაზე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რის გამოც კანონპროექტის ამ სახით მიღებას ხელისუფლება მოერიდა, თუმცა, ზოგიერთი დებულება, რომელიც, მაგალითად, ზღუდავდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ამცირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესების ასაკობრივ ცენზს და სხვა, მაინც იქნა მიღებული შემდგომ წლებში.<sup>55</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვას შეეცადნენ 2016 წელსაც, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო აქტებში შესატანი საეჭვო ცვლილებების დიდი ნაწილი თავიდან იქნა აცილებული.<sup>56</sup>

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ ამ ცვლილებათა არსი, მიზანდასახულობა და შესაბამისობა საკონსტიტუციო სამართლის ძირითად პრინციპებთან.

<sup>55</sup> იხ. ჯ. ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006წ., გვ. 67-69.

<sup>56</sup> ამ საკითხზე დანერჩილებით იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016 წ., გვ. 278-282.

## საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონით იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დანესებულებადაა აღიარებული. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მეექვსე თავში - „სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა“ ნათქვამია, რომ სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები (59-ე მუხლის პირველი პუნქტი). რაც შეეხება პროკურატურას, მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში ის სასამართლო ხელისუფლების ორგანოა (ბელგია, ესპანეთი, რუმინეთი, ლატვია, ხორვატია),<sup>77</sup> მაგრამ საქართველოს სინამდვილეში სასამართლო ხელისუფლების დანესებულებებთან მისი კონსტიტუციის ერთ თავში გაერთიანება უაღრესად პირობითია. კანონმდებელი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში პროკურატურის ადგილის განსაზღვრისას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა პროკურატურის მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ მაშინ, ამავე ლოგიკით, მას ადვოკატურისთვისაც უნდა მოეძებნა სათანადო ადგილი ძირითადი კანონის სასამართლო ხელისუფლების თავში.<sup>88</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი კონსტიტუციური ორგანოა, ძირითადი კანონით არ არის განსაზ-

<sup>77</sup> იხ. ოთარ მელქაძე, ბექა დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. „მერანი-3“, თბილისი, 2000. გვ. 209-225.

<sup>88</sup> საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ადვოკატურაზე მითითება მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებების თავში (31-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ბულგარეთის კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში პროკურატურასთან ერთად ადვოკატურაც არის მოხსენიებული, საკონსტიტუციო სასამართლო კი გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისაგან და მას ცალკე თავი ეძღვნება (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი IV, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2007, გვ. 222, 224).

ღვრული მისი კომპეტენცია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ხარვეზია და საკანონმდებლო დონეზე იძლევა მისი უფლებამოსილებების განსაზღვრის ფართო შესაძლებლობებს კანონმდებლის მიხედულებისამებრ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პროკურატურის ფორმირების წესსა და მის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 65-ე მუხლი), ის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ასოცირებულად უფრო მოიაზრება, ვიდრე სასამართლო ხელისუფლების ან თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად, როგორც ეს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში იყო და 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ არის.<sup>99</sup>

საქართველოს ამჟამადმოქმედ კონსტიტუციაში, მისი ახალი რედაქციისაგან განსხვავებით, სასამართლო ხელისუფლების თავში აღნიშნულია არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ამ შტოს ინსტიტუციები, არამედ მოცემულია აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებიც. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ (82-ე მუხლის პირველი პუნქტი). „კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან ამოღებულია.

სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება (მათ შორის, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება) იდენტური ცნებები არ არის. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს მართლმსაჯულებას, სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლსაც (საკონსტიტუციო

---

<sup>99</sup> საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დანესებულებად იყო მიჩნეული და იქვე იყო განსაზღვრული მისი ძირითადი ფუნქციები ((91-ე მუხლი), ხოლო 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, პროკურატურაზე მითითება საერთოდ იქნა ამოღებული ძირითადი კანონიდან და ის აღმასრულებელი ხელისუფლების დანესებულება გახდა.

მართლმსაჯულებასაც) და, ამასთანავე, ისეთ საქმიანობასაც, რომელიც ვერც მართლმსაჯულებად და ვერც საკონსტიტუციო კონტროლად ვერ იქნება მიჩნეული, თუმცა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელებად ჩაითვლება. მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილებას ვადამდე უწყვეტს თავის ნევრს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებად, ან კიდევ, საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, რა თქმა უნდა, არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან ისეთი ფორმებით, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციით და კანონით. ამიტომ არ იყო მართებული კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების შეცვლა ძირითადი კანონის ახალ რედაქციაში.

მართლმსაჯულების და საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის (საკონსტიტუციო მართლმსაჯულების) განხორციელება სასამართლო ხელისუფლების ორი ინსტიტუციის - საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი, მთავარი ფუნქციებია, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია, რომელშიც ვლინდება მათი შინაგანი სპეციფიკური ბუნება და რაც გამოარჩევს მათ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ სხვა ორგანოს არ შეუძლია განახორციელოს მართლმსაჯულება ან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი. მართალია, ეს ინსტიტუციები ახორციელებენ აგრეთვე სხვა, არაძირითად ფუნქციებსაც, მაგრამ მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და ემსახურებიან ძირითადი ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ: „სწორედ მართლმსაჯულება, როგორც სასამართლოს მთავარი, ძირითადი ფუნქცია, განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების სპეციფიკას და მის ადგილს სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში“.<sup>1010</sup> ამას

<sup>1010</sup> იხ. ოთარ მელქაძე, ბეკა დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის

შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ეს ძირითადი ფუნქცია განაპირობებს აგრეთვე ამ ორი ინსტიტუციის კუთვნილებას სასამართლო ხელისუფლებისადმი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის როგორც პოლიტიკის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელი პოლიტიკური ორგანო. იგი თავის თავში მოიცავს ორივე მათგანისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს და ახორციელებს ე. წ. „შერეულ“ - პოლიტიკურ მართლმსაჯულებას.<sup>111</sup> თავისი ამ სპეციფიკური პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ, სასამართლო სისტემისაგან განცალკევებულ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმაღლეს ორგანოს. მათი აზრით, სწორედ ამიტომაც, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, სავსებით დასაბუთებულად, საკონსტიტუციო სასამართლოს ეძღვნება ცალკე თავი (ავსტრია, ესპანეთი, ბულგარეთი) და არ არის აუცილებელი, ის მოქცეული იყოს კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში.<sup>1212</sup>

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანო, რადგანაც ასეთი ორგანოები საკითხებს წყვეტენ საკუთარი ინიციატივით და მიზანშეწონილობით. საკონსტიტუციო სასამართლო კი, თუ მას მიმართავენ (და არა საკუთარი ინიციატივით) წყვეტს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს - რამდენად შეესაბამება სამართლის ესა თუ ის ნორმა ან ქმედება კონსტიტუციას.<sup>1313</sup> ამ საკითხებს, ამასთანავე, შეიძლე-

---

ქვეყნებში. „მერანი-3“, თბილისი, 2000, გვ. 16.

<sup>11</sup> იხ. დიმიტრი გეგენავა. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში. წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წ. I (რედ. გ. კვერენჩილაძე, დ. გეგენავა), თბილისი, 2012 წ., გვ. 99.

<sup>12</sup> იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юрист», М., 2005, с. 161.

<sup>13</sup> იხ. გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში. თბილისი, 2001, გვ. 18.

ბა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ისევე როგორც, ზოგჯერ, საერთო სასამართლოებში განსახილველი სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში სასამართლო წყვეტს მხოლოდ სამართლის და არა პოლიტიკურ საკითხს. იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეთ პოლიტიკური მნიშვნელობა და, შესაბამისად, გავლენას ახდენდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, იქმნება ილუზია, რომ სასამართლო ამასთანავე პოლიტიკური ორგანოა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

საკონსტიტუციო სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით. ამიტომ მისი ადგილი სასამართლო ხელისუფლებაშია და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში ეს საკითხი სწორად არის გადანიშნული.

### **საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და ფორმირების წესი**

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის ძირითადი ასპექტები როგორც საკონსტიტუციო რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც საქართველოს კონსტიტუციის რეგულირების საგანს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის რაოდენობის, მოსამართლის განწესების მეთოდისა და პროცედურის, მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და სასამართლოს ფორმირებაში მონაწილე სუბიექტების შესახებ საკითხებს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, საქართველოს ძირითად კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის აღსანიშნავად თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ორი ტერმინი: „საკონსტიტუ-



ციო სასამართლოს მოსამართლე“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრი“ (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ მიზნისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ტერმინი - „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად გამოხატავს ამ თანამდებობის პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მოსამართლეთა რაოდენობა უპირატესად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობით, აგრეთვე სხვა ფაქტორებით.<sup>1414</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისაგან შედგება. საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მისი რაოდენობა არ შეცვლილა. თუმცა, იყო წინადადება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დაემატებოდა რეალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რასაკვირველია, უსათუოდ გამოიწვევდა განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.<sup>1515</sup> მაგრამ რადგანაც ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული, საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის კონსტიტუციით განსაზღვრული რაოდენობა დღემდე უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გარკვეული ცვლილებები განიცადა იმ მოთხოვნებმა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი. საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი იყო სამი პირობის არსებობა. მოსამართლეობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო

<sup>14</sup> მოსამართლეების ყველაზე მცირე რაოდენობა ანდორის საკონსტიტუციო სასამართლოშია (4 მოსამართლე), ხოლო ყველაზე მეტი - რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში (19 მოსამართლე).

<sup>15</sup> იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 148-154.

საქართველოს მოქალაქე, 35 წლის ასაკს მიღწეული და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე (88-ე მუხლის მე-4 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წელს განხორციელებული ცვლილებით,<sup>1616</sup> ასაკობრივი ცენზი 35 წლიდან 30 წლამდე შემცირდა, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო. საქმე ისაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს კანონმდებლობა ისედაც მინიმალურ მოთხოვნებს ადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის კანდიდატისათვის და მათი კიდევ უფრო შემცირება უარყოფითად აისახებოდა მოსამართლეთა შემადგენლობის კვალიფიკაციის დონეზე, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეობის კანდიდატისათვის სპეციალობით მუშაობის რაიმე გამოცდილების ცენზს ძირითადი კანონი არ ითვალისწინებდა.<sup>1717</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მაღალ დონეს საზღვარგარეთის ქვეყნებში ძირითადად აღწევენ სწორედ მოსამართლეობის პრეტენდენტებისათვის მაღალი ასაკობრივი და სპეციალობით ხანგრძლივი მუშაობის ცენზის დაწესებით. მაგალითად, გერმანიასა და სლოვაკეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს დანიშვნისათვის საჭირო მინიმალური ასაკი 40 წელია, უნგრეთში - 45, პროფესიული საქმიანობის მინიმალური სტაჟი ავსტრიაში - 10 წელია, ესპანეთში - 15 წელი და ა. შ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არ არის დაწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი მინიმალური ასაკი (ლიტვა, ლატვია და სხვ.), მოსამართლეობის კანდიდატს პროფესიული გამოცდილების ისეთი სტაჟი მოეთხოვება, რომ მოსამართლე

<sup>16</sup> იხ. საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი № 2496 - სსმ I, 1, 04.01.2006 წ., მუხ. 2.

<sup>17</sup> საინტერესოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისაგან განსხვავებით, ძირითადი კანონი ასეთ მოთხოვნას აწესებდა საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის. სახელდობრ, საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს სხვა ცენზებთან ერთად უნდა ჰქონოდა სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება (86-ე მუხლის პირველი პუნქტი).

შეიძლება გახდეს პირი არანაკლებ 35 წლის ასაკიდან.<sup>18</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის გაკრიტიკებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესების დადგენილი კრიტერიუმების ზემოაღნიშნული სისტემა, რომელიც არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.<sup>1919</sup> საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, არანაკლებ 35 წლის ასაკის, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). როგორც ვხედავთ, მინიმალური ასაკობრივი ცენზი კვლავ თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და, ამასთანავე, რაც, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია, დამატებულია ახალი მოთხოვნები, კერძოდ, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. ეს ცენზები ერთობლიობაში, ვფიქრობთ, უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებას გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტებით.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში მათი განწესების წესს, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთმნიშვნელოვნად არ არის გადნეყეტილი. თუმცა, ყველგან ნათლად იკვეთება კანონმდებლის მისწრაფება, დადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის ამ უმ-

<sup>18</sup> იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Ред. В.В. Маклаков. «Норма», М., 2007, с. 42-43; Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юрист», М., 2005, с. 180-181.

<sup>19</sup> იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 149-150.

ნიშვნელოვანესი ინსტიტუციის დამოუკიდებლობას ხელისუფლების ორგანოებისა და პარტიული გავლენისაგან. ეს ტენდენცია კარგად ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების იმ წესში, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების სამივე შტოს თანაბრად მონაწილეობას ამ პროცესში (ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, უკრაინა და სხვ.). საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების სწორედ ასეთი წესი იქნა დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში. საქართველოს ძირითადი კანონის თანახმად (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი (პრეზიდენტი მაშინ სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო), სამ წევრს ირჩევს პარლამენტი (საკანონმდებლო ხელისუფლება) და სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო (სასამართლო ხელისუფლება).

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ეს წესი, მასში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით, მართალია, შემდეგ პერიოდშიც არ შეცვლილა, მაგრამ 2004 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, შეიცვალა ერთ-ერთი ამ სუბიექტის, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. ის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად აღარ განიხილებოდა, რაც, მათი აზრით, გამორიცხავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობას საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში. ამიტომ, გამოითქვა წინადადება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დასანიშნი კანდიდატურა პრეზიდენტისათვის წარედგინა მთავრობას.<sup>200</sup> საკითხის ასე დასმა მართებულად მიგვაჩნია, თუმცა ამის აუცილებლობა გაჩნდა არა 2004 წლის, არამედ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსი მიიღო, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს ჩამოსცილდა აღმას-

<sup>200</sup> იხ. გიორგი კახიანი. მით. ნაშრომი, გვ. 135-136.

რულებელი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი ფუნქციები. მანამდე კი, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ 2013 წლამდე, საქართველოს პრეზიდენტი, მართალია, აღარ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მაგრამ არც საქართველოს მთავრობა განიხილებოდა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად ინაწილებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, კერძოდ, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა საკუთარი ინიციატივით გადაეყენებინა მთავრობა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ზოგიერთი მინისტრი, შეეჩერებინა ან გაეუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები და სხვ. ამის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის უფლება ამ პერიოდში შეიძლება კვლავ განხილულიყო როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ საქართველოს პრეზიდენტი თითქმის სრულად ჩამოაცილა აღმასრულებელ ხელისუფლებას და მას მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი აკმარა, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკისთვისაა დამახასიათებელი, მას მაინც დაუტოვა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთი მესამედის ერთპიროვნულად დაკომპლექტების უფლებამოსილება. თუ კანონმდებელი ერთგული რჩება იმ პრინციპისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო თანაბრად უნდა მონაწილეობდეს, მაშინ შეცვლილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეალობაში გაუგებარია, აღმასრულებელი ხელისუფლება როგორ მონაწილეობს ამ პროცესში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ აღარ წარმოადგენს ხელისუფლების ცნობილი ტრიადიდან არც ერთ შტოს. გამომდინარე აქედან, ეს საკითხი სამომავლოდ უნდა გადაწყდეს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო შემოთავაზებული ან

პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნისას პრემიერ-მინისტრის თანახელმონერის (კონტრასიგნაციის) შემოღებით.<sup>2121</sup>

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შეცვლილია პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევის პროცედურა. ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით - სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისათვის საჭირო იყო პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ახალი რედაქციით პარლამენტის „სიითი შემადგენლობა“ შეიცვალა „სრული შემადგენლობით“, ხოლო „ნახევარზე მეტი“- „სამი მეხუთედით“. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმის მნიშვნელოვნად გაზრდა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პროცესში საპარლამენტო უმცირესობის მოსაზრებების გათვალისწინებასა და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის დაცვას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის საკითხს, ჩვენი აზრით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მოსამართლე მიზანშეწონილია განწესდეს ან უვადოდ ან განსაზღვრული ვადით, ოღონდ, ხელმეორედ დანიშვნის (არჩევის) უფლების გარეშე. საქართველოს

---

<sup>21</sup> მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ მესამედს (ხუთ მოსამართლეს) მთავრობის მიერ პრეზიდენტისათვის კანდიდატურების წარდგენის გარეშე, თუმცა, პრეზიდენტის დეკრეტი მოსამართლის დანიშვნის შესახებ საჭიროებს მთავრობის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას (იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Ред. В.В. Маклаков, «Норма», М., 2007, с. 315-316).

კონსტიტუციამ თავიდანვე დაადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა და ახალი ვადით მოსამართლის განწესების დაუშვებლობის პრინციპი. არც ერთ საკონსტიტუციო რეფორმას ძირითადი კანონის ეს დებულებები არ შეუცვლია და ისინი კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც ძალაშია, რაც მიაჩნებებს კანონმდებლის სწორ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ.

ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესიც. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს წარმომადგენლობით, ორგანიზაციულ და ზოგიერთ საპროცედურო უფლებამოსილებებს, რაც გამოარჩევს მას სხვა მოსამართლეებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის (არჩევის) ორი მეთოდია ცნობილი: თავმჯდომარეს ირჩევს თავად სასამართლოს შემადგენლობა (მაგალითად, ბელგია, იტალია, ლატვია და სხვ.) ან თავმჯდომარეს ნიშნავს (ირჩევს) სხვა სახელმწიფო ორგანო (მაგალითად, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი და სხვ.). იურიდიულ ლიტერატურაში უფრო მოზანშენონილად მიაჩნიათ სასამართლოს თავმჯდომარის თავად მოსამართლეთა მიერ არჩევის წესი, რადგანაც იგი მნიშვნელოვნად ამცირებს არჩევნების პოლიტიზირების შესაძლებლობას და გარკვეულ გარანტიას ქმნის მოსამართლეთა თანასწორობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევდა საკონსტიტუციო სასამართლო. ამასთანავე, თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელი იყო (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის ამ წესმა ყველა საკონსტიტუციო რეფორმას გაუძლო და უცვლელი დარჩა, თუმცა, შეიცვალა თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის დაუშვებლობის კონსტიტუციური დებულება. სახელდობრ, 2010 წლიდან შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე პირის

სასამართლოს თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩევა,<sup>222</sup> რაც 2011 წელს პრაქტიკულად განხორციელდა კიდევ. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ აღადგინა ადრე არსებული მდგომარეობა და საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა კვლავ დაუშვებელია (მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი).

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ფაქტის აღნიშვნაც, თუმცა ის ეხება არა ძირითადი კანონის, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის რეგულირების საგანს. სახელდობრ, საკითხი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის წესს. 2016 წლამდე თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით (ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ კი, თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება მიეცა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს.<sup>2323</sup> ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას თავად მოსამართლეები დაასახელებენ და თავადვე ირჩევენ მას. ეს წესი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გააძლიერებს საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორგანოს ავტონომიურობას.

<sup>22</sup> 22 იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, 3710-სსმ I, 62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

<sup>23</sup> 23 საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის ორგანული კანონი - ვებგვერდი 04.06.2016 წ.



## საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო საფუძვლების კონსტიტუციურმა ნორმებმა. თუ ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით, კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ერთადერთი წყარო მხოლოდ კონსტიტუციაა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის იმ მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად დადგენილია მხოლოდ კონსტიტუციით. სხვა საკანონმდებლო აქტით, მაგალითად, ორგანული კანონით, ამ უფლებამოსილებების რაოდენობის გაზრდა დაუშვებელია.

ძირითადი კანონის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს 9 უფლებამოსილება: ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, ნორმათა კონკრეტული კონტროლი, კომპეტენციური დავების გადაწყვეტა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი, დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლი, რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვა.

ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებასთან. იგი მოცემული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 48-ე მუხლში, რომელსაც უკვე

„იმპიჩმენტი“ ეწოდება. ამრიგად, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები 10 სახეობით არის წარმოდგენილი. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების რაოდენობა თოთხმეტია, ე. ი. ოთხით მეტი, ვიდრე ეს კონსტიტუციის ახალი რედაქციითაა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო რეფორმის ავტორებმა უარი თქვეს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთ უფლებამოსილებაზე, როგორცაა ნორმათა ფორმალური კონტროლი, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დარღვევის თაობაზე დავების გადაწყვეტა, ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონტროლი და სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვა. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება მისი უფლებამოსილებების ერთობლიობით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

ეს რაც შეეხება უფლებამოსილებების რაოდენობრივ მხარეს. ახლა კი, არსებითად განვიხილავთ იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად აღარ აქვს ან გარკვეული ცვლილებებით დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს.

ერთ-ერთი უფლებამოსილება, რომელიც გამოაკლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა ფორმალური კონტროლია. ამ უფლებამოსილებების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს. მაშასადამე, აქ საკონსტიტუციო კონტროლის საგანი იყო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების არა შინაარსი, მატერიალური მხარე, არამედ მათი ფორმალური მხარე კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდებოდა მხოლოდ პარლამენტის ნორმატიულ აქტებზე და მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ხელისუფლების სამართალშემოქმედების პროცეს-

ში კონსტიტუციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფას. ნორმათა ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (26-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გათვალისწინებული იყო აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივით (რაც საგამონაკლისო შემთხვევაა ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის) მისი განხორციელების სავალდებულობა ნორმათა კონტროლის თაობაზე სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას. კანონმდებელი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა ნორმატიული აქტების ნამდვილობის ზოგად წესს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი შინაარსი არ შეესაბამება კონსტიტუციას, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა.

გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუტიის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში იყოს, მაგრამ, ამასთანავე, უხეშად იყოს დარღვეული მისი მიღებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისათვის აღარ იარსებებს და პარლამენტის შეკავება, რათა მან არ დაარღვიოს კონსტიტუცია, შეუძლებელი გახდება. ამიტომ არ იყო საჭირო ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი ორი უფლებამოსილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეხებოდა და მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტას. ამის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხ-

ილა და გადაენწყვიტა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები. ამ უფლებამოსილებების გაუქმების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის ტვირთი საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებებზე (მაგალითად, აბსტრაქტულ კონტროლზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და სხვ.) გადავა, მაგრამ ნორმათა კონტროლი არ იქნება ისეთი ქმედითი, როგორც ეს სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში იყო შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ან უკვე გაუქმებული უფლებამოსილებების დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება უპირობოდ იწვევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, შესაძლებელი იყო სადავო ნორმატიული აქტის შემოწმება როგორც კონსტიტუციურობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით.<sup>2424</sup> საკონსტიტუციო კონტროლის ეს შესაძლებლობები საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ უკვე აღარ იქნება.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე უფლებამოსილებას. რადგანაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევა შესაძლებელი იყო როგორც საქართველოს ცენტრალური, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ, ამიტომ ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ ხელისუფლების ორივე დონის ორგანოებს: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და

<sup>24</sup> იხ. ჯონი ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 253-263.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.<sup>2525</sup> ამჟამად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მისი კომპეტენცია, რაც, რასაკვირველია, საკითხთა უფრო ვიწრო წრეს მოიცავს, ვიდრე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის რეგულირების სფერო.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი გაუქმებული უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვას, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩაანაცვლოს კომპეტენციური დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებამ, რადგანაც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება (64-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამიტომ ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს, იუსტიციის საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ეხება და, შესაბამისად, ამ ორგანოს, იმედია, უფლება ექნება წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.

ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ. საკონსტიტუციო რეფორმამდე იგი შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, კერძოდ, კონსტიტუციითა (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)

<sup>25</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 411 მუხლი (იხ. პარლამენტის უწყებანი, № 45, 21.11.1997 წ., გვ. 54).

ზუსტად იყო განსაზღვრული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ უნივერსალური სახე მიიღო და მისი განსჯადობის სფეროში მოექცა ნებისმიერი ნორმატიული აქტი. თავისთავად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის არეალის გაფართოება პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, თუ, რა თქმა უნდა, ის არ გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვას. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთშეკავებისა და განონასწორების მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მისი მოქმედება გავრცელებულიყო მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე.

შეცვლილია სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციური დავების გადაწყვეტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციურ დავებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ ახალ სუბიექტებს, სახელდობრ: ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს, გენერალურ პროკურორსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს (მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, მიმართვის სუბიექტებიდან ამოღებულია სასამართლოები. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ორგანული კანონით ექნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში დასაზუსტებელი იქნება არა მარტო ეს საკითხი, არამედ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს (მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, იუსტიციის

უმადლესი საბჭოს) უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ როგორც საკუთარი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის დარღვევის თაობაზე.<sup>26</sup> ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ“ არ იძლევა მკაფიო ორიენტირებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ცალკეული სუბიექტების მიმართვის ფარგლების დასადგენად და საჭიროებს ორგანულ კანონში შემდგომ დაზუსტებას.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ახლებურადაა ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე. საკონსტიტუციო რეფორმამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების როგორც შექმნის, ისე მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხები. რეფორმის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის შემონგებით შემოიფარგლება. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შექმნის კონსტიტუციურობას, ის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის მიღმაა დატოვებული. ამან კი შესაძლებელია წარმოშვას გაუგებრობები პოლიტიკური პარტიების მიმართ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაში. საქმე ისაა, რომ ძირითადი კანონი ადგენს პოლიტიკური პარტიების როგორც საქმიანობის, ისე მათი შექმნის სტადიაზე აკრძალვების მთელ რიგს. მაგალითად, ძირითადი კანონის ახალი რედაქციით „დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით“ (23-ე მუხლის მე-3 პუნ-

<sup>26</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად (34-ე მუხლის პირველი პუნქტი), საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს უფლება აქვთ სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მაშინ, თუ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია უშუალოდ მათი კომპეტენცია, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

ქტი). თუ წარმოვიდგენთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პოლიტიკური პარტია შეიქმნა ტერიტორიული ნიშნით, მაგრამ, ამასთანავე, მისი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სხვა მოთხოვნებს, მაშინ ასეთი პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. მისი აკრძალვა არც სხვა ორგანოს შეეძლება, რადგანაც ძირითადი კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებათა (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

კიდევ ერთი ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებამ, ოღონდ ამჯერად მისი გაფართოების მიმართულებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან ერთად გადაწყვიტოს ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე უკვე არსებობდა დასაბუთებული წინადადებები, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც იყო ანალოგიური საკანონმდებლო გამოცდილება და მისასაღმებელია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.<sup>2727</sup>

ახალი დებულება დაემატა არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ნორმას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი). რაც შეეხება არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის შესახებ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამჟამად მოქმედ კონსტიტუციურ დეფინიციას, იგი უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიუხედავად კრიტიკული შენიშვნებისა, არჩევ-

<sup>27</sup> იხ. ჯონი ხეცურიანი, მით. ნაშრომი, გვ. 94-97.



ნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის საკითხი და არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი კვლავაც ერთობლივად უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ. ასეთი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ თუ არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არჩევნები ან რეფერენდუმი ჩატარდა ამ ნორმებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ვერ იქნება.<sup>2828</sup> საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა ახალმა ნორმამ კიდევ უფრო შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თუ არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება საარჩევნო კანონმდებლობაში, ე. ი. არ მიიღებენ არჩევნების მომწესრიგებელ ახალ ნორმას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო ამ არჩევნების წლის განმავლობაში ვერ განიხილავს ვერც ჩასატარებელი და ვერც ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება პარალიზებული აღმოჩნდება. ჩვენი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფისა და შესაძლო პოლიტიკური კრიზისების სამართლებრივი საშუალებებით მოგვარების მიზნით, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების გზით ფორმირების პროცესში სასამართლო ხელისუფლების როლის კიდევ უფრო გაძლიერება და არა მისი დაკნინება. სამწუხაროდ, 2005 წლიდან მოყოლებული 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობა სწორედ ამ იდეის საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტების საკითხს ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შესახებ კონსტიტუციური ცვ-

<sup>28</sup> იხ. ჯონი ხეცურიანი, მით. ნაშრომი, გვ. 102-103.

ლილებების განხილვისას. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ამ სუბიექტთა წრე. რეფორმამდე 11 სუბიექტს შეეძლო მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რეფორმის შემდეგ მათი რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. ამასთანავე, ახალ სუბიექტებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კომპეტენციური დავების გადასაწყვეტად.

ნაწილობრივ შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების შესახებ კონსტიტუციური დებულება. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ (89-ე მუხლის მე2 პუნქტი). კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ ნორმას დაემატა შემდეგი წინადადება: „თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა გვიანდელ ვადას (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების ასეთივე წესს ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი (25-ე მუხლის მე-2 პუნქტი), თუმცა, მისი პრაქტიკული გამოყენება არ ხდებოდა, რადგანაც იგი არ შეესაბამებოდა ძირითადი კანონის დებულებას, რომელიც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალის დაკარგვას იმპერატიულად უკავშირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტს და არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციულ უფლებას, თავად განესაზღვრა არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვის სხვა ვადა. არადა, ამის საჭიროება აშკარა იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი, მათ შორის უწინარეს ყოვლისა, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლის

თაობაზე უფლებამოსილების განხორციელებისას.<sup>29</sup>

ამჟამად, ეს საკითხი მოგვარებულია და საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ორგანული კანონის ზემოაღნიშნულმა ნორმამ კონსტიტუციური ნორმის სტატუსი შეიძინა. მისი გამოყენება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვენი აზრით, თავიდან აგვაცილებს შესაძლო კოლიზიებს საერთაშორისო და ნაციონალური სამართლის პრინციპებს შორის და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება გახდება.

## დასკვნა

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი და აღმოფხვრა ის ხარვეზები, რომლებიც წინამორბედი საკონსტიტუციო რეფორმის (2010 წ.) დროს იყო დაშვებული.

საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც ნაწილობრივ 2018 წელსაც გაგრძელდა, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებსაც შეეხო, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონის ახალი რედაქციით, იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაა აღიარებული და წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს.

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები, აგრეთვე პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმი, აიკრძალა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა, გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი

<sup>29</sup> ამ საკითხზე იხ. ჯონი ხეცურიანი. მით. ნაშრომი, გვ. 186-188.

სუბიექტების წრე, აგრეთვე ნორმათა აბსტრაქტული კონტროლისა და პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლები, საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებით, თავად განსაზღვროს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის ვადა.

ამ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საგრძნობლად შემცირდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი უფლებამოსილება, მათ შორის, ნორმათა ფორმალური კონტროლი. კიდევ უფრო შეიზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე და სხვ. ამასთანავე, მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა ან მისი დაზუსტება მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებებით არის შესაძლებელი, რაც უაღრესად რთული პროცესია.

გამომდინარე აქედან, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ მოსაზრებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს როლი და მნიშვნელობა, უნინარეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი კომპეტენციური შესაძლებლობებით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება გაზრდის ნაცვლად შემცირდა, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

## გიორგი ამირანაშვილი

სამართლის დოქტორი (თსუ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი; გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

### **გამოსატვის თავისუფლების „საკანსაციო უპირატესობა“**

ექვნება მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის,

პროფესორ რევაზ გომბელიძის ნათელ ხსოვნას!

#### **1. ძირითადი უფლებების არსი და მნიშვნელობა**

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებადაა გამოცხადებული სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება და ამის საფუძველზე, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. ძირითადი უფლებები სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ელემენტად მოიაზრება. აღნიშნული განპირობა ბუნებითი სამართლის დოქტრინამ, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანს უფლებები დაბადებიდან აქვს და ამ უფლებების ხელშეუხებლობის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის კონცეფციაში გამოიხატა.

ძირითადი უფლებები არის ცნება, რომელიც ახასიათებს ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობას სახელმწიფოსთან მიმართებით, მის შესაძლებლობას, თავისუფლად განვითარდეს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში.<sup>1</sup>

ძირითადი უფლებების წარმოშობა შუა საუკუნეებთან ასოცირდება, ხოლო მე-20 საუკუნეში, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციაში აისახა ძირითად უფლებათა კატალოგი.

---

<sup>1</sup> იხ. ცნობილადე პ., კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 1998, 9.

ფუნდამენტური უფლებები ყოველთვის იდგა ძლიერი სახელმწიფოს ხელისუფლების საფრთხის ქვეშ, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერების პერიოდში, ყოველთვის ხდებოდა მათი უგულვებელყოფა და დარღვევა. ადამიანის უფლებები არასდროს იყო აბსოლუტურად გარანტირებული. როცა სახელმწიფო ხელისუფლება სუსტდებოდა, ამ დროს, ძლიერი იყო ადამიანის უფლებათა მოქმედება და გავლენა, მაგრამ ხელისუფლების გაძლიერებისთანავე ხდებოდა მათი შეზღუდვა და ხშირი უგულვებელყოფა.

ყველა ძირითადი უფლების საზრისი ადამიანის ღირსების დაცვაა, რადგან თითოეულის პიროვნების იდენტურობასა და ავტონომიურობას უზრუნველყოფს. განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებში განმტკიცებული ადამიანის უფლებები, ძირითადად, იმ სფეროების დაცვით შემოიფარგლება, რომლებიც ისტორიულად ხელყოფის მეტ საფრთხეს ექვემდებარებოდა.<sup>2</sup> ამ მხრივ, აღსანიშნავია სიტყვის, გამოხატვის, რელიგიის თავისუფლებები და ა.შ.

ძირითადი უფლებების თანამედროვე მნიშვნელობა აღარ იზღუდება მხოლოდ სახელმწიფო ძალმომრეობისაგან დაცვის ფუნქციით (ნეგატიური სტატუსი) მათ პოზიტიური ხასიათიც მიეცა. ეს ყოველივე გამოვლინდა იმაში, რომ ისინი მთელი სამართლებრივი სისტემის ერთგვარ საფუძვლად იქცა და კონკრეტული უფლების რეალური დაცვისა და უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოსაგან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა გახდა აუცილებელი, რადგან თუ რეალურ ცხოვრებაში არ იარსებებდა ძირითადი უფლებების განხორციელების სოციალური პირობები, მაშინ ამ უფლებების არსებობას აზრი დაეკარგებოდა. ერთი სიტყვით, ძირითადად უფლებებმა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითმა ელემენტმა, განაპირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორი მიმართულებით შეზღუდვა: ერთი მხრივ, მან გარკვეული ფარგლები დაუწესა ხელისუფლების მოქმედებას ძირითადი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში და, მეორე მხრივ, გახდა ხელისუფლების საქმიანობის შინაარსის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ამასთან, ხელისუფლებას

<sup>2</sup> იხ. იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, გამომცემლობა „სიესტა“, თბ., 2009, 187.

დაეკისრა თითოეული უფლების განხორციელებისათვის რეალური პირობების შექმნა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი რეალური თავისუფლების უზრუნველყოფა უნდა იყოს.

ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელი იქნება, თუკი არ იარსებებს უფლებათა საერთო წესრიგი. ეს წესრიგი ადამიანის ორგანიზმით უნდა იყოს და იგი რაც უფრო ჯანმრთელი იქნება, მით უფრო გარანტირებული იქნება აღნიშნული უფლებების დაცვა. სამართლებრივი წესრიგი ისეთივე მიმართებაშია ძირითად უფლებებთან, როგორც შენობის საძირკველი შენობასთან – საკმარისი იქნება, ეს საძირკველი გამოეცალოს მას, რომ შენობაც დაინგრევა, სწორედ ამიტომ, საძირკველს აზრი არა აქვს შენობის გარეშე და არც შენობა იარსებებს უიმისოდ.<sup>3</sup>

ძირითადი უფლებების მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი სამართლებრივი სისტემის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. მთავარი არსი ისაა, რომ ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსაგან ადამიანის დამცავი უფლებებია, რაც იცავს ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან და ამით უზრუნველყოფს ადამიანებისათვის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს და გამორიცხავს იმას, რომ ამ უკანასკნელს ყველაფრის უფლება გააჩნდეს. სახელმწიფოს შებოჭვის მიზანი ძირითადი უფლებების ისტორიული განვითარების სათავეა, რომელიც დღესაც ძირითადი უფლებების ტიპურ ფუნქციონირებად აღიარებულია.<sup>4</sup>

ძირითადი უფლებების მოქმედების სფერო არ უნდა შემოიფარგლებოდეს პირთა განსაზღვრული წრით და უნდა გავრცელ-

---

<sup>3</sup> იხ. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (ჩთძ), თბ., 2007, 45.

<sup>4</sup> იხ. კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (იურიდიული სახელმძღვანელო), მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა შპს „ფაუნტინ ჯორჯია“, თბ., 2017, 40-41.

დეს ნებისმიერ ადამიანზე, ხოლო ამ უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობათა რიცხვს განეკუთვნება. ცალკეული ადამიანის ძირითადი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთგვარ სასაზღვრო ზოლს წარმოადგენს, რა დროსაც, მოქმედებს უფლებების ბალანსის ცნობილი პრინციპი, როდესაც სახელმწიფოს უფლებები დამთავრდება იქ, სადაც დაიწყება მოქალაქეთა უფლებები.<sup>5</sup>

## 2. გამონატვის თავისუფლების ადგილი ძირითად უფლებათა კლასიფიკაციაში

საქართველოში, ადამიანის ძირითად უფლებებს მცირე ხნის, თუმცა საინტერესო ისტორია აქვს. პირველად, ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუცია საკმაოდ მაღალ დონეზე იყო შესრულებული და სამართლებრივ სტანდარტებს სრულად შეესაბამებოდა. საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულია ადამიანის უფლებათა საკმაოდ ვრცელი კატალოგი.

არსებობს შეხედულება, რომ ძირითადი უფლებები მხოლოდ ის უფლებებია, რომელთა ჩამონათვალსაც გვთავაზობს საქართველოს უზენაესი დოკუმენტი და სხვა დანარჩენი უფლებები შეიძლება ჩაითვალოს ძირითად უფლებათა თანაბარ (მსგავს) უფლებებად.<sup>6</sup> ამის საპირისპიროდ, მიიჩნევა, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში არ უნდა იყოს ძირითადი უფლებების ამომწურავი ჩამონათვალი. ეს სულაც არ იქნება იმის მანიშნებელი, რომ სახელმწიფო უარს იტყვის მათ დაცვაზე. ასეთ შემთხვევაში, ამოქმედდება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ნინადადება, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებას“.

<sup>5</sup> იხ. *ცნობილადე პ.*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004, 272-273.

<sup>6</sup> იხ. *კუბლაშვილი კ.*, დასახ. ნაშრომი, 41.



ბებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. საკონსტიტუციო სასამართლოს თავის პრაქტიკაში არაერთხელ გამოუყენებია ასევე ამავე პუნქტის მე-2 წინადადება, იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული. ეს ნორმა იმის დადასტურებაა, რომ უფლების აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მისი კონსტიტუციის რომელიმე ნორმაში მოხსენიება და მთავარია, ეს უფლება კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობდეს.<sup>7</sup>

თეორიაში, ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე ხორციელდება, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია – სახელმწიფო ხელისუფლებაზე ორიენტაციის პრინციპი, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა: ა) თავისუფლების უფლებები; ბ) სამოქალაქო უფლებები და გ) სოციალური უფლებები. ამ შემთხვევაში, ინტერესის საგანია „თავისუფლების უფლებები“. იგი მოიცავს ადამიანის პირად უფლებებსა და თავისუფლებებს. მისი მიზანია, არ დაუშვას სახელმწიფოს ჩარევა ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს, რომ მესამე პირებიც პატივს სცემდნენ აღნიშნულ კლასიფიკაციაში შემავალ უფლებებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ გამოხატვის თავისუფლებას უკავია.

გამოხატვის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის მთავარი საფუძველი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების საქმეში.<sup>8</sup> ეს უფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელიც სახელმწიფოს მიერ კეთილგანწყობილად მიიღება, არამედ ისეთსაც, რომელიც მიუღებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს პრულარიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატი-

<sup>7</sup> იხ. *ზონდუ ბ.*, დასახ. ნაშრომი, 155.

<sup>8</sup> იხ. *Handyside v. United Kingdom*, 1976 წლის 07 დეკემბერი.

ული საზოგადოება.<sup>9</sup>

ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმებით. იგი გულისხმობს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. აზრის გამოხატვის თავისუფლება სამ ელემენტს მოიცავს:

ა) საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლებას; ბ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებასა და გ) ინფორმაციის მიღების თავისუფლებას. პირველადი პირობაა საკუთარი აზრის მიდევნების თავისუფლება. ამ უფლების დაცვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, ვინაიდან ის შეზღუდვები, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია დაანესოს აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევებში არ გამოიყენება. ნებისმიერი შეზღუდვა ამ უფლებებთან მიმართებით შეუთავსებელია დემოკრატიული სახელმწიფოს ბუნებასთან. მოქალაქეები არ უნდა განიცდიდნენ ძალდატანებით იდეოლოგიურ დამუშავებას სახელმწიფოს მხრიდან. მით უფრო დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა. ეს, თავის მხრივ, აზრის „ქონის“ თავისუფლების სერიოზულ და მიუღებელ წინააღმდეგობას ნიშნავს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა, ვინც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების უფლებით, გარკვეულ ვალდებულებებსაც უნდა ემორჩილებოდეს. თავი უნდა აარიდონ ისეთ გამონათქვამებსა და მსჯელობებს, რაც შეურაცხმყოფელი იქნება სხვა პირებისთვის. სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდვები დაანესოს გამოხატვის თავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები ემსახურება კანონიერ მიზანს. ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე; აუცილებელია ასევე უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვა-

<sup>9</sup> იხ. *ალექსიძე* ლ. (რედ.), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2005, 54.

თა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისთვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებული გამოხატვის თავისუფლება შინაარსობრივად ძალიან მდიდარია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოცემული ძირითადი უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აღნიშნული თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს პრინციპადაა აღიარებული, ვინაიდან მიჩნეულია, რომ მის გარეშე წარმოუდგენელი იქნება ადამიანის თვითგანვითარება.<sup>10</sup> ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლოები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, ფართოდ განმარტავენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, რაც დაცვის მეტ გარანტიას ქმნის აღნიშნული თავისუფლების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად.

### **3. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიმართება სსსკ-ის 391<sup>4</sup> მუხლთან**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. მოცემული უფლება სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შემადგენელ ნაწილსა და კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს. განსახილველი ძირითადი უფლების მფლობელია ყველა ფიზიკური პირი, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა. ეს უფლება წარმოადგენს გარანტიას, რომლის საფუძველზეც, აცილებულ უნდა იქნეს ფიზიკური პირის სასამართლო გზით დაცვაზე სხვადასხვა საშუალებით ზეგავლენისა და სასამართლო პროცესის მანიპულირების საფრთხე.

<sup>10</sup> იხ. *კუბლაშვილი კ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, მუხლი 24, 193-194.

სააპელაციო ინსტანცია საქართველოში ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული. ახალი საპროცესო კოდექსით შემოღებულ იქნა ეს ინსტიტუტი, როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის რეალური საშუალება.

არსებობს გარკვეული ქვეყნები, სადაც დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების გასაჩივრება შემოფარგლულია მხოლოდ ორი ინსტანციით. აღნიშნული ეფუძნება ცნობილ პრინციპს, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება ორ ინსტანციაში მაინც. საქართველო არ ჩაენერა ამ ქვეყნების სიაში და გადაწყდა, სასამართლო სისტემაში შემოტანილიყო საკასაციო სასამართლოს ინსტიტუტი, როგორც მესამე ინსტანციის სასამართლო, რომელიც შეამონმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ მხარეს. ეს უფლება სასამართლო წესით დაცვის უფლების (კონსტიტუციის 31-ე მუხლი) სახესხვაობაა და მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით ხდება პირთა დარღვეული უფლებების დაცვა, რომელიც არ დაიცვა სასამართლო ხელისუფლებამ. მაშასადამე, ეს არის სასამართლო ხელისუფლების აქტისგან დაცვა.<sup>11</sup>

გამოხატვის თავისუფლება, ისევე, როგორც სხვა ძირითადი უფლებები, არაქონებრივი კატეგორიის ბლოკში არის მოქცეული. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ინსტანციაში, არაქონებრივი დავების დასაშვებობის კუთხით, მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკასაციო საჩივარი დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება.

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს გამოჩაკლისს ამ ზოგადი წესიდან და მასზე ვრცელდება ე.წ. თავისუფალი კასაცია, ე.ი., შეზღუდვები, რომლებიც დანესებულია ყველა სხვა დანარ-

<sup>11</sup> იხ. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006, 83.

ჩენ უფლებასთან მიმართებით, მასზე არ მოქმედებს.<sup>12</sup> ზემოაღნიშნულზე მეტყველებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე“. ეს გამონაკლისი დაკავშირებული უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების, როგორც ადამიანის თვითგანვითარების მიღწევის ყველაზე საჭირო მექანიზმის, მნიშვნელობასა და დაცულ სფეროში სახელმწიფოსა თუ მესამე პირების ხშირი ჩარევის მომეტებულ საშიშროებასთან.

#### 4. რამდენიმე ასპექტი სასამართლო პრაქტიკიდან

გამოხატვის თავისუფლების, როგორც საქართველოს უზენაესი კანონით დაცული ძირითადი უფლების, სასამართლო პრაქტიკაში განხილვა მნიშვნელოვანია თვით ამ უფლების არსიდან გამომდინარე. აუცილებელია საქართველოს სასამართლოების მიერ განხილული საქმეების ცალკეულ ასპექტზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასების ანალიზის ჩამოყალიბება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ქართულ სამართალს საკმაოდ დიდი სამართლებრივი ბაზა აქვს. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მიმოხეული გამოხატვის თავისუფლება ერთ მთლიან ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც თავისი მრავალნაზნაგოვანი და მრავალფეროვანი ბუნებით საინტერესო შესასწავლია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით, ადამიანს ენიჭება უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარანტირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება. კანონში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე, დაკავშირებულია ამომწურავად ჩამოთვლილი გარემოებების არსებობასთან, მათ შორის,

<sup>12</sup> იხ. *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (II გამოცემა), გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2005, 503.

„სხვათა უფლებების“ დაცვასთან<sup>13</sup>.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისაგან დაცვა და მას სასამართლოს მეშვეობით ასეთი ცნობების უარყოფის მოთხოვნის უფლება ენიჭება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი გათვალისწინებულია პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, როდესაც ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მე-4 ნაწილის თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლება ეძლევა პირს, მისი პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში, თუმცა არაა გათვალისწინებული შესაბამისი უფლება, მაგალითად, საქმიანი რეპუტაციის შელახვისას.

ყველა ამ ფაქტორის გაცნობისას, უზენაესი სასამართლოს ხედვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საინტერესო ხდება მისი განხილვა.

მაგალითისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 01 მარტის №3კ/1044 გადაწყვეტილებაში, სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებული გამოხატვის თავისუფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში<sup>14</sup>. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება ყველა ინდივიდის მიმართ, წესით, თანაბრად უნდა მოქმედებდეს, არის გამონაკლისებიც. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, საქმეზე – „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“<sup>15</sup> – მიღებულ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოხატვის თავი-

<sup>13</sup> იხ. *კერესელიძე დ.*, გამოხატვის თავისუფლება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-4, 614.

<sup>14</sup> ნორმაზე მითითება ხდება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის გათვალისწინებით.

<sup>15</sup> იხ. *Castells v. Spain*, 1992 წლის 30 აპრილი.

სუფლებასში ჩარევის შეფასებისას, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ განსხვავებული სტანდარტები უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ჩარევის ფარგლები უფრო ფართოა საჯარო მოხელეების მიმართ, ვიდრე რიგითი მოქალაქეებისათვის.<sup>16</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მოსამართლეები, საქმის განხილვისას, საქართველოს კონსტიტუციის გვერდით, მხედველობაში იღებენ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლსა და მასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამ გზით, სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს რეალობაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას. აღნიშნული ტენდენციის გაგრძელება განაპირობებს საქართველოში არსებული სამართლებრივი უზუსტობების აღმოფხვრას. კერძოდ, ზოგჯერ, მოსამართლეები გადანყვეტილებებში მიუთითებენ „საქართველოს მოქალაქეების“ უფლებაზე, რაც არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება ინდივიდის და არა მოქალაქის უფლებებად და თავისუფლებებად უნდა განიხილებოდეს.

## 5. შეჯამება

ძირითადი უფლებები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი ელემენტებია, რითაც მიიღწევა პიროვნების თვითგანვითარება. ამ უფლებათა კატალოგში გამოიკვეთა გამოხატვის თავისუფლების როლი და მნიშვნელობა. გამოხატვის თავისუფლებისათვის ამ ერთგვარი „საკაცის უპირატესობის“ მინიჭებამ შესაძლებელი გახადა დაცვის უფრო მეტი გარანტიის შექმნა, აღნიშნულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად. იმედი, მომავალში სულ უფრო და უფრო ნაკლები ადგილი ექნება ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას. აგრეთვე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ევროპული სტანდარტები და დაამკვიდროს რეალურ ცხოვრებაში.

<sup>16</sup> იხ. *კერესელიძე დ.*, დასახ. ნაშრომი, 616.

## შალვა ყიფშიძე

საჯარო სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი (თსუ), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტი ადმინისტრაციული სამართლის, სამენარმეო წესრიგისა და პრივატიზების სამართლის მიმართულებით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის წევრი და ასოცირებული მკვლევარი, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის იურიდიული მიმართულების მონვეული ტრენერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

### დავა განსჯადოვაზე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

#### შესავალი

საქართველოს კონტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. ეს ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლო განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას.<sup>1</sup>

საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესები. აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამავდროულად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული დებულებები.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე განსჯადობის საკითხი პრობლემური და აქტუალურია პრაქტიკაში, რასაც სასამართლოებში აღნიშნული საფუძვ-

<sup>1</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2014, 344.



ლით დავების მრავალრიცხოვნებაც ადასტურებს.<sup>2</sup>

სტატიის მიზანია განიხილოს განსჯადობის შედეგად წარმოშობილი დავების განხილვისა და გადაწყვეტის საკითხი, გამოკვეთოს კონკრეტული პრობლემური ასპექტები და წარმოაჩინოს მათი გადაჭრის გზები. საბოლოო ჯამში სტატია ნათელ წარმოდგენას იძლევა განსჯადობის ინსტიტუტის სამართლებრივი მნიშვნელობის და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

## უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა

### 1. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის ცნება

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ცნებებს, როგორცაა სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. მათი ერთმანეთისგან განსხვავება აუცილებელია, რადგან თითოეულ მათგანს განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება.

„სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა გულისხმობს იმ საქმეთა ერთობლიობას, რომლის გადაწყვეტა კანონით დაკისრებული აქვს სასამართლოს“.<sup>3</sup> უწყებრივი ქვემდებარეობა აგრეთვე განმარტებულია, როგორც „ის საქმე, რომელთა განხილვისა და გადაწყვეტის უფლებაც (უფლებამოსილება, კომპეტენცია) აქვთ სასამართლოებს“.<sup>4</sup> უწყებრივი ქვემდებარეობა ერთგვარი მექანიზმია, რომლითაც წესრიგდება სხვადასხვა იურისდიქციულ ორგანოთა შორის საქმეების განაწილების საკითხი. იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ ორგანოს უფლებამოსილებას. ნებისმიერი ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს, რომ მოქმედებდეს საკუთარი

<sup>2</sup> იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები განსჯადობის თაობაზე წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით შემდეგ საქმეებზე: **ნბს-41-36(გ-13)**, **ნბს-852-844 (გ-15)**, **ნბს-668-653(გ-14)**, **ნბს-672-668(გ-17)**, **ნბს-651-651(გ-18)**, **ნბს-748 (გ-19)**.

<sup>3</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 253.

<sup>4</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2005, 243.

უფლებამოსილების ფარგლებში და არ გადააჭარბოს მას. უწყებრივი ქვემდებარეობა არის ერთ-ერთი პირობა, რომელზეც დამოკიდებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლების წარმოშობა.

მას შემდეგ, რაც დადებითად გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, რომ აღძრული სარჩელი ექვემდებარება საერთო სასამართლოების უწყებას, დგება მეორე საკითხი კონკრეტულად, რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. ე.ი. სასამართლო განსჯადობის მიხედვით წესრიგდება სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების განაწილების საკითხი ცალკეული სასამართლოების მიხედვით.<sup>5</sup> ეს ნიშნავს, რომ უწყებრივი ქვემდებარეობის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ უნდა გაირკვეს, რომელი სასამართლოა უფლებამოსილი განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა ქვემდებარეობა განსაზღვრავს უფლებამოსილებას სხვადასხვა იურიდიულ ორგანოთა შორის. ამისგან განსხვავებით განსჯადობის მიხედვით განისაზღვრება უფლებამოსილება, მხოლოდ სასამართლოებს შორის. ე.ი განსჯადობა თვით სასამართლო ორგანოთა სისტემის შიგნით კომპენტენციის გამიჯვნის ინსტრუმენტია ცალკეულ სასამართლო ორგანოთა შორის.<sup>6</sup>

სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრას უკავშირდება სერიოზული სამართლებრივი შედეგები, ვინაიდან თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო და განიხილა საქმე, რომელიც მას უწყებრივად არ ექვემდებარება და მასზე გამოიტანა გადაწყვეტილება, ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში - „სსკ“) 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარება გაუქმებას.

განსჯადობის ცნებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი აწესრიგებს სამართლებრივ პრობლემას თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები, ამ წესების დარღვევით მიღებული

<sup>5</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 28.

<sup>6</sup> კობახიძე ა., დასახ. ნაშრომი, 253-254.

გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ საქმე განსახილველად კვლავ საერთო სასამართლოს ქვემდებარეა და სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესების მიხედვით ვალდებულია განსჯადობის დარღვევით წარდგენილი სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და ამის თაობაზე აცნობოს მოსარჩელეს (სასკ-ის 26-ე მუხლი).<sup>7</sup>

### განსჯადობის სახეები ტერიტორიული განსჯადობა

ხელისუფლების ყოველი ორგანოს როლს სახელისუფლებო სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, მის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა მნიშვნელობა და მოცულობა განაპირობებს. ამ საკითხთა გადასაწყვეტად ყოველი ორგანო აღჭურვილია შესაბამისი პროცესუალური, მატერიალურ - სამართლებრივი და ორგანიზაციულ - სამართლებრივი უფლებამოსილებებით, რომელთა ერთობლიობა ამ ორგანოს კომპეტენციაა.<sup>8</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. შესაბამისად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი განსჯადობის წესების დაცვა გარანტირებულს ხდის ამ კონსტიტუციური დებულების განხორციელებას.<sup>9</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე „სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმის განსჯადობა სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე“.<sup>10</sup> ზოგადად,

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო „პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის“, თბილისი, 2010, 25.

<sup>8</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 352.

<sup>9</sup> იქვე, 213.

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო „პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის“, თბილისი, 2010, 25.

ყველა სასამართლებრივ სისტემაში საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური განსჯადობა არის სასამართლო კომპეტენციის დამახასიათებელი მთავარი ინსტიტუტი.<sup>11</sup>

„ტერიტორიული განსჯადობა ენოდება სასამართლოებისადმი საქმეთა განსჯადობას იმ ტერიტორიის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება მოცემული სასამართლოს საქმიანობა“.<sup>12</sup> სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები“. უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა და სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე“.<sup>13</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასკ-ის 1(2) მუხლის მიხედვით სსსკ-ის დებულებები გამოიყენება ნეგატიური დათქმის პრინციპის საფუძველზე,<sup>14</sup> რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განსჯადობას განსაზღვრავს სსსკ-ის მე-15-24-ე მუხლები.

ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში კანონი განასხვავებს საერთო, განსაკუთრებულ, ხელშეკრულებით, ნივთობრივ, ქონებრივ, ოჯახური დავების განსჯადობას, ასევე განსჯადობას მოსარჩელის არჩევით (ალტერნატიული განსჯადობა).<sup>15</sup>

სსსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად სასამართლოს სარჩელი

<sup>11</sup> სტატიაში განხილულია ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობის დროს წარმოშობილი დავის საკითხები.

<sup>12</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2012, 175.

<sup>13</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინება №ს-280-276(გ-15).

<sup>14</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება №ს-956-949(გ-11).

<sup>15</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 153.

წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ნებისმიერი საქმის აღძვრა სასამართლოში წარმოებს ამ წესის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საერთო განსჯადობა).<sup>16</sup> უზენაესი სასამართლოს განმარტებით „ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის.“<sup>17</sup> „ეს ეხება აგრეთვე სარჩელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე“.<sup>18</sup>

განსაკუთრებული განსჯადობის რეგულირება მოცემულია სსსკ-ის მე-16 მუხლში, რომლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრე-

<sup>16</sup> იქვე., 153, შუად. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 07 ივნისის Nბს-342-342(გ-18) და 2015 წლის 22 სექტემბრის Nბს-190-187(გ-15) განჩინება, რომლის თანახმად „სსსკ-ის მე-15 მუხლი ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი“.

<sup>17</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 09 დეკემბრის განჩინება Nბს-341-341(გ-18).

<sup>18</sup> კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 97.

ბელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. განსაკუთრებული განსჯადობა ისეთი განსჯადობაა, რომელიც „უშვებს სარჩელის აღდგრის შესაძლებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე სასამართლოში და კრძალავს სხვა სასამართლოში მისი წარდგენის შესაძლებლობას“.<sup>19</sup> განსაკუთრებული განსჯადობის საქმეებზე განსჯადი სასამართლო ზუსტად არის განსაზღვრული და მისი არჩევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის ნებაზე.<sup>20</sup> მიუხედავად ხსენებული საკანონმდებლო ნორმის ჩანაწერისა, სასამართლოში ხშირია დავები საჯარო სამართლის იურიდიული პირების მომსახურების ცენტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს პრეიუდიციული გასაჩივრების მექანიზმს, კერძოდ, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს წარმოებაში თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ისმის კითხვა: სად უნდა გასაჩივრდეს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან გასაჩივრებული აქტის უცვლელად დატოვება? უზენაესი სასამართლოს განჩინებით „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული აქტის უცვლელად დატოვება, იწვევს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლის კანონიერება დადასტურდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად. საქმის განხილვა ზემდგომი ორგანოს (ცენტრალური ორგანო) ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად უთითებს ადმინისტრაციული

<sup>19</sup> ლილუაშვილი თ., დასხ. ნაშრომი, 153.

<sup>20</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2005, 249.

საჩივრის განხილვისას დაშვებულ დარღვევებს“.<sup>21</sup>

უზენაესმა სასამართლომ 2019 წლის 9 დეკემბერს განიხილა დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის. საქმე შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში - ეკონომიკის სამინისტრო) ბრძანების, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის (შემდგომში - მომსახურების ცენტრი) ბრძანების ბათილად ცნობის და მოსარჩელისთვის კუთვნილი ქონების დაბრუნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა მომსახურების ცენტრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა გარდაბნის რაიონში მდებარე რამდენიმე უძრავი ნივთი. ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს მოპასუხე ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რადგან მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია ამ ორგანოს საქმიანობას უკავშირდება. სხვა შემთხვევაში განსჯადობის საკითხი არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მიხედვით წყდება, რომელიც ამავდროულად ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნაზეცაა პასუხისმგებელი. რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიუთითა, რომ მომსახურების ცენტრი არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, რადგან სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელით მოქმედებს იგი. ვინაიდან, ქონების სააგენტოს ადგილსამყოფელია თბილისის

<sup>21</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინება Nბს-721-707(გ-14), ასევე იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება Nბს-589-582(გ-15).

და ეკონომიკის სამინისტროც თბილისში მდებარეობს დავა ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქმე უკან დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამ უკანასკნელმა კი სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით - საქმის ტერიტორიულ განსჯადობას არ ცვლის ის გარემოება, რომ ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის აქტთან ერთად გასაჩივრებულია ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული ბრძანებით სამომხმარებლო კოოპერაციის ადმინისტრაციული საჩივარი არსებითად არ განხილულა, საჩივარი დარჩა განუხილველად საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობისა და კანონიერი ინტერესის დაუდასტურებლობის გამო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს - ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით, ვინაიდან დავის საგანს შეადგენს მომსახურების ცენტრის უფროსის ბრძანება „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“. ტერიტორიული განსჯადობის საკითხს არ ცვლის ის გარემოება, რომ მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს. მომსახურების ცენტრი, როგორც სააგენტოს ტერიტორიული ორგანო, სააგენტოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების დროს უფლებამოსილია განახორციელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში განთავსებული სახელმწიფო ქონების განკარგვასთან, სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. ცენტრის უფროსი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მოცემული დავის საგანს შეადგენს არა სააგენტოს, არამედ ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანება. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ტერიტორიული განსჯადობით საქმის განსახ-



ილველად რუსთავის სასამართლოსთვის გადაგზავნის შემდეგ, ამ უკანასკნელს, უკეთუ არ ეთანხმებოდა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას, უნდა გადაეგზავნა საქმე არა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, არამედ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე საკასაციო სასამართლოსათვის უნდა გადაეგზავნა (სასკ-ის 26-ე მუხ. მე-3 ნაწ.). ამდენად, როგორც ძირითადი სადავო აქტის მიმღები ორგანო მდებარეობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ტერიტორიაზე, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.<sup>22</sup>

სსსკ-ის მე-17 და მე-18 მუხლები განსაზღვრავს ქონებრივ და ნივთობრივ განსჯადობას. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართლებრივ ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან ადგილი, ამდენად, მოქმედებს ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.<sup>23</sup> უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, რომ „დასაშვებია საერთო პრინციპიდან (სსსკ-ის მე-15 მუხლი) განდგომა გამოწვევის ნესით, მაგალითად სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

<sup>22</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 09 დეკემბრის განჩინება Nბს-341(გ-18).

<sup>23</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის Nბს-1721-1677(გ-10) განჩინება, შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სხვა განჩინებები - სუსგ საქმე Nბს-1823-1777(გ-10), 2011 წლის 10 იანვარი, სუსგ საქმე Nბს-1179-1146(გ-10), 2010 წლის 1 ნოემბერი, რომელთა თანახმად საკასაციო სასამართლომ განსჯად სასამართლოდ მიუთითა აქტის გამომცემი სასამართლო და არა ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ნივთი.

და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოიყენება სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი. ამ წესის მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.<sup>24</sup> ამასთანავე, „საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის ზემოაღნიშნული წესი მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ უძრავ ნივთებზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების რეგისტრაციის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე ვრცელდება“.<sup>25</sup>

ალტერნატიულ განსჯადობას არეგულირებს სსსკ-ის მე-20 მუხლი, რომლის თანახმად ალტერნატიული განსჯადობა გულისხმობს მოსარჩელის უფლებას აირჩიოს რომელ სასამართლოს მიმართოს სარჩელით. სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს მაშინ აქვს, როდესაც საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია.<sup>26</sup> „ალტერნატიული განსჯადობის წესების არსი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას დამატებითი ხელსაყრელი სამართლებრივი გარანტიები სასამართლოს არჩევის საკითხში პროცესის იმ მხარისათვის, რომელიც მოითხოვს დარღვეული ანდა სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვას“.<sup>27</sup> საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლო შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება,

<sup>24</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება №ბს-613-610(გ-17).

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> კობახიძე ა., დასახ. ნაშრომი, 259.

<sup>27</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, 177.

ჩაერიოს მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზებაში. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) ნორმა უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას იმავე კოდექსის მე-16 მუხლით რეგლამენტირებული განსაკუთრებული განსჯადობისას სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოში წარადგინოს ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>28</sup> „ასევე განხილვის ამა თუ იმ სტადიაზე საქმეში სხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მოპასუხის ჩაბმა არ ქმნის საქმის განსჯადი სასამართლოს შეცვლის საფუძველს დავის ნივთობრივი განსჯადობის კუთვნილებიდან გამომდინარე“.<sup>29</sup>

უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ როდესაც კანონი უშვებს ალტერნატიულ განსჯადობას, მოსარჩელის გადასაწყვეტია, რომელ სასამართლოს მიმართავს უფლების დასაცავად.<sup>30</sup>

<sup>28</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინება Nბს-332-328(გ-15).

<sup>29</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინება Nბს-182-175 (გ-10).

<sup>30</sup> განსახილველ შემთხვევაში ქ. ქუთაისში მცხოვრები პირი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა ქ. ხაშურში. აღნიშნულმა პირმა საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც საქმე განსჯადობით გადაუგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში - ასკ) 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას. ხაშურის რაიონული სასამართლოს მითითებით ასკ-ის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ-ის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი ქ. ქუთაისი. ამდენად, ასკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში განსჯადობაზე არსებული დავები ძირითადად უკავშირდება სსსკ-ის 21-ე მუხლის არასათანადო გამოყენებას მხარეთა მიერ და მის არასწორ განმარტებას თვით საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან. სახელშეკრულებო (ანუ ნებაყოფლობითი) განსჯადობა<sup>31</sup> ეწოდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილ განსჯადობას. სახელშეკრულებო განსჯადობა ნიშნავს, რომ მხარეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ დაადგინონ კონკრეტული სასამართლოს განსჯადობა<sup>32</sup>. ადმინისტრაციულ საქმეებზე უზენაესი სასამართლო ცალსახად მიუთითებს, რომ „მხარეებს არა აქვთ უფლება, საერთო სასამართლოში განსაზღვრონ ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო“.<sup>33</sup> დაუშვებელია არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად მიჩნევა მ-

საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული სასამართლო და ქუთაისის საქალაქო სასამართლო. სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 26-ე მუხლი არ არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს. სსსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ამდენად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული სასამართლო და ქუთაისის საქალაქო სასამართლო. ვინაიდან, საჩივრის ავტორმა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა ქუთაისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს. ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას დაეთანხმა უზენაესი სასამართლო და საქმე განსახილველად დაენერა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინება Nბს-648-648(გ-18).

<sup>31</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, 178.

<sup>32</sup> იქვე, 178.

<sup>33</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინება Nბს-857-819(გ-09).

არეთა მოთხოვნის საფუძველზე, რადგან მხარეთა მიერ გაკეთებული დათქმა ვერ შეცვლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილ დებულებებს განსჯადობის თაობაზე, ცხადია, რომ ხელშეკრულების ეს დათქმა ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან მისთვის ტექნიკურად მიზანშეწონილია მისი ადგილსამყოფელის პრინციპით (ტერიტორიული პრინციპით) სასამართლოში საქმისწარმოება, მაგრამ ასეთ ვითარებაში ყველა ადმინისტრაციული ორგანო იმყოფება, რაც სრულ ქაოსს შექმნის სასამართლო სისტემაში და გამოიწვევს საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესების იგნორირებას, ვინაიდან საერთო სასამართლოში განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მხოლოდ საკანონმდებლო აქტით დაიშვება და ამგვარი შეთანხმება ხელშეკრულების დანაწილების პრინციპის უგულვებელყოფად შეიძლება შეფასდეს.<sup>34</sup>

უზენაესი სასამართლოს განმარტებით „განსჯადობის შესახებ წერილობითი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოწარმოებაში, არ არის გამორიცხული მაგ. ალტერნატიულ განსჯადობაზე შეთანხმება, მაგრამ მხარეებს არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული. ამასთანავე სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეთანხმება განსჯადობაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო და მოპასუხეს განემარტება სასამართლოს არაგანსჯადობის თანმდევი შედეგები (სსკ-ის 21-ე მუხ.). სსკ-ის 1.2 მუხლის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, არ გულისხმობს ადმინისტრაციული დავების განხილვისას სსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყ-

<sup>34</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინება №ბს-857-819(გ-09).

ენება მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით საკითხი სხვაგვარად არ არის მონესრიგებული. სასკ-ის 26.1 მუხლით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი დავის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის საჭიროება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე.<sup>35</sup>

განსჯადობის დადგენილი წესები საჯარო სფეროში უფლების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. „ამდენად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ორდრე პუბლიც) შემადგენელ ნაწილად. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას“.<sup>36</sup> ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების განსჯადობასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში ძირითადად ხელშეკრულებიდან ვალდებულების შესრულების ზუსტი ადგილი არ იკვეთება, არ შეიცავს მითითებას შესრულების დაზუსტებული ადგილის შესახებ ან დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამონეწეული ზიანის ანაზღაურება, რის გამოც სასამართლო უარს ამბობს სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებაზე. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა

<sup>35</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 08 ნოემბრის განჩინება Nბს-621-621(გ-18). ასევე იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ნოემბრის განჩინება Nბს-427(გ-19).

<sup>36</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინება Nბს-31-27(კ-13).

აღნიშნოს, რომ ხელშეკრულების მხარეები განსჯადობის თაობაზე შეთანხმებას იყენებენ მაშინაც, როდესაც ამ საქმეზე განსაზღვრულია ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო და არ არსებობს სსსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო წინამძღვრები.<sup>37</sup>

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ტერიტორიული განსჯადობა საფრანგეთის კანონმდებლობაში. საფრანგეთში მოქმედებს „სასამართლოთა მოწყობის შესახებ“ კანონი, რომელიც მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1810 წელს ნაპოლეონის დროს. აღნიშნული კანონის თანახმად საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიცია შედგება სამი რგოლისაგან: ძირეული სასამართლოები - რეგიონალური და სპეციალიზებული სასამართლოების სახით, სააპელაციო სასამართლოები და სახელმწიფო საბჭო.<sup>38</sup> ადმინისტრაციული სასამართლოების ტერიტორიული კომპეტენცია ასევე მოცემულია ადმინისტრაციული (რეგიონალური) და ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოების კოდექსის ღ37 და ღ51 მუხლებში.<sup>39</sup> აღნიშნული კანონების თანახმად დავა, რომელიც უძრავი ქონების ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება იმ ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ქონება ან ადგილი. ძირითად შემთხვევებში განსჯადობის განმსაზღვრელად გადამწყვეტია მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი ან მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. თუ მოპასუხეს არ აქვს ოფიციალური ან ფაქტობრივი საცხოვრებელი იმ დეპარტამენტში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარე ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა აქტი, ის სასამართლოა განსჯადი სადაც ეს ადმინისტრაციული ორგანო მდებარეობს. ყველა სხვა აქტის გასაჩივრებისას ის სასამართლოა განსჯადი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გამოიცა აქტი.<sup>40</sup> ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების დროს კომპეტენტურ სასამართლოდ მი-

<sup>37</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება Nბს-1477-1410(გ-09).

<sup>38</sup> Jean-Marie Auby., Robert Ducos-Ader., Jean-Bernard Auby., დასახ. ნაშრომი, 366.

<sup>39</sup> კოზირინი ა.ნ., შტატინა მ.ა., დასახ. ნაშრომი, 415.

<sup>40</sup> Jean-Marie Auby., Robert Ducos-Ader., Jean-Bernard Auby., დასახ. ნაშრომი, 367-368.

ინწევა, ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც სრულდება ეს ხელშეკრულება, ხოლო მოცემული ნორმის გამოყენების სირთულის შემთხვევაში - ხელშეკრულების ხელმოწერის ადგილის მიხედვით. ინდივიდუალურ სასამართლო დავებზე, რომლებიც ეხება სახელმწიფო მოსამსახურეებს, პოლიციური ხასიათის ინდივიდუალურ ზომებთან დაკავშირებულ დავებზე განსჯადობას, დავა განიხილება დაინტერესებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>41</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციულ პროცესში ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპი, „ტერიტორიული განსჯადობა უნდა გადაწყდეს საერთო განსჯადობის წესების დაცვით თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.<sup>42</sup>

დავა ტერიტორიულ განსჯადობაზე დაიშვება მხოლოდ „ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განმხილველ სასამართლოებს შორის, ტერიტორიულ განსჯადობაზე დავა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განმხილველ სასამართლოებს შორის არ დაიშვება, მათ შორის დასაშვებია დავა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე“.<sup>43</sup>

## საგნობრივი განსჯადობა

**საგნობრივი (გვარეობითი) განსჯადობა არის საქმეთა განაწილება დავის საგნის მიხედვით<sup>44</sup>.** საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემას ქმნიან: რაიონული, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები. გვარეობითი განსჯადობა განსაზღვრავს საერთო

<sup>41</sup> კოზირინი ა.ნ., შტატინა მ.ა., დასახ. ნაშრომი, 415.

<sup>42</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება Nზს-589-582(გ-15), 2016 წლის 28 იანვარი.

<sup>43</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ნოემბრის განჩინება Nზს-811-777(გ-06).

<sup>44</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, 213.



სასამართლოების ამ სხვადასხვა რგოლის სასამართლოთაგან, კონკრეტულად რომელი რგოლის სასამართლომ უნდა განიხილოს დავა არსებითად. გვარეობითი განსჯადობის მეშვეობით ხორციელდება სასამართლოთა კომპეტენციის გამიჯვნა დავის საგნის ხასიათის მიხედვით.<sup>45</sup> შესაბამისად, სწორედ ამ ტიპის განსჯადობით წყდება თუ რომელი დარგის განსჯადია ესა თუ ის საქმე.

სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული დავების რეგლამენტაცია მოცემულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, რომლის მიხედვით, დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგ პირობათა არსებობა: 1) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, 2) დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები და 3) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა სადავო სამართალურთიერთობის იმმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ

<sup>45</sup> ქურდაძე შ., დასახ. ნაშრომი, 250.

ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში<sup>46</sup>.

„როდესაც დავა შეეხება საგნობრივ განსჯადობას, უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. სსკ-ის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან.“<sup>47</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა“,<sup>48</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა განმარტა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლებების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.<sup>49</sup>

<sup>46</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინება Nბს-4-4(გ-15).

<sup>47</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 სექტემბრის განჩინება Nბს-748(გ-19).

<sup>48</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინება Nბს-989-947(გ-07).

<sup>49</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 იანვრის განჩინება

## განსჯადობაზე წარმოშობილი დავის გადაწყვეტის წესი

განსჯადობის საკითხის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განსჯადობაზე წარმოშობილი დავის გადაწყვეტის წესი. სასკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე“. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნას, როგორც საგნობრივი, ასევე ტერიტორიული განსჯადობა. სასკ-ის 186-187-ე მუხლების თანახმად, სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია განჩინებაში მიუთითოს მოსარჩელეს განსჯადი სასამართლო. ხოლო სასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობოს მოსარჩელეს.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები“.<sup>50</sup>

სასკ-ის 394-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა, წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ხოლო სასკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „საპროცესო

---

ნბს-1400(გ-18).

<sup>50</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება 2019 წლის 09 დეკემბრის ნბს-96 (გ-19).

სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი“. „განსჯადობის დარღვევით ადმინისტრაციული საქმის განხილვა, თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში პროცესუალური დარღვევებით განხილვას, ვინაიდან განსჯადობის წესების დარღვევა ადასტურებას განსხვავებულ პრინციპზე აგებული სამართალწარმოების წესებით საქმის განხილვას“.<sup>51</sup> ადმინისტრაციული სამართალწარმოება არსებითად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად (ინკვიზიციურობის პრინციპი).<sup>52</sup> ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებას სასამართლოს წარუდგენენ მხარეები და სასამართლო არ შეუძლია თავისი ინიციატივით მოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ადმინისტრაციულ დავას განიხილავს სამოქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე, ირღვევა კანონმდებლობით დადგენილ ადმინისტრაციულ საქმეთა

<sup>51</sup> კოპალაიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 61.

<sup>52</sup> იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება Nბს-596-593(გ-17), რომლის თანახმად საკასაციო სასამართლო, განმარტავს, რომ „იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით. სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ“.

განხილვის პრინციპი და დავა წყდება იმ აუცილებელი ნორმების გამოყენებისა და გათვალისწინების გარეშე, რაც განასხვავებს ადმინისტრაციულ წარმოებას სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან. რის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილების კანონიერებისა და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. საპროცესო ნორმების ამგვარ დარღვევას კი შედეგად მოჰყვება საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.<sup>53</sup> „ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მატერიალური ნორმების შესაბამისი პროცესუალური ნორმებით“.<sup>54</sup>

განსახილველ შემთხვევაში სამი ძირითადი პრობლემა იჩენს თავს: ა) არაგანსჯადი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში შეიძლება თუ არა ეს სასამართლო მივიჩნიოთ არაკანონიერ სასამართლო შემადგენლობად, ბ) განსჯადობის წესების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს<sup>55</sup> და გ) სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, როდესაც პირველი ინსტანციით არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილა საქმე, უზენაესი სასამართლოს განჩინებით რომელ ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს იგი (როგორც წესი სააპელაციო სასამართლოს შესაბამის კოლეგიას გადაეცემა განსახილველად)?

სასკ-ის 26-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, ამასთან სასკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები“. სსსკ-ის 186-187-ე მუხლები კრძალავს არაგანსჯადი

<sup>53</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., დასახ. ნაშრომი, 182-183.

<sup>54</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 162.

<sup>55</sup> ლილუაშვილი თ., ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, თბ., N1, 2007, 32-33.

სასამართლოს მიერ საქმის განხილვას. უზენაესი სასამართლოს მითითებით „საქმის განხილვა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ ნიშნავს ამ საქმის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, ხოლო საქმის განხილვა არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, თავის მხრივ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს (სსსკ-ის 394 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)“.<sup>56</sup> მიმართა, რომ როდესაც საქმე განხილულია არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, სახეზეა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. რაც შეეხება სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს, ამ მიმართულებით სამეცნიერო შეხედულებები და სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულია. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით „თუ განსჯადობის წესების დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება არსებითად სწორია, ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია, ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს“,<sup>57</sup> ასევე „თუ სააპელაციო საჩივარი არ ემყარება განსჯადობის ან სხვა პროცესუალური წესების დარღვევას, განსჯადობის წესების დარღვევა არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს“.<sup>58</sup>

განსჯადობაზე წარმოშობილი დავის განხილვისას აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება - სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით, ხოლო მეორე ინსტანციაში განსჯადობაზე წარმოშობილი დავის შედეგად უზენაესმა სასამართლომ განსჯადად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლოს სხვა პალატა.<sup>59</sup> მოცემულ შემთხვევაში ისმება

<sup>56</sup> იქვე, 32.

<sup>57</sup> იქვე, 33. შეად. კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ლვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 74.

<sup>58</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 163.

<sup>59</sup> იხ.: სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 თერვლის განჩინება

კითხვა, არის თუ არა სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი, საქმე განიხილოს სააპელაციო წესით, ვინაიდან პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას გამოყენებული იყო ისეთი საპროცესო ინსტიტუტები, რაც დაუშვებელია, განსჯადობის წესის დაცვით განმხილველი მოსამართლისათვის? მაგალითად, თუ პირველ ინსტანციაში საქმე განიხილა ადმინისტრაციულმა კოლეგიამ და საკუთარი ინიციატივით გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, შეაგროვა მტკიცებულებები, საქმეში ჩააბა მესამე პირი, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საქმისწარმოების დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დაექვემდებარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, როგორ უნდა მოიქცეს სააპელაციო სასამართლო? სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად დავას განსჯადობაზე წყვეტს უზენაესი სასამართლო, „სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაუდო საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სავალდებულოა საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის“.<sup>60</sup> აქვე წამოიჭრება სასამართლოს ეკონომიურობის პრინციპი და დავის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ „მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი დასაბუთება არ ზღუდავს სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტაში. ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს ძალუძს გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არ-

ნბს-748(გ-19), 2014 წლის 8 მაისის ნბს-41-40(კ-14), 2013 წლის 18 აპრილის ნბს-17-13(2კ-13), 2013 წლის 7 მარტის ნბს-41-36(გ-13), 2012 წლის 12 სექტემბრის ნბს-1814-1782 (გ-11) განჩინება, ასევე სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის ნბს-1004-962(გ-09) განჩინება.

<sup>60</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., დასახ. ნაშრომი, 734.

ამხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და საჯარო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს დამატებით კერძო-სამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა. მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა“.<sup>61</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკაში არაერგვაროვანი მიდგომაა და სააპელაციო სასამართლო განიხილავს იმ დავას, რომელიც თავის დროზე პირველი ინსტანციით სხვა კოლეგიის მიერ იქნა განხილული.

პროცესის ეკონომიის და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, შესაბამისი სამართალწარმოების წესების დაცვით საქმის განხილვა უფრო პრიორიტეტულია და ემსახურება სამართლიანი სასამართლოს პრინციპის პრაქტიკულ რეალიზებას. უმჯობესი იქნება მსგავს შემთხვევებში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენოს სსსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი<sup>62</sup> და საქმე განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციით შესაბამის კოლეგიას.

<sup>61</sup> სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 თებერვლის განჩინება Nზს-748 (გ-19).

<sup>62</sup> სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განხილვისათვის თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.



როგორც აღინიშნა სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტს დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამართლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე“.<sup>63</sup>

საინტერესოა განჯადობის საკითხის რეგულირება საფრანგეთის კანონმდებლობაში. მმართველობით სფეროში კანონიერების მიღწევა შესაძლებელია ორი გზით: ა) როდესაც სახელმწიფო აპარატი ახორციელებს თვითკონტროლს და სწორად იყენებს სამართლის აღიარებულ და დადგენილ ნორმებს და ბ) როდესაც მმართველობით სფეროში დარღვეული კანონიერების აღდგენა ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით. მმართველობით აპარატში კანონიერების დაცვის საშუალებას უწოდებენ ადმინისტრაციული იურისდიქციულ კონტროლს, ხოლო მმართველობის გარეთ, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მეშვეობით - ადმინისტრაციულ იუსტიციას. „სასამართლო ორგანოთა სისტემას, რომელიც მმართველობის სფეროში სპეციალურად იცავს კანონიერებას უწოდებენ ადმინისტრაციულ იუსტიციას.“<sup>64</sup> საფრანგეთის ადმინისტრაციული

<sup>63</sup> იხ.: სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის №ს-179-178 (გ-16), 2015 წლის 10 მარტის №ს-468-457(გ-14) და 2014 წლის 29 აპრილის №ბს-161-159(გ-14) განჩინებები.

<sup>64</sup> ჩხიტაური ა., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, ჟურნ.,

იუსტიციის არსებობა ეფუძნება პრინციპს: „თუ ვალიარებთ პრინციპს ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების დაყოფისა, მაშინ არ უნდა მიეცეს უფლება საერთო სასამართლოებს განიხილონ დავები, რომლებიც აღმოცენდება ადმინისტრაციული ხელისუფლების ბრძანებების გამოყენების ნიადაგზე“.<sup>65</sup>

იუსტიციის ორგანოთა სისტემას ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭო (Conseil d'Etat). იგი ორი ფუნქციის მატარებელია: ა) ახორციელებს კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე, რომელთა გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ სასამართლოებში და ბ) საბჭო ასრულებს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებას სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების მიმართ შემოსულ საქმეებზე.<sup>66</sup> სახელმწიფო საბჭოს, გამოაქვს გადაწყვეტილებები ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე როგორებიცაა: საჩივრები სამთავრობო აქტებზე, დავები მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედროების სტატუსისა და კომპეტენციის შესახებ ასევე, განიხილავს სხვა მნიშვნელოვან საქმეებს. სახელმწიფო საბჭო იხილავს საჩივრებსა და პროტესტებს სპეციალიზებული, რეგიონალური და სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. ყოველივე ზემოაღნიშნული ხორციელდება სასამართლო დავების განყოფილებაში, რომელიც ათი ქვეგანყოფილებისაგან შედგება. აქედან შვიდი საერთო ქვეგანყოფილებებია, სამი კი საფინანსო. საქმეთა უმრავლესობას იხილავენ ქვეგანყოფილებები (მაგ: განსჯადობასთან და უწყებრივ ქვემდებარეობასთან გაკავშირებული საკითხები), ზოგ შემთხვევაში - ქვეგანყოფილებების გაერთიანებული სხდომები.<sup>67</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს განიხილავს ლა სეცტიონ დუ ცონტენტიუზ (სახელშეკრულებო დავის განმხილველი სექცია), ხოლო მნიშვნელოვანი საკითხები განიხ-

---

„სამართალი“, თბილისი, N6-7, 2000, 100.

<sup>65</sup> Jean-Luis Penfornis, „Le France du droit“ en France par Pollina, 1998, 30.

<sup>66</sup> კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიცია, თბილისი, 1997, 127-129.

<sup>67</sup> Jean-Luis Penfornis, დასახ. ნაშრომი, 33-34.

ილება პლენუმის სხდომაზე (L'assemblée plénière du contentieux).<sup>68</sup>

საფრანგეთის ადმინისტრაციულ სასამართლოში პროცესი შეიძლება დაიწყოს, როგორც მხარეთა განცხადებით,<sup>69</sup> ისე ადმინისტრაციული სასამართლოების ინიციატივით, „საჯარო წესრიგის დაცვის მოტივით“, როდესაც სასამართლოს შეუძლია, გამოიჩინოს ინიციატივა და შეცვალოს ადმინისტრაციული აქტი თუ იგი არაკომპეტენტური ორგანოს მიერ არის მიღებული.<sup>70</sup> პროცესის დაწყებას საფუძვლად შეიძლება დაედოს ა) მმართველობის ორგანოს არაკომპეტენტურობა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე ბ) აქტის მომზადებისა და გამოცემის ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევა გ) თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და დ) კანონის ფაქტობრივი დარღვევა.<sup>71</sup>

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით ნათლად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სასამართლოების განსჯადი საქმეები, ვინაიდან თითოეულ ტრიბუნალს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმე. მაგრამ იმის გამო, რომ საერთო სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში აკონტროლებენ ადმინისტრაციას, ხშირად პრობლემური ხდება სარჩელის შეტანის წინ ქვემდებარეობის განსაზღვრა. საფრანგეთის ადმინისტრაციულ სამართალში დღემდე პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის განსაზღვრის საკითხი. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიღებულ იქნა მრავალი ნორმატიული აქტი. 1848 წელს ქვემდებარეობის სადაო საკითხების გადასაწყვეტად პარიტეტულ საწყისე-

<sup>68</sup> Bernard Asso., Frédéric Monera., avec la collaboration de Julia Hillairet et Alexandra Bousquet., "Contentieux administratif", Studyrama, 2006, 161.

<sup>69</sup> ჩხიტაური ა., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, ჟურნ., „სამართალი“, თბილისი, N6-7, 2000, 101. ასევე იხ. კოზირინი ა.ნ., შტატინა მ.ა., დასახ. ნაშრომი, 417-419.

<sup>70</sup> ბიძინაშვილი ნ., მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2005, 74.

<sup>71</sup> მაჭავარიანი ს., „უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად“, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, თბილისი, N2, 2007, 202.

ბზე შეიქმნა განსჯადობის დავების გადამწყვეტი კონფლიქტების ტრიბუნალი (თრიბუნალ დეს ჩონფლიცტს), სადაც ოთხი წევრი სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელია, ხოლო ოთხი საკასაციო (სამოქალაქო) სასამართლოს წარმომადგენელი. სხდომებს სახელმწიფო კომისრებიც ესწრებიან, რომლებიც მხარს უჭერენ ბრალდებას (ორ-ორი სახელმწიფო საბჭოდან და საკასაციო სასამართლოდან). სასამართლო სხდომებს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც ძირითად შემთხვევაში ცვლის სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარე. ეს უკანასკნელი აირჩევა სამი წლით, რიგ-რიგობით სახელმწიფო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს წევრთა შემადგენლობიდან. სასამართლო სხდომის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას, რაც ათ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს, ტარდება ახალი სხდომა იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით.<sup>72</sup> საქართველოში განსჯადობაზე წარმოშობილი დავების მრავალრიცხოვნება აჩვენებს, რომ უმჯობესი იქნება საკასაციო სასამართლოში განსჯადობაზე წარმოშობილი დავები განიხილოს „პარიტეტულ საწყისზე შექმნილმა პალატამ“,<sup>73</sup> რომელშიც შევლენ, როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციული პალტის მოსამართლეები. მიზანშეზონილი იქნება ხსენებულმა პალატამ განიხილოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის (რომლების დაკავშირებულია ერთმანეთთან) მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში დავის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. ამგვარი წესის შემოღება „შესაძლებლობას მისცემს დავის ყველა საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ასპექტის შესწავლას“,<sup>74</sup> რაც უდავოდ ხელს შეუწყობს სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე აამაღლებს განსჯადობის შესახებ დავის

<sup>72</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 213. ასევე იხ. Jean-Claude Bonichot., Paul Cassia., Bernard Poujade., “Les Grands Arrêts du contentieux administratif”, Paris, Dalloz, 2007,

<sup>73</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 214.

<sup>74</sup> იქვე., 213.

გადაწყვეტის ხარისხს და გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხილული იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის განხილვის საკითხები.

ადმინისტრაციული განსჯადობის საკითხის მნიშვნელობას ცხადყოფს იურიდიულ ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა და სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნება. თვით უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში იყოფა პოზიციები განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შედეგად ამა თუ იმ ნორმის განმარტების ან საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

ისმის კითხვა: რატომ არის განსჯადი სასამართლოს დადგენა მნიშვნელოვანი? ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში სასამართლო ახდენს პირის დარღვეული უფლების დაცვას და ამავდროულად ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლს. განსჯადობის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მთავარი მიზანია „ყოველი პირი განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“.<sup>75</sup>

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ერთმანეთისგან არ მიჯნავს უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის ცნებებს. მაშინ, როდესაც ისინი განსხვავებულ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და მათ არასწორად აღქმას სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ქვემდებარეობა პასუხობს კითხვას, განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოების კომპეტენციას, ხოლო განსჯადობის ცნება მოიცავს საკითხს თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს უწყებრივად საერთო სასამართლოებისადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე.

განსჯადობის წესების დარღვევის შედეგებზე აზრთა სხ-

<sup>75</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.

ვდასხვაობის აღმოფხვრის მიზნით, უმჯობესია აღიარებული იქნას, რომ სასამართლო კონკრეტულ საქმეზე განსჯადი იყოს არამარტო სარჩელის აღძვრის, არამედ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტშიც, რადგან „ადმინისტრაციული სასამართლოს თავისებურება მოითხოვს სასამართლოს მიერ მატერიალური ნორმების შესაბამისი საპროცესო ნორმების გამოყენებას“.<sup>76</sup>

ზემოთხსენებული რეკომენდაციების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად, ასევე, განსჯადობაზე წარმოშობილ დავებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით სასურველია საკასაციო სასამართლოში ჩამოყალიბდეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული პალტის მოსამართლეებისაგან შემდგარი პალატა, რომელიც განიხილავს განსჯადობის შესახებ წარმოშობილ დავებს, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე აამაღლებს განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის ხარისხს და გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი.

<sup>76</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., დასახ. ნაშრომი, 162.

## VII. კერძო სამართალი

### ვალერი ხრუსტალი

სამართლის დოქტორი,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

სამოქალაქო პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

### შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში.<sup>1</sup>

საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, ე.ი რამდენად სწორადაა გამოყენებული კანონი სააპელაციო სასამართლოს მიერ. ამით კაცია განსხვავდება აპელაციისგან, რომელსაც შეუძლია შეამომოს გადანყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია საკასაციო საჩივრის საფუძვლების ანალიზი. განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კანონის დარღვევა და როდის შეიძლება კანონი დარღვეულად ჩაითვალოს.

---

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.

## I მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოკლედ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, როგორი იყო კასაციის იურიდიული ბუნება და ამოცანები ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე. ადრე მოქმედი 1964 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით (292-ე-326-ე მუხლები), საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო, საქმეში არსებული, ასევე, მხარეებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირების მიერ დამატებით წარდგენილი მასალების საფუძველზე, ამონმებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, აგრეთვე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ ჰქონდათ შეტანილი საჩივარი. საკასაციო სასამართლო არ იყო შეზღუდული საჩივრის ან პროტესტის ფარგლებით და ვალდებული იყო საქმე სრული მოცულობით შეემოწმებინა. სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე დღევანდელ კასაციასთან მიმართებაში.

დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 409-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ამრიგად, განსხვავება ადრე და დღეს არსებულ საკასაციო სასამართლოებს შორის არსებითია.

საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს არამარტო იმაზე, თუ რას მოითხოვს კასატორი, არამედ იმაზეც, თუ რის საფუძველზე აყენებს ამ მოთხოვნას. საკასაციო საჩივრით წამოყენებული მოთხოვნის დასაბუთება კი შესაძლებელია მხოლოდ კან-



ონის დარღვევაზე მითითებით. კასატორი ვალდებულია მიუთითოს თავის საკასაციო საჩივარში კანონის დარღვევაზე, რაზეც იგი აფუძნებს თავის საჩივარს.

საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, მაგრამ იგი შებოჭილია თუ არა საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის ფარგლებით, ე.ი. შეუძლია თუ არა საკასაციო სასამართლოს შეამოწმოს არამარტო საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა, არამედ კანონის სხვა დარღვევებიც?

ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ცნობილი გერმანელი პროცესუალისტი რუდოლფ ვახი მიუთითებდა: „ჩვენმა იურიდიულმა განვითარებამ უარი თქვა ფორმალიზმზე. რა სამარცხვინო იქნება მართლმსაჯულებისათვის, რომ ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვოს აშკარად არაკანონიერი გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტერესებულმა მხარემ დაუშვა შეცდომა კანონის გაგებაში.“<sup>2</sup>

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა თენგიზ ლილუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, მაგრამ არ არის შებოჭილი ამ მოთხოვნის დასაბუთების მიზნით საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევების ფარგლებით და შეუძლია შეამოწმოს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი დასაბუთებულობა სხვა ნორმებთან მიმართებაში ვიდრე ამას მოითხოვს კასატორი. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევას, საკასაციო სასამართლო გარკვეული ზომით შებოჭილია საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევების ფარგლებით, მაგრამ შეუძლია გასცდეს ამ ფარგლებს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.<sup>3</sup>

<sup>2</sup> Waeh R. Vorträgeüber Reichs – Civilprocessorelnung. 1896, s. 292-293.

<sup>3</sup> ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული

ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კანონის დარღვევა და როდის შეიძლება კანონი დარღვეულად ჩაითვალოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- გ) არასწორად განმარტა კანონი.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი შეიცავს იმ დარღვევების ჩამონათვალს, რომლებშიც შეიძლება გამოვლინდეს კანონის კონკრეტული დარღვევა.

1. კანონის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევასთან (სახესთან) გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კანონის ასეთი სახის დარღვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის მითითებული კანონზე, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება. პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, უნდა გაუქმდეს თუ არა გადაწყვეტილება, რომლითაც მხარეთა შორის დავა განხილულია და გადაწყვეტილია კანონის შესაბამისად, მაგრამ არ არის მითითებული კანონზე, რომელსაც იგი ემყარება. ეს საკითხი სადავოა. არსებობს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება არსებითად სწორი რომ იყოს, ის მაინც უნდა გაუქმდეს, თუ მასში არაა მითითებული კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ. ამ მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება უწინარეს ყოვლისა განკუთვნილია მხარეებისათვის. ამიტომ ის უნდა იყოს ყოველმხრივ დასაბუთებული და დამაჯერებელი. გადაწყვეტილება, რომელშიც არ არის კანონზე მითითებული, ნაკლებად დამაჯერებელია.

ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ კანონის შესაბამის-

---

სახელმძღვანელო, მე-2-ე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001 წელი, გვ. 321-322.

ად გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ მასში არაა მითითებული კანონზე, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ ზემდგომმა სასამართლომ უნდა შეავსოს ხარვეზი, დატოვოს უცვლელად და თავის განჩინებაში მიუთითოს კანონზე, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება.

2. კანონის დარღვევის მეორე სახესხვაობას აქვს ადგილი, როდესაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

ასეთი შემთხვევა საკმაოდ გავრცელებულია და ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ დაუშვა შეცდომა მხარეთა შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისას. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია, რადგან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.<sup>4</sup>

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით (ზოგადი ნორმა) განსაზღვრული საფუძვლიდან - დაბრუნების კონდიქცია გამომდინარეობდა და მოთხოვნის საფუძვლიანობაც სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამოწმა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების შეფასებები და დასკვნები, რადგანაც მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია

---

<sup>4</sup> ხრუსტალი ვ. გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ. ჟურნალი „სამართალი“, 2001 წ., გვ. 24-25.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის. ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.<sup>5</sup>

3. კანონის დარღვევის მესამე დამოუკიდებელი სახესხვაობაა კანონის არასწორი განმარტება. კანონის არასწორი განმარტების დროს სასამართლო მართალია იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად ესმის ამ კანონის აზრი და შინაარსი.

კანონის არასწორი განმარტების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად თვითონ მიიღო გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ გადაწყვეტილებაში განმარტა:

---

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-665-621-2017, სუსგ 2019, №9, გვ. 15-27. ნახეთ ასევე, უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №ას-1076-996-2017, 19.04.2017 წელი, სუსგ 2020, №5, გვ. 14-24.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზიების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე არ ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის განმარტებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან მოთხოვნის ვადის დასაწყისს წარმოადგენს მოთხოვნის დადგომის ობიექტური ფაქტორი, რომელიც განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან უნდა იქნას ათვლილი და არა მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღების დღიდან.

საკასაციო სასამართლო საკვანძო საკითხის სწორად შეფასების მიზნით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს შემდეგს: სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია და დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან,

იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამასთან, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე - უნდა შეეცყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.<sup>6</sup>

ასეთია კანონის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები, რომელთა გამოვლენას და გამოსწორებას უნდა ისახავდეს მიზნად საკასაციო სასამართლო. ცხადია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული კანონის დარღვევის შემთხვევები განეკუთვნება არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ საპროცესო სამართლებრივ ნორმებსაც, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით: საპროცესო ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებაა გამოტანილი.

კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საპროცესო დარღვევას უნდა მოყვეს გადაწყვეტილების გაუქმება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ასევე გაკეთდა დასკვნა, რომ იმ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევების შემომნების მიზნით, რომლებიც მითითებულია საკასაციო საჩივარში, საკასაციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამ დარღვევას

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-158-154-2016, სუსგ 2019, №8, გვ. 136-152. ნახეთ, ასევე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-539-539-2018, 21.12.2018 წელი, სუსგ 2021, №4, გვ. 108-119.

ადასტურებენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესით, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას ემყარება. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო საჩივრის კანონით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძვლების გარდა, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ საკასაციო სასამართლო ჩათვლის, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ძნელია დარწმუნებით თქმა იმისა, ნამდვილად მოყვა თუ არა საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას. ეს პრაქტიკა სწორია და ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელიც, როდესაც მიუთითებს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებზე. მაგალითად, ხომ არ შეიძლება დარწმუნებით თქმა იმისა, რომ თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, ან განიხილა მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება, ან კიდევ, თუ საქმე განიხილა იმ მოსამართლემ, რომელიც ამ საქმის განხილვაში ადრე სხვა ინსტანციაში მონაწილეობდა, გადაწყვეტილება აუცილებლად არასწორი იქნება?

სწორია აგრეთვე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც

საც იგი აღიარებს თავისი განჩინებით, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა მას არ შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას არამართო მაშინ აქვს ადგილი, როცა ამ დარღვევამ გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ მაშინაც, როდესაც ამ დარღვევას ასეთი ნეგატიური შედეგი არ მოყოლია, ანუ, მას გადაწყვეტილებით გამოტანილი შედეგის დადგომაზე გავლენა არ მოუხდენია. ამის მითითებას საკასაციო სასამართლოს განჩინებაში აქვს მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ სააპელაციო სასამართლომ მომავალში აღარ დაუშვას მსგავსი დარღვევა.<sup>7</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებით განიხილა, რომლებმაც მიღებული განჩინების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა განაპირობეს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს 2013 წლის 25 სექტემბრის შეთანხმების სამართლებრივი ბუნებისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დადგენა წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლოს, პირველ რიგში, სწორად უნდა განესაზღვრა, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის და რომელი მოთხოვნის წაყენება შეეძლო მოსარჩელეს მოპასუხისათვის.

სარჩელის წარმოებაში მიღებამდე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სარჩელი და მხოლოდ ამის შემ-

<sup>7</sup> ხრუსტალი ვ. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი. 2004 წელი. გვ. 25-26.



დეგ გაარკვიოს, თუ რამდენად გამართულია მოთხოვნა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ანუ სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები სასამართლოს მიერ მოძიებულ შესაბამის ნორმა-სთან (ან ნორმებთან ერთად) ქმნის თუ არა მოთხოვნის წარდგენის საფუძველს (შდრ. სუსგ, საქმე №1529-1443-2012, 09.12.2013: „სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემონმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“).

მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ აღძრული სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, რადგანაც მოთხოვნილია ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა. სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, ასევე, დოკუმენტების ნამდვილობის ან მათი სიყალბის დადგენის მოთხოვნა (აღიარებითი სარჩელი) დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სა-

დავობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას -937-887-2015; სუსგ-ები №ას-17-14-2015, 01.07.2015 წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015 წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015 წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015 წ.). საქმის მასალებიდან ცხადად იკვეთება და სააპელაციო სასამართლომაც დაადგინა, რომ მოსარჩელის მიზანი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნება იყო, შესაბამისად, მას უნდა წარედგინა მიკუთვნებითი და არა აღიარებითი მოთხოვნა. ამასთან, ვინაიდან სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, პირველი ინსტანციის სასამართლოს ევალუბოდა, საქმის მომზადების სტადიაზე განემარტა მოსარჩელისთვის სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი და, აქედან გამომდინარე, მისი უფლება, აღიარებითი მოთხოვნის მიკუთვნებითი მოთხოვნით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე. თუ მოსარჩელე არ გამოიყენებდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას, მაშინ სასამართლოს სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა (სსსკ-ის 209-ე მუხლი).<sup>8</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი შეიცავს კანონის დარღვევების ჩამონათვალს, რომლებიც შეფასებულია თვითონ კანონმდებლის მიერ, როგორც ისეთი დარღვევები, რომლებიც აუცილებლად ინვევენ გადანყვეტილების

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-502-476-2015. ნახეთ ასევე, უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებები საქმეებზე: №ას-485-485-2018, 31.01.2020 წელი; №ას-1437-1357-2017, 11.05.2018 წელი; №ას-1543-1463-2017, 18.05.2018 წელი.

გაუქმებას (კანონით ცალსახად განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები). სხვანაირად ამ საფუძვლებს შეიძლება ვუწოდოთ გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერი საფუძვლები. აქ სასამართლო მიხედულებისათვის ადგილი არ რჩება.<sup>9</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი ამ შემთხვევაში არ მოქმედებს. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახალი განხილვისათვის, თუმცა შესაძლებელია ეს გადაწყვეტილება სწორი იყოს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ დადასტუდება, რომ ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში მითითებულ ერთ-ერთ დარღვევას, სასამართლო აღარ აგრძელებს გამოკვლევას. ამ დარღვევის დადასტურება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს.<sup>10</sup>

## დასკვნა

საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული საკასაციო მოთხოვნის დასაბუთებულობა მთლიანად განპირობებულია კასაციის მიზნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემყარებოდეს კანონის დარღვევას, მასში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა, რადგან საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებულობას და იგი არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო. საკასაციო საჩივარიც, რომელიც გადაწყვეტილების მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს ეხება - არ

<sup>9</sup> ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წელი, გვ. 692-693.

<sup>10</sup> პროფესორ შოთა ფაფიაშვილის საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წელი, გვ. 296-315.

წარმოადგენს საკასაციო საჩივარს. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის ხარვეზის შესახებ, ხოლო, თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული, დატოვებს მას განუხილველად. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საკასაციო სასამართლო არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემონიშნებით და შეუძლია შეამოწმოს კანონის დარღვევის სხვა შემთხვევებიც.

## რომან შენგელია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ემერიტუსი

## ეკატერინე შენგელია

სამართლის დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი,  
ნოტარიუსი

საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები

### სავაზშო კრედიტის არსი

ტერმინი „კრედიტი“ ლათინური წარმოშობისაა. იგი ნიშნავს შეთანხმების მხარეთა შორის ნდობაზე დამყარებულ ეკონომიკური ურთიერთობის გამოხატულებას. ნდობა კი იმაში ვლინდება, რომ ფულადი ან ნატურალური ფორმით გაცემული სესხის ეკვივალენტის დაბრუნება და შეთანხმებული საზღაურის გადახდა მისი გამოყენების შემდეგ მოხდება. ასეთი სესხის გაცემის ძირითადი მიზანია გამსესხებლისთვის სარგებლის მიღება. მსესხებლის ინტერესი მეორეხარისხოვანია. სესხი იმიტომ კი არ გაცივმა, რომ მისმა მიმღებმა როგორმე გაიუმჯობესოს მდგომარეობა, არამედ იმისთვის, რომ ასეთი მოქმედებით შემოსავლის წყარო შეიქმნას მისმა გამცემმა. სესხის გაცემა გამსესხებლის საქმიანობად იქცევა. მისი ძირითადი საზრუნავი ხდება სესხად გასაცემი ფულისა და მატერიალური საგნების ოდენობის გაზრდა-გავრცელება და მსესხებლისაგან მეტი სარგებლის მიღება. ასეთი სესხი ათეული საუკუნეების მანძილზე იყო გავრცელებული. მოგვიანებით კი, როცა მსესხებლის მატერიალური მდგომარეობა გამსესხებლის სარგებლის ოდენობის განმსაზღვრელი გახდა, მისი ინტერესებისადმიც ამაღლდა ყურადღება. გამსესხებლისა და მსესხებლის არათანაბარი ეკონომი-

ური და უფლებრივი მდგომარეობა განაპირობებდა სესხის სავახშო ხასიათს. ვახში გამსესხებლის მიერ გაცემულ სესხზე დადგენილი სარგებელია.<sup>1</sup> უძველეს ცივილიზაციებში და შემდგომაც, მეურნეობის საბაზრო სისტემის დამკვიდრებამდე, სავახშო კრედიტი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი ფორმა. ამ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესში მკაცრად იყო განსაზღვრული სესხის პირობები და შესაბამისად – მსესხებლის სავალო ვალდებულებებიც. ამის საუკეთესო დასტურად გამოდგება ძვ. წელათრიცხვის 18-ე საუკუნის ძეგლი – ჰამურაბის კანონები და ბაბილონში (VI საუკუნე) შექმნილი სავაჭრო ამხანაგობებისა და საბანკო სახლების სასესხო საქმიანობა.<sup>2</sup>

ადრე კრედიტებს გასცემდნენ საზოგადოების ყველაზე უფრო მდიდარი ფენები წვრილ მწარმოებლებზე თავდაპირველად ნატურალი ფორმით (მარცვლეული, პირუტყვი, ბენვეული და სხვ.), ხოლო შემდეგ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების კვალობაზე – ფულადი ფორმით. კერძო საკუთრების წარმოშობამ, საქონელგაცვლის განვითარებამ, ფულის გაჩენამ და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებამ საკრედიტო ურთიერთობებში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა გამოიწვია. სესხი საჭირო გახდა არა მარტო ხელოსნობისა და ვაჭრობის, არამედ მინათმოქმედების სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვისაც. მევახშეების როლში გამოდიოდნენ შეძლებული ვაჭრები, მსხვილი მონათმფლობელები, ზარაფები (ფულით მოვაჭრეები), სამღვდელოება და სხვ. მსესხებელთა კატეგორიას ძირითადად მიეკუთვნებოდა ხელოსნები, წვრილი მონათმფლობელები და დამწყები ვაჭრები. მსესხებლად გამოდიოდნენ აგრეთვე ადგილობრივი საზოგადოებრივი წარმონაქმნები და ზოგჯერ თვით სახელმწიფოებიც, რომლებსაც სესხი სჭირდებოდათ ჯარის შესანახად და ომების საწარმოებლად. სავახშო კრედიტში ცალკეული სახეობის საქონლის

<sup>1</sup> მევახშის სამართლებრივი სტატუსის შესახებ დანვრილებით იხ. თორნიკე დარჯანია, რა არის მევახშეობა?, პროფ. ზურაბ ახვლედიანის საიუბილეო კრებული–80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 59.

<sup>2</sup> ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2014, გვ. 15.

ნაცვლად ფულმა დაიჭირა დომინირებული მდგომარეობა. სესხად გაცემულ ფულს მოგება მოჰქონდა მხოლოდ კრედიტორისთვის. მსესხებელი კი ამ თანხას იყენებდა არა მოგების მისაღებად, არამედ თავისი მეურნეობის ფინანსური სიძნელების მოსაგვარებლად. მაგალითად, გლეხი მარჩინალი პირუტყვის დაცემის ან მოუსავლიანობით გამოწვეული ზარალის დასაფარად მევახშისგან იღებდა სესხს. მსესხებლები სავაჭრო თანხებს ძირითადად იყენებდნენ მონათმფლობელობისათვის დადგენილი რენტის ან სახელმწიფოში არსებული სხვა გადასახადების დასაფარად. მევახშეები სარგებლობდნენ რა გაჭირვებაში ჩავარდნილი მსესხებლის მიძიმე მატერიალური მდგომარეობით, ცდილობდნენ სესხის გამოყენებისათვის მაღალი სარგებელი დაენესებინათ.<sup>3</sup> მევახშის სარგებლის წყაროს წარმოადგენდა წვრილი მწარმოებლის შრომა. იგი სარგებლის ფორმით ითვისებდა არა მარტო ზედმეტ პროდუქტს, არამედ აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც, რადგან წვრილ მწარმოებელთა მევახშრონენი მევახშეებისგან ალებულ სესხს წარმოებული პროდუქციის ღირებულებისგან იხდიდნენ. სარგებლის მაღალი განაკვეთები ხშირად იწვევდა საზოგადოების დიდი ნაწილის აღმფოთებასა და წინააღმდეგობას. მაგალითად, ძველ საბერძნეთში განხორციელებულ სოლონის რეფორმებს (594 წ. ძვ. წ.) შედეგად ის მოყვა, რომ კრედიტორებსა და მოვალეებს შორის წარმოშობილი დაძაბულობის გამო გაუქმებულ იქნა მსესხებელთა არსებული სავალო ვალდებულებები. ამით მაშინ მოხერხდა გამძვინვარებულ მოვალეთა დამოშმინება. მიუხედავად ამისა, შემდგომ პერიოდში მევახშეები მაინც ახერხებდნენ სარგებლის გონივრული ოდენობის დაწესების შესახებ კანონების მოთხოვნის გვერდის ავლას და მაღალი სარგებლის განაკვეთების დაწესება-შენარჩუნებას. სახელმწიფო უმეტესად მევახშეთა ინტერესებს იცავდა მომეტებულად. მაგალითად, ძველ რომში მიღებულ XII ტაბულის კანონის მიხედვით (450 წ. ძვ. წ.) თუ მოვალე დროზე არ გადაიხდიდა ვალს, კრედიტორს შეეძლო იგი ბაზრობის დღეებში მოეკლა კიდევ. მოგვიანებით ურჩი გად-

<sup>3</sup> რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000, გვ. 164.

ამხდელების მიმართ პატიმრობის გამოყენებაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული. მაღალი სარგებელი მსესხებლის დაკაბალების ქმედით საშუალებად გამოიყენებოდა საუკუნეების მანძილზე. სავანშო კრედიტის მაღალი სარგებლით გამოირჩეოდა ფეოდალური საქართველოც. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით ფულის სესხად გაცემა ადრე ხდებოდა მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 120 პროცენტის სარგებლით. ხორბლის გასესხება ზოგჯერ ხდებოდა 100%-ით, ღვინისა – 200-300 პროცენტითაც. ესოდენ მაღალი სარგებლის აღკვეთის მიზნით ვახტანგის სამართალი ადგენდა: მხოლოდ თავის სულის მოძულეს შეუძლია გაასესხოს ფული 30%-ად, ოდნავ ვისაც უყვარს სული თავისი – 24%-ად, ვისაც კიდევ უფრო უყვარს – 18%-ად, ხოლო ვისაც ნამდვილად უყვარს სული – 12%-ად უნდა ასესხოს. მაგრამ ყველაზე უმჯობესია სულის ცხოვნებისთვის სავსებით რომ არ აიღებოდეს სარგებელი. ამასთან, წიგნში მითითებულია: თუ მოვალე ისე გაღარიბდა, რომ ვალის გადახდა არ ძალუძს, მაშინ მას არამცთუ სარგებელი, არამედ თავნიც არ მოეთხოვება. თუ საკმაო შეძლება აქვს გადაიხდება მხოლოდ თავნი. თუ მოვალე ტყვეობაშია, მისი ცოლი ან მცირეწლოვანი შვილები ვალდებულნი არიან მხოლოდ შეძლებისამებრ გადაიხადონ ვალი. ხოლო თუ ისინი უსახსროა, მაშინ კრედიტორი იძულებული ხდება დაუცადოს მოვალეს, რომელმაც ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა დაფაროს ვალი. თუ მოვალე მოკვდა, მაშინ გამსესხებელს არა აქვს უფლება ვალი მოითხოვოს მის მცირეწლოვან შვილთა მომნიფებად.<sup>4</sup> სავანშო კრედიტმა, მიუხედავად მისი კაბალური ხასიათისა, მაინც პროგრესული როლი შეასრულა ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სახელმწიფოსა და ეკონომიკის განვითარებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, ნატურალური მეურნეობის დაშლასა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობაში გამოიხატა. მევახშეობა მართალია არ ცვლის წარმოების წესს და საფუძვლად არ ედება საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველი წინააკაპიტალისტური წარმოების

<sup>4</sup> ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის საქართველოში. თბ., 1963, გვ. 86.



წესის არსებობის პირობებში რევოლუციურ როლს ასრულებს იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს წვრილ საგლეხო მეურნეობასა და სამრეწველო წარმოებას და საკუთრების ფორმებს.

თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვნად შეიცვალა კრედიტის შინაარსი. შეიქმნა და განვითარდა მისი სხვადასხვა ფორმა. დღეს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოება წარმოუდგენელია იმ მსხვილი საკრედიტო დაწესებულებების გარეშე, რომლებიც ახდენენ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სესხად გაცემას. საკრედიტო ურთიერთობათა მეშვეობით საზოგადოებაში ხდება ფულადი სახსრების ისეთი გადანაწილება, რომელშიც გაითვალისწინება როგორც სახელმწიფოს, ისე მსესხებელთა და საკრედიტო ურთიერთობათა სხვა მონაწილეების ინტერესები. განვითარებული საბაზრო მეურნეობის პირობებში რეალობას მაინც შემორჩა მევახშეობა როგორც ფარული ისე აშკარა ფორმით. იგი განსაკუთრებით შესამჩნევია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მათ შორის ისეთებშიც, რომლებშიც ეკონომიკა შედარებით განვითარებულია. აქ სავაზმო კრედიტი ერთი მხრივ, ამცირებს დაგროვების მოცულობას და ამუხრუჭებს მეურნეობის განვითარებას, რადგან მაღალი სარგებლის განაკვეთები აფერხებს სავაზმო სესხის მწარმოებლურ გამოყენებას, მეორე მხრივ, მევახშეობა ძირს უთხრის წარმოების პროცესს და აძლიერებს ქონებრივ დიფერენციაციას. იგი ანადგურებს წვრილ მწარმოებლებს და ზრდის დაქირავებული შრომის მევახშეთა სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომი განვითარება წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის პირობებისა და მოთხოვნილებებისადმი შესაბამისი სარგებლის მომტანი სასესხო კაპიტალის შექმნისა და მევახშეობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ეფექტურობის გარანტიას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული რამდენიმე პროგრესული, მაგრამ არც ისე სრულყოფილი ღონისძიება, რომლებიც მევახშის შეზღუდვისა და სესხისთვის ადრე არსებული სარგებლის განაკვეთების შემცირებისაკენ არის მიმართული. სამოქალაქო კანონმდებლობით სესხის გაცემისას შეღავათები და შეზღუდვები

დგინდება იმის მიხედვით, თუ ვინ ვისზე გასცემს სესხს – თუ გამსესხებლის როლში გამოდიან ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაუქვემდებარებელი პირები, ძირითადად კი – მევახშეები, მაშინ სესხის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი ქონების დაგირავება – მაგალითად, ავტომანქანისა ან იპოთეკით დატვირთვა – მაგალითად, უძრავი ნივთისა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საფინანსო სექტორის სუბიექტების – ძირითადად კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხზე, რაც მიზანშეუნონელია. სესხის ანაზღაურებითი ხასიათი გამსესხებელთა თანაბარ სამართლებრივ სტატუსს უნდა დაედოს საფუძვლად. ასევე, დადგენილია, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ განსაზღვრული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2,5-მაგი ოდენობის ერთ მეორმეტედს. ასეთი შეზღუდვა არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებზე. რაც შეეხება წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რომელშიც სესხის გაცემასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაითვალისწინება, იგი უნდა განისაზღვროს 50%-ის ფარგლებში. ეს მოთხოვნა კი ყველა სახის სესხზე მოქმედებს. მართალია სასესხო პროცენტის ოდენობის ასეთი შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მსესხებლის მდგომარეობას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაღალია, მნიშვნელოვანია არა მარტო მევახშეები და ეროვნული ბანკის ზედამხედველობის მიღმა ფუნქციონირებადი სხვა სუბიექტები, არამედ ყველა გამსესხებელი ექვემდებარებოდეს ასეთ რეგულირებას.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელების პარალელურად ქვეყანაში ქარბვალიანობის აღმოცხრის ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებით გამკაცრდა ფიზიკურ პირებზე საფინანსო სექტორის მიერ სესხების გაცემის პირობები. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი და-

კრედიტების პრინციპით – სესხის გაცემა ან თავდებობა დაუშვებელია როგორც მსესხებლის, ისე თავდების ან ოჯახური მდგომარეობით მსესხებელთან დაკავშირებული თანამსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. მსესხებელს არ უნდა მიეცეს იმაზე მეტი სესხი, რომლის გადახდასაც ის შეძლებს. მსესხებლის ყოველთვიურ შემოსავლებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა უნდა აღემატებოდეს დადგენილ საარსებო მინიმუმს. სესხის გაცემი სუბიექტის მიერ ეროვნული ბანკის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა განსაზღვრულ ფინანსურ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. პასუხისმგებლიანი სესხის გაცემის წესი და პირობები მსესხებლისთვის მნიშვნელოვან შეზღუდვებს ითვალისწინებს. ბევრ ფიზიკურ პირს რეალური მატერიალური პირობების გამო გაუჭირდება სესხის აღება ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებადი საკრედიტო ორგანიზაციებისაგან და იძულებულნი გახდებიან მევახშეების მომსახურებით ისარგებლონ. ეს კი სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების წარმატებით განხორციელებას ხელს არ შეუწყობს. თანამედროვე პირობებში, როცა საკრედიტო ურთიერთობები ფართო მასშტაბებს იძენს და იზრდება მათი მნიშვნელობა, დღის წესრიგში დგება სესხის ახალი სახეებისა და ფორმების დამკვიდრება, აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გამსესხებლისა და მსესხებლის უფლება-მოვალეობათა ორივე მხარისათვის სასარგებლო განაწილებას.

### **კომერციული კრედიტის მნიშვნელობა საბაზრო მეურნეობის პირობებში**

სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს თავიანთი მიზნების განხორციელების პროცესში არა მარტო ფულადი სახსრების სესხად მიღება უხდებათ, არამედ სხვადასხვა სახის მატერიალური ობიექტების (ნედლეული, მასალები, ტექნიკური საშუალებები და სხვ.) დროებითი ნაკლებობის შევსება სხვა სუბიექტების დახმარებით. საქონლის სესხად მიღება კომერციული კრედიტის მეშვეობითაა

შესაძლებელი. საბაზრო მეურნეობის პირობებში ასეთი კრედიტის გამოყენება საწარმოო პროცესების უწყვეტობისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მყარ გარანტიას წარმოადგენს. კრედიტის ამ ფორმის დროს მენარმეები ნისიად აძლევენ საქონელს. კრედიტორებად გამოდიან ის საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ საქონლის გამოუყენებელი მარაგები და სურვილი აქვთ სხვებს მიაწოდონ დროებით და განსაზღვრული საფასურით. კომერციულ კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტსაც უწოდებენ იმის გამო, რომ კრედიტის საფუძვლად მიჩნეულია კრედიტორის მიერ საქონლის ღირებულების გადახდის გადავადება და მოვალის მიერ თამასუქის გაცემა, რომელშიც გამოხატულია მისი ვალდებულება ნაყიდი საქონლის ღირებულება გადაიხადოს განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. თამასუქში კრედიტორისთვის ვალის გადახდის ვალდებულებაა მხოლოდ დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, კომერციულ კრედიტად მიიჩნევა სავაჭრო კრედიტიც, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქონლის ნისიად გაყიდვის დროს, მისი ღირებულების მოგვიანებით გადახდას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლის მიხედვით განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნაყიდი ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ კი ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში. საწარმოებს შორის ხანგრძლივმა ეკონომიკურმა კავშირუროთიერთობამ საკმაო საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ არა მარტო გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდის განვადება დამკვიდრებულიყო პრაქტიკაში, არამედ კომერციული კრედიტის სხვა სახეების გამოყენების შესაძლებლობაც გაჩენილიყო. აქ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია ფულადი კრედიტი. დღეს ასეთ კრედიტს მარტო ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები არ გასცემენ. ფულადი კრედიტის გაცემა შეუძლია ნებისმიერ სამენარმეო სუბიექტს, რომელსაც დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები გააჩნია. მათი უროთიერთდაკრედიტება საბაზრო მეურნეობის პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა. სამენარმეო საქმიანობის პროცესში საწარმოების ერთ ნაწილს სხვადასხვა

ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო (საქონლის სეზონური ხასიათი, მათი წარმოების ან გასაღების სხვადასხვა პერიოდი საქონლის ტრანსპორტირებისათვის არახელსაყრელი პირობების არსებობა და სხვ.) საქონელი მზად აქვს სარეალიზაციოდ იმ დროს, როდესაც მეორე ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია ფულადი სახსრები ბაზარზე გატანილი საქონლის შესაძენად. მსგავს შემთხვევებში ნაღდი ფულით საქონლის ყიდვა-გაყიდვა ორივე მხარისათვის არის შეფერხებული. გამყიდველს ფული ჭირდება და ცდილობს თავისი საქონლის გაყიდვას – მყიდველს კი ჯერჯერობით ფული არა აქვს და ვერ ყიდულობს ბაზარზე გამოტანილ მისთვის საჭირო საქონელს. ამ მდგომარეობიდან რეალურ გამოსავალს წარმოადგენს კომერციული კრედიტის ამოქმედება. საქონლის განვადებით გაყიდვისას მყიდველს შეუძლია მანამდე შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი, ვიდრე მას ფული გამოუჩნდება. გამყიდველი კი სხვისგან აღებული კრედიტით შეიძენს მისთვის აუცილებელ საქონელს, რადგან თავისი საქონლის ნაღდი ფულზე მყიდველს აღარ დაელოდება. მოგვიანებით მიღებული ფულით კი აღებულ ვალს გაისტუმრებს. გადახდის გადავადებისათვის საზღაურის ოდენობა განისაზღვრება გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთშეთანხმებით. კომერციული კრედიტისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ობიექტია ყიდვა-გაყიდვასთან მჭიდრო კავშირში მყოფი საქონელი. ასეთ შემთხვევებში არ ხდება საქონლის ღირებულების ნაღდი ფულით მაშინვე გადახდა. ამიტომ საქონლის გამყიდველი ყოველთვის კრედიტორია, რომელსაც გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდის მოთხოვნის უფლება გააჩნია და მყიდველი – ყოველთვის მოვალეა, რომელსაც ნაყიდი საქონლის ღირებულების გადახდის ვალდებულება ეკისრება. ამგვარად, საქონლის განვადებით გაყიდვა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად მოიცავს კომერციული კრედიტის თაობაზე მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებასაც. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის აღნიშვნაც, რომ კომერციული კრედიტის სუბიექტები არიან სანარმოები. გამსესხებელიც და მსესხებელიც საქონლის მწარმოებელი პირები არიან და კომერციული კრედიტიც ძირითადად საქონლური

ფორმით არსებობს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ფულადი კომერციული კრედიტის გაცემა. ამგვარად, კომერციული კრედიტის შერეული ფორმა არა მარტო განვადებით გაყიდული ქონების ღირებულების ფულადი ფორმით დაბრუნებას გულისხმობს, არამედ ფულადი სესხის გაცემასა და მის საზღაურად განსაზღვრული პროცენტის დადგენას. პირველ შემთხვევაში მისი გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის გაფართოების ან შემცირების ხარისხზე. (აქედან გამომდინარე, საწარმოების გამგებლობაში არსებული ფულადი სახსრების ოდენობაზე). მეორე შემთხვევაში – სარეზერვო ფულადი სახსრების ოდენობაზე და გასესხებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ხარისხზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კომერციული კრედიტის გამოყენება შედარებით შეზღუდულია.<sup>5</sup>

კომერციული კრედიტის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. იგი შეიძლება გამოიხატოს სავაჭრო საწარმოს მიერ შედგენილი სპეციალური საბუთისა ან ფულადი სესხის თაობაზე მხარეთა შეთანხმებით. რომლებშიც დადასტურებული იქნება მსესხებლის ვალდებულება იმის შესახებ, რომ მან გამსესხებელს განსაზღვრულ დროში უნდა გადაუხადოს სესხად (განვადებით) მიღებული საქონლის ღირებულება ან ფულადი თანხა სარგებელთან ერთად.

### საბანკო კრედიტის უპირატესობები

კრედიტის ძირითად ფორმას საბანკო სესხი წარმოადგენს. მას მხოლოდ ფულადი სახით ბანკები გასცემენ. აქედან გამომდინარეობს მისი სახელწოდებაც. საქართველოში საბანკო კრედიტი არა მარტო სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებისათვის, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებისთვისაც გადაიქცა ფულადი სახსრების დროებით უკმარისობის შემთხვევებში სტაბილური მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნებისა და განმტკიცების შეუცვლელ საშუალებად. საბანკო კრედიტი ხელს უწყობს ფულადი

<sup>5</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014, გვ. 379.

მიმოქცევის პროცესში სახსრების სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების შესაბამის განაწილებას. საბანკო კრედიტთან დაკავშირებული არა მარტო კერძო, არამედ საჯარო ინტერესებიც. საბანკო კრედიტის პოპულარობას განაპირობებს კომერციული კრედიტისგან განმასხვავებელი ნიშნები. ეს უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ საბანკო კრედიტის გაცემას ახორციელებენ არა მარტო კომერციული ბანკები, არამედ ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სტრუქტურებიც მაშინ როცა კომერციული კრედიტის დროს კრედიტორები შეიძლება იყვნენ ის პირები (უმეტესად სამეწარმეო სუბიექტები), რომლებიც მოგებაზე არიან ორიენტირებული და თავისუფალ სახსრებს იყენებენ მათთვის სასურველი ოდენობით სარგებლის მიღების მიზნით. საბანკო კრედიტის დროს სესხად გაიცემა კლიენტურისაგან მობილიზებული თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელიც გამოთავისუფლებულია კვლავწარმოების პროცესიდან. კომერციული კრედიტის დროს კი სესხის გაცემის საგანია კვლავწარმოების პროცესში ჩართული, მის ამა თუ იმ სტადიაზე მყოფი საქონლის ღირებულება. ეს კი საბანკო კრედიტის მეტ სტაბილურობას განაპირობებს. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო კრედიტს, კრედიტის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, გასცემენ კანონით წინასწარ განსაზღვრული პირები, მათი შინაარსის იგივეობრიობის დამადასტურებელი თავისებურება იქნება სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირებული ჩვეულებრივი ანუ საცალო სესხის ცნების უზოგადესი ფორმულა – ფულის ან ქონების დროებით გადაცემა სხვისთვის და განსაზღვრული დროის შემდეგ უკან იგივეს ან მსგავსის დაბრუნება. აქედან გამომდინარე „კრედიტი“ როგორც ეკონომიკური კატეგორია ფართოდ გამოიყენება და სამართალში იგი შეესაბამება „სესხის“ ცნებას. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მისი მიკუთვნება სესხის გვარეობითი ჯგუფისადმი, რაც სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების კრედიტის ყველა სახისა და ფორმის მიმართ სუბსიდიური გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. საბანკო კრედიტი სესხის ხელშეკრულების ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს და არა ცალკე, დამოუკიდებელ ინსტიტუტად. სამოქალაქო კოდ-

ექსში სესხისა და საბანკო კრედიტის ერთმანეთისაგან განცალკევებულ თავებში მოთავსება არამიზანშენონილად და საკითხისადმი საბჭოური მიდგომის ანარეკლად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა პერიოდში საკრედიტო—საანგარიშსწორებო ურთიერთობები სასესხო ვალდებულებებისაგან განსხვავებულ სამოქალაქოსამართლებრივ ვალდებულებად დამოუკიდებელ ჯგუფად განიხილებოდა, სესხის გამოყენების სფერო შეზღუდული იყო. კომერციული სესხი აკრძალული იყო, ხოლო საბანკო კრედიტი, ადმინისტრაციულ—მბრძანებლური სისტემის არსებობის პირობებში, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით ეკონომიკის განსაზღვრული სფეროს რეგულირებისათვის გამოიყენებოდა. დღეს ვითარება არსებითადაა შეცვლილი. სწორედ ამიტომაც მიზანშენონილი კოდექსში ერთ თავში, რომლის სახელწოდება იქნება „სასესხო ვალდებულებანი“ მოთავსდეს ყოველგვარი სესხის მარეგულირებელი ნორმები, მისი ზოგადი ნაწილი დაეთმობა ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულების ნორმებს, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსდება საბანკო სესხი და სხვა სასესხო ვალდებულებანი, რომელთა მიმართ შესაძლებელი იქნება ზოგადი ნორმების გამოყენება. ამავე დროს შენარჩუნებულ იქნება თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურება.<sup>6</sup> საკითხისადმი ასეთი მიდგომის საფუძველს იძლევა საბაზრო მეურნეობის სისტემის მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობისა და დოქტრინის ანალიზიც.

<sup>6</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია. სასესხო ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, „ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები“, თბ., 2019, გვ. 165.



## სერგი ჯორბენაძე

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქტორი, ადვოკატი, JG Counselors-ის მმართველი პარტნიორი

### გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები საქართველოში<sup>1</sup>

#### I. წინათქმა

2021 წლის 1 აპრილს საქართველოში ძალაში შევიდა „რე-აბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - გადახდისუუნარობის კანონი). აღნიშნულმა რადიკალურად შეცვალა იმ დრომდე არსებული მიდგომები და შემოიღო ცალკეული სიახლეები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კუთხით. გადახდისუუნარობის კანონის მიღებასთან ერთად, ცალკეული ცვლილებები (უპირატესად, ტერმინოლოგიური) განიცადა მასთან დაკავშირებულმა ნორმებმა: სისხლის სამართლის კოდექსმა (შემდგომში - სკ), საგადასახადო კოდექსმა და სხვ. წინამდებარე ნაშრომი ეხება სკ-ით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებული დანაშაულების განხილვას, რომელიც გარდა შესაბამისი სასჯელისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობაც შეიძლება გახდეს.

#### II. მონესრიგება სკ-ში

სკ-ს ოთხი მუხლი ეხება გადახდისუუნარობას: ა) 205 - უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას; ბ) 206 - საბუღალტრო წიგნის წესის წარმოების დარღვევა გადახდისუუნარობისას; გ) 207 - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარუდგენლობა გადახდისუ-

---

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში (Zeitschrift für Wirtschaftsstrafrecht und Haftung im Unternehmen – ZWH, 4/2022, გვ. 87-91) გამოქვეყნებულ სტატიას (უპირატესად, წარმოადგენს გერმანულ ენაზე შესრულებული სტატიის თარგმანს, რომლის ავტორია ასევე სერგი ჯორბენაძე).

უნარობისას და დ) 207<sup>1</sup> - მოვალის მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველისთვის/რეაბილიტაციის ზედამხედველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა.

ყველა დანაშაულს, რომელსაც სკ-ში გადახდისუუნარობასთან აქვს კავშირი, აერთიანებს ერთი უმთავრესი გარემოება: მიზანი უნდა იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისთვის ხელის შეშლა. ეს ეხება როგორც გადახდისუუნარობის მასის შემცირებას, ისე საქმის წარმოების შეფერხებას, რათა სათანადოდ არ წარიმართოს პროცესი და გონივრული შედეგი არ დადგეს. ამასთან, საკითხის შებოჭვა არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ სპეციალური დანაშაულებით. შესაძლებელია, რომ პირს (უპირატესად, მოვალეს) ჩადენილი ჰქონდეს დანაშაული, რომელმაც შემდგომში გადახდისუუნარობამდე მიიყვანა კომპანია, თუმცა მისი მიზანი განსხვავებული იყო. მაგალითად, დადო მან მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგება, რომლითაც ქონება გადამალა და რომლის საფუძველზეც კომპანიას გარკვეული პრობლემები შეექმნა<sup>2</sup>. თუ ასეთ დროს მიზნად გადახდისუუნარობის პროცესისთვის ხელის შეშლა არაა დასახული, მაშინ სამართალშეფარდებაც სხვა ნორმის საფუძველზე უნდა მოხდეს.

### III. ტერმინი „გადახდისუუნარობისას“

სკ-ში მოწესრიგებული გადახდისუუნარობის შესახებ არსებული ნორმები შეიცავს ჩანაწერს „გადახდისუუნარობისას“. ტერმინოლოგიურად მისი განმარტება სამგვარად შეიძლება: გადახდისუუნარობის რეჟიმის დაწყებამდე პერიოდი, გადახდისუუნარობის შესახებ სამკვირიანი ვადის ათვლიდან დაწყებული პერიოდი, გადახდისუუნარობის რეჟიმის (ან მომენტის) დადგომის შემდგომი პერიოდი<sup>3</sup>. თითოეულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ამ

<sup>2</sup> მაგალითი ეფუძნება სკ-ში არსებულ მოწესრიგებას. მუხლი 2051.

<sup>3</sup> იგულისხმება სასამართლოს განჩინება, რომლითაც შესაბამისი რეჟიმი გაიხსნება.

დათქმის განმარტება, რათა ლოგიკურად მოხდეს შესაბამისი დანაშაულის დაკვალიფიცირება და დამნაშავის იდენტიფიცირება.

## 1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე პერიოდი

გადახდისუუნარობის დაწყებამდე პერიოდი დანაშაულის იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ცალკეული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია გამომდინარეობდეს იმავე მიზნიდან, რომ ქმედებამ გადახდისუუნარობის მასის შემცირება გამოიწვიოს სამომავლოდ, ან მიზანმიმართულად ეხებოდეს იგი კრედიტორების დაკმაყოფილებისგან თავის არიდებას<sup>4</sup> და სხვ. მაგალითისთვის 2071 მუხლის მოყვანაც შეიძლება, რომლის საბოლოო მიზანი პრაქტიკოსისთვის<sup>5</sup> ინფორმაციის გაყალბებას ეხება. კერძოდ, პირმა (მოვალის დირექტორმა) გააყალბა ინფორმაცია, რადგან მან იცოდა, რომ გადახდისუუნარობის მომენტი დაუდგებოდა კომპანიას. შესაბამისად, იკვეთება მიზანი, მაგრამ არც სასამართლოს განჩინებაა გამოტანილი რეჟიმის გახსნის თაობაზე და არც შესაბამისი განცხადებით აქვს მოვალეს (ან კრედიტორს) მიმართული<sup>6</sup>.

---

<sup>4</sup> მსჯელობისთვის: 205-ე მუხლის ფორმულირება განსაზღვრავს დათქმას: „გაკოტრების რეჟიმის დაწყების შემთხვევაში“, რაც ცალსახად მიუთითებს სამომავლო ნეგატიურ მიზანს.

<sup>5</sup> გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისთვის.

<sup>6</sup> მით უმეტეს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საცილო გარიგებების ნაწილში გადახდისუუნარობის კანონში ვხვდებით 1, 2 და 3 წლიან პერიოდებს (გადახდისუუნარობის კანონის 66-ე მუხლი), რომლის განმავლობაშიც (შესაბამისი პირობების გათვალისწინებით) განხორციელებული ქმედების მიმართ გვევლინება საცილოობის მომენტი.

## 2. გადახდისუუნარობის თაობაზე მიმართვის პერიოდი

როგორც ზევით აღინიშნა, გადახდისუუნარობის პერიოდში შეიძლება მოაზრებული იყოს გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის მომენტი, როდესაც შესაბამის პირს სამკვირიანი მიმართვის ვალდებულება წარმოეშვა. ასეთ დროს დასაბუთებას საჭიროებს, თუ რამდენად არსებობდა მიზანი, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის ნორმალურ წარმოებას ხელს შეუშლიდა.

## 3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდგომი პერიოდი

შედარებით მარტივი განსამარტია გადახდისუუნარობის დადგომის (განჩინების) შემდგომი პერიოდი, რადგან ამ შემთხვევაში ნებისმიერი მოქმედება მკაფიოდ და აშკარად იკვეთება. მაგალითად, რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლო განჩინების შემდეგ ნებისმიერი ნეგატიური ქმედება პირის მხრიდან, სადაც მისი მიზანი ლოგიკურად განსამარტი ხდება.

## 4. შუალედური შეფასება

ტერმინი „გადახდისუუნარობისას“ უნდა განიმარტოს ინდივიდუალური დანაშაულიდან გამომდინარე და შესაბამისი მოცემულობის გათვალისწინებით, იგი უნდა გავრცელდეს როგორც რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინებამდე, ისე განჩინების მიღების შემდგომ პერიოდზე. მაგალითად, თუ პირის მხრიდან ბუღალტრული წარმოების წესის დარღვევა შეგნებულად ხდება (მისი გათვლა და მიზანი შემდგომში გადახდისუუნარობის დადგომისას საქმის წარმოების ხელის შეშლისკენაა მიმართული), მაშინ მისი პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ფორმალურ წინაპირობაზე: მიღებულ იქნა თუ არა განჩინება სასამართლოს მიერ რეჟიმის გახსნის თაობაზე.

#### IV. ცალკეულ დანაშაულთა განხილვა და პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე

##### 1. უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას (205)

სკ-ის 205-ე მუხლი გადახდისუუნარობის რეჟიმს აკონკრეტებს და მხოლოდ გაკოტრების შემთხვევას მოიცავს. თუმცა ნორმის არსის გათვალისწინებით, იგი უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს: გადახდისუუნარობის მასაში უნდა მოვიაზროთ მთლიანი ქონება, რომელიც კრედიტორთა ინტერესის დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული (მათ შორის, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების შემთხვევაშიც).

სკ-ის 205-ე მუხლის მიხედვით, რამდენიმე გარემოებაზე მახვილდება ყურადღება: ქონების (ან მისი ნაწილის) განკარგვა, დამალვა, დაზიანება, გაუვარგისება, განადგურება. თითოეული მათგანი გულისხმობს მიზანმიმართულ ქმედებას, რაც საბოლოოდ გადახდისუუნარობის წარმოებას შეეშალოს ხელი. რა თქმა უნდა, თუ მეურნეობის სწორად გაძლოლის მიუხედავად ექნება ადგილი დაზიანებას, ეს არ ჩაითვლება დამრღვევ ქმედებად. ამდენად, თუ მიზანი იკვეთება, შედეგიც შესაბამისი დადგება.

სკ-ის 205-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, დამნაშავე პირად შეიძლება მოაზრებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელიც ამ მოქმედებას განახორციელებს. ეს შეიძლება იყოს მათ შორის, პარტნიორიც ან მისი დავალებით მოქმედი თანამშრომელიც, თუ რა თქმა უნდა, თანამონაწილეობის საკითხი იკვეთება. თავის მხრივ, რადგან გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით, პრაქტიკოსს ქონებრივ განკარგვის უფლებამოსილება ეძლევა (ასევე აღჭურვილია რიგი უფლებებით), შეიძლება, რომ მისი ცალკეული ნეგატიური ქმედებაც სწორედ ამ დანაშაულის ჩადენად დაკვალიფიცირდეს.

## 2. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას (206)

საბუღალტრო წიგნის წესის წარმოების დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გადახდისუუნარობის სპეციალურ დანაშაულად, თუ იგი რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასებას ართულებს. დანაშაულის ამ კატეგორიის ჩადენა შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ. თავისთავად, ყველაზე ხშირად მის ჩამდენად ბუღალტერი შეიძლება მოგვევლინოს, თუმცა მსგავსად სხვა შემთხვევისა, აქაც უნდა დავუშვათ, რომ დავალების მიმცემი შესაძლებელია იყოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, ან თუნდაც პრაქტიკოსი.

## 3. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარუდგენლობა გადახდისუუნარობისას

სკ-ის 207-ე მუხლში დამნაშავე სუბიექტთა დაკონკრეტება გვხვდება: ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი<sup>7</sup> ან ლიკვიდატორი. სწორედ მათი პასუხისმგებლობა დგება, თუ არ დაიცვეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის სამკვირიანი ვადა.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს უშუალოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანისა და სამკვირიანი ვადის ათვლის მომენტი<sup>8</sup>. როგორც წესი, ასეთ მომენტს შეიძლება განგრძობითი ხასიათი გააჩნდეს და მტკიცების თვალსაზრისით სირთულეს წარმოადგენდეს ზუსტი თარიღის განსაზღვრა. თუმცა, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, ასეთ მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი, როდესაც კომპანიის წინაშე სირთულეები დადგა და წინდანინვე გონივრულად სავარაუდო იყო, რომ გადახდისუუნარობა ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა შექმნილი ვითარებიდან.

<sup>7</sup> მოიაზრება ის პირი, რომელიც პარტნიორთა მიერაა დანიშნული ამ თანამდებობაზე და რომლის შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერშია მითითება.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 6.7.2004, 202-დად.

ნორმის ქვეშ არ უნდა იქნეს განხილული რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის პასუხისმგებლობა, რადგან ერთი მხრივ, რეგულირებული შეთანხმება გადახდისუუნარობის რეჟიმად არ მიიჩნევა<sup>9</sup>, ხოლო, გადახდისუუნარობის კანონის 21-ე მუხლის მე-8 პუნქტი რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის უფლებამოსილებად (და არა ვალდებულებად) განსაზღვრავს გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების შეტანის საკითხს.

#### **4. მოვალის მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველისთვის/რეაბილიტაციის ზედამხედველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა (2071)**

გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველისთვის/რეაბილიტაციის ზედამხედველისთვის მოვალეს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება<sup>10</sup>. სკ-ის 2071 მუხლით, აღნიშნული ვალდებულების სუბიექტად განსაზღვრულია მოვალის მართვისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომლის შეგნებული ქმედებაც, ინფორმაციის დამალვის კუთხით, სამართლებრივად ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს. კერძოდ, საუბარია, მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის, აგრეთვე, სასამართლოში მიმდინარე დავებზე ინფორმაციის წარუდგენლობის, განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენის შესახებ. დასახელებული დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ისე, თანამონაწილეობით.

<sup>9</sup> იხ. ამისულაშვილი ნ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მესხიშვილი/ბათლიძე/ამისულაშვილი/ჯორბენაძე, თბილისი, 2021, 163.

<sup>10</sup> მათ შორის, მოვალის საქმიანობის ანგარიშის შედგენის წრილში, როდესაც მოვალე ვალდებულია, რომ ზუსტი მონაცემები წარადგინოს.

მაგალითად, როდესაც კომპანიას ორი დირექტორი ჰყავს და ა.შ. მუხლის დასახელებიდან გამომდინარე, საკამათოა (და პრაქტიკის განსასაზღვრი) საკითხი, თუ რამდენად გავრცელდება მისი მოქმედება შემთხვევაზე, როდესაც ხელმძღვანელი პირი პარტნიორთა კრების გადანყვეტილების საფუძველზეა შებოჭილი, განახორციელოს დასახელებული მოქმედება (სპეციალური კანონის ფარგლებში, ხელმძღვანელი პირი ასეთ დროს ზრუნვის მოვალეობისგან თავისუფლდება). ლოგიკურად, პასუხისმგებლობის სუბიექტად ასეთ შემთხვევაში, პარტნიორები (ანუ გადანყვეტილების მიმღებები) უნდა იქცნენ.

გადახდისუუნარობის კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებაზე კრედიტორთა თანხმობის მისაღებად იგი: ა) კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამის პირს არ წარუდგენს ინფორმაციას მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე ან აღნიშნულ ინფორმაციას განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარუდგენს; ბ) არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს, რაც მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს“. საკითხი დგას შემდეგნაირად: ერთი მხრივ, სკ „რეგულირებული შეთანხმების“ ტერმინს არ იცნობს, ხოლო, მეორე მხრივ, რეგულირებული შეთანხმება არ წარმოადგენს გადახდისუუნარობის რეჟიმს<sup>11</sup>. შესაბამისად, თუ საკითხს ფორმალურად შევხედავთ, სკ-ის 2071 მუხლის ფარგლებში რეგულირებული შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ქმედება / უმოქმედობა არ უნდა მოექცეს, რაც არ იქნებოდა მართებული: ნორმის არსის გათვალისწინებით, მოვალისთვის ზიანის მიმყენებელი იგივენაირად შეიძლება გამოდგეს ყალბი ინფორმაციის წარდგენა, როგორც გაკოტრების ან რეაბილიტაციის შემ-

<sup>11</sup> გადახდისუუნარობის კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში არაა გათვალისწინებული.



თხვევაში. ამდენად, დამნაშავის, მიზანი ასეთ შემთხვევაში იგივე რჩება, რაც თავის მხრივ, უნდა მივიჩნიოთ 2071 მუხლის წინაპირობის საფუძვლად.

## V. შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვის ვალდებულება

გადახდისუუნარობის კანონის მე-20 მუხლში ვხვდებით ტერმინს: „შესაბამისი ფუნქციების შემსრულებელი პირი“, რომლის ვალდებულებაში მოიაზრება საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება, თუ მისთვის ცნობილი გახდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის (გადაცდომის) რაიმე ფაქტი. რადგან კანონმდებელი არ აკონკრეტებს მიმართვის სუბიექტს, შეიძლება მასში მოაზრებული იქნეს ნებისმიერი პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის საკითხთან მიმართებით აქვს შეხება. მაგალითად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, ასევე, მოვალის თანამშრომელი, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი და სხვ. მეტიც, შეიძლება, რომ თანამონაწილეობასთან გვეკონდეს საქმე, თუ ეს პირი არ მიაწვდის საგამოძიებო ორგანოებს ინფორმაციას და ამით დამალავს არსებულ საკითხებს.

მიმართვის კუთხით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გადახდისუუნარობის საკითხის განმხილველი სასამართლოს ფუნქცია: რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის განცხადებით მიმართვისას, ამ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სიმართლესთან შესაბამისობის დეკლარაცია, რომელიც განმცხადებლის ერთგვარ დასტურს წარმოადგენს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არის ნამდვილი და არ შეიცავს სიცრუეს. გადახდისუუნარობის კანონის 48-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებაა სიმართლესთან შესაბამისობის დეკლარაციის ფარგლებში არანამდვილი ინფორმაციის წარდგენაზე, რომლის ასეთად მიჩნევის შემთხვევაში, ერთი მხრივ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მას გადახდისუუნარობის კანონის მე-20

მუხლით განესაზღვრება შესაბამისი მიმართვის ვალდებულება<sup>12</sup>.

სასამართლოს მხრიდან საგამოძიებო უწყებისთვის მიმართვის ვალდებულება უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული გადახდისუუნარობის კანონის 90-ე მუხლში, რომელიც რეაბილიტაციის მმართველის / რეაბილიტაციის ზედამხედველის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ეხება. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რომელიც სკ-ით განსაზღვრულ ქმედებას წარმოადგენს, მაშინ იგი საგამოძიებო ორგანოს მიმართავს და სათანადო მასალებს გაუგზავნის<sup>13</sup>, რათა საკითხი დეტალურად იქნეს გამოკვლეული.

## VI. სამართლებრივი შედეგები

სამართლებრივი შედეგები ორ მთავარ ასპექტად შეიძლება განვსაზღვროთ: ა) სისხლისსამართლებრივი და ბ) სამოქალაქო პასუხისმგებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული ოთხივე დანაშაული ნაკლებად მძიმეს წარმოადგენს<sup>14</sup>, სასჯელიც შესაბამისია თითოეულ შემთხვევაში გათვალისწინებული (ერთ-ერთ ალტერნატივად ჯარიმა გვხვდება<sup>15</sup>).

<sup>12</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საბუთის სიყალბის დადასტურების არსებობის შემთხვევაშია ვალდებული სასამართლო, რომ აღნიშნული გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობით სხვა წინაპირობა არ გვხვდება, გადახდისუუნარობის კანონის მე-20 მუხლის ფართო განმარტების გათვალისწინებითაა შესაძლებელი ანალოგიური ვალდებულების განსაზღვრა.

<sup>13</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ საფუძვლით პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია, რომ უპირველეს ყოვლისა, სისხლისსამართლებრივი განამტყუნებელი განაჩენი იყოს გამოტანილი.

<sup>14</sup> სკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მკაცრესი სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

<sup>15</sup> 205-ე მუხლი: ჯარიმა ან შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე

თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი ჯარიმა ვერ უზრუნველყოფს მოვალის, კრედიტორის ან/და ნებისმიერი იმ პირის უფლებების რესტიტუციას, რომელთა დარღვევაც დანაშაულის ჩადენით მოხდა. ეს შეიძლება იყოს როგორც დირექტორის, ისე პარტნიორის თუ თანამშრომლის ქმედება და შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობის საფუძველი. მაგალითად, სკ-ის 205-ე მუხლის შემთხვევაში, მხოლოდ ჯარიმის დაკისრება<sup>16</sup> ვერ უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის მასის შევსებას (საჭიროა სამართლებრივი ბერკეტის არსებობა, რათა თუნდაც იგივე გადახდისუუნარობის მასას არ მიადგეს ზიანი). სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, გადახდისუუნარობის კანონმა შემოიტანა საცილო ქმედებების ცნება გადახდისუუნარობის საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეულ საკანონმდებლო ნორმებზე დაფუძნებითაა შესაძლებელი სათანადო მოთხოვნის დაყენება<sup>17</sup>.

## 1. საცილო ქმედებები გადახდისუუნარობისას

გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით (65-ე მუხლი), საცილოდ შეიძლება გახდეს შემდეგი ქმედებები: ა) გადახდისუუნარობის მასის განზრახ შემცირება<sup>18</sup>, ბ) გადახდისუუნარობის მასის

---

ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე; 206-ე მუხლი: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 2 წლამდე; 207-ე მუხლი: ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით; 2071 მუხლი: ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

<sup>16</sup> თუნდაც, შინაპატიმრობა შეეფარდოს პირს ჯარიმის ნაცვლად.

<sup>17</sup> გადახდისუუნარობის კანონის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დადგენილი შეცილების წესი არ ზღუდავს მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში და სხვ.

<sup>18</sup> ქმედება, რომლის მიზანია გადახდისუუნარობის მასის შემცირება, მოვალის ქონების ან მისი ნაწილის განკარგვა ან გადაძალვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას კრედიტორებისთვის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მისაღწევად ან გადახდისუუნარობის მასისთვის ზიანის სხვაგვარად მიყენება.

გაუფასურება<sup>19</sup> და გ) უპირატესობის მინიჭება<sup>20</sup>. თითოეულ შემთხვევაში, მოთხოვნის არსი ეფუძნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ინტერესებს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს გადახდისუუნარობის მასის შევსება, რაც კრედიტორთა ინტერესების პირდაპირპროპორციულია<sup>21</sup>. ქონების დაბრუნება შეცილების უფლების გამოყენებით წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უნდა მოხდეს (გადახდისუუნარობის კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ადგილი ჰქონდეს ბათილი გარიგების შემთხვევას. გადახდისუუნარობის კანონის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი სწორედ ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითებს და განსაზღვრავს, რომ თუ არსებობს ბათილობის შემთხვევა, მოთხოვნის დაყენებაც შესაბამისი კანონმდებლობით უნდა მოხდეს. მაგალითად, თუ არ ხდება დასაბუთება, რომ ქონების განკარგვის მიზანს მოვალისთვის (გადახდისუუნარობის მასისთვის)

<sup>19</sup> ქონების უსასყიდლოდ ან საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გადაცემა, რაც მოვალის გადახდისუუნარობის დადგომამდე განხორციელდა ან რამაც მოვალის გადახდისუუნარობა გამოიწვია და რისი შედეგიცაა გადახდისუუნარობის მასის მოცულობის/ღირებულების შემცირება, მათ შორის: (ა) მოვალის ქონების განკარგვა; (ბ) მოვალის მიერ ვალდებულების აღება, თუ ეს უსასყიდლოდ ხდება ან ამის სანაცვლოდ მოვალე იღებს არასათანადო საპასუხო შესრულებას. არასათანადო საპასუხო შესრულება არსებობს, როდესაც მოვალე იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე, ჩვეულებრივ, მიიღებდა სხვა პირი, ხოლო თუ ამის დადგენა შეუძლებელია, შესრულების სათანადოობა მოვალის მიერ გადაცემული ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით უნდა დადგინდეს.

<sup>20</sup> ქმედება, რომელიც კრედიტორების გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი წესით დაკმაყოფილებას ხელს უშლის, ან/და ქმედება, რომელიც კრედიტორს ისეთ უპირატესობას ანიჭებს, რომელიც მას ამ ქმედების გარეშე არ ექნებოდა, მათ შორის, ისეთი კრედიტორული მოთხოვნის შესრულება, რომლის შესრულების ვადაც არ დამდგარა, კრედიტორული მოთხოვნის უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება გათვალისწინებული იყო ძირითადი სავალო ხელშეკრულების დადებისას.

<sup>21</sup> იხ. ბათილი გ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მესხიშვილი/ბათილიძე/ამისულაშვილი/ჯორბენაძე, თბილისი, 2021, 182.

ზიანის მიყენება წარმოადგენდა, მაგრამ სახეზეა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგება, მაშინ მოთხოვნაც სწორედ ამ ასპექტში უნდა დადგეს. ასეთი გარიგება უცილოდ ბათილად მიიჩნევა<sup>22</sup>, რაც მოსარჩელეს (ამ შემთხვევაში, მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს) უფლებას აძლევს, რომ შესაბამისი მოთხოვნა დააყენოს<sup>23</sup>.

## 2. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა

თუ ხელმძღვანელი პირი იმგვარად მოქმედებს, რათა კომპანიას მიაღგეს ზიანი ან მისი უპირველესი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი საკუთარი ინტერესია (რაც კომპანიას და მით უმეტეს, კრედიტორებს, ზიანს აყენებს), შეიძლება, რომ მისი პასუხისმგებლობის საფუძველი დადგეს. ამ შემთხვევაში, უპირატესად გამოდგება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>24</sup> 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ხელმძღვანელ პირს ზრუნვის მოვალეობა აკისრია<sup>25</sup>.

ის, თუ რამდენად ადგილი აქვს ზრუნვის მოვალეობის დარღვევას, მსჯელობისა და დასაბუთების საგანია<sup>26</sup>. მაგალითად, შეცილების საკითხი რომ მოვიყვანოთ, გადახდისუუნარობის კანონის

<sup>22</sup> ჭანტურია, ლ. სკ-ის კომენტარი, ნიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 56, ვნ. 19.

<sup>23</sup> სამოქალაქო წესით, როგორც ეს ბათილი გარიგების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი.

<sup>24</sup> ახალი კანონი მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს და სრულად ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

<sup>25</sup> ამავე კანონის 51-ე მუხლით კონკრეტდება საკითხი, რომელიც გადახდისუუნარობის შემთხვევასა და სამკვირიანი მიმართვის ვადას ეხება. ამ შემთხვევაშიც კანონი იცნობს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც, ხელმძღვანელი პირის ბრალეულობა გამოირიცხება, თუ იგი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

<sup>26</sup> ამ მიზნით, შეგნებულად არაა განხილული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობას გამორიცხავს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ უკანასკნელმა არ შეუწყო ხელი პარტნიორთა კრებას არასწორი გადაწყვეტილების მიღებაში).

67-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებს შეცილების შესახებ მოთხოვნას, თუ „მოვალე და შეცილების მონინალმდევე მხარე კეთილსინდის-იერად მოქმედებდნენ და საცილო ქმედება მოვალესა და შეცილების მონინალმდევე მხარეს შორის არსებულ ჩვეულებრივ სამენარმეო ურთიერთობას ან კონკრეტულ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს შეესაბამებოდა“. ამდენად, თუ აღმოჩნდა, რომ სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების ფარგლებში იმქომედა კომპანიამ (მაშასადამე, ხელმძღვანელმა პირმაც), გამოდის, რომ მისი პასუხისმგებლობა არ დადგება (თუნდაც, მისი იდეა არ იყოს სათანადოდ რეალიზებული)<sup>27</sup>.

ხელმძღვანელი პირის მიმართ სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში, მმართველს უნდა გააჩნდეს<sup>28</sup>. ამ მხრივ არ გვხვდება პირდაპირი ჩანაწერი გადახდისუუნარობის კანონში, თუმცა, ვინაიდან მმართველი კრედიტორთა ინტერესების გამტარი და წარმომადგენელია, ლოგიკური იქნებოდა, ის ყოფილიყო შესაბამისი მიმართვის უფლების მქონე<sup>29</sup>. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი იცნობს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც ამგვარი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ: ხელმძღვანელ ორგანოს,

<sup>27</sup> ანალოგიურად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამენარმეო გადაწყვეტილებას საქმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა“.

<sup>28</sup> ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მესხიშვილი/ბათლიძე/ამისულაშვილი/ჯორბენაძე, თბილისი, 2021, 230.

<sup>29</sup> მით უმეტეს, შეცილების შემთხვევაში, მისი როლი უპირატესია.

სხვა ხელმძღვანელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ პარტნიორს, ან წესდებით განსაზღვრულ პირს. როგორც ჩანს, მმართველზე კანონში მითითება არ გვხვდება, თუმცა თუ ამ ნორმას ფართოდ განვმარტავთ და „ხელმძღვანელ პირში“ (ან „ხელმძღვანელ ორგანოში“) მმართველს მოვიაზრებთ, მაშინ სრულიად ლეგიტიმური იქნება მისი მხრიდან მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა.

## VII. ბოლოთქმა

გადახდისუუნარობისა და სამწარმოო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონები ბიზნესურთიერთობის საკვანძო სამართლებრივ წყაროებს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მათგანი ახალ მონესრიგებას გვთავაზობს, ბევრი ასპექტი ჯერ კიდევ პრაქტიკულ დამუშავებას საჭიროებს. ამ გადმოსახედიდან შეიძლება რამდენიმე დეტალზე ყურადღების გამახვილება: ა) გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაული სახეზე იქნება, თუ მიზანი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხელშეშლაა; ბ) საგამოძიებო უწყებისთვის მიმართვის უფლება გააჩნია ნებისმიერ პირს, რომელიც ჩართულია საქმის წარმოების პროცესში; გ) ტერმინი „გადახდისუუნარობისას“ ფართოდ უნდა იყოს განმარტებული და მასში მხოლოდ რეჟიმის დაწყება არ უნდა იქნეს მოაზრებული; დ) სამართლებრივი შედეგი სისხლისსამართლებრივთან ერთად, სამოქალაქოსამართლებრივიც შეიძლება დადგეს, რომლის მიზანი კრედიტორთა მოთხოვნების (გადახდისუუნარობის მასის) დაკმაყოფილება იქნება; ე) პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ხელს უშლის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სათანადოდ წარმართვას.

## მიხეილ ბიჭია

სამართლის დოქტორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, თსუ-ის მონვეული ლექტორი, ადვოკატი

### პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე

#### შესავალი

როდიდან დაიწყო პირადი სფეროს დაცვაზე მსჯელობა და როდის გაჩნდა პირადი ცხოვრების დაცვის იდეა? ესაა კითხვა, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ამ საკითხის გასარკვევად აუცილებელია სხვადასხვა ეპოქაში პირადი ცხოვრების დაცვის თავისებურებების კვლევა. ცხადია, აღნიშნულ მოხსენებაში დანვრილებით ვერ გაანალიზდება თითოეულ ეპოქაში პირადი ცხოვრების უზრუნველყოფის ყველა ასპექტი, მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა დროს პირადი სფეროს დაცვის იმ უმთავრესი დებულებების დადგენა, რომლებიც ტენდენციებს გამოკვეთს. ამ გზით შესაძლებელი იქნება პირადი ცხოვრების დაცვის კონცეფციის განვითარების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა. შესაბამისად, კვლევის მიზანია პირადი ცხოვრების დაცვის იდეის წარმოშობის ისტორიის შესწავლა, რათა დადგინდეს, როდიდან გახდა პირადი სფეროს დაცვა აქტუალური.

რა მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, როდის გაჩნდა პირადი ცხოვრების დაცვის იდეა? ეს საკითხი მთავარია ისტორიული თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს, რა ფორმით გვხვდებოდა პირადი სფერო დასაბამიდან დღემდე და როგორ ვითარდებოდა პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა. ამავე დროს, აღნიშნული თემა აქტუალურია სამართლებრივ ქრილში იმისათვის, რომ დადგინდეს, რომელი ასპექტები შედიოდა პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში ამა თუ იმ დროს და როგორია თანამედროვე მიდგომა პირადი სფეროს დაცვის ფარგლების შესახებ. შესაბამისად, ამ გზით გაეცემა პასუხი კითხვას: რა სპეციფიკით ხასიათდებოდა და როგორ იცვლებოდა პირადი ცხოვრების დაცვა სხვადასხვა ეპოქაში?



ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით დასადგენია თანამედროვე რეალობაში საჯარო და კერძო სფეროებს შორის მიმართება, ტექნოლოგიური განვითარების ზემოქმედების შედეგები პირადი ცხოვრების ცნების მოცულობაზე და პირადი სფეროს დაცვის ხერხები კერძო სამართალში.

ამდენად, ეს კვლევა არის მცდელობა, სხვადასხვა ეპოქის შეფასების საფუძველზე გაირკვეს, რა მიმართულებით განვითარდა პირადი ცხოვრების ცნების მოცულობა დასაბამიდან დღემდე - სანყის ფორმაში გვხვდება, უმნიშვნელოდ შეიცვალა, თუ ძირეული მოდიფიცირება განიცადა. ასევე, ნაშრომში მოკლედ აისახება თანამედროვე კერძო სამართლით პირადი სფეროს დაცვის მექანიზმები.

### **პირადი ცხოვრების ადრეული ნარმონაქმნები**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას აქვს დიდი ისტორია, კერძოდ, ის იღებს სათავეს უძველეს საზოგადოებებში. ბიბლიის სანყის გვერდებზე ახსნილია სირცხვილის განცდა, რაც ხელყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ ხის ნაყოფი შეჭამეს, თვალეები აეხილათ და შეიცნეს, რომ ისინი შიშვლები იყვნენ, ლელვის ფოთლებით დაიფარეს საკუთარი სხეული, რადგან გაუჩნდათ სირცხვილის განცდა და ასე დაიცვეს თავი უცხო თვალისგან. ამასთან, როცა ნარლენის შემდეგ ნოე დათვრა და საკუთარ სახლში გაშიშვლდა, ქამმა დაინახა საკუთარი მამის სიშიშვლე, გამოვიდა და გააგებინა ეს ორ ძმას გარეთ. ამ ძმებმა აიღეს სამოსი, დაიდეს მხრებზე და წავიდნენ ზურგშექცევით, მათ დაფარეს მამის სიშიშვლე. ამ ძმებს პირი ჰქონდათ მიბრუნებული და მამის სიშიშვლე არ უნახავთ.<sup>1</sup>

ინტელექტუალური და ისტორიული სანყისები, რომლებსაც პირადი სფეროს დაცვის იურიდიული მექანიზმები ეფუძნება,

<sup>1</sup> Konvitz, M. R., Privacy and the Law: A Philosophical Prelude, Journal "Law and Contemporary Problems", Vol. 31, No. 2, 1966, 272.

უძველეს ხანაშიც არსებობდა.<sup>2</sup> ჯერ კიდევ ჩვ. წ.-ით 400 წელს ჰიპოკრატე მოითხოვდა ექიმისგან ყველა იმ ინფორმაციის გასაიდუმლოებას, რომელსაც მას პაციენტი მკურნალობისას გადასცემდა. ამ ფორმით ის ქმნიდა ჰიპოკრატეს (საექიმო) ფიცს. ჰეროდოტე (დაახლ. 500 წელს ქრ. შობამდე) იტყობინებოდა მედიცინის მუშაკთა და რელიგიური ცოდნის ქურუმთა საიდუმლოების დაცვის მოვალეობის შესახებ.<sup>3</sup>

ასევე, ჰამურაბის კანონიც, მსგავსად რომაული სამართლისა, იცავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ ასპექტს - სახლის პატრონის უფლებას, არავინ შეჭრილიყო მის საკუთრებაში.<sup>4</sup> ამასთან, „ჰამურაბის კანონი“, რომელიც ძვ. წ. XVIII საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი კანონთა კრებული იყო, ითვალისწინებდა პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს - ცილისწამებასა და შეურაცხყოფას. მაგალითად, მკვლელობის დაბრალებისთვის დადგენილი იყო სიკვდილით დასჯა, თუ მკვლელობის ჩადენა ვერ დამტკიცდებოდა. ასევე, ეს ბაბილონური სამართალი განსაკუთრებით იცავდა ცოლქმრულ ღალატში უსაფუძვლოდ ცილდანამებული ქალის პატივისა და ღირსებას, კერძოდ, თუ ქალს ღალატში ცილს დასწამებდნენ და ეს ქმედება ვერ დამტკიცდებოდა, კაცს თავს სანახევროდ გადაპარსავდნენ. ამასთან, „ჰამურაბის კანონი“ აწესებდა პასუხისმგებლობას ფიზიკური შეურაცხყოფისთვის.<sup>5</sup>

ქართულ ფეოდალურ ხანაში პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმებად გვხვდებოდა პატივი და ღირსება, რომლებიც ადამიანის ზნეობრივ სიმაღლესა და რელიგიურ მრწამსს უკავშირდებოდა. პირადი ცხოვრება ნოდებრიობაზე იყო დამოკიდებული, კერძოდ, რაც უფრო მაღალ ნოდებას ფლობდა ადამიანი, მით უფრო მაღალი პატივი და ღირსება ჰქონდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან

<sup>2</sup> იხ. ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 9.

<sup>3</sup> მაისი რაინარდ ვ. ფონ, პირადი საიდუმლოების სფერო და მისი დაცვა სამართალწარმოების პროცესში, მთარგმნელი: ბიჭია მ., თბ., 2014, 80.

<sup>4</sup> Solove D. J., Nothing to Hide: the False Tradeoff between Privacy and Security. New Haven & London: Yale University Press, 2011, 4.

<sup>5</sup> მონიავა პ. (თ.), პირადი არაქონებრივი უფლებები, თბ., 2004, 8-9.

მინიჭებული. საქმე ისაა, რომ ფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით მის ადრეულ საფეხურზე, ადამიანის პატივი და ღირსება აისახებოდა მისი სისხლის ფასში. პატივი და ღირსება მით უფრო მაღალი იყო, რაც უფრო დიდი „სისხლი სდიოდა“ ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს. „სისხლის ფასზე“ გავლენას ახდენდა ქონება, თანამდებობა, მოყვრულ-ნათესაური კავშირები და ა.შ.<sup>6</sup> ფეოდალურ-წოდებრივი საზოგადოება პატივის ცნებას უკავშირებდა ადამიანის თანამდებობას, ქონებას და უმრავლეს შემთხვევაში გვარიშვილობას.<sup>7</sup>

საერთოდ, პირადი ცხოვრების დაცვაზე მსჯელობა ტრადიციულად ეფუძნება ადამიანის ცხოვრების ორი სფეროს - გარე სამყაროსა და კერძო ცხოვრებას - შორის გამიჯვნას. გონიერი ადამიანი საკუთარ თავს გამოყოფს გარე სამყაროსგან.<sup>8</sup> მართალია, ე. წ. „privacy“-ის სამართლებრივი ცნება განიხილება ამერიკული სამართლის პირმოდ, მაგრამ კერძო და საჯარო სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნა ჯერ კიდევ ბერძნული და რომაული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.<sup>9</sup> არისტოტელე გამოყოფდა ურთიერთობის სპეციფიკას სახელმწიფოსა (პოლისი) და სახლში, ანუ საჯარო და კერძო სფეროებში; პოლისი იცავდა მამაკაცების უფლებას, სახლი კი გახლდათ ქალებისა და მონების ადგილი. არისტოტელეს თეორიას ეფუძნებოდა ჰანა არენდტის მოსაზრება საჯარო და კერძო სფეროების გამიჯვნის შესახებ.<sup>10</sup> სწორედ არისტოტელეს ეს კონცეფცია ედო

<sup>6</sup> ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნ. „ალმანახი“, ქართული სამართლის ისტორიის საკითხების სერია, N14, 2000, 53-54.

<sup>7</sup> მერებაშვილი მ., „პატივის“ ცნების გაგებისთვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს მეცნიერების აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N3, 1992, 97.

<sup>8</sup> Szabó M. D., Kísérlet a privacy fogalmának meghatározására a magyar jogrendszer fogalmaival, Journal „Információs Társadalom“, N2, 2005, 45.

<sup>9</sup> იხ. ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 9.

<sup>10</sup> იხ. Köhlmeier D., Das Öffentliche-Das Private (und der (Un)Bestand dieser Termin,

საფუძვლად ე.წ. „კვაზიბუნებრივ“ თეორიას, რომლის ფარგლებშიც საჯარო და კერძო სფეროები გამიჯნული იყო სქესობრივი ნიშნის მიხედვით: საჯარო სფეროში მოქმედებდა კაცი, ხოლო კერძო სფეროს დამცველად გვევლინებოდა ქალი, რომელიც სახლში სიმყუდროვეზე ზრუნავდა.<sup>11</sup> ამ იდეას აგრძელებდა ამერიკელი სოციოლოგი რიჩარდ სენეტი, რომელიც თვლიდა, რომ კაპიტალისტური რეალობის დროს მატერიალური ხასიათის ელემენტები გვხვდებოდა საჯარო და არა საოჯახო სფეროში. ამიტომ ქალებისთვის საჯაროობა „ამორალურ სფეროში“ მოქმედებად მიიჩნეოდა, ხოლო მამაკაცებისთვის საჯაროობას მორალური დატვირთვა ჰქონდა.<sup>12</sup>

ქართულ რეალობაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მამაკაცი თანდათან იძენს სოციალურ თავისუფლებას; მას დაიწყო ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მთელ მის ძალ-ღონეს მოითხოვდა, ამ ფორმით კი აკმაყოფილებდა ცოლ-შვილსა და ზოგადად ოჯახს. ქალს ჯერჯერობით არ ჰქონდა მამაკაცის მსგავსად „თავისუფლად“ მოქმედების უფლება. ადამიანთა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათაგან წინა პლანზე წამოწეული იყო სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სულიერ მოთხოვნილებებსაც.<sup>13</sup> თუმცა ამჟამად როგორც ქალები, ისე კაცები ჩართული არიან საჯარო სფეროში. ხშირად ქალი ახერხებს, საჯარო სფეროში საქმიანობა შეუთავსოს კერძო ცხოვრებას. შესაბამისად, ეს მიდგომა საჯარო და კერძო სფეროების გამიჯვნასთან დაკავშირებულ თანამედროვე რეალობას სრულად ვერ აღწერს.

## პირადი ცხოვრების დაცვის იდეა ევროპულ ქვეყნებში

პირადი ცხოვრების დაცვის უფლება განიხილება პირად

---

Wintersemester 2008/09, 8, 11.

<sup>11</sup> იხ. Beier C., Autonomie, Privatheit und Selbstbestimmung, Proseminar Informationelle Selbstbestimmung, 21. August 2005, 11.

<sup>12</sup> იხ. Сеннет Р., Падение публичного человека, Перевод с английского Исаевой О., Рудницкой Е., Софронова Вл., Чухрукидзе К., М., 2002, 32.

<sup>13</sup> იხ. გოგიჩაიშვილი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1974, 166-182.

უფლებად. შესაბამისად, ლოგიკურად მნიშვნელოვანია პირადი უფლებების წარმოშობაზე მსჯელობა.

ისტორიულად პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მოძღვრება წარმოიშვა საკუთარ პიროვნებაზე უფლების შესახებ თეორიების სახით. დონელუსმა ჯერ კიდევ რომის სამართლის კომენტარებისას სამართლებრივი დაცვა გაავრცელა სიცოცხლეზე, ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივზე. სავინი (1779-1861) მიუღებლად თვლიდა ადამიანის მიერ საკუთარი სახელისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების ცალკე მონესრიგებას.<sup>14</sup> პუხტა (1798-1846) უშვებდა საკუთარ პიროვნებაზე უფლების არსებობას. ამ იდეას დერნბურგიც განამტკიცებდა პანდექტების ცნობილ სახელმძღვანელოში.<sup>15</sup>

გირკემ (1841-1921) პირველმა ჩამოაყალიბა პიროვნული უფლებების ცნება. გირკეს განმარტებით, პიროვნულია უფლებები, რომლებიც საკუთარი სფეროების ამა თუ იმ ნაწილში მისი სუბიექტის ბატონობას უზრუნველყოფს.<sup>16</sup>

გარეისის აზრით, პირადი უფლება არის სამართლის სუბიექტის ინდივიდუალობის აღიარების უფლება.<sup>17</sup> გერმანიასა და ავსტრიაში ჩამოყალიბდა კონცეფცია „პიროვნული უფლებებისა“ და „კერძო ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მონყობის უფლების თაობაზე“ (გირკე, გარეისი). აქ სასამართლო პრაქტიკამ

---

<sup>14</sup> იხ. Savigny F. C. von, System des heutigen Römischen Rechts, Band 1. 1840, 335-337, <[http://dlib-pr.mpiet.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/"199236\\_00000387.gif"](http://dlib-pr.mpiet.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/)>; ასევე, Staudinger J. von, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Einleitung, Erstes Buch, Allgemeinen Teil, 12. Auflage, erläutert von Coing H., Berlin, 1980, 133-135.

<sup>15</sup> Dernburg H., System des Römischen Rechts, Pandekten, 8. Aufl., Zweiter Teil, bearbeitet von Sokolowski P., Berlin, 1912, §18.

<sup>16</sup> Gierke O. von, Deutsches Privatrecht, Band 1, Allgemeiner Teil und Personenrecht, Leipzig, 1895, 702.

<sup>17</sup> Gareis K., Das juristische Wesen der Autorrechte sowie des Firmen- und Markenschutzes BuschArch, Bd. 35, 1877, 185 და შემდგომნი; იხ. Gareis K., Juridical Nature of Author's Rights, 1877, <[http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981\\_djvu.txt](http://www.archive.org/stream/cu31924017565981/cu31924017565981_djvu.txt)> [20.10.2010].

შექმნა ზოგადი პიროვნული უფლება, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების სრულ დაცვაზე. საფრანგეთში პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტის შემუშავებას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ბერტომ და პერომ. აშშ-ში „პირად სფეროზე უფლების“ იდეა წარმოსწია ლუის ბრანდეისმა, რომელიც ლიბერალიზმის წარმომადგენელი იყო.<sup>18</sup>

გერმანულმა სამართალმა აღიარა ზოგადი პიროვნული უფლება, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა პიროვნული უფლება. შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლება ჩაითვალა პიროვნების ყოვლისმომცველი დაცვის ზოგად დებულებად.<sup>19</sup> გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 1954 წლის ე.წ. „შახტის“ საქმეზე მიუთითა, რომ წერილის შეცვლა და მისი უნებართვოდ გამოქვეყნება ხელყოფდა ამ წერილის ავტორის პიროვნებას, ეს კი იწვევდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილით აღიარებული ზოგადი პიროვნული უფლების შელახვას. აქვე განისაზღვრა, რომ პიროვნული უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალებაა ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. გერმანიის ძირითადი კანონის პირველ და მეორე მუხლებზე დაყრდნობით აღინიშნა, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები შეიძლება სამოქალაქო სამართლითაც იყოს დაცული.<sup>20</sup>

დღესდღეობით გერმანიაში კერძოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება განიხილება სამოქალაქო მართლწესრიგის განუყოფელ ნაწილად. სამოქალაქო სამართლის სიბრტყეზე ამ ჩარჩოუფლების სამართლებრივი საფუძველია გსკ-ის 823-ე მუხლი.<sup>21</sup> ფაქტობრივად ზოგადი პიროვნული უფლება ემსახურება პირადი

<sup>18</sup> იხ. Петросян М., США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебные записки», Выпуск 30, М., 1974, 158-159.

<sup>19</sup> Neethling J., Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative Law, Edited by Smits M. Jan, UK, USA, 2006, 530.

<sup>20</sup> BGHZ, 13, 334 - 1954.25.05-Leserbrief-Entscheidung. ის გვხვდება Schacht-Entscheidung-ის სახელწოდებითაც.

<sup>21</sup> იხ. ქათამაძე ნ., პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2018, 52.

ცხოვრების დაცვის ეფექტიან დაცვას.

სხვა ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და ბელგია, არ აქვთ ასეთი უფლება და ვერც ხედავენ ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების საჭიროებას, რადგან ამ ქვეყნებში პიროვნული უფლებების ფართო დაცვა დაეფუძნა დელიქტის გენერალურ პრინციპებს (საფუძვლებს).<sup>22</sup>

### პირადი ცხოვრების დაცვის იდეის წარმოშობა ამერიკასა და ინგლისში

მე-19 საუკუნის ბოლოს მოსამართლე ტომას ქულიმ ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში „განმარტოების“ უფლების დარღვევა ჩათვალა სამოქალაქო დელიქტად. 1873 წელს ამას მოჰყვა ნაშრომი, რომელიც კერძო ცხოვრების დაცვის მნიშვნელობას ეხებოდა.<sup>23</sup> 1881 წელს კერძო ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით ფაქტობრივად პირველი სასამართლო გადაწყვეტილება მიიღო მიჩიგანის უზენაესმა სასამართლომ. ამ საქმეზე ზიანის ანაზღაურება დაეკისრა პირს ქალის სასარგებლოდ, რომელსაც მოპასუხე აკვირდებოდა მშობიარობის დროს მისი თანხმობის გარეშე.<sup>24</sup> ამის შემდეგ, 1888 წელს, გამოიცა დელიქტების შესახებ ტრაქტატი (Thomas Cooley, Torts 29 (2d ed. 1888), საიდანაც 1890 წელს უერენმა და ბრანდისმა თავიანთ სტატიაში გადმოიღეს ტერმინი „განმარტოების უფლება“ (the right to be let alone). შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე უფლების წარმოშობის საუკუნოვანი იუბილის აღნიშვნა არ უნდა დაელოდოს 1990 წელს.<sup>25</sup>

<sup>22</sup> Neethling J., Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative Law, Edited by Smits M. Jan, UK, USA, 2006, 530.

<sup>23</sup> Stephen J., Liberty, Equality, Fraternity, second edition, SMITH, ELDER, & CO., 15 \ VATERLOO PLACE, 1874, <<http://library.gipe.ac.in/xmlui/bitstream/handle/1/3331/GIPE-003539-Contents.pdf?sequence=2>> [20.20.10].

<sup>24</sup> De May v. Roberts, 9 N. W. 146 Mich. მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს 1881 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, <<http://faculty.uml.edu/sgallagher/DeMay.htm>> [16.03.11].

<sup>25</sup> Schwartz P., The Computer in German and American Constitutional Law: Towards an

მართალია, დასაწყისში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ასოცირდებოდა საკუთარი სხეულისა და სახლის დაცვასთან, მაგრამ მალევე გაფართოვდა და შეეხო პერსონალური მონაცემების გაცემის კონტროლს. თანდათანობით ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა ფიზიკური ხელშეუხებლობიდან გავრცელდა პირის ემოციებზეც, ისეთ არამატერიალურ ფასეულობებზე, როგორცაა პირის ინტელექტუალური საკუთრება, კომერციული საიდუმლობა, სავაჭრო ნიშანი და სხვა. ბოლოდროინდელმა გამოგონებებმა და ბიზნესის განვითარებამ, ასევე, პრესის მიერ უხამსი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვების სქესობრივი ცხოვრების დეტალების გავრცელებამ დასვა განმარტოების უფლების აღიარების შესახებ საკითხი.<sup>26</sup> შედეგად უერენისა და ბრანდეისის სტატიას საფუძვლად დაედო ერთი ჩვეულებრივი ამბავი: პრესა ინტენსიურად აშუქებდა ქალბატონ *სემუელ უერენის* მიერ სახლში გამართულ წვეულებებს, ხშირად კი - პირად და ინტიმურ დეტალებს. პრობლემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა მაშინ, როდესაც ბატონი უერენის ქალიშვილის ქორნილის შესახებ უამრავი ჭორი გამოქვეყნდა ბოსტონის პრესაში.<sup>27</sup> კერძოდ, 1883 წლის ქორნილის დეტალები გამოქვეყნდა „ნიუ-იორკ თაიმსში“, „ვაშინგტონ პოსტსა“<sup>28</sup> და გაზეთ „სეთერდვი ივნიგის ოფიციალური ბექდვიითი ორგანოს“ ფურცლებზე. ამასთან, შესაძლებელია, ამის მიზეზი „უერენისა და ბრანდეის“-ს ფირმის სახელის ფართოდ გავრცელება ცოფილიყო.<sup>29</sup> ამ თვალსაზრისით, უნდა დადგინდეს, წერილი ან დღიურის ნაწილი ლიტერატურული ნაშრომია თუ ასახავს ადა-

---

American Right of Informational Self-Determination, “The American Journal of Comparative Law”, Vol. 37, N4, 1989, 675, doi:10.2307/840221

<sup>26</sup> იხ. Warren S. D. & Brandeis L. D., The Right to Privacy, “Harvard Law Review”, Vol. 4, No. 5, 1890, 193-195.

<sup>27</sup> იხ. ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 11.

<sup>28</sup> Gajda A., What if Samuel D. Warren hadn’t married, a senator’s daughter?: Uncovering, the press coverage that led to “the right to privacy”, Journal “Michigan State Law Review”, 35, Issue 1, 2008, 36-37.

<sup>29</sup> Glancy Dorothy J., The invention of the right to privacy, Journal “Arizona Law Review”, Vol. 21, No1, 1979, 6.



მიანის ყოფით წვრილმანებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დავა გამოირიცხება და პირადი სფეროს დაცვის უფლება ქრება იმ შემთხვევაში, თუ პირი თავად გადაწყვეტს საზოგადოებისთვის საკუთარი ფიქრების, ემოციების გაცნობას ანუ მათ გასაჯაროებას.<sup>30</sup>

ამდენად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ოფიციალურმა თეორიამ ფაქტობრივად ხორცი შეისხა *უერენისა* და *ბრანდეისის* სტატიიში, რომელიც პირადი სფეროს დაცვის თაობაზე პირველ საფუძვლიან კვლევას წარმოადგენდა.<sup>31</sup> ამერიკელი იურისტების, *სამუელ უერენმა* და *ლუი ბრანდეისმა* 1890 წელს თავიანთ სტატიიში აღწერეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, როგორც ადამიანის უფლება, განმარტოვდე (the right to be let alone) და განსაზღვრო, როგორი უნდა იყოს მისი აზრები, განცდები და ემოციები სხვებთან ურთიერთობაში.<sup>32</sup> ინდივიდის პიროვნების ხელშეუვალობის შესახებ ძირითადი პრინციპი *უერენმა* და *ბრანდეისმა* აიღეს მორალური კონცეფციიდან და განავითარეს. დადგა ამ უფლების სამართლებრივად აღიარების დროც.<sup>33</sup>

მიუხედავად ამისა, სასამართლოებს გაუჭირდათ პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარება შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებითურთ. *უერენისა* და *ბრანდეისის* სტატიის გამოქვეყნებიდან ათ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლო განიხილავდა საქმეს, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ მოპასუხე იყენებდა ახალგაზრდა ქალის ფოტოსურათს მისი ნებართვის გარეშე რეკლამისთვის. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბოლოოდ სასამართლომ უარი თქვა, ელიარებინა *უერენისა* და *ბრანდეისის* თეზა და აღნიშნა, რომ უფლება პირადი

<sup>30</sup> იხ. Prince Albert v. Strange, 1 McN. & G. 25 (1849), <[http://www.readingnewengland.org/app/books/rghttoprivacy/popup/popup\\_AlbertvStrange.html](http://www.readingnewengland.org/app/books/rghttoprivacy/popup/popup_AlbertvStrange.html)> [16.03.11]; ასევე, ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 13-15.

<sup>31</sup> Wellington H. H., Common Law Rules and Constitutional Double Standards: Some Notes on Adjudication, "Yale Law Journal", Vol. 83, No. 2, 1973, 221, 249-251.

<sup>32</sup> Holvast J., History of privacy, In: The History of Information Security, 1st ed., A Comprehensive Handbook, Editors: Leeuw K. de and Bergstra J., 2007, 740. doi:10.1016/b978-044451608-4/50028-6

<sup>33</sup> ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 11.

ცხოვრების ხელშეუხებლობაზე არ არსებობდა, შესაბამისად, მოსარჩელეს არ შეეძლო, რაიმე სახით დაეცვა თავი ამ სახის მოქმედებისგან.<sup>34</sup>

1902 წელს ნიუ-იორკში „პირად სფეროზე უფლების“ შესახებ კანონის მიღებისა და რამდენიმე გადანყვევტილების საფუძველზე განვითარდა ახალი უფლება. აღნიშნულმა განაპირობა ამა თუ იმ ფორმით პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარება თითქმის ყველა შტატში, თუმცა მხოლოდ რამდენიმე შტატში (ნიუ-იორკი, ოკლაჰომა, იუტა და ვირჯინია) მიიღეს სპეციალური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პირადი სფეროს დაცვას ითვალისწინებდა. შტატების უმრავლესობა სასამართლოს პრაქტიკით იცავდა პირადი სფეროს. სასამართლოები მხოლოდ ოთხ შტატში (როდ-აილენდი, ნებრასკა, ტეხასი და ვისკონსისი) აცხადებდნენ უარს, ელიარებიანათ „პირად სფეროზე უფლება“, ვინაიდან საერთო სამართალში ცვლილებების შეტანა მხოლოდ საკანონმდებლო წესრიგით იყო დასაშვები.<sup>35</sup>

ნიუ-იორკის შტატის კანონმა (1902 წ.),<sup>36</sup> რომელიც შემდგომი საკანონმდებლო აქტებისთვის ნიმუშს წარმოადგენდა, „პირად სფეროზე უფლების“ დარღვევა იმავდროულად აღიარა დელიქტად და სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევად. დადგინდა, რომ პირად ცხოვრებაზე უფლების დაცვა გულისხმობს პირის სახელისა და გამოსახულების დაცვას. ამასთან, განისაზღვრა, რომ პირადი

<sup>34</sup> Roberson v. Rochester Folding Box Co, 64 N. 442, N.Y. 1902.

<sup>35</sup> Петросян М., США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебн е записки», Выпуск 30, М., 1974, 161-162.

<sup>36</sup> აშშ-ში პირადი სფერო მე-19 საუკუნის ბოლომდე დაცული იყო კონსტიტუციის ისეთი მუხლებით, რომლებიც პირდაპირ არ ეხებოდა კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს. მაგალითად, კონსტიტუციის 1-ლ დამატებაში დადგენილია პრესისა და გაერთიანებების თავისუფლების გარანტიები, კონსტიტუციის მე-4 დამატებით - კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის თვითნებური და უკანონო ჩხრეკისა და ამოღებისგან დაცვის საფუძვლები... აღსანიშნავია კერძო საკუთრებაში შეღწევის, პირადი საუბრების მოსმენის აკრძალვის შესახებ ნორმებიც და სხვა. იხ. ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005, 9-10.

სფეროს დაცვის უფლება შეიძლება გამოხატულიყო უფლებამოსილი პირის გამოსახულების თანხმობის გარეშე კომერციული ექსპლოატაციისაგან დაცვის უფლებაში მხოლოდ მაშინ,<sup>37</sup> თუ მოსარჩელის გამოსახულების (ან სახელის) გამოყენებასა და რეკლამას ან სავაჭრო მიზანს შორის პირდაპირი და უშუალო კავშირია.<sup>38</sup>

ამავე დროს, ამერიკელებმა დეკლარაციაში ასახეს განმარტოების უფლების სახელმწიფოებრივად დაცვის იდეა (რაც ჯონ ლოკის შრომებში იყო აღწერილი). მართალია, ეს არ იყო კერძო ცხოვრების დაცვის უფლება თანამედროვე გაგებით, თუმცა აღნიშნულმა დაუდო დასაბამი საერთო სამართალში კონცეფციას იმაზე, რომ ადამიანთა ცხოვრება და საკუთრება თავისუფალი უნდა იყოს ჩარევისაგან.<sup>39</sup> მეცნიერი პროსერი გამოყოფდა პირადი ცხოვრების ხელყოფის ოთხ შემთხვევას: 1. ადამიანის განმარტოების სფეროში ან მის პირად საქმეში ჩარევა; 2. ინდივიდზე პირადი ხასიათის არასასურველი ფაქტების გავრცელება; 3. საზოგადოებაში ადამიანზე არასწორი წარმოდგენის შექმნა; 4. სხვისი სახელის ან გამოსახულების მითვისება.<sup>40</sup> ფაქტობრივად ეს ასპექტები გაზიარებულ იქნა შემდგომ კვლევებში და პრაქტიკამაც გაითვალისწინა.

როდესაც კონგრესმა მიიღო კერძო ცხოვრების შესახებ კანონი (1974 წ.), კერძო ცხოვრების უფლება უკვე მყარად ფესვგადგმული იყო ამერიკის იურიდიულ გამოცემებში. სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ დამოუკიდებლად გამოყოფისა და აღიარების ღირსი იყო უზოგადესი პრინციპი, რომელსაც პირადი ცხოვრების დაცვის უფლება უწოდეს. პრესის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამო აუცილებელი გახდა უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების ძიება, რათა გაჩენილიყო უცხო პირთა ზღვარგადასული

<sup>37</sup> Spahn v. Messner, INC., 1964 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>38</sup> Петросян М., США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебн е записки», Выпуск 30, М., 1974, 163-164.

<sup>39</sup> Congress and the Right to Privacy, An Introductory Essay by Donald R. Wolfensberger For the Congress Project Seminar on, "Congress and Individual Privacy in a New Security Age, Woodrow Wilson International Center for Scholars, Monday, May 15, 2006, 2-3.

<sup>40</sup> Prosser W. L., Privacy, "California Law Review", Vol. 48, No.3, 1960, 386.

და უსაფუძვლო სულიერი ტრავმებისგან თავდაცვის საშუალება.<sup>41</sup> ფაქტობრივად, განისაზღვრა, რომ პირადი ცხოვრების უფლება არის „უფლება, ეკუთვნოდე საკუთარ თავს.“<sup>42</sup>

რაც შეეხება ინგლისს, აქ სასამართლო პირადი სფეროს დაცვის უფლებას არ აღიარებდა დამოუკიდებელ უფლებად: პირადი ცხოვრების დარღვევის გამო სარჩელის დაკმაყოფილება ხდებოდა მხოლოდ დიფამაციის შესახებ ტრადიციული ნორმების საფუძველზე. ამასთან, თუ ფოტოგრაფიის, კარიკატურის ან სახელის გამოქვეყნება დიფამაციურ ხასიათს ატარებდა, ეს არ მიიჩნეოდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარის საფუძველად. მაგალითად, მკვლელობის საქმეზე (Melvin v. Reid, 28th February 1931 of California Court of Appeal) მოსარჩელე (ყოფილი მეძავი) ფიგურირებდა პროცესში და იყო გამართლებული. მას შემდეგ იგი გათხოვდა. გარშემო მყოფებმა არ იცოდნენ მისი წარსულის შესახებ. პროცესიდან შვიდი წლის შემდეგ მოპასუხეებმა შექმნეს მისი ცხოვრების ამსახველი ფილმი, სადაც იგი ნამდვილი სახელით ფიგურირებდა. ამიტომ ეს მოქმედება შეფასდა მოსარჩელის პირადი სფეროს ხელყოფად. შესაბამისად, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ჩაითვალა ინდივიდის პირად გადაცემაუუნარო უფლებად. ასევე, დადგინდა, რომ ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ დარღვევა უხამს ხასიათს ატარებს. პირად სფეროში ჩარევისას პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს მოსარჩელის თანხმობა.<sup>43</sup>

<sup>41</sup> იხ. Warren S. D. & Brandeis L. D., The Right to Privacy, Harvard Law Review, Vol. 4, No. 5, 1890, 193; Prosser W. L., Privacy, "California Law Review", Vol. 48, No.3, 1960, 383-384; Mell P., Seeking Shade in a Land of Perpetual Sunlight: Privacy as Property in the Electronic Wilderness, "Berkeley Technology Law Journal", Vol.11, No.1, 1996, 1, 29-30.

<sup>42</sup> Петросян М., США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебные записки», Выпуск 30, М., 1974, 161.

<sup>43</sup> იხ. Петросян М., США: Правовая защита от вторжения в «личную сферу», Всесоюзный научно-исследовательский институт советского законодательства, «Учебные записки», Выпуск 30, М., 1974, 162-174.

ამდენად, შეიძლება აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრების უფლება უკავშირდება ინდივიდის თვითგამორკვევის მოლოდინს; თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაზღვროს, ცხოვრების რომელი ასპექტი ჩათვალოს კერძოდ და მოარიდოს საზოგადოებას, ხოლო კანონმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდის ამ გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>44</sup>

### პირადი ცხოვრების ახალი ეპოქა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, 1967 წელს, გამოქვეყნდა ალან ვესტინის წიგნი „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და თავისუფლება“ (Privacy and Freedom). ამ დროიდან დაიწყო ახალი ეპოქა პირადი სფეროს დაცვის პროცესში. ვესტინმა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა განმარტა, როგორც ადამიანის უფლება, თვითონ განსაზღვროს, როდის, როგორ და რა მოცულობით მიანდოს ინფორმაცია საზოგადოებას.<sup>45</sup> მან გამოყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ოთხი ფუნქცია თანამედროვე ცხოვრებაში: 1. პირადი ავტონომიის მოთხოვნილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში ინდივიდუალობის განვითარებისა და ინდივიდის არჩევანის გაცნობიერებისთვის. პირადი სფეროს ხელშეუხებლობა ხელს უწყობს ნორმალური ფსიქოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას, სტაბილურ ინტერპერსონალურ და პიროვნულ განვითარებას. ამ ფორმით პირადი ცხოვრება არის ადამიანის პიროვნების განვითარების საფუძველი. 2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიზანია, ადამიანი ემოციურად განთავისუფლდეს. საერთოდ, ცხოვრება წარმოშობს იმდენად ძლიერ დაძაბულობას ადამიანისთვის, რომ როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა მოითხოვს ადამიანის განმარტოებას. ეს

<sup>44</sup> Glancy D. J., The Invention of the Right to Privacy, Journal "Arizona Law Review", Vol. 21, No.1, 1979, 21.

<sup>45</sup> Westin A. F., Privacy and freedom, part I, New York: Atheneum, 1967, p.7; Westin A. F., Social and political dimensions of privacy, "Journal of Social Issues", Vol. 59, No. 2, 2003, 431.

ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის ნორმალურ ფუნქციონირებას, რამდენადაც ქმნის აუცილებელი განტვირთვის შესაძლებლობას, იყოს ის, რაც არის, გაექცეს ცხოვრების ყოველდღიურ სტრესს და გამოხატოს იმედგაცრუება, მწუხარება ან სხვა ძლიერი ემოცია რეპრესიის გარეშე. 3. პირადი სფეროს ხელშეუხებლობის მესამე ფუნქცია გამოიხატება შესაძლებლობაში, ადამიანმა მოახდინოს თვითშეფასება და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. ადამიანს სჭირდება თავისუფალი სივრცე და დრო მიღებული ურიცხვი ინფორმაციის გადასამუშავებლად. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს ალტერნატივები და მათი შედეგები, რათა იმოქმედოს შეძლებისდაგვარად თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად. 4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მეოთხე ფუნქციაა, უზრუნველყოს ადამიანის შეზღუდულ წრეში დაცული კომუნიკაციის არსებობა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ურბანულ ცხოვრებაში, თავის ხალხმრავალ გარემოსთან, უწყვეტ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაპირისპირებებთან ერთად. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ღირებულება არის იმის აღიარება, რომ ადამიანს სჭირდება შესაძლებლობა, საიდუმლოებანი გაუზიაროს ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ქმნის შესაძლებლობებს ადამიანისთვის, რათა იყოს ის, რაც არის, და დარჩეს სტაბილურ პიროვნებად.<sup>46</sup>

ამდენად, ფაქტობრივად კერძოდ შეიძლება ჩაითვალოს სფერო, რომელიც არაა საჯარო,<sup>47</sup> ანუ საზოგადოებისა თუ საჯარო ინტერესისგან თავისუფალი სფერო, რომელიც მოიცავს კერძო სივრცეს, განმარტოების ადგილს, საიდუმლო, პირად და განსაკუთრებით მგრძნობიარე ასპექტებს, მათ შორის ინტიმურ ურთ-

<sup>46</sup> Holvast J., History of privacy, In: The History of Information Security, 1st ed., A Comprehensive Handbook, Editors: Leeuw K. de and Bergstra J., 2007, 741-742. doi:10.1016/b978-044451608-4/50028-6

<sup>47</sup> Schiedermaier S., Der Schutz des Privaten als internationales Grundrecht, Mohr Siebeck Tübingen, 2012, 9.

იერთობებს.<sup>48</sup> კერძო ცხოვრება არის ავტონომიის მნიშვნელოვანი ნაწილი და პირიქით, ავტონომია არ შეიძლება არსებობდეს კერძო სფეროს გარეშე. შესაბამისად, კერძო ცხოვრების დაკარგვა ქმნის ადამიანთა ფუნდამენტური ღირებულებების ხელყოფის საფრთხეს. ის ანიჭებს ფიზიკურ პირს უფლებას, აკონტროლოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის შეზღუდოს ამ ინფორმაციასთან წვდომა.<sup>49</sup> ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ინფორმაციული ავტონომია, რომელიც გამომდინარეობს პირადი ცხოვრების დაცვის უფლებიდან. აქ არ მოიაზრება კლასიკური გაგებით არსებული „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, ანუ „ინტიმურობა“ ან „საიდუმლოება“. ეს უფრო ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სხვა ასპექტს, ანუ ინდივიდის ავტონომიას, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შესაძლებლობას, აკონტროლო ცხოვრების გარკვეული სფეროები. პერსონალური ინფორმაციის გაკონტროლების შესახებ ინდივიდის ავტონომია ნიშნავს ინფორმაციულ ავტონომიას ან „ინფორმაციულ თვითგამორკვევას“, როგორც ეს პირველად განაცხადა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 1983 წელს მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში.<sup>50</sup>

ამ დეტალების საფუძველზე, გამოყოფენ კერძო ცხოვრების შემდეგ გამოვლენის ფორმებს: (ა) ე.წ. „ლოკალურ კერძო ცხოვრებას“; (ბ) კერძო გადაწყვეტილების მიღებასა და (გ) ინფორმაციულ კერძო ცხოვრებას.<sup>51</sup> თუ ოთახში არის ნივთი, რომელიც ამ ოთახის პატრონს ეკუთვნის, მაშინ ეს ნივთი კერძო საკუთრებაა, რაც უკავშირდება შესაძლებლობას, კერძო საკუთრება დაცული იყოს

<sup>48</sup> ბიჭია მ., აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 3, 2013, 131.

<sup>49</sup> Demirsoy N. and Kirimlioglu, N., Protection of privacy and confidentiality as a patient right: physicians' and nurses' viewpoints, Biomedical Research- India, Vol. 27, Issue 4, 2016, 1437-1438.

<sup>50</sup> BundesVerfassungsgericht, 15.12.1983, Volkszählungsurteil, BVerfGE Bd. 65.

<sup>51</sup> Rössler B., Der Wert des Privaten, Frankfurt am Main, 2001, 25-27.

უცხო თვალისგან ან ჩარევისგან. პირადი სფერო იძლევა საფუძველს, ადამიანმა განავითაროს თავისი იდენტობა და იყოს ავტონომიური საკუთარ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებში, მოთხოვნებსა თუ ცხოვრებისეულ გეგმებში.<sup>52</sup> როცა საქმე ეხება სხვადასხვა საკითხზე ადამიანის პირად გადანყვეტილებებსა და მოქმედებებს, მაშინ მოიაზრება კერძო სფეროს ფარგლებში ადამიანის მიერ გადანყვეტილების მიღება.<sup>53</sup> რაც შეეხება ინფორმაციულ კერძო ცხოვრებას, მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილია, რომ უფლებამოსილ პირს აქვს შესაძლებლობა, ერთი მხრივ, გადასცეს სხვას მონაცემები, მეორე მხრივ, გააკონტროლოს საკუთარ თავზე არსებული ამ ინფორმაციის გავრცელება.<sup>54</sup>

ევროპაში ინფორმაციული თვითგამორკვევა იყო აღიარებული და დაცული, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ის მიიჩნია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ახალი გამოვლენის ფორმად და მოიაზრა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში, ხოლო 1981 წლიდან ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციით დადგინდა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება ამ მონაცემთა ავტომატიზებული საშუალებებით დამუშავებისას.<sup>55</sup>

ამდენად, აშკარაა, რომ ეს ასპექტები ერთიანდება კერძო ცხოვრებაში, რომელიც აგებულია არასაჯარო საწყისებზე. ფაქტობრივად კერძო ცხოვრება მოიცავს, გარდა კერძო ხასიათის ქონებრივი საკითხებისა, პირად და ინტიმურ სფეროებს.<sup>56</sup>

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა იურისპრუდენციაში ცნობილი კონსერვატივიზმის პოზიციებიდან შეხვდა პირადი ცხოვრების დაცვის უფლების აღიარებას. ეს ჩანს თვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინები-

<sup>52</sup> იქვე, 274.

<sup>53</sup> იქვე, 144-147.

<sup>54</sup> იქვე, 203-207.

<sup>55</sup> Terwangne C. De, The Right to be Forgotten and the Informational Autonomy in the Digital Environment, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2013, 4-5.

<sup>56</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 121, 327.



დან, რომელშიც გამოკვეთილი იყო პატივისა და ღირსების შელახვა, თუმცა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ აქ შელახული იყო პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.<sup>57</sup> ასევე, საგულისხმოა საქმე „ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელზეც გაირკვა, რომ დაირღვა გამოსახულების დაცვის უფლება, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი ასპექტი.<sup>58</sup>

21-ე საუკუნის დასაწყისში პირადი ცხოვრების დაცვა უფრო აქტიუალური გახდა საქართველოში, რადგან გაჩნდა სექსუალური რევოლუციის ნიშნები.<sup>59</sup>

### პირადი ცხოვრება თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში

საკითხი კიდევ უფრო საინტერესოა ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ვინაიდან ტექნიკის განვითარებამ გაზარდა პირადი უფლებების შელახვის საფრთხე.<sup>60</sup> მართალია, დღევანდელ თანამედროვე საზოგადოებაში გაიზარდა მოთხოვნა ინტერნეტზე, მაგრამ ინტერნეტის გამოყენებით, ამავე დროს, შეიქმნა პერსონალური მონაცემების ხელყოფის მრავალი შესაძლებლობა. შესაბამისად, საინტერესოა, სადამდე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი და სად იწყება საზოგადოების ინფორმირების ინტერესი, ანუ როგორია ამ ინტერესთა მოქმედების ფარგლები, ვინაიდან მათ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული იურიდიული შედეგები დელიქტურ სამართალში.<sup>61</sup>

<sup>57</sup> იხ. Gurgenidze v. Georgia, ECHR, 17.10. 2006 (№71678/01).

<sup>58</sup> იხ. ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება (განაცხადი 37048/04).

<sup>59</sup> იხ. გაბუნია შ., ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრებაში, თბ., 2010, 1-14.

<sup>60</sup> იხ. Meiss Reinhard W. von, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diessenhofen, Verlag Rüeggler, 1975, 147-148.

<sup>61</sup> ბიჭია მ., პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა

ამასთან, დღესდღეობით პიროვნების იდენტობის გამომხატველმა სხეულებრივმა (ორგანოები, ქსოვილები, დნმ-ის ნიმუშები და სხვა) და უსხეულო (სახელი, გამოსახულება, ხმა, პერსონალური მონაცემები და სხვა) კომპონენტებმა შეიძინა დიდი ეკონომიკური ღირებულება. ამ გაგებით, ისინი განხილულ იქნა ყიდვა-გაყიდვის ობიექტებად, სავაჭრო ურთიერთობებში კი ასეთი მოქმედება დასაშვებად ჩაითვალა. ამან, ცხადია, ძლიერი გავლენა მოახდინა პირადი უფლებების სამართლებრივ რეჟიმზე. ადრე ძირითადი ყურადღება ექცეოდა მესამე პირთა ჩარევისგან პირადი სფეროს ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას და დაცვის ღირსი ინტერესის ხელყოფის შედეგად არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ახლა გაჩნდა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია პიროვნულობის მატარებელი კომპონენტების კომერციული მიზნებისთვის გამოყენება და უნებართვო სარგებლობის შედეგად მიუღებელი შემოსავლის კომპენსაცია (ან უკანონოდ მიღებული მოგების რესტიტუცია). ამ გაგებით, პიროვნული უფლებები უფრო და უფრო მეტად დაუახლოვდა ქონებრივ უფლებებს, ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს შორის კი გამოიკვეთა კონცეპტუალური საზღვრების ნაშლის ტენდენცია. აღნიშნულმა სადავოდ აქცია პიროვნულ უფლებათა და ეკონომიკურ ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საზოგადოდ აღიარებული პოზიცია. შესაბამისად, ამ თეორიამ იურისტებს სერიოზულად შესთავაზა, გაითვალისწინონ პირადი სიკეთეების განკარგვასთან, გაყოფასა და გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც წარსულში მნიშვნელოვანწილად უარყოფილი იყო.<sup>62</sup>

პირადი უფლებებისთვის ეკონომიკური ღირებულების მინიჭებასთან ერთად, დღევანდელ საზოგადოებაში გახშირდა ინფორმაციის მიღებისა და პირადი სფეროს დაცვის ინტერესებს შორის

---

ინტერნეტსამყაროში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება“ (inso-2017), კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2017, 35, 40-41.

<sup>62</sup> Resta G., The New Frontiers of Personality Rights and the Problem of Commodification: European and Comparative Perspectives, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 26, 2011, 42-43.

კონფლიქტის შემთხვევები. ვინაიდან საკითხი შეეხება ძირითად უფლებებსა და მათ დაცვას კერძო სამართალში, ლოგიკურად პრობლემაც ძირითადი უფლებებისა და კერძო სამართლის ქრილში განიხილება. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების დაცვის დიქტომიაც დაეფუძნა საკონსტიტუციოსამართლებრივ და კერძოსამართლებრივ სანყისებს. განისაზღვრა, რომ დასაწყისში უნდა დადგინდეს ინფორმაციის თავისუფლების დაცვის წინაპირობები საკონსტიტუციო სამართალში, რომელიც ქმნის სამართლის სხვა დარგებისთვის უძირითადეს სანყისებს, შემდეგ კი - ინფორმაციის თავისუფლების დაცვის კერძოსამართლებრივი საფუძვლები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კონსტიტუცია ადგენს კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს. ამასთან, ძირითადი უფლებების ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა, ხოლო კერძო უფლების ადრესატად გვევლინება კერძო პირი.<sup>63</sup>

საქმე ისაა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულია თვითგამორკვევაზე ძირითადი უფლება, რომლის დაცვის კონკრეტული მექანიზმები განმტკიცებულია კონსტიტუციიდან ნაწარმოები სამართლებრივი ნორმებით. ამ ნორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კერძოსამართლებრივ ნორმებს. მოცემული ძირითადი უფლებების სამოქალაქო სამართალში მოქმედებისთვის უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო სამართლის უზოგადესი დებულებების გამოყენება, მით უმეტეს იქ, სადაც უფლების დაცვის შესახებ სპეციალური ნორმა არ არსებობს. სამოქალაქო სამართლის უზოგადესი წესები უნდა დაზუსტდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებზე ძირითადი უფლებების ზემოქმედების გზით.<sup>64</sup>

მოცემულ შემთხვევაში მესამე პირების ინტერესებზე (Drittwirkung) მოქმედებს ძირითადი უფლებები. ამის შედეგად

<sup>63</sup> იხ. ქანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 82-84.

<sup>64</sup> Gallwas H.-U., Schranken der Informationsfreiheit durch informationelle „Rechte anderer“ oder das „informationelle Drittverhältnis“, In Buch: „Recht der Daten und Datenbanken im Unternehmen“, Zugleich Festgabe Jochen Schneider zum 70. Geburtstag, ed. by Conrad I. / Grützmaier M., 2014, 353.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ინფორმაციული ძირითადი უფლებები.<sup>65</sup> ის უკავშირდება მესამე პირთა ინფორმაციულ ურთიერთობებზე (informationelle Drittverhältnis) ძირითადი უფლებების ზემოქმედებას, ანუ ინფორმაციის მიღება-გავრცელებისას წარმოშობილ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას. ამ პირობებში უმეტესწილად ერთმანეთს ეჯახება ინფორმაციის მიღებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესები, რაც საბოლოოდ ინვეს ინტერესთა კონფლიქტს.

მართალია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ტრადიციულად დასავლური კულტურის ღირებულებად მიიჩნევა, მაგრამ დასავლურ საზოგადოებაშიც არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა. ეს ამკარად ჩანს, თუ პირადი სფეროს დაცვის თაობაზე ევროპულ კულტურას შევუდარებთ აშშ-ს კულტურას. პირადი სფეროს კონცეპტუალურ ჭრილში ამერიკული პირადი ცხოვრების დაცვის სამართალი აღიარებს თავისუფლებების ღირებულებათა ნუსრიგს მაშინ, როცა ევროპული სამართალი ღირსების დაცვაზეა ორიენტირებული.<sup>66</sup>

ზოგადად, ამ ინტერესთა შეჯახებისას ხშირად გამოიყენება სუბიექტური თეორია, რომლის თანახმად, მხოლოდ უფლებამოსილ პირს აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, იყოს თუ არა ხელმისაწვდომი და რა მოცულობით მისი პირადი სფეროდან რაიმე ინფორმაცია. თუმცა გასათვალისწინებელია საჯარო ინტერესებიც, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება გამონაკლისების დაშვება.<sup>67</sup> თუ ორი მხარის ინფორმაციული ინტერესები ეჯახება ერთმანეთს, ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტა მოითხოვს აღნიშნული ინტერესების დაბალანსებას უპირატესი ინტერესის გამოკვეთის მიზნით. ამ პირობებში ორივე მხარის ინტერესთა პატივისცემა

<sup>65</sup> აღნიშნულთან დაკავშ. იხ. ერქვანი თ., ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში: ძირითადი დეტერმინანტები გერმანული დოქტრინის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2011, 59.

<sup>66</sup> Miyashita H., The evolving concept of data privacy in Japanese law, ჟურნალ „International Data Privacy Law“, Vol. 1, Issue 4, 2011, 230.

<sup>67</sup> იხ. ბიჭია მ., ჰანს ულრიჰ გალვასის სტატიის თარგმანის თაობაზე, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N3, 2015, 65.

კერძო სამართალში გულისხმობს მხარეთა ინტერესების დაცვის მექანიზმების დაზუსტებას ნაწარმოები სამართლებრივი ნორმებით. კანონმდებელმა აბსტრაქტულ-გენერალური ნორმები უნდა შექმნას ანალოგიური ნორმებისა და სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების სახით. რაც შეეხება თავისუფლების შეზღუდვას, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი პირის მოქმედების თავისუფლება უნდა შეიზღუდოს მეორე პირის თავისუფლებით. ამასთან, მოქმედების თავისუფლების დაცვის პროცესში წინა პლანზეა ინფორმაციის თავისუფლების აქტიური ასპექტი, ხოლო პიროვნული უფლებების დაცვა, ძირითადად, პასიურ ხასიათს ატარებს, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება უშუალოდ უფლებამოსილი პირის მონაცემების დაცვას დარღვევისგან.<sup>68</sup> შესაბამისად, ადამიანის კერძო სფეროს დაცვა პრაგმატიზმის ფარგლებში განიხილება და მისი სპეციფიკა გამოიხატება მაშინ, როცა პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ილახება. ამ გზით ფაქტობრივად წარმოჩენილია, რომ პერსონალური მონაცემებთან დაკავშირებული ურთიერთობა დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობაა.<sup>69</sup> ეს ლოგიკურად თავდაცვითი მოთხოვნების გამოყენებას გულისხმობს.

ამასთან, პანდემიამ საჯარო და კერძო სფეროებს შორის მიჯნა თითქმის ნაშალა, დისტანციურმა საქმიანობამ კი კერძო ცხოვრების ადგილი ავტომატურად გადასწია უკანა პლანზე. პანდემიის პირობებში კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა ძალიან დავინროვდა და მან მოიცვა მხოლოდ პირადი ან ინტიმური სფერო. მიუხედავად ამისა, პირადი სფეროების დაცვა აუცილებელია, რათა ტექნოლოგიურ ეპოქაშიც შენარჩუნდეს პოსტულატი იმაზე, რომ ნებისმიერი მოქმედება ან ტექნოლოგია უნდა ემსახურებოდეს ინდივიდს.

---

<sup>68</sup> Gallwas H.-U., Schranken der Informationsfreiheit durch informationelle „Rechte anderer“ oder das „informationelle Drittverhältnis“, In Buch: „Recht der Daten und Datenbanken im Unternehmen“, Zugleich Festgabe Jochen Schneider zum 70. Geburtstag, ed. by Conrad I. / Grützmacher M., 2014, 355-358.

<sup>69</sup> იხ. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 50-52.

## პირადი ცხოვრების დაცვის ხერხები კერძო სამართალში

როგორ შეიძლება ადამიანმა დაიცვას თავისი ინტერესები თანამედროვე რეალობაში, თუ არის პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე, ან ის შეილახა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია უფლების დაცვის კერძოსამართლებრივი ხერხების განსაზღვრა.

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების ხელყოფის საფრთხის არსებობისას დაზარალებულს შეუძლია გამოიყენოს როგორც თავდაცვითი მოთხოვნები (ხელმყოფი მოქმედების განხორციელებისგან თავშეკავებისა და შეწყვეტის მოთხოვნები), ასევე, დაზარალებულისთვის მიყენებული ტკივილის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები. ამის საფუძველი ისაა, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება არის პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მისი ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა დგება დელიქტური სამართლის ნორმების შესაბამისად.<sup>70</sup>

ვინაიდან პირად ცხოვრებასა და სხვა პირად სიკეთეებს (სახელი, გამოსახულება, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) შორის მჭიდრო კავშირია, გარკვეულ შემთხვევებში კი პირადი სიკეთეების შელახვამ შეიძლება პირადი ცხოვრების ხელყოფა გამოიწვიოს,<sup>71</sup> ცხადია, მნიშვნელოვანია ამ პირადი სიკეთეების დაცვის საშუალებების განსაზღვრა.

საყურადღებოა, რომ როცა დადგინდება სახელის ტარების უფლების შეცილება, ან სახელით უნებართვო სარგებლობისას სხვისი ინტერესების შელახვა, დაზარალებულს შეუძლია ხელმყოფისგან მოითხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა (სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი). ადამიანის პატივის, ღირსების,

<sup>70</sup> Gallwas H.-U., Schranken der Informationsfreiheit durch informationelle „Rechte anderer“ oder das „informationelle Drittverhältnis“, In Buch: „Recht der Daten und Datenbanken im Unternehmen“, Zugleich Festgabe Jochen Schneider zum 70. Geburtstag, ed. by Conrad I./ Grützmaier M., 2014, 365-366.

<sup>71</sup> იხ. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 142-166.

საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებისას, მათი უარყოფაც იმავე საშუალებებით უნდა მოხდეს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი). ამასთან, თუ ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა, უფლებამოსილ პირს შეუძლია იმავე საშუალებებში საპასუხო ცნობების გამოქვეყნება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი). პირადი ცხოვრების ხელყოფისას უნდა იყოს გამოყენებული დელიქტური სამართლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, რაც ეხება სსკ-ის 992-ე და შემდგომი მუხლებით დადგენილი იურიდიული შედეგის დადგომას.

ამასთან, პირადი ცხოვრება შეიძლება უკავშირდებოდეს სხეულს, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მათი ხელყოფით შეიძლება წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ზიანის მიყენებისას ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეული ან ჯანმრთელობა შეილახა, რამაც გამოიწვია დაზარალებულისთვის შრომის უნარის წართმევა ან შემცირება, ანდა მოთხოვნილებების გაზრდა, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით (სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები). ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მკურნალობის ხარჯების წინასწარ მოთხოვნა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა აუცილებელია პროფესიული გადამზადება.

ვინაიდან სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფას შეიძლება მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი, უნდა დადგინდეს, რა შემთხვევაში რომელი ზიანის ანაზღაურების საფუძველი არსებობს. ზოგადად, ზიანის ბუნება განისაზღვრება იმის მიხედვით, აქვს თუ არა ზიანის შედეგს ფულადი ეკვივალენტი. თუ ზიანის რეზულტატს მოეძებნება ფულადი ეკვივალენტი, საქმე ეხება ქონებრივ ზიანს, სხვა შემთხვევაში ივარაუდება არაქონებრივი ზიანის არსებობა. შესაბამისად, არამატერიალური ზიანი შეიძლება

წარმოიშვას როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად და გამოიხატება ფიზიკურ ან/და სულიერ ტანჯვაში.<sup>72</sup> ის ანაზღაურდება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში (სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, მხოლოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფისა და მნიშვნელოვანი (მძიმე) არაქონებრივი ზიანის არსებობისას დაიშვება მისი ანაზღაურება. ე.ი. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწვეია.<sup>73</sup> აღინიშნა, რომ პირადი უფლება განიხილება მკაცრად პირადი ხასიათის უფლებად, სსკ-ის 413-ე მუხლი კი ითვალისწინებს იმ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც უშუალოდ დაზარალებულის ჯანმრთელობის ხელყოფით მიადგება. რაც შეეხება სსკ-ის 1006-ე მუხლს, ამ ნორმით გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს არ ენიჭებათ უფლება, მოითხოვონ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისთვის. ამიტომ საქართველოს სასამართლოს პრაქტიკით 2019 წლამდე უმეტესწილად არ ანაზღაურდებოდა არაქონებრივი ზიანი, რომელსაც ქმრის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვევდა.<sup>74</sup>

დღესდღეობით ჩანს ამ საკითხთან დაკავშირებით მიდგომის შეცვლის ტენდენცია, რაც ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებას იმაზე, რომ შვილის გარდაცვალების შედეგად დედა განიცდის მორალურ ტანჯვას და მას უნდა შეეძლოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. იკვეთება არსებული ქართული პრაქტიკის მიდგომის შეცვლის ნიშნები მორალ-

<sup>72</sup> იხ. ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 26-27.

<sup>73</sup> იხ. დოლონაძე ლ., მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 174-175, 181.

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის №ს-593-568-2016 გადაწყვეტილება.



ური ზიანის ანაზღაურების სასარგებლოდ.<sup>75</sup> შესაბამისად, დადგინდა, რომ სამედიცინო დაწესებულების ექიმის მიერ არასათანადო მკურნალობის განევის შედეგად პაციენტის გარდაცვალებით მშობელი უდავოდ განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც უკავშირდება განგრძობად ნეგატიურ განცდებსა და სტრესულ მდგომარეობას. ამ პირობებში სიცოცხლის უფლების ხელყოფა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ მოვალეობას, ეს ზიანი კი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არამატერიალური. მართალია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება დაზარალებულს ვერ აღუდგენს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, თუმცა შეასრულებს არამატერიალური სიკეთის შელახვით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქების, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირების ფუნქციას. ამდენად, ამ გარემოებების გათვალისწინებით, 2020 წლიდან სასამართლომ დააკმაყოფილა შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.<sup>76</sup>

## დასკვნა

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოიშვა კაცობრიობის გაჩენისთანავე. ჯერ კიდევ ადამ და ევას პერიოდიდან დაისვა საკითხი ადამიანის სხეულის პირადულობისა და მისი დაცვის შესახებ. მართალია, დასაწყისში პირადი სფერო სხეულებრივ კომპონენტებს მოიცავდა, თუმცა მისი ცნების მოცულობა იცვლებოდა ეპოქების მიხედვით და ნელ-ნელა გარკვეულ არამატერიალურ საწყისებსაც უკავშირდებოდა. მაგალითად, ფეოდალურ ხანაში პირადი ცხოვრება ვლინდებოდა პატივისა და ღირსების ფორმით, მათი დაცვა კი წოდებრიობას ეფუძნებოდა.

<sup>75</sup> Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, [19.07.2018], ECHR, App. №58240/08; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის Nბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება.

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის Nას-1800-2019 გადაწყვეტილება.

რაც უფრო მაღალი წოდების წარმომადგენელი იყო ადამიანი, მისი პირადი ცხოვრებაც უფრო მეტად იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან. თანდათან უქმდება პირად სფეროში წოდებრიობის ნიშანი, მაგრამ ჩნდება სქესობრივი ასპექტით ადამიანთა განსხვავების ტენდენცია. 1888 წელს დელიქტების შესახებ ტრაქტატის შედეგად გაჩნდა პირადი ცხოვრების უძირითადესი კომპონენტი - განმარტოება. ამ იდეამ მალევე, 1890 წელს, ასახვა ჰპოვა *უერენისა* და *ბრანდისის* სტატიამი, რომელშიც მთელი სიმწვავეთ დაისვა პირადი ცხოვრების დაცვის საკითხი. ფაქტობრივად ოფიციალურად სწორედ ამ დროიდან იწყება პირადი ცხოვრების უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმების ძიებაზე მსჯელობა.

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსკენ გადაფასდა ადამიანთა პირადი სფეროს დაცვა, რაც დაეფუძნა სქესობრივ ნიშანს. ამ დროიდან პირადმა ცხოვრებამ უფრო მეტი არამატერიალური ასპექტიც (პიროვნების ინდივიდუალობის სხვადასხვა გამოვლინება) მოიცვა, ვიდრე მანამდე იყო. ამჟამად დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რომ პიროვნულობის გამომხატველ სიკეთეებს (გამოსახულება, ხმა და სხვა) შეიძლება ეკონომიკური ღირებულებაც ჰქონდეს. ამ გზით მისი კომერციალიზაციის იდეა წამოიწია წინა პლანზე.

გარდა ამისა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან პირადი ცხოვრების დაცვა უფრო აქტუალური გახდა, რადგან ტექნოლოგიურმა განვითარებამ მისი ხელყოფის საფრთხეები გაზარდა. ამჟამად, 21-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტექნოლოგია ელვისებურად ვითარდება, მკვეთრი ზღვარი იშლება საჯარო და კერძო სფეროებს შორის. პანდემიამ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დასვა, რადგან ადამიანთა საქმიანობა გახდა დისტანციური, შესაბამისად, ინტერნეტი და ტექნოლოგიური საშუალებები ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა და პირადი ცხოვრება იმდენად დაეინროვდა, რომ ხშირ შემთხვევაში პირადი ცხოვრების მხოლოდ ცალკეული გამოვლინების არსებობა გამოიკვეთა, ზოგჯერ კი პირადი ცხოვრება ინტიმური სფეროს ამარა დარჩა. ამ გზით ავტომატიზებულმა სამყარომ შეუქმნა ადამიანს შთანთქმის საფრთხე, არადა სწორედ ინდივიდს უნდა ემსახურებოდეს ავტომა-

ტიზებული საშუალებები. შესაბამისად, შეიქმნა ადამიანის პირადი სფეროს გაქრობის ან ნიველირების საფრთხე.

აქვე დადგინდა, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლების, როგორც ძირითადი უფლების, სამოქალაქო სამართალში გამოყენებისთვის აუცილებელია ჯერ კონკრეტული ძირითადი უფლების სამართლებრივი საფუძვლების მოძიება კონსტიტუციაში, შემდეგ კი ლოგიკურად - კონსტიტუციიდან ნაწარმოები კერძოსამართლებრივი ნორმების ამოქმედება. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების გამოყენება და მათი დაკონკრეტება სამოქალაქო სამართალში, თითოეული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით.

ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვა აქტუალური იყო, არის და იქნება ყოველთვის, თუმცა სხვადასხვა დროს განსხვავებული სპეციფიკით გამოირჩეოდა, რაც ფაქტობრივად თითოეული ეპოქისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით შეიძლება აიხსნას. დღესდღეობით პირადი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის დაცვის მიზნით შეიძლება ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტის, უარის თქმის, საპასუხო მონაცემების გამოქვეყნების, ასევე, ქონებრივი და/ან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების წარდგენა. ამასთან, შეიმჩნევა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევათა გაფართოების ტენდენცია. კვლევიდან ირკვევა, რომ პირადი ცხოვრების ეფექტიანი დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია შემთხვევათა საფუძვლიანად შესწავლა და კონკრეტული უფლების დაცვის კერძოსამართლებრივი ხერხების სათანადოდ გამოყენება.

## ნაზი ვარაზაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

### სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულების შრომითსამართლებრივი გუნება

## 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, შრომა თავისუფალია და შრომითი უფლებები დაცულია.<sup>1</sup> თუმცა, ზუსტად რა ფარგლებში ხდება აღნიშნული უფლებების დაცვა კონკრეტულ პირთა წრის მიმართ, შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული.<sup>2</sup> სწორედ ასეთი ბუნდოვანებით არის მოცული სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა შრომითი უფლებებისა და მათი შინაარსის საკითხი.

ერთი მხრივ, კლასიკური პოზიცია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით მოიცავს მტკიცებას, რომ მათზე შრომის სამართალი საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს<sup>3</sup> და ისინი დასაქმებულ პირთა შორის არ უნდა მოიაზრებოდნენ.<sup>4</sup> ამავდროულად, აკადემიურ ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება საწინააღმდეგო მოსაზრების გავრცელება.<sup>56</sup> შედე-

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26.1.

<sup>2</sup> ჟორჟოლიანი, ლ. შრომის კანონმდებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა ასოცირების ხელშეკრულების ქრილში. სამართლის ჟურნალი, 18.2. 2017. 84-100.

<sup>3</sup> Thomas, R.S. Explaining the International CEO Pay Gap: Board Capture or Market Driven? Vanderbilt Law Review, 57.4. 2004. 1171-1267.

<sup>4</sup> Asuquo, N.B. Amede, F.O. How do Boards Moderate the Powers of Powerful CEOs? Accounting & Taxation Review, 2.3. 2018. 76-88.

<sup>5</sup> Schwab, S.J. Thomas, R.S. An Empirical Analysis of CEO Employment Contracts: What Do Top Executives Bargain For? Washington and Lee Law Review, 63. 2006. 231-270.

<sup>6</sup> Helland, E. Sykuta, M. Regulation and the Evolution of Corporate Boards: Monitoring,

გად, კონსესუსის არარსებობის გათვალისწინებით, აუცილებელია, მოხდეს მოცემული თემის უფრო სიღრმისეულად შესწავლა.

სამენარმეო საზოგადოებები მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს წარმოადგენენ.<sup>7</sup> მათი ხელმძღვანელი პირები კი საერთაშორისო კომერციის ყველაზე გავლენიან მოთამაშეებად გვევლინებიან.<sup>8</sup> შესაბამისად, მათ სტატუსთან და სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბუნდოვანების არსებობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი იქნება სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირებისა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელი ხელშეკრულებების შრომითსამართლებრივი ბუნება.

ზემოთ აღწერილი მიზნის მისაღწევად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, გამოყენებული იქნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო თეორიული და პრაქტიკული წყაროები. უცხოური გამოცდილების გაზიარება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი სურათის დასანახად,<sup>9</sup> ხელს შეუწყობს საკითხის ყველა მხრივ შეფასებას და გაზრდის კვლევის შედეგის ხარისხს.

იმისათვის, რათა მოხდეს ნებისმიერი თემის სიღრმისეული ანალიზი, პირველ რიგში, აუცილებელია ძირითადი ცნებების ზუსტად განსაზღვრა.<sup>10</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი „სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი“ შესაძლოა, არაერთგვაროვნად იყოს გაგებული,<sup>11</sup> წინამდებარე ნაშრომში, ადრინდელ

---

Advising, or Window Dressing? *The Journal of Law and Economics*, 47. 2004. 167-193.

<sup>7</sup> Winseck, D. The Geopolitical Economy of the Global Internet Infrastructure. *Journal of Information Policy*, 7. 2017. 228-267.

<sup>8</sup> Finkelstein, S. Boyd, B.K. How Much Does the CEO Matter? The Role of Managerial Discretion in the Setting of CEO Compensation. *The Academy of Management Journal*, 41.2. 1998. 179-199.

<sup>9</sup> Johnson-Laird, P.N. Deductive Reasoning. *Annual Review of Psychology*, 50. 1999. 109-135.

<sup>10</sup> Hoepfl, M.C. Choosing qualitative research: A primer for technology education researchers. *Journal of Technology Education*, 9.1. 1997. 47-63.

<sup>11</sup> Thomas, R.S. Explaining the International CEO Pay Gap: Board Capture or Market

ეტაპზევე მოხდება მისი შინაარსის განმარტება. ამავდროულად, ანალიზის ძირითადი სუბიექტების დეფინიციის გარდა, მნიშვნელოვანია ასევე იმის გააზრება, თუ რას მოიცავს შრომითი ურთიერთობა და, განსაკუთრებით, თუ რა გარანტიები ასოცირდება დასაქმებულის სტატუსთან. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ასევე მოხდება მოცემული საკითხის დეტალური შესწავლა.

მას შემდეგ, რაც მოხდება საბაზისო საკითხების ჩამოყალიბება, შესწავლილი იქნება კლასიკური მიდგომა სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელი პირების შრომის სამართალთან ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი იქნება იმის ანალიზი, თუ რა საფუძველი ედო საკორპორაციო და შრომის კანონმდებლობის გამიჯვნას.

შემდგომ, გაანალიზდება ის, თუ რა შრომითი გარანტიები გააჩნიათ ან უნდა გააჩნდეთ კომპანიათა დირექტორებს. აღნიშნულთან ერთად, შესწავლილი იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის განთავისუფლება დაკავებული პოზიციიდან და ასეთი ქმედების პოტენციური საფუძვლები.

საბოლოოდ, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, მოხდება იმის გაანალიზება, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულების სრულიად შრომის სამართლის ფარგლებში მონესრიგებას. შეფასდება ასეთი მონესრიგების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტი და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები აღნიშნულთან დაკავშირებით.

## 2. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები საკორპორაციო სამართალში

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გადანაცვებების მიღებას.<sup>12</sup> აღნიშნული დეფინიცია მეტწილად თანხვედრაშია იმავე ცნების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ განმარტებებთანაც.<sup>1314</sup> შესაბამისად, შესაძლებელია იმის განმარტება, თუ კონკრეტულად რომელი პირები შეიძლება, მოიაზრებოდნენ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელებს შორის. მათი დაყოფა შეიძლება სამ განცალკევებულ კატეგორიად:

სამენარმეო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრები - პირები, რომლებიც ხშირად მოიხსენიება, როგორც კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი ხელმძღვანელები.<sup>1516</sup> ისინი, თავის თავში, ორ ქვეკატეგორიას მოიცავენ - ესენია აღმასრულებელი და არააღმასრულებელი დირექტორები.<sup>17</sup>

სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები - ადამიანები, რომლებიც შედიან კომპანიის საზედამხებდევლო ორგანოს შემადგენლობაში.<sup>18</sup> ისინი, ძირითადად, შედარებით ირიბად

<sup>12</sup> საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. მუხლი 9.2.

<sup>13</sup> Bates, T.W. Becher, D.A. Lemmon M.L. Board classification and managerial entrenchment: Evidence from the market for corporate control. *Journal of Financial Economics*, 87.3. 2008. 656-677.

<sup>14</sup> Zhao, Y. Competing mechanisms in corporate governance: independent directors, institutional investors and market forces. *International Company and Commercial Law Review*, 21.10. 2010. 338-346.

<sup>15</sup> Letting, N. Wasike, E. Kinuu, D. Murgor, P. Ongeti, W. Aosa, E., Corporate governance theories and their application to boards of directors: A critical literature review. *Prime Journal of Business Administration and Management*, 2.12. 2012. 782-787.

<sup>16</sup> Бакунова, Н.В. Мухаровский, Н.В., Трансформация Корпоративного Управления в Условиях Рыночных Отношений. *Вестник Омского университета*, 2, 2011, 80-84.

<sup>17</sup> Bohdanowicz, L. The Impact of Ownership Structure on Supervisory Board Size and Diversity: Evidence from the Polish Two-tier Board Model. *Procedia Economics and Finance*, 23. 2015. 1420-1425.

<sup>18</sup> Peij, S.C. Bezemer, P. Maassen, G.F. The effectiveness of supervisory boards: an ex-

ხელმძღვანელობენ მას,<sup>19</sup> თუმცა ზოგჯერ დირექტორზე არანაკლებ აქტიურ როლს თამაშობენ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.<sup>20</sup>

სამენარმეო საზოგადოების მენეჯერები - პირები, რომლებიც კომპანიის იერარქიაში მაღალ პოზიციაზე იმყოფებიან და რომელთა მიერ კომპანიის სახელით მიღებულ გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანესი ღირებულება გააჩნიათ საზოგადოების საქმიანობის წარმატებისათვის.<sup>21</sup>

სწორედ აღნიშნული სამი სახის პირების და მათთან დაკავშირებული შრომითსამართლებრივი რეალობის შესწავლაა წინამდებარე ნაშრომის მიზანი. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, საჭიროა, რომ შედარებით უფრო დეტალურად იყოს განმარტებული თითოეული მათგანის როლი საზოგადოების მმართველობაში.

## 2.1. სამენარმეო საზოგადოების დირექტორები

სამენარმეო საზოგადოებაში მისი დირექტორი ერთ-ერთი უმთავრესი მოქმედი პირია.<sup>22</sup> თუმცა, თავად აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობაც კი, ზოგჯერ, დამაბნეველი შეიძლება, იყოს.<sup>23</sup> ამიტომ, აუცილებელია, მოხდეს მისი ზუსტად განმარტება.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი „დირექტორის“

---

ploratory study of challenges in Dutch boardrooms. *International Journal of Governance and Ethics*, 7.3. 2012. 191-208.

<sup>19</sup> Van Ness, R. Miessing, P. Kang, J., Understanding Governance and Corporate Boards: Is Theory a Problem. *European Journal of Management*, 7.9. 2009. 186-199.

<sup>20</sup> Виханский, О.С. Наумов, А.И., Размышления о Менеджменте - “Другой” Менеджмент: Время Перемен. *Российский Журнал Менеджмента*, 3, 2004. 105-126.

<sup>21</sup> Connely, B. Hoskisson, R. Tihanyi, L. Certo, S. Ownership as a Form of Corporate Governance. *Journal of Management Studies*, 47.8. 2010, 1561-1589.

<sup>22</sup> გვენეტაძე, დ. კომპანიაში დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხისთვის. *სამართლის ჟურნალი*, 19.1. 2018. 130-158.

<sup>23</sup> Bohdanowicz, L. The Impact of Ownership Structure on Supervisory Board Size and Diversity: Evidence from the Polish Two-tier Board Model. *Procedia Economics and Finance*, 23. 2015. 1420-1425.



დეფინიციას არ გვთავაზობს, თუმცა მას აღწერს, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირს.<sup>24</sup> პრაქტიკა ასევე იცნობს დირექტორთა საბჭოს ცნებასაც, რაც, რეალურად, რამდენიმე დირექტორის არსებობის შემთხვევის აღმნიშვნელი ფრაზაა<sup>25</sup>. კანონის ანალიზიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სტანდარტული დირექტორი კომპანიის საქმიანობაში აქტიურად მონაწილე პირია, რომელიც მის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკაში, ეს მხოლოდ მოცემული ტერმინის ერთ-ერთი შინაარსია.

გარდა მოცემულ ქვეთავში უკვე განხილული განმარტებისა, სიტყვა „დირექტორი“ ასევე შეიძლება აღნიშნავდეს ე.წ. „არააღმასრულებელ დირექტორს“.<sup>26</sup> მოცემული ფრაზა ეხება პირებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური გაგებით დირექტორები არ არიან, მაინც შედიან დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში.<sup>27</sup> არააღმასრულებელი დირექტორები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ისეთ იურისდიქციებში, რომლებშიც ნაკლებად პოპულარულია სამეთვალყურეო საბჭოების ან მსგავსი წარმონაქმნების გამოყენება.<sup>28</sup> ეს იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ არააღმასრულებელ დირექტორებს, ძირითადად, საზედამხედველო ფუნქციები გააჩნიათ<sup>29</sup> და მათი მთავარი როლი სხვა, „ჩვეულებრივი“ დირექ-

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. მუხლი 9.1.

<sup>25</sup> ალადაშვილი, გ. კორპორაციის არსი და კორპორაციული პიროვნულობა ონტოლოგიურ ჭრილში. სამართლის ჟურნალი, 23.1. 2020. 59-79.

<sup>26</sup> Chandrakumara, A. Walter, G. Role of non-executive directors in implementing non-regulatory codes on corporate governance in SMEs listed in the alternative investment market in the UK: A content analysis. Corporate Ownership and Control, 13.1. 2015. 220-236.

<sup>27</sup> Pass, C.L. Corporate Governance and the Role of Non-executive Directors in Large UK Companies: An Empirical Study. Corporate Governance International Journal of Business in Society, 4.2. 2004. 52-63.

<sup>28</sup> Grech, E. The role and obligations of non-executive directors under Maltese law. Corporate Board: Role, Duties and Composition, 10.1. 2014. 71-83.

<sup>29</sup> Либман, В.А. Теоретические Аспекты Агентской Проблемы в Корпораций. Вестник, СПбГУ, 8.1. 2005, 123-140.

ტორების კონტროლია.<sup>30</sup> ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა, რომ დირექტორთა საბჭომ ერთიანად მიიღოს გადაწყვეტილება, არააღმასრულებელ დირექტორებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ საზოგადოების საქმიანობაზე.<sup>31</sup> თუმცა, ხშირად, საბჭოს გარეთ, მათ ფუნქციები საერთოდ არ აქვთ<sup>32</sup> ან მხოლოდ მინიმალური უფლებამოსილებები გააჩნიათ.<sup>33</sup>

საქართველოს საკორპორაციო სამართალში ძირითადი ორგანო, რომელსაც ზედამხედველობითი ფუნქციები აკისრია, სამეთვალყურეო საბჭოა.<sup>34</sup> შედეგად, არააღმასრულებელი დირექტორები იშვიათად თუ გვხვდება. ამიტომ, შემდგომში, ტერმინ „დირექტორის“ გამოყენებისას, წინამდებარე ნაშრომში მოიაზრება ე.წ. „აღმასრულებელი“ დირექტორები. რაც შეეხება არააღმასრულებელ დირექტორებს, ისინი ფუნქციურად ყველაზე მეტად ქვემოთ განხილულ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გვანან,<sup>35</sup> ამიტომ შემდგომში მათი განხილვა ამ უკანასკნელებთან ერთად მოხდება. აღნიშნული ფაქტი განპირობებულია ასევე იმით, რომ დირექტორებს, რეალურად, თითქმის არასდროს სხვა პოზიცია არ უკავიათ და ისინი ე.წ. „სრული განაკვეთით“ ხელმძღვანელობენ შესაბამის კომპანიას,<sup>36</sup> მაშინ, როდესაც როგორც არააღმასრულებელი დირექტორები, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მხოლოდ მცირე დროს უთმო-

<sup>30</sup> Lückerath-Rovers, M. De Bos, A. Code of Conduct for Non-Executive and Supervisory Directors. *Journal of Business Ethics*, 100.3. 2011. 465-481.

<sup>31</sup> Oehmichen, J. Schult, A. Wolff, M. Former Executives Serving as Non-Executive Directors: Resource Channels or Ineffective Monitors. *Schmalenbach Business Review* volume, 55. 2014. 438-469.

<sup>32</sup> Grech, E. The role and obligations of non-executive directors under Maltese law. *Corporate Board: Role, Duties and Composition*, 10.1. 2014. 71-83.

<sup>33</sup> Bezemer, P. Peij, S. De Kruijs, L. Maassen, G. How two-tier boards can be more effective. *Corporate Governance Journal*, 14.1. 2014. 15-31.

<sup>34</sup> საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. მუხლი 53.

<sup>35</sup> Bordean, O.N. Borza, A. Boards' Attributes and Company Performance: the Romanian Experience, *Economics and Sociology Journal*, 10.2. 2017. 61-73

<sup>36</sup> Van Ness, R. Miessing, P. Kang, J., Understanding Governance and Corporate Boards: Is Theory a Problem. *European Journal of Management*, 7.9. 2009. 186-199.

ბენ საზოგადოებისათვის მუშაობას,<sup>37</sup> ანაც სხვა პოზიციაზე უკავიათ იმავე დროს.<sup>38</sup>

კომპანიის დირექტორი შეიძლება, შეფასდეს, როგორც მისი უმნიშვნელოვანესი ხელმძღვანელი.<sup>39</sup> ამის გათვალისწინებით, მას-სა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობის შინაარსის ზუსტად გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მას დაეთმობა.

## 2.2. სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

დირექტორის მსგავსად, სამეთვალყურეო საბჭოს დეფინიცია არ არის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული, თუმცა მისი ფუნქციები და როლი მასში აღწერილია.<sup>40</sup> სამეთვალყურეო საბჭო არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს დირექტორს და იღებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ან ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში გადასადგმელი ნაბიჯებისაგან არსებითად განსხვავდება.<sup>41</sup> მართალია, ისინი დამოუკიდებლად, როგორც წესი, არანაირ ფუნქციას არ ასრულებენ<sup>42</sup>, თუმცა, როგორც კო-

<sup>37</sup> Bezemer, P. Peij, S. De Krujjs, L. Maassen, G. How two-tier boards can be more effective. *Corporate Governance Journal*, 14.1. 2014. 15-31.

<sup>38</sup> Lin, C. An Examination of Board and Firm Performance: Evidence from Taiwan. *The International Journal of Business and Finance Research*, 5.4. 2011. 17-34.

<sup>39</sup> Lückcrath-Rovers, M. De Bos, A. Code of Conduct for Non-Executive and Supervisory Directors. *Journal of Business Ethics*, 100.3. 2011. 465-481.

<sup>40</sup> საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. მუხლი 53.

<sup>41</sup> Bezemer, P. Peij, S. De Krujjs, L. Maassen, G. How two-tier boards can be more effective. *Corporate Governance Journal*, 14.1. 2014. 15-31.

<sup>42</sup> Zeng, H. Yang, L. Shi, J. Does the supervisory ability of internal audit executives affect the occurrence of corporate fraud? Evidence from small and medium-sized listed enterprises in China. *International Journal of Accounting & Information Management*, 29.1. 2021. 1-26.

ლეგიალურ ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამენარმეო საზოგადოების ცხოვრებაში.<sup>43</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა არააღმასრულებელ დირექტორებთან დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ეს პოზიცია იშვიათად წარმოადგენს ძირითად სამსახურს.<sup>44</sup> მართალია, მათი ფუნქციები ხშირად შეიძლება, საკმაოდ ექსტენსიური იყოს, თუმცა, პრაქტიკაში, მიღებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხოლოდ მცირე დროს უთმობდნენ საზოგადოებას, ან მსგავსი როლი ბევრ სხვა კომპანიაში ჰქონდეთ შეთავსებული, ანაც იმავე საზოგადოებაში ასრულებდნენ სხვა ფუნქციებს.<sup>45</sup> ამიტომ, შრომითსამართლებრივი ექვივალენტის ძიებისას, მათი მიმსგავსება მხოლოდ „ნახევარ განაკვეთზე“ მომუშავე პირებთან არის შესაძლებელი.<sup>46</sup>

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გავლენა საზოგადოების საქმიანობაზე ძალიან მნიშვნელოვანია.<sup>47</sup> შედეგად, მათი ურთიერთობის სწორად დაკვალიფიცირება და გააზრება აუცილებელია, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში, დირექტორების პარალელურად მოცემული იქნება მათთან დაკავშირებით მსჯელობაც, რაც კომბინირებული იქნება არააღმასრულებელი დირექტორების შესახებ ანალიზთან ერთად.

---

<sup>43</sup> Aggestam, M. Corporate governance and capital groups in Poland. *Journal for East European Management Studies*, 9.4. 2004. 367-390.

<sup>44</sup> Lin, C. An Examination of Board and Firm Performance: Evidence from Taiwan. *The International Journal of Business and Finance Research*, 5.4. 2011. 17-34.

<sup>45</sup> Bezemer, P. Peij, S. De Kruijs, L. Maassen, G. How two-tier boards can be more effective. *Corporate Governance Journal*, 14.1. 2014. 15-31.

<sup>46</sup> Jansen, P.A.M. Inside the Black Box of the Board: Towards a Global Comparative Model of Board Effectiveness for Listed Companies. *Journal of Corporate Governance Research*, 3.1. 2019. 1-27.

<sup>47</sup> Zeng, H. Yang, L. Shi, J. Does the supervisory ability of internal audit executives affect the occurrence of corporate fraud? Evidence from small and medium-sized listed enterprises in China. *International Journal of Accounting & Information Management*, 29.1. 2021. 1-26.

### 2.3. სამენარმეო საზოგადოების მენეჯერები

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა მესამე კატეგორიად მისი მენეჯერები გვევლინებიან. ეს მოიცავს პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ, კომპანიის სტრუქტურის ფარგლებში საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას.<sup>48</sup> შესაბამისად, ისინი ნამდვილად შეიძლება, საზოგადოების ხელმძღვანელებად იყონ მოხსენიებული.

ზემოთ მოცემულის მიუხედავად, აკადემიურ ლიტერატურაში, მენეჯერები, მიუხედავად მათი პოზიციის დასახელებისა (დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი და ასე შემდეგ)<sup>49</sup> და მათი უფლებამოსილების ფარგლებისა, თითქმის არასდროს განიხილებიან დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გვერდით.<sup>50</sup> მართალია, ისინიც ძალიან მნიშვნელოვანი არიან კომპანიისათვის,<sup>51</sup> თუმცა საზოგადოების თანამშრომლებად, მისი სტრუქტურის შიგნით დასაქმებულ პირებად ითვლებიან<sup>52</sup>. მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ემსახურება საკუთარი შრომითი ვალდებულებების შესრულებას<sup>53</sup> და, ამის გათვალისწინებით, ისინი ვერ გაიგივდება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ სხვა პირებთან.

<sup>48</sup> Van Den Bosch, F.A.J. Jansen, J.P.J. George, G. Volberda, H.W. Senior Team Attributes and Organizational Ambidexterity: The Moderating Role of Transformational Leadership. *Journal of Management Studies*, 45.5. 2008. 982-1007.

<sup>49</sup> Peus, C. Frey, D. Gerhardt, M. Fischer, P. Traut-Mattausch, E. Leading and managing organizational change initiatives. *Management Revue*, 20.2. 2009. 158-175.

<sup>50</sup> Anslinger, P. Jenk, J. Creating Successful Alliances. *Journal of Business Strategy*, 25.2. 2004. 18-22.

<sup>51</sup> Riege, A. Three-dozen knowledge-sharing barriers managers must consider. *Journal of Knowledge Management*, 9.3. 2005. 18-35.

<sup>52</sup> Van Den Bosch, F.A.J. Jansen, J.P.J. George, G. Volberda, H.W. Senior Team Attributes and Organizational Ambidexterity: The Moderating Role of Transformational Leadership. *Journal of Management Studies*, 45.5. 2008. 982-1007.

<sup>53</sup> Papadaki, M. Gale, A.W. Rimmer, J.R. Kirkham, R.J. Taylor, A. Brown, M. Essential factors that increase the effectiveness of project/programme risk management. *Procedia Social and Behavioral Sciences*, 119. 2014. 921-930.

შედეგად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, კომპანიის მენეჯერთა განხილვა აზრს არის მოკლებული. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი პირები ჩვეულებრივ დასაქმებულებად არიან განხილული, მათთან ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულებაც უბრალო შრომით გარიგებად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, ქვემოთ, აღარ მოხდება მათი განხილვა და ნაშრომი კონცენტრირდება მხოლოდ დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

### 3. დასაქმებულის სტატუსი და გარანტიები

იმ შემთხვევაში, როდესაც პირთან ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულება კლასიფიცირდება, როგორც შრომითი გარიგება, აღნიშნული პირი დასაქმებულის სტატუსს იღებს. ეს, თავის თავში, ნიშნავს, რომ მასზე და მოცემულ ურთიერთობაზე შრომის კანონმდებლობა იწყებს გავრცელებას, შედეგად კი მას წარმოეშობა გარკვეული გარანტიები, რომლების ჩამორთმევააც კანონით აკრძალულია.<sup>54</sup>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი გარანტიები, რომლებიც პირს წარმოეშობა შრომით ურთიერთობაში მონაწილეობით, იქმნება ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისასაც.<sup>55</sup> მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელიც ძალაშია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, მოქმედებს სხვა სახის კონტრაქტების არსებობის შემთხვევაშიც.<sup>56</sup> მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურება შრომითი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ანაზღაურების საკითხი არანაირად არ არის უნიკალური ასეთი ტიპის ურთიერთობისათვის<sup>57</sup>,

<sup>54</sup> Boemke, Aktuelles zum GmbH-Geschäftsführer aus arbeitsrechtlicher Sicht, RdA 2018, 1, 1.

<sup>55</sup> Brustein, A.H. Casual Workers and Employee Benefits: Staying Ahead of the Curve. University of Pennsylvania Journal of Labor and Employment Law, 7.3. 2005. 695-713.

<sup>56</sup> Wood, R.W. Independent Contractor or Employee? The Multiple Issues Involved in Independent Contractor Status. New York State Bar Association Journal, 28. 2008. 28-33.

<sup>57</sup> Brustein, A.H. Casual Workers and Employee Benefits: Staying Ahead of the Curve.

ამიტომ მისი განხილვა აზრს არის მოკლებული. შესაბამისად, ნინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, რელევანტურია ის გარანტიები, რომლებიც სახეზეა შრომით ურთიერთობაში, მაგრამ არ აღინიშნება განსხვავებული სახელშეკრულებო სტატუსის არსებობისას.

შრომითი გარანტიებისა და ე.წ. „ბენეფიტების“ სია სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია.<sup>58</sup> თუმცა, პრაქტიკაში, მათი დაყოფა შესაძლებელია ორ ნაწილად. ესენია: „ბენეფიტები“ ხელშეკრულების მიმდინარეობისას და გარანტიები, რომლებიც უკავშირდება ურთიერთობის დასრულებას.<sup>59</sup>

სარგებელი, რომელსაც დასაქმებული ასეთი სტატუსის არსებობისაგან იღებს ხელშეკრულების მიმდინარეობისას, შესამჩნევად განსხვავდება იურისდიქციებს შორის. თუმცა, შესაძლებელია გარკვეული ტრენდების დაფიქსირებაც. მაგალითად, ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსის მსგავსად, გარანტირებულია ისეთი შრომითი უფლება, როგორიცაა შვებულება, რაც მის სხვადასხვა ნაირსახეობას მოიცავს.<sup>60</sup> გარდა ამისა, ქართული სამართალი იზიარებს ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს დასაქმებულის დაგროვებითი პენსიის აკუმულაციაში.<sup>61</sup> კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ორივე მოცემულ იურისდიქციაში აქტუალურია, არის დასაქმებულის უფლებათა დაცვის მექანიზმები, როგორიცაა, მაგალითად, გაფიცვა.<sup>62</sup>

გარდა ზემოთ მოცემულისა, შრომითი ხელშეკრულების მიმდინარეობისას, მის მიმართ მოქმედებს მთელი რიგი საკანონმდე-

---

University of Pennsylvania Journal of Labor and Employment Law, 7.3. 2005. 695-713.

<sup>58</sup> Ahmad, R. Yei, E.T.P. Bujang, S. Relationship between Types of Benefit (leave, loan and retirement plan) and Employees' Retention. International Journal of Education and Research, 1.8. 2013. 1-14.

<sup>59</sup> Brustein, A.H. Casual Workers and Employee Benefits: Staying Ahead of the Curve. University of Pennsylvania Journal of Labor and Employment Law, 7.3. 2005. 695-713.

<sup>60</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. თავი VI.

<sup>61</sup> საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. თავი I.

<sup>62</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. მუხლი 64.

ბლო ნორმებისა, რომლებსაც არსებითი გავლენა შეუძლიათ მოახდინონ როგორც დასაქმებულის, ისე დამსაქმებლის უფლებრივ მდგომარეობაზე.<sup>63</sup> შესაბამისად, იმ ფაქტს, არის თუ არა მათი ურთიერთქმედება შრომითსამართლებრივი, დიდი მნიშვნელობა აქვს და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანება განსაკუთრებით პრობლემურია.

რაც შეეხება დასაქმებულის მიმართ მოქმედ გარანტიებს ხელშეკრულების შეწყვეტისას, ისინი, ძირითადად ერთი საწყისიდან გამომდინარეობს - დაუშვებელია, დამსაქმებელმა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მოშალოს შრომითი გარიგება.<sup>64</sup> იგივე წესი, მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში სახეზე არ არის.<sup>65</sup> ასეთი გარანტიის არსებობა დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანია, რადგანაც ის იძლევა სტაბილურობის განცდას<sup>66</sup> და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის ყოველდღიურ ყოფას.<sup>67</sup>

შედეგად, შესაძლებელია იმაზე საუბარი, რომ თუკი ურთიერთობაზე გავრცელდება შრომის სამართალი, ეს ნიშნავს, რომ დასაქმებულს მიეცემა შესაძენევად მეტი გარანტიები, ვიდრე სანინალმდეგო შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, რადგან სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები მნიშვნელოვან მოთამაშეებს წარმოადგენენ საერთაშორისო კომერციაში, უნდა მოხდეს კრიტიკული ანალიზი არსებული პრაქტიკისა იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა მათთვის შრომითი გარანტიების

<sup>63</sup> Menegatti, E. The Evolving Concept of “worker” in EU law. Italian Labour Law e-Journal, 1.12. 2019. 71-83.

<sup>64</sup> Shoukens, P. Barrio, A. The changing concept of work: When does typical work become atypical? European Labour Law Journal, 8.4. 2017. 306-332.

<sup>65</sup> Cunningham, I. Baines, D. Shields, J.M. Lewchuk, W. Austerity policies, precarity and the nonprofit workforce: A comparative study of UK and Canada. Journal of Industrial Relations, 58.4. 2016. 455-472.

<sup>66</sup> Botero, J.C. Djankov, S. La Porta, R. Lopes-de-Silanes, F. Shleifer, A. The Regulation of Labor. The Quarterly Journal of Economics, 119.4. 2004. 1339-1382.

<sup>67</sup> Grady, J.K. The state, employment, and regulation: making work not pay. Employee Relations, 39.3. 2018. 1-26.



გადაცემა, რა მიდგომა არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებით და რა შედეგები მოჰყვება ასეთი „ბენეფიტების“ არსებობას.

#### 4. საკორპორაციო და შრომის სამართლის ურთიერთქმედების კლასიკური მოდელი

წარსულში, აკადემიურ ლიტერატურაში და, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკაში გაზიარებული იყო მოსაზრება, რომ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებზე, ანუ მათს დირექტორებსა და კოლეგიალური ორგანოების წევრებზე, შრომის სამართალი არ უნდა გავრცელებულიყო.<sup>68</sup> ეს არ გულისხმობდა იმას, რომ შრომის სამართლის მოქმედება გარკვეულწილად შეკვეცილი უნდა ყოფილიყო. ამის ნაცვლად, მოცემულ პირებთან მიმართებაში, კლასიკური მოდელის შესაბამისად, შრომის სამართალს, ფაქტობრივად, არ უნდა ეარსება.<sup>69</sup>

აღნიშნული მიდგომა, დღეს, ნაკლები პოპულარულობით სარგებლობს.<sup>70</sup> წინამდებარე ნაშრომში ქვემოთ, შედარებით დეტალურად იქნება თანამედროვე პოზიციები განხილული, თუმცა, მოცემულ თავში, განიხილება კლასიკური მოდელის მომხრეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციები. ასეთი ანალიზის საფუძველია იმის გააზრება, თუ რას ეფუძნებოდა სამართლის ორი, თითქოს მჭიდროდ დაკავშირებული სფეროს კარდინალურად გაყოფის სურვილი. საბოლოოდ, შეჯამდება, თუ რამდენად აქვს წარსულში პოპულარულ მოსაზრებას თანამედროვე სამყაროში არსებობის უფლება.

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის ხაზგასმაც აუცილებელია, არის ის, რომ კლასიკური მოდელის თანახმად,

<sup>68</sup> Eisenhardt, K. Agency Theory: an assessment and a review. *Academy of Management Review*, 14.1. 1989. 57-74.

<sup>69</sup> Thomas, R.S. Explaining the International CEO Pay Gap: Board Capture or Market Driven? *Vanderbilt Law Review*, 57.4. 2004. 1171-1267.

<sup>70</sup> Helland, E. Sykuta, M. Regulation and the Evolution of Corporate Boards: Monitoring, Advising, or Window Dressing? *The Journal of Law and Economics*, 47. 2004. 167-193.

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები კომპანიის მიერ დასაქმებულ ადამიანებად არ აღიქმებოდნენ.<sup>71</sup> მოცემული მოსაზრების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა ან მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა, ნაცვლად შრომითი ხელშეკრულებისა, დავალების შესრულებად ან მის მსგავს კონცეფციად უნდა ჩათვლილიყო.<sup>72</sup> აღნიშნული ფაქტი კი, უმთავრესად, გამომდინარეობდა საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ქვაკუთხედისაგან, ე.წ. „წარმომადგენლის თეორიისაგან“,<sup>73</sup> რომელიც, წარსულში, შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულიც კი იყო.<sup>74</sup>

წარმომადგენლის თეორიის მიხედვით, დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ აღიქმება სამენარმეო საზოგადოების დასაქმებულად და მასზე ვერ გავრცელდება შრომის სამართალი, რადგან ის წარმოადგენს არა კომპანიის, არამედ მისი მესაკუთრეების ინტერესებს.<sup>75</sup> მისი დანიშნულება და ფუნქცია ბიზნესის წარმატება კი არ არის, მას მხოლოდ აქციონერთა ინტერესებსა და კეთილდღეობაზე ზრუნვა ევალება.<sup>76</sup> ამავდროულად, ის ვერც ამ პირების დასაქმებულად ვერ ჩაითვლება, რადგანაც, სწორად, მათ შორის საერთოდ არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა და დირექტორი (ან შესაბამისი კოლეგიალური სახელმძღვანელო ორგანოს წევრი) გარიგებას მხოლოდ კომპანიასთან დებს.<sup>77</sup>

<sup>71</sup> Thomas, R.S. Explaining the International CEO Pay Gap: Board Capture or Market Driven? *Vanderbilt Law Review*, 57.4. 2004. 1171-1267.

<sup>72</sup> Васильев, Ю.В. Парахина, В.Н. Ушвицкий, Л.И. Теория Управления, Издание Второе. Москва: Издательство Финансы и Статистика. 2005.

<sup>73</sup> ხიტირი, ბ. კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი. სამართლის ჟურნალი, 18.2. 2017. 159-197.

<sup>74</sup> Allen, F. Bernardo, A.E. Welch, I. A Theory of Dividends Based on Tax Clienteles. *The Journal of Finance*. 55.6. 2000. 2499-2536.

<sup>75</sup> Васильев, Ю.В. Парахина, В.Н. Ушвицкий, Л.И. Теория Управления, Издание Второе. Москва: Издательство Финансы и Статистика. 2005.

<sup>76</sup> ხიტირი, ბ. კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი. სამართლის ჟურნალი, 18.2. 2017. 159-197.

<sup>77</sup> Eisenhardt, K. Agency Theory: an assessment and a review. *Academy of Management Review*, 14.1. 1989. 57-74.

შრომის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ის, რომ დასაქმებული დამსაქმებელზე უნდა ზრუნავდეს და მის წინაშე იყოს პასუხისმგებელი<sup>78</sup>. შესაბამისად, ურთიერთობა, რომელიც აღნიშნულ პრინციპზე დაფუძნებული არ არის, ვერ ჩაითვლება სამართლის აღნიშნული სფეროს ნაწილად. სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით, წარმომადგენლის თეორიის მხარდამჭერები ასაბუთებდნენ, რომ შეუძლებელია, კომპანიის დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც, როგორც მათ მიაჩნდათ, კომპანიაზე კი არა, მის მესაკუთრეებზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული,<sup>79</sup> დასაქმებულ პირად ჩათვლილიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დღეს წარმომადგენლის თეორია აღარ არის ისეთი დომინანტი, როგორც ის წარსულში იყო.<sup>80</sup> ის კვლავ ლეგიტიმურ თეორიად ითვლება,<sup>81</sup> თუმცა ჰყავს არანაკლებ პოპულარული „კონკურენტები“, როგორცაა, მაგალითად მსახურის თეორია.<sup>82</sup> ეს უკანასკნელი არ იზიარებს ზემოთ განხილულ მოსაზრებას და დირექტორს (ისევე, როგორც სხვა ხელმძღვანელ პირებს) კომპანიის მსახურად მიიჩნევს,<sup>83</sup> რაც ნიშნავს, რომ მათ შორის შრომითი ურთიერთობის არსებობა არ ეწინააღმდეგება ასეთ მოდელს.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის განმარტებაც, რომ წარმომადგენლის თეორიის არსებობა არ უნდა იყოს ავტომატურად დირექ-

<sup>78</sup> Cavico, F.J. Mujtaba, M.G. Muffler, S. The Duty of Loyalty in the Employment Relationship: Legal Analysis and Recommendations for Employers and Workers. *Journal of Legal, Ethical and Regulatory Issues*, 21.3. 2018. 1-27.

<sup>79</sup> ხიტირი, ბ. კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი. *სამართლის ჟურნალი*, 18.2. 2017. 159-197.

<sup>80</sup> Tudose, M.B. Corporate Finance Theories. Challenges and Trajectories. *Management & Marketing Challenges for the Knowledge Society*, 7.2. 2012. 277-294.

<sup>81</sup> Стрекалова, А.А. Второе Поколение Фискального Федерализма. *Журнал Human Progress*, 2.3. 2016. 1-12.

<sup>82</sup> Davis, J.H. Schoorman, F.D. Donaldson, L. Toward a stewardship theory of management. *Academy of Management Review*, 22.1. 1997. 20-47.

<sup>83</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. *International Journal of Interdisciplinary Research and Innovations*, 3.1. 2015. 65-83.

ტორსა და კომპანიას შორის შრომითი ურთიერთობის გამორიცხვის გარანტია. მოცემული მოსაზრების მხარდამჭერები ასაბუთებენ, რომ შეუძლებელია, დასაქმებულად ჩაითვალოს ის, ვინც სხვის წინაშე პასუხისმგებელი, თუმცა, პრაქტიკაში, ეს ნაკლებად პრობლემურ ფაქტორად უნდა განიხილებოდეს.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მართალია, წარმომადგენლის თეორია ასაბუთებს, რომ დირექტორი ვერ იქნება კომპანიის დასაქმებულთან გაიგივებული, მაგრამ, ამავდროულად, ვერ ახერხებს იმის დამაჯერებლად ჩამოყალიბებას, თუ რა სახის ურთიერთობად უნდა იყოს იგი განხილული. დავალების შესრულება ან ნარდობა ვერ განიხილება შესაბამის ალტერნატივად, რადგანაც მათი შინაარსი არსებითად ეწინააღმდეგება სამენარმეო საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელი პირის ურთიერთობას. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.<sup>84</sup> ამასთან, შრომითი ურთიერთობა დინამიური ხასიათისაა, მაშინ, როდესაც ნარდობა სტატიკურ ჩარჩოებს გვთავაზობს.<sup>85</sup>

ნარდობის ხელშეკრულების არსებობისას, მენარდე დამოუკიდებელია და იგი არ არის ანგარიშვალდებული შემკვეთთან,<sup>86</sup> მაშინ, როდესაც შრომით ურთიერთობაში სახეზეა ქვემდებარეობა.<sup>87</sup> იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენლის თეორიის შემადგენელი ნაწილია იმაზე საუბარი, რომ დირექტორი ვალდებულია, გაატაროს აქციონერების ინტერესები და შეასრულოს მათი

<sup>84</sup> Moran, J.A. Independent Contractor or Employee? Misclassification of Workers and Its Effect on the State. Buffalo Public Interest Law Journal, 28.4. 2009. 105-132.

<sup>85</sup> ქარდავა, ე. შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. სამართლის ჟურნალი, 2.1. 2009. 210-229.

<sup>86</sup> გეგენავა, ა. ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015.

<sup>87</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. International Journal of Interdisciplinary Research and Innovations, 3.1. 2015. 65-83.

დავალბებები,<sup>88</sup> შეუძლებელია, ჩაითვალოს, რომ ასეთი ურთიერთობა უფრო ახლოსაა ნარდობასთან, ვიდრე დასაქმებასთან.

დამატებით, ალტერნატიულ ურთიერთობად ზოგიერთი მოდელი ასევე მიიჩნევს წარმომადგენლობას (რაც სახელიდანაც გამომდინარეობს).<sup>89</sup> თუმცა, მოცემული შესაძლებლობაც ვერ იქნება განხილული, როგორც შრომითი მოდელის ალტერნატივა. წარმომადგენლობა, თავის თავში, ძალიან ვიწრო შინაარსის ურთიერთობაა.<sup>90</sup> იგი მოიცავს რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის სახელით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას და არ შეიძლება, რწმუნებულს დიდი თავისუფლება ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს.<sup>91</sup> მისი შინაარსი ფუნდამენტურად შეუთავსებელია დირექტორსა და აქციონერებს შორის არსებულ დინამიკასთან, რომელიც დირექტორის მხრიდან ფართო დისკრეციას მოიცავს.<sup>92</sup> შესაბამისად, აღნიშნული ალტერნატივაც ვერ იქნება დამაჯერებლად განხილული.

ზემოთ მოცემულთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ისეთი შემთხვევები, როდესაც აქციონერებისა და მათი კომპანიის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, საკმაოდ იშვიათია.<sup>93</sup> ამიტომ, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ნაკლებად აქტუალური საკითხის გამო ადამიანთა მთელი რიგისათვის შრომითსამართლებრივი გარანტიების ჩამორთმევა არ არის გამართლებული.

<sup>88</sup> Van Slyke, D.M. Agents or Stewards: Using Theory to Understand the Government-Nonprofit Social Service Contracting Relationship. *Journal of Public Administration Research and Theory*, 17. 2006. 157-187.

<sup>89</sup> Jensen, M.C. Meckling, W.H. Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure. *Journal of Financial Economics*, 3. 1976. 305-360.

<sup>90</sup> Carlson, R.R. Employment by Design: Employees, Independent Contractors and the Theory of the Firm. *Arkansas Law Review*, 71.1. 2018. 127-214.

<sup>91</sup> Васильев, Ю.В. Парахина, В.Н. Ушвицкий, Л.И. Теория Управления, Издание Второе. Москва: Издательство Финансы и Статистика. 2005.

<sup>92</sup> Van Slyke, D.M. Agents or Stewards: Using Theory to Understand the Government-Nonprofit Social Service Contracting Relationship. *Journal of Public Administration Research and Theory*, 17. 2006. 157-187.

<sup>93</sup> Васильев, Ю.В. Парахина, В.Н. Ушвицкий, Л.И. Теория Управления, Издание Второе. Москва: Издательство Финансы и Статистика. 2005.

საბოლოოდ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შრომის სამართალი უშვებს შესაძლებლობას, ერთი და იგივე ადამიანი ერთზე მეტ დამსაქმებელთან მუშაობდეს.<sup>94</sup> ასეთ დამსაქმებლებს, ბუნებრივია, შეიძლება, ჰქონდეთ ერთმანეთის სანინაალმდეგო ინტერესები. ასეთ დროს, დასაქმებულს ფიდუციური ვალდებულებები წარმოეშობა და მას უნევს, არჩევანი გააკეთოს, თუ რომელი დამსაქმებლისთვის საჭირო ნაბიჯი უნდა გადადგას.<sup>95</sup> შედეგად, ერთ-ერთი დამსაქმებლის გადასახედიდან, ვიღებთ სიტუაციას, რომ მისი დასაქმებული სხვა პირის წინაშეა პასუხისმგებელი - რაც, წარმომადგენლის თეორიის მიხედვით, იდენტურია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელსა და ამავე კომპანიის მესაკუთრეებს შორის არსებული ურთიერთობისა. თუმცა, აკადემიურ ლიტერატურაში არსად გვხვდება მოსაზრება, რომ თუკი პირი ერთდროულად ორგან მუშაობს, ეს შრომით ურთიერთობად ვერ ჩაითვლება. ამიტომ, ლოგიკურია, რომ იმავე საფუძვლით არც სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელსა და ამავე კომპანიას შორის არსებული ურთიერთობა არ გამოირიცხოს შრომითი ურთიერთობების სიიდან.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა. არსებული რეგულაციით, კომპანიის დირექტორი დასაქმებულ პირთან შეიძლება, გაიგივდეს.<sup>96</sup> ამავდროულად, საზოგადოება, რომ ეს წესი აღარ მოქმედებს, თუკი იგი ამავდროულად კომპანიის ერთადერთი ან დომინანტი პარტნიორიცაა.<sup>97</sup> ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თუკი დირექტორად საზოგადოების მესა-

<sup>94</sup> Addeleye, I. The Impact of Outsourcing on Business Performance: Insights for Employers. *Human Resource Management Journal*, 3.1. 2011. 26-44.

<sup>95</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. *International Journal of Interdisciplinary Research and Innovations*, 3.1. 2015. 65-83.

<sup>96</sup> Waldfogel, J. Higuchi, Y. Abe. M. Family Leave Policies and Women's Retention After Childbirth: Evidence From the United States, Britain, and Japan. *Journal of Population Economics* 12. 1999. 523-45.

<sup>97</sup> Davis, S. Neathey, F. Regan, J. Willison, R. Pregnancy discrimination at work: a qualitative study. *Pregnant & productive Working Paper Series*, 23. 2005. 1-78.

კუთრეა დანიშნული, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ იგი, როგორც ბიზნესის მფლობელი, დამატებით ფუნქციებს იძენს, მაგრამ მისი პოზიცია გამომდინარეობს მესაკუთრეობის ფაქტიდან და, შესაბამისად, ის უფრო მენარმეა, ვიდრე დასაქმებული.<sup>98</sup>

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისათვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საინტერესო რეგულირებას ვხვდებით გერმანიაში, რომელიც ზემოთ განხილულისგან განსხვავებულ პოზიციას იზიარებს. დირექტორი ორმაგ სამართლებრივ ურთიერთობაშია საზოგადოებასთან. ერთი მხრივ, ის არის კომპანიის კანონიერი წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში. მეორე მხრივ, არსებობს მავალდებულებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა (*Anstellungsverhältnis*), რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს დირექტორის მიერ ვალდებულებების შესრულებისა. ამასთან აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობას დირექტორსა და საზოგადოებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები დირექტორისა და კომპანიის ურთიერთობებს არეგულირებს, ისინი მაინც მკაცრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან.<sup>99</sup> ვალდებულებით სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა დირექტორსა და კომპანიას შორის ვინაშე გაგებით წარმოადგენს მომსახურების ხელშეკრულებას და არა შრომითსამართლებრივ ურთიერთობას შემდეგი გარემოებების გამო:

დირექტორი, როგორც საწარმოს კანონიერ წარმომადგენელი, სხვა დასაქმებულებისგან განხვავებით დამსაქმებლის ფუნქციასაც ასრულებს. ამასთან, ის საწარმოს წარმომადგენელია მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც საწარმოს ქმედუნარიანობას განსაზღვრავს. ეს მოცემულობა გამორიცხავს სავალდებულო მითითებებზე დამოკიდებულებას, რაც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მეორე

<sup>98</sup> Epifanio, M. Troeger, V.E. Bargaining over maternity pay: evidence from UK universities. *Journal of Public Policy*, 40.3. 2020. 349-374.

<sup>99</sup> BAG: Ordentliche Kündigung des Geschäftsführers \_ ruhendes Arbeitsverhältnis neben Geschäftsführerdienstvertrag? NZA. 2008. 168-169.

მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დირექტორებიც განვიხილოთ დასაქმებულებად, როდესაც ისინი აქციონერთა კრების მითითებებზე არიან დამოკიდებული.<sup>100</sup> მინიმუმ იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორატია სახეზე, ფუნქციების განაწილება დამოკიდებულია აქციონერთა კრების მითითებებზე და შესაბამისად, შესაძლოა ვიმსჯელოთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობაზე. თუმცა, ასეთი ძლიერი დამოკიდებულება მითითებებზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია სახეზე. როგორც წესი, გერმანული კანონმდებლობით, დირექტორს არ აქვს დასაქმებულის სტატუსი.<sup>101</sup>

გარდა ზემოთ განხილული წარმომადგენლის თეორიით განპირობებული პოზიციისა, გერმანული აკადემიური ლიტერატურა ამ ერთი შეხედვით მოძველებული მოსაზრებას ორი მნიშვნელოვანი არგუმენტით ასაბუთებს. პირველი არის ის, რომ კანონმდებლობის თანახმად, ყოველთვის არის შესაძლებელი დირექტორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება არსებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის შეუზღუდავად.<sup>102</sup> დანიშვნა ხდება კომპანიის წესდების შესაბამისად, რაც არ წარმოშობს მათ შორის ვალდებულებითსამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობას.<sup>103</sup> ეს მოსაზრება არაერთ აკადემიურ ნაშრომში, გერმანიის გარეთ, არ არის გაზიარებული<sup>104</sup> და, პირიქით, იმის საბაბადაც კი მოიხსენიება, რომ საჭიროა, დირექტორთა უფლე-

<sup>100</sup> BAG: Arbeitnehmereigenschaft einer stellvertretenden GmbH-Geschäftsführerin, NZA 1999, 987,988, 989.

<sup>101</sup> Markus Kelber/Manzur Esskandari/Antje Groß, Geschäftsführer, Grobys/Panzer-Heemeier, StichwortKommentar Arbeitsrecht, 3. Auflage, Edition 16 2021, 1-160, 5.

<sup>102</sup> Carlson, R.R. Employment by Design: Employees, Independent Contractors and the Theory of the Firm. Arkansas Law Review, 71.1. 2018. 127-214.

<sup>103</sup> Kelber, M. Esskandari, M. Gross, A. Grobys/Panzer-Heemeier, StichwortKommentar Arbeitsrecht 3. Auflage, Edition 16. 2021. 1-160.

<sup>104</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. International Journal of Interdisciplinary Research and Innovations, 3.1. 2015. 65-83.



ბები მეტად იყოს დაცული.<sup>105</sup> ის ფაქტი, რომ ადამიანის უმოზეზოდ გათავისუფლება ყოველთვის შესაძლებელია, არ უშლის ხელს, მაგალითად, აშშ-ში არსებული At-Will Employment-ის დოქტრინას, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ დასაქმებულის განთავისუფლება უმიზეზოდაც შეიძლება, კანონიერი იყოს<sup>106</sup> (და რომელიც აშშ-ის 49 შტატში დომინანტია<sup>107</sup>). ამიტომ, მოცემული დასაბუთება არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად იმისათვის, რომ დირექტორი არ გაიგივდეს დასაქმებულთან.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან არგუმენტს, რომლითაც ხდება დირექტორის შრომითი ურთიერთობიდან გამორიცხვა, არის იდეა, რომ დირექტორი არის „ხელმძღვანელი“ და ის არავისთან სუბორდინაციაში არაა. ამიტომ შეუძლებელია, ის დასაქმებულად ჩაითვალოს.<sup>108</sup> ასეთი პოზიცია, მიუხედავად გარკვეული ლოგიკის არსებობისა, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართალს და მის პრინციპებს. დირექტორი არასდროს არ შეიძლება, კომპანიის „მთავარ“ ხელმძღვანელად ჩაითვალოს, რადგანაც ის დაქირავებული პირია, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება ან, მისი არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო.<sup>109</sup> ის, რომ დირექტორის ზემდგომი პირი კოლეგიალური ორგანოა, გავლენას არ უნდა ახდენდეს იმ მარტივი ფაქტის აღქმაზე, რომ მას ნამდვილად ჰყავს „ხელმძღვანელობა“, რომლის დავალებებსაც იგი ასრულებს.<sup>110</sup> დი-

<sup>105</sup> Roscigno, V.J. Discrimination, Sexual Harassment, and the Impact of Workplace Power. *Socius: Sociological Research for a Dynamic World*, 5. 2019. 1-21.

<sup>106</sup> Ewoh, A.I.E. Tejuoso, O. An Exploratory Analysis of At-Will Employment Policy in the State of Georgia. *Annals of Management Science*, 2.1. 2013. 109-128.

<sup>107</sup> Stone, K.V. Revisiting the At-Will Employment Doctrine: Imposed Terms, Implied Terms, and the Normative World of the Workplace. *Industrial Law Journal*, 36.1. 2007. 1-22.

<sup>108</sup> Kelber, M. Esskndari, M. Gross, A. Grobys/Panzer-Heemeier, *StichwortKommentar Arbeitsrecht* 3. Auflage, Edition 16. 2021. 1-160.

<sup>109</sup> Lacave, M.I.S. Riano, D. Corporate Governance and the Shareholders' Meeting: Voting and Litigation. *European Business Organization Law Review*, 14.3. 2013. 343-399.

<sup>110</sup> Deakin, S. Hobbs, R. Konzelmann, S. Wilkinson, F. Partnership, Ownership and Control: The Impact of Corporate Governance on Employment Relations. *Employee Relations*

რექტორი სწორედ საერთო კრების, ანუ კომპანიის მესაკუთრეთა მოთხოვნებისა და სურვილების შესაბამისად მართავს საზოგადოებას და მართალია, მისი ყოველდღიური გავლენა უფრო შესამჩნევია საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ საერთო კრებას ნებისმიერი მომენტში შეუძლია, ჩაერიოს მის ყველა ქმედებაში და, თუკი მოისურვებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იგი სამსახურიდან.<sup>111</sup> ამიტომ, აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული. დირექტორი არ არის „დამსაქმებელი“, რადგანაც იგი ექვემდებარება სხვას და სწორედ მის მიერ დასაქმებულად უნდა იქნეს განხილული.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში გავრცელებული მოსაზრება სულ უფრო და უფრო ხშირად გვევლინება უმცირესობაში არსებულ პოზიციადა. ტენდენცია მიმართულია იმისაკენ, რომ დირექტორი, შეძლებისდაგვარად, გაიგივდეს დასაქმებულ პირთან<sup>112</sup> და ამას იზიარებს არა მარტო კანონმდებელი, არამედ სასამართლო პრაქტიკაც. განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, რომელმაც 2015 წელს განიხილა დავა და გააკეთა დაშვება, რომ კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი ნამდვილად შეიძლებოდა დასაქმებულ პირად ჩათვლილიყო და მას მისცემოდა უფლება, მიემართა სასამართლო-სათვის, როგორც შრომითი ურთიერთობის მონაწილე პირს.<sup>113</sup>

ზემოთ მოცემულის შესაბამისად, შეიძლება საუბარი იმაზე, რომ წარსულში არსებული მტკიცება, რომ კომპანიის ხელმძღვანელები ვერ ჩაითვლებოდნენ დასაქმებულ პირებად, დღეს სულ უფრო ხშირად დგება ეჭვქვეშ. მიუხედავად საკორპორაციო სამართალში არსებული თეორიებისა, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული დინამიკა ყველაზე მეტად კავშირშია დირექ-

Journal, 24.3. 2001. 1-50.

<sup>111</sup> Moir, L. What Do We Mean by Corporate Social Responsibility? The International Journal of Business in Society, 1.2. 2001. 16-22.

<sup>112</sup> Carlson, R.R. Employment by Design: Employees, Independent Contractors and the Theory of the Firm. Arkansas Law Review, 71.1. 2018. 127-214.

<sup>113</sup> Decision delivered on 10 September 2015 for the Case C-47/14 (Holterman Ferho Exploitatie BV, Ferho Bewehrungsstahl GmbH, Ferho Veichta GmbH, Ferho Frankfurt GmbH v. Friedrich Leopold Freiherr Spies von Büllenheim), CJEU. 1-80.

ტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობასთან. შესაბამისად, კრიტიკული ანალიზის კონცენტრირება უნდა მოხდეს არა ასეთი ურთიერთობის არსებობის უარყოფაზე, არამედ მისი გავრცელების ფარგლების დადგენაზე.

## 5. შრომითსამართლებრივი გარანტიები სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელისათვის

აკადემიურ ლიტერატურაში გამოთქმული იმ მოსაზრების, რომ შრომითსამართლებრივი გარანტიები არ უნდა მიეცეს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელს, წინა თავში უკვე განხილული საფუძვლის გარდა, ამის დასაბუთება ხდება ხელმძღვანელის პოზიციისა და შრომითი გარანტიების შეუთავსებლობით.<sup>114</sup> დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოთა წევრებზე ასეთი გარანტიების გავრცელების საწინააღმდეგო არგუმენტად მოყვანილია ის, რომ კომპანიის ხელმძღვანელისათვის მათი მიცემა გაუმართლებელი ტვირთი იქნება<sup>115</sup> და სამენარმეო საზოგადოებას ზედმეტად დააზარალებს.<sup>116</sup> შესაბამისად, იმის გასაანალიზებლად, თუ რა საფრთხე ემუქრება დამსაქმებელს, სასურველია, მოხდეს ასეთი გარანტიების გამოკვეთა და ცალ-ცალკე განხილვა.

პირველ რიგში, საზგასასმელია, რომ გარანტიათა ნაწილი, რომლებიც დასაქმებულის სტატუსთან ასოცირდება, კომპანიის ხელმძღვანელებს, როგორც წესი, მიეცემათ და ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. მაგალითად, დაგროვებითი პენსია,<sup>117</sup>

<sup>114</sup> Roque, A. Moreira, J.M. Figueiredo, J.D. Albuquerque, R. Goncalves, H. Ethics beyond leadership: can ethics survive bad leadership? *Journal of Global Responsibility*, 11.3. 2020. 275-294.

<sup>115</sup> Elson, C.M. Director Compensation and the Management Captured Board - The History of a Symptom and a Cure. *SMU Law Review*, 50.1. 1997. 127-174.

<sup>116</sup> Dahl, M.S. Dezso, C.L. Ross, D.G. Fatherhood and Managerial Style: How a Male CEO's Children Affect the Wages of His Employees. *Administrative Science Quarterly*, 20.10. 2012. 1-25.

<sup>117</sup> Comprix, J. Muller, K.A. Asymmetric Treatment of Reported Pension Expense and

სამედიცინო დაზღვევა<sup>118</sup> ან სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც საზოგადოებას თანამშრომლების მიმართ წარმოეშობა, პრაქტიკაში დირექტორებისთვის და კოლეგიალური ორგანოების წევრებისთვისაც გაიცემა.<sup>119</sup> ასეთი „ბენეფიტების“ მოცულობა, რა თქმა უნდა, ცვალებადია და ინდივიდუალურ შემთხვევებზეა დამოკიდებული, თუმცა პრინციპის დონეზე მათი გამორიცხვის მოთხოვნა აკადემიურ ლიტერატურაში არ გვხვდება.

მსგავსი მდგომარეობაა სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობით, მართალია, დაშვებულია, რომ დირექტორის ან კოლეგიალური ორგანოს წევრის ხელფასი სხვა დასაქმებული პირებისაგან განსხვავებული ფორმატით იყოს დაწესებული, თუმცა, თუკი დირექტორი ამავდროულად კომპანიის აქციონერი არ არის, მას ნამდვილად აქვს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება,<sup>120</sup> რითიც მისი მდგომარეობა არსებითად დასაქმებული პირის იდენტურია.

კიდევ ერთი გარანტია, რომელიც დასაქმებულს გააჩნია შრომის სამართალში, არის ის, რომ შესაბამისი საფუძვლის არარსებობის გარეშე დაუშვებელია მისი დაკავებული პოზიციიდან განთავისუფლება.<sup>121</sup> აღნიშნული საკითხი, მისი დიდი მნიშვნელობიდან და განსახილველი შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ამიტომ მისი განხილვა ქვემოთ, ცალკე თავში მოხდება.

შედეგად, შეიძლება დასაქმებულის იმ გარანტიების, რომლების სამენარმეო საზოგადოების დირექტორისთვის მიცემის საკითხიც

---

Income in Amounts in CEO Cash Compensation Calculations. *Journal of Accounting and Economics*, 42.3. 2006. 385-416.

<sup>118</sup> Elson, C.M. Director Compensation and the Management Captured Board - The History of a Symptom and a Cure. *SMU Law Review*, 50.1. 1997. 127-174.

<sup>119</sup> Ferrarini, G. Ungureanu, M.C. Executive pay at ailing banks and beyond: a European perspective. *Capital Markets Law Journal*, 5.2. 2010. 197-2017.

<sup>120</sup> Kelber, M. Esskndari, M. Gross, A. Grobys/Panzer-Heemeier, *StichwortKommentar Arbeitsrecht* 3. Auflage, Edition 16. 2021, 1-160, 57-62.

<sup>121</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. მუხლი 48.

სადავო თემას წარმოადგენს და წინამდებარე თავში იქნება განხილული, შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

დისკრიმინაციის აკრძალვა - ისევე, როგორც ბევრ სხვა ურთიერთობაში, სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის მიმართ დისკრიმინაცია დაუშვებელია;

შვებულება - რაც მოიცავს როგორც ანაზღაურებად და არაანაზღაურებად, ასევე დეკრეტულ და სხვა სახის შვებულებებს;

სამუშაო დროის ხანგრძლივობა - კომპანიათა დირექტორებს და კოლეგიალური ორგანოების წევრებს ზოგჯერ განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოს მჭიდრო დროში შესრულება უნევთ, რაც შეიძლება, შრომის კანონმდებლობასთან კონფლიქტში მოვიდეს.

სწორედ ზემოთ მოცემული გარანტიების განხილვის საფუძველზე შეიძლება, იმის გაანალიზება, რამდენად შესაძლებელია, მათი კომპანიის ხელმძღვანელისათვის მინიჭება ისე, რომ საზოგადოება გაუმართლებლად არ დაზარალდეს.

## 5.1. დისკრიმინაციის აკრძალვა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად,<sup>122</sup> დისკრიმინაცია დღემდე რჩება შრომის ბაზარზე არსებულ აქტუალურ პრობლემად, როგორც საქართველოში,<sup>123</sup> ისე საერთაშორისო პრაქტიკაში.<sup>124</sup> დისკრიმინაციის გავლენა მსოფლიოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე,<sup>125</sup> ისევე, რო-

---

<sup>122</sup> Mishra, B. Mishra, J. Discrimination in the Workplace, *Journal of Higher Education Theory and Practice*, 15.4. 2015. 64-72.

<sup>123</sup> სტურუა, ნ. შრომითი ხელშეკრულების მოშლა. სამართლის ჟურნალი, 13.1. 2015. 226-246.

<sup>124</sup> Elei, G.C.U. Effects of Workplace Discrimination on Employee Performance. *Texila International Journal of Management*, 2.2. 2016. 1-7.

<sup>125</sup> Lang, K. Spitzer, A. Race Discrimination: An Economic Perspective. *The Journal of Economic Perspectives*, 34.2. 2020. 68-89.

გორც ადამიანის ძირითად უფლებებზე,<sup>126</sup> დიდია. შედეგად, აღნიშნული საკითხი ხშირად გვევლინება აკადემიური ნაშრომების საგნად.<sup>127</sup>

ამავდროულად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კვლევები ხშირად კონცენტრირდება ამა თუ იმ კონკრეტული სახის დისკრიმინაციაზე და მის წინაღმდეგ ბრძოლაზე,<sup>128</sup> თუმცა ნაკლებად კეთდება აქცენტი იმაზე, თუ ვის „ეკუთვნის“ დისკრიმინაციისაგან დაცვა შრომითსამართლებრივ კონტექსტში.<sup>129</sup> სწორედ ამ კონტექსტშია მნიშვნელოვანი იმის განმარტება, ხვდება თუ არა მოცემული გარანტიის დაფარვის სფეროში სამეწარმეო საზოგადოებათა ხელმძღვანელი პირების შრომითი უფლებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2-10 წელს მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ადვოკატ-გენერალმა. განსახილველი საქმე ეხებოდა კერძო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრს, რომელიც დაკავებული პოზიციიდან იქნა გათავისუფლებული მას შემდეგ, რაც ის დაფემიძიდა და დასჭირდა დეკრეტული შვებულება. ადვოკატ-გენერალმა იმსჯელა, რომ მართალია, დირექტორთა საბჭოს წევრი კლასიკური გაგებით დასაქმებულ პირთან ყოველთვის არ იგივდება, მაგრამ მას ნამდვილად უნდა გააჩნდეს დისკრიმინაციისაგან დაცვის გარანტია. მოსაზრებაში გამოკვეთილი იქნა ის, რომ ადამიანი, რომელიც დირექტორთა საბჭოს წევრია, მინიმალური შრომითი გარანტიების თვალსაზრისით, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს დასაქმებულად, რადგანაც ის შედის კომპანიის სტრუქტურაში, ასრულებს ზემდგომი სტრუქტურული ელემენტების დავალებებს და შეიძლება, იყოს გათავისუფლებული. ამიტომ, ხაზგასმულ იქნა, რომ მართალია, დირექტორთა საბჭოს წევრის გათავისუფლება შეიძლება

<sup>126</sup> Banerjee, M. Gender Equality and Labour Force Participation: Mind the Gap. *Indian Journal of Women and Social Change*, 4.1. 2019. 113-123.

<sup>127</sup> Lang, K. Spitzer, A. Race Discrimination: An Economic Perspective. *The Journal of Economic Perspectives*, 34.2. 2020. 68-89.

<sup>128</sup> Mishra, B. Mishra, J. Discrimination in the Workplace, *Journal of Higher Education Theory and Practice*, 15.4. 2015. 64-72.

<sup>129</sup> Roscigno, V.J. Discrimination, Sexual Harassment, and the Impact of Workplace Power. *Socius: Sociological Research for a Dynamic World*, 5. 2019. 1-21.

ისეთი მარტივი საბაბით, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოების საერთო კრების მიერ მის მიმართ ნდობის დაკარგვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისაღებია იგივე ნაბიჯის დისკრიმინაციული საბაბით გადადგმა. ამიტომ, ადვოკატ-გენერალმა დირექტორთა საბჭოს წევრის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება შრომის სამართლის დარღვევად მიიჩნია.<sup>130</sup>

ამავდროულად, აღნიშნული საკითხი საერთაშორისო პრაქტიკაში სრულებით არ არის ერთგვაროვნულად მონესრიგებული. მაგალითად, კანადაში, ბრიტანული კოლუმბიის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალმა (რომელიც მოცემული ტერიტორიული დანაყოფის უზენაესი სასამართლოს ექვივალენტ ორგანოდ გვევლინება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში) იმსჯელა, რომ კომპანიის დირექტორი, რომელსაც ახალი ვადით არჩევაზე უარი უთხრეს იმიტომ, რომ იგი 71 წლისა იყო, ვერ მოითხოვდა კომპენსაციას ასაკობრივი დისკრიმინაციის ფაქტიდან გამომდინარე, რადგანაც ის, როგორც დირექტორი, საზოგადოების მიერ დასაქმებულ პირად ვერ ჩაითვლებოდა.<sup>131</sup> მსგავსი პოზიცია კანადაში გაბატონებულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც არსებითად იდენტური შინაარსის და დასაბუთების მქონე გადანყვეტილებები იქნა მიღებული როგორც კანადის უზენაესი სასამართლოს,<sup>132</sup> ისე ონტარიოს პროვინციის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალის მიერ.<sup>133</sup>

საინტერესო მიდგომა გვხვდება მსგავს შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკაში. 2020 წლის მაისში მიღებული გადანყვეტილებით, დიდი ბრიტანეთის შრომითმა ტრიბუნალმა (რომელიც უზენაესი ფორუმა ინგლისსა და უელსში არსებული შრომითი დავების განსახილველად) განიხილა საქმე, რომელშიც

<sup>130</sup> Opinion of the Advocate-General, delivered on 2 September 2010, for the Case C-232/09 (Dita Danosa v. LKB Lizings SIA), CJEU. 1-18.

<sup>131</sup> Decision delivered on 24 January, 2017 for the Case of Peterson v. The Mutual Fire Insurance Company of BC, British Columbia Human Rights Tribunal. 1-33.

<sup>132</sup> Decision delivered on 15 December, 2017, for the Case 2017 SCC 62 (British Columbia Human Rights Tribunal v. Schrenk), The Supreme Court of Canada. 1-60.

<sup>133</sup> Decision delivered on 04 October, 2014, for the Case 2013-13644-I (Wing v. Niagara Falls Hydro Holding Corporation), The Human Rights Tribunal of Ontario. 1-72.

სამენარმეო საზოგადოების დირექტორი, რომელიც, ამავდროულად, ამავე კომპანიის მფლობელის ყოფილი მეუღლე იყო, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. ტრიბუნალმა იმსჯელა, რომ მართალია, მოსარჩელე კლასიკური გაგებით დასაქმებული შეიძლებოდა, არც ყოფილიყო, მაგრამ ის აშკარად დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, რაც ფაქტებითაც დასტურდებოდა, რის გათვალისწინებითაც რეაგირება აუცილებელი იყო. ამიტომ, ტრიბუნალმა, მოცემულ შემთხვევაში, დირექტორი გააიგივა დასაქმებულ პირთან და დააკმაყოფილა სარჩელი.<sup>134</sup>

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა სახის მიდგომების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ სახეზეა სხვადასხვა პრიორიტეტებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები. როგორც ევროკავშირის, ისე გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი ორგანოები მსჯელობენ, რომ როდესაც სახეზეა დისკრიმინაცია, საჭიროა რეაგირება. ამავდროულად, კანადის სასამართლოები პირდაპირ აღიარებენ, რომ დისკრიმინაცია და უსამართლობა ნამდვილად ხდება მათ მიერ განხილულ დავებში, თუმცა, რადგანაც დირექტორისა და დასაქმებული გაიგივება არ მიაჩნიათ სასურველად, მზად არიან, უსამართლობა გამოუსწორებლად დატოვონ და მიიღონ მოსარჩელის სანინალმდეგო გადაწყვეტილება. წინამდებარე ნაშრომში ვერ იქნება ეს უკანასკნელი პოზიცია გაზიარებული. როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლოს ფუნქცია სამართლიანობის უზრუნველყოფაა.<sup>135</sup> ამიტომ, აშკარა უსამართლობის დაშვება მხოლოდ იმიტომ, რომ სადავოდ მიაჩნიათ, რამდენად შეიძლება, დირექტორი დასაქმებულად ჩაითვალოს, ვერ იქნება სწორი. მეტიც, ზემოთ განხილული არგუმენტი, რომ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი არ უნდა იყოს შრომითი ურთიერთობის მონაწილედ აღქმული, საკმაოდ სუსტია და

<sup>134</sup> Decision delivered on 26 May, 2020, for the Case 3333809/2018 (Bacon v. Advanced Fire Solutions Ltd), The Employment Tribunals. 1-82.

<sup>135</sup> Sharma, S.D. Democracy, Good Governance, and Economic Development. Taiwan Journal of Democracy, 3.1. 2007. 29-62.



მეტწილად მოძველებულ თეორიებს ეფუძნება.<sup>136</sup> ამიტომ, მხოლოდ ასეთი საბაზით დისკრიმინაციის დაშვება და მასზე რეაგირების არარსებობა, არ უნდა ჩაითვალოს იმ მიმართულებად, რომლითაც უნდა მოხდეს საკანონმდებლო მონესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარება.

შედეგად, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შეჯამება შეიძლება შემდეგნაირად: ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, დაცული უნდა იყოს თუ არა კომერციული საზოგადოების ხელმძღვანელი პირი შრომითი დისკრიმინაციისაგან, არ არსებობს. ამავდროულად, აღნიშნულ საკითხზე დადებითი პოზიცია შესამჩნევად უკეთ არის დასაბუთებული და, მისი ალტერნატივისაგან განსხვავებით, სამართლიან შედეგამდე მივყავართ. შესაბამისად, სწორედ ეს პოზიცია უნდა იყოს გაზიარებული და კომპანიის ხელმძღვანელებს მიეცეთ შრომითი სამართლით გათვალისწინებული გარანტიები დისკრიმინაციისაგან დაცვის თვალსაზრისით.

## 5.2. შვებულება

შვებულებით სარგებლობის უფლება შრომის სამართლით დასაქმებულისათვის მინიჭებული ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა.<sup>137</sup> იგი მოიცავს როგორც ანაზღაურებად, ისე არანაზღაურებად შვებულებას, ასევე „ჩვეულებრივ“ შვებულებასა და ე.წ. „დეკრეტულ“ (ფეხმძიმობასთან და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ) შვებულებას.<sup>138</sup> დამატებით, ზოგჯერ ხდება შვებულების ნაირსახეობად განხილვა იმ დღეებისა, რომლების განმავლობაშიც დასაქმებული მუშაობას ვერ ახერხებს ჯანმრთელობის გაუარესების ან/და საჭირო მკურნალობის გამო.<sup>139</sup>

<sup>136</sup> Allen, F. Bernardo, A.E. Welch, I. A Theory of Dividends Based on Tax Clienteles. The Journal of Finance. 55.6. 2000. 2499-2536.

<sup>137</sup> ქარდავა, ე. შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. სამართლის ჟურნალი, 2.1. 2009. 210-229.

<sup>138</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. თავები VI-VII.

<sup>139</sup> Pichler, S. Ziebarth, N.R. Labor Market Effects of U.S. Sick Pay Mandates. Journal of

შვებულებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა ზემოთ უკვე ნახსენები მოსაზრება, რომელიც 2010 წელს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ადვოკატ-გენერალმა გააკეთა. მან ხაზი გაუსვა, რომ დირექტორისათვის დეკრეტულ შვებულებაზე უარის თქმა გენდერული დისკრიმინაციის ნაირსახეობად შეიძლება იქნეს აღქმული.<sup>140</sup> შესაბამისად, ევროკავშირის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აშკარაა - დაუშვებელია, რომ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელს შვებულებაზე უარი ეთქვას და ამ თვალსაზრისით, ის იგივედება ჩვეულებრივ დასაქმებულ პირებთან.

მსგავსი მიდგომა არსებობს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოშიც. არსებული რეგულაციით, აღნიშნულ იურისდიქციაშიც ყველა ქალს ეკუთვნის დეკრეტული შვებულება, და ეს მოიცავს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებსაც.<sup>141</sup> თუმცა, დაზუსტებულია, რომ თუკი ადამიანი ამავდროულად კომპანიის ერთადერთი მესაკუთრეცაა, მაშინ მას შვებულების აღება, როგორც დასაქმებულს, არ შეუძლია.<sup>142</sup> მსგავსი წესი გვხვდება სხვა სახის შვებულებებთან დაკავშირებითაც და ჯანმრთელობის გაუარესების გამო საჭირო შვებულებასთან მიმართებაშიც.<sup>143</sup> შესაბამისად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში რელევანტურად არ უნდა ჩაითვალოს, ბრიტანეთის კანონმდებლობაში დირექტორისათვის შვებულების უფლება განსაკუთრებულია.

---

Human Resources, 55.2. 2020. 611-659.

<sup>140</sup> Opinion of the Advocate-General, delivered on 2 September 2010, for the Case C-232/09 (Dita Danosa v. LKB Lízings SIA), CJEU. 1-18.

<sup>141</sup> Waldfogel, J. Higuchi, Y. Abe. M. Family Leave Policies and Women's Retention After Childbirth: Evidence From the United States, Britain, and Japan. *Journal of Population Economics* 12. 1999. 523-45.

<sup>142</sup> Epifanio, M. Troeger, V.E. Bargaining over maternity pay: evidence from UK universities. *Journal of Public Policy*, 40.3. 2020. 349-374.

<sup>143</sup> Davis, S. Neathey, F. Regan, J. Willison, R. Pregnancy discrimination at work: a qualitative study. *Pregnant & productive Working Paper Series*, 23. 2005. 1-78.

მსგავსი რეგულაცია გვხვდება ასევე საფრანგეთშიც, რომლის კანონმდებლობაშიც განსაზღვრულია, რომ ყველა ადამიანს აქვს შვებულების უფლება.<sup>144</sup> აღნიშნული გარანტირებული უფლება უზრუნველყოფილია კორპორაციათა ხელმძღვანელებისთვისაც, რადგანაც, როგორც ეს აკადემიურ ლიტერატურაშია დასაბუთებული, ყველას აქვს უფლება, დაისვენოს პროფესიული საქმიანობისაგან.<sup>145</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ნესი ვრცელდება დეკრეტულ შვებულებაზეც და ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის საჭირო დასვენების დღეებზეც.<sup>146</sup>

მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავებულია გერმანიის შემთხვევაში. ქვეყანაში გაბატონებული მოსაზრებით, შვებულება-სთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებზე არც პირდაპირ და არც ანალოგიით არ უნდა ვრცელდებოდეს.<sup>147</sup> ამასთან თუ შვებულების შესახებ მომსახურების ხელშეკრულებაში არ არის შეთანხმება, ეს უფლება უნდა გამომდინარეობდეს ერთგულებისა და ზრუნვის ვალდებულებისგან. თუმცა, ევროკავშირის სასამართლოს ზემოთ განხილული მოსაზრების შედეგად, აღნიშნული პრაქტიკა ცვლილებას იწყებს და სამართლებრივი კონსენსუსი არის ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია, შვებულებასთან დაკავშირებით შრომის კანონმდებლობა გამოყენებული იყოს დირექტორთა მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ დირექტორებს განვიხილავთ ევროკავშირის სამართლის ცნების შესაბამისად.<sup>148</sup> ამასთან, ზემოაღნიშ-

<sup>144</sup> Rossin-Slater, M. Maternity and Family Leave Policy. NBER Working Paper Series, 23069. 2017. 1-29.

<sup>145</sup> Dagher, R.K. McGovern, P.M. Dowd, B.E. Maternity Leave Duration and Postpartum Mental and Physical Health: Implications for Leave Policies. Journal of Health Politics Policy and Law, 39.2. 2014. 368-416.

<sup>146</sup> Rossin-Slater, M. Maternity and Family Leave Policy. NBER Working Paper Series, 23069. 2017. 1-29.

<sup>147</sup> Boemke: Aktuelles zum GmbH-Geschäftsführer aus arbeitsrechtlicher Sicht, RdA 2018, 1, 10.

<sup>148</sup> Kelber, M. Esskndari, M. Gross, A. Grobys/Panzer-Heemeier, StichwortKommentar Arbeitsrecht 3. Auflage, Edition 16. 2021. 64-65.

ნული გადანყვეტილების შედეგად, ცვლილება შევიდა შესაბამის კანონმდებლობაში (Gesetz zum Schutz von Müttern bei der Arbeit, in der Ausbildung und im Studium) და კანონში არსებული გარანტიები დეკრეტულ შვებულებასთან და რიგ შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, გავრცელდა დირექტორებზე, ევროკავშირის სამართლის ცნების შესაბამისად.<sup>149</sup>

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება შეჯამება, რომ შვებულების უფლება საერთაშორისო პრაქტიკით გარანტირებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირებისათვის. შვებულება აუცილებელია იმისათვის, რათა ადამიანმა ეფექტურად მუშაობა შეძლოს გრძელვადიან პერსპექტივებში და, ბუნებრივია, ეს დირექტორზეც ვრცელდება. შესაბამისად, აღნიშნული გარანტიის ხელმძღვანელთათვის უზრუნველყოფა დადებით ტენდენციად უნდა იქნეს განხილული.

### 5.3. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

შრომის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, დაიცვას დასაქმებულები, რათა არ მოხდეს მათი ექსპლუატაცია. ასეთი ექსპლუატაციის ნაირსახეობად კი გვევლინება მოთხოვნა, რომ დასაქმებულები არ იყონ იძულებულნი, იმუშავონ ზედმეტად დიდი დროის განმავლობაში.<sup>150</sup> წარსულში, როდესაც ასეთი რეგულაციები არ არსებობდა, რუტინულად ხდებოდა დასაქმებულთა იძულება, კვირაში ასი საათი და მეტიც კი ემუშავათ, რასაც უალრესად ნეგატიური შედეგი ჰქონდა მათი როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით.<sup>151</sup> ამიტომ, საერთა-

<sup>149</sup> Boemke: Aktuelles zum GmbH-Geschäftsführer aus arbeitsrechtlicher Sicht, RdA 2018, 1, 19.

<sup>150</sup> მაზანაშვილი მ. ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურების ან/და სანაცვლო კომპენსაციის ვალდებულება, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული III, რედაქტორი: ჩაჩავა, ს. ზაალიშვილი, ვ. 2014. 342-392.

<sup>151</sup> Humphries, J. Child Labor: Lessons from the Historical Experience of Today's Industrial Economies. The World Bank Economic Review, 17.2. 2003. 175-196.

შორისო პრაქტიკაში, ხდება დანერგვა იმისა, რომ მოხდეს სამუშაო საათების რაოდენობის შეზღუდვა,<sup>152</sup> მაშინ კი, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო საჭირო ხდება სტანდარტულზე მეტი დროით მუშაობა, სავალდებულო ხდება ასეთი ზეგანაკვეთური სამუშაო პერიოდის ჩვეულებრივზე მეტი ოდენობით ანაზღაურება.<sup>153</sup>

საფრანგეთის კანონმდებლობა განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდება სამუშაო საათებისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების საკითხს.<sup>154</sup> ხაზგასმულია, რომ ყველა პირს, რომელიც დასაქმებულად შეიძლება, აღიქმებოდეს (და, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ეს კომპანიათა დირექტორებზეც ვრცელდება) ეკუთვნით იმის გარანტია, რომ იმუშაონ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით, რომელიც საშუალოდ კვირაში 35 საათს არ უნდა აღემატებოდეს, და თუკი აუცილებელია ზეგანაკვეთური სამუშაოს განევა, ის უნდა ანაზღაურდებოდეს.<sup>155</sup>

საფრანგეთის მსგავსი რეგულაცია გვხვდება ესპანეთშიც. ესპანური კანონმდებლობაც მკაცრად განსაზღვრავს, რომ ყველა პირს, ვინც დასაქმებულია ან „შრომით იერარქიაში“ იმყოფება, უნდა ჰქონდეს პროგნოზირებადი სამუშაო გრაფიკი, ხოლო ზეგანაკვეთური მუშაობის შემთხვევაში, მან უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. „შრომითი იერარქიის“ მონაწილე განმარტებულია, როგორც პირი, რომელსაც აქვს განგრძობითი სახელშეკრულებო ურთიერთობა და რომელიც ვალდებულია, ვინმეს დაექვემდებაროს.<sup>156</sup> რადგანაც ესპანეთის საკორპორაციო სამართალშიც დი-

<sup>152</sup> Dembe, A. Erickson, J.B. Delbos, R.G. Banks, S.M. The Impact of Overtime and Long Work Hours on Occupational Injuries and Illnesses: New Evidence from the United States. *Occupational and Environmental Medicine*, 62.9. 2005. 588-597.

<sup>153</sup> ქავთარაძე ს. ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული II, რედაქტორი: ზოიძე ბ. 2013. 103-114.

<sup>154</sup> Askenazy, P. Working time regulation in France from 1996 to 2012. *Cambridge Journal of Economics*, 37.2. 2013. 323-347.

<sup>155</sup> Williams, D. *Doing Business in France*. Paris: Deloitte Touche Tohmatsu Limited. 2014. 1-81

<sup>156</sup> Beulen, W. Self-employment and bogus self-employment in the European construction

რექტორი კომპანიის საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება,<sup>157</sup> ეს ნიშნავს, რომ ისიც ნამდვილად ასეთი შრომითი იერარქიის მონაწილეა. ამიტომ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ესპანური კანონმდებლობაც აძლევს დირექტორს გარანტიებს სამუშაო საათებთან და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ზემოთ განხილულის შედეგად, შეიძლება იმის დასკვნა, რომ სამუშაო საათებთან და ზეგანაკვეთურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ უმჯობესია, ეს გარანტიები დირექტორისათვის უზრუნველყოფილი იყოს. ზედმეტად ბევრი მუშაობა, როგორც წარსულმა პრაქტიკამ აჩვენა, არ არის ჯანსაღი და გრძელვადიან პერსპექტივაში, ყველასთვის უკეთესია, თუკი არ მოხდება დირექტორის ზედმეტად გადაღლა. რაც შეეხება ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას, მისთვის გამომუშავებული ხელფასის მიცემა სრულიად ლოგიკურია და რადგანაც შეუძლებელია იმის თქმა, რომ დირექტორის მუშაობა ნაკლებად იმსახურებს ანაზღაურებას, ბუნებრივია, რომ მისთვის ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურებაც პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

## 6. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის განთავისუფლება დაკავებული პოზიციიდან

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის დირექტორ(ებ)ის დანიშვნა და განთავისუფლება.<sup>158</sup> ამავდროულად, კანონში არსადაა მითითებული, თუ რა საფუძვლით შეიძლება დირექტორის დაკავებული პოზიციიდან გაშვება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა,

---

industry. Brussels: European Social partners for the Construction Industry. 2009. 127-140.

<sup>157</sup> Sanchez, I.M.G. Rodriguez-Dominguez, L. Gallego-Alvarez, I. Corporate governance and strategic information on the internet: A study of Spanish listed companies. Accounting Auditing & Accountability Journal, 24.4. 2011. 471-501.

<sup>158</sup> საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 91.6.ე.

რომელმაც 2020 წელს პირდაპირ განსაზღვრა, რომ დირექტორის განთავისუფლება და მისი საფუძვლები კომპანიის საერთო კრების კომპეტენციაა.<sup>159</sup> შედეგად, გვაქვს დადგენილი პრაქტიკა, რომ დირექტორის განსათავისუფლებლად სრულებით არ არის აუცილებელი, მის მიერ დარღვეული იყოს საკუთარი ვალდებულებები, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან.<sup>160</sup> შესაბამისად, სახეზეა განსხვავებული მოწესრიგება დირექტორებისა და დასაქმებული პირების უფლებებთან დაკავშირებით მათთან ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებაში. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტი თანხვედრაშია საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკასთან.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით, მართალია, დაუშვებელია დისკრიმინაციული საფუძვლით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ როდესაც საუბარია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის განთავისუფლებაზე, ეს მთლიანად კომპანიის საერთო კრების კომპეტენციაში შედის და მათ არ სჭირდებათ რაიმე განსაკუთრებული მიზეზის არსებობა. თუკი დირექტორის გაშვება სურთ, მათი გადაწყვეტილება საკმარისია ამისათვის და ის კანონიერი იქნება, თუნდაც ხელმძღვანელ პირს საკუთარი ვალდებულებები არ ჰქონდეს დარღვეული.<sup>161</sup> შესაბამისად, ევროკავშირის პრაქტიკაც, ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, არსებითად განასხვავებს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელისა და დასაქმებული პირის უფლებრივ მდგომარეობას მათი განთავისუფლებისათვის საჭირო წინაპირობათა თვალსაზრისით.

არსებითად იდენტური მოწესრიგება გვხვდება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოშიც. როდესაც კომპანიას გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო, საერთო

<sup>159</sup> გადაწყვეტილება საქმეზე N 213-1659-2019. 31 ივლისი, 2020 წელი. საქართველოს უზენაესი სასამართლო. 1-2.

<sup>160</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. მუხლი 47.

<sup>161</sup> Decision delivered on 09 July 2015 for the Case C-229/14 (Ender Balkaya v. Kiesel Abbruch - und Recycling Technik GmbH). CJEU. 1-53.

კრების კომპეტენციაა, მისი სურვილისამებრ, დანიშნოს და გაათავისუფლოს მისი წევრები, ხოლო, თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თავისი დისკრეციით, დანიშნოს და მოხსნას დირექტორები.<sup>162</sup> დირექტორს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ძველ პოზიციაზე აღდგენა ან კომპენსაცია განთავისუფლების გამო (თუკი იგი ხელშეკრულებით არ ეკუთვნის).<sup>163</sup> შესაბამისად, ბრიტანული კანონმდებლობითაც, შრომის სამართალში უაღრესად მნიშვნელოვანი ეს გარანტია დირექტორებს არ გააჩნიათ.

საფრანგეთის კანონმდებლობაც თანხვედრაშია ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკასთან. დირექტორის დანიშვნა და განთავისუფლება აღნიშნულ იურისდიქციაშიც საზოგადოების მესაკუთრეთა კომპეტენციაში შედის და მათ შეუძლიათ, დაკავებული პოზიცია დაატოვებინონ ხელმძღვანელ პირს თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მისდამი ნდობა დაკარგეს ან სხვა მიზეზით აღარ სურთ მასთან თანამშრომლობა.<sup>164</sup>

იტალიის სამართალიც აკეთებს დაშვებას, რომ კომერციული საზოგადოების ხელმძღვანელი პირები განთავისუფლდნენ შესაბამისი კომპანიის მფლობელთა სურვილისამებრ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს. სავალდებულო არ არის, მოხდეს იმის დასაბუთება, თუ რა მიზეზით ხდება დირექტორის განთავისუფლება ან საერთოდ არსებობს თუ არა ასეთი საფუძველი.<sup>165</sup>

გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტ-

<sup>162</sup> Dunne, S. Mansell, S. Parker, M. Veldman, J. The nature and purpose of the corporation: A roundtable discussion. *Ephemera: Theory & Politics in Organization*, 16.1. 2016. 135-153.

<sup>163</sup> Beetsma, R. Peters, H. Robers, E. When to fire bad managers: the role of collusion between management and board of directors. *Journal of Economic Behavior & Organization*, 42. 2000. 427-444.

<sup>164</sup> Segrestin, B. Hatchuel, A. Levillain, K. When the Law Distinguishes Between the Enterprise and the Corporation: The Case of the New French Law on Corporate Purpose. *Journal of Business Ethics*, 171.1. 2021. 1-13.

<sup>165</sup> Siclari, D. Non-executive Independent Directors in Corporate Governance of the Italian Banks and Listed Companies. In the book titled: *Italian Banking and Financial Law*. London, UK: Palgrave McMillan. 2015. 155-183.



ერატურაში განასხვავებენ იმას, თუ რომელი კანონმდებლობის მიხედვით განემარტავთ დასაქმებულის ცნებას. ერთ-ერთ ახალ გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერაციულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დირექტორი, თუ ეს ცნება ინტერპრეტირებული იქნება ევროპის კავშირის სამართლის მიხედვით, უნდა განვიხილოთ დასაქმებულის მსგავსად და მასზე უნდა გავავრცელოთ საკანონმდებლო გარანტიები, მათ შორის შეწყვეტასთან დაკავშირებითაც.<sup>166</sup> თუმცა, ეროვნული კანონმდებლობით განმარტების შემთხვევაში, დირექტორი ვერ იქნება გაიგივებული დასაქმებულთან და მასზე ვერ გავრცელდება დასაქმებულის მსგავსი გარანტიები.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ მოცემული იურისდიქციები ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავდება, ასეთი თანხვედრა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტად გვევლინება. მით უმეტეს, როგორც უკვე ითქვა, არსებობს ტრენდი, რომ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად დაუახლოვდეს დასაქმებულებისას, თუმცა, როგორც ზემოთ ჩანს, დაკავებული პოზიციიდან განთავისუფლების თვალსაზრისით, ცვლილებები სახეზე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დროსთან ერთად, სულ უფრო და უფრო ხშირად აღინიშნება დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირებისათვის შრომისსამართლებრივი გარანტიების მინიჭება, ეს გავლენას არ ახდენს იმ ფაქტზე, რომ საერთო კრებას ნებისმიერ მომენტში შეუძლია, დირექტორს დაკავებული პოზიცია დაატოვებინოს.

ასეთი განსხვავებული მდგომარეობა განპირობებულია იმით, რომ დირექტორი კლასიკური გაგებით დასაქმებულ პირს არ წარმოადგენს და, შესაბამისად, იგი გარკვეულწილად განსხვავდება ჩვეულებრივი მუშაკისაგან.<sup>167</sup> მათ შორის არსებული განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ, მაგალითად, ზემოთ განხ-

<sup>166</sup> BGH: GmbH-Geschäftsführer als Arbeitnehmer NJW 2019, 2086, 2091.

<sup>167</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. International Journal of Interdisciplinary Research and Innovations, 3.1. 2015. 65-83.

ილული შრომითი გარანტიების თვალსაზრისით განსხვავებული მონესრიგების არსებობა გამართლებული იყოს,<sup>168</sup> თუმცა, რაც შეეხება დაკავებული პოზიციიდან განთავისუფლებას, ამ შემთხვევაში, სამენარმეო საზოგადოების დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და ამავე კომპანიის ჩვეულებრივ დასაქმებულ პირებს შორის არსებული განსხვავებები გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება.

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი, შეიძლება ითქვას, რომ მასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია.<sup>169</sup> დირექტორს აქვს უდიდესი გავლენა კომპანიის ყოველდღიურ მმართველობაზე და, გარკვეულწილად, განაპირობებს მის წარმატებას ან წარუმატებლობას.<sup>170</sup> ამავდროულად, დირექტორის ფუნქციაა, უზრუნველყოს კომერციული საზოგადოებისა და მისი აქციონერების კეთილდღეობა,<sup>171</sup> რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთათვის უმნიშვნელოვანესია, მათს კომპანიას მათთვისვე სასურველი პირი მართავდეს.<sup>172</sup>

ამავდროულად, ფაქტია ისიც, რომ შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში ხშირად ხდება, რომ დასაქმებული, მართალია, არც ერთ პირობას არ არღვევს, მაგრამ ის არ არის ისეთი ეფექტური, როგორც მის ზემდგომ პირებს სურთ, რომ იყოს.<sup>173</sup> ასეთ დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი მუშაკის გავლენა კომპანიის

---

<sup>168</sup> Brustein, A.H. Casual Workers and Employee Benefits: Staying Ahead of the Curve. University of Pennsylvania Journal of Labor and Employment Law, 7.3. 2005. 695-713.

<sup>169</sup> Helland, E. Sykuta, M. Regulation and the Evolution of Corporate Boards: Monitoring, Advising, or Window Dressing? The Journal of Law and Economics, 47. 2004. 167-193.

<sup>170</sup> Connely, B. Hoskisson, R. Tihanyi, L. Certo, S. Ownership as a Form of Corporate Governance. Journal of Management Studies, 47.8. 2010, 1561-1589.

<sup>171</sup> Aggestam, M. Corporate governance and capital groups in Poland. Journal for East European Management Studies, 9.4. 2004. 367-390.

<sup>172</sup> Helland, E. Sykuta, M. Regulation and the Evolution of Corporate Boards: Monitoring, Advising, or Window Dressing? The Journal of Law and Economics, 47. 2004. 167-193.

<sup>173</sup> Daniel, M. Protecting Workers' Rights in a Labour Environment Dominated By Non-standard Work Arrangements and Unfair Labour Practices: An Empirical Study of Nigeria. International Journal of Interdisciplinary Research and Innovations, 3.1. 2015. 65-83.

კეთილდღეობაზე შედარებით ნაკლებია, გამართლებულად ითვლება, რომ მისი განთავისუფლება აკრძალული იყოს და კანონმა დაადგინოს, რომ უბრალოდ „ნაკლებად ეფექტურობა“ შრომითი კონტრაქტის გასაწყვეტად საკმარისად არ ჩაითვალოს. მსგავსი მდგომარეობა სახეზე მაშინაც, როდესაც დასაქმებულსა და დამსაქმებელს პირადი უთანხმოება ან სამსახურთან მიმართებით განსხვავებული ფილოსოფია გააჩნიათ - ამ შემთხვევაშიც ასეთი კონფლიქტი საკმარისი არ არის ადამიანის დაკავებული პოზიციიდან განსათავისუფლებლად.<sup>174</sup>

ზემოთ მოცემულისგან განსხვავებით, საერთო კრებისათვის აუცილებელია, რომ დირექტორი, რომელიც, ერთდროულად, უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ პირად გვევლინება და, ამასთან, რომელსაც ყველაზე ფართო დისკრეცია აქვს, მის ხედვას იზიარებდეს და მისთვის სასურველ შედეგებს უზრუნველყოფდეს.<sup>175</sup> თუკი კომპანიის მესაკუთრემ დაკარგა დირექტორისადმი რწმენა, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, ჩაანაცვლოს იგი. სანინალმდეგო შემთხვევაში, შეიძლება საუბარი იმაზე, რომ საერთო კრების წევრებს საკუთარი ქონების, თავიანთი ინვესტიციის მართვის საშუალება არ მიეცემათ, რაც მათი ძირითადი უფლების დარღვევადაც კი შეიძლება იყოს განხილული.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სამენარმო საზოგადოების ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი როლი და მისი დისკრეციის მასშტაბები გვევლინება იმის განმაპირობებელ ფაქტორად, რომ ვერ მოხდება მოცემული შრომისსამართლებრივი გარანტიის მისდამი უზრუნველყოფა. დირექტორის განთავისუფლება ვერ იქნება დამოკიდებული იმაზე, რომ სახეზე იყოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობა. დირექტორი, არსებითად, დასაქმებულთან შეიძლება გაიგივდეს, თუმცა მათ შორის განსხვავებები

<sup>174</sup> Cavico, F.J. Mujtaba, M.G. Muffler, S. The Duty of Loyalty in the Employment Relationship: Legal Analysis and Recommendations for Employers and Workers. *Journal of Legal, Ethical and Regulatory Issues*, 21.3. 2018. 1-27.

<sup>175</sup> Connely, B. Hoskisson, R. Tihanyi, L. Certo, S. Ownership as a Form of Corporate Governance. *Journal of Management Studies*, 47.8. 2010, 1561-1589.

მაინც რჩება და სწორედ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებაა ის საკითხი, რომელშიც ისინი თავს იჩენენ ყველაზე მეტად.

დამატებით აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა საჭიროებს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების, მათ შორის მაგალითად, წინასწარი შეტყობინების ვადების დაცვას. აღნიშნული პროცედურების დირექტორებზე გავრცელებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზარალოს საწარმოს ფინანსური ინტერესები პროცესის გაჭიანურების გამო. ამასთან, დირექტორისა და საწარმოს ურთიერთობა გადავა სხვა დინამიკაში, რაც ფუნდამენტურად შეცვლის დირექტორის ინსტიტუტის საკორპორაციო სამართლებრივ ბუნებას.

## 7. დასკვნა

კომერციული იურიდიული პირები მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს მოთამაშეებს წარმოადგენენ, ხოლო სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი უმნიშვნელოვანესი პირია. შესაბამისად, ასეთი ურთიერთობის ზუსტი შინაარსის იდენტიფიცირება აუცილებელია, რათა გლობალური ბაზარი შედარებით ნაკლებად იყოს ბუნდოვანებით მოცული. სწორედ ამ მიზნით იქნა განხორციელებული ზემოთ მოცემული კვლევა. მისი შედეგების ჩამოყალიბება შეიძლება შემდეგნაირად:

დირექტორი არ არის ჩვეულებრივი დასაქმებული პირის ექვივალენტი. ამ ორ კონცეფციას შორის განსხვავებები არსებობს, თუმცა ასეთ სხვაობათა გავლენა მოქმედ კანონმდებლობაზე შედარებით ნაკლებია, ვიდრე წარსულში.

კლასიკური მიდგომა, რომ დირექტორისა და დასაქმებულის მიმართ მოქმედი სამართალი სრულიად სხვადასხვა წყაროებიდან უნდა გამომდინარეობდეს და ერთმანეთთან კვეთა არ ჰქონდეს, ხშირად უსამართლო მოწესრიგებას იწვევს, რის შედეგადაც მისი

პოპულარობა მცირდება.

რადგან ყველაზე მეტად სწორედ შრომითი ურთიერთობაა მასთან ახლოს, დირექტორის მიმართ უნდა მოქმედებდეს (რაც რეალურადაა არაერთ იურისდიქციაში) შრომის სამართალში არსებული მთელი რიგი გარანტიებისა, მათ შორის ეკონომიკური გარანტიები, ასევე დისკრიმინაციისაგან დაცვა, შვებულების უფლება და სამუშაო დროსთან არსებული რეგულაციები.

ამასთან, მიუხედავად ამ ორი სფეროს დაახლოების ტრენდისა, სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს არ ეხება მათი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის შრომისსამართლებრივი სავალდებულო წინაპირობების არსებობის აუცილებლობა. კომპანიის საერთო კრებას გააჩნია დისკრეცია, საკუთარი სურვილით გაათავისუფლოს ისინი დაკავებული პოზიციიდან.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ არსებულ ტრენდებს დადებითი გავლენა აქვთ სამართლებრივ ჩარჩოზე. მოძველებული მიდგომები ნელ-ნელა თმობენ პოზიციებს და, შედეგად, არბიტრარული განსხვავებების ნაცვლად, სახეზეა სინთეზური მიდგომა, რომელიც უშვებს, რომ რა თვალსაზრისითაც დირექტორი შეიძლება, გაიგივდეს დასაქმებულთან, იმ კუთხით მასზე გავრცელდეს შრომის კანონმდებლობა და, ამავდროულად, სადაც განსხვავებები უფრო წინ არის წამოწეული, მისი მონესრიგება განცალკევებულად მოხდეს. სწორედ ასეთი რეგულაციური ჩარჩო იძლევა იმის საშუალებას, რომ სახეზე იყოს სამართლიანი სამართალი, რაც საერთაშორისო პრაქტიკისათვის დადებით განვითარებად უნდა ჩაითვალოს.

## ნიკა ჯაშიაშვილი

სამართლის მაგისტრი (კერძო სამართალი, თსუ); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი.

### ნების გამოვლენა “EMOTICON” სიმბოლოებისა და ემოჯის საშუალებით

#### 1. შესავალი

სამართლის მთავარი დანიშნულება ისეთი სოციალური მართლწესრიგის შექმნაა, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფს.<sup>1</sup> სამოქალაქო სამართალი იურისპრუდენციის ის დარგია, რომელშიც პირველად გაჩნდა წარმოდგენა ადამიანზე, როგორც სუბიექტზე, რომელსაც თავისუფლება და ნების ავტონომია გააჩნია.<sup>2</sup> სამართალს უნივერსალურობაზე პრეტენზია არ გააჩნია, არამედ დროსა და გარემოებებთან ერთად ცვალებადი ფენომენია.<sup>3</sup> როგორც სამართლის თეორიის, ასევე სასამართლო პრაქტიკის მიზანი კაცობრიობის განვითარებისთვის ფეხის აწყობაა.

2011 წელს კომპანია Apple-მა iPhone iOS 2.2 მოდელის კლავიატურას ემოჯის გამოყენების ფუნქცია დაუმატა.<sup>4</sup> ეს ფაქტი გარკვეულ ბიძგად იქცა. ამ მოვლენიდან ათი წლის თავზე ემოჯის როლი იმდენად გაიზარდა, რომ მის განმარტებაზე ფიქრი უკვე მოსამართლეებს უწევთ.<sup>5</sup> კვლევების თანახმად, ემოჯის გამოყენე-

<sup>1</sup> Kochashvili K., Freedom and its Restriction in Determining the Substance of a Contract (Social and Private Legal Nature of a Contract), South Caucasus Law Journal, Civil Codes in Transition, №7, 2016, 203.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 41.

<sup>4</sup> Scall, R., Emoji as language and their place outside American copyright law, New York University Journal of Intellectual Property & Entertainment Law, 5(2), 2016, 383.

<sup>5</sup> ემოჯის საშუალებით ნების გამოვლენასა და ემოჯის შინაარსის განმარტებაზე სასამართლო პრაქტიკა დიდ ბრიტანეთში, რუსეთის ფედერაციაში, ისრაელში, აშშ-ში და სხვა სახელმწიფოებში არსებობს. მნიშვნელოვანი პრეცედენტები სტატიის

ბა სულ უფრო ზრდადია, 2018 წლისთვის მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად 41 მილიარდი ელექტრონული შეტყობინება და ექვსი მილიარდი ემოჯი იგზავნებოდა.<sup>6</sup> აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალში იურისტებისთვის გაფრთხილება ჯერ კიდევ 2017 წელს გამოჩნდა. ამერიკელი ადვოკატები სასამართლო სხდომის დარბაზში ემოჯის განხილვის შემთხვევათა ზრდისთვის შეამზადეს.<sup>7</sup>

ერთი შეხედვით პატარა, უწყინარი გამოსახულებები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრნენ და პრობლემები „განმარტების აკრობატებსაც“<sup>8</sup> შეუქმნეს. ემოჯის გამოყენებით ზოგჯერ წინადადების შინაარსი რადიკალურად იცვლება. ელექტრონული საშუალებებით კომუნიკაციის განმარტებისას სასამართლო ემოჯის შეფასებას გვერდს ვერ აუვლის.<sup>9</sup> რამდენიმე წლის წინ იურისტების აბსოლუტური უმრავლესობა შეკითხვაზე „შეტყობინებაში გამოყენებული ემოჯი როგორ უნდა განიმარტოს?“, გულიანად გაიცინებდა და ეს რეაქცია მაშინ საკმაოდ ბუნებრივიც იქნებოდა. მართლაც, რა კავშირში შეიძლება იყოს სამართალი, ნების გამოვლენა და გარიგების ინსტიტუტი პატარა „ლიმილებთან“? სტატია ამ შეკითხვაზე პასუხს სცემს და ემოჯის სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის პერსპექტივიდან განიხილავს. ზემოხსენებულის საფუძველზე კი დადგინდება სამართალს ემოჯის სახით საქმე რა ფენომენტთან აქვს, ემოჯი უბრალოდ სახუმარო „ლიმილებია“, თუ კომუნიკაციის ახალი ფორმა, რომელიც მალე სასამართლო პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

---

მომდევნო თავებში იქნება განხილული.

<sup>6</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 5. <<https://fluxconsole.com/files/view/108109>> [01.07.2021].

<sup>7</sup> Foltz K. A., Fray J., Emoji Goes to Court: An Analysis of Emoji in Court Proceedings and Implications for Legal Practice, Communication Law Review, 20 (1), 2020, 109-110. <<https://bit.ly/3wkcndf>> [03.07.2021].

<sup>8</sup> „განმარტების აკრობატებად“ იურისტები იგულისხმებიან. ვრცლად იხ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 187.

<sup>9</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 5.

## 2. რას ნიშნავს ემოჯი და “EMOTICON” სიმბოლოები?

იურისპრუნდენციაში ემოჯის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევრის, პროფესორ ერიკ გოლდმენის აზრით, ემოჯი იგივე პიქტოგრამებია.<sup>10</sup> პიქტოგრაფია ადრეული დამწერლობების წინამორბედია და საგნებისა თუ მოვლენების ნახატების საშუალებით გადმოცემას გულისხმობდა.<sup>11</sup> ერთ-ერთი ცნების მიხედვით, ემოჯი პატარა ციფრული გამოსახულებაა, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციისას ნების, იდეებისა და ემოციების გამოსახატად გამოიყენება.<sup>12</sup>

ემოჯის წინაპრად emoticon ნიშნები [:-)] ითვლება, რომლებიც 1982 წლიდან გამოიყენებოდა<sup>13</sup>. Emoticon ნიშნები სხვადასხვა სიმბოლოების კომბინაციით სახის გამომეტყველების მიმგავსებული ვარიანტები იყო.<sup>14</sup> თუმცა emoticon-მა ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოდან ადგილი ემოჯის დაუთმო. ემოჯი კომპიუტერებსა და მობილურ ტელეფონებში გამოსახულების სახით ჩანს, თუმცა ის გარკვეული კოდია.<sup>15</sup> მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ემოჯის (რომელსაც „სიცხლის“ ან „ღიმილის“ ემოჯი [ ] შეიძლება ეწოდოს) კოდია U+1F600.<sup>16</sup> კომპიუტერული სისტემა აღნიშნულ კოდს კითხულობს და მომხმარებელი ემოჯის სახით ხედავს. თუ სისტემას კოდის ამოცნობა არ შეუძლია, მაშინ ემოჯის მაგივრად თეთრი მართკუთხედი ან ცარიელი ადგილი გამოჩნდება,<sup>17</sup> ან, რო-

<sup>10</sup> Goldman, E., Emojis and the law. Washington Law Review, 93(3), 2018, 1231.

<sup>11</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 3.

<sup>12</sup> Goldman, E., Emojis and the law, Washington Law Review, 93(3), 2018, 1231.

<sup>13</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 4.

<sup>14</sup> Foltz K. A., Fray J., Emoji Goes to Court: An Analysis of Emoji in Court Proceedings and Implications for Legal Practice, Communication Law Review, 20 (1), 2020, 110.

<sup>15</sup> Scall, R., Emoji as language and their place outside American copyright law, New York University Journal of Intellectual Property & Entertainment Law, 5(2), 2016, p. 386.

<sup>16</sup> Full Emoji List, v13.1, Unicode Consortium, <<https://unicode.org/emoji/charts/full-emoji-list.html>> [01.07.2021].

<sup>17</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need



გორც წესი, კითხვის ნიშნები (???). სხვადასხვა კომპიუტერულ სისტემებს ერთი მოწყობილობიდან მეორეში გაგზავნილი ემოჯის წაკითხვა რომ შეეძლოთ, Unicode konsorciumi ყველა ემოჯის ერთიან კოდს ანიჭებს.<sup>18</sup> კომპანიებმა Apple-მა და Xerox-მა Unicode კონსორციუმი 1987 წელს დააფუძნეს და მისი მიზანი სიმბოლოების უნივერსალური ბაზის შექმნა იყო.<sup>19</sup> უნიცოდე კონსორციუმის საქმიანობის წყალობით ემოჯი სხვადასხვა მოწყობილობის მფლობელთათვის აღქმადი ხდება, თუმცა პრობლემები მაინც რჩება. Unicode კონსორციუმი ემოჯის კონკრეტულ კოდს ანიჭებს და სხვადასხვა კომპიუტერული სისტემები ამ კოდს ერთნაირად ამოიცნობენ. თუმცა, მომხმარებლის კომპიუტერის ან მობილურის ეკრანზე „ღიმილის“ ემოჯი რა სახით გამოჩნდება, ეს თითოეული კომპანიის გადასაწყვეტია.<sup>20</sup>

### 3. რამ გამოიწვია ემოჯის შექმნა - ისტორიული ექსკურსი

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. დროის დინებასთან ერთად, რომელსაც უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესი მოჰყვება, ნების გამოვლენის ფორმები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ის, რაც 15 და 20 წლის წინ შეუძლებელი ჩანდა, ახლა უკვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება, ოფერტი და აქცეპტი სოციალური მედიის საშუალებათა გამოყენებით არცთუ ისე შორეულ წარსულში წარმოუდგენლად მოჩანდა. 1990-იან წლებში

---

to know, 2019, 4.

<sup>18</sup> Scall, R., *Emoji as language and their place outside American copyright law*, New York University Journal of Intellectual Property & Entertainment Law, 5(2), 2016, 386.

<sup>19</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., *A Lawyer's Guide to Emoji: What you need to know*, 2019, 4.

<sup>20</sup> Goldman, E., *Emojis and the law*, Washington Law Review, 93(3), 2018, 1235.

ემოჯის<sup>21</sup> შემქმნელი შიგეტაკა კურიტა<sup>22</sup> ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი ქმნილებები უმოკლეს დროში უზარმაზარ პოპულარობას მოიპოვებდნენ და უკვე 21-ე საუკუნეში იურისტებსაც არაერთ თავსატეხს გაუჩინდნენ.

იაპონელებისთვის დამახასიათებელი წერის მანერა რთული და გრძელი წინადადებებით გამოირჩეოდა.<sup>23</sup> ელექტრონული ფოსტის გამოგონებამდე იაპონელები ერთმანეთს ძალიან გრძელ წერილებს უგზავნიდნენ, რომლებშიც მოკითხვისა და მილოცვისთვის სხვადასხვა ტერმინს იყენებდნენ. გრძნობების გამომხატველი ზოგიერთი სიტყვა იმგვარი იყო, რომ მის შინაარსს ადრესატი ლექსიკონის გამოყენებითაც კი ვერ იგებდა.<sup>24</sup> მე-20 საუკუნის ბოლოს ტრადიციულმა წერილებმა ადგილი ელექტრონულ ფოსტას დაუთმეს. ელექტრონული ფოსტის თავისებურებებიდან გამომდინარე იაპონელები გრძელ წერილებს ვეღარ აგზავნიდნენ. შესაბამისად, ადრესატებისთვის ხშირად გაუგებარი რჩებოდა ესა თუ ის ტერმინი პოზიტიურ შინაარსს ატარებდა თუ ნეგატიურს.<sup>25</sup> იაპონელი ხალხისთვის ელექტრონული ფოსტით ურთიერთობის გამარტივება და ქვეტექსტის უკეთესად წაკითხვა „ემოჯის მამისთვის“<sup>26</sup> მიზნად იქცა. მიზანი კი მალევე რეალობად და 1999 წლისთვის 12-პიქსელიანი სხვადასხვა სახის 176 ემოჯი დაიბადა.<sup>27</sup>

<sup>21</sup> „ემოჯი“ იაპონური სიტყვაა, რომელიც მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა და მისი ქართული შესატყვისი არ არსებობს. იაპონურ ენაში “E” ნიშნავს ნახატს, გამოსახულებას, ხოლო “Mojji” სიმბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ „emoji“ სიტყვა ემოციას ნააგავს, ამ იაპონურ სიტყვას გრძნობებთან და ემოციებთან კავშირი არ აქვს. ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. Mayer J., The Origin Of The Word ‘Emoji’, March 13, 2019, <<https://www.sciencefriday.com/articles/the-origin-of-the-word-emoji/>> [01.07.2021].

<sup>22</sup> Scall, R., Emoji as language and their place outside American copyright law, New York University Journal of Intellectual Property & Entertainment Law, 5(2), 2016, 382.

<sup>23</sup> იქვე, 382.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> „ემოჯის მამად“ შიგეტაკა კურიტა იგულისხმება. Negishi M., Meet Shigetaka Kurita, the Father of Emoji, WALL ST. J., Mar. 26, 2014.

<sup>27</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need

ამრიგად, ემოჯის შექმნის ძირითადი მოტივაცია სხვადასხვა რთული ენობრივი კონსტრუქციების მოკლედ და მარტივად გადმოცემა იყო. ემოჯის შექმნელს უფრო დიადი მიზნები არ ჰქონია, თუმცა ემოჯის საშუალებით უნივერსალური ენა შეიქმნა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მაცხოვრებელი ადამიანების უდიდესი ნაწილისთვის გასაგებია. ამგვარი მიღწევით ყველაზე გლობალური ენაც (ინგლისური) კი ვერ დაიკვებნის.

#### 4. გარიგების დადება ემოჯის საშუალებით

შემოიფარგლება თუ არა ემოჯი მხოლოდ პირადი ცხოვრების ურთიერთობებით, თუ მისი საშუალებით იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების განხორციელებაც შესაძლებელია? ემოჯის გამოყენების ფარგლები თანდათან ფართოვდება. ზოგიერთი მკვლევარი ემოჯის მსოფლიოში კომუნიკაციის ყველაზე მზარდ ფორმას უკვე თამამად უწოდებს.<sup>28</sup> სტატისტიკის თანახმად, ემოჯის ელექტრონული კომუნიკაციისას ინტერნეტის მომხმარებელთა დაახლოებით 92% იყენებს.<sup>29</sup> ემოჯის პოპულარობის გამომწვევი მიზეზი რამდენიმეა.

კერძოდ, ურთიერთობა უფრო იოლი და მხიარული ხდება. ტექსტში ემოჯის ჩართვა ადამიანის სათქმელს აძლიერებს, ხოლო პატარა გამოსახულებას უფრო შთამბეჭდავი ეფექტი აქვს, ვიდრე ბევრ სიტყვას.<sup>30</sup> ემოჯიმ კაცობრიობის ცხოვრება გაამარტივა. საკუთარი ნების ან ემოციების გამოსახატად გრძელი წინადადების დაწერა საჭირო აღარ არის. ემოჯი ადამიანებს საშუალებას აძლევთ, საკუთარი სათქმელი ერთი ან რამდენიმე პატარა გამოსახულებით გადმოსცენ. შედეგად, დრო და ნერვები იზოგება. ეს კი 21-ე საუკუნის ადამიანისთვის, რომელსაც ყოველთვის ბევრი საქმე

---

to know, 2019, 4.

<sup>28</sup> იქვე, 7.

<sup>29</sup> Goldman, E., Emojis and the law, *Washington Law Review*, 93(3), 2018, 1229.

<sup>30</sup> იქვე, 1228.

აქვს და სადღაც ერქარება, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ემოჯი კომუნიკაციის ფორმებს ძალიან სწრაფი ტემპით ცვლის. უკვე გასაკვირი არაა ემოჯის განმარტების საკითხებმა სასამართლო სხდომის დარბაზებშიც რომ გადანაიცვლა.<sup>31</sup> საკუთარი ნებისა თუ ემოციების გამოსახატად ემოჯის გამოყენება აპრობირებული მეთოდია, თუმცა რამდენად შეიძლება ემოჯის საშუალებით სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული ნების გამოვლენა? შესაძლებელია თუ არა ემოჯის გამოყენებით გარიგების დადება?

2009 წელს ფრედ ბენენსონმა შემონირულობების საფუძველზე ავანტიურული პროექტი წამოიწყო – ჰერმან მელვილის ცნობილი ნაწარმოების „მოზი დიკის“ „ემოჯის ენაზე გადათარგმნა“.<sup>32</sup> ნაწარმოების სახელწოდება კი „ემოჯი დიკი“ უნდა ყოფილიყო. წიგნის „თარგმნა“ დასრულდა, თუმცა „ემოჯი დიკს“, რა თქმა უნდა, მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. ამის მიზეზი მარტივია, ინგლისურ ენაში ერთ მილიონზე მეტი სიტყვაა, „ონლაინ მიმოქცევაში“ კი მხოლოდ 3 000-მდე ემოჯი არსებობს.<sup>33</sup> თუკი ვინმეს მსგავსი სარისკო თავგადასავალი არ ენდომება, გარიგების შინაარსის მხოლოდ ემოჯის საშუალებით გადმოცემა ჯერჯერობით თეორიული პერსპექტივაა.

## 5. ემოჯის საშუალებით წვრილმანი საყოფაცხოვრებო/ყოველდღიური გარიგებების დადების შესაძლებლობა

ემოჯის საშუალებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა ისრაელში განხილულ ერთ-ერთ საქმეს უკავშირდება, რომელსაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. სინამდვილეში, მოსამართლემ გარიგება დადებულად კი არ ჩათვალა, არამედ ერთი მხარის მიერ კონტრაჰენტის ნდობის ბოროტად გამოყენებისა

<sup>31</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 5.

<sup>32</sup> Scall, R., Emoji as language and their place outside American copyright law, New York University Journal of Intellectual Property & Entertainment Law, 5(2), 2016, 383.

<sup>33</sup> იქვე, 389.

და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიყენებული ზიანის თეორია განავითარა.<sup>34</sup> სასამართლოს გადანყვეტილებაში ემოჯის განმარტებამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა, თუმცა არა გადამწყვეტი.

ხელშეკრულების დასადებად ორი თანმხვედრი ნების გამოვლენა - *oferti* და *adceptia* აუცილებელი.<sup>35</sup> ოფერტი და აქცეპტი ურთიერთმფარავი (მხარეთა ნების თანხვედრა) უნდა იყოს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას შეიცავდეს.<sup>36</sup> აღნიშნული განმარტების წაკითხვის შემდეგ ხელშეკრულება ძალიან რთულ მექანიზმად წარმოჩინდება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მკითხველის (მათ შორის, იურისტთა უმრავლესობის) გონებაში ხელშეკრულება ფურცლების კორიანტელთან და ობობის ქსელივით ჩახლართული პუნქტების დიდ რაოდენობასთან ასოცირდება, რომლის გარკვევაც გორდეასის კვანძის გახსნას უტოლდება.

ამ დახასიათებას მსხვილ მენარმე სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებები ნამდვილად ამართლებს. ამასთან, მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად უამრავი გარიგება იდება, რომელსაც ნახსენებ აღწერილობასთან საერთო არაფერი აქვს. საყოფაცხოვრებო ხელშეკრულებათა უმრავლესობაში ოფერტისა და აქცეპტის ელემენტიც კი არ არის გამოკვეთილი.<sup>37</sup> მისი ძებნა და ახალი ველოსიპედის გამოგონება აუცილებელი არც არის. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ რთული გარიგებების შინაარსს

<sup>34</sup> ჰერცლიას სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადანყვეტილება საქმეზე №30823-08-16, იანივ დაჰანი ნირ ჰაიმისა და იარდენ როსენის წინააღმდეგ. გადანყვეტილების არაოფიციალური ინგლისური თარგმანი და ებრაულ ენაზე სასამართლოს გადანყვეტილების ოფიციალური ტექსტი იხ. <<https://digitalcommons.law.scu.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=2518&context=historical>> [01.07.2021].

<sup>35</sup> ბალიშვილი ე., *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.)*, 2019, მუხლი 327, 91.

<sup>36</sup> მაისურაძე დ., დარჯჯანია თ., *პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული)*, თბილისი, 2017, 34.

<sup>37</sup> ბალიშვილი ე., *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.)*, 2019, მუხლი 329, 110-111.

ემოჯი ისევე ვერ გადმოსცემს, როგორც „მოზი დიკის“ მხატვრულ ლირებულებას „ემოჯი დიკი“ ვერ მიუახლოვდება. თუმცა, შეიძლება თუ არა შედარებით წვრილმანი, საყოფაცხოვრებო ხელშეკრულებების შემთხვევაში მოწვევა ოფერტზე, ოფერტი ან აქცეპტი ემოჯის საშუალებით განხორციელდეს?

### 5.1. ემოჯის გამოყენებით ოფერტის განხორციელება

ოფერტი ნების გამოვლენაა, რომლითაც პირი პოტენციურ კონტრაჰენტს ხელშეკრულების არსებით პირობებს სთავაზობს. შეთავაზების პირობები იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ხელშეკრულების დადებისთვის მეორე მხარის თანხმობა (აქცეპტი) რჩებოდეს.<sup>38</sup> შეიძლება თუ არა მხოლოდ ემოჯის საშუალებით გამოვლენილი ნება საკმარისად კონკრეტული და ნათლად ჩამოყალიბებული იყოს? თეორიულად ასეთი ვარიანტი არსებობს, თუმცა პრაქტიკულად ერთი შეხედვით განუხორციელებადად მოჩანს. სინამდვილეში, ემოჯის საშუალებით ოფერტის გაკეთება შესაძლებელია. 21-ე საუკუნეში არსებულმა ინოვაციურმა და კრეატიულმა მიდგომებმა ამგვარი ჰიპოთეზა რეალობად აქცია. 2015 წელს კომპანია Domino's Pizza-მ აშშ-ს ტერიტორიაზე პიცის შეკვეთის ინოვაციური მოდელი შექმნა - 5 წამში, მხოლოდ ემოჯის გაგზავნით.<sup>39</sup> პიცის შეკვეთისთვის მომხმარებელს Facebook Messenger-ის ან Twitter-ის ელექტრონული შეტყობინებით კომპანიისთვის მხოლოდ პიცის ემოჯის გაგზავნა [ ] სჭირდება. ამავე პროცედურის განხორციელება მობილური ტელეფონიდან სპეციალურ ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნითაც არის შესაძლებელი. შეტყობინების ტექსტი უცვლელია - მხოლოდ პიცის ემოჯი.<sup>40</sup>

<sup>38</sup> მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 34.

<sup>39</sup> How It Works: Text Message a Pizza Emoji to Order Domino's, January 9, 2017, <<https://www.tatango.com/blog/how-it-works-text-message-a-pizza-emoji-to-order-dominos/>> [01.07.2021].

<sup>40</sup> იქვე.

2015 წლის მაისში გრეგ მორტონმა და ერიკ ზამუდიომ კომპანია Fooji (საკვების (food) და emoji-ს სინთეზი) დააფუძნეს.<sup>41</sup> პიცის ემოჯის გაგზავნისას მომხმარებელმა იცის, თუ რას უკვეთავს. Fooji-ს შემთხვევაში კი შეკვეთა თნიტტერ-ის საშუალებით ხდება და მომხმარებელმა მხოლოდ რომელიმე პროდუქტის ემოჯის სიმბოლო უნდა გაგზავნოს "gifooji-ს მონიშვნით.<sup>42</sup> მაგალითად, მომხმარებელი თუ გააგზავნის პომიდვრის ემოჯის, კომპანია გადაწყვეტს, რა კერძი გამოაგზავნოს. კლიენტი მხოლოდ საკუთარი სახლის კარის გაღების შემდეგ იგებს რა შეუკვეთა, როცა კურიერი მას გადასცემს.<sup>43</sup>

ეს მომსახურება ინკოგნიტო ხასიათის გამო საკმაოდ პოპულარული გახდა, თუმცა გაგზავნილი ემოჯის ოფერტად მიჩნევა მისი განუსაზღვრელი ხასიათის გამო, პრობლემურია. ამასთან, ვინც ემოჯის აგზავნის, მომსახურების პირობების შესახებ ინფორმირებულია. კლიენტმა იცის, რომ ერთი ემოჯის გაგზავნისას, თუკი საქმე რომელიმე ბოსტნეულის ან ხილის ემოჯის ეხება, სხვადასხვა კერძის მიღების ვარიანტი არსებობს. მეწარმე სუბიექტის მთავარი სარეკლამო ხრიკიც და მომხმარებლის მოსაზიდი საშუალებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. შესაბამისად, თნიტტერ-ის საშუალებით გაგზავნილი ემოჯი გარკვეული წინაპირობების არსებობისას ოფერტად შეიძლება შეფასდეს.

რაც შეეხება პიცის ემოჯის, ოფერტი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას არ შეიცავს, თუმცა პირის ნებას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს. ხელშეკრულების საგანი განსაზღვრულია, ოფერტი მიმართულია კონკრეტული სუბიექტისადმი (კომპანია Domino's Pizza). მომხმარებელს პიცის შეკვეთა სურს და ამ შემთხვევაში შერეული ხელშეკრულების დადების ნებას ავლენს. სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი ბოჭვის ელემენტი.

<sup>41</sup> The story behind fooji, <<https://fooji.com/about>> [03.07.2021].

<sup>42</sup> O'neil Bellomo R., Tweet an Emoji and Dinner Will be on the Way, May 26, 2015, <<https://www.delish.com/food/a42547/tweet-emoji-food-delivery/>> [03.07.2021].

<sup>43</sup> იქვე.

## 5.2. ხელშეკრულების პირობებით შებოჭვის უპირობო მზადყოფნა

საკითხავია, პიცის ემოჯის გაგზავნა რამდენად არის ნების ისეთი გამოვლენა, რომელიც ოფერენტის მიერ ხელშეკრულებით შებოჭვის უპირობო მზადყოფნას ავლენს. პრაქტიკაში ბოჭვის ნება ცხადად იშვიათად ვლინდება და საქმის გარემოებებიდან უნდა დადგინდეს.<sup>44</sup> შეკვეთის განსახორციელებლად პირის მოქმედებების ჯაჭვი უნდა შეფასდეს. მომხმარებლის მიერ კომპანიასთან დაკავშირება, სპეციალური ნომრის აკრეფა, ასევე კომპანიის Facebook Messenger შეტყობინების ველის გახსნა და პიცის ემოჯის გაგზავნა პირის ნებას ერთობლივად ადასტურებენ. სურათის სრულად დანახვის შემდეგ ცალსახაა, რომ მომხმარებელი ემოჯის გაგზავნით თავს შეიბოჭავს და ხელშეკრულების დადების მზადყოფნას გამოთქვამს.

მოცემულ შემთხვევაში ნება მიღებასავალდებულოა. კომპანიამ მომხმარებლის მიერ გაგზავნილი ემოჯი უნდა მიიღოს. დოქტრინაში ნების მისვლისთვის ორი სავალდებულო ელემენტი გამოიყოფა: გამოვლენილი ნება ადრესატის ძალაუფლების სფეროში უნდა მოექცეს და მიმღებს მისი გაცნობის რეალური შესაძლებლობა ჰქონდეს.<sup>45</sup> ადრესატის ძალაუფლების სფეროში ემოჯის საშუალებით გამოვლენილი ნება მოხვდება მაშინ, როცა Facebook Messenger-ში ემოჯის გაგზავნის შემდეგ გამორჩევა აღნიშვნა, რომელიც შეტყობინების გაგზავნის მაუწყებელია. მობილური ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში იგივე პრინციპი მოქმედებს. სოციალური ქსელით ემოჯის გაგზავნისას ადრესატის ძალაუფლების სფეროდ Facebook Messenger ჩაითვლება. ემოჯი ადრესატის Messenger-ში ახალი შეტყობინების სახით გამორჩევა და ამ მომენტიდან მიმღებს მისი გაცნობის რეალური შესაძლებლობა გააჩნია.

<sup>44</sup> ბალიშელი ე., *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019*, მუხლი 329, 111.

<sup>45</sup> *მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017*, 40.



### 5.3. ემოჯის გამოყენებით ოფერტზე მონვევა

ოფერტის მსგავსად, ემოჯის გამოყენებით ოფერტზე მონვევაც წარმატებით შეიძლება განხორციელდეს. მონვევა ოფერტზე (*invitatio ad offerendum*) პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული წინადადებაა, რომელსაც ხელშეკრულების არსებითი პირობებიდან ერთ-ერთი აკლია.<sup>46</sup> ემოჯის საშუალებით ნების კონკრეტული შინაარსის გადმოცემა რთულია, მონვევა ოფერტზე კი ზუსტად ის შემთხვევაა, როცა შეთავაზებაში ყველა არსებითი პირობის ჩადება აუცილებელიც არაა. აქედან გამომდინარე, ემოჯის საშუალებით ოფერტზე მონვევა სრულიად შესაძლებელია.

დოქტრინაში არსებული პოზიციით, ოფერტზე მონვევის კლასიკურ მაგალითად რესტორნის მენიუ ითვლება.<sup>47</sup> როდესაც მიმტანს კლიენტთან რესტორნის მენიუ მიაქვს, კლიენტი შეთავაზებებიდან სასურველ კერძს ირჩევს და ოფერტს აკეთებს.<sup>48</sup> „პიცის ემოჯის“ და FOOji-ს საშუალებით ოფერტის მაგალითის შემდეგ „ემოჯი მენიუების“ არსებობა უკვე გასაკვირი აღარ არის.<sup>49</sup> მსოფლიოში პირველი „ემოჯი რესტორანი“ მელბურნში გაიხსნა და მას თეხტაურანტ ერქვა.<sup>50</sup> მომხმარებელს რესტორნის მენიუში კერძები ჩვეული წერილობითი მენიუს (ასევე კერძების ვიზუალიზაციით) ნაცვლად ემოჯის სახით გამოსახული ხვდებოდა. ანალოგიური სახის რესტორნები და კაფეები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ფუნქციონირებს. მაგალითად, ქალაქ ლონდონში The Little Yellow Door restaurant, რომელშიც კლიენტები კერძებს ჭკატსAპ-დან შეტყობინების გაგზავნით უკვეთავენ.<sup>51</sup>

<sup>46</sup> მანისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 48.

<sup>47</sup> იქვე, 48.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> Layton J., This restaurant's emoji menu is a 21st-century delight, Mar 03, 2017, @2:27 pm, <<https://hellogiggles.com/lifestyle/food-drink/restaurants-emoji-menu/>> [01.07.2021].

<sup>50</sup> The World's First Emoji Restaurant Has Opened In Melbourne, <<https://beat.com.au/the-worlds-first-emoji-restaurant-has-opened-in-melbourne/>> [01.07.2021].

<sup>51</sup> Pomranz M., London Restaurant Introduces All-Emoji Menu, March 06, 2018,

„ემოჯი მენიუს“ მქონე რესტორნები ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობენ. 2015-2018 წლებში აზიის საუკეთესო რესტორნად ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მდებარე დანესებულება დასახელდა, რომელშიც 25 კერძის გამომხატველი ემოჯის მენიუ გამოიყენებოდა.<sup>52</sup> რესტორნის აღიარება არა მხოლოდ ინდოელი მეპატრონისა და შეფ-მზარეულის, გაგან ანანდის ოსტატობას, არამედ, უფრო მეტად „ემოჯი მენიუს“ უკავშირდება. ამრიგად, ამ შემთხვევებში ოფერტზე მონვევა ემოჯის საშუალებით ხდება. უფრო მეტიც, რესტორნის კლიენტი ოფერტსაც ემოჯის გამოყენებით აკეთებს. ხელშეკრულების შინაარსი მთლიანად ემოჯიზება დამოკიდებული, რასაც ემოჯის საშუალებით ნების გამოვლენა სრულიად ახალ სიმაღლეზე აჭყავს.

კლიენტების მოსაზიდად „ემოჯი მენიუ“ კარგი მარკეტინგული ხრიკია, თუმცა ამან გარკვეული პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს. როდესაც მომხმარებელი რესტორნის მენიუს ათვალერებს, ის წარწერებს კითხულობს და კერძის შემადგენლობას აფასებს. კლიენტი კერძის მადისალმძვრელ ვიზუალურ მხარეს ხედავს და არჩევანს ამ ყველაფრის მიხედვით აკეთებს. რა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი შეკვეთილი კერძით უკმაყოფილია? როცა კლიენტს კერძი არ მოსწონს, მისი პრეტენზია დასაბუთებული იქნება, თუკი მოტანილი შეკვეთა მენიუში ვიზუალურად გამოსახულ კერძს არ წააგავს ან მასთან შედარებით მიმზიდველად ვერ გამოიყურება. „ემოჯი მენიუთი“ მომხმარებელს ასეთი მექანიზმი არ გააჩნია და წუნზე დავის ნაკლები ბერკეტი რჩება, მაგრამ ინოვაციური მენიუთი სარგებლობა გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. ამასთან, „ინკოგნიტო კერძის“ მოლოდინს გარკვეულ შემთხვევებში თავისი ხიბლი შეიძლება ჰქონდეს.

---

<<https://www.foodandwine.com/news/london-restaurant-introduces-all-emoji-menu>> [03.07.2021].

<sup>52</sup> Hirsh S., *Emoji Menu at Asia's No. 1 Restaurant Will Confuse and Delight Diners*, March 3, 2017. <<https://www.teenvogue.com/story/emoji-menu-thailand-restaurant>> [03.07.2021].

#### 5.4. აქცეპტი ემოჯის გამოყენებით

ემოჯის საშუალებით ოფერტსა და ოფერტზე მოწვევასთან მიმართებაში თუკი გარკვეული კითხვის ნიშნები შეიძლება ჩნდებოდეს, ემოჯის გამოყენებით აქცეპტის გაცხადება უდავო სამართლებრივ მექანიზმად უნდა ჩაითვალოს. დოქტრინაში აქცეპტი ოფერენტის შემოთავაზებაზე ანუ ოფერტის შინაარსზე უპირობო თანხმობას გულისხმობს.<sup>53</sup> ემოჯის გამოყენებით აქცეპტის ნამდვილობის დამაჯერებლობას რამდენიმე გარემოება ამტკიცებს.

შესაძლებელია თუ არა ემოჯის საშუალებით ოფერენტის მიერ შეთავაზებულ გარიგებაზე უპირობო თანხმობის გაცხადება? ამ შეკითხვაზე პასუხი დადებითია, ვინაიდან ვირტუალურ სივრცეში არაერთი ემოჯი არსებობს, რომლებიც თანხმობასთან ასოცირებულ შესტიკულაციებს გამოსხატავენ. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით მათი გამოყენება ოფერტზე თანხმობად შეიძლება ჩაითვალოს. აქ თავს ერთი სამართლებრივი პრობლემა იჩენს. კერძოდ, ადრესატმა ემოჯის საშუალებით გამოვლენილი ნება არასერიოზულად შეიძლება აღიქვას. ამ დროს პირის მიერ გამოვლენილი ნება ყოველი ცალკეული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. ამასთან, ორაზროვანი შინაარსის მქონე ემოჯის გამოყენება თანხმობად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ოფერენტის მიერ გამოვლენილი ნება ადრესატისთვის ობიექტურად აღქმადი არაა და ბუნდოვანია.

ემოჯის საშუალებით აქცეპტის განხორციელებაზე მოსაზრებას სსკ-ს 335-ე მუხლი ამყარებს. სამართალში დუმილი არც თანხმობის ნიშანია და არც უარყოფის,<sup>54</sup> თუმცა ამ წესიდან გამონაკლისს სსკ-ს 334-ე და 335-ე მუხლები ადგენს. თუკი გარკვეულ შემთხვევებში დუმილი ანუ უმოქმედობა აქცეპტად ფასდება, ემოჯის გაგზავნით აქცეპტის გაცხადება რატომ არ უნდა შეიძლებოდეს? ემოჯის გაგზავნა მოქმედებაა, ადრესატი მიიღებს გამოსახულებას, რომელიც გამგზავნის ნებას გამოსხატავს. ხოლო შეტყობინე-

<sup>53</sup> მისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 41.

<sup>54</sup> იქვე, 44.

ბაში გამოყენებული ემოჯი საყოველთაოდ ცნობილი ნიშანია, რომელიც დადებით პასუხს ან მოწონებას აღნიშნავს [ ], ან ხელის ჩამორთმევის ემოჯია<sup>55</sup> („ხელის შეკვრას“ ანუ „ხელშეკრულებას“ აღნიშნავს). ორივე ემოჯი ხელშეკრულების დადების ნებას უფრო ნათლად გამოხატავს, ვიდრე დუმილი ან ზოგჯერ მიწერილი ან/და წარმოთქმული სიტყვები.

ამასთან, ოფერტზე თანხმობა ნებისმიერი ფორმის მოქმედებით შეიძლება გამოვლინდეს, მთავარია ხელშეკრულების ოფერტის პირობებით დადებაზე თანხმობა ნათლად ჩანდეს და ადრესატისთვის გასაგები იყოს.<sup>56</sup> ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით თანხმობის უსიტყვოდ გაცხადების საშუალებას ემოჯი იძლევა. ერთი ემოჯის გაგზავნა სრულებით საკმარისია. რომელი ემოჯის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს თანხმობა? ობიექტურად აღქმადობის ელემენტი სავალდებულოა. მნიშვნელოვანია, რომ ემოჯის ადრესატმა გამგზავნის ნება ამოიცნოს და სწორად გაიგოს.

აქცეპტის (თანხმობის) როლი მხოლოდ ისეთმა ემოჯიმ შეიძლება ატაროს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია და პოზიტიური სიგნალის (თანხმობის) მანიშნებელია. მაღლა აწეული ცერა თითის [ ] და ხელის ჩამორთმევის ემოჯის გარდა, აქცეპტის შინაარს ე.წ. “OK” ემოჯი [ ], ასევე ემოჯი [ ] ატარებს. სადავო შეიძლება იყოს, თუმცა აქცეპტის გამოსახატად შამპანურის (ცქრი-ალა ღვინის) ბოთლის გახსნის ან „ჭიქების მიჭახუნების“ ემოჯის გამოყენებაც შეიძლება. როგორც ნესი, „ჭიქების მიჭახუნება“ ერთიანობის სიმბოლოს ქმნის და საქართველოში სუფრის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტია. ამასთან, „ჭიქების მიჭახუნება“ შეთანხმებასთან და რაიმეს აღნიშვნასთანაც ასოცირდება. თუკი სადავო შემთხვევა იქნება, ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოში „ჭიქების მიჭახუნების“ ემოჯი აქცეპტის გაცხადებად უნდა ჩაითვალოს.

<sup>55</sup> Microsoft Word-ის Emoji Keyboard ხელის ჩამორთმევის ემოჯის კი შეიცავს, თუმცა ტექსტში ემოჯი არასწორად, ტექნიკური ხარვეზით გამოისახება.

<sup>56</sup> ბალიშელი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჟანტურია (რედ.), 2019, მუხლი 335, 137.

## 6. ემოჯი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით ოფერტისა და აქცეპტის ემოჯის გამოყენებით გაცხადება უკვე შესაძლებელია. თუკი ემოჯი სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილად იქცა, გასაკვირი არ იქნება, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდეს.<sup>57</sup> წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ბრალის ინსტიტუტს ცულპა ინ ცონტრაჰენდო ეწოდება და სსკ-ს 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარეობს.<sup>58</sup> Culpa in contrahendo-ს საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას კვაზისახელშეკრულებო მოთხოვნასაც უწოდებენ.<sup>59</sup> ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ბრალის შერაცხვის დოქტრინა მეორე მხარის ნდობის უგულებელყოფას ეფუძნება.<sup>60</sup> შესაძლებელია თუ არა მოლაპარაკების პროცესში ემოჯის გამოყენება მხარეთა ნების განმარტებისთვის საკმარისი აღმოჩნდეს? ელექტრონული კომუნიკაციის პროცესში პოზიტიური შინაარსის ემოჯის გაგზავნა მეორე მხარის ნდობას ამყარებს ან წარმოშობს? ისრაელის სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი პრეცედენტი ამ შეკითხვებზე პასუხს სცემს.<sup>61</sup> გადაწყვეტილებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართო გამოხმაურება, ბევრი იურისტის ალტაცება, გაკვირვება და გარკვეული ნაწილის კრიტიკაც კი მოჰყვა. ეს გადაწყვეტილება გარკვეულ კონტექსტში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არის მოხსენიებული.<sup>62</sup>

<sup>57</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer's Guide to Emoji: What you need to know, 2019, 18.

<sup>58</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 317, 46.

<sup>59</sup> მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 58.

<sup>60</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 317, 49.

<sup>61</sup> ჰერცლიას სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 30823-08-16, იანივ დაჰანი ნირ ჰაიმისა და იარდენ როსენის წინააღმდეგ.

<sup>62</sup> იხ. 6.2 თავი „ხელშეკრულების დადება სიმბოლოების ან „ემოჯის“ გამოყენებით“ ნიგნი ჯორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 96.

ისრაელის ქალაქ ჰერცლიას (თელ-ავივის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილი) სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება სამართლის განვითარების მხრივ იმდენად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცალკე განხილვას იმსახურებს. გადაწყვეტილების ირგვლივ არსებული ფართო რეზონანსი ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს.<sup>63</sup> იანივ დაჰანი უძრავი ქონების მესაკუთრე იყო და 2016 წლის მაისში ბინის გაქირავების განცხადება ისრაელში პოპულარულ ვებგვერდ დად 2-ზე განათავსა.<sup>64</sup> დაჰანმა განცხადებაში მიუთითა, რომ ბინის გაქირავებას 2016 წლის 1 სექტემბრიდან აპირებდა, მანამდე კი მესაკუთრე დამქირავებლების პოვნას იმედოვნებდა. განცხადების განთავსებიდან ძალიან მალევე დაჰანს მეუღლეები, ნირ ჰაიმ საკაროფი და იარდენ როსენი დაუკავშირდნენ. მათ უძრავი ქონების დაქირავების სურვილი გამოთქვეს და მესაკუთრეს გარკვეული სარემონტო სამუშაოების განხორციელება სთხოვეს. მეუღლეებმა ბინა ორჯერ დაათვალიერეს, მეორედ 2016 წლის 3 ივნისს.

უძრავი ქონების მეორედ დათვალიერების შემდეგ, 2016 წლის 5 ივნისს ქალბატონმა იარდენ როსენმა დაჰანს ის ელექტრონული შეტყობინება გაუგზავნა, რომელმაც საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა და ემოჯისთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი პრეცედენტიც წარმოქმნა. შეტყობინება შემდეგი სახის იყო:



დანართი 1. იარდენ როსენის მიერ გაგზავნილი შეტყობინება<sup>65</sup>

<sup>63</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer’s Guide to Emoji: What you need to know, 2019, 16.

<sup>64</sup> ჰერცლიას სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 30823-08-16, იანივ დაჰანი ნირ ჰაიმისა და იარდენ როსენის წინააღმდეგ, 11.

<sup>65</sup> შეტყობინების “Screenshot” სტატიის სტატიაში გადმოტანილია პროფესორ ერიკ გოლდ-

იარდენ როსენმა შეტყობინებაში ტექსტის გარდა, შვიდი სხვადასხვა ემოჯიც გამოიყენა. 2016 წლის 5 ივნისის შეტყობინების ტექსტი კი შემდეგნაირად ჟღერს: „დილა მშვიდობისა. დაინტერესებულები ვართ სახლის დაქირავებით. მხოლოდ რამდენიმე წვრილმანის დაზუსტება მინდა. როდის გეცლებათ რომ შევხვდეთ?“<sup>66</sup>

ამ შეტყობინების მიღების შემდეგ დაჰანმა განცხადება ვებგვერდიდან ნაშალა და მხარეებმა ქირის თანხაზე მოლაპარაკებები დაიწყეს.<sup>67</sup> მეუღლეებმა სახლი კიდევ ორჯერ მოინახულეს და რემონტის შედეგი დაათვალიერეს, რითაც კმაყოფილები დარჩნენ. დაჰანმა 2016 წლის 3 ივლისს მეუღლეებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინტერნეტიდან ჩამოტვირთული ქირავნობის ხელშეკრულება (დრაფტი/შაბლონი) გაუგზავნა. მეუღლეები ხელშეკრულების დადებაზე თანახმა იყვნენ, მაგრამ მათი მიზეზებით ხელმოწერის პროცედურა რამდენჯერმე გადაიდო. ელექტრონულ შეტყობინებებში როსენი ბინის მესაკუთრეს ამშვიდებდა და წერდა, რომ მის ქმარს არ ეცალა და ხელს მომდევნო კვირაში მოაწერდნენ.<sup>68</sup> 2016 წლის 31 ივლისს უკანასკნელი მიმონწერა შედგა. მესაკუთრე ხელის მოწერისთვის შეხვედრას სასონარკვეთილად ითხოვდა, როსენი კვლავ აიძულებდა. შემდეგ კი პოტენციური დამქირავებლები გაუჩინარდნენ.

იანივ დაჰანმა სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოპასუხეებისთვის ორი თვის ქირის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელის პოზიციით, ორი თვე ახალი დამქირავებლების მოძებნისთვის გონივრული პერიოდი იყო. სასამართლოს უნდა შეეფასებინა, მოპასუხეებმა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დაჰანის ნდობა ბოროტად ხომ არ გამოიყენეს და ბრალეული

მენის ბლოგში დართული ფოტოებიდან. “Screenshot”-ის პირველწყარო იხ. Goldman E., The Israeli Chipmunk Emoji Mystery Resolved!, January 13, 2020, <<https://blog.ericgoldman.org/archives/2020/01/the-israeli-chipmunk-emoji-mystery-resolved.htm>> [03.07.2020].

<sup>66</sup> Goldman, E., Emojis and the law, *Washington Law Review*, 93(3), 2018, 1266.

<sup>67</sup> ჰერცლიას სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 30823-08-16, იანივ დაჰანი ნირ ჰაიმისა და იარდენ როსენის წინააღმდეგ, 11.

<sup>68</sup> იქვე, 12.

ქმედებით მას ზიანი მიაყენეს. შეტყობინებების შინაარსი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. მოსამართლე ამირ ვეიზებლუთმა საკუთარ თავზე დიდი ტვირთი იკისრა და 5 ივნისის შეტყობინებაში გამოყენებული ხუთი სხვადასხვა ემოჯი განმარტა.<sup>69</sup>

მოსამართლემ ისრაელის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან ერთ-ერთი საქმე მოიშველია, რომელშიც ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალა იქიდან გამომდინარე, რომ მხარეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ჭიქები „მიუჭახუნეს.“<sup>70</sup> სასამართლომ განმარტა, რომ დღესდღეობით „ჭიქების მიჭახუნებამ“ ვირტუალურ სივრცეში გადანაიცვლა და როსენის მიერ გაგზავნილი შამპანურის ბოთლის ემოჯი ამის გამოხატულება იყო. მოსამართლის შეფასებით, შეტყობინებაში გაგზავნილი შვიდი სხვადასხვა ემოჯი პოზიტიური შინაარსის მატარებელი იყო და მესაკუთრეს ნდობა წარმოეშვა. “V” ნიშნის [☑], მოცეკვავე ქალების, ღიმილისა და შამპანურის ბოთლის ემოჯი ხელშეკრულების დადების სურვილს გამოხატავდა და მესაკუთრეს ოპტიმიზმი გაუჩინა,<sup>71</sup> რის შემდეგაც დაჰანმა ვებგვერდიდან განცხადება წაშალა. სასამართლომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეებს 2 200 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადახდა დააკისრა.<sup>72</sup>

მოსამართლემ ძალიან გაბედული ნაბიჯი გადადგა და ემოჯის შინაარსი განმარტა. მოსამართლის გაკრიტიკება შეიძლება, ვინაიდან გაურკვეველია, „სალსას მოცეკვავე ქალბატონის“ ემოჯი ხელშეკრულების დადების ნებას რამდენად გამოხატავს.<sup>73</sup> ასევე, მოსამართლეს საერთოდ არ შეუფასებია კომეტისა და ციყვის ემოჯი შეტყობინებაში რა შინაარსით იყო გამოყენებული.<sup>74</sup> მოსამართ-

<sup>69</sup> იქვე, 14.

<sup>70</sup> CA 692/86, 1989. იქვე, 14.

<sup>71</sup> Goldman, E., Emojis and the law, *Washington Law Review*, 93(3), 2018, 1267.

<sup>72</sup> ჰერცლიას სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 30823-08-16, იანივ დაჰანი ნირ ჰაიმისა და იარდენ როსენის წინააღმდეგ, 17.

<sup>73</sup> Goldman, E., Emojis and the law, *Washington Law Review*, 93(3), 2018, 1268-1269.

<sup>74</sup> იქვე, 1269.



ლის დასაცავად შეიძლება ითქვას, რომ კომეტისა და ციყვის ემოჯის გამოყენება შეტყობინების ტექსტთან შემხებლობაში საერთოდ არ არის და მათი განმარტება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, დაჰანის (მესაკუთრის) ნდობის ბოროტად გამოყენება ციყვისა და კომეტის ემოჯის შეფასების გარეშეც იკვეთებოდა.

ამრიგად, ემოჯი წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარის ნების გამომხატველი შეიძლება იყოს და პირს 2 200 აშშ დოლარის ანაზღაურებაც კი მოუწიოს. ისრაელის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ემოჯის განმარტების სირთულეებს სრულად გადმოსცემს. ემოჯის გამოყენების ტემპის რეკორდული სისწრაფით ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსამართლეები ამირ ვეიზებლუთის როლში მალე აღმოჩნდებიან და ემოჯის შინაარსის შეფასება მოუწევთ.

## 7. ემოჯი - სასამართლოს დამხმარე საშუალება რეალური ნების დასადგენად

ნების გამოვლენა საკუთარ თავში ისეთ მოქმედებასაც მოიაზრებს, რომელსაც პირის სურვილის მიუხედავად იურიდიული შედეგი მაინც მოჰყვება.<sup>75</sup> ზიანის ანაზღაურების დავებზე და დელიქტური პასუხისმგებლობის დადგენისას ემოჯი ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. მხარეთა მიმონერის განმარტებისას ემოჯის საშუალებით იმის წაკითხვა შეიძლება, რაზეც ადამიანი შეიძლება დუმდეს (სიტყვებით არ წარმოთქვამდეს, თუმცა კომუნიკაციისას ემოჯის იყენებდეს). ასეთ დროს ემოჯი დამხმარე საშუალებაა და მოსამართლეს პირის დაფარული ფრაზების უკან მდგარი რეალური ნების დადგენაში ეხმარება.<sup>76</sup> ამ მოსაზრებას აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ფედერაციის სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს.

რუსეთის ფედერაციის სასამართლო პრაქტიკაში სამუშაოდან

<sup>75</sup> იგულისხმება დელიქტი. *კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 231-232.*

<sup>76</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., *A Lawyer's Guide to Emoji: What you need to know*, 2019, 18.

გათავისუფლებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავაზე ერთი საინტერესო გადანყვეტილებაა, რომელშიც სასამართლომ ემოჯი განმარტა.<sup>77</sup> მოსარჩელე ყოფილი დამსაქმებლისგან სანარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. დასაქმებულს სამსახურში ყოფნისას თავში ყვავილის დიდი ქოთანს დაეცა, რის შემდეგაც გონება დაკარგა და საავადმყოფოში მოხვდა. დასაქმებული სარჩელში მიუთითებდა, რომ დამსაქმებელმა სამსახურში იმავე დღეს დაბრუნება და რაღაც საბუთებზე ხელის მოწერა აიძულა. ეს საბუთები საბოლოოდ გათავისუფლებაზე განცხადება აღმოჩნდა.<sup>78</sup>

მოპასუხემ მტკიცებულების სახით whatsapp-ის მიმონერა წარადგინა, რომელშიც მოსარჩელე ერთ-ერთ თანამშრომელს ქოთანის დაცემის ინციდენტზე იმავე დღეს წერდა. სასამართლომ სხვა გარემოებების გარდა ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ მოსარჩელის შეტყობინებები საკმაოდ მხიარული ხასიათის იყო. კერძოდ, შეტყობინებების უმრავლესობა სიცილის გამომხატველი ემოჯით [ ] ან სიცილით ცრემლებამდე მისული ემოჯით [ ] სრულდებოდა.<sup>79</sup> მოსამართლის შეფასებით, გონების დაკარგვის ან რაიმე რეალური დაზიანების არსებობის შემთხვევაში დასაქმებული მხიარულ ხასიათზე არ იქნებოდა და მსგავსი შინაარსის შეტყობინებებს არ გააგზავნიდა. საბოლოოდ, სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ემოჯის სწორად განმარტებამ ამ შედეგში საკუთარი წვლილი შეიტანა.

აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში ემოჯის განმარტების პრეცედენტები სულ უფრო იზრდება. სასამართლომ შცოგგინს v. Credit Bureau of Jonesboro, Inc გადანყვეტილებაში<sup>80</sup> მხარის რეალური ნების შესაფასებლად სოციალურ ქსელში განთავსებული შემდეგი

<sup>77</sup> Дело №2-4883/17, Решение 21 декабря 2017 года, Таганский районный суд г. Москвы. გადანყვეტილების ოფიციალური ტექსტი იხ. <<https://mos-gorsud.ru/rs/taganskij/services/cases/civil/details/ef43ae78-6f13-4dd6-837a-4d7bd21b8b28?caseNumber=%E2%84%962-4883/17>> [02.07.2021].

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> იქვე, 5.

<sup>80</sup> Patterson M. A., Brooke Barnett-Bernal S., A Lawyer's Guide to Emoji: What you need to know, 2019, 20.

შინაარსის ერთ-ერთი სტატუსი (პოსტი) განმარტა: „ფედერალური სასამართლოს დარბაზში ჩემთან ერთად წამოსასვლელად და შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი [მატარებლის დაჯახების ემოჯი] მოემზადე“.<sup>81</sup> სასამართლოს შეფასებით, მოვალე არაკეთილსინდისიერად იქცეოდა და მეორე მხარისთვის ზიანის მიყენება სურდა. ამგვარი ხასიათის მოქმედებებზე კი ზემოხსენებული სტატუსის შინაარსი და „მატარებლის დაჯახების“ ემოჯი მიუთითებს.<sup>82</sup>

ემოჯის გამოყენებამ ჩვეულებრივ შეკითხვას განსხვავებული შინაარსი შეიძლება მისცეს. *McAlpine v Berrow*<sup>83</sup> დიდ ბრიტანეთში 2013 წელს ერთ-ერთ გახმაურებულ საქმედ იქცა. 2012 წელს სამაუწყებლო კომპანია BBC-მ ლორდ მაკელპაინზე ცრუ ცნობები გაავრცელა, ლორდს სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები დააბრალებს, რაც შემდეგში არ დადასტურდა.<sup>84</sup> ტელეკომპანიამ მალევე აღიარა, რომ ლორდი მაკელპაინი სხვა პირში აერია და ბრალი შეცდომით დასდო. ბრალდებაზე ცნობების გახმაურებიდან ორ დღეში, ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის მეუღლემ, სალი ბერკოუმ Twitter-ის საკუთარ გვერდზე შემდეგი სტატუსი დადო: „რატომ არის ლორდი მაკელპაინი ასე პოპულარული? „უდანაშაულო/გულუბრყვილო გამომეტყველების“ ემოჯი“.<sup>85</sup> იმ დროს სალი ბერკოუს გვერდს 56 ათასამდე გამომწერი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობამ ავტორის სტატუსი გააზიარა და ბერკოუს „გზავნილი“ ძალიან ბევრმა ადამიანმა ნახა.<sup>86</sup> ლორდმა მაკელპაინმა ბერკოუს სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებისთვის სასამართლოში უჩივლა. მაკელპაინის პოზიციით, ბერკოუს სტატუსი დაფარული გზავნილი იყო, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა - ლორდი მაკე-

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> *McAlpine v Berrow*, 2013, <<https://bit.ly/3ylbcfb>> [03.07.2021].

<sup>84</sup> Kirley E., McMahon M., The emoji factor: Humanizing the emerging law of digital speech, *Tennessee Law Review*, 85(2), 2018, 519.

<sup>85</sup> Pelletier N., The Emoji That Cost \$20,000: Triggering Liability for Defamation on Social Media, *Washington University Journal of Law & Policy*, 52, 2016, 245.

<sup>86</sup> იქვე.

ლპაინი პედოფილია.<sup>87</sup>

სასამართლომ ამ საკითხზე ძალიან საინტერესო განმარტება გააკეთა, რაც მომავალში პრაქტიკის განვითარების მიმართულე-ბაც შეიძლება გახდეს. სასამართლოს შეფასებით, ბერკოუს მიერ გულუბრყვილო/უდანაშაულო სახის emoticon-ის გამოყენება ირო-ნიულ შინაარსს ატარებდა. Emoticon სიმბოლო მკითხველს პირდა-პირ მიანიშნებდა ბერკოუს სახის გულუბრყვილო გამომეტყველება წარმოდგინათ, როცა ის შეკითხვას სვამდა: „რატომ არის ლორდი მაკელპაინი ასე პოპულარული?“<sup>88</sup> მოსამართლე თავგენდჰეთის მო-საზრებით, გულუბრყვილო სახის ემოჯის გამოყენება შეკითხვაზე პასუხის ვითომ არცოდნაზე მიანიშნებდა.<sup>89</sup> შეკითხვის დასმა, როცა ავტორისთვის მასზე პასუხი უკვე ცნობილია, პასუხს, როგორც ფაქტს ისე წარმოაჩენს და ლორდ მაკელპაინზე „თითის გაშვერაა“.<sup>90</sup>

ზემოხსენებულ დასკვნამდე სასამართლო „გულუბრყვილო სახის“ ემოჯის გამოყენებამ მიიყვანა. ამ გადაწყვეტილებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება სასამართლოს მიერ სო-ციალური ქსელის (აქ: Twitter) გონივრულად მოაზროვნე მომხმარე-ბლის სტანდარტის შემოღებაა.<sup>91</sup> სასამართლოს განმარტებით, Twit-ter-ის ნებისმიერი გონივრულად მოაზროვნე მომხმარებელი berk-ous statusს ირონიულ და არაგულწრფელ შეკითხვად აღიქვამდა.<sup>92</sup>

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა აჩვენებს, რომ პირის რეალური ნების შეფასებისას ემოჯი და ემოტიკონ სიმბო-ლოები დამხმარე საშუალებაა და ზოგჯერ გადამწყვეტი როლის თამაშიც კი შეუძლიათ. ემოჯი მხოლოდ „ღიმილები“ და მხიარული გამოსახულებები უკვე აღარ არის. მიმონერაში თუ სოციალური ქსელის სტატუსებში ემოჯის გამოყენება საკუთარი ნების, მოსაზ-რებებისა და იდეების გამომხატვის სრულფასოვანი საშუალებაა.

<sup>87</sup> იქვე, 246.

<sup>88</sup> McAlpine v Bercow, 2013, <<https://bit.ly/3ylbcfb>> [03.07.2021].

<sup>89</sup> იქვე, 2.

<sup>90</sup> McAlpine v Bercow, 2013, <<https://bit.ly/3ylbcfb>> [03.07.2021].

<sup>91</sup> Pelletier N., The Emoji That Cost \$20,000: Triggering Liability for Defamation on Social Media, Washington University Journal of Law & Policy, 52, 2016, 246.

<sup>92</sup> იქვე.

ემოჯის განმარტება კი სასამართლოს განხილვის საგანი ხდება. ამასთან, მაკელპაინის საქმეზე გამოყენებული სოციალური ქსელის გონივრულად მოაზროვნე მომხმარებლის სტანდარტი სამომავლოდ ემოჯის განმარტების განუყოფელ ნაწილად შეიძლება იქცეს.

## 8. დასკვნა

ემოჯი კომუნიკაციის ყველაზე მზარდი ფორმაა, რომელიც ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა. ემოჯი პატარა ციფრული გამოსახულებაა, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციისას ნების, იდეებისა და ემოციების გამოსახატად გამოიყენება. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები ემოჯის კომერციულ ურთიერთობებში გამოყენების საშუალებას იძლევა. „განმარტების აკრობატებისთვის“ კი ემოჯი თავსატეხი და სამომავლო გამონვევაა.

ემოჯის საშუალებით რთული ხელშეკრულების შინაარსის შედგენა ან არსებითი პირობების შეთავაზება „ემოჯი დიკის“ მსგავსად უტოპიური ნამონყებაა და ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობად რჩება. საყოფაცხოვრებო გარიგებების შემთხვევაში ემოჯის მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. ემოჯის საშუალებით ოფერტზე მონვევისა და ოფერტის გაკეთება დღესდღეობით უკვე რეალურია. ემოჯის გამოყენებით ოფერტის გაცხადებისას სამართლებრივი ბოჭვის უპირობო ნება პრობლემური შეიძლება იყოს. თუმცა, ემოჯისთან მიმართებაში ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ბოჭვის ნება ცხადად იშვიათად ვლინდება და საქმის გარემოებებიდან უნდა დადგინდეს. ემოჯის საშუალებით ოფერტზე მონვევა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დანერგილი მეთოდი და ეფექტური მარკეტინგული ხრიკია.

ემოჯის გამოყენებით აქცეპტის გაცხადება უდავო სამართლებრივ მექანიზმად უნდა ჩაითვალოს. მთავარია ხელშეკრულების ოფერტის პირობებით დადებაზე თანხმობა ნათლად ჩანდეს და ადრესატისთვის გასაგები იყოს. აქცეპტის როლი მხოლოდ ისეთმა ემოჯიმ შეიძლება ატაროს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია და პოზიტიური სიგნალის (თანხმობის) მანიშნებელია. წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კომუნიკაციისას ზოგიერთი ემო-

ჯის გამოყენება მხარის ნდობას წარმოქმნის და ხელშეკრულების დადებისკენ მიმართული დადებითი ნიშანია. *Culpa in contrahendo*-ს დოქტრინიდან გამომდინარე ემოჯის განმარტება ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე გამონვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობად შეიძლება იქცეს.

ემოჯის სათანადოდ შეფასება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი და სასამართლო პრაქტიკის სამომავლო გამონვევაა. „მკვდარი გამოსახულებების“ მიღმა მდგარი შინაარსის გამოცნობა განმარტების კლასიკური მეთოდების გარდა, ემოჯისთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხებისა და მიდგომის ცოდნას მოითხოვს. სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეაფასოს სხვადასხვა სისტემების მომხმარებლების მიერ აღქმული ემოჯი, ასევე ემოჯი, რომელიც წინადადების ბოლოსაა დასმული.

დაბოლოს, სტატიაში წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ნაშრომის შესავალში დასმულ საკითხზე პასუხის გაცემა თამამად შეიძლება. ემოჯი უბრალოდ სახუმარო პატარა „ლიმილები“ აღარ არის. ემოჯი კომუნიკაციის ახალი ფორმა და სამართლისთვის ნაკლებად ცნობილი ფენომენია, რომელიც მალე სასამართლო პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

## ГИЯ БАХТАДЗЕ

кандидат юридических наук,

полковник юстиции в отставке

Посвящается светлой памяти достойного человека и гражданина,

прекрасного друга и исследователя истории становления и развития экспертно-криминалистических учреждений Грузии

Реваза Гогшелидзе,

планировавшего вместе со мной совместное написание ряда

научных работ по данному и некоторым иным вопросам

### ЛАЗЕРНЫЕ ТЕХНОЛОГИИ НА СЛУЖБЕ ОБЕСПЕЧЕНИЯ ЗАКОННОСТИ ОБОРОТА ДРАГОЦЕННЫХ КАМНЕЙ

Лазерные технологии нашли широкое применение во многих областях человеческой деятельности, в том числе и в практике борьбы с преступностью<sup>1</sup>, неуклонно нарастающей незаконный оборот драгоценных камней на бескрайних территориях своего всевластия и господства. В этой связи актуализирована важная государственно-правовая задача по приведению указанного оборота в русло реальной законности, без которой сохранность культурно-исторического наследия любой страны, а также кардинальное снижение вероятности подмен, рисков продаж подделок и сбыта краденых самоцветов может оказаться под большим вопросом.

Для примера обратим внимание на Россию, которая обладает блистательным собранием уникальных драгоценных камней и самородков драгоценных металлов, а также изготовленных из них ювелирных и иных изделий, имеющих безграничную исто-

---

<sup>1</sup> Подробнее см., например: Находкин Н.Г. Лазеры в криминалистике и судебных экспертизах / Н.Г. Находкин, В.И. Гончаренко, Г.А. Зыков и др.; под общ. ред. Н.Г. Находкина, В.И. Гончаренко. Киев: Вища шк., 1986. 230, [1] с.; Алексеев В.А. Возможности применения лазеров в криминалистике / В.А. Алексеев, Г.Э. Бахтадзе, С.И. Юран и др. // Известия Самарского научного центра Российской академии наук. 2019. Т. 21. № 1. С. 165-171.

рическую, художественную и материальную ценность. Фактически бесценны, например, всемирно известные алмазы<sup>2</sup> «Орлов» и «Шах» (весом 189,62 и 88,70 карата соответственно), входящие в чарующее собрание Алмазного фонда Российской Федерации. Первый из них был приобретён (1773) фаворитом императрицы Екатерины II (1729-1796)<sup>3</sup>, графом Г.Г. Орловым (1734-1783) за 400 тыс. руб. и подарен ей в день её именин, а позже (1774) украсил императорский скипетр, многократно усилив его парадность. Второй — был преподнесён (1829) в дар императору Николаю I (1796-1855) персидским принцем Хозрев-Мирзой (1813-1875) в искупление вины за кровь бесстрашного русского посла и замечательного поэта А.С. Грибоедова (1795-1829)<sup>4</sup>. Он был зверски убит религиозными фанатиками в Тегеране (столице Ирана) при разгроме русского посольства, а потом предан земле в гроте при церкви Святого Давида на горе Мтацминда<sup>5</sup> в г. Тбилиси по распоряжению

<sup>2</sup> Алмаз, как минерал-самоцвет, изучается в рамках научной минералогии драгоценных камней, во многом обязанной своим появлением выдающемуся учёному древности Аль-Бируни (973-1048) [см.: Бируни Абу Райхан. Собрание сведений для познания драгоценностей (минералогия) / аль-Бируни Абу-Р-Райхан Мухаммед ибн Ахмед; пер. А.М. Беленицкого; ред. Г.Г. Леммлейна, Х.К. Баранова, А.А. Долининой; ст. и примеч. А.М. Беленицкого и Г.Г. Леммлейна. [Л.]: Изд-во АН СССР, [Ленингр. отд-ние], 1963. 518 с.]. Он получил своё название от греческого слова «ἀδάμας» («адамас») — «непобедимый» («непреодолимый»), так как имеет максимальную твёрдость (10), предусмотренную известной минералогической шкалой твёрдости немецкого учёного-минералога Фридриха Мооса (1773-1839) [см. об этом: Соболевский В.И. Замечательные минералы: кн. для учащихся. 2-е изд., доп. М.: Просвещение, 1983. С. 126; Самсонов Я.П. Самоцветы СССР: (справ. пособие) / Я.П. Самсонов, А.П. Туринге; под ред. В.И. Смирнова. М.: Недра, 1985. С. 19-20, 28; Шуман В. *Мир камня: в 2-х т. Т. 1. Горные породы и минералы / пер. с нем. Т.Б. Здорик и Л.Г. Фельдмана*; под ред. и с предисл. Е.Я. Киевленко. М.: Мир, 1986. С. 18].

<sup>3</sup> Здесь и далее по тексту в соответствующих местах указаны года рождения и смерти.

<sup>4</sup> См.: Сокровища Алмазного фонда СССР: [Альбом репродукций избранных экспонатов выставки «Алмазный фонд СССР»] / под общ. ред. Б.А. Рыбакова; авт. ст. Ю.Ф. Дюженко, Е.И. Смирнова; Минфин СССР, Ком. по печати при Совмине СССР. М.: Советский художник, 1967. С. 7, 14, 19, 82—85, 108—109.

<sup>5</sup> В переводе с грузинского — Святая гора.



его супруги, княжны Н.А. Чавчавадзе (1812-1857)<sup>6</sup>, трагическая и беззаветно преданная любовь которой трогательно и талантливо воспета русским поэтом-романистом и прозаиком Я.П. Полонским (1819-1898) в стихотворении «Н.А. Грибоедова», представляющем собой своего рода маленькую исповедь, лирический монолог не только самого автора, но и героини данного произведения<sup>7</sup>. Эти алмазы тщательно и всесторонне изучены специалистами<sup>8</sup>, а их многовековая история обросла легендами и легла в основу сюжетов романов Уилки Коллинза «Лунный камень» и Ю.Н. Тынянова «Смерть Вазир-Мухтара»<sup>9</sup>.

В данной стране критически опасная криминогенная обстановка<sup>10</sup>, многократно усиливающая возможность хищения ценностей и их нелегального оборота на её территории либо контрабандного вывоза за границу для противоправной продажи заинтересованным частым лицам. Проблему усугубляет многовековая

---

<sup>6</sup> Приходилось дочерью грузинского поэта-романтика и общественного деятеля, генерал-лейтенанта Русской императорской армии А.Г. Чавчавадзе (178-1846). Она пережила своего супруга на 28 лет и больше никогда не выходила замуж, не принимала ухаживаний многочисленных поклонников, добивавшихся её расположения, и не снимала траура по своей первой и единственной любви. Умерла в возрасте 44 лет от холеры, ухаживая за больными во время эпидемии. Похоронена рядом с мужем. На церемонии прощания присутствовал практически весь город, который ласково и любя называл её «чёрной розой» Тифлиса.

<sup>7</sup> См.: Полонский Я.П. Н.А. Грибоедова // Полонский Я.П. Лирика; проза / сост., вступ. ст. и коммент. В.Г. Фридлянд. М.: Правда, 1984. С. 198-203.

<sup>8</sup> См., например: Ферсман А.Е. 1) Кристаллография алмаза: сб. работ / ред. и коммент. Д.С. Белянкина и И.И. Шафрановского. М.: Изд-во АН СССР, 1955. С. 451-485; 2) Алмаз «Шех» // Известия Российской академии наук. VI серия. 1922. Т. 16. С. 451-462.

<sup>9</sup> См.: Коллинз Уилки. Лунный камень: роман / пер. с англ. М. Шагинян. М.: Худлит., 1976. 464 с.; Тынянов Ю.Н. Смерть Вазир-Мухтара: [роман о А.С. Грибоедове] / вступ. ст. В. Каверина. М.: Правда, 1988. 464 с.

<sup>10</sup> Подробнее см., например: Лунеев В.В. Правовая система планеты Транай непригодна для России // Российский журнал правовых исследований. 2016. № 2 (7). С. 155-177; Бахтадзе Г.Э. Причины и условия должностной преступности военнослужащих в Российской Федерации // Вестник Волжского университета им. В.Н. Татищева. 2018. Т. 1. № 2. С. 136-146.

и явно гипертрофированная любовь российской знати к золоту и драгоценным камням, «обросшим» мифами и легендами<sup>11</sup>.

Для наглядности вспомним, например, канувшие в Лету XVI—XVIII века, когда царствующие особы России и русская знать, бахвалясь своим исключительно привилегированным социальным и имущественным положением, носила одежду, обувь, головные уборы и украшения, отделанные самыми дорогими и редкими самоцветами в немыслимо чрезмерном избытке.

Чужеземные послы, побывавшие на Руси тех времён, писали, что при виде пышности и роскоши нарядов царской семьи и влиятельных вельмож, униженных невиданным множеством великолепных драгоценных камней, их охватывал «тихий ужас».

На голове царицы Ирины Годуновой († 1603) красовалась ослепительная корона, которая была:

— увенчана 12 равными зубцами-башенками<sup>12</sup>, искусно усеянными огромным количеством карбункулов<sup>13</sup>, алмазов, топазов и круглых гурмыцких жемчугов<sup>14</sup>;

— унизана по всей окружности большими аметистами и сапфирами;

— снабжена с обеих сторон ниспадающими тройными длинными цепями (рясами), составленными из столь драгоценных камней и круглых, больших и блестящих изумрудов, «что их достоинство и ценность были выше всякой оценки»<sup>15</sup>.

---

<sup>11</sup> См., например: Милашев В.А. Алмаз. Легенды и действительность. 2-е изд., перераб. и доп. Л.: Недра, 1981. С. 9-13; Кунц Д.Ф. Драгоценные камни в мифах и легендах / пер. с англ. Л.А. Игоревского. М.: Центрполиграф, 2008. 315, [2] с.

<sup>12</sup> По числу 12 святых апостолов — ближайших учеников Иисуса Христа.

<sup>13</sup> Собирательное название драгоценных камней красного цвета, возникшее в стародавние времена, когда люди ещё не могли определять химический состав минералов и изучать их кристаллическую структуру.

<sup>14</sup> Гурмыцкий (гурмыжский) жемчуг — жемчуг, вывозимый из Ормуза (или Гурмыза) — острова в северной части Ормузского пролива, между Оманским и Персидским заливами.

<sup>15</sup> Забелин И. Домашний быт русского народа в XVI и XVII ст. / соч. И. Забелина: в 2 т. Т. 2: Домашний быт русских цариц в XVI и XVII ст. М.: Тип. Грачёва и К°, 1869. С. 360.

Одежда государыни, осыпанная по краям драгоценными жемчугами, имела длинные рукава и была отделана многими изящными украшениями, в центре которых блистали превосходные самоцветы. В этот наряд органично вписывались как чрезвычайно дорогая мантия царицы, покрытая по краям множеством сапфиров, алмазов и других драгоценных камней, так и её башмаки, цепь (монисто) и диадема (ожерелье), отличавшиеся такой же помпезностью<sup>16</sup>.

Очевидец отмечал, что даже «малейшей части этого великолепия достаточно было бы для украшения десяти государей»<sup>17</sup>.

С супругой царя Алексея Михайловича (1629-1676) случилось досадное недоразумение: «ей пришлось прервать обряд венчания, чтобы снять с себя усыпанный самоцветами наряд, тяжесть которого оказалась ей не под силу»<sup>18</sup>.

Парадный мундир первого сибирского губернатора в Тобольске, князя М.П. Гагарина (1659-1721), обладавшего несметными богатствами и вздёрнутого на виселице под окнами Юстиц-коллегии<sup>19</sup> в Санкт-Петербурге за лихоимство<sup>20</sup>, искрился алмазами, а оклады принадлежащих ему икон были усеяны бриллиантами и по ценам того времени стоили свыше 130 тысяч рублей<sup>21</sup>. Он же

<sup>16</sup> См.: Там же. С. 360-361.

<sup>17</sup> Там же. С. 361.

<sup>18</sup> Шаскольская М.П. Кристаллы. М.: Наука [Гл. ред. физ.-мат. лит.], 1978. С. 49.

<sup>19</sup> Юстиц-коллегия — высший апелляционный суд Российской империи по уголовным и гражданским делам, существовавший в 1718-1786 гг.

<sup>20</sup> Неспроста в художественной литературе М.П. Гагарин, как правило, изображается отрицательно. См., например: Брычков Л.А. Полуденный зной: роман // Капля: лит.-краевед. журн. / гл. ред. Е. Смирнов. — Омск: Диалог-Сибирь. 1995. № 1. С. 3-44; 1995. № 2. С. 7-46; 1995. № 3. С. 7-79; Гранин Д.А. Вечера с Петром Великим: сообщения и свидетельства господина М.: роман. 2-е изд., доп. СПб.: Logos, 2001. 516, [1] с.; Данилевский Г.П. На Индию при Петре I: (1717-1721 гг.): ист. роман // Данилевский Г.П. Соч. (1847-1889 гг.): в 8 т. 6-е изд., доп. Т. 2. СПб: Тип. М.М. Стасюлевича, 1890. С. 1-98.

<sup>21</sup> Для сравнения, например, отметим, что в год введения годовой подушной подати (1724), возложенной при Петре I на крестьян российских губерний для содержания армии, её размер составлял 80 коп. с одной крестьянской души, а позже был снижен

владел самым драгоценным в те времена рубином, а его княжеская карета имела серебряные колёса и запрягалась лошадьми, подкованными золотыми подковами, не говоря уже о его четырёхэтажном дворце в Москве, выстроенном в венецианском стиле по проекту итальянского архитектора Д.М. Фонтана (1670-1712), предусмотревшего в роскошных палатах зеркальные стены и потолки из стёкол, на которых плавали в воде живые рыбы<sup>22</sup>.

На одном из балов императрица Елизавета Петровна (1709-1761), ставшая «истинной и преданной дочерью своего гедонического века с его культом наслаждений и удовольствий»<sup>23</sup>, упала в обморок, так как не выдержала тяжести драгоценных камней, которыми было расшито её эксклюзивное одеяние<sup>24</sup>.

Во время торжественного празднования в Таврическом дворце взятия русскими войсками под командованием А.В. Суворова (1730-1800) Измаила (1790) светлейший князь (с 1776 г.) и фаворит императрицы Екатерины II (1729-1796) генерал-фельдмаршал Г.А. Потёмкин-Таврический<sup>25</sup> (1739-1791), щедро одаренный ею баснословно дорогими подарками, в том числе и двумя роскошными дворцами (Таврическим и Анничковым) в Санкт-Петербурге, был в алом кафтане и епанче (широком длинном плаще) из чёрных

до 74 (1725) и 70 (1727) коп. На государственных крестьян, не плативших помещикам оброка (дани продуктами или деньгами), накладывался дополнительный сбор в размере 40 коп. Посадское население, обременённое подушной податью на содержание флота, вначале (1724) выплачивало 1 руб. 20 коп. Позднее (1725) ставка подати с посадской души была снижена до 1 руб. 14 коп. См.: Толкушкин А.В. История налогов в России. М.: Юристъ, 2001. С. 52.

<sup>22</sup> Подробнее см.: Пыляев М.И. Старое житьё: очерки и рассказы о бывших в отшедшее время обрядах, обычаях и порядках в устройстве домашней и общественной жизни. Изд. 2-ое. СПб.: Тип. А.С. Суворина, 1897. С. 59-66; Бердников Л. Русский Галантный век в лицах и сюжетах: в 2-х кн. Кн. 1. Montreal: Accent Graphics Communications, 2013. 460 с. [Электронный ресурс] // UniversalInternetLibrary.ru: [сайт]. URL: [https://www.universalinternetlibrary.ru/book/70411/chitat\\_knigu.shtml#t9](https://www.universalinternetlibrary.ru/book/70411/chitat_knigu.shtml#t9) (дата обращения: 30.08.2021).

<sup>23</sup> Анисимов Е.В. Елизавета Петровна. 3-е изд. М.: Молодая гвардия, 2002. С. 51.

<sup>24</sup> См.: Шаскольская М.П. Указ. соч. С. 49.

<sup>25</sup> Именно он отдал приказ на штурм турецкой крепости «Измаил» (1790).

кружев, осыпанной бриллиантами. Главное, что на его шляпе этих ювелирно обработанных алмазов было так много, что он с трудом держал её в руке, а позже передал своему адъютанту, нёсшему её вслед за ним<sup>26</sup>.

Впрочем, роскошью и богатством кичились не только венценосные особы и сиятельные лица России, но и других стран многополярного мира. Так, например, по свидетельству современников, элегантные наряды королевы Англии Елизаветы I (1533-1603) были украшены таким количеством драгоценных камней, что она с трудом выходила в них на аудиенции. Не меньшую «изобретательность» проявлял и король Франции Людовик XIV (1638-1715), который во время парадных приёмов иностранных послов фасонил перед ними в одежде, усыпанной бриллиантами на сумму около 12 млн. франков<sup>27</sup>.

В наши дни неистовая тяга к стяжательству продолжает будоражить умы и сердца самых «добропорядочных» и «законопослушных» потомков Адама, вставших на путь систематического совершения должностных и иных преступлений по корыстному мотиву.

На этом фоне, естественно, усилилась настоятельная необходимость существенного совершенствования систем регистрации, учёта и идентификации драгоценных камней, а также подтверждения их физической целостности.

Как видим, это — комплексная, многогранная задача, решение которой, на наш взгляд, следует начинать с широкого внедрения в практику современных достижений науки и техники, новых специальных технологий неинвазивного характера. Например, техносистемы регистрации, учёта и идентификации драгоценных

---

<sup>26</sup> См. об этом: Пыляев *М.И.* Старый Петербург: рассказы из былой жизни столицы / изд. А. С. Суворина. Изд. 2-ое. СПб.: Тип. А.С. Суворина, 1889. С. 310; Шишкин И. Праздник у князя Потёмкина-Таврического (9 мая 1791 г.) // Легенды старого Петербурга / сост., прим. М. Файнштейна. М.: Панорама, 1992. С. 122-131.

<sup>27</sup> См.: Пыляев *М.И.* Драгоценные камни, их свойства, местонахождения и употребление / [Соч.] М.И. Пыляева. СПб.: Изд. С.-Петербург. минерал. об-ва, 1877. С. 4.

камней «Gemprint» («Джемприн»)»<sup>28</sup>, получившей своё название от двух английских слов «gem» — драгоценный камень<sup>29</sup> и «print» — след, отпечаток<sup>30</sup>. Она зародилась в стенах Научно-исследовательского института им. Х. Вейцмана (г. Реховот, Израиль) в начале 70-х годов прошлого века и в своём первоначальном конструктивном исполнении представляла собой автономное устройство, создававшее с помощью фотоаппарата моментальной печати «Polaroid» (США) фотографии лазерных отпечатков драгоценных камней. Своим появлением на свет она обязана:

— уроженцу Ирака, иммигрировавшему в Израиль вместе с родителями в 1950 году в возрасте шести лет, доктору Чарльзу Бар-Исааку (Бар-Иссаку), который при исследовании алмазов (бриллиантов) применил лазерные технологии и принципы Фурье-оптики, а полученные результаты, материализованные в технологии «Gemprint», обобщил в своей докторской диссертации, написанной под руководством израильского физика, профессора Института Вейцмана Шмуэля Штрикмана (1930—2003)<sup>31</sup>. При этом в качестве модели он использовал изысканный кулон в оправе с бриллиантами, полученный его супругой Лилиан от своей матери<sup>32</sup>;

<sup>28</sup> См.: Бахтадзе Г.Э. Обеспечение законности оборота драгоценных камней в Российской Федерации с помощью лазерных технологий // Татищевские чтения: актуальные проблемы науки и практики: матер. XVI Междунар. науч.-практ. конф. (г. Тольятти, 19-20 апреля 2019 г.): в 2 т. Т. 2: Актуальные проблемы юридической науки. Актуальные проблемы социально-экономического развития. Тольятти: Волж. ун-т им. В.Н. Татищева, 2019. С. 88-94.

<sup>29</sup> См.: Большой англо-русский словарь: в 2-х т. [Ок. 150 000 слов] / сост. Н.Н. Амосов, Ю.Д. Апресян, И.Р. Гальперин и др.; под общ. рук. И.Р. Гальперина. 3-е изд., стереотип. Т. 1: А-Л. М.: Рус. яз., 1979. С. 574.

<sup>30</sup> См.: Большой англо-русский словарь: в 2-х т. [Ок. 150 000 слов] / сост. Н.Н. Амосов, Ю.Д. Апресян, И.Р. Гальперин и др.; под общ. рук. И.Р. Гальперина. 3-е изд., стереотип. Т. 2: М-З. М.: Рус. яз., 1979. С. 254.

<sup>31</sup> Подробнее см.: The Fingerprint of a Diamond. — 2014. — 19 мая [Electronic resource] // Weizmann Wonder Wander. Science news and culture: official website. ULR: <https://wis-wander.weizmann.ac.il/space-physics-made-institute/fingerprint-diamond> (дата обращения: 07.11.2021).

<sup>32</sup> После получения докторской степени (1975) Чарльз Бар-Исаак оставил науку и

— коммерческому подразделению Института Вейцмана Yeda Research and Development Company Ltd.<sup>33</sup>, благодаря стараниям которого удостоилась патента<sup>34</sup> и лицензирования для коммерческого производства в Израиле и некоторых других странах мира, а также последующего широкого применения в алмазной промышленности;

— запатентованным техническим решениям, которые по своей глубинной сути представляют собой аналоги и прототипы технологии «Gemprint»<sup>35</sup>.

Свой существенно модернизированный вид означенная технология получила за счёт использования новейших цифровых, компьютерных, лазерных технологий и интерактивного автоматизированного сканирующего устройства в виде специально разработанного прибора «Gemprint», позволяющего оперативно проверять драгоценный камень и, в частности, алмаз (бриллиант) на соответствие предъявляемым требованиям, а главное, фиксировать

---

предпочёл карьеру фотографа. Позже он покинул Израиль и поселился в Лондоне вместе с Лилиан и тремя их детьми.

<sup>33</sup> Оно имеет эксклюзивное соглашение о коммерциализации уникальной интеллектуальной собственности, разработанной учёными названного Института на основе фундаментальных исследований в области естественных и точных наук.

<sup>34</sup> См.: Pat. 3947120 US. Int. Cl.2 G01N 21/00. Gem identification / Inventors: *Ch. Bar-Issac, E. Frei, Sh. Shtrikman*; assignee: Yeda Research and Development Co. Ltd., Rehovot, Israel. Appl. № 511383; filed: Oct. 2, 1974; date of Patent: Mar. 30, 1976. 9 p.

<sup>35</sup> См., например: Pat. 1799604 US. Int. Cl. G01N 33/381. Method and apparatus for identifying crystals / Inventor end assignee: *F. F. Read*. Appl. № 146057; filed: Nov. 3, 1926; date of Patent: April 7, 1931. 8 p.; Pat. 3715165 US. Int. Cl. G01b 11/30, 11/00. Investigating the topography of reflecting surfaces / Inventor: *F. H. Smith*; assignee: *Vickers Ltd.*, Millbank, London, England. Appl. № 150655; filed: June 7, 1971; date of Patent: Feb. 6, 1973. 10 p.; Pat. 3740142 US. Int. Cl. G01n 21/00. Apparatus for discriminating and/or identifying jewels / Inventor: *Y. Takubo*; assignee: *F. Suruki* and *Y. Takubo*, both of Tokyo, Japan. Appl. № 46724; filed: June 16, 1970; date of Patent: June 19, 1973. 9 p.; Pat. 3858979 US. Int. Cl. G01n 21/22. Method of determining the properties of a jewelry stone and apparatus for this method / Inventor: *M. Elbe*; assignee: *Colorant Schmuckstein GmbH, Norderstedt, Germany*. Appl. № 292417; filed: Sept. 26, 1972; date of Patent: Jan. 7, 1975. 7 p.

его уникальные особенности (параметры огранки и симметрии) в идентификационных целях. При этом следует отметить, что:

— бриллиант (от фр. brillant — «блестящий, сверкающий») — это природный алмаз<sup>36</sup>, которому с помощью обработки (огранки) придана специальная форма, предельно раскрывающая его естественный блеск<sup>37</sup>;

— идеальную бриллиантовую огранку, максимально обеспечивающую проявление оптических свойств алмаза, математически обосновал бельгийский ювелир-геммолог и математик Марсель Толковски (1899-1991), фундаментальный труд которого «Дизайн бриллиантов» (1919) актуален до сих пор<sup>38</sup>;

— бриллианты оценивают по системе «4 С» [cut (огранка),

<sup>36</sup> Этот замечательный минерал, впервые упомянутый на Руси в знаменитых путевых записях тверского купца Афанасия Никитина «Хождение за три моря» (1466—1472) [см.: Никитин Афанасий. Хождение за три моря Афанасия Никитина. 1466—1472 гг. / отв. ред. чл.-кор. АН СССР В.П. Адрианова-Перетц. 2-е изд., доп. и перераб. М.; Л.: Изд-во АН СССР [Ленингр. отд-ние], 1958. С. 22, 24—26, 28 и др.], достаточно хорошо изучен и раскрыт в работах отдельных авторов [см., например: Щеглов Н. О драгоценных камнях и способах распознавания оных / [Соч.] Н. Щеглова. СПб.: Тип. Мед. департамента МВД, 1824. С. 40—63; Ферсман А.Е. 1) Кристаллография алмаза: сб. работ / ред. и коммент. Д.С. Белянкина и И.И. Шафрановского. М.: Изд-во АН СССР, 1955. 566 с.; 2) Рассказы о самоцветах / АН СССР. М.: Изд-во АН СССР, 1961. С. 213—228; Шафрановский И.И. Алмазы. М.; Л.: Наука [Ленингр. отд-ние], 1964. 174 с.; Гомон Г.О. Алмазы: оптические свойства и классификация. М.; Л.: Машиностроение [Ленингр. отд-ние], 1966. 147 с.; Орлов Ю.Л. Минералогия алмаза / АН СССР. Минерал. музей им. А.Е. Ферсмана. М.: Наука, 1973. 223 с.; Васильев Л.А. Алмазы, их свойства и применение / Л.А. Васильев, З.П. Белых. М.: Недра, 1983. 101 с.; Смит Г. Драгоценные камни / пер. с англ. А.С. Арсанова и Б.А. Борисова. 2-е изд., перераб. М.: Мир, 1984. С. 254—264].

<sup>37</sup> Об обработке алмазов в бриллианты подробнее см., например: Епифанов В.И. Технология обработки алмазов в бриллианты: учеб. / В.И. Епифанов, А.Я. Песина, Л.В. Зыков. 2-е изд., перераб. и доп. М.: Высш. шк., 1976. 319 [1] с.; Щербань Л.М. Огранка алмазов в бриллианты: учеб. пособие / ред. Л.Е. Канивец, Т.В. Матийко. Киев: Вища шк. Головное изд-во, 1988. 200 с.

<sup>38</sup> См.: *Tolkowsky M. Diamond design. A study of the reflection and refraction of light in a diamond.* London: E & F. N. Spon, Ltd.; New York: Spon & Chamberlain; Printed in Great Britain by Neill and Co., Ltd., Edinburgh, 1919. 104 p.



clarity (чистота), color (цвет) и carat (масса в каратах<sup>39</sup>)], позволяющей определять степень их близости к совершенству<sup>40</sup>;

— каждый алмаз (бриллиант) имеет свой уникальный «gemprint» (сугубо индивидуальную карту распределения световых бликов, подменить или перепутать которую просто невозможно<sup>41</sup>), сравнимый по своей неповторимости с отпечатками пальцев человека или со снежинкой, которая инвариантно отличается от любой другой по кристаллическому строению<sup>42</sup>;

— двух камней с полностью одинаковой огранкой, полировкой и набором дефектов в мире не существует.

По сути, технология «Gemprint» позволяет:

— записывать и сохранять в электронной базе данных (электронном хранилище) уникальный оптический «отпечаток» каждого алмаза (бриллианта), всех его граней, возникающий в результате отражения направленного на него и преломляющегося в нём лазерного луча малой мощности<sup>43</sup>;

— по запросу оператора оперативно сопоставлять «gemprint» идентифицируемого алмаза (бриллианта) с оптическими «отпечатками» аналогичных драгоценных камней из электронной базы данных, выявлять необходимые для идентификации точки совпадения и осуществлять их квантификацию, на основе результатов которой решать вопрос по существу;

---

<sup>39</sup> Один карат эквивалентен 0,2 грамма.

<sup>40</sup> См. об этом: Пагель-Тайзер Верена. Оценка бриллиантов. Качественная оценка цвета, чистоты, огранки и веса: рук. по оценке бриллиантов / пер. с англ. СПб.: Тип. АО «Символ», 1996. 212 с.; Рид Питер Г. Геммология / пер. с англ. Е.А. Седовой; под ред. Ю.П. Солодовой. М.: Мир: АСТ, 2003. С. 298-301.

<sup>41</sup> См.: Баранник Л. Время проверять камни // Гильдия ювелиров России. 2015. № 5. С. 43.

<sup>42</sup> См.: *Smillie Ian*. Blood on the Stone. Greed, Corruption and War in the Global Diamond Trade. London; New York; Delhi: Anthem Press; Ottawa, Canada: International Development Research Centre, 2010. P. 181.

<sup>43</sup> При значительной повторной огранке алмаза, неизменно сопровождаемой потерей им веса, его «Gemprint» становится недействительным и, естественно, подлежит перерегистрации.

— снимать на цветную плёнку дифракционную картину, возникающую при лазерном облучении огранённой поверхности исследуемого драгоценного камня, и визуализировать её в случаях необходимости в виде фотоизображения;

— «отличить алмаз от имитаций по картинам отражения света гранями камней с различным внутренним строением и типом огранки»<sup>44</sup>;

— работать не только с алмазами (бриллиантами), но и с некоторыми другими камнями высокой степени блеска и прозрачности (например, с сапфирами и топазом);

— обеспечивать законность перемещения драгоценных камней по территории страны либо в зонах таможенного контроля и контрольно-пропускных пунктах пропуска людей, транспортных средств и товаров через её государственную границу;

— идентифицировать похищенные и утерянные драгоценные камни при их обнаружении, а также при попытках контрабандного вывоза за границу;

— определять добропорядочность ювелиров при возврате драгоценных камней их законным владельцам после ремонта ювелирных изделий (например, после чистки этих камней или изготовления для них оправы);

— устанавливать подлинность драгоценных камней при проверке информации об их подмене;

— подтверждать добросовестность приобретательства и правомерность владения драгоценными камнями в ходе оспаривания прав собственности на них при разрешении гражданско-правовых споров;

— возвращать утерянные или украденные бриллианты их законным владельцам.

Иными словами, технология «Gemprint»<sup>45</sup>, бесспорно, спо-

---

<sup>44</sup> Корнилов Н.И. Ювелирные камни / Н.И. Корнилов, Ю.П. Солодова. 2-е изд., перераб. и доп. М.: Недра, 1986. С. 84.

<sup>45</sup> Данная технология выходит за рамки традиционного определения драгоценных камней, достаточно обстоятельно изложенного в работах отдельных авторов [см.,

собствует законности оборота драгоценных камней, а значит, официальное признание, которое она получила в США, Канаде и некоторых других странах мира в контексте формирования надёжных, эффективных, достоверных, объективных и неопровержимых судебных доказательств, многократно фигурирующих даже в обвинительных приговорах, оправданно и вполне заслуженно. Это признание зародилось в 1983 году, когда Окружной суд Сан-Диего (США) принял знаменательное решение, причислив идентификацию бриллиантов с использованием озвученной технологии к допустимым средствам доказывания (доказательствам) по уголовным и гражданским делам территориальной юрисдикции Америки [People vs. Maki of California et. al (San Diego, 1983)].

Однако в странах бывшего СССР, в том числе и в Грузии, возможности этой технологии на государственном уровне всё ещё не задействованы<sup>46</sup>, а попытки отдельных авторов внести ясность в этот актуальный вопрос<sup>47</sup>, потенциально связанный с реализацией рационального предложения о выделении экспертизы камней-самоцветов и их имитаций в самостоятельный вид экспертных исследований в рамках КЭМВИ (криминалистической экспертизы материалов, веществ и изделий)<sup>48</sup>, оставлены без внимания.

например: Андерсон Б.У. Определение драгоценных камней: пер. с англ. Л.В. Булгака; под ред. В.П. Петрова. М.: Мир, 1983. 456 с.].

<sup>46</sup> На всём постсоветском пространстве функционирует только одно частное российское учреждение, применяющее технологию «Gemprint». Это ООО «Московская геммологическая лаборатория» (г. Москва), существующее с 2010 г. и уже имеющее свою клиентуру, как правило, лично заинтересованную в использовании его передового научно-технического потенциала.

<sup>47</sup> См.: Григорович В.Л. 1) Применение оптической голографии в криминалистической регистрации // Вестник Полоцкого государственного университета. Серия D. Экономические и юридические науки. 2009. № 10. С. 183-184; 2) Использование оптической голографии в криминалистической регистрации // Вестник Сибирского юридического института ФСКН России. 2012. № 2 (11). С. 78-79; Бахтадзе Г.Э. Возможности обеспечения законности оборота драгоценных камней с помощью лазерных технологий // Актуальные проблемы правоведения. 2020. № 2 (66). С. 16-21.

<sup>48</sup> См.: Иванов В.И. Экспертное исследование природных и синтезированных камней-

На этой волне заслуживает одобрения деятельность Ижевского государственного технического университета имени М.Т. Калашникова, представители которого совсем недавно предложили свой вариант контроля оборота и идентификации алмазов (бриллиантов)<sup>49</sup>, основанный:

□ на обязательном наличии в каждом из них исключительно индивидуального, а значит, только ему присущего сочетания (набора) вполне конкретных микроскопических и макроскопических дефектов различного характера;

□ на дефектоскопии их кристаллов, то есть на выявлении и фиксации путём визуализации изображения и внесения в электронный (цифровой) паспорт изделия (прикрепления к нему) уникальной светотеневой картины (карты) распределения в нём этих дефектов (в виде самобытных теней разных форм и размеров), обнаруживаемых при прохождении через него лазерного когерентного излучения с заданной длиной волны<sup>50</sup>;

---

самоцветов и их имитаций // Новые разработки и дискуссионные проблемы теории и практики судебной экспертизы: экспресс-информ. / отв. ред. Д.Я. Мирский. М.: ВНИИСЭ, 1986. Вып. 3. С. 4—6.

<sup>49</sup> См.: Палабугин М.В. 1) Лазерная система сканирования структуры драгоценных камней / М.В. Палабугин, В.П. Усольцев // Приборостроение — 2020: матер. 13-й Междунар. науч.-техн. конф. (г. Минск, 18-20 ноября 2020 г.) / БНТУ; редкол.: О.К. Гусев (пред.) [и др.]. Минск: БНТУ, 2020. С. 402-403; 2) Разработка базы данных дефектов драгоценных камней / М.В. Палабугин, В.П. Усольцев // Новые направления развития приборостроения: матер. 13-й Междунар. науч.-техн. конф. молодых учёных и студентов (г. Минск, 15—17 апреля 2020 г.) / БНТУ; редкол.: О.К. Гусев (пред.) и [др.]. Минск: БНТУ, 2020. С. 35—36; 3) Разработка системы промышленного сканирования бриллиантов / М.В. Палабугин, В.П. Усольцев // Интеллектуальные системы в производстве. 2021. Т. 19. № 2. С. 20—24; Усольцев В.П. Методы дефектоскопии кристаллов драгоценных камней / В.П. Усольцев, М.В. Палабугин // Актуальные вопросы и перспективы развития науки, техники и технологии: матер. Междунар. науч.-практ. конф. (г. Чистополь, 27 марта 2020 г.) / ЧУДПО «НИОЦ»; под ред. Е.А. Назарова. Чистополь; Казань: ЧУДПО «НИОЦ»; ООО ПК «Астор и Я», 2020. С. 64—69.

<sup>50</sup> Полную карту распределения имеющихся в кристалле дефектов можно получить и за счёт использования дорогостоящего метода рентгеновской топографии, крайне

□ на использовании в этих целях специально разработанной сканирующей лазерной установки, которая:

— состоит из лазерного источника, оптики, расширяющей лазерный пучок до размеров, сопоставимых с исследуемым объектом, и ячеистого экрана, показывающего распределение теней (карту) дефектов сканируемого кристалла;

— снабжена универсальным программным и аппаратным обеспечением, гарантирующим простоту, доступность и стабильность её работы;

□ на успешном опознании и отождествлении идентифицируемого кристалла при совпадении теневой картины (карты) его дефектов с уже имеющимся в базе данных распределением теней.

При этом:

□ для повышения эффективности реализации указанного способа составлена база данных самых распространённых и характерных для алмазов (бриллиантов) дефектов;

□ для удобного и быстрого поиска дефектов по данной базе предложена иерархическая система их упорядочения (по формам, размерам и расположению);

□ точность представленного способа зависит от длины волны лазерного излучения (по мере её уменьшения возрастает чёткость распознавания и чистота исследования мелких дефектов), минимальных размеров изъянов, присутствующих в исследуемом объекте, точности измерений и некоторых других причин;

□ достоверность соответствующих исследований оценивается исходя из идентичности ширины спектральной линии используемого лазера при первичном и повторном сканировании.

Правда, данный способ ещё не прошёл сравнительных экспериментальных исследований с технологией «Gemprint» и не апробирован в практике, в связи с чем состоятельность и целесообразность его внедрения в практическую деятельность нуждается в подтверждении.

Есть ещё одно инновационное техническое решение, пред-

---

судно обеспеченного соответствующими установками для его реализации.

ставяющее собой определённый практический интерес в свете обеспечения законности оборота драгоценных камней с помощью лазерных технологий. Оно:

□ основано на подповерхностной лазерной маркировке алмазов (бриллиантов) в опознавательных целях, наносимой в их кристаллическую решётку на атомарном уровне в виде мерных кодов аутентификации, состоящих из микроскопических точечных идентификационных меток (знаков), которые:

— вписываются путём использования управляемых лазерных импульсов;

— обнаруживаются и считываются (вместе с заложенной в них разновидности информацией) при задействовании микроскопов с высокой разрешающей способностью или специально созданных сканеров (считывающих устройств);

□ исключает вероятность подделки данных меток, так как обеспечивает их образование не на наружной поверхности алмазов (бриллиантов), а под ней, в их толще, отделённой от неё промежуточным защитным слоем, устраняющим саму возможность их уничтожения или полировки без причинения внешней стороне меченых драгоценных камней значимых и необратимых повреждений;

□ существенно превосходит хорошо известную лазерную маркировку (гравировку) драгоценных камней, наносимую исключительно на их поверхность с помощью различных, в том числе и специально разработанных, лазеров, лазерных систем и методов<sup>51</sup>, при которой вписанные знаки (метки) можно подвергнуть

<sup>51</sup> См., например: Pat. 4392476 US. Int. Cl.3 B28D 5/00. Method and apparatus for placing identifying indicia on the surface of precious stones including diamonds / Inventors: H.D. Gresser, G. Kaplan, J. Nussenbaum; assignee: Lazare Kaplan & Sons, Inc., New York, N.Y. Appl. № 220195; filed: Dec. 23, 1980; date of Patent: Jul. 12, 1983. 8 p.; Pat. 5753887 US. Int. Cl.6 B23K 26/00. Apparatus for laser engraving indicia on gemstones / Inventors: J. Rosenwasser, J. Geswelli, T. Knichel; assignee: Engraving Technologies, Inc., Horsham, Pa. Appl. № 442219; filed: May 16, 1995; date of Patent: May 19, 1998. 6 p.; Pat. 5932119 US. Int. Cl.6 B23K 26/00. Laser marking system / Inventors: G.R. Kaplan, A. Shachrai, O. Anner, L. Gurvich; assignee: Lazare Kaplan International, Inc., New York, N.Y. Appl. №

поверхностной обработке и заполировать, а вместо них незаконно нанести новые;

☐ связано с работами по лазерному мечению знаков в объёме (толще) прозрачных материалов с помощью специально созданных для этих целей устройств<sup>52</sup>;

☐ реализуется в различных вариациях, разработанных заинтересованными лицами и организациями<sup>53</sup>, в том числе российской

---

08/690309; filed: Jul. 30, 1996; date of Patent: Aug. 3, 1999. 35 p.; Pat. 6624385 US. Int. Cl.7 B23K 26/36. Method for marking gemstones with a unique micro discrete indicia / Inventors: *D.L. Patton, J.P. Spoonhower*; assignee: Eastman Kodak Company, Rochester, NY (US). Appl. № 10/027016; filed: Dec. 21, 2001; date of Patent: Sep. 23, 2003. 13 p.; Pat. 6684663 US. Int. Cl.7 A44C 17/00. Microinscribed gemstone / Inventors: *G.R. Kaplan, A. Shachrai, O. Anner, L. Gurvich*; assignee: Lazare Kaplan International, Inc., New York, N.Y. Appl. № 10/237329; filed: Sep. 6, 2002; date of Patent: Feb. 3, 2004. 32 p.; Pat. 6713715 US. Int. Cl.7 B23K 26/03. Method and system for laser marking a gemstone / Inventors: *C.P. Christensen, S.P. Wright*; assignee: Potomac Photonics, Inc., Lanham, MD (US). Appl. № 10/045165; filed: Jan. 15, 2002; date of Patent: Mar. 30, 2004. 7 p.

<sup>52</sup> См., например: А. с. 321422 СССР, МПК В 44d 1/50, С 03с 23/00. Способ изготовления декоративных изделий / В.В. Агаджанов, В.И. Гостев, В.В. Груздев и др. № 1404545/29-33; заявл.16.02.1970; опубл. 19.11.1971, Бюл. № 35. 1 с.; Пат. 2008288 РФ, МПК5 С 03 С 23/00. Способ лазерного формирования изображений в твёрдых средах / С.В. Ошемков; заявитель ЛГУ; патентообладатель СПбГУ. № 4942705/33; заявл. 23.04.1991; опубл. 28.02.1994. 6 с.; Пат. 5206496 US. Int. Cl.5 G06K 7/10. Sub-surface marking / Inventors: *R.M. Clement, N.R. Ledger, R.P. Sunman*; assignee: United Distillers, PLC, England. Appl. № 745170; filed: Aug. 15, 1991; date of Patent: Apr. 27, 1993. 12 p.; Пат. 2123480 РФ, МПК6 С 03 С 23/00. Способ лазерного формирования изображения в прозрачных образцах (его варианты) / автор, заявитель и патентообладатель О.М. Ефимов. № 96110546/03; заявл. 27.05.1996; опубл. 20.12.1996. 6 с.; *Glezer E.N.* 1) Three-dimensional optical storage inside transparent materials / *E.N. Glezer, M. Milosavljevic, L. Huang et al.* // Optics Letters. 1996. Vol. 21. № 24. P. 2023—2025; 2) Ultrafast-laser driven micro-explosions in transparent materials / *E.N. Glezer, E. Mazur* // Applied Physics Letters. 1997. Vol. 71. P. 882—884; Пат. 2243102 РФ, МПК7 В 44 С 5/00, С 03 С 23/00. Способ формирования изображений и устройство для его осуществления / П.В. Агринский, Ю.В. Астраханцев, А.М. Шилин; заявитель и патентообладатель ЗАО «ГруппСтайл» (РФ). № 2001130323/28; заявл. 12.11.2001; опубл. 27.12.2004. 13 с.

<sup>53</sup> См., например: Pat. 4467172 US. Int. Cl.3 B23K 27/00. Method and apparatus for laser engraving diamonds with permanent identification markings / Inventors: *J. Ehrenwald*,

горнорудной акционерной компанией «АЛРОСА»<sup>54</sup>, лидирующей в мировой отрасли добычи алмазов, и британской инновационной компанией «Opsydia»<sup>55</sup>, успешно работающей над проблемами безопасности в алмазной промышленности.

Однако данный способ менее предпочтителен, ибо сопряжён с обязательным внедрением в объём алмаза (бриллианта) инородных включений в виде непрозрачных точечных меток (микроструктур), фактически изменяющих его исходное состояние. Более того, чтобы данная процедура не привела к ухудшению внешнего вида маркируемого кристалла (к причинению его наружной поверхности какого-либо необратимого оптического повреждения), а, следовательно, и к снижению его денежной стоимости, необходимо соблюдать целый ряд условий, в том числе:

— разумный выбор некоторых ключевых параметров процесса управляемой маркировки (энергии и длительности лазерных импульсов, эффективной числовой апертуры фокусирующего объектива и пространственного качества лазерного луча);

---

*C.B. Miller, Jr.*; assignee: *J. Ehrenwald*. Appl. № 455329; filed: Jan. 3, 1983; date of Patent: Aug. 21, 1984. 6 p.; *Ashcom J.B.* The role of focusing in the interaction of femtosecond laser pulses with transparent materials: Doctor's thesis of Philosophy in the subject of Physics / *Jonathan Benjamin Ashcom*; Harvard University. Cambridge, Massachusetts, 2003. P. 81—97; Пат. 2357870 РФ, МПК В44В 7/00, В28Д 5/00, G01N 21/87 (2006.01). Способ и система для лазерного мечения драгоценных камней, таких как алмазы / В. Баррон, Б. Бурлиаге, М. Левеске и др. (СА); патентообладатель Интернетшнел Джемстоун Реджистри Инк. (СА). № 2007135628/03; заявл. 26.08.2005; опубли. 10.06.2009, Бюл. № 16. 41 с.

<sup>54</sup> См.: АЛРОСА представляет революционную технологию наномаркировки для трейсинга бриллиантов и алмазов: информ. сообщ. 2021. 6 июля [Электронный ресурс] // АК «АЛРОСА» (ПАО): офиц. сайт. URL: <http://www.alrosa.ru/> (дата обращения: 01.10.2021).

<sup>55</sup> См.: Securing the identity of diamonds [Electronic resource] // Opsydia Ltd.: official website. URL: <https://opsydia.com/> (дата обращения: 01.10.2021); Шишло А. Подповерхностный лазер для безупречной идентификации бриллиантов: информ. сообщ. 2021. 20 января [Электронный ресурс] // АО «AGD Diamonds» (RU); Rough&Polished Russia: отасл. эксперт.-аналит. а-во: офиц. сайт. URL: <https://www.rough-polished.com/ru/news/120020.html> (дата обращения: 01.10.2021).



— определённую осторожность, поскольку требуемые интегральные плотности оптического потока могут вызвать повреждения на поверхности маркируемого объекта до того, как метки-идентификаторы будут вписаны в его объём.

Итак, на основании изложенного можно сделать следующие краткие выводы:

1) по состоянию на сегодняшний день самой проверенной, эффективной и востребованной неразрушающей технологией, гарантирующей контроль оборота и идентификацию драгоценных камней [алмазов (бриллиантов)], является интеллектуальная интегрированная система «Gemprint», продуктивно используемая в США, Канаде и некоторых других странах многополярного мира на протяжении многих лет;

2) апробированных практикой разработок, конкурирующих на равных началах с данной технологией, ещё не имеется, в связи с чем в Грузии, как и в других странах бывшего СССР, актуализирована целесообразность создания, внедрения и продажи заинтересованным иностранным государствам ультрасовременных технологий, превосходящих по своим основным тактико-техническим характеристикам технологию «Gemprint»;

3) до создания отечественных прорывных технологий такого рода законно использовать интеллектуальную интегрированную систему «Gemprint», обеспечивающую насущное решение искомым задач в рамках текущего состояния науки и техники;

4) регистрацию и учёт (с формированием электронных картотек) драгоценных камней с использованием технологии «Gemprint», а значит, с обязательным получением и введением в электронную базу данных их изображений и оптических «отпечатков», целесообразно:

— вести в рамках централизованной автоматизированной информационно-поисковой системы «Драгоценные камни», которую следует создать, постоянно поддерживать и своевременно пополнять на базе центрального аппарата МВД<sup>56</sup>;

---

<sup>56</sup> Эта задача может быть решена и с помощью автоматизированной информационно-

— синхронизировать с адекватными базами данных зарубежных стран в рамках международного сотрудничества в сфере незаконного оборота драгоценных камней. Например, с международным реестром «Gemprint®» или электронной картотекой корпорации «Gemprint®», насчитывающей, по данным В.Л. Григоровича (без поправки на сегодняшний день), свыше 200 тысяч оптических «отпечатков» различных драгоценных камней<sup>57</sup>;

5) электронная база данных с изображениями и оптическими «отпечатками» драгоценных камней должна носить универсальный и открытый международный характер, позволяющий национальным, международным правоохранительным органам и организациям, геммологам, ювелирам, собственникам и другим заинтересованным лицам различных стран брэнного мира черпать необходимую информацию для решения возникающих перед ними задач в режиме реального времени в сети Интернет;

6) уже сейчас:

— процессуально грамотное закрепление и вовлечение в процесс доказывания, в сферу продуктивных рычагов раскрытия и расследования преступлений результатов использования экспертами-геммологами технологии «Gemprint» расширит доказательственную базу и повысит эффективность расследования конкретных уголовных дел, связанных с противоправным оборотом драгоценных камней, а значит, качество противоборства полномочных органов с уголовно-наказуемыми деяниями указанной направленности;

— при оспаривании прав собственности и разрешении гражданско-правовых споров добросовестность приобретательства и правомерность владения драгоценным камнем может быть проверена и подтверждена его действительным владельцем с помо-

---

поисковой системы «Антиквариат», действующей на базе указанного силового ведомства в некоторых странах бывшего Советского Союза.

<sup>57</sup> См.: Григорович В.Л. 1) Применение оптической голографии в криминалистической регистрации. С. 184; 2) Использование оптической голографии в криминалистической регистрации. С. 78.

щью электронной базы «Gemprint», настоятельная необходимость создания которой в странах бывшего СССР, в том числе и в Грузии, на наш взгляд, очевидна и сомнений вызывать не должна;

7) предложение о выделении экспертизы камней-самоцветов и их имитаций в самостоятельный вид экспертных исследований в рамках КЭМВИ (криминалистической экспертизы материалов, веществ и изделий) заслуживает поддержки и внедрения в судебную-экспертную практику.

## VIII. სამართლის ისტორია

### გონა ფერაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი

### პირველი ქართველი პროკურორები

(XIX საუკუნის I მემოქმედი)

პროფესორი რევაზ გოგშელიძე ქართველ იურისტთა იმ ნიჭიერ თაობას ეკუთვნის, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებში გამოვიდა სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე და ჩვენ, ჯერ კიდევ სტუდენტებს, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული მოვალეობისადმი ერთგულებით, კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით დაგვამახსოვრა თავი. დღემდე ძვირფას მოგონებად მრჩება შეხვედრები უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსში სისხლის სამართლის პროცესის კათედრაზე, კრიმინალისტიკის სახელდახელოდ გამართულ ლაბორატრიასა (სადაც ყველაფერს მისი ხელი ეტყობოდა), თუ ბიბლიოთეკაში. ხანგრძლივი და ძალზედ ნაყოფიერი დისკუსიები მასთან, როგორც პედაგოგთან და როგორც უფროს მეგობართან, ცხოვრებისეულ, გასული საუკუნის 80-იან წლებში ესოდენ აქტუალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იშვიათად შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ასე უხვად ჰქონდეს მომადლებული გასაოცარი ნიჭი გაითავისოს სხვისი სატკივარი, დაგეხმაროს მის დაძლევაში და ეს ყველაფერი გააკეთოს ისე მაღლიანად, თითქოსდა ზეციდან, თვით შემოქმედისგან იყოს დავალებული. მოხარული ვარ და მეტიც, ჩემთვის დიდი პატივია ვმონაწილეობდე ძვირფასი მეგობრისა და კოლეგის, პროფესორ რევაზ გოგშელიძის, ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის გამოცემაში.

ჩვენი დროის დიდ შემომქმედზე, ბატონ ოთარზე რომ არაფერი

ვთქვათ, ჭილაძეების გვარის მდიდარი ისტორიული წარსულის შესახებ პროკურატურის ისტორიაზე მუშაობის დაწყებამდეც მქონდა გარკვეული წარმოდგენა. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, ლადო ასათიანის ლექსის მაღლსა<sup>1</sup> და ღვინით სავსე პირველი ჭიქის სურნელს შემოყვა ჩემი და არაერთი ჩემი თანატოლის ცხოვრებაში „ჭინჭილაზე იერიშის მიმტანი“ შედან ჭილაძის ისტორია. მისი განთქმული თამაღობისა და მასთან ჯიბრობისას, ალკოჰოლის მოჭარბებულ რაოდენობას გადაყოლილი, თვით ირანის შაჰის სეფი I-ის (1611-1642 წ.წ.) ამბავი.<sup>2</sup> მოგვიანებით ისიც შევიტყვეთ, რომ დიდ ფეოდალს არც სუფრის მიღმა, სამეურნეო თუ საბრძოლო ასპარეზზე შეურცხვევინია თავი. წინდახედული მეურნეც ყოფილა და მის სამფლობელოში მდებარე, ერთ-ერთი უძველესი შხეფის ციხე-სიმაგრის აღდგენა-გამაგრებისთვისაც გვარიანად გარჯილა. აღნიშნულს, ამ ისტორიული კომპლექსის კოშკზე შემორჩენილი წარწერაც ადასტურებს, რომ: „კოშკი ესე კარისთუვალი შედან აღაშენა“.<sup>3</sup> თავის საქვეყნოდ ცნობილ ჩანაწერებში, „საქართველოს სამეფოში ყველაზე დიდ თავადად მოიხსენიებს“ შედან ჭილაძეს (Scedan Cilazé), იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელიც.<sup>4</sup>

„საჭილაოს“ მფლობელთა გავლენასა და სიძლიერეს უსვამდა ხაზს ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელმაც საკუთარ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართ-

---

<sup>1</sup> „...როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, მაშინ გულბათა ჭავჭავაძე გადაირია, გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე.“ იმედია, კიდევ არაერთ თაობას აუჩქროლებს სისხლს დიდი მგოსნის მიერ მატერიალურ სამყაროში გადმოტანილი ქართული სიტყვის მაღლი და მისი წყალობით გაცოცხლებული სასიქადულო მამულიმფილისა და განთქმული თამაღის გულბათა ჭავჭავაძის თავს გადამხდარი ეს სამხიარულო ისტორია.

<sup>2</sup> არქანჯელო ლამბერტი - „სამეგრელოს აღწერა“, ლევიან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, იტალიურიდან თარგმნა ალ.ჭყონიამ, თბ. 1938წ., თავი VIII, პურის ჭამა და წვეულობა, გვ.42-50.

<sup>3</sup> ვ.სილოგავა, რუსთაველის ეპოქის ერთი ეპიგრაფიკული ლექსი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1984წ., N47.

<sup>4</sup> დონ კრისტოფორო დე კასტელი - „ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ“, თბ., „მეცნიერება“, 1976წ., გვ.100.

ველოსანი“, ამ ძირძველი საფეოდალო სახლის წარმომადგენლები იმერეთის დიდებულთა უწარჩინებულეს გვარებს შორის მოიხსენიან.<sup>5</sup> ფეოდალური საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ქალბატონი ოლღა სოსელია კი, ვინმე კახუტა ჭილაძეს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, წერეთლებზე უფრო გავლენიან და დიდი ძალაუფლების მქონე თავადებს შორის ასახელებდა.<sup>6</sup>

შედან ჭილაძის თანამედროვე გახლდათ შუა საუკუნეების საქართველოში თავისი მიღწევებითა თუ, დაუნდობლობით გამორჩეული, სამეგრელოსა, და იყო დრო, მთელი დასავლეთ საქართველოს ბედის განმსაზღვრელი მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წ.წ.). მისმა, მართალია ცოდვილმა, მაგრამ ჭილაძის ქალისადმი (ჩილაზზე) უთუოდ დიდი სიყვარულის ამბავმა საუკუნეებს გაუძლო და დღემდე ერთ პიროვნებაში ბოროტისა და კეთილის, ნათელისა და ბნელის თავსებადობის იშვიათ გამოვლინებად რჩება.

საკუთარ ბიძასა და გამზრდელს, გიორგი ლიპარტიანს წაართვა ლევანმა ახალგაზრდა მეუღლე ნესტან-დარეჯანი და მის მიმართ გასაოცარი ერთგულება გამოიჩინა. თანამეცხედრის ყველა თხოვნასა თუ, მოთხოვნას ასრულებდა. ავადმყოფობისა და გარდაცვალების შემდეგ (1639 წ.) კი, მისი სულის მოსახსენიებლად ქართულ ეკლესია-მონასტრებს როგორც, ქვეყნის შიგნით ისე, მის საზღვრებს გარეთ დიდძალი თანხები შესწირა.<sup>7</sup> შეაკეთა მის სამფლობელოში მდებარე მრავალი ტაძარი. 1643-1649 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, ცნობილი დიპლომატისა და განმანათლებლის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (იგივე ნიკიფორე ირზახის) თანადგომით ვალები გაუსტუმრა ქართული სულიერების

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტ.4, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1973წ., გვ.36.

<sup>6</sup> ოლღა სოსელია - „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, თბ., გამომც. „მეცნიერება, 1981წ., გვ.120.

<sup>7</sup> ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764წ.წ.) - „მიმოსლვა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ.მეტრეველმა, თბ., 1956წ., გვ.80; სრულად იხ. ლ.კიკნაძე - „ვასილ ჭილაძე. ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში“, თბილისი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015, გვ.11.

ამ უმნიშვნელოვანეს კერას და მისი რესტავრირებისთვის საჭირო თანხებიც თავადვე გაიღო. როგორც XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764 წ.წ.) აღნიშნავდა: „განუახლებია და აღუმენებია საკურთხეველის ზეითი კონქი დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა ნესტან-დარეჯან დედოფალს, ჭილაძის ქალს. ორნივე შიგ ხატიან“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით აღარ გვიკვირს, რომ მამულის სიდიდითა და ეკონომიკური სიძლიერით ფრთაშესხმულ ჭილაძეებს ერთ ხანს, მთავრის ტიტულის მოპოვებაც კი უცდიათ. თავად ამ გვარის წარმომადგენლები კი იმდენად დანინაურებულან, რომ მათი ნათესავად მოკიდება სამეფო ოჯახისთვისაც მისაღები იყო. იგივე ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჭილაძეების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ვინმე გუსტანის შვილს ჯავახს, ლუარსაბ მეფის და შეურთავს ცოლად.<sup>8</sup>

თუმცა, ეს ყველაფერი როგორც იტყვიან „წარსულში დარჩა“. XVII საუკუნის მიწურულს იმერეთის მეფესა და გურია-სამეგრელოს მთავრებს შორის წარმოებული ხანგრძლივი ომების შედეგად, რომლის ასპარეზსა და ხშირად მიზეზსაც, სწორედ საჭილაო წარმომადგენდა, ჭილაძეების გვარი დასუსტდა. მისი არაერთი წარმომადგენელი კი, იძულებული გახდა საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის გადასარჩენად თავშესაფარი სხვაგან ეძებნა. ასე აღმოჩნდნენ იმერეთის სამეფო კარის წარჩინებული თავადიშვილები, ჭილაძეები აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის მეფის, ვახტანგ VI კარზე. მათი ერთი ნაწილი კახეთშიც გადასულა, ნაწილი კი, სულაც კავკასიონს მიღმა, ქალაქ მოზდოკში დასახლებულა.

საგულისხმოა, რომ ასი წლის შემდეგ, დროის უკუღმართობის გამო კავკასიონს გაღმა-გამოღმა მიმოფანტული გვარის, ორი ღირსეული წარმომადგენლი სამოხელეო ასპარეზზე სწორედ პროკურორობამ და კანონების კარგმა ცოდნამ დააკავშირა. მხედველობაში გვაქვს ქართლის მეფის ვახტანგ VI სამართლის წიგნის თარგმნა, რისთვისაც საქართველოს მთავარმართველის, ინფანტერიის გენერალ ალექსი ერმოლოვის ბრძანებით, 1822 წელს სპეციალური

<sup>8</sup> იქვე, გვ.12.

კომისია შეიქმნა. წორედ ამ კომისიის შემადგენლობაში გადაიკვეთა საქართველოს უზენაესი მთავრობის პირველი ქართველი პროკურორის, გიორგი (იაგორ) ჭილაშვილისა და საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორის, ასევე პირველი პროკურორის ვასილ ჭილაძის გზები.

მართლაც იშვიათი დამთხვევაა. ჩვენზე გაცილებით დიდ და პროკურატურის შეუდარებლად ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნებშიც კი, შეიძლება გაჭირდეს მსაგავსი მაგალითის მოძიება, რომ ერთდროულად ქვეყნის უმაღლესი რანგის საერო და სასულიერო პროკურორები მოგვარეები იყვნენ. საქართველოში კი ასეთი რამ მოხდა და ისიც პროკურატურის, როგორც სახელისუფლებო მაკონტროლებელი ინსტიტუტის შემოღების საწყის ეტაპზევე.<sup>9</sup> კერძოდ, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ 1821 წლის 1 აგვისტოს საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის თანამდებობაზე, ერთ დროს საჭილაოდან ქართლში გადმოხვენილი და დუშეთის მაზრაში დამკვიდრებული ტახტის აზნაურის ბაბანა ჭილაშვილის შთამომავალი გიორგი, იგივე იაგორ ჭილაშვილი დაინიშნა.<sup>10</sup> რაც შეეხება საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის პროკურორის თანამდებობას, პირველი ვინც 1814 წლიდან ანუ, მისი შემოღების დღიდან 14 წლის განმავლობაში ამ თანამდებობაზე მუშაობდა, საჭილაოდან უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში (ქ.მოზდოკში) გადახვენილი ჭილაძეთა გვარის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი ვასილ ჭილაძე გახლდათ.<sup>11</sup>

<sup>9</sup> აქვე დავძენთ, რომ საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის მოთხოვნის საფუძველზე რუსეთის იმპერატორის მიერ სენატისთვის 1803 წლის 12 ივლისს მიცემული დავალების თანახმად, საქართველოს უზენაეს მთავრობასთან, შემოღებული იქნა საქართველოს პროკურორის თანამდებობა საქმეთა წარმოებაზე დასაკვირვებლად და ამ პროცესის რუსეთის შიდა გუბერნიებთან შესაბამისობაში მოსაყვანად (იხ. Полное собрание законов Российской империи (ПСЗРИ), Собрание Первое. Том XXVII., Издательство: Тип. II Отделения Собственной Его Императорского Величества Канцелярии, СПб., 1830, ст. 785-786).

<sup>10</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 6136, ფონდი 2, აღწ. 1, გვ.12.

<sup>11</sup> როგორც ქალბატონი ლ.კიკნაძე აღნიშნავს რუსეთის იმპერიის შს მინისტრის



საგულისხმოა, რომ ორივემ ვასილმაც და გიორგიმაც როგორც სახელისუფლებო ისე, ინტელექტუალური წრეების მხრიდან ამ საყოველთაო აღიარებამდე ურთულესი და იმავდროულად ღირსეული გზა განვლეს. თუმცა, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, არცერთ მათგანს არც სამოხელეო და არც შემოქმედებით ასპარეზზე კანონის მსახურისთვის უმაღლესი სათნოების - ღირსებისთვის ზურგი არ შეუქცევიათ.

ზოგადად ჩვენი ქვეყნის, მით უფრო პროკურატურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის ამ ძალზედ საინტერესო, ფართო საზოგადოებისთვის კი ნაკლებად ცნობილ მამულიშვილთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თხრობას ასაკით უფროსი, ვასილ მათეს ძე ჭილაძით დავინწყებთ. პირველი ქართველით, ვინც ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, საკუთარი ცხოვრება პროკურორის საპატიო პროფესიას დაუკავშირა და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ გარემოებას. კერძოდ, ვისთვისაც გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის ღვაწლის წარმორჩენაში, აკად. სერგო ჯორბენაძის,<sup>12</sup> პროფ. ივანე სურგულაძის<sup>13</sup> ღვაწლი ცნობილია, იგივე შეუძლიათ გაიმეორონ, როგორც ვასილ ჭილაძის წარმომჩენსა და დამფასებელზე ფილოლოგიის დოქტორ, ქალბატონ ლია კიკნაძესთან მიმართებაში. ღვაწლმოსილი მეცნიერი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაინტერესდა ვასილ ჭილაძის ცხოვრებითა და შემოქმედებით. საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებში დიდძალი მასალა მოიძია, შეისწავლა და მრავალწლიანი შრომის შედეგი ამ რამდენიმე წლის წინ, საკმა-

---

შუამდგომლობაზე ვასილ ჭილაძის პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, იმპერატორ ალექსანდრე I პირადად წაუწერია: „Чилиева определить прокурором в Грузинскую Синодальную Кантору. Вена, ноября 6-го 1814 года“. სრ. იხ. ლ.კიკნაძე, დასახ. ნაშრომი გვ.25.

<sup>12</sup> ს.ჯორბენაძე „ი.გ. ჭილაშვილი - დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963წ., N1, გვ. 63-71.

<sup>13</sup> ივანე სურგულაძე, „ი.ჭილაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი“, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1979 წელი.

ოდ ვრცელი, 260 გვერდიანი მონოგრაფიის სახით ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა.<sup>14</sup>

როგორც ავტორი, წიგნის შესავალშივე მიუთითებს მის უმთავრეს ამოცანას, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ვასილ ჭილაძის, როგორც უნიკალური ნაშრომის რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ექვსტომულის ქართულ ენაზე მთარგმნელისა და საქართველოში საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის წარმოჩენა, მისთვის ქართულ ლექსიკოგრაფიაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება წარმოადგენდა. განსაკუთრებულ გულისტკივილს გამოთქვამდა ქალბატონი ლია იმის გამო, რომ: „მომდევნო საუკუნეებში ვასილ ჭილაძის „საქები ღვანლი“ დავინყებას მიეცა და ლექსიკონების ავტორად, თითქმის 200 წლის განმავლობაში იოანე ბატონიშვილი მიიჩნეოდა.

როგორც ამ დიდებული ნაშრომის ერთი, რიგითი დამფასებელი ვიტყვი, რომ ქალბატონმა ლიამ დასახულ ამოცანას თავი ბრწყინვალედ გაართვა. პირველწყაროებზე, უნიკალურ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მან „შუქი მოჰფინა“ ლექსიკონების შექმნის ისტორიას. სწორედ, მისი მონდომების წყალობით, კონკრეტულ წერილობით მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ ლექსიკონების შემდგენელია არა იოანე ბატონიშვილი, არამედ ერთ დროს „ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში მოკრძალებული ადგილის მქონე ვასილ ჭილაძე“. გასაოცარი ნებისყოფისა და მართლაც ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება, „რომელმაც დაუჯერებლად მოკლე დროში, 2 წელიწადში მთარგმნა დიდი მოცულობის გამორჩეული ნაშრომი, რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ექვსტომეული, რის შედეგადაც შექმნა ორი ძალზე მნიშვნელოვანი ლექსიკონი - რუსულ-ქართული (≈40.000 სიტყვა) და საბუნებისმეტყველო-განმარტებითი (2.500 ტერმინი)“.<sup>15</sup>

კიდევ ერთი, რაც ჩვენთვის იურისტებისთვის ამ ნაშრომიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქალბატონი ლიას მონოგრაფია

<sup>14</sup> ლია კიკნაძე, „ვასილ ჭილაძე. ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში“, თბილისი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015 წელი.

<sup>15</sup> ლია კიკნაძე, დასახ. ნაშრომი გვ.213.

შეიცავს უძვირფასეს მასალას ვასილ ჭილაძის პირადი ცხოვრების, მისი უახლოესი ადამიანებისა და რაც მთავარია, საკმაოდ ხანგრძლივი საქმიანობის შესახებ საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის პროკურორის თანამდებობაზე. თანაც ეს ყველაფერი მოდიებული, აღწერილია ისეთი სისრულითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით, რომ ძნელია რამე დაამატო.

დაბადებულია ვასილ მათეს ძე ჭილაძე 1776 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ.მოზდოკში.<sup>16</sup> ოჯახში მის გარდა კიდევ სამი ვაჟი: იოანე, გიორგი (ეგორ) და სტეფანე ჭილაძეები იზრდებოდნენ. ოჯახს მატერიალურად უჭირდა და მთელი მათი ქონება ქ.მოზდოკში მდებარე ერთი ხის სახლითა და ერთი ყმა გლეხით განისაზღვრებოდა. მიგვაჩნია, სწორედ გაჭირვება და საკუთრებაში: სოფლების, სახნავ-სათესის, ყმა გლეხების არ ყოლა გახდა მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად იმერეთის მეფის სოლომონ II სიგელისა<sup>17</sup> და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XIII ქვრივის, დედოფალ მარიამის მხარდაჭერისა,<sup>18</sup> ჭილაძეებმა საკუთარი თავადური წარმომავლობის დამტკიცება ვერ შეძლეს და კავკასიის გუბერნიის თავადაზნაურთა საგვარეულო სიაში აზნაურებად არიან მოხსენიებულნი.<sup>19</sup>

<sup>16</sup> ЦГИА, ф.797, Оп.2, 1818, д. 9425, 9427. ასევე ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.19.

<sup>17</sup> სრულიად იმერეთისა, ოდიშისა, ლეჩხუმისა, გურიისა, სვანთა და სხვათა მეფის სოლომონ II მიერ ხელმოწერილი ჭილაძეების თავადობის დამადასტურებელი სიგელი სრულად, იხ. Центральный государственный исторический архив (ЦГИА СПб), ф.1284, оп.3, кн.24, 1805, д.28.

<sup>18</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ვასილის ერთ-ერთი ძმა გიორგი (ეგორ) ჭილაძე 1803 წელს გამცილებლად გაუყოლებიათ გენერალ ლაზარევის მკვლელობისთვის ბელგოროდში გადასახლებული ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის მარიამისთვის. სწორედ დედოფალი სთხოვდა 1805 წელს მეფის რუსეთის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, საქართველოში დახმარებოდა მის ერთგულ მსახურს, გიორგი ჭილაძეს საკუთარი თავადური წარმომავლობის დამტკიცებაში. მით უფრო, რომ დედოფლისვე მტკიცებით, გიორგის იმ დროისთვის მეფის მიერ გაცემული შესაბამისი სიგელიც ხელზე ქონია და მეფესთან ერთად ომშიც მიუღია მონაწილეობა (იხ. იქვე); მეტიც, ცოტა უფრო ადრე, ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ეს სათანადოდ შუფასებია რა გიორგის ნიჭი და მონდომება, ენერგიული ახალგაზრდა სამეფო კარზე თარჯიმნად დაუტოვებია.

<sup>19</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე N1055, გვ.1-2.

აქვე დავძენთ, რომ გაჭირვებამ ხელი ვერ შეუშალა ძმებ ჭილაძეებს იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიეღოთ. სწორედ განათლებამ, კერძოდ ქართული და რუსული ენების კარგ-მა ცოდნამ, განსაზღვრა სამსახურეობრივ ასპრეზზე ვასილ ჭილაძის პირველი ნაბიჯებიც. 1795 წელს, ის დაინიშნა მოზდოკის ზემო სასაზღვრო სასამართლოში კანცელარისტად და ხუთწლიანი, უაღრესად შრომატევადი საქმიანობის შემდეგ, 1800 წლის მაისში მიიღო სამოქალაქო პირისთვის განკუთვნილი პირველი და ყველაზე დაბალი, მე-14 კლასის, კოლეგიის რეგისტრატორის სამოხელეო ჩინი.<sup>20</sup>

სამაგიეროდ, იმ წლებში მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას ტყუილად არ ჩაუვლია და მომდევნო წლები კარიერული წინსვლის თვალსაზრისით მისთვის გაცილებით წარმატებული გამოდგა. 1803 წელს, როდესაც ის პეტერბურგში, საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთარგმნელად დაინიშნა, უკვე მერვე კლასის სახელმწიფო მოხელე - კოლეგიის ასესსორი გახლდათ.<sup>21</sup> იმავდროულად, სამსახურეობრივ მოვალეობათა მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებისთვის, ხელმძღვანელობისგან მიღებული ჰქონია არაერთი მაღლობა და ორჯერ, 1803 წელს „გენერალური რეგლამენტის“, ხოლო 1804 წელს რუსეთის სისხლის სამართლის კანონების თარგმნისთვის ბრილიანტის ბეჭდითაც დაუჯილდოვებიათ.<sup>22</sup>

მიგვაჩნია, დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად, მის წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრებთან დაახლოებამაც. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ 1801 წელს ის დანიშნეს რუსეთში განვეული იოანე, ბაგრატი

<sup>20</sup> თვალსაჩინოებისთვის, კოლეგიის რეგისტრატორს 1882 წლამდე რუსეთის იმპერიაში „პრაპორშჩიკის“ სამხედრო საკლასო წოდება შეესაბამებოდა.

<sup>21</sup> სწორედ კაპიტნის ჩინით მოიხსენიებს საკუთარ თავს ვ.ჭილაძე მანიფესტის ქართულ თარგმანში, რომლის ტექსტის ბოლოში ვკითხულობთ: „დაბეჭდილ არს სენატსა შინა მოსკოვს, ხოლო ითარგმნა ვასილი მათეიჩის ჩილავეისა მიერ ნამდვილსა პირსა ზედან, რომელიც არს ან შტატს კაპიტანი“ (საკლასო წოდებების შესახებ სიაში, კაპიტნის, პრემიერ მაიორის სამხედრო წოდება, სწორედ კოლეგიის ასესსორის მე-8 კლასის სამოქალაქო ჩინს შეესაბამებოდა გ.ფ.).

<sup>22</sup> ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.21.

და მირიან ბატონიშვილების „პრისტავად“. ამ თანამდებობაზე დანიშნვამ კი, (ის რიგ სხვა ფუნქციებთან ერთად ბატონიშვილები-სთვის სამდივნო, მთარგმნელობითი მომსახურეობის განწევასაც ითვალისწინებდა),<sup>23</sup> შესაძლებლობა მისცა ნიჭიერ ახალგაზრდას, საუკეთესო კუთხით წარმოეჩინა საკუთარი თავი, მართალია გადასახლებული, მაგრამ იმპერატორის კარზე მაინც მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სამეფო ოჯახის წინაშე.<sup>24</sup>

<sup>23</sup> როგორც შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი დარეჯან მენაბდე შენიშნავს, ვ.ჭილაძეს უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე პირველის, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის პირველი ქართული თარგმანიც. „რაც შეეხება მანიფესტის ქართულ თარგმანს, - წერდა ქართველი მეცნიერი - უნდა ვიფიქროთ, ტექსტი ითარგმნა იმ ბატონიშვილთა წრისთვის (იგულისხმებთან იოანე, ბაგრატ და მირიან ბატონიშვილები გ.ფ.), ვისი მთარგმნელიც ვ.ჭილაძე იყო. ამდენად, შესაძლებელია, ეს, საერთოდ, მანიფესტის პირველი ქართული თარგმანი იყოს“ (სრ. იხ. დარეჯან მენაბდე - „სევდით პერობილი მწერალი“ - გაბრიელ რატიშვილი, თბ., 1996წ.).

<sup>24</sup> როგორც 1801 წლის 15 სექტემბერს ბატონიშვილებთან ერთად ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევის ცერემონიალის უშუალო თვითმხილველი ქართველი მწერალი გაბრიელ რატიშვილი (1771-1825წ.წ.) იხსენებდა, ამ სადღესასწაულო ცერემონილიდან რამდენიმე დღეში ისინი ვიცე-კანცლერმა ალექსანდრე კურაკინმა (1752-1818წ.წ.) მიიწვია და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შესახებ იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტის შინაარსი გააცნო. იმავე კურაკინს ბატონიშვილების მირიანის, იოანესა და მიხეილისთვის წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი გადაუცია, რომელიც წითელ ლენტზე მაგრდებოდა და რომლითაც ბატონიშვილი იოანე ჩვენამდე მოღწეულ ცნობილ პორტრეტზეა გამოსახული. მოტყუებულ, იმედგაცრუებულ იოანე ბატონიშვილს დიდმოხელისთვის მადლობა კი გადაუხდია, მაგრამ თავი ბოლომდე ველარ შეუკავებია და შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „ვმადლობთ მოწყალებასა მისისა დიდებულებისასა, რამეთუ ბედნიერება საქართველოსი და გაბედნიერება ოჯახისა ჩვენისა დღეს ცხად იქმნა. . . და მეფობისა წილ საქართველოსა მივიღეთ ლენტი ესე წითელი ანნასი და არა უწყით ჩვენ და ვართ განკვირვებულ, რამეთუ რაი ვყავით ნაცვლად ამისა მეფობისა დამკარგავთა და ოჯახისა გამაუბედურებელთა“ (გაბრიელ რატიშვილი - „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“, კრებულში: ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვანო შადური, თბ., 1962, გვ. 263-264; სრ. გ.რატიშვილის შესახებ ვრცლად იხ. დარეჯან მენაბდე - „სევდით პერობილი

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პეტერბურგში მისი კარიერული წინსვლა ნაადრევად შეწყდა და 1804 წლის ზაფხულის ბოლოს, ვ.ჭილაძე უკვე საქართველოში ბრუნდება. 1806 წელს ის მუშაობას იწყებს საქართველოს იმდროინდელ უზენაეს მთავრობაში, სასამართლოსა და სასჯელის ექსპედიციის მდივნად, ხოლო მოგვიანებით 1809 წლიდან, საკლასო ჩინის მატებასთან ერთად,<sup>25</sup> ორი წლის განმავლობაში ამავე ექსპედიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობასაც წარმატებით ითავსებდა. როგორც, მისი პირადი საქმის გაცნობით ირკვევა: „ვასილს ექსპედიციაში მუშაობის დროს რამდენიმე წარმატებული ოპერაცია ჩაუტარებია, რითაც სახელმწიფო ხაზინა გაუმდიდრებია - ელიზავეტოპოლში განხორციელებული ღონისძიების შედეგად - 13 000 მანეთით (ვერცხლით), მეორე ოპერაციის შედეგად კი - 30 000 მანეთით. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია ასევე ქ.ელიზავეტოპოლის პროვინციაში<sup>26</sup> შავი ჭირის ლიკვიდაციისა და ქსნის ხეობაში ანანურის მაზრის აჯანყებულთა დაწყნარების (1809წ. მარტი) საქმეში.<sup>27</sup> ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ბოლო შემთხვევაში, მას დამნაშავენი არა მარტო გამოუვლენია და დაუპატიმრებია, არამედ თავადვე გაუსამართლებია, რისთვისაც დაუჯილდოებიათ კიდევ.<sup>28</sup>

მიუხედავად აღნიშნულისა, 1811 წელს ვ.ჭილაძის წარმატებული კარიერული წინსვლა კვლავ შეფერხდა, ამჯერად უკვე მთავარმართებელ ტორმასოვთან (1809-1811 წ.წ.) დაპირისპირების გამო. ოფიციალურ მიზეზად ამ შემთხვევაში, თანამემამულეები-

---

მწერალი“ - გაბრიელ რატიშვილი, თბ., 1996წ.).

<sup>25</sup> 1808 წლის გაზაფხულზე ვ.ჭილაძეს „ნადგორნი სოვეტნიკის“ საკლასო ჩინი მიცეს, რაც ვიცე პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას უთანაბრებოდა და საკლასო ჩინების კლასიფიკაციის მე-7 საფეხურს წარმოადგენდა.

<sup>26</sup> სწორედ ამ სახელით - ელიზავეტოპოლად მოიხსენიებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას 1804-1918 წლებში, ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქ.განჯა.

<sup>27</sup> ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.22.

<sup>28</sup> ცენტრალური საისტორიო არქივი (სეა), ფ.489, აღ.1, ს.926, 2160; იხ. ასევე ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.22.

სადმი მისი ზედმეტად ლოიალური დამოკიდებულება დასახელდა. როგორც მთავარმართებელი, კავალერიის გენერალი ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვი იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილ დასკვნაში მიუთითებდა ვ.ჭილაძემ, ზედმეტი ლმობიერება გამოიჩინა გორის მაზრის მკვიდრის, თავად იასე მარაბლის მიმართ, რომელიც თავის დროზე რუსეთის შეურიგებელ მტერს, ალექსანდრე ბატონიშვილს მიემხრო.<sup>29</sup> მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, ვ.ჭილაძემ ნაცვლად იმისა, ურჩი თავადი სამაგალითოდ დაესაჯა, მასთან მიმართებაში მსუბუქი სასჯელი გამოიყენა. კერძოდ, შეაფასა რა თავადიშვილის საქციელი ახალგაზრდულ გადაცდომად, მას მხოლოდ სამხედრო სამსახურში განწვევა შეუფარდა, ისიც თავადობის შენარჩუნებით.

თვალსაჩინოებისთვის და შესადარებლად, თუ როგორი სასჯელი უნდა გამოეყენებინა „მოღალატე თავადთან“ მიმართებაში, ქალბატონ ლ.კიკნაძეს მოაქვს თავად ასლან ამირეჯიბისა და გლეხ სოლომონ კოკოლაშვილის ისტორია. ისინიც მარაბლის მსგავსად ალექსანდრე ბატონიშვილთან გაქცეულან სპარსეთში და მოგვიანებით უკანვე დაბრუნდნენ. თუმცა, რუსეთის მთავრობამ მათ ლალატი არ აპატია და მკაცრად დასაჯა. კერძოდ, ამირეჯიბს ჩამოართვეს თავადობა და ციმბირში გადაასახლეს. კიდევ უფრო სასტიკი იყო განაჩენი გლეხ კოკოლაშვილთან მიმართებაში, რომელიც ასევე გააციმბირეს, მაგრამ მანამდე 1000 კაციან შპი-

---

<sup>29</sup> მეფე ერეკლეს ვაჟის ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844წ.) შესახებ, რომელიც ქართველი ხალხის რუსეთის იმპერიასთან შეურიგებელი დაპირისპირების სიმბოლოდაა ქცეული, ბევრი თქმულა და დაწერილა. ამჯერად, მხოლოდ ორ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველი, ეს ინგლისელი ოფიცრის მანტისის საკმაოდ ცნობილი გამონათქვამია, რომლის თანახმად: „ყველაზე ძვირფასი, რაც ალექსანდრე ბატონიშვილს ამქვეყნად დარჩა, მონაფე და მიმდევარი შამილი იყო - მისი ასლი და კვალი შესახედავად და იდეებით, დაუძინებელი მტერი რუსეთისა!“ და მეორე, ლვანლმოსილი ქართველი მეცნიერის ისტორიკოსისა და პუბლიცისტის პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრებაა, რომლის თანახმად, სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილი (და არა საკუთარი ბიძა ილიკო ორბელიანი), იყოს ტატო ბარათაშვილის „მერანის“ ადრესატი.

ცრუტენების<sup>30</sup> რიგში გატარება მიუსაჯეს.<sup>31</sup>

ხელმძღვანელობის წინაშე თავის მართლების არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1811 წელს ვასილ ჭილაძე სამსახურიდან ე.წ. „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს, შემდგომში სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლების ჩამორთმევით.

ასე სამაგალითოდ გაუსწორდა „იმპერიული მანქანა“ ერთ დროს სანაქებო მოხელეს, ვინც გაბედა და „მტრის“ მიმართ თანაგრძნობა გამოიჩინა. საგულისხმოა, რომ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მომდევნო 1812 წელს სამსახურიდან დაუთხოვიათ ვასილის უმცროსი ძმა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი გიორგი (ეგორ) ჭილაძეც, რომელიც ერთ ხანს გორში პოლიცემისტერი იყო. იმ დროისათვის კი, ქ.მოზდოკში საკარანტინო-საგუშაგოს კომისრად მუშაობდა.

რასაკვირვლია, ვ.ჭილაძის ეკონომიური შესაძლებლობების მქონე პირისთვის სამსახურის გარეშე დარჩენა, მძიმე დარტყმა იყო. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ იმ დროისათვის ვასილი უკვე დაოჯახებული ყოფილა და საკუთარი თავის გარდა მეუღლესა და სამ მცირეწლოვან შვილზე: ელისაბედზე (1809), ალექსანდრესა (1810) და მარიამზე (1811) უწევდა ზრუნვა.<sup>32</sup>

<sup>30</sup> შპიცრუტენი - (გერმ. Spießrutenlaufen, რუს. Шпицрүтен) - ხის ნკეპლა ან, იარაღის გასაწმენდად განკუთვნილი ე.წ. ლითონის შომპოლი, რომლითაც სცემდნენ ორ მწკრივად განლაგებული ჯარისკაცები მათ შორის გატარებულ დასასჯელ პირს.

<sup>31</sup> ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.23.

<sup>32</sup> ვასილ ჭილაძე ორჯერ იყო დაოჯახებული და ამ ქორწინებებიდან სულ 7 შვილი შეეძინა. პირველი ქორწინებიდან: ელისაბედი, ალექსანდრე, მარიამი, ბარბარა და პავლე. მეორე მეუღლისგან ლეონიდე და დიმიტრი. რამდენად მზრუნველი მამა იყო ვასილი კარგად ჩანს ეროვნულ არქივში ჩვენს მიერ მოძიებული 1820 წლის 18 თებერვლის წერილიდან. მასში ვ.ჭილაძე, მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ, გენერალ ლეიტენენტ ველიამინოვს კავკასიის გუბერნიის სათავადაზნაურო დეპუტატთა ყრილობისგან მისი შვილების აზნაურთა წუსხაში შეყვანის თაობაზე გადანყვეტილების მიღების დაჩქარებაში დახმარებას თხოვდა. როგორც ირკვევა, ასეთი საბუთის მიღება მას შესაძლებლობას აძლევდა შვილები სახელმწიფოს ხარჯზე პეტერბურგში გაეგზავნა სასწავლებლად, ვაჟები პაჟთა კორპუსში, გოგონები კი წმ. ეკატერინეს ინსტიტუტში. ჩვენს ხელთ არსებული



მის თხოვნას, სამსახურში აღდგენის თაობაზე არც ახალი მთავარმართებლის ფილიპ ოსიპის ძე პაულუჩის (1812-1816 წ.წ.) მხრიდან მოჰყოლია დადებითი შედეგი. სწორედ ამის შემდეგ გახდა ის იძულებული დაეტოვებინა საქართველო და თავშესაფარი ისევ პეტერბურგში, იოანე ბატონიშვილთან ეძებნა.

როგორც ჩანს, ნიჭიერი ახალგაზრდა სასურველი შენაძენი იყო დასისთვის, რომელიც იმ დროისათვის ბატონიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა და მათი მეშვეობით რუსეთის დედაქალაქში ფართო საგანმანათლებლო საქმანობა გაშალა. ვ.ჭილაძეს კი, ამ შემთხვევაში, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ექვსტომეულის თარგმნა დაევალა. ისიც ჩვეულებრივ კეთილსინდისიერებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. თავად იოანე ბატონიშვილი ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებდა რა დღე-ღამეში 18 საათის განმავლობაში ვასილის თავგანწირულ შრომაზე, პროფესიონალიზმსა და „საქებ ღვანლზე“, იმავედროულად მის შესაფერისად დაჯილდოებას ითხოვდა, რათა: ამ „ფრიად სასარგებლო ჩინოვნიკის“ სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებით დასატვირთად, მორალური უფლება ჰქონოდა.<sup>33</sup>

კიდევ უფრო კონკრეტული იყო საკუთარ სარეკომენდაციო

---

მონაცემების თანახმად, თვით ვასილ ჭილაძესაც კი, რომელიც უკვე პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა, ორ წელზე მეტი დასჭირდა მიზნის მისაღწევად. აღნიშნული მიგვაჩნია იმ დროს იმპერიის სახელისუფლებო ინსტიტუტებში გამეფებული ბიუროკრატიულობისა და განუკითხაობისა კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. მიმოწერა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ჭილაძეების ოჯახში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. როგორც იმავე წერილიდან ირკვევა, 1818 წლის 17 სექტემბერს 3 წლის ასაკში გარდაიცვალა ვასილის უმცროსი ქალიშვილი ბარბარა, 1919 წლის 17 იანვარს კი შეეძინა ვაჟი პავლე (სამწუხაროდ, იგივე 1819 წელსა მითითებული ვასილის პირველი მეუღლის გარდაცვალების თარიღადაც). აღნიშნულმა ცვლილებებმა და მათი სათავადაზნაურო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებაში ასახვამ, ეს ისედაც „დაუსრულებელი პროცესი“ ცხადია, კიდევ უფრო გააჭიანურა. თუმცა, მამის მონდომებას საბოლოოდ შედეგი მაინც გამოუღია და არაერთი სირთულის მიუხედავად, ვ.ჭილაძემ მაინც შეძლო შვილების პეტერბურგში, სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებლად გაგზავნა. სრ. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე N1055, გვ.7-8.

<sup>33</sup> ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.8.

წერილში არქიეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური, 1774-1830 წ.წ.),<sup>34</sup> რომელიც ხაზს უსვამდა რა ვ.ჭილაძის განათლებას, ენების ცოდნას, ნამსახურობას, იმ ფაქტს, რომ მკვიდრი მოსახლეობა მის გამოცდილებას ენდობოდა, საჭიროდ თვლიდა „ამ ყოველმხრივ სამაგალითო და პატიოსანი ადამინის“ დანიშვნას საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის პროკურორად.<sup>35</sup>

როგორც ჩანს, ერთის მხრივ თავად „საქებმა ღვანლმა“<sup>36</sup> და მეორეც, ავტორიტეტულ საერო თუ სასულიერო პირთა რეკომენდაციებმა, გადაწონეს კავკასიის ადმინისტრაციაში ვასილ ჭილაძის მიმართ არსებული უნდობლობა და 1814 წლის დეკემბერში ის საქართველო იმერეთის უწმინდესი სინოდის თბილისის კანტორის პროკურორად დაინიშნა.

იმის გათვალისწინებით, რომ დიდთოვლობისა და უგზობის

<sup>34</sup> არქიეპისკოპოსი დოსითეოსი (ეროზაში დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაური 1774-1830წ.წ.), XIX საუკუნის დასაწყისში როგორც ქართულ სასულიერო წრეებში (1810 წლისთვის 36 წლის ასაკში ის უკვე 6 ეპარქიას განაგებდა), ისე რუსეთის სამეფო კარზე დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. აღნიშნულის დასტურად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ 1803-1816წ.წ. სინოდის ობერ-პროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი, კათალიკოს ანტონ II რუსეთში გაყოლილ და იმ დროისთვის უკვე, პეტერბურგში მოღვაწე ეპისკოპოს დოსითეოსს დაავალა. 1811 წლის ბოლოსთვის მას უკვე მზად ჰქონდა საკითხის გადაწყვეტის საკუთარი ხედვა, რომელიც წერილობითი ფორმით, ობერპროკურორს წარუდგინა. მოხსენება მოწონებულ იქნა და ის დანიშნეს ოსეთის ეპარქიის არქიელად (მღვდელმთავრად) და ოსეთის სასულიერო კომისიის თავმჯდომარედ. თუ, როგორი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებოდა ქართველი სასულიერო პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ჩანს მისივე ანგარიშებიდან, რომლის თანახმად, მარტო 1815 - 1816 წლებში მას 10 500-ზე მეტი პირი მოუწაფავს ქრისტიანად (სრ. იხ. მერაბ ლალანიძე - „სანქტპეტერბურგიდან მოვლინებული ქართველი მთავარეპისკოპოსი: დოსითეოს ფიცხელაური“, ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე; ლიტ. პორტრეტები XVIII-XIXს.ს. საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ალბომიდან; თბ., 2010წ., გვ. 52-55).

<sup>35</sup> ლ.კიკნაძე - დასახ. ნაშრომი, გვ.25.

<sup>36</sup> სამწუხაროა, მაგრამ ლექსიკონი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ეს მაშინ, როდესაც სპეციალისტთა მტკიცებით მას დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო და დღესაც შეუძლია, როგორც ქართული ისე რუსული მხარისთვის.

გამო, ვასილმა საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ 1815 წლის გაზაფხულზე მოახერხა, შეიძლება ითქვას, რომ ახალი, პროკურატურასთან დაკავშირებული ეტაპი მის ცხოვრებაში, სწორედ 1815 წლის მაისიდან იწყება.<sup>37</sup> აქვე დავძენთ, ვინაიდან სინოდალური პროკურორის თანამდებობა საქართველოში მანამდე არ არსებობდა, შესაბამისად ამ ინსტიტუტის ისტორიის ათვლაც ჩვენ ქვეყანაში ვასილ ჭილაძის დანიშვნით უნდა დაიწყო.

თავად საქართველო იმერეთის უწმინდესი სინოდის პროკურორის სამოხელეო ფუნქციებში უკეთ გასარკვევად, მოკლედ შევხებით 1721 წლის თებერვალში პეტრე I მიერ რუსეთში, საეკლესიო საქმეების გასაძღოლად საპატრიარქოს ნაცვლად, კოლეგიის სახით უწმინდესი სინოდის შექმნის ისტორიას.<sup>38</sup> რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ უმაღლესი ადმინისტრაციული და სასამართლო ინსტანციის შექმნის ისტორიას, რომლის წევრებსაც უმაღლესი რანგის სასულიერო პირებიდან იმპერატორი თავადვე ნიშნავდა. რითაც, ცხადია, არსებითად გააძლიერა საერო ხელისუფლების გავლენა ეკლესიაზე. მეტიც, სწორედ იმპერატორის პირადი წარმომადგენელი, მისი „თვალი და ყური“ უნდა ყოფილიყო სინოდში ობერ პროკურორი.<sup>39</sup> საერო მოხელე, რომელსაც ობერ პროკურო-

<sup>37</sup> უფრო კონკრეტულად, საქართველო იმერეთის უწმინდესი სინოდის თბილისის კანტორის ოფიციალური გახსნა მოდა 1815 წლის 8 მაისს. აქვე დავძენთ, რომ პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ვ.ჭილაძეს პროკურორის რანგში მოუმზადებია, სწორედ კანტორის საზეიმო გახსნის ცერემონიალის პროექტი ყოფილა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ეს პროცედურა (ვლადიმერ წვერავა, ელდარ თავბერიძე, „ვასილ მათეს ძე ჭილაძე - საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი 1814-1828წ.წ.“, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, X, 2006წ., გვ.357-361), იხ. ასევე ლ.კიკნაძე დასახ. ნაშრომი, გვ.41.

<sup>38</sup> აქვე დავძენთ, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის უფლებამოსილება გადანანილებულ იქნა: რუსეთის პატრიარქს, უწმინდეს სინოდსა და უმაღლეს სეკლესიო კრებას შორის.

<sup>39</sup> შექმნიდან 1721 წლიდან - გაუქმებამდე 1917 წლამდე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდს სულ 34 ობერ პროკურორი ყავდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ჩვენი თანამემამულეებიდან ამ სისტემაში ყველაზე მაღალ კერძოდ, ობერ პროკურორის მოადგილის (ამხანაგის) თანამდე-

რის შესახებ ინსტრუქციის პირველივე პუნქტის თანახმად ევლემბოდა: ყურადღებით ედევნებინა თვალი სინოდის მრავალმხრივი საქმიანობისთვის, დასწრებოდა სინოდის ყველა სხდომას და დაკვირვებოდა, რომ უმაღლესი საეკლესიო დანესებულება მოქმედებდა კანონმდებლობასთან ზუსტ შესაბამისობაში და საქმეთა წარმოება-გადანყვეტის პროცესში არ უშვებდა გაჭიანურებებს. გარდა აღნიშნულისა, ინსტრუქცია ობერ პროკურორს ავალეებდა, საკანცელარიო საქმისწარმოებაზე ზედამხედველობას (ობერ-პროკურორი იმავედროულად სინოდის კანცელარიის ხელმძღვანელიც იყო) და ცალკე ყურნალის წარმოებას, რომელშიც უნდა აღრიცხულიყო სინოდის მიერ ტერიტორიული ქვედანაყოფებისადმი მიცემული დავალებები, მათი გაცემის თარიღი და შესრულების ვადა. თუ დავალება არ, ან ვერ შესრულდებოდა, სწორედ პროკურორი იყო ვალდებული დეტალურად განემარტა უზენაესი ხელისუფალისთვის მისი შეუსრულებლობის მიზეზები.

იმ შემთხვევაში თუ სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (დადგენილება) წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონთან, ობერ პროკურორსვე ევალდებოდა დაუყოვნებლივ განემარტა სინოდის წევრებისთვის კანონშეუსაბამობის არსი და იმავედროულად, შეეთავაზებინა მათთვის ცვლილება, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას (დადგენილებას) კანონთან შესაბამისობაში მოიყვანდა. თუ სინოდი არ გაითვალისწინებდა პროკურორის შენიშვნას, ობერ პროკურორს შეეძლო გაეპროტესტებინა სინოდის დადგენილება (პროკურორის შესახებ ინსტრუქციის მეორე პუნქტი), შეეჩერებინა საქმის მსვლელობა და არსებული უთანხობების შესახებ თუ საქმე გადაუდებელი იყო დაუყოვნებლივ, სხვა შემთხვევაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე მოეხსენებინა იმპერატორისთვის.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც რომ სინოდის სხდომებზე ობერ-პროკურორი წამდვილად არ იყო პასიური დამ-

---

ბობაზე, რომელიც 1864 წლიდან იქნა შემოღებული, 1916-1917 წლებში მსახურობდა ქართველი თავადი, წამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ნიკოლოზ დავითის ძე ჟევახოვი (ჯავახიშვილი). რუსული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ეპისკოპოს იოანე იოანეს ძმა.

კვირვებელი. ის უფლებამოსილი გახლდათ საკუთარი ინიციატივით წარედგინა კოლეგიალური ორგანოსთვის განსახილველად და გადასანყვეტად ისეთი საკითხები, რომელზეც მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობდა ერთგვაროვანი, ნათელი განმარტება. იმავდროულად, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის სინოდალური პროკურატურის ხელმძღვანელი, ის ზედამხედველობდა და ხელმძღვანელობდა ადგილებზე მისდამი დაქვემდებარებული პროკურორების საქმიანობას. თუ საჭიროდ ჩათვლიდა შეეძლო მათ მიერ მოწოდებული წარდგინებები, წინადადებები განასხილველად სინოდის სხდომებზე გაეტანა. მეტიც, უფლება ჰქონდა უწმიდესი სინოდისგან მოეთხოვა ახალი დადგენილებების (გადაწყვეტილებების) შემუშავება და გამოცემა, რომლებიც საეკლესიო ცხოვრებაში სახელმწიფოს ინტერესების უკეთ გათვალისწინებას უზრუნველყოფდნენ.<sup>40</sup>

ობერ-პროკურორის გავლენა ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაზე კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1803 წლიდან სინოდის წევრებს საბოლოოდ აეკრძალათ პირადი მოხსენებები იმპერატორთან და საქმიანი თანამშრომლობა იმპერატორსა და სინოდს შორის მხოლოდ ობერ პროკურორის მეშვეობით წარმოებდა. ისევე, როგორც მხოლოდ ობერ პროკურორის მეშვეობით ურთიერთობდა სინოდი სხვა ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებთან თუ თანმდებლობის პირებთან: სახელმწიფო საბჭოსთან, სენატთან, მინისტრთა კაბინეტთან, სამინისტროებთან, მთავარმართებლებთან და სხვა. ამდენად, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვის თავისი გავლენით, სტატუსით ობერ-პროკურორები ფაქტიურად გაუთანაბრდნენ დანარჩენ მინისტრებს, ხოლო ობერ პროკურორის ამხანაგი (იგივე მოადგილე) - მინისტრის მოადგილეს. უნდა აღინიშნოს, რომ ობერ-პროკურორის კანცელარიაც იმავე

<sup>40</sup> Благовидов Федор Васильевич - Обер-прокуроры Святейшего синода в XVIII и в первой половине XIX столетия: (отношения обер-прокуроров к Св. синоду): опыт церковно-исторического исследования / Ф. В. Благовидов. - 2-е издание, переработанное. - Казань: Типо-литография Императорского университета, 1900. Ст.43-54.

პრინციპით იყო მოწყობილი როგორც სხვა მინისტრთა კანცელარ-იები, რაც უპირველეს ყოვლისა ობერ-პროკურორზე დაკისრებული ფუნქციების მრავალფეროვნებითა და მოცულობით აიხსნებოდა.

სინოდის სხვა წევრებთან ერთად ეკლესიის მართვასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულობის გარდა, ობერ-პროკურორის საქმიანობიდან ცალკე უნდა გამოვყოთ მისი მონაწილეობა საეკლესიო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. მათ შორის მრავლისმეტყველია სინოდის წევრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმისა და გასამართლების უფლება, რაც ერთადერთი სინოდს შეეძლო. დიდი ადგილი ეკავა ობერ-პროკურორის საქმიანობაში ეპისკოპოსების მიერ პირველი ინსტანციის წესით გამოტანილ განაჩენებზე სააპელაციო საჩივრების განხილვას; სასულიერო პირების მიერ სამოქალაქო ნოდების წარმომადგენლებთან მიმართებაში ჩადენილ კანონდარღვევებზე შემოსულ საჩივარგანცხადებათა გადანყვეტას. ეს უკანასკნელი შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო: სიტყვიერ შეურაცხყოფასთან, ცემასთან, ქურდობასთან და სხვა. სინოდის ქვემდებარე იყო ასევე რელიგიური ხასიათის დანაშაულები: ღვთის გმობა, ერესი (ეკლესიის მიერ გამოცხადებული ერთი ან რამდენიმე ჭეშმარიტებისადმი დაპირისპირება), ჯადოქრობა და სხვა.<sup>41</sup>

თუმცა, ყოველივე ზემოაღნიშნული არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოსდა ობერ-პროკურორი სინოდზე მალლა იდგა ან, შეეძლო შეეზღუდა უმაღლეს სასულიერო პირთა დამოუკიდებლობა, იგივე ღვთისმსახურების საკითხებთან მიმართებაში.<sup>42</sup> ამ შემთხ-

<sup>41</sup> Чельцов-Бebutov Михаил Александрович, «курс уголовно-процессуального права», т. 1, М., 1957г., Госюриздат, ст. 70б.

<sup>42</sup> ამ თვალსაზრისით, სინოდისა და ობერპროკურორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის უკეთ გასაცნობიერებლად გვინდა ობერპროკურორის შესახებ ინსტრუქციის მე-9 პუნქტი გავიხსენოთ. ის მართალია, გამოწვევის შემთხვევას შეეხება, მაგრამ მაინც მრავლისმეტყველად მიგვაჩნია. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ იმპერატორის ადგილზე არ ყოფნისას სინოდი დარწმუნდებოდა რომ ობერ პროკურორმა ჩაიდინა მძიმე დანაშაული (მაგ. სახ. ღალატი), რომელზეც დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო გამოძიება (გადადებას არ ექვემდებარებოდა), სინოდს უფლება ჰქონდა ობერ პროკურორის ფუნქციის

ვევაში უნდა დავჯერდეთ იმის ხაზგასმას, რომ მას როგორც იმპერატორის პირად წარმომადგენელს უწმიდეს სინოდში ევალეობა განუხრელად დაეცვა კანონის უზენაესობა საეკლესიო ცხოვრებაში და დროული რეაგირება მოეხდინა ნებისმიერ ფაქტზე, რომელიც სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხეს შეიცავდა.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქართული ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისთვის დაქვემდებარების შემდეგ, მართვის რუსული მოდელი, ჩვენს მიერ ზემოთდასახელებული თავისებურებებით შემოტანილი იქნა საქართველოშიც. მოგეხსენებათ ქართული ეკლესიის საქმეებს თავდაპირველად განაგებდა რუსეთის სინოდის განყოფილება - სასულიერო დიკასტერია (დაარსდა 1811 წლის 30 ივნისს). ხოლო, 1915 წლის მაისში, მას შემდეგ რაც 1814 წლის 17 ოქტომბერს აფხაზეთის საკათალიკოსო გაუქმდა, დიკასტერია გადაკეთდა „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორად“. მისი შემადგენლობა სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო თუმცა, თავმჯდომარედ ყოველთვის საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი ითვლებოდა.<sup>43</sup>

რაც შეეხება ვასილ ჭილაძეს, რომელიც სინოდის პროკურორის თანამდებობაზე ჯერ კიდევ 1814 წლის შემოდგომაზე დაინიშნა, ის როგორც უწმიდესი სინოდის ობერ პროკურორის წარმომადგენელი, ადგილზე ვალდებული იყო დასწრებოდა სინოდის სხდომებს,

შესრულება სხვა, მის მიერვე შერჩეული პირისთვის დაევალებინა. დაეწყო საქმის გამოძიება, დაეძებნა, მეტიც, დაეკავებინა დამნაშავე პროკურორი. თუმცა, ობერპროკურორის მიმართ წამების, მით უფრო საჯელის გამოყენების უფლება სინოდს არ გააჩნდა. ეს მხოლოდ იმპერატორს შეეძლო. Благовидов, Федор Васильевич - Обер-прокуроры Святейшего синода в XVIII и в первой половине XIX столетия: (отношения обер-прокуроров к Св. синоду): опыт церковно-исторического исследования/ Ф. В. Благовидов. - 2-е издание, переработанное. - Казань: Типо-литография Императорского университета, 1900. Ст.47-48.

<sup>43</sup> საქართველოს საეგზარქოსო სულ 18 ეგზარქოსი გამოიცვალა. მათგან მხოლოდ პირველი მიტროპოლიტი ვარლამი (დავით ქსნის ერისთავის ძე 1763-1830წ.წ.), იყო ქართველი. 1817 წელს მისი გადაყენების შემდეგ კი, 100 წლის განმავლობაში 1917 წლის 12 მარტამდე, საეგზარქოსოს გაუქმებამდე და მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში ავტოკეფალიის აღდგენამდე, ეგზარქოსის თანამდებობაზე მხოლოდ უცხო ტომის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

თვალყური ედევნებინა, როგორც პეტერბურგიდან მიღებული, ისე ადგილზე გაცემული დავალებების შესრულებისთვის და ანგარიშის, პროტესტის, წარდგინების სახით დროული რეაგირება მოეხდინა, მაქსიმალურად საქმის კურსში ჰყოლოდა ობერ პროკურორი თბილისსა და ეპაქიებში საეკლესიო ცხოვრებაში კანონიერების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ.

საარქივო მასალების გაცნობით დასტურდება რომ ვასილს წინასწარ, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე დაუჭერია თადარიგი სინოდალური პროკურორის სამსახურის საქმის მცოდნე, პატიოსანი თანამემამულეებით დასაკომპლექტებლად. ეს კი, საქართველოში იმ დროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ წარმოებული საყოველთაო რუსიფიკაციის პოლიტიკის ფონზე საკმაოდ თამამ გადაწყვეტილებად უნდა შეფასდეს. მით უფრო, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1811 წელს ის სწორედ თანამემამულეების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გამო იქნა დათხოვილი საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და სასჯელის კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, მან გვერდში დაიყენა და გახსნის დღიდან სინოდალური პროკურორის კანცელარიაში დაასაქმა, იმ დროს ქართული მოწინავე საზოგადოების წრიდან გამოსული შრომისმოყვარე და განათლებული ახალგაზრდები, როგორც იყვნენ მაგლითად: გიორგი სარაჯიშვილი, დიდი ქართველი მამულიშვილისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის ბიძა; ნიკოლოზ ჩუბინაშვილი (1788-1845 წ.წ.), შემდგომში ცნობილი ლექსიკოგრაფი და პალესტინის ჯვრის მონასტერში გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ აღმომჩენი; გაბრიელ ქართველიშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვრის, „ქართული ღრამატიკის“ ავტორის იოანე ქართველიშვილის ვაჟი; საკუთარი ძმისშვილები, გრიგოლ სტეფანეს ძე და ვასილ იოანეს ძე ჭილაძეები, რომელთაც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაუმთავრებიათ და ჩინებულად ფლობდნენ ქართულ და რუსულ ენებს; გიორგი XII-ის მდივნის ნიკოლოზ ონიკაშვილის ვაჟი სოლომონ ონიკაშვილი, რომელსაც რიგ სხვა სავალდებულო საგნებთან ერთად



კარგად შეუსწავლია რუსული ენა და გამატიკა, საღმრთო კანონი, რიტორიკა, ლოგიკა და სხვა.

პირველი ქართველი სინოდალური პროკურორის პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად გვინდა გავიხსენოთ კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი ვასილ ჭილაძის სამოხელეო ისტორიიდან, რომელიც ნათლად მეტყველებს თუ როგორ ზრუნავდა ის საკუთარ ხელქვეითებზე, მათი ოჯახის წევრებზე. მეტიც, თუ ვასილი დარწმუნდებოდა, რომ სიმართლე მისი თანამშრომლის მხარეს იყო, ეს ერთხელ უკვე რეპრესირებული კაცი, მზად იყო პეტერბურგელ მაღალჩინოსანთა გადაწყვეტილებაზე კი გაეპროტესტებინა. ასე მოხდა მაგალითად სინოდალური კანტორის მთარგმნელის, მიხეილ ფალავანდიშვილის შემთხვევაში, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე 300 მანეთით (ოქროთი) დაუჯილდოვებიათ. მისი გრდაცვალების შემდეგ კი ობერპროკურორ ა.გოლიცინს<sup>44</sup> თავი შეუკავებია თანხის გაცემისგან, რასაც მისმა ქვეშევრდომმა ვასილ ჭილაძემ საპროტესტო წერილით უპასუხა. წერილში ქართველი პროკურორი ასაბუთებდა, რომ არც მოქმედი კონმდებლობისა და არც ფალავანდიშვილის ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით (გარდაცვლილს 3 წლის ვაჟი, მოხუცი მამა და უმცროსი ძმები დარჩენია), ობერპროკურორის გადაწყვეტილება სწორი არ იყო. მართალია, საპროტესტო წერილისა და მასში გამოყენებული „თამამი გამონათქვამების“ გამო ვასილმა - გოლიცინი გვარიანად გაანაწყენა, მისგან შენიშვნაც დაიმსახურა, მაგრამ მიზანს მიაღწია და გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახს კუთვნილი თანხა გადაეცა.

აქვე დავძენთ, რომ ეს არ იყო საპროკურორო საქმიანობაში ვასილ ჭილაძის პრინციპულობის გამოვლინების ერთეული შემთხვევა. როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, მას საკმაოდ ხშირად გაუხდია საკამა-

<sup>44</sup> თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოლიცინი (1773-1844), იმპერატორ ალექსანდრე 1-ის უახლოვესი გარემოცვის წევრი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი. 1803-1816 წლებში წმინდა სინოდის ობერ პროკურორი, 1816-1824 წლებში იმპერიის სახალხო განათლების მინისტრი, რომელიც იმავდროულად საეკლესიო საქმეებსაც განაგებდა.

თოდ „ზემოდან ჩამოსული“ მზა დირექტივები, ობერპროკურორისა და კოლეგების წრეში არ ერიდებოდა სადაო საკითხის შესახებ საკუთარი, კარგად მომზადებული წინადადებების დაცვა-დასაბუთებას, რის შემდეგაც აქტიურად იღწვოდა მათი ცხოვრებაში გასატარებლად. როგორც ქალბატონი ლ.კიკნაძე სამართლიანად აღნიშნავს ხელმძღვანელობა აფასებდა თბილისის კანტორის პროკურორის გონების გამჭრიახობას და პატივს სცემდა მის პიროვნულ თვისებებს. მეტიც, არც თუ იშვიათად მიმართებებს აგზავნიდა სხვა სინოდალურ პროკურორებთან „ემოქმედათ ჭილაძის წინადადებების მიხედვით“.<sup>45</sup>

შეუძლებელია ვ.ჭილაძის საპროკურორო საქმიანობაზე მსჯელობისას ყურადღება არ გავამახვილოთ მის აქტიურობაზე საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ XIX-XX საუკუნეებში ჯერ რუსეთის იმპერიაში (მემკვიდრეობით საბჭოთა კავშირშიც), ქვეყნის სამენარმეო, სამეურნეო, საფინანსო-საგადასახადო სისტემებში კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა საპროკურორო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქონებრივი და მათ შორის გადასახადებთან დაკავშირებული კითხვები, ხშირად გამხდარა სასულირო პირებსა და სინოდის ობერ პროკურორს, შესაბამისად მათ ქვემდგომ რგოლებს შორის დაპირისპირების მიზეზი. ეკლესია, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი სიმდიდრის მესაკუთრე იყო (მინები, შენობა-ნაგებობები, სანარმოები, საეკლესიო საგანძური და სხვა) ყოველთვის ცდილობდა ეს სიკეთე საკუთარი საჭიროებისამებრ გამოეყენებინა. ცხადია ამ ქონების მართვაში მონაწილეობის თვალსაზრისით ინტერესები გააჩნდა სახელმწიფოსაც. შესაბამისად, ის ყოველთვის ცდილობდა შეეზღუდა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ლტოლვა, უკონტროლოდ ესარგებლათ საეკლესიო სიმდიდრით და არც მაღავდა საკუთარ მისწრაფებას, რაც შეიძლება მეტ სარგებელს გამოიჩენოდა საეკლესიო ქონებიდან.

<sup>45</sup> ლ.კიკნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.50.

სინოდის წევრები კი პირიქით. ისინი ერთის მხრივ იძულებული იყვნენ ელიარებინათ სახელმწიფოს უფლება საეკლესიო ქონებით სარგებლობაზე, მეორეს მხრივ კი მტკიცედ იცავდნენ საკუთარ პოზიციას საეკლესიო ქონების დანიშნულების თაობაზე. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ მაინც ის უპირველეს ყოვლისა საეკლესიო მიზნებისთვის გამოეყენებინათ. ამიტომაც იყო, რომ სინოდის ქვემდებარე საკითხებზე მსჯელობისას, ობერ პროკურორსა და სინოდის წევრებს, როგორც ორი განსხვავებული საწყისის სახელმწიფოსა და ეკლესიის წარმომადგენლებს ყველაზე ხშირად მშვიდობიან თანამშრომლობაში სწორედ ეს განსხვავება უშლიდათ ხელს.

მაგრამ, თუ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მატერიალურ სარგებელთან დაკავშირებული დაპირისპირება არახალი იყო და მისი ისტორია საუკუნეებს ითვლიდა, რა რჯიდა ქართველ პროკურორს და რა იყო საკითხისადმი ვასილ ჭილაძის ასეთი „გულანთებული“ დამოკიდებულების მიზეზი. მან ხომ ქართული ეკლესიამონასტრების ქონებისა და საეკლესიო გლეხების რაოდენობის დადგენა-დაზუსტების მიზნით საქართველო-იმერეთის ეპარქიები არაერთხელ ფეხდაფეხ შემოიარა. რეგიონებში მისი ყოველი გასვლა კი, გარდა ორგანიზაციული, ფინანსური სირთულეებისა, მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ლექსიკონზე თავგანწირული შრომის შედეგად შერყეული ჯანმრთელობისთვის. საბოლოოდაც, ხომ სწორედ საქმისადმი თავდაუზოგავმა დამოკიდებულებამ შეინირა ქართველი პროკურორი. ვასილ ჭილაძე 1828 წლის 12 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჩვენ კი მიგვანჩნია, რომ ქართველი პროკურორის თავდადება, საქმისადმი მარტოოდენ იმპერიის ხაზინის შევსების სურვილით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. არც მისი ცოდნა და არც განვლილი ცხოვრების გზა, ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს არ გვაძლევს. მართალია, ვასილ ჭილაძესთან მიმართებაში დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტორს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ მისთვის სამსახურეობრივ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანი ქა-

რთველი გლექსკაცის, მშრომელი ადამიანის უკანონობისგან დაცვა უნდა ყოფილიყო. იმ ათასობით თანამემამულის ინტერესების დაცვა, რომელთაც შემოსავალს დახარბებული ბატონიც, არაკეთილსინდისიერი სასულიერო პირებიც და იმპერიაც მუშტრის თვალით უყურებდა, ძარცვის ობიექტად აღიქვამდა.

უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანთა რაოდენობა კი, იმ დროისათვის მართლაც შემაშფოთებლად დიდი ყოფილა. როგორც ვასილ ჭილაძის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი შეტყობინებიდან ირკვევა, პირადად მის მიერ ერთ-ერთი ასეთი შემოვლის დროს, კერძო პირების მიერ მითვისებული 898 კომლი საეკლესიო გლეხი იქნა გამოვლენილი.<sup>46</sup> მოგვიანებით, მასვე, როგორც ის ობერ პროკურორს წერდა, კიდევ ორი ათასზე მეტი ანალოგიური შემთხვევა აღურიცხავს.<sup>47</sup> საგადასახადო სფეროში დამკვიდრებული ქაოსი კი, ცხადია ხელ-ფეხს უხსნიდა შემოსავალს დახარბებულ, ათასი რჯულის მესაკუთრეს (თავადაზნაურობას, სამღვდელოებას, მევახშეებს და სხვა). ისინი ხომ ამ გზით სახელისუფლებო ინსტიტუტებისთვის დამალული გლექებისა და შესაბამისად, მათგან ამოღებული დოვლათის ბატონ-პატრონი ხდებოდნენ.

არანაკლები სირთულეები ელოდათ გლექებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბატონის უღლისგან განთავისუფლებას მოინდომებდნენ. მემამულეები მათთვის ხელის შესაშლელად დაუყოვნებლივ იწყებდნენ უკვე არსებული გადასახადების თვითნებურად გაზრდას ან სულაც ახლის შემოღებას, რაც ხშირად განანყენებული გლექების მხრიდან კანონიერი გადასახადებისთვის თავს არიდების მიზეზი ხდებოდა. ეს კი, სახელმწიფოს გადასახადების ამოღების, ისედაც შრომატევად პროცესს, კიდევ უფრო ურთულეებდა. აღნიშნულს ემატებოდა ისიც, რომ საკითხი არც საკანონმდებლო თვალსაზრისით იყო მოწესრიგებული. იმ დროს საქართველოში ურთიერთობა გლექსა და ბატონს შორის ჯერ კიდევ ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით რეგულირდებოდა. საუკუნის წინანდელ ძეგლში კი, გასაგები მიზეზის გამო ბატონისგან გათავისუფლების მსურვე-

<sup>46</sup> ლ.კიკნაძე, გვ.55.

<sup>47</sup> იქვე.

ლი გლეხების შესახებ სიტყვაც არ იყო ნახსენები.

გამოსავალი მთავარმართებლისთვის ისევ სინოდალურ პროკურორს ვასილ ჭილაძეს შეუთავაზებია. მისივე წარდგინების საფუძველზე, უზენაეს მთავრობას საერთო კრებისთვის მიუცია წინადადება, ზეგარისა და გადასახადის ოდენობა, ბატონისგან გათავისუფლების მოსურნე ყმა გლეხებს, აზნაურთა და მემამულეთა თანდასწრებით, შემდეგი სახით განსაზღვროდათ: თავისუფლების მძებნელ გლეხს, რომელიც იხდიდა კულუხსა და ღალას (ანუ ღვინისა და პურის გადასახადს), მემამულისთვის უნდა ემუშავა კვირაში 2 დღე, ხოლო ვინც არ იხდიდა ამ გადასახადს, კვირაში 3 დღე. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა რამე გადასახადის დაწესების უფლება აზნაურს, მემამულეს აღარ ეძლეოდა.

სამწუხაროდ, სინოდალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე მიღებული ეს ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მემამულეთა ინტერესების გათვალისწინებით ცხოვრებაში ვერ გატარდა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ერთი რამ ცხადია, საქართველოში ყმა გლეხების გათავისუფლების გზაზე პირველი დოკუმენტი, როგორც ქალბატონი ლ.კიკნაძე სამართლიანად მიუთითებს, სწორედ საქართველო იმერეთის წმინდა სინოდის თბილისის კანტორის პროკურორის, ვასილ ჭილაძის წარდგინების საფუძველზე შეიქმნა.<sup>48</sup>

უთუოდ საინტერესო დაკვირვებაა. თუმცა, ერთადერთი ვინც ვასილ ჭილაძეს (ისიც მიღწეული შედეგის გათვალისწინებით) ქართველი გლეხკაცის განსათავისუფლებლად წარმოებულ “სამართლებრივ რბოლაში” შეიძლება შეეცილოს, მისივე მოგვარე, საქართველოს უზენაესი მთავრობის მაშინდელი პროკურორი, გიორგი (იაგორ) ჭილაშვილია. როგორც წერილის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ჭილაძეთა იმ შტოს წარმომადგენელი, რომელმაც თავის გადარჩენის მიზნით XVIII საუკუნის დასაწყისში მფარველობა ქართლის მეფეს ვახტანგ VI სთხოვა და მის სამსახურში ჩადგა. განმანათლებელ მეფეს ძმები ტახტის აზნაურ ჭილაშვილებად ჩაუნერია და საგურამოს თავზე სამკვიდრო მიუცია. მას შემდეგ ძმებს, ან უკვე

<sup>48</sup> ლ.კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.59.

ჭილაშვილებს, ვაჟკაცობითა და ერთგული სამსახურით ისე გაუთქვამთ სახელი, რომ ერთ-ერთისთვის-ბაბანასთვის, მეფეს დუშეთიდან დასავლეთით მდებარე მილახვრიანთკარის სასახლე უბოძებია. კიდევ უფრო დანიანურდა ჭილაშვილების ოჯახი მას შემდეგ რაც მეფე ერეკლემ მათ აღსაზრდელად საკუთარი ძე, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი (1761-1814 წ.წ.) მიაბარა.<sup>49</sup> ისინიც ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდნენ მეფის დავალებას და ბატონიშვილს მათი ზრუნვა, არამც თუ სიყრმესა და სიჭაბუკეში, სიცოცხლის ბოლომდე არ მოკლებია. მეტიც, ბაბანას ვაჟი, ვახტანგის თანატოლი და თანაშემზრდილი გლახა ჭილაშვილი (1762-1818 წ.წ.), ბატონიშვილს რუსეთში გადასახლების შემდეგაც თან გაყვა და გარდაცვალებამდე გვერდიდან არ მოშორებია.

<sup>49</sup> ეს სწორედ ის ლომგული ვახტანგ ბატონიშვილია, რომელმაც 1795 წლის სექტემბერში, კრწანისის ველზე ალა-მაჰმად-ხანთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში, მეთაურობდა რა არაგვის საუფლისწულო მამულში შეკრებილ არაგველთა 300 კაციან რაზმს, თავისი მამაცობით მტერიც კი გააოცა. ძმიშვილთან, იოანე ბატონიშვილთან ერთად, მანვე გადაარჩინა კრწანისის ველზე გავეშებული და სიკვდილის მაძიებელი, მტრის მიერ გარშემორტყმული მეფე ერეკლე დატყვევებას და დამამცირებელ სიკვდილს. მალევე მიხვდა რა, საიმპერატორო კარის ვერაგობას, ვახტანგ ბატონიშვილმა თავის საუფლისწულო მამულში წინააღმდეგობის მოძრაობის გაჩაღება სცადა. ამ განზრახვით დუშეთში მდებარე რეზიდენციაც კი მიატოვა და გუდამაყარში გაიხიზნა. მასთან შეთანხმებითვე დაესხა თავს გლახა ჭილაშვილი რუსეთის ჯარის პირველ მთავარსარდალ კნორინგს და 18 მებრძოლი დაუჭრა. თუმცა, მოგვიანებით იმპერატორის მოხელეებმა ყალბი დაპირებებით მანც შეძლეს ბატონიშვილის ქალაქში ჩამოტყუება, დაპატიმრება და 1803 წელს სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად რუსეთში გასახლება. სადაც სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა არ შეუწყვეტია. მის კალამს ეკუთვნის: „განჩინება ბარისა და მთიელთა ადგილთა“, „ეპისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“, „ისტორიებრივი აღწერა ღირსთა ხსოვნიანი შემთხვევ-ულებათა საქართველოსა შა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ“ და სხვ. გარდაიცვალა ვახტანგ ბატონიშვილი 1814 წლის ოქტომბერში, სანკტ-პეტერბურგში, 53 წლის ასაკში. დაკრძალულია იქვე წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ხარების ეკლესიაში (სრ. იხ. ივ.სურგულაძე, „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბ. 2001წ., სააქც. საზ-ბა „პირველი სტამბა“, გვ. 119-125);

ჭილაშვილების ერთგულებას თავის მხრივ, სამეფო ოჯახიც სათანადოდ აფასებდა. როგორც 1782 წელს, ვახტანგ ბატონიშვილის მიერ „არაგველ აზნაურიშვილის“,<sup>50</sup> ბაბანა ჭილაშვილისათვის ბოძებულ სიგელშია ხაზგასმული, მათ ვახტანგ ბატონიშვილამდეც, არაგვის საერისთაოს მეზობონეთა მილახვრობა<sup>51</sup> ჰქონიათ ბოძებული და „რუსეთიდან მომავალის ვაჭრისა და თუ აქედან წამსვლელის ვაჭრისა, და აგრეთვე ჩერქეზეთიდან მოსულის ცხენების ბაჟის აღება ყოველთვის“ მათი ოჯახის სახელოდ ყოფილა დადგენილი.<sup>52</sup> შემოსავლიანი სამსახური, ცხადია სასიკეთოდ უნდა ასახულიყო ჭილაშვილების ოჯახის მატერიალურ ყოფაზე. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიშველიოთ ქ.თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მილახვრიანთკარიდან წამოღებულ ქვაზე შემორჩენილი წარწერა, რომლის თანახმად: „ქ. ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა ვახტანგ ალმასხანისა გულითადმან მონამან ჭილაძემან,<sup>53</sup> ბაბანასვილმან, მილახვართან, სამთა თემთა მოურავმან და რუსეთის გზის მცველმან გლახამ აღვაშენე ციხე და გალავანი ესე და მას შინა სახლი ღ-ისა და სახლნიცა ჩემნი მოვამრგვალენ, რათა მას შინა იდიდებოდეს ღ-თი და მის მიერ იცვებოდნენ შვილნი და სახლეულნი ჩემნი“.<sup>54</sup>

<sup>50</sup> აქვე დავძენთ, რომ უფროსი ძმის ლევან ბატონიშვილის (1756-1781 წ.წ.), გარდაცვალების შემდეგ, ფეოდალური საქართველოს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული არაგვის საერისთავო, მეფე ერეკლემ საუფლისწულოდ სწორედ ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა;

<sup>51</sup> **მილახვარი** – სამეურნეო დარგის მოხელე XVIII საუკუნის საქართველოში. ცნობილია ქართლისა და კახეთის სამეფოების, დედოფლისა და ბატონიშვილის მილახვარები. მილახვარი განაგებდა მამულებს, მონაწილეობდა საფინანსო საკითხების გადაწყვეტაში და სხვა საკითხებში. (სრ. იხ. ი.სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 224);  
<sup>52</sup> სრ. იხ. საქართველოს ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების აღწერა, ელ. მის.: <http://www.dzglebi.ge/dzglebi/wh/chilashvilebi.html>;

<sup>53</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა წყაროებში ჭილაშვილები მოხსენიებული არიან: ჭილაძეებად, ბაბანაშვილებად, ჩილიავეებად. შესაბამისად, მილახვრიანთკარიდან წამოღებულ ქვაზე შემორჩენილი წარწერა ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენს (გ.ფ.);

<sup>54</sup> სპეციალისტთა შეფასებით, მართალია მილახვრიანთკარის ციხე-დარბაზი თავ-

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ახალაშენებული სასახლისა და მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონმა, გლახა ჭილაშვილმა (ის 5 ვაჟის და 4 ქალიშვილის მამა გახლდათ), როგორც კი, სამეფო ოჯახისა და ქვეყნის ჩარხი უკულმა დატრიალდა, უყოყმანოდ დათმო ყველაფერი და სამეფო ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად, რუსეთში გადასახლებულ ვახტანგ ბატონიშვილს თან ეახლა. იმ დროისათვის, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, ტახტის ერთგულ მსახურს ქალიშვილები უკვე გათხოვილი ჰყოლია. ვაჟიშვილებს რაც შეეხება ხუთიდან - ერთი, კონსტანტინე ადრეულ ასაკში დაიღუპა. მეორე ვაჟი კი, პეტერბურგში საქართველოს უკანასკნელი დედოფლისთვის, მარიამისთვის გაუყოლებით მხლებლად, სადაც გაცივებულა და იქვე გარდაცვლილა. რაც შეეხება მასთან დარჩენილ სამ ვაჟიშვილს, სალად შეაფასა რა შექმნილი ვითარება, უკვე ცხოვრების შუაწელს მიღწეულმა და მრავალ ჭირგამოვლილმა ვაჟცაცმა, სამივე ძე განათლების მისაღებად რუსეთში თან გაიყოლა.<sup>55</sup>

როგორც აკად. სერგო ჯორბენაძე სამართლიანად შენიშნავდა,<sup>56</sup>

ვისი მამებადებით დიდ ფეოდალთა ციხე—დარბაზებს ვერ შეედრებოდა, თუმცა შეიცავდა მათთვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს: გალავანს, კოშკებს, საცხოვრებელ სახლს, კარის ეკლესიას, სამეურნეო სადგომებს. „შიდა ციხის“ გარეთ კი, ყოფილა საჯინიბოები და გარეთა გალავანი, რომელიც ჭილაშვილების ბალ-ვენახებს ერტყმოდა გარს. როგორც ამავე წარწერიდან ხდება ცნობილი სასახლის მშენებლობა გლახას 1800 წლის გაზაფხულზე დაუსრულებია. (სრ. იხ. საქართველოს ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების აღწერა, ელ. მის.: <http://www.dzeglbi.ge/dzeglbi/wh/chilashvilebi.html>);

<sup>55</sup> ცნობილია, რომ 1803 წლის შემდეგ, გლახა ჭილაშვილი პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში. როგორც ითქვა, თავდაპირველად ის რუსეთის ხელისუფლების სანინაალმდეგო მოძრაობაშიც ლებულობდა მონაწილეობას. თუმცა, საბოლოოდ მიჩნეულია, რომ ის პრორუსული მიმართულების ქართველ თავადაზნაურთა ბანაკს შეუერთდა (მონაც. შედგ. ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სიების მიხედვით სრულად იხ. ელ. მისამართზე: <http://nobility.pro/ge/statia/43-chilashvili-gibiel-glakha-babanas-dze.html>);

<sup>56</sup> ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ აკაკი მათიაშვილის მტკიცებით, სწორედ ბატონი სერგო ჯორბენაძე გახლდათ ქართველი მეცნიერებიდან პირველი, ვინც ჯერ კიდევ 1963 წელს, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ პირველ ნომერში,



მათ აღზრდაში, აქტიური მონაწილეობა მიუღია უშვილოდ გადაგებული, ვახტანგ ბატონიშვილს.<sup>57</sup> როგორ დაუფასეს გარჯა შვილებმა მამასა და მზრუნველ ბატონიშვილს, ყველაზე უკეთ ალბად, თავად ძმების უაღრესად წარმატებული სამოხელეო კარიერის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მათ შორის უფროსის, საქართველოს პირველი ქართველი პროკურორის გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის (1792-1838 წ.წ.), ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოგვიანებით ჩვენ უფრო ვრცლად განვიხილავთ. რაც შეეხება, დანარჩენ ორ ძმას ბაბანა (იგივე ბორის) და საომ (იგივე სერგეი) ჭილაშვილებს,<sup>58</sup> როგორც ჩანს, მათში მეომარი წინაპრის გენმა იმძლავრა და სამხედრო კარიერა არჩიეს.

ტახტის აზნაურმა ბაბანა (ბორის) ჭილაშვილმა (1798-1850) სამსახური 1816 წელს იუნკერად დაიწყო და იმპერიის შეიარაღებულ ძალებში, 34 წლიანი სამსახურის მანძილზე, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა: ქართველ გრენადერთა თუ, თბილისის ეგერთა პოლკებს, იყო აფხაზეთსა და სამეგრელოში განლაგებული რუსული სამხედრო ქვედანაყოფების მეთაური, ქართული ფეხოსანი პოლიციის უფროსი.<sup>59</sup> საბრძოლო მოქმედებების დროს გამოჩენილი

---

გამოქვეყნებული წერილით (63-71 გვ.), „პირველი წვლილი შეიტანა გ. ჭილაშვილის, ამ ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში“ (სრ. იხ. ა.მათიაშვილი - „კვლავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1965წ., N4, გვ. 57);

<sup>57</sup> სერგო ჯორბენაძე - „ი.გ. ჭილაშვილი - დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი“, ჟურ. „საბჭოთა სამართალი“, 1963წ., N1, გვ. 63;

<sup>58</sup> უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს იმპერიაში დამკვიდრებული წესის თანახმად ყველგან, ოფიციალურ დოკუმენტებსა, თუ პირად მიმონერაში შვილებიც და თავად, ოჯახის უფროსი გლახა ჭილაშვილიც გადაკეთებული გვარ-სახელებით როგორც: გლახა (Гаврил), გიორგი (Иагор), ბაბანა (Борис) და საომ (Сергей) ჩილიაევებად (Чилияев) არიან მოხსენიებულნი.

<sup>59</sup> ბაბანას შესახებ საინტერესო მოგონებებია შემორჩენილი პუშკინის მოგზაურობიდან კავკასიაში. კერძოდ, თავის 24 მაისის წერილში პოეტი დახმარებას თხოვდა იმ დროისათვის მთიელი მოსახლეობის მმართველს (управляющий горскими народами), მაიორ ბაბანა ჭილაშვილს, ჯვრის უღელტეხილის ძნელად გასაველელ მონაკვეთზე გადმოსვლაში. რაზეც ბაბანას კავკასიური სტუმართმოყვარეობით უპასუხია და მეტიც, სტუმარი ლამის გასათევად საკუთარ რეზი-

მხნეობის, საზრიანობისა და კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისთვის, ბაბანას გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს და იმავდროულად ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქისა და ლეკეთის საკორდონე ხაზის<sup>60</sup> უფროსადაც დანიშნეს. მეტიც, ამ გულად გენერალს სახელისუფლებო წრეებში ისეთი სახელი მოუხვეჭია, რომ თავად მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვი, იმპერატორის მინისტრები - „მის მაღალკეთილშობილებად“ მოიხსენიებდნენ. ქართველ არისტოკრატებს კი, არაერთგზის მიუმართავთ თხოვნით, „სიტყვა შეეშველებინა“ იმპერიის დიდმოხელეებზე ზეგავლენის მოსახდენად.<sup>61</sup> რაც შეეხება, მის ვაჟს პოლკოვნიკ კონსტანტინე ჭილაშვილს, მისი სახელი სამუდამოდ არის ჩანერილი ბულგარელი

დენციაში მიუწევია. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და პუშკინისტი ივანე ენაქოლოვაშვილი (1893-1994წ.წ.) მიუთითებდა, შესაძლოა პუშკინს ჯერ კიდევ პეტერბურგიდან ჰქონოდა პირადი ნაცნობობა როგორც ბაბანასთან, ისე მის უფროს ძმასთან იაგორთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეფის მოხელე საკუთარ საცხოვრებელში არ უმასპინძლებდა თუნდაც საყოველთაოდ ცნობილ პოეტს რომელზეც იმ დროისათვის პოლიციას უკვე საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული (სრ. იხ. И.К. Ениколопов \_ «Пушкин в Грузии и под Ерзрумом», изд. «мерани», Тб., 1975г., ст. 51-53. ასევე «Акты, собранные Кавказской Археографической комиссиено», т. VII, тип. Главного Управления Наместника Кавказского, Тифлис, 1878г., ст. 955).

<sup>60</sup> საკორდონე ხაზი - სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და კარგად გამაგრებული სასაზღვრო ობიექტების (ციხე-სიმაგრეები, საგუმბაგოები, საბაჟო-გამშვები პუნქტები და სხვ.) ერთობლიობა მეფის რუსეთში, რომელსაც კავკასიელ მთიელთა თავდასხმის შემთხვევაში უნდა უზრუნველყო მტრის მოგერიება და მკვიდრი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა.

<sup>61</sup> თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ, დიდი ქართველი პოეტისა და XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის, ნინო ჭავჭავაძის 1850 წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც ის ბ.ჭილაშვილს სწორედ ამ სახის დახმარების განწევას სთხოვდა. „აღბათ თქვენთვის ცნობილია - წერდა თავადის ასული - რომ ზაქარია ავალოვი (ავალიშვილი), დიდი ხანია არის კანდიდატი, თავად ვორონცოვისგან რაიმე თანამდებობის მიღებაზე. ამჟამად თავადი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), ნიშნავს მას თავად ჩოლოკაევის (ჩოლოყაშვილის) დამხმარედ, მაგრამ თქვენი თანხმობის გარეშე მას არ დაამტკიცებენ“ (სრ. იხ. ეთერ ერაძის წერილი „ძმები ჭილაშვილების დაბრუნება“, გაზ. „კვირის პალიტრა“, 07.11.2011წ.).

ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორიაში, როგორც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების უმნიშვნელოვანესი დაპირისპირების, შიპკის უღელტეხილზე გამართული ბრძოლის გმირის.<sup>62</sup>

სამხედრო მოღვაწის სახელოვანი გზა განვლო საომ (სერგეი) ჭილაშვილმაც (1803-1864 წ.წ.), რომელმაც სამხედრო კარიერა სულ ახალგაზრდამ, 14-15 წლის ასაკში, თვით პეტრე I-ის მიერ შექმნილ, ლეიბ გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში დაიწყო. მას შემდეგ კი, ბრძოლით განვლო სამხედრო გზა იუნკერობიდან - პოლკოვნიკობამდე. 1850 წლის ბოლოს, ჩრდილოკავკასიელი მთიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი საზრიანობისა და მამაცობისთვის, მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა და იმავდროულად შემახის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზეც დაინიშნა.<sup>63</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოხელეო ასპარეზზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მას არასდროს დავინწყებია თავისი ფესვები და როცა კი შესაძლებლობა ეძლეოდა, ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა თანამემამულეების მიმართ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე პირების მიმართ. მათ შორის განსაკუთრებულია საომ ჭილაშვილის ღვაწლი შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორისა და თავადაც შეთქმულების აქტიური მონაწილის თეკლა ბატონიშვილის ვაჟის ალექსანდრე ორბელიანის გადარჩენის საქმეში.

არ გამოვრიცხავთ, საომ ჭილაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება შეთქმულების მონაწილეების მიმართ იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ მისი უფროსი ძმა, საქართველოს უზენაესი მთავრობის პირველი ქართველი პროკურორი გიორგი (იაგორ) ჭილაშვილი, ამავე შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებამ შეინირა. პიროვნება, რომლის შესაძლებლობებში დასარწმუნებლად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მისი პირადი საქმისთვის თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია: ნმიდა ანას,

<sup>62</sup> გადმოცემის თანახმად, სოფიის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა დღემდე კონსტანტინე ჭილაშვილის სახელს ატარებს;

<sup>63</sup> 1859 წლიდან, მას შემდეგ რაც საგუბერნიო ქალაქი ბაქო გახდა, შემახის გუბერნია გადაკეთდა ბაქოს გუბერნიად;

წმიდა ვლადიმერის ორდენების კავალერი, ჯილდო 15 წლიანი უმნიშვნელო სამსახურისთვის, პარალელურად საქმისადმი გულმოდგინე დამოკიდებულების გამო, წლების განმავლობაში ვადაზე ადრე მინიჭებული საკლასო ჩინები, ისე რომ საქრთველოში პროკურორად დანიშვნის დროისათვის ის უკვე კარის მრჩეველია<sup>64</sup> და ეს ყველაფერი „ერთ დღეში“ დასრულდა. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ გ.ჭილაშვილს შეთქმულებაში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცეს, სამსახურეობრივად წლების განმავლობაში ერთ პოზიციაზე „გაყინეს“. საბოლოოდ კი მისი წოდებისა და შესაძლებლობებისთვის (ამ დროისათვის ის უკვე სამოქალაქო მრჩეველია),<sup>65</sup> აბსოლუტურად შეუსაბამო დავალებით აზერბაიჯანის უკიდურეს სამხრეთში, მკაცრი კლიმატური პირობებით გამორჩეულ ლენქორანის მაზრაში გაგზავნეს. სადაც გიორგი (იაგორ) ჭილაშვილი მალევე, 1838 წლის 5 ნოემბერს, 46 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თუმცა, მანამდე, როგორც აღვნიშნეთ, მას ჰქონდა, მართლაც ბრწყინვალე სამოხელეო კარიერა, რაც მნიშვნელოვანწილად ცხადია, პეტერბურგში ერეკლე II-ის ვაჟის, ვახტანგ ბატონიშვილის კარზე მიღებულმა ბრწყინვალე განთლებამაც განაპირობა.<sup>66</sup> აქვე

<sup>64</sup> კარის მრჩეველი, რუსული შესატყვისი - „ნადვორნი სოვეტნიკ“, რაც ვიცე პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას უთანაბრდება.

<sup>65</sup> სამოქალაქო მრჩეველი (სტატსკი სოვეტნიკ) - იმის გამო, რომ მასთან ზუსტად შესატყვისი ჩინი სამხედრო სამსახურში არ არსებობდა, მას განიხილავენ პოლკოვნიკისა და გენერალ მაიორის სამხედრო წოდებებს შორის. ეკუთვნოდა ჩინოვნიკთა კლასის პირველ ხუთეულს (1-5 კლასი), შეესაბამებოდა უმაღლესი ნომენკლატურის წარმომადგენლებს (დეპრტამენტის ვიცე დირექტორი, ვიცე გუბერნატორი, სახაზინო პალატის თავმჯდომარე და სხვა). სამოქალაქო მრჩეველის ჩინის მქონე მოხელეები მთელი იმპერიის მასშტაბით სარგებლობდნენ განსაკუთრებული პრივილეგიებით, ჰქონდათ მაღალი ანაზღაურება.

<sup>66</sup> იაგორ ჭილაშვილზე, როგორც ფილოსოფოსზე, სამართალმცოდნესა და ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსზე, წარმოდგენა გვექმნება მისი თარგმანების: ქართულიდან რუსულ ენაზე ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის „ებისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“, ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი შარლ ლუი მონტესკიესა და გაბრიელ ბონო დე მბლის შრომებისა და ბოლოს მის მიერ რუსულ ენაზე შექმნილი უაღრესად საინტერესო ნაშრომის

დაიწყო მისი სამოხელეო კარიერა მდივან-თარჯიმნის რანგში.<sup>67</sup> ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ (1814 წ.), ის ჯერ პეტერბურგი განათლების სამინისტროში იწყებს მუშაობას. 1821 წლის პირველ აგვისტოს კი, საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის თანამდებობაზე ინიშნება და თბილისში ბრუნდება.

რა ვითარება დახვდა მას საქართველოში და უშუალოდ საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის სამსახურში, გარკვეულწილად მისი წინამორბედის ისტორიის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. წინამორბედი კი კარის მრჩეველი, მიხილ თევდორეს ძე მეღლინი გახლდათ, რომელსაც 1814 წლიდან 7 წლის განმავლობაში უზენაესი მთავრობის პროკურორის თანამდებობა ეკავა. 1821 წელს კი, პოლიციის მიერ ფარულად მოკვლეული მასალების საფუძველზე, მაზრის ხაზინიდან 615 ჩერვონეცის<sup>68</sup> ქურდობის ბრადლებით გაასამართლეს. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ მეღლინისა და მისი მსგავსი მოხელეებისთვის, რომლებიც კავკასიის მმართველობაში უმრავლესობას შეადგენდნენ მკვიდრი მოსახლეობის ბედი სულ ერთი იყო. როგორც აკად. ს.ჯორბენაძე მართებულად შენიშნავდა: „მაშინ კავკასიაში ნებაყოფლობით თანამდებობაზე მხოლოდ ის ჩინოვნიკები მოდიოდნენ, რომლებსაც იოლი გამდიდრების სურვილი ამოძრავებდათ“.<sup>69</sup>

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა მრავალწლიანი განშორების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულ გიორგი (იაგორ) ჭილაშვილს, რომელიც მისივე სიძის დიდი მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანის<sup>70</sup> შეფასებას თუ გავისხენებთ: „პირველი ქართველთაგანი იყო,

«Начертания права природного» («ბუნებითი სამართლის მონახაზის») მიხედვით, რომელიც შექმნილსაა 1812 წელს წიგნის სახით სანქტ-პეტერბურგში გამოცემა; <sup>67</sup> 1808 წელს მონაწილეობა მიუღია გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-ის მეუღლის დარეჯან დედოფლის დარჩენილი ვალების განმხილველი კომისიის მუშაობაში (სრ. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 6136, ფონდი 2, აღწ. 1, გვ.4).

<sup>68</sup> ფულის ერთეული მეფის რუსეთში, გამყარებული სახელმწიფოს ოქროს მარაგით;

<sup>69</sup> ს.ჯორბენაძე „ი.გ. ჭილაშვილი - დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963წ., N1, გვ.64.

<sup>70</sup> გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის ქალიშვილმა ნინო ჭილაშვილმა (1827-1902),

რომელმაც ევროპული სწავლა-განათლება მიიღო და ამასთან ზედ-მინვენით იცნობდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას<sup>71</sup>. შესაბამისად, ახალი პროკურორი კარგად აცნობიერებდა იმასაც, რომ მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურს შეეძლო სასიკეთო ცვლილებები შეეტანა თანამემამულეთა ცხოვრებაში და ამიტომ, პირველ რიგში, თავად სამსახურის რეფორმირებას შეუდგა. კერძოდ, ცდილობდა ადგილებზე, მაზრებში გუბერნიის პროკურორის თანაშემწის (ე.წ. სტრიაპჩის) თანამდებობის შემოღებას.

მისი 1822 წლის 6 თებერვლის პატაკი მთავრმართველის, გენერალ ერმოლოვის სახელზე, რომელიც სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ეძღვნებოდა, დასაბუთების თვალსაზისითაც საყურადღებოდ მივიჩნიეთ და შევეცადეთ მაქსიმალურად სრული სახით წარმოგვეჩინა. კერძოდ, პატაკის დასაწყისშივე, გ.ჭილაშვილი აქცენტს აკეთებს ეკატერინე II-ის დებულებაზე გუბერნიების მართვის შესახებ (1775 წ.), რომლის XXVII თავის 404-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ: გუბერნიის პროკურორი და გუბერნიის თანაშემწეები (სტრიაპჩები) ვალდებული არიან თვალყური ადევნონ და უზრუნველყონ: კანონით დადგენილი წესრიგის, ხელისუფლების ერთიანობის, მისი იმპერატორობითი უმაღლესობის ბრძანებების განუხრელი დაცვა. დააკვირდნენ, რომ ადგილებზე ვერავინ გაბედოს მოსახლეობისგან უკანონო მოსაკრებლების ამოღება და აღკვეთონ მექრთამეობის ნებისმიერი გამოვლინება. იმავდროულად, პირადად დაუყოვნებლივ მოახსენონ ადგილობრივ მთავრობას, ხომ არ შეინიშნება ადგილებზე უკმაყოფილება ან დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივი სიმშვიდის ხელყოფის ფაქტები და სხვა (იმავე დებულების 405-ე მუხ., პუნქტი-4).

---

დაამთავრა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. ავტორია შესანიშნავი მოგონებების ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. იყო „თბილისის მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი. მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში. გარდაიცვალა 1902 წელს და დაკრძალულია მეუღლის დიმიტრი ყიფიანის გვერდით, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

<sup>71</sup> დიმიტრი ყიფიანი „მემუარები“, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, 1930წ., გვ.126;

ეკატერინე II-ის დებულებაზე დაყრდნობით, ასე მოქმედებდნენ პროკურორები რუსეთში, სადაც მშობლიურ რუსულ ენას, ასე ორგანულად ჰყავდა შეკავშირებული ხელმძღვანელები და ხელქვეითები, მთავრობა და მოსახლეობა. მეტიც, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში პროკურორს შესაძლებლობა ჰქონდა საგუბერნიო ქალაქში პირადად, სრულად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები. მაზრებში კი, ამ ფუნქციის განხორციელება მისდამი დაქვემდებარებული თანაშემწეებისთვის დაევალებინა. ამ უკანასკნელებს, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მოსახლეობასთან და შეეძლოთ ადვილად მოეპოვებინათ სამსახურეობრივად მათთვის მნიშვნელოვანი ცნობები და დროულად მიეწოდებინათ პროკურორისთვის. მას კი, წინასწარ მიეღო ზომები გამოვლენილი: „ბოროტმოქმედებების, უნესრიგობების, უსამართლობის და ხალხის დამღუპველი ჩაგვრის აღმოსფხვრელად“.<sup>72</sup>

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა დახვდა გ.ჭილაშვილს საქართველოში. აქ პროკურორის თანაშემწის შტატი კანონით გათვალისწინებული საერთოდ არ იყო. შესაბამისად, უზენაესი მთავრობის პროკურორი ყოველდღიურად აწყდებოდა დაუძლეველ წინააღმდეგობას, განხორციელებინა დაკისრებული მოვალეობა თბილისის საზღვრებს მიღმა, მაზრებში. ეს მაშინ, როდესაც, როგორც თავად გ.ჭილაშვილი უსვამდა ხაზს, დედაქალაქზე მეტად, სადაც სახელისუფლებო ინსტიტუტების უმრავლესობა იყო განთავსებული, შესაბამისად ინფორმაციაზე წვდომის რესურსიც მეტი იყო, გაცილებით სასარგებლო იქნებოდა პროკურატურის წარმომადგენლის ყოფნა მაზრებში. როგორც ჩანს, საქართველოს უზენაესი მთავრობა ამას გ.ჭილაშვილის ჩამოსვლამდეც მიხვდა და საქმეთა გამართულად წარმოებისა და ამ სფეროში წესრიგის უზრუნველსაყოფად, პროკურორის თანაშემწის მოვალეობების შესრულება საოლქო და მაზრის სასამართლოს მდივნებს დააკისრა.

როგორც გ.ჭილაშვილი საკუთარ პატაკში მიუთითებს, მთავ-

<sup>72</sup> «Акты, собранные Кавказской археографической комиссией» (АКАК) – Т. 6, част - 1, 1874г., Тифлис, ст.47.

რობის მიერ მიღებული ზომები ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს იმიტომ, რომ ქართველი პროკურორის შეფასებით, სასამართლოს მდივნები უმეტესწილად პროკურორისთვის მხოლოდ საპატიმრო, წარმოებით დამთავრებული და დაუმთავრებელი საქმეების შესახებ უწყისების (ისიც დიდი უზუსტობებით), წარდგენით კმაყოფილებოდნენ. ამიტომ უკეთესის მოლოდინი არც უნდა ჰქონოდათ. განა შეეძლო მდივანს პროკურორისთვის მოეხსენებინა ადგილობრივი ხელმძღვანელობის, მაზრისა და ოლქის მოსამართლეების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე, მაშინ როდესაც ის როგორც მდივანი პირადად იყო ჩართული საქმისწარმოების პროცესში და შესაბამისად, თავადაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გამოვლენილ დარღვევებზე. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტორიც, რომ ხელმძღვანელობის კეთილგანწყობის დაკარგვის შემთხვევაში ის სამსახურსაც კარგავდა.

შესაბამისად, გ.ჭილაშვილის შეფასებით მისი საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის დროისათვის, პროკურორი ფაქტიურად მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეესრულებინა მაზრებში მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობები. ხოლო მოსახლეობა, რომელიც წლების მანძილზე პროკურორის მეთვალყურეობის გარეშე იყო დარჩენილი და იმავდროულად არ იცოდა სამართალწარმოების ენა (ხელმძღვანელობამ კი მკვიდრი მოსახლეობის), მისდაუნებურად თავად იქცა „საიმედო ფარად“, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით დაინტერესებული ჩინოვნიკებისთვის. როგორც გ.ჭილაშვილი მართებულად შენიშნავდა: ისინი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ ცნობები მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების შესახებ არასდროს, ყოველ შემთხვევაში დროულად მაინც ვერ მიაღწევდა ხელმძღვანელობამდე.<sup>73</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გ.ჭილაშვილმა ნებართვა ითხოვა მთავარმართველ ერმოლოვისგან, რომ მანამდე ვიდრე მას

<sup>73</sup> «Акты, собранные Кавказской археографической комиссией», (АКАК) – Т. 6, част - 1, 1874г., Тифлис, ст.48.



თანაშემწეებს დაუნიშნავდნენ, შესაძლებლობა მიეცათ პირადად გასულიყო მაზრებში (აშკარაა თანხვედრა ვასილ ჭილაძის ანალოგიურ თხოვნებთან), საქმეთა წარმოების პროცესის გასაცნობად და ადგილზე გასარკვევად ხომ არ განიცდიდა მოსახლეობა „იმ სახის ზემოქმედებას რაც ეწინააღმდეგება კანონს და მთავრობის ნებას“. მისი თბილისში არ ყოფნის დროს კი, პროკურორის მოვალეობის შესრულება დროებით ადილობრივი მთავრობის იმ მოხელისთვის დაევალებინათ, რომელსაც მთავარმართებელი დაამტკიცებდა. იმავდროულად, გ.ჭილაშვილი მთავარმართებელს სთხოვდა, იმ შემთხვევაში თუ მისი აღმატებულება მის მოსაზრებას საქმისთვის სასარგებლოდ მიიჩნევდა, მისი ბრწყინვალეების იუსტიციის მინისტრის სახელზე საკუთარი მიმართებით მხარდაჭერა გამოეხატა პატაკისთვის, რომელიც როგორც უწყების ხელმძღვანელისთვის,<sup>74</sup> გ.ჭილაშვილს პეტერბურგში უკვე გადაგზავნილი ჰქონია.

უნდა აღინიშნოს, რომ გ.ჭილაშვილის მიერ პატაკში ასახულმა არგუმენტებმა დაარწმუნეს იუსტიციის მინისტრიც და ადგილობრივი ხელმძღვანელობაც, პროკურატურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით პროკურორის თანაშემწის (სტრიაპჩის) თანამდებობის შემოღების აუცილებლობაში. როგორც საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ მოძიებული წერილობითი წყაროებით დასტურდება, მომდევნო 1823 წლიდან საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შორის უკვე მოხსენიებული არიან თანაშემწეები (სტრიაპჩები) როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმისწარმოების კუთხით.

არანაკლებ წარმატებული გამოდგა ქართველი პროკურორის ინიციატივა, რომელიც ოფიციალურად სახელმწიფო ხაზინის, რეალურად კი მევახშეებისა თუ, დროსტარებას გადაყოლილი თავადაზნაურობის წყალობით, გასაყიდად განწირული ყმა გლეხების ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უნიკალური მოვლენა არამარტო ჩვენი რეგიონის, არ-

<sup>74</sup> 1802 წლიდან რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრი იმვადროულად გენერალური პროკურორის თანამდებობასაც ითავსებდა.

ამედ ზოგადად იმპერიის იმ დროინდელ სამართლებრივ ცხოვრებაში. მხედველობაში გვაქვს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1824 წლის 22 თებერვლის სხდომა, რომელზეც განხილული იქნა იუსტიციის მინისტრის წერილი და საკანონმდებლო კომისიის დასკვნა საქართველოში საჯარო ვაჭრობით გასაყიდი გლეხების საკითხის თაობაზე.

როგორც იუსტიციის მინისტრი საკუთარ წერილში აღნიშნავდა, საქართველოს მთავარმართველმა გენერალმა ერმოლოვმა საკუთარ მხარდამჭერ მიმართვასთან ერთად, მას პროკურორ გ.ჭილაშვილის პატაკი გადაუგზავნა. მასში აღნიშნული იყო, რომ მემამულეების მხრიდან ვალის ვერ გასტუმრების შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი მთავრობა მართალია, იწვევდა მყიდველებს გლეხების შესასყიდად, მაგრამ მიუხედავად განცხადების სამგზის და ზოგჯერ მეტჯერ გამოქვეყნებისა, ვაჭრობაზე მყიდველი არ ცხადდებოდა. მთავრობა კი, ასეთ შემთხვევაში 1771 წლის 21 ივნისის ბრძანების საფუძველზე, იძულებული იყო, გასაყიდად გამოყვანილი გლეხები ვალის გამცემისთვის სანყის ფასად დაეთმო. სანყისი ფასი კი, როგორც წესი საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლები იყო.

გაითვალისწინა რა ზარალი, რომელსაც სახელმწიფო ხაზინა ასეთ შემთხვევებში განიცდიდა, პროკურორმა გ.ჭილაშვილმა მთავარმართველს იმ დროისათვის საკითხის უაღრესად თამამი გადანყევტა შესთავაზა. ქართველი პროკურორის პატაკის თანახმად კერძო პირთა სავალე თუ, სხვა სახის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად გლეხების გაყიდვის თობაზე განცხადების გამოქვეყნებისას, თავად გასაყიდი გლეხებიც მიენვიათ ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად. აღმასრულებელი და სახაზინო ექსპედიციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეეთავაზებინათ მათთვის გამოსყიდვისთვის აუქციონით განსაზღვრული, ხოლო მსურველთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავდაპირველად გამოცხადებული თანხის სრული მოცულობით გადახდა. თანხის გადახდის შემდეგ კი, ისინი საკუთარ უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად სახელმწიფო ხაზინის დაქვემდებარებაში გადაეყვანათ. ეს ყველაფერი პროკუ-

რორის პატაკში იმდენად დასაბუთებულად და რაც მთავარია, „სახელმწიფოსთვის მიმზიდველად“ იყო წარმოჩენილი, რომ კავკასიის მთავარმართებელმა, თავისი სიმკაცრით განთქმულმა გენერალმა ერმოლოვმა და რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრმა თავდაც დიდმა მემამულემ, თავადმა დიმიტრი ივანეს ძე ლობანოვ-რასტოვსკიმ (1817-1827) მხარი დაუჭირეს კანონპროექტს, რომლის მიხედვით იმდროინდელ რუსეთში საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ, პირუტყვის მსგავსად ყიდვა-გაყიდვის ობიექტად მიჩნეული ყმა გლეხი, აუქციონის მონაწილე, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტი ხდებოდა.

მეტიც, გ. ჭილაშვილი აღნიშნულით არ დაკმაყოფილდა და იმისათვის, რომ ხაზინის დაქვემდებარებაში გლეხების გადასვლის სახელმწიფოსთვის ესოდენ მომგებიანი პროცესი კიდევ უფრო დაჩქარებულიყო, აუქციონში მონაწილე გლეხებისთვის ხაზინიდან სახსრების გამოყოფა მოითხოვა. კერძოდ, გლეხებს თანხები გამოეყოფოდათ: 1. საერთო სახელმწიფო შემოსავლებიდან სახაზინო ექსპედიციის მიერ განსაზღვრული რაოდენობითა და მთავარმართებლის დამტკიცებით; 2. გამოსაყოფი სახსრების რაოდენობა ყოველ ჯერზე განისაზღვრებოდა 5000 მანეთით. რომლის გაზრდაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ფინანსთა მინისტრის განსაკუთრებული თანხმობით; 3. გლეხებისთვის გადაცემული თანხა დასაბრუნებად უნდა განერილიყო რამდენიმე წელზე, გადამხდელის შესაძლებლობების, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით; 4. ამ პროცესში სახელმწიფო ხაზინის ინტერესების დაცვა და მისი ახალი სარგებლით შევსებაზე ზრუნვა ევალეობდათ სამოქალაქო გუბერნატორს, სახაზინო ექსპედიციის უფროსსა და პროკურორს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახემწიფო საბჭოს კანონების შემდგენი კომისიის დასკვნა, ფაქტიურად იზიარებდა ქართველი პროკურორის მიერ შედგენილი პირველადი დოკუმენტის სულისკვეთებას, რაც მასში პუნქტობრივად იყო განერილი: 1. იმ შემთხვევაში თუ ვალაუვალობის გამო მემამულის უძრავი ქონება გაიყიდებოდა საჯარო ვაჭრობით, მის კუთვნილ გლეხებს უფლება ეძლოდათ საკუთარი

თავის გამოსასყიდად გადაეხადათ გამოსყიდვისთვის აუქციონით განსაზღვრული, ხოლო მსურველთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავდაპირველად გამოცხადებული თანხა სრული მოცულობით.

2. ამ ფორმით კერძო პირისგან (მემამულე, მევახშე) თავდახსნილი გლეხები იძენდნენ პირად თავისუფლებას და საკუთრების უფლებას მიწაზე რომელზეც ცხოვრობდნენ. შესაბამისად ირიცხებოდნენ თავისუფალ მინათმოქმედთა კატეგორიაში ყველა იმ სარგებლით, რაც ამ წოდებისთვის განსაზღვრული იყო 1803 წლის 20 თებერვის ბრძანებითა და შემდგომი მითითებებით.<sup>75</sup>

22 თებერვლის სხდომაზევე სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი იუსტიციის მინისტრის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხს და მართებულად ცნო მისი ამოქმედება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.<sup>76</sup> უცვლელად დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტიება იმპერატორმაც. ასე წარმატებით განვლო კანონპროექტმა გზა საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის კაბინეტიდან - იმპერატორის ხელმოწერამდე. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ეს გამონაკლისი ქართველი გლეხკაცის სასარგებლოდ დაშვებულ იქნა არა ალექსანდრე II-ის ძირეული რეფორმების ხანაში, არამედ საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე ოთხი ათეული წლით ადრე. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსთის იმპერიის გუბერნიად გამომცხადებელი იმპერატორ ალექსანდრე I-ის მმართველობისას.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე აქცენტი შეგნებულად გავაკეთეთ რათა, კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი ნებისმიერი სირთულის საკითხის გადაწყვეტისას, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სილ-

<sup>75</sup> Полное собрание законов Российской империи (ПСЗРИ), Собрание Первое. Том XXXIX. Издательство: Тип. II Отделения Собственной Его Императорского Величества Канцелярии, СПб., 1830, ст. 158.

<sup>76</sup> სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა ერთადერთი შენიშვნა, რომლის თანახმად მთავარმართებელს დაევალა მოემზადებინა და სახელმწიფო საბჭოსთვის წარედგინა კონკრეტული წინადადებები სახსრების გაცემა-ამოღების პროცესში მოსალოდნელ სირთულეების თავიდან ასაცლებლად. სრ.იხ. იქვე, გვ.159.

რმისეულ ცოდნას, ორიგინალურ ხედვას, საკუთარი პოზიციის ლოგიკურ დასაბუთებას და რასაკვირველია წარდგენის ფორმას. ზოგადად იმ უნარებს, რასაც სამოხელეო ხელოვნება ჰქვია და რომელიც პროკურორ გიორგი (იაგორ) ქილაშვილის მიერ უმაღლეს საფეხურზე იქნა აყვანილი.

დასასრულისთვის, კიდევ ერთ საკითხზე გვინდა ყურადღების გამახვილება, რომლის ხაზგასმაც სავალდებულოდ მივიჩნიეთ: გიორგი (იაგორ) ქილაშვილისა და მისი წინამორბედის ვასილ ქილაძის ცხოვრება, მოღვაწეობა საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ იმპერიის მუნდირში გამოწყობილი ქართველი პროკურორები, ამ ინსტიტუტის საქრთველოში შემოტანის პირველი დღიდანვე ღირსეულად იდგნენ თანამემამულეებისთვის სოციალური თუ კოლონიალური ჩაგვრის შესამსუბუქებლად წარმოებული ბრძოლის ავანგარდში.



კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №47  
E\_mail: meridiani777@gmail.com t. 239-15-22

